

კემალ ქირია

პელიტრისტიკა

ტომი 9

ღიღოშვანა
თამაში

რომანი

თბილისი 2008
გამომცემლობა „საარი“

რომანი 1988 წელს დახტამბულია გამომცემლობა „ნაკადულის“ მიერ.
მისი რესუელი თარგმანი შეისრულა ნების სოლომია და გამოაქვეშნა
უკრაინულში „Литературная Грузия“ (8,9-10,11-12,1991).

ხმაი მამისაი ზეცით ოხრიდეს შენ ზედა!
ნათლისლება, 89, 16

ასე თქვა ნიკანორ ბუალავამ:

არ დამიჯერებ, ცხადია! ან რატომ უნდა დამიჯერო? მაინც
გეტყვი — ზღვამი დავიბადე-მეთქი. დიახ, დიახ!.. არ ვიცი, მა-
ნამდე ვიყავი თუ არა. მაშინ დავიბადე, როცა ჩემი მეხსიერება
დაიბადა, მე კი ყველაზე ადრე ზღვა დამამახსოვრდა. ასე მო-
მეჩვენა — ტალღა აიქოჩრა და თითქოს ამ ტალღის ქაფისაგან
გავჩნდი. გედიმება? რა თქმა უნდა, ვინმეს ეს რომ ჩემთვის
ეთქვა, მეც გამედიმებოდა, მაგრამ ასე აშკარად წარმომიდგება
ის წუთები! თვალი გავახილე თუ არა, ვხედავ, ირგვლივ მზე და
ზღვაა. მზე ბარჩხალებს ცაზე, ზღვის ლურჯი ზედაპირი ირკ-
ლავს, ბრჭყვიალებს. დიდი, მოქნილი დელფინი მიმაქროლებს
ნაპირისაკენ, ღონივრად მიაპობს ტალღებს, ნაკვალევზე ქაფი-
ან ჩერალს ტოვებს. თეთრი წინწკლები იფრქვევა ჰაერში,
თეთრ წინწკლებს ნიავი იტაცებს, სახეზე მასხურებს... მოვი-
ხედე... ტალღებს მიღმა მამა დგას — დიდი ნიკანორი, კიტელი
აცვია, ოქროს სამხრეები უკეთია, კაპიტნის ქუდი ახურავს, ჩი-
ბუხს აბოლებს... უღვაშებში ჩაიღიმა და ჩიბუხი ასწია — „ეჰეი!“
პასუხად მეც ხელი დავუქნიე — „ეჰეი!“

მე და ნიკანორი უზარმაზარ ქვაზე ვსხედვართ. მე უფრო-
სი ვარ, მაგრამ თორმეტი წლის ბიჭი ჩემზე დიდი მგონია. მას-
ში ძალასა ვგრძნობ, რაც მხიბლავს და მიმორჩილებს.

ქვა ზედ წყლის პირას წამომართულა. იმოდენაა, გეგონე-
ბათ, ნაპირზე გამორიყული გემიაო, უფრო კი გიგანტის თავს
მაგონებს. ტანით ქვიშამი ჩაფლულა, ნიკაპი წყალში უდევს,
მღელვარების დროს ტალღა პირდაპირ სახეზე ასედება, მაგ-
რამ იგი უშიშრად და შეუპოვრად იცქირება ზღვის კიდისაკენ.
მაღალი და ფართო შუბლი ზევით აუშვერია. ტალღა იმას ვეღა-

©ჯემალ ქარია - დიდობანას თამაში
საავტორო უფლებები დაცულია

ტექნიკური რედაქტორი: ირინა მარკოზაშვილი

 გამოცემა „საქანი“

ISBN

რა სწდება, დროსა და ქარიშხლებს დაუმჩნევია ღარები. შორი-დან ვინც გახედავს, კულულები ჩამოზრდიაო, იფიქრებს... ერთხელ ნიკანორმა აიჩემა, მგავს, ჩემსავით გრძელცხვირააო და ბიჭებმა „ნიკანორის ქვა“ შეარქეს...

— შეხედე, შეხედე ზღვას!.. გჯერა? დელფინი რომ ნაპირისაკენ მიმართოლებდა, მწვანე სანაპირო აღმა-დაღმა ქანაობდა, შორეული გორაკებიც, ზედ ცის კიდეზე წამომართული თოვლიანი მთებიც ქანაობდა...

წამომართა. თხელი, სიფრიფანა ბიჭი იყო. გრძელცხვირა ადრე ჩანდა, ნაავადყოფარს თავზე საპარსმა რომ გადაუარა. მერე მოკეთდა. ხორბლისფერი თმა წამოეზარდა, შუბლზე დას-ცვიდა. ლურჯი, უცხო თვალები აზრმა გაუცოცხლა...

— ტალღებს მიღმა დედის სახე გაკრთა, ზღვისფერი თვალები მომანათა. ოქროს თმები ჩამოშლოდა და წყლის ჭავლს მისი ბოლოები აქეთ-იქით ნაელო, ატივტივებდა... შემომცინა, ხელი დამიქნია — „ეპეი!“

ზღვისაკენ გავიხედე. ფერთა ცვალებადობაში იქნებ მეც დამელანდა უჩვეულო რაიმე.

სამუდამოდ ჩამებეჭდა მეხსიერებაში:

მშვიდად, აუჩქარებლად ირხევა ფერხთით განოლილი ზღვა, დაუსრულებლად მოედინება და მაინც იქვე დგას. მსუ-ბუქი ტალღა მოჰყვება ტალღას, თითქოს ნაპირის გაცრილ ქვიშას ეალერსებაო, უფრო შორს კი ლურჯი გადადის კვლავ ლურჯში, ლივლივებს, ფართო, კრიალა ზოლებად იშლება...

მზე თანდათან ეშვება, თანდათან მენამული ფერი ედება სივრცეს, უკვე აღარა ჭირს მზისათვის თვალის გასწორება.

ზედ ჰორიზონტზე გაკრთება თეთრი ხომალდი. მზერას ვძაბავ, იქნებ ნაპირისაკენ წამოვიდეს, მაგრამ ვიცი, ლოდინი ამაოა, თეთრი ხომალდი, როგორც ყოველთვის, მენამულ ნათებაში იძირება...

მზე სწრაფად უახლოვდება ცის კიდეს, თითქოს გავარ-ვარებული ბურთი დაგორდაო, წყალში ეშვება და მუქი სისხ-ლისფერი ედება ზღვას, ნაპირისაკენ მოინევს, თანდათან მკრთალდება, იშრიტება, ზედ ნაპირთან კი ვერცხლისფრად ლაპლაპებს...

— თუ დიდხანს, დიდხანს დავდგები და ზღვას თვალს არ მოვაშორებ, ისინი მოვლენ... ერთხელ მოვიდნენ კიდეც... იალქნიანი ხომალდი წამომართა ჰორიზონტზე, აუჩქარებლად გადმოლახა ლურჯი ზვირთები... უხმოდ, მსუბუქად მოცურავ-და... ისეთი გამჭვირვალე იყო, თითქოს ბროლისაგან აეგოთ... კაპიტნის ბოგირზე მამა იდგა — დიდი ნიკანორი, ჩიბუხს აბოლებდა... იქვე, მოაჯირს დედა დაყრდნობოდა. პირისახე ნიავისათვის მიეშვირა, მსუბუქი ნიავი უნებავდა ოქროს თმას... მერე?.. მერე ყოველივე გაქრა!

კვლავ გაკრთა თეთრი ლაქა... იქნებ იალქანი იყო უცნობი ხომალდისა, იქნებ თეთრი ალბატროსი მიეშურებოდა თავისი გზით, იქნებ თეთრსამოსიანი ასული ამოდიოდა ზღვის სიღ-რმეებიდან (ამის გაფიქრებაზე გული უსაზღვრო მოლოდი-ნისა და შიშისაგან შემეკუმშა)...

და უცებ — ნიკანორმა, დიდივით:

— ადამიანს უნდა ახსოვდეს საკუთარი არსებობის დასა-ნყისი, ის პირველი დღე... ხანდახან გვეჩვენება, თითქოს ვიხსე-ნებთ რაღაც შორეულს, რაც ჩვენს დაბადებამდე იყო... და ვე-რაფრით გაგვიხსენებია ჩვენი პირველი დღე... პირველი დღე რომ გვახსოვდეს, ხომ ყველაფერი გაირკვეოდა...

ჩუმად გავყურებთ სივრცეს. თანდათან იცრიცება ფერები, რუხდება... ცაზე გამობრნყინდა პირველი ვარსკვლავი...

მზე ჩადის... ჩადის... პატარავდება... ცეცხლის პანია ხომ-ალდს ემსგავსება... ოქროს შუქურას...

უცებ იმ ადგილას, თითქოს სანთია აანთესო, წამიერი ლურ-ჯი, გამჭვირვალე ალი ამოვარდა, გაიელვა... ჩაქრა... ჩავიდა...

მენამული დაფიონი ცოტა ხანს კიდევ შერჩა ჰორიზონტს, წყლის ზედაპირს კი მძიმე, რუხი ფერი დააწვა...

— ეპეი! — ხელი აღმართა ნიკანორ ბუალავამ. მისი მკრთა-ლი სილუეტი თანდათან გამქრქალდა... გაქრა...

ნაწილი 1

ოჭახური პორტრეტი: ნოველის ჟომენტარიზაცია

1

ჩემი სახელია ნიკანორ, გვარად ბუალავა ვარ. საბუთებში ნიკო მიწერია, მაგრამ ქუცნა ჭედიამ ოდესლაც ნიკანორი მინოდა გამოსაჯავრებლად, მე კი მომენტია და შემრჩა ასე. ვერ გეტყვით, გვარი ვინ მაჩუქა. ძალიან მიყვარს ჩემი გვარი. ზღაპრებში რომ მზის შვილებია, იმათვისაა მოგონილი და მე რატომ დავინუნებ. ოცდასამი წლის წინ დავიბადე ალბათ, თანაც გაზაფხულზე. რატომ გაზაფხულზე?.. ხასიათი მაქვს ისეთი, გუნება გაზაფხულის ამინდივით მეცვლება. ალბათო, იმიტომ ვთქვი, არაფრის მტკიცება არ შემიძლია. ვისაც ვერ გაურკვევია, ზღვის ქაფმა დაბადა თუ მზის სხივმა, როგორ შეიძლება დარწმუნებით რაიმე თქვას. ერთხელ, მაშინ თორმეტისა ვიყავი, ჩვენმა პიონერხელმძღვანელმა ცისია დევდარიანმა „ავტობიოგრაფია“ დამაწერინა. ორნაირად შემეძლო დამეწერა. ან ოთხი სიტყვა იკმარებდა: „ალბათ დავიბადე, მგონი ვარ!“ ანდა უნდა მეწერა და მეწერა. ვცხოვრობდი — ისე რა! როგორც წვიმიან, ცივ ამინდში მარტო დარჩენილი ადამიანი... ზიხარ შენთვის და თუ რამ გიკაშკაშებს და გათბობს — მხოლოდ ოცნება ლურჯ სივრცეებზე, სადაც ბროლის ხომალდით დიდი ნიკანორი მიცურავს...

ცხოვრებით მაინცდამაინც უკმაყოფილო არა ვარ. ზღვის შორეული ჰორიზონტები მიტაცებდა და ამისრულდა კიდეც. საზღვაო სასწავლებელი დავამთავრე. ერთხნობას საკაბოტაჟე გემზე დავცურავდი, ბათუმიდან ჩამოვყვებოდით და ოდესამდე რაც ნავსადგურია, თითო-ოროლა დღით მაინც შევივ-

ლიდით. ბევრი რამ ვნახე, ბევრი გავიგე და მაინც მეცოტავა. ავდექი და განცხადება დავწერე, შორს რომ გადაფრინდება, ის ფრინველი ვარ და ფრთებს ნუ დამაჭრით-მეთქი. მკითხეს, შორეულ აღმოსავლეთში თუ წახვალო... კი-მეთქი! ჩამსვეს სა-ჰაერო ლაინერში, თითქმის ნახევარ დედამიწას გადავუფრინე და ვლადივოსტოკში ამოვყავი თავი. შორი გზის შთაბეჭდილებამ მარიხის დაბადების დღე გამახსენა. ცოტა ფული მომიგროვ-და ჯიბეში და ვკითხე, რა გიყიდო-მეთქი. დედამიწა მიყიდეო. სასკოლო გლობუსი ვუყიდე. მარიხი ცას ენია სიხარულით. ღერძზე დატრიალა ეს პატარა დედამიწა. მერე მოფერებით დაადოხელი იმ ადგილს, სადაც წყნარი ოკეანეა და თავისებურად თარგმნა — „ჭკვიანი ოკეანე!“ მაშინ რას ვიფიქრებდი, ამ „ჭკვიანი“ ოკეანის ტალღებზე რომ მომიწევდა ცურვა.

და, აი, პეტრე დიდის ყურე უკან მოვიტოვეთ, მსუბუქ ნის-ლში ჩაიძირა მწვანე გორაკებს შეფენილი ვლადივოსტოკი. მზე ახლალა ამოდიოდა. ვასტისაგან თავისუფალი ვიყავი და გემბანიდან გავყურებდი პორიზონტის ნათელ დაფიონს, რომლი-სკენაც მიემურებოდა ჩვენი „ოხოტსკი“, ომისდროინდელი, სამი ათასი ტონა წყალწყვის საექსპედიციო ხომალდი. ყოველ ზღვას თავისებური ელფერი გადაჰკრავს. შავი ზღვა შაბიამნისფერი მინახავს, აქ კი რუხი ფერი ჭარბობს, თუმცა ადრიანი დილის ფერია იქნებ. ორი კვირა მაინც დაგვჭირდება კონცხ იუჟნიმდე და ამასობაში ეს საკითხი გაირკვევა. ახლა კი ვდგავარ გემბანზე, გავყურენ ამომავალ მზეს და უცებ მეხსიერების საწირზე ამოტივტივდა სულ სხვა ხატი, ჩემი ბავშვობის ხანა, როცა „ნიკანორის ქვაზე“ ვიდექი და დასავლეთის პორიზონტზე დაკიდებულ მზეს გავყურებდი... უსაშველო სევდა დამეუფლა. ეს გზა აღმოსავლეთისაკენ თითქოს მაშორებდა ჩემს სიყრმეს, თითქოს ვეღარასოდეს დავპრუნდებოდი უკან. აქამდე მეგონა, უსიხარულო ბავშვობა მქონდა. ამ წუთს კი მივხვდი, ბავშვობაზე ძვირფასი ადამიანისათვის არაფერია და მომავალი თავგადასავლები ვერაფერს გადასწონის. მომინდა ხელში კალამი ამეღონ და ქაღალდზე გამეცოცხლებინა ყოველივე, მცირე ხნით მაინც კვლავ გავმხდარიყავი თორმეტი წლის ნიკანორ ბჟალავა, რომელიც თავისი პიონერელმდგვანელის ცისია დევდარიანის დავალებით „ავტობიოგრაფიას“ წერს...

ან რა ბიოგრაფია მქონდა მაშინ, რაზე უნდა დამეწერა? ვიფი-ქრე და თორმეტი წლის ცხოვრება სამ ნაკვეთად დავყავი: გაშვი-ლებამდე, გაშვილება და უკან დაბრუნება. სამივეჯერ სხვადა-სხვანაირი ადამიანი ვიყავი, თითქოს ვიღაცა უჩინარი ოსტატი მოურიდებლად მძერნავდა თიხისაგან და ხან ერთ სახეს ვიღე-ბდი, ხან მეორეს... მანამდე წყნარი და უთქმელი ბიჭი ვჩანდი, ენა მერე ამოვიდგი. თუმცა კი ზღაპრების თხზვა ადრეც მეხე-რხებოდა და ტოლები „ზღაპრის გუდას“ მექანიზმები.

ჩვენს საბავშვო სახლს წინათ „სიხარული“ ერქვა, თუმცა დიდი ხანია არავის ახსოვს ეს მისი სახელი და უბრალოდ „საბავშ-ვო სახლად“ ან „პრიუტად“ მოიხსენიებენ. ჩვენი ფართო ეზო და სანახები სოფლის განაპირას იყო. თვით სოფელს ოდესლაც ოყაყალეს ეძახდნენ, თურმე ლაფში იფლობოდა და იმიტომ. რევოლუციის შემდეგ ბროლილელე შეარქვეს (დელე ჩამო-ედინება ასეთი და იმისი სახელი!) და სხვა ზღვისპირა სოფლე-ბივით მდიდარი და მოვლილი გახდა. ჩვენი ეზოც ავ თვალს არ დაენახვებოდა. უზარმაზარი კაკლები და ერთი ძირი მაგნო-ლია გვედგა, სილრმები კი სამი კორპუსი, სამი უშნო, უამისაგან და უხარისხო სალებავებისაგან ჩაყვითლებული ნაგებობა. კაცი ვერაფრით მიხვდებოდა, რა საჭიროებისათვის აეშენებინათ თავდაპირველად ეს კორპუსები, რადგან ვერანაირი დაწესე-ბულება მოხერხებულად იქ ვერ მოთავსდებოდა. შუათანა, ერთსართულიანი, ბრტყელი შენობა პირველ კორპუსად იწო-დებოდა. რამდენიმე ფართო ოთახში ცხრა ათეულ ბავშვს გვე-ძინა. აქვე, შესასვლელშივე, პანაწყინტელა ოთახებში ადმი-ნისტრაცია საქმიანობდა. ორი დანარჩენი, მეორე და მესამე კორპუსები, ნაომარი ჯარისკაცებივით ამოსდგომოდნენ მარ-ჯვნივ და მარცხნივ, თან მეორე სართულის სიმაღლიდან ისე დაჰყურებდნენ, თითქოს ზედ წაქცევას ლამობენო... ამ შე-ნობებში გვქონდა სასადილო, აბანო, სამეცადინო და გასარ-თობი ოთახები... სიტყვამ მოიტანა და მე რომ იქიდან მივდიო-დი, კორპუსებს უკვე ანგრევდნენ, რათა მათს ადგილას ახალი, დიდი შენობა ნამოეჭიმათ...

ზღვამდე სულ ორიოდე კილომეტრი იდო. ვიპარებოდი ხოლმე, ჩუმად გადავივლიდი ბალ-ბოსტნებს, გადავახტებო-

დი ღობეწნულს და დავადგებოდი ვიწრო ბილიკს, თხმელნარში რომ მიიკლაკნებოდა. ღელეზე ხიდად გადებულ თხმელის მორზე გადავირბენდი. ცოტაც და თავზევით ვერასულას მრისხანე კლდე წამოიმართებოდა, ავუქცევდი გვერდს, მწვანედ ჩაბურულ ძეძვნართან გავივლიდი. ყველამ როდი იცოდა, — ძეძვნარს მიღმა ეკვდერის ნანგრევები დაფარა სუროს... მერე ტყე თანდათან მეჩერდებოდა და იმ დროს, როცა გავიფიქრებდი, არ გათავდა ეს უსაშველო გზა-მეთქი, ქვიშიან ნაპირზე ალმოვჩნდებოდი... უხვად, ერთბაშად გადმოპირქვავდებოდა ლურჯი ზღვა, ნელი, უბოროტო გრუხუნით შემომეგებებოდა. ავძრებოდი „ნიკანორის ქვაზე“ და გრილ ნიავს მივუშვერდი სახეს...

ყველაზე დიდი შთაბეჭდილება, რაც იმ დროიდან მახსოვს, ზღვა და დიანოზ ვერულავა იყო...

2

დიანოზს მამა არ ახსოვდა. დედისერთა იყო და თოთხმეტი წლისას გამზრდელი დედა შეუძლოდ გაუხდა. ქვრივი ქალი დღენიადაგ ეზო-მიდამოს დაჰჭუსფუსებდა, ულევ საქმეს ლევდა და თვითონაც ილეოდა. მისი ავადმყოფობისა აქამდე არავის გაეგონა და სკოლიდან დაბრუნებულმა ბიჭმა ლოგინში მწოლიარე რომ დაინახა, ელდა ეცა. ქვრივმა დაამშვიდა, ნუ გეშინია, შვილო, მაწყინა, ალბათ, რამემ. გაიქცი, დედა გენაცვალოს, ანთიმოზა ფერშალს უხმე, იქნებ სასიკეთო რამე მირჩიოსო. სოფლის ამბულატორიამდე ბარე სამი კილომეტრი იქნებოდა. დიანოზი კი არ გაიქცა, გაფრინდა. ქოშინით მივარდა და შეეხვენა, ანთიმოზა ბიძია, დედა მყავს ცუდად და წამომყევიო. ანთიმოზას არაფერი უკითხავს. იქვე, ეზოში, შეკაზმული ჯორი ება. აიღო საექიმო აბგა, შეჯდა ჯორზე და წამოჩაქჩაქდა. დიანოზი ფეხდაფეხ მოჰყვა. უჭირდა, მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდა. ანთიმოზა ფერშალს ბიჭისაკენ არ მოუხედავს, ნელგამართული მიირწეოდა თავის ჯორზე. ბოლოს ვერულავების სახლამდე მიაღწიეს. ფერშალი ავადმყოფთან

შევიდა, ბიჭი გარეთ დარჩა, კიბეზე ჩამოჯდა, თან იმას ფიქრობდა, ჯიბეში ცხრა მანეთი რომ მაქვს, ამას ანთიმოზა არ გამომართმევს, მაგრამ მიქსტურების საფასურად თუ მეყოფაო. გამოვიდა ანთიმოზა ფერშალი, ისიც საფეხურზე ჩამოჯდა და რეცეპტი გამოწერა.

— ა, ბიჭო, გაიქეცი აფთიაქში, ეს ფხვნილი მოიტანე, სამჯერ დაალევინე დღეში!

— ანთიმოზა ბიძია, აგე ფული! — გაუბედავად შესთავაზა დიანოზმა.

— რა არის, ბიჭო, ეს?

დიანოზი განითლდა, თავი გაიმტყუნა, აკი ვფიქრობდი, არ გამომართმევსო.

— ამას თხუთმეტი მანეთი უნდა, ბიძია! — აუღელვებლად თქვა ანთიმოზა ფერშალმა და ზურგით ზედა საფეხურს მიეყრდნო.

— მეზობლებში ვისესხებ სადმე! — წამოიძახა შემცბარმა დიანოზმა და მოკურცხლა. ორი საათი ირბინა ორლობები აღმა-დაღმა. ვინ არ შეაწუხა, ვის არ მიუკაკუნა! მანეთ-მანეთ მოაქუჩა, თან იმას წუხდა, ანთიმოზა ფერშალი ამასობაში თავის გზას დაადგებოდაო.

მივიდა შინ და ხედავს, სოფლის დასტაქარი იმავე საფეხურზე ზის გაუნძრევლად და მზეს მიფიცხებია.

— მოიტანე? — დაკუჭული მანეთიანები გამოართვა. თითზე დაინერწყვა, გადათვალა და გულის ჯიბეში ჩაიდო. მოაჯდა ჯორს და წააჩაქჩა.

იმ ადგილას ეზო დამრეცად ეშვებოდა. დაღმართზე ჯორს თავი დაბლა მიჰევნდა, ყანვილ დიანოზს კი მოეჩვენა, ჯორს რცხვენია თავისი პატრონისა და თავდახრილი იმიტომ მიდისო.

ქვრივი უმიქსტუროდაც გადაურჩა იმ ავადმყოფობას, ოღონდ შიში შერჩა სიკვდილისა. აქამდე არც უფიქრია, თვითონაც ოდესმე რომ მოკვდებოდა. მისი აზრი და გონება შვილით იყო დაკავებული და სიკვდილზე ფიქრისათვის სად ეცალა. ახლა კი შეშინდა. იმას კი არ უფრთხოდა, მე არ ვიქნები ამქეცენად და რა მეშველებაო, იმისი ეშინოდა, არ ვიქნები და ჩემს შვილს რა ეშველებაო. ამიტომ აჩქარდა, დაფაცურდა,

მიღდა-მოდგა და დიანოზს სკოლის დამთავრება ძლივს აცალა, მორცხვი პატარძალი დაუსვა შინ.

ვითომც უყვარდა ჩვიდმეტი წლის ეთერ-ქალი? ძნელია ამისითქმა. მარილიანი ქალი კი იყო ის დალოცვილი, ტუჩ-კბილი ჰქონდა, თვალს ვერ მოსწყვეტდი. დიანოზს კი იმ ასაკამდე მიეღწია, ქვეყანა რომ მოსწონთ და ასეთი გოგო სისხლს როგორ ვერ აუჩქროლებდა. ლოგინში თავშეურა იყო მათი სიყვარული, დღისით კი, სინათლეზე, დაუბრებულებივით თვალს არიდებდნენ ერთმანეთს. მერე და მერე, როცა ახალგაზრდული ჟინი და წვა მოიკლებდა, გონება განათდებოდა ალბათ და სალაპარაკოც გაჩნდებოდა, მოსაფერებელი სიტყვებიც გამოიძებნებოდა და საჩხუბარიც. მაგრამ ცხოვრება ჩვენს თარგზე არ ჭრის, იმას თავისი თარგი და ზომა აქვს. პატარძალი ჩამრგვალდა, ჩაპუტკუნდა, პირისახე ჭორფლით დაეწინწკლა... მალე — მალე კი არა, თავის დროზე — გახარებულ ბებიას პატარა ანგელოზი ჩაუგორა კალთაში და მეორე დღეს მსოფლიომ მოიცალა ამ მიყრუებული კუთხისთვისაც — ომის ქარაშოტი ამოვარდა.

ოთხი წლის ჯოჯოხეთი თავის მხრებზე გადაიტანა დიანოზ ვერულავამ, ცეცხლი და ტყვია გამოიარა, ფეხით მოვლო გაპარტახებული ევროპა და იმედს შინიდან მოსული სამკუთხა ბარათები თუ უნერგავდა, ჯერ ცოლის მონაფური ხელით დაწერილი, მერე დედის აკანკალებული, ოკრობოკრო ჩიქორთულით, საიდანაც აზრის გამოტანა შეუძლებელი იყო... ბოლო წერილს დედის ცრემლის კვალი აჩნდა, ეთერ-ქალის სითბო და სიმბურვალე კი არ იგრძნობოდა და არც არავის ჩაუხატავს პატარა ანგელოზის ბუნჩულა ხელი, დახე რამოდენა გოგო გაგეზარდაო.

ომის ბოლოს, პრალაში, თეთრად დაპენტილი ვაშლის ქვეშ დიანოზი ნაღმს გადააწყდა. სიკვდილს ძლივს გამოსტაცეს. იმდენჯერ გაჭრეს და შეკერეს, ნაწილი არ დარჩა თავისი. ომი კარგა ხნის მომთავრებული იყო, ქვეყანა ჭრილობას იშუშებდა და დიანოზი შინისაკენ გამოეშურა. საბარგო ვაგონით იარა ათი დღე. გზა ისე გაიწელა, თითქოს არასოდეს აპირებდა დასრულებას. ყოველი საათი ამ გზისა, ყოველი წუთი აბერებდა, თმაში ჭალარას მატებდა და როცა სოფლის განაპირას „პალ-

ტარატონკას“ ძარიდან ჩამოხტა, თავის ასაკზე ათი წლით უფროსი ჩანდა.

იქნება არც არსებობს წინათგრძნობა! ვინ არის ამის დამდგენი, მაგრამ დიანოზ ვერულავა მიაბიჯებდა სოფლის შარაზე. სიხარულის მაგიერ გულში აგური ედო და ძლივძლივობით ეზიდებოდა.

ჭიშკარს რომ უახლოვდებოდა, უკვე იცოდა, მოხუცი დედა ვერ გამოეგებებოდა. ეზოში შესვლისთანავე მიხვდა, უარესი ჭირდა, ეზოს ზედ კიბემდე მწვანე, დალანა ბალახი მოსდებოდა, ბილიკი წაეშალა.

მუხლები დაუძაბუნდა დიანოზს, კიბემდე ძლივს მიაღწია, საფეხურზე ჩამოჯდა.

გულხელი დაიკრიფა და სივრცეს მიაშტერდა. ჭიშკარმა გაიჭრიალა. კარის მეზობელი გამოჩნდა, სონია, ერთი ბაჯბაჯა, მსხვილი ქალი. ძნელი საცნობი გამხდარიყო, ხორცი ისე შემოედნო ომსა და გაჭირვებას. ხელჯოხს ეყრდნობოდა და ფეხები ჩოჩვით მოჰკონდა. დიანოზი ჩაეგება და სონია ვიშვიშით შეეხმიანა:

— გულს ნუ გაიტეხ, დიანოზ, აგერა ვართ, შენი მეზობლები!

ხელები შემოჰვია ქალს, მხარზე შუბლი მიადო და, თუმცა ჯერაც არაფერი იცოდა, უბედური ამბის მოლოდინისაგან, იმის შიშისაგან, რასაც ახლა შეიტყობდა, აქვითინდა.

სონიაც აქვითქვითდა, ცრემლად დაიღვარა, თან კაცის დამშვიდებას ცდილობდა.

— დაწყნარდი, დიანოზ, კაცი ხარ და ყველაფერს უნდა გაუძლო!

შეცხვა დიანოზს ცრემლისა, ქალს ხელი უშვა, ფშლუკუნით შებრუნდა, კვლავ კიბის საფეხურზე ჩამოჯდა.

სონია ჯოხს ჩამოეყრდნო, თან მანდილის ბოლოთი ცრემლს იწმენდდა.

— ნუ მიწყენ, დიანოზ, გამიხმეს ენა, რაღა მე უნდა გითხრა სათქმელი! ერთმანეთს შევაბერდით მე და დედაშენი. სიკვდილის წინ რაც დამიბარა, უნდა გადმოგცე. შენ თვითონ იცი, რასაც იზამ. დედაშენი იმას ტიროდა, ჩემი ბრალია მე მოვგვარე ჩემს დიანოზს ის გველის წინილიო...

დიანოზს გული ერთი ციცქნა გაუხდა... ეთერ-ქალი!.. რაც ომის ჯოჯოხეთში გადაეშვა, დღემუდამ ეთერ-ქალზე ფიქ-რობდა. ჯარისკაცის სანგარში, თოვლსა და ჭყაპში, ჭუჭყსა და ტილიანობაში. ერთადერთი სუფთა, წმინდა, ნანატრი ეთერ-ქალი იყო. ისევ და ისევ იხსენებდა ყმანვილი მეუღლის სალუქ ტანს, ისევ და ისევ ადნებოდა მის ბაგე-კბილს და იცოდა დიანოზმა, სხვა ქალი არასოდეს მოენატრებოდა. ამ წარმოსახვას, გახსენებას, ოცნებას, მიუწვდომლობის თეთრი ნისლი გადაეფინა და შიშმა შეიცყრო დიანოზის გული, მძიმე ტვირთად დაანვა. შიში ბედნიერების დაკარგვისა და მომავალში კვლავ პოვნის სიხარული ერთმანეთს გადაეწნა და ამ გორგალს აქამდე თან დაატარებდა. ახლა კი, თავის მიტოვებულ კარ-მიდამოში უცხოდ მოსულს გულის კარი გადაეკეტა. ისმენდა და არა სჯეროდა... „გველის წინილიო!..“ — ვერა, ეს სიტყვები ვერ ჩაალწევდა დიანოზის გულამდე...

— დიდთოვლობა მოვიდა იმ დაწყევლილ ზამთარს...

გზები გადაიკეტა, სოფელი ქვეყანას მოწყდა. შორიშორ მიმოფანტულ სახლებში სიცოცხლე ძლივს ბუუტავდა. მოწყენილობა... დარდი... ლოდინი... გაუთავებელი ლოდინი... უსაშველოდ გაჭიანურებული ზამთარი... ეთერ-ქალი გახდა, ლოყები ჩაუცივდა, თვალები საცრისოდენა გაუხდა და შიგ საშიში ნაპერნკლები ხტუნავდა. აკვანს გადაყრდნობილს მზერა უშტერდებოდა. ვინ იცის, რა დარდი ხრავდა? სად მიჰქროდა მისი ფიქრი? ჩვილი ავინწყდებოდა და პატარა ელიკო ტირილისაგან იჭაჭებოდა, სანამ დედამთილი შეახსენებდა: „ჰე, ქალო, მოკვდა ბავშვი!“

ერთხელ, მოულოდნელად, „ვილისი“ ამოგუგუნდა. ახალგაზრდა ოფიცრები ისხდნენ, მხიარული და ჯანმრთელი ბიჭები. სამხედრო ნაწილი ახლოს იდგა, ხვალ ფრონტზე გზავნიდნენ და გულის გადასაყოლებლად ამოისეირნეს. სად იყო მამაკაცი, სტუმარს ღირსეულად რომ დახვედროდა, მასპინძლობა გაენია. ეთერ-ქალი გამოეგება, ჭიშკარი გაუღო. დედამთილს ცოტა არაყი შემორჩენოდა. იმ ბიჭებს კი შავი პური და კონსერვები წამოელოთ. დასხდნენ და იქეიფეს, სიმღერა და ცეკვა-თამაში გამართეს. მასპინძლის სადღეგრძელო და-

ლიეს, ომში წასული ჯარისკაცისა... ერთი შავგვრემანი ბიჭი ერია იმათში, თვალებიდან ცეცხლსა ყრიდა, ისე ცეკვავდა, სახლი ირწეოდა, ისე მღეროდა, სირინოზის ნამოწაფარია... ეთერ-ქალი თითქოს შეიცვალა, გამოცოცხლდა, პირისახე უცინოდა, გაბედა და შავგვრემანს მოხდენილად ეცეკვა კიდეც. საბრალო დედამთილს უხაროდა, ჩემმა რძალმა პირი აქეთ მოაბრუნაო. გვიანობამდე შერჩენ სტუმრები, მადლი-ერების ნიშნად ხელები დაუკოცნეს მოხუცებულს, სამთუმნიანები ჩაუწყვეს აკვანში ელიკოს და ისიც „ღუ-ღუ-ო!“ - ბუნჩულა ხელებით უცაცუნებდა... ჭიშკარამდე გავაცილებ სტუმრებსო, ეთერ-ქალმა... გააცილა და გააცილა... უკან აღარ მობრუნებულა...

„მოიტაცეს?.. მოკლეს?..“ — იმედის სხივი გაკრთა დიანოზის გულში, მაგრამ უმალ ჩაქრა.

ფოსტასთან ჩაუგლიათ თურმე, დიანოზის სახელზე სამკუთხა ბარათი ჩაუგდიათ ყუთში, მეორე დღესვე მოარბენინა ფოსტალიონმა.

სონიამ ჯიბიდან დაჭმუჭნილი ბარათი ამოაძვრინა.

— საბრალო დედაშენმა დამაბარა, დიანოზს დაახვედრეო!

ხელი აუკანკალდა დიანოზს, ძლივს გახსნა გაცრეცილი ქალალდი, მასში სამად-სამი სიტყვა ეწერა:

„მაპატიე, მაპატიე, დიანოზ!“

აპატია დიანოზმა მოღალატე ცოლს, ყოველივე შეუნდო. თავი აილო, მშრალი თვალებით შეხედა სონიას და ყრუდ ჰკითხა:

— ჩემი ელიკო?

— ორი დღე ტიროდა, გაოსდა ტირილით!

— მოკვდა?

— ოჳ, რას ამბობ, სიკვდილს როგორ დავანებებდით! დედის ძუძუს იყო მიჩვეული და თავიდან გაუჭირდა. დედაშენიც ლოგინად ჩავარდა. რა გვექნა, ბავშვი საავადმყოფოში წავიყვანეთ! იქ უკეთ უვლიდნენ... დედაშენი ვერ იქნა, ვერ მოკეთდა... კარგად იცი, რა დროც იყო! ვიფიქრეთ, დროებით საბავშვო სახლს მივაბარებთ, ბებია მოკეთდება და გამოიყვანსო... შერჩა და შერჩა, ეჲ!

— შერჩა და შერჩა, ეჲ! — თავისთვის გაიმეორა დიანოზმა.

მართლა ასე მოხდა ყოველივე?.. ზამთრის გრძელ საღა-
მოებში შემოვიდოდა დიანოზი, თუნუქის ღუმელს მიუჯდებო-
და. ყველანი დიდ ოთახში ვიკრიბებოდით, საწოლებზე ჩამო-
ვსხდებოდით. დიდ-პატარას დიანოზის სიახლოვეს უნდოდა
ყოფნა და ზედახორას ვმართავდით. ტოლივით გვექცეოდა.
თავის სადარდებელს გადაგვიშლიდა, ჩვენსას მოისმენდა.
დაფარული არაფერი გვქონდა. ერთმანეთისა ისეთი წვრილ-
მანები ვიცოდით, ერთი ოჯახის შვილებმაც რომ არ იციან.
სხვათა მონაყოლს მერე გავიხსენებ, დიანოზისა კი... ის ულევი
ტკივილი სიცოცხლის ბოლომდე მიიტანა დიანოზმა...

— ძია!

დიანოზ ვერულავა ცივ ოთახში დგას. ფანჯრის შუშა ყინ-
ვას მოუქარგავს. ბუხარში ცეცხლი სულს ღაფავს, ოთახს ვერ
ათბობს და პატარები დაწითლებულ ხელებზე იორთქლებენ.
ყველას ერთნაირად უსიხარულო, თალხი ტანისამოსი აცვია.
ზოგს ცხვირზე წვინტლი შეხმობია, შემცივნებულნი ქშუ-
ტუნებენ.

— ძია! — ეს ელამი ბავშვი. ალბათ, გოგონაა, თუმცა შარ-
ვალი აცვია, ისიც ზომაზე დიდი, და მუხლებზე ჩამოსჩაჩვია.

დიანოზი მისკენ იხრება.

— ძია, ამიყვანე რა!

კაცს ბავშვი აჰყავს, გოგონა კისერზე შემოეჭდობა და
დიანოზს თვალი ეწვის.

— ძია, მეც რა, მეც! — სახელოზე მეორე ბავშვი ექაჩება.
დიანოზს ისიც აჰყავს.

— მეც რა, მეც ამიყვანე! — ბავშვები შემოეხვევიან, ერთ-
მანეთს ასწრებენ.

დიანოზი დაბნეულია, არ იცის რომელ ერთს მოეფეროს.

შემოდის აღმზრდელი. „აბა, აბა!“ — თვალებს დაუბრი-
ალებს, დაუცაცხანებს პატარებს, იფრენს. დიანოზი ჯიბიდან
ცხვირსახოცს ამოიღებს, ცხვირს ხმაურით იხოცავს, არ სურს
გაამჟღავნოს, რა საწყალი გული აქვს.

— ჩემი აი, ამოდენა იყო! — ჩვილის ზომას უჩვენებს, ის კი
ავიწყდება, ნლები რომ გავიდა და მისი ელი უკვე წამოიზრდე-
ბოდა.

მამისეულ სახლში არ შებრუნებულა დიანოზ ვერულავა.
ის ღამე მეზობელთან ათია, დილით გუდა-ნაბადი აიკრა. ხასხა-
სა მდელო, ადამიანის ნაკვალევი რომ წარეშალა, მწვანე შხა-
მად მოეჩვენა და გულს ურევდა. ამიტომაც არ უვაჭრია, ჩა-
ლის ფასად გაყიდა ეზო-კარი. ხელში რკინის ჯოხი აიღო, რკი-
ნის ქალამნები ჩაიცვა და ელიკოს კვალს დაადგა, პანანინა
ელისა... თითქოს რა უნდა ყოფილიყო ამაზე იოლი. ადამიანს
ნაკვალევზე ხომ ქალალდების მთელი ასხმულა მიჰყვება.
კარდაკარ იარა დიანოზ ვერულავამ, იმ დაწესებულებების
კარს უკაკუნებდა, ხან რომ „პრიუტს“ უწოდებენ, ხან „უპა-
ტრონოთა სახლს“, ხან ოფიციალურ „საბავშვო სახლს“.

— ძია, შენ ჩემი მამიკო ალ ხალ?

— ძია, შენ ჩემს წასაკვანად მოხვედი?

— საჩუქალი ალ მომიტანე?

— იცი, მე კალგი ვალ!

ეს წკვიტინა, საწყალი ხმები თან დასდევდა დიანოზ ვერ-
ულავას, მოსვენებას უკარგავდა. ერთხელ სარკეში ჩაიხედა.
აქამდე სარკისათვის ვერ იცლიდა. სადალაქოშიც კი, როცა
პარსავდნენ, თავის დარდს ჩაღრმავებოდა და არც ახსოვდა,
იხილა თუ არა საკუთარი ანარეკლი. იმ ერთხელ დაკვირდა.
თურმე საგრძნობლად შეცვლილიყო, თმები შემოდგომას და-
ეთოვლა, სახეზე ნაოჭი მომრავლებოდა. რა ისეთი ასაკისა
ვარო, გაუკვირდა... ომი ახლახან დამთავრდაო, რომ ფიქრობ-
და, თურმე წლებმა ჩაირბინეს...

— ერთი რამ უნდა შემოგთავაზო, დიანოზ! — რესპუბლი-
კური მასშტაბის ხელმძღვანელი წარმოსადეგი ახალგაზრდა
კაცი იყო, ფიცხი, ჩხუბისთავი, ვინაც ნერვებაზენილი ებრძო-
და თავზე დახვავებულ საქმეებს, დიანოზს კი მოურბილა: —
კარგა ხანია, თვალს გადევნებ! ვიცი, საბავშვო სახლები და-
გივლია, ბევრი რამ არ მოგწონს. „სიხარულში“ ხომ იყავი?

დიანოზმა კოპი შეკრა. „სიხარულში“ სტუმრობამ გუნება
გაუფუჭა. დირექტორი გაქნილი მელა აღმოჩნდა. თითლიბა-

ზობა და ბრტყელი სიტყვები აბჯრად აისხა და საეჭვო სტუ-
მარი ახლოს არ გაიკარა.

— დირექტორი და ვიღაც-ვიღაცები დავხსენი. იქ უნდა
ნახვიდე!

— მე? — გაიკვირვა დიანოზმა.

— ჰო! შენ! წესიერი კაცი მჭირდება მე, ობლების გასაჭირს
გულთან რომ მიიტანს, ისეთი! რა განათლება გაქვს?

— საშუალო! — ახალგაზრდა ხელმძღვანელის სულს-
წრაფობამ ღიმილი მოჰვარა დიაგნოზს.

— ვინც ომის სკოლა გაიარა, უმაღლესზე მეტია.

— გამოცდილება... — ყოყმანი დაიწყო დიანოზმა.

— მაგას გულის გამოცდილება უნდა, ჩემო დიანოზ, გუ-
ლისა, დანარჩენი თავისით მოვა! — და უცბად ფიცხად დაამა-
ტა: — იმას რა გამოცდილება უნდა, ობლის ლუკმა ბიძაშვილ-
მამიდაშვილებს არ შეაჭამო!

დიანოზმა თავი დახარა, მადლიერებით აევსო გული. მიხვ-
და, ახალგაზრდა ხელმძღვანელმა მას ცხოვრების მიზანი
შესთავაზა.

რას უნდა გაეთბო მისი გული, თუ არა ასეთ საქმეს!

ადრე აცივდა იმ წელს. წვრილად ცრიდა და დიანოზ ვერუ-
ლავამ „სიხარულის“ ეზოს რომ გახედა, გული უფრო დაუმძი-
მდა. ღორებს გადაეჩიქენა მწვანე მოლი, ღობე აქა-იქ წაქცე-
ულიყო. თუ სადმე ხეხილი იდგა, ტოტები ჩამოელლიტათ, ალ-
ბათ ხილიანობის უამს. მაშინაც ის სამი კორპუსი იდგა ეზოს
სიღრმეში. დრო-უამს, უამინდობას, დიანოზის უგუნებობას
უსიხარულოდ ჩაეშავებინა, საღებავი ჩამოერეცხა. ყოველი-
ვეს ცივი და რუხი ფერი დაპკრავდა.

სამუდამოდ დაამახსოვრდა დიანოზს: სასადილოში მწირი
სადილის სუნი ტრიალებს. ბავშვებმა თავები ასწიეს და შემო-
სულს მოაცქერდნენ. მზარეულ ქალს ჩამჩა ხელში შერჩა,
გაზინთულ ხალათზე ქონის წვეთები ეღვრება, თავსაფრიდან
ჭაღარა ბუნკები მოუჩანს. არავისთვის შეუხედავს დიანოზს,
პირველ მაგიდასთან მივიდა, თეფში ასწია. გამჭვირვალე წვნი-
ანი იყო, კარტოფილის ორიოდე ნათალი ტივტივებდა. ბავშვ-
მა ხელი გამოაყოლა, ელდანაცემმა ხმა ძლივს გაიღო: „ჩემია!“

დიანოზმა მხოლოდ უსუნა და უკან დადგა. დრო იყო მშიერი,
ზედმეტი არავის მოექვებოდა, მაგრამ ჯარისკაცურმა ჩვე-
ვამ და ალღომ უმალ მიახვედრა, რაც ხდებოდა. მზარეულს
მიუახლოვდა და ხმადაბლა უთხრა:

— თქვენ დათხოვნილი ხართ! დღესვე ყველაფერი ჩამაბ-
არეთ, რაც თქვენზე ირიცხება. ხვალიდან კი შეგიძლიათ აღარ
მობრძანდეთ!

ვახშმამდე კიდევ რამდენიმე თანამშრომელი დაითხოვა.
ატყდა ყაყანი და გაწევ-გამოწევა. რაიკომში გიჩივლებთო,
იმუქრებოდნენ. დიანოზმა ყურები დაიგმანა, არც რჩევა ისმი-
ნა, არც თხოვნა გაიკარა. ამ თავისი შეუვალობით დათრგუნა
დათხოვნილებიც და დარჩენილებიც.

ნავახშმევს კი უცებ მიხვდა, მარტო დარჩენილიყო. მისმა
სიმკაცრემ გუბე ამღვრია და ეზო გადაჭრა ერთ სხეულად,
პროტესტის გორგლად გადაქცეულმა ადამიანთა კრებულმა,
რომელთაც წუთის წინ ცალ-ცალკე თანამდებობები ეკავათ
და წოდებებიც სათანადო პქონდათ: აღმზრდელ-მასწავლე-
ბელიო, ლამის ბიძაო, ცეცხლფარეშიო, ბუღალტერიო, მდივან-
იო, ექთანიო...

არავის შეეხვენა დიანოზი, დარჩიო. „შინ“ შებრუნდა, მის
სულში უკვე „შინად“ ქცეულ საბავშვო სახლში. პირველი კო-
რპუსის ყველაზე ფართო და ცივ ოთახში შეიხედა.

ბავშვებმა მორიდებით წამოიწიეს — „გამარჯობათ, პატ!“
ამათაც ეშინოდათ მისი, მათს ცხოვრებამიც შემოიჭრა რაღაც
მძიმე, მოულოდნელი, უხეში და დიანოზმა იგრძნო, გულში
დაგროვილი ბოლმა იმ ერთ დღეს დაანთხია თურმე. მიხვდა,
მისი ნაბიჯი არ იყო მთლად სწორი და აწონილი. სამართლია-
ნობის სასწორი შეერყა, რადგან ბოროტსაც ზუსტად იმდენი
უნდა მიუზღო, რამდენიც დაიმსახურა.

გადახედა სახედანითლებულ, სიცივისაგან მობუზულ ბავ-
შვებს. თავთავიანთ საწოლებთან იდგნენ, დასაძინებლად ემზა-
დებოდნენ. ყველა ერთად იძინებდა ამ ფართო ოთახებში, ერთ
ჭერქვეშ, მაგრამ განცალკევებით, თითქოს საწოლებს შორის
უხილავი კედლებია ჩამორიგებულიო.

— გცივათ? — იკითხა დიანოზმა.

ციოდა და მეტი არა?! კითხვა უფრო დაცინვასა ჰგავდა, ოღონდ კაცის გაუცინარ პირისახეზე სიმკაცრე შეერბილებინა სხვა რაღაცას, მოუხელთებელს, ხუმრობასა და ქირქილს რომ გამორიცხავდა. ოთახის ბოლოს, რკინის საწოლიდან ზლაზნით წამოდგა სხვებზე მთელი თავით მაღალი ბიჭი და იმან თქვა:

— ცივა და მეტი არა?!

— უკანა ეზოში ხომ არის შეშა?

— ცოტას გვაძლევენ, წინ ზამთარია და უნდა გამოვიზოგოთ!

„ცხადია, უნდა გამოვიზოგოთ!“ — გაიფიქრა დიანოზმა. ბავშვები კი შემოსცექეროდნენ და რაღაცას ელოდნენ.

— მეექსე, მეშვიდე, მერვეკლასელებო, დამენახვეთ!

ოცამდე ბავშვმა ასწია ხელი.

— აბა, მომყევით! — ბრძანა და გასასვლელს მიაშურა.

უკან არავინ მიჰყვა. მარტო გავიდა ბნელში, კორპუსს შემოუარა. ბოძზე სუსტი ნათურა ბუუტავდა და შეშას მიაგნო. კუნძზე დაგდებული ნაჯახი აიღო და გამძვინვარებით, ღონის დაუზოგავად დასცხო. ასე ეგონა, კვლავ ფრონტზე ვარ, შეტევაზე გადავედი და აი, ამ საშინელი ნაჯახით მძულვარე მტერს ვანადგურებო.

— მომე, მასწავლებელო!

ნაჯახი ჰერში შეაყოვნა. ის მაღალი ბიჭი იდგა მის წინ, სიბნელეში სხვებიც ჩანდნენ.

— რა გქვია?

— დიანოზი! ესენი დამცინიან, მაგრამ პაპაჩემს ერქვა ასე და იმიტომ დამარქვეს!

— ჩემი სეხნია ყოფილხარ! ტყუილუბრალოდ დაგცინიან, მე და შენ, ძმაო, ვაუკაცური სახელები გვქვია! მიდით, რაც დაჩინდეთ! ისეთი ცეცხლი დავანთოთ, სულ გუგუნი გაპერდეს!

— ჰე, ბიჭებო! — შეუძახია უმცროსმა დიანოზმა (ამას რომ ყვებოდა, ნეტავი ახლა სადააო, ამოიხვნეშებდა დიანოზ ვერულავა).

ბიჭები სიცილ-ქაქანით მიესივნენ. ნაფოტ-ნაფოტ დაიტაცეს დაჩინდილი შეშა.

დიანოზმა ნაჯახი კუნძში ჩასო, შუბლზე ოფლი მოიწმინდა და აუჩქარებლად მიჰყვა.

სულ მაღე თუნუქის ღუმელებში მხიარული ცეცხლი გურგურებდა. დიანოზი მიეფიცხა. ისე ხარბად თბებოდა, თითქოს მთელი სიცოცხლე ყინულეთში ეგდო და სხეულიდან თოშის განდევნას ცდილობდა. ბავშვები კი, თითქმის ასი ბავშვი, ამ ოთახში შემოიყუჟა, საწოლებზე ჩამორიგდნენ, ერთმანეთს ჩახუტებულნი მისჩერებოდნენ კაცს და ყურდაცქვეტილნი უსმენდნენ. მარტივ, ადამიანურ ენაზე უყვებოდა თავისი გასაჭირის ამბავს, იგონებდა ჯოჯოხეთს, ომი რომ ჰქვია, შიმშილსა და სიცივეს, ტყვიის წვიმებს და ციდან ჩამოცვენილ ბომბებს. სამყურა ბარათების მოლოდინს და ობლებით სავსე გაოხრებულ ქვენიერებას... ყვებოდა დიანოზ ვერულავა და თვალზე ცრემლი ადგებოდა... არავის უკვირდა აქ მისი ცრემლი, მისი გულისტკივილი... მომავლის იმედებზე მოუთხრობდა პატარებს და მათს გულებში თბილ კოცონებს ანთებდა... გვიანი ღამე წამოეპარათ. წამოიწია. გადახედა გაყუჩებულ ბავშვებს და დასძინა:

— ახლა დაიძინეთ!

თვითონ კი სამზარეულოსაკენ გაემართა. გათენებამდე ბავშვებს უბრალო, ჯარისკაცურ ფაფას უხარშავდა და თან ეყვინთებოდა...

4

კაპიტნის შემდეგ გემზე კოკი პირველი კაცია. ღმერთმა ჩვენთვის მოიცალა და „ოხოტსკიზე“ პირველი კლასის რესტორანში ნაწრობი მზარეული გადმოგვიგდო. მთელი ცხოვრება კაცი რესტორნის სამზარეულოს არ მოშორებია, მაგრამ სულის სიღრმეში ჩამალულმა სიყმანვილისდროინდელმა ოცნებამ საშველი არ მისცა და შტურვალი ზღვისაკენ შეუბრუნა. და აგერ, მეზღვაურის უბრალო ბორშჩისა და ფაფას შეურაცხყოფილი კაცის სიფათით უტრიალებს, თითქოს ამბობს, რა სისულელებზე მაცდენთო, მაგრამ რასაც აკეთებს, გემრიე-

ლი გამოსდის და მის ჩამოჟამებულ სიფათს როგორმე ავიტანთ... საბავშვო სახლიც გემივითაა, მისი პატარა მგზავრები, კაცმა არ იცის, სად სხდებიან და სად ჩამოდიან... მხოლოდ დირექტორ-კაპიტანმა დიანოზ ვერულავამ იცოდა სწორი გეზი და თამამად მიჰყავდა ცხოვრების მღელვარე ზღვაში... იმ პირველ დამეს, როცა ჯარისკაცურ ფაფას ხარშავდა, იგი მიხვდა, დირექტორის შემდეგ პირველი კაცი მზარეულია.

არც სოფელი დაუვლია დიანოზ ვერულავას, არც მთავრობაში გაქცეულა. ადგა და რკინიგზის სადგურს მიაკითხა, რუსეთის მატარებელს დაელოდა. იმ დროს მატარებლები ისე სწრაფად ვერ დადიოდნენ, რაიცენტრის პატარა სადგურშიც კი თხუთმეტ წუთს იცდიდნენ, შემხვედრს ელოდებოდნენ.

მატარებელი დაუგვიანებლად ჩამოდგა. დიანოზი ვაგონების რიგს დაუყვა, იქნებ ვინმე ჩამოვიდესო. ამ მიყრუებულ მხარეში ვის რა დაკარგვოდა, მაგრამ გულს მაინც არ იტებდა. ფანჯრებში გამოფენილ ხალხს ათვალიერებდა. საკმაო გამოცდილება დაუგროვდა. უმაღ ხვდებოდა, ვინ რა ქონების პატრონიბრძანდებოდა, ტყუილუბრალო ყბედობას არ აპირებდა. გადმოსძახა კიდეც ერთმა დახატულმა ლამაზმანმა: „ჰეი, ახალგაზრდავ, თუთუნი არა გაქვს?“ დიანოზმა ქისა გაუწოდა (იშვიათად თუ მოსწევდა თვითონ, ფრონტზე შეეჩინა). ქალმა კი ეშმაკური ღიმილით — „აღარ ჩამოგივიდა გულის ვარდი?“ დიანოზმა ხელი ჩაიქნია, ქისა გამოართვა და გზა განაგრძო.

უეცრად გული შეუხტა. ვაგონის ფანჯრიდან რუსის გოგო იცქირებოდა. მთლად ბავშვი ჩანდა, დარდიანი, ცისფერი თვალები მიეპყრო უცხო მხარისათვის. პაჭუა ცხვირი აეპრიხა გულუბრყვილოდ. ხელები ჩამოეწყო ძირს ჩამოწეულ ფანჯარაზე და კაცი მიხვდა, გოგოს ღონიერი მკლავები და დიდრონი ხელის მტევნები სოფლურ შრომას იყო მიჩვეული.

ფანჯარაზე დაუკაკუნა. გოგონამ შიშიანი გაკვირვებით გადმოხედა.

— ერთი წუთით თუ შეიძლება, ამხანაგო!

„ამხანაგომ“ თითქოს დაამშვიდა. ეს იყო ჩვეული, მისადაქცეული მიმართვა. ვაგონის კარისაკენ წამოვიდა, კიბეს ყოყმანით ჩამოეკიდა. დიანოზმა ანიშნა, ჩამოხტიო.

ჩამოხტა, თან სახელურს ხელს არ უშვებდა, ვაითუ მატარებელი გამექცესო. არც გაემტყუნებოდა ეს სიფრთხილე, გასვლას ხომ ხუთი წუთიდა უკლდა, მაგრამ ხუთი წუთი დიდი დროა და დიანოზის წინაშე გაიხსნა დამშეული ვოლგისპირეთიდან ჩამოსული ვარვარა მიხაილოვნას მიმნდობი გული...

— ვარვარა, კარტოფილის გათლა და წვნიანის შეკმაზვა თუ გეხერხება? — დიანოზის ბაგეები ღიმილს გადასჩვეოდა უკვე.

გოგონამ მხრები შეარხია, ორი ქერა ნაწნავი შეატოკა, უფრო გაკვირვების ნიშნად.

— მზარეული მჭირდება, ოლონდ გაფრთხილებ, ასი შვილის მამა ვარ!

— რა ამბავია! — ჩაიკისკისა გოგონამ და უმაღ პირზე ხელი იტაცა. — მაპატიეთ, მიხვდი, რა შვილებზეც მეუბნებით!

— ადი ვაგონში და ბარგი წამოიღ!

ბარგი ერთი მომცრო ფუთა იყო. ვარვარას სამზარეულოს გვერდით მიუჩინეს პატარა საკუჭნაო. იქ, პარკებსა და ტოპრაკებს შორის დაუდგეს გასამლელი საწოლი. იმავე დღეს „სიხარულში“ წამდვილი ბორშჩის სუნი დატრიალდა...

გუნებაში ჩაიცინა დიანოზ ვერულავამ. ახალი მზარეულის გამოჩენამ თავისი ქნა. ეგ ლუკმა პირიდან მთლად არ გაგვივარდესო და ზოგი თანამშრომელი გონს მოეგო. მიხვდნენ, უნდა შეგუებოდნენ ახალი დირექტორის ახირებებს.

თანდათან აეწყო საქმე, ახლებურად და უფრო სამართლიანად. თუმცა თავზე არ გადასდიოდათ და ხშირად საკუთარ, ციცქნა ხელფასს ახმარდა, რათა ცოტათი მაინც დამშვენებულიყო ბავშვების ღარიბული სუფრა, ან დაბადების დღეზე გაეხარებინა რომელიმე ობოლი კაპიკიანი საჩუქრით... ბავშვებთან ყოფნა უცოცხლებდა გულს, უმატებდა ხალისს, თანამშრომლებს კი გულჩათხრობილი და სახემკაცრი ხვდებოდა, თუმცა ცდილობდა უხეში არავისთან ყოფილიყო, სამართლიანობის საზომი არ დაეკარგა. ერთადერთი, სხვათაგან გამორჩეული, ახალგაზრდა, მხიარული, ცქრიალა, დაუღლელი, ენაჭიკიკიკა ვარვარა იყო. პატარებისათვის უმაღ დეიდა ვარა გახდა, უფრო მოზრდილთათვის — ფარული ლტოლვის საგანი,

თანამშრომელთათვის — გაუთავებელი ჭორის საბაბი. თვით ვარვარამ არაფერი იცოდა ამ ჭორებისა, იგი ისევ თავისი ვოლგისპირეთის საზომებით ცხოვრობდა, ვინც გაუცინებდა, იმას შესცინებდა, ვინც შეუბლვერდა, იმას ზურგს შეაქცევდა; ბავშვებთან ერთად დაეხეტებოდა ტყე-ტყე, სოკოს აგროვებდა („იცოდე, არ დაგვწამლო!“ — აფრთხილებდა დიანოზი); ზაფხულის ცხელ დღეებში, რაკი წამდაუნუმ ზღვაზე წასასვლელად არ ეცალა, აქვე, ღელეში ჭყუმპალაობდა. მერე მზეზე განვებოდა „ზაგარის“ მისაღებად და სოფლის ბიჭბუჭებს ჭკუას აკარგვინებდა. ერთი-ორჯერ ესაუბრა დიანოზი, დიდი ტატით უხსნიდა, ჩვენ პროვინციელები ვართ, ზღვის პლაჟი და სოფლის გუბურა სხვადასხვააო... ბევრნაირად მოუქარგა, ის კი უცოდველი, გულუბრყვილო თვალებით შემოსციცინებდა და ვერ გაეგო, რას ითხოვდნენ მისგან. დიანოზს აბნევდა ეს შემოხედვა. ღამდამობით თავის პატარა სენაკში განმარტოებულს, ვარვარას მრგვალი პირისახე წარმოუდგებოდა, ფართოდ გაზიდული თვალები და ცოტათი მონგოლური ყვრიმალები. ამ გახსენებამ თანდათან წაშალა ეთერ-ქალის ხატება. მოუსვენრად ტრიალებდა დიანოზი თავის ვიწრო საწოლში, სიცხისაგან ითანგებოდა. წამოდგებოდა, ეზოში გაივლ-გამოილიდა, წრიალებდა... წრიალებდა... ვერ ბედავდა მისულიყო საკუჭნაოს კართან, დაეკაკუნებინა... ვაითუ ვერ გაეგო ვარვარას მისი ზრაცვები, გულუბრყვილოდ, უდარდელად შემოსცინებდა და ეს იქნებოდა ყველაზე სამარცხვინო... ბოლოს გადაწყვიტა კაბინეტში მოეხმო, აქ მოლაპარაკებოდა...

თავისთან არასოდეს დაუბარებია და დამფრთხალი ვარვარა რომ დაინახა, თვითონაც დაიბნა, არ იცოდა საიდან მოევლო. გოგო კი უცებ ასლუკუნდა:

— მიჩივლეს, ხომ? რას ვაშავებ? ერთ თეფშ ბორშჩსა ჭამს...
— დამშვიდდი, გეთაყვა, ვინა ჭამს ბორშჩს? — ვერ მიხვდა დიანოზი.
— ბონდო!
— ვინ ბონდო?
— ამხანაგო დირექტორო! — ვარვარა ისე განითლდა, ბიბილოები წინაკისფერი გაუხდა. — მეშინია, არ გამიწყრეთ... მე ვთხოვდები!

დიანოზი, თითქოს გულისძარღვი ჩასწყვიტესო, გამტკნარებული შეჰყურებდა. მერე მძიმედ-მძიმედ მოეგო გონს, თავს ძალა დაატანა და ნაძალადევი გულგრილობით შეეკითხა:
— მაშ, შენს ბედნიერ საქმროს ბონდო ჰქვია?

ვარვარამ წამით თვალი მოანათა, ხომ არ დამცინისო. დიანოზს სახეზე ჩვეული სიმკაცრე ეხატა და გაუბედავად, დამტვრეული ქართულით ჩაიჩურჩულა:

— ბონდო ჩახნაკია მტხოულობს!

თავიდან ვერც გაიხსენა, ვინ იყო ბონდო ჭახნაკია. მეხსიერებაში მოიჩხრიკა — ერთი სოფლელი ბიჭი შერჩა, უსწავლელი და ხალხში გამოუსვლელი, ბატყანივით უწყინარი და კეთილი.

— ჩვენგან წახვალ?

— ცასვლა არ მინდა! — ვარვარამ ახლა უფრო გაბედულად შეხედა, მერე სინითლე კვლავ მოერია და რუსულად დაუმატა:

— მგონი მისიანებს არ უუნდივართ, რუსი გოგო არ გვინდაო...

— ეგ ვინ გითხრა?! — მკაცრად გააწყვეტინა დიანოზმა.

— ეგ სისულელე თავიდან ამოიგდე! მე დაგეხმარები, შენს ბონდოს მივიღებ, ცეცხლფარეში მჭირდება, კარ-მიდამოს მოვლასაც დავავალებ!

დიანოზი თან ლაპარაკობდა, თან კარისაკენ მიდიოდა და მზერას არიდებდა ქალს. გვერდით რომ ჩაუარა, ვარვარა უცებდაიხარა, ხელზე სტაცა და სველი ტუჩებით შეეხო.

კაცი შეცბა, ხელი გამოსტაცა.

— კარგი ერთი, დაწყნარდი! — თავზე ხელი გადაუსვა, როგორც პატარა ბავშვს და გავიდა...

მართლაც ამნაირად მოხდა ეს ამბავი? ჩემს დროს დიანოზი უკვე მოხუცებულად მეჩვენებოდა. ადრე, ალბათ, უფრო წარმოსადეგი იქნებოდა. ასაკმა ხორცი შემატა, პირმრგვალი გახდა, დაბაბმა თითქოს შეარბილა მისი სიმკაცრე და კეთილ პაპას დაემსგავსა, საბავშვო წიგნებში რომ ხატავენ ხოლმე. ადრინდელი სურათი მინახავს. იქიდან კუშტი, გამხდარი კაცი შემომყურებდა, კიდევ ერთი საბუთი იმისა, რომ სულსა და მის ფიზიკურ ყალიბს შორის უზარმაზარი განსხვავებაა... რაც შეეხება ჩვენს მზარეულს, იგი ჩემთვის დეიდა

ვარა იყო, უფროსთათვის ვარვარა მიხაილოვნა და ჩვიდმეტი წლის ცქრიალა გოგოდ ვერ წარმომედგინა. პროფესიამ იგი ლოყებლაულაჟა, მსხვილმკლავება დედაკაცად გადააქცია. კანში ვერ ეტეოდა, თმას იღებავდა და ამით ცდილობდა წლების მოღორებას. არც ბონდო ჭახნაკიას სიყმანვილეს მოვსწრებივარ, ბოლში გამოყვანილი თევზივით შავი და უხორცო მახსოვს...

მეორე მზარეულიც გვყავდა — მედიკო სამუშია, შავგვრემანი, კეკლუცი ქალი, მაგრამ დეიდა ვარა სულ სხვა ვინმე იყო. მას მუდამ გემრიელი კერძების სუნი სდიოდა. წარბებიც მუდამ გაშლილი ჰქონდა და დღეში ათჯერ რომ დავენახე, ათჯერვე დამიძახებდა:

— საჩმელი არ გინდა, ოკრო?

5

ელიკო დირექტორობის მეხუთე წელს იშვილა თურმე დიანოზმა. პატარა გოგონა ძლივს დაბაჯბაჯებდა. ყველა ქალს დედას ეძახდა, კაცებს — მამას. მაგის დასამინებელ დედ-მამას კი ლოთობისა და სინამხდრის გამო სასამართლომ დედობა და მამობა ჩამოართვა. თუმცა ამათ ფეხებზე ეკიდათ სასამართლოც, შვილიც და მთელი ქვეყანაც. ბავშვი ზედმეტ ბარგად მიაჩნდათ და უხაროდათ კიდეც, ტვირთი ჩამოგვეხსნაო. მერე მთლად გადაიკარგნენ, მათი ასავალ-დასავალი არავინ იცოდა.

დიანოზმა იმთავითვე გამორჩეულად შეხედა ბავშვს. ვინ იცის, კაცის გულში რა ხდებოდა, მაგრამ რაღაცით მიამსგავსა თავის უგზოუკვლოდ დაკარგულ შვილს. თვითონაც არ უწყოდა, რითი ჰქონდა ეს ელიკო იმ ელიკოს, ახლა უკვე ვერ იხსენებდა ნამდვილ ელიკოს, რადგან თვალწინ მხოლოდ და მხოლოდ ეს ახალი, ციცქნა გოგო ედგა.

ასე იყო თუ ისე, დიანოზი გოგონას წინაშე ჩაცუცქდა და ენამოჩერექით მოურუსულა:

— ელი, გინდა, შენი მამიკო ვიყო?

პატარამ გაუცინა, კისერზე თავისი სუსტი, წვრილი მკლავები შემოაჭდო. დიანოზმა ბავშვი გულში ჩაიკრა და იმ დღი-

დან ელიკოს პანია საწოლი დიანოზის საწოლის გვერდით დაიდგა.

რა შეიცვალა ამით? დიანოზი ხომ თვითონაც საბავშვო სახლში ცხოვრობდა. მისი ოთახის კედლებს მიღმა ასი სხვა ბავშვი იზრდებოდა. ეგ იყო, ადრე თუ ყველას მამა იყო, ახლა მხოლოდ ელიკოს მამობას კისრულებდა. ამ პატარა დაწესებულების მეფე და ხელმწიფე დიანოზი ბრძანდებოდა და ვინ დაუწყებდა ჭკუის სწავლებას, მარტოკაცი ბავშვს ვერ მოუვლიო. რა თქმა უნდა, ხელქვეითი ქალები ეხმარებოდნენ“ სარეცხსაც ურეცხავდნენ და სასუსნავსაც უზიდავდნენ. ბავშვი მეტად თავნება აღმოჩნდა, მაგრამ ვინ არ მოუთმენდა. არც დირექტორს ჰქონდა ანგელოზის ხასიათი და როგორა ჰგავსო, ისე ჩურჩულებდნენ, თითქოს მართლაც მისი სისხლი და ხორცი ყოფილიყოს. დიანოზი თითქოს დაყრუვდა, ბავშვის ჭირვეულ მოთხოვნებს სამართლიანობის სასწორზე რომ შეაგდებდა, პინა ყოველთვის მისი ელის სასარგებლოდ იხრებოდა. თანდათან სამყაროსა და დიანოზს შორის ელიკო აღმოჩნდა. ვინც ჭკუა იხმარა, ელის მოეფერა, მისი გულის მოგებას შეეცადა, ამით დირექტორის გულსაც იგებდა, ცხადია.

სამი წლის თავზე დიანოზმა ელდა გადაიტანა. „სიხარულის“ ჭირვარს დედაკაცი მოადგა და სასმელითა და წანწალით განადგურებულ ქალში დიანოზმა ელიკოს დედა შეიცნო. მიჩვეული არ ყოფილა თავის მოკატუნებას, მაგრამ წამში დაპატარავდა, ფიანდაზად დაეგო. ვინ იცის, იქნებ თვალთმაქცობდა ის დედაკაცი, ან იქნებ მართლაც გაიღვიძა მის გულში დედამ, — დაჯდა და ატირდა. ქმარი მომიკვდაო, ჩიოდა, ვიცი, დამნაშავე ვარ, სამართლიანად წამართვეს დედობის უფლება, მაგრამ მალე გამოვსწორდები და უფლებასაც აღმიღებენო. თქვენი დიდი მადლობელი ვარ, ბავშვი რომ დამირჩინეთო. ელიკო გულში ჩაიკრა, ზედ ცრემლი გადააფრქვია, რამოდენა გამხდარა ჩემი ერთი ბეწო შვილიო. გოგონა აღრიალდა, შიშნეულად და გულსაკლავად. რა გატირებსო და ძლივს ათქმევინეს, არ მინდა ეს დედაო.

მაშინ იკადრა დიანოზმა უკადრებელი. სხვა ამას რას მიხვდებოდა, სხვამ კაიკაცობაში ჩაუთვალა, მაგრამ თვითონ ხომ

ძირისძირობამდე ხედავდა თავისი საქციელის უგვანობას. სუფრა გააშლევინა სტუმრისათვის, ზედ თვითნახადი არყის ბოთლები ჩამოამწკრივა. ქალმა სუსტად გაიბრძოლა, მე უკვე აღარა ვსვამო, ოლონდ მის გიურ თვალებში ნაცარტუტა ხრჩოლავდა და ენა რომ ერთს ამბობდა, აკანკალებული ხელი თავისით ის-ხამდა. მამაკაცურად გადაჰკრა, თავი სწრაფად გადასწია და ყლუპი ხახაში გადაუშვა. დიანოზს თვალი აარიდა, საკუთარი შერცხვენა და სულმდაბლობა თუ ტანჯავდა. დიანოზსაც რცხვენოდა, ვერაგი მასპინძლის როლი აუტანელი იყო. დედაკაცი კი ორი ჭიქის შემდეგ გათამამდა, წითლად დაფორაჯებულ სახეზე ბედნიერების სხივი აუციმციმდა და რაღაც უარგონული, „ბოსიაკური“ ჩაიღილინა. დიანოზმა აღმზრდელს ანიშნა, ბავშვი წაიყვანე და დააძინე, გვიანაა უკვეო.

შუალამეზე დიანოზ ვერულავამ მთვრალი დედაკაცი სადგურამდე ჩააცილა, სტუმარს ბავშვთან გამომშვიდობება არც გახსენებია. მთელი გზა ღილინ-ღილინით ჩალია, თან ჩანთაში ჩანკობილ ბოთლებს გულში იხუტებდა. დიანოზმა პირველ-სავე მატარებელზე აუღო ბილეთი. ჯიბეები ამოიფხიკა, რაც ფული ჰქონდა, ქალს შეაჩეჩა. იმან კი, მოულოდნელად, ფხიზე-ლი თვალებით შეხედა და დამარცვლა: „ნეხოროში ტი ჩელოვეკ!“ შევიდა ვაგონში და დაიკარგა, ახლა კი სამუდამოდ.

იმ ღამეს უინუღლავდა. დიანოზი ფეხით ბრუნდებოდა. გზას ვერ არჩევდა და ტალას ზელდა. ქალის სიტყვების გახსენება სულს უმდვრევდა, პირში სიმწარეს გრძნობდა. ისეთ გუნებაზე დადგა, თითქოს მკვლელობა ჩაედინოს.

ოთახში ქურდულად შეიპარა. ბავშვის საწოლს დახედა. ამ სამ წელიწადში ელი საგრძნობლად წამოიზარდა, პატარა საწოლში ძლივს ეტეოდა. ზურგზე იწვა, ხელები ზევით აეყარა. თხელი კულულები შუბლზე ჩამოჰქონდა. პირი ოდნავ გაეხსნა და მშვიდად, თანაბრად სუნთქავდა. დიდხანს, დიდხანს დაპყურებდა დიანოზი და სურვილი კლავდა, რომ დახრილიყო, მოფერებოდა, ხავერდოვან ღოყვას შეხებოდა... შეეშინდა, გავალიძებო და თავი შეიკავა. ბედნიერი იყო და ეს ბედნიერება წუთის წინ კინალამ წაგლიჯეს.

მაშინ გაიფიქრა, რაც გავაკეთე, სწორადაც გავეკეთეო, და გახდას შეუდგა.

გარიურაჟის წინ კი მოულოდნელად გამოეღვიძა. ფხიზე-ლი ძილი იცოდა და არ გაჰკვირვებია. სანამ თვალს გაახელდა, მანამდე გაიფიქრა, ნათურის ჩაქრობა დამვიწყებია. აიხედა და ელიკოს მზერას შეეფეთა. გოგონა წამომჯდარიყო და დაკვირვებით დასცექეროდა. დიანოზს შეაცივა.

— რა მოხდა, ელი?

— დედიკო წავიდა? — მტრულად იკითხა გოგონამ.

დიანოზმა თავი დამაშავედ იგრძნო. სახე აენვა. როგორ უნდა აეხსნა ელისათვის, რანაირი სიტყვები უნდა დაეძებნა. ასეთი სიტყვები მას არ ჰქონდა და მოკლედ მოჭრა:

— ჰო!

ელიკო უცბად შეტრიალდა, ლოგინში ჩაემხო და საბანი თავზე წამოიხურა.

„ტირის?“ — გაიფიქრა კაცმა. გოგონა არ ტიროდა. დიანოზი გაიტრუნა. მიხვდა, სიტყვებით აქ ვერაფერს უშველიდა.

თანდათან რიურაჟი შემოიპარა. დიანოზი იწვა, ჭერს შეცექეროდა. საფრთხე დალანდა და გული შიშით ენურებოდა.

ელიკოს, ალბათ, არ ეძინა, მაინც ფრთხილად წამოდგა კაცი, ჩუმად ჩაიცვა, გარეთ გავიდა.

მის გარდა არავის ეღვიძა. მერე ბონდო ჭახნაკია გამოჩნდა. ამთქნარებდა. დირექტორს ვერ ხედავდა და მკლავები აქეთ-იქით გააქნია, ვითომ ივარჯიშა. სამზარეულოში ქვაბები აარახუნა ვარვარამ, საუზმის თადარიგს შეუდგა.

— ვარვარა! — დაუძახა დიანოზმა და ხმადაბლა უთხრა: — ქვაბებს რომ შედგამ, ჩემთან გაიქეცი, ელიკო ააყენე, შენებურად გაამხიარულე, წუხანდელს აქეთ უქეიფოდაა!

იმ დღეს მოისაზრა დიანოზმა, დროა საკუთარ ჭერზე ვიზუნოო...

ღობის გადალმა ცარიელი, ტრიალი მინდორი იდო და დიანოზს იქ მიუზომეს, რამდენიც ერგებოდა. სოფლის ბიჭებმა ახლო ტყეში სარი და წკნელი დაუმზადეს, ურმით ჩამოუზიდეს. დადგნენ ის და ბონდო, ერთ დღეში შემოღობეს ნაკვეთი. მერე პატარა ელიკოს ჩაავლო ხელი, შემოღობილში შეიყვანა და უთხრა: „აქ ჩვენი სახლი აშენდება!“ ბავშვი მოწყენით, უხალ-

ისოდ გაჰყურებდა ხვინჭკიან, მწირ მიწას. დიანოზი კი გახა-
რებული დარბოდა აღმა-დაღმა, ხატოვნად უხსნიდა, აქ ამას
დავრგავ, იქ – იმასო.

ერთ დღეში ვინ რას მოახერხებდა, დიანოზი ხომ ჯადოქარი
არ იყო, მაგრამ იმ დღეს დარგულმა ხეხილმა პირველი ნაყოფი
რომ მოისხა, სამთვალიანი ოდა მოსრულდა. ამასობაში, ცხა-
დია, ელიკოც წამოიზარდა. ის ადრინდელი, გულცივი მოწყენი-
ლობა სულ სხვა გრძნობით შეეცვალა. როცა ვერულავებმა
თავიანთი მცირე ხაბაკი ახალ ოდაში გადაზიდეს, ელიკო მე-
ცხრე ცაზე დაფრინავდა. დიანოზი ხელებჩამოყრილი იდგა შუა
ოთახში. არ იცოდა სად დამჯდარიყო. ელიკო კი ოთახიდან
ოთახში დაცუნცულებდა, კარ-ფანჯრებს ხან კეტავდა, ხან
აღებდა, ნივთებს ადგილს უცვლიდა... კედლის სარკე ვერაფ-
რით ჩამოჰკიდა მოხერხებულად...

სხვა თვალით შეხედა დიანოზმა ამ ფაციფუცს, თურმე
დაქალებულა უკვე მისი შვილი.

— იძლის წინ ელიკომ მოულოდნელად ჰკითხა:
— მამა, ღობე არ უნდა გასწორდეს?
— აბა, ღობე? — ვერ მიხვდა დიანოზი.

ნაკვეთის ბოლოს, „სიხარულის“ მიწა, საქათმე რომ დაეტე-
ოდა, იმ ზომისა, სამკუთხედად შემოდიოდა დიანოზის ბოსტა-
ნში. დიდი არაფერი, მაგრამ იმ ადგილას ზამთრის მსხალი წა-
მოიზარდა, თვით დიანოზის დარგული, ტოტები ფართოდ გა-
შალა, ყოველ წელს მსხვილი ნაყოფით მძიმდებოდა. უსამართ-
ლობა არც ეთქმოდა, ღობე თუ ხეირიანად გასწორდებოდა,
მაგრამ დიანოზმა შორს დაიჭირა. ახლა შვილსაც ცივად შეე-
პასუხა:

— რაში გაინტერესებს, დაიძინე!

ასე კი თქვა, მაგრამ თვითონ ძილი გაუკრთა. ბარე ავდგე-
ბიო, რომ იფიქრა, მაშინ ჩაეშვა სიზმარში. მსხალი საზამთროს
ოდენა ნაყოფით დახუნდლულიყო, ტოტებს ლანალუნი გაუ-
დიოდა...

მრავალი წლის შემდეგ გაახსენდა დიანოზს ეს სიზმარი,
როცა იპოლიტე კვირკველიამ ეზოს ახალი ღობე შემოავლო
და „უსამართლობა“ გაასწორა, დიანოზს კი ღონე არ ეყო, წინ
აღდგომოდა...

თითო იპოლიტე კვირკველია ყოველ კოლექტივში ურევია.
აგერ „ოხოტსკიზე“ ბოცმანს რომ შევხედე, უმალვე იპოლიტე
გამახსენდა და გუნებაში ასევე შევარქვი. ხმამაღლა რომ მეთქ-
ვა, ხომ გაიკვირვებდა, მაგრამ აშკარად ვატყობდი, ხელის
მოთბობა ამასაც კარგად ეხერხებოდა. გამახსენდა კედლის
გაზეთები, ჯერ ცისია დევდარიანის თხოვნით რომ ვუშვებდი,
მერე კი შეთქმულების დროისა... ამაზე, თუ დამცალდა, ქვევით
მოვყვები, ახლა კი, ისეთი ბედი მაქვს, კედლის გაზეთს აქაც მე
დამავალებენ. ეს ჩემი ბოცმანი წამდაუწუმ თავზე წამომადგე-
ბა. თუ ზღვას გავყურებ, რას უდგეხარ, საქმე არაფერი გაქვ-
სო, — მეკითხება. თუ ვზივარ და ვწერ, მწერალოო, — ათვალ-
ისწუნებით დუდლუწებს. იქნებ ჰეგინია, საჩივრებს ვწერდე,
მაგრამ, დამაცადოს, ხვალ-ზეგ კედლის გაზეთზე რომ ჩამოვ-
კიდებ ბიღა ულვაშებით!.. ხუმრობა იქით იყოს, მაგრამ იპოლი-
ტე კვირკველია პირველი დანახვისთანავე ავითვალისწუნეთ
„სიხარულის“ ბიქებმა. ახლა ვხვდები, გულის სილრმეში ელი-
კო არ გვემეტებოდა მისთვის და იმიტომ...

გამხდარი ეთქმოდა, სიმაღლეც არ აკლდა, ოლონდ პატ-
არა, ნასათუთევი ლიპი გადმოეგდო, რაც სიმაღლეს თითქოს
უქრობდა. ვერასოდეს გავარკვიე, რა ფერის თვალები ჰქონ-
და. ისე ოსტატურად აგარიდებდა მზერას, ვერც იფიქრებდი,
მზერას მარიდებსო. განსაკუთრებით მისი მოკლე თითები მზა-
რავდა. თავდაპირველად ვერაფრით გავიგე, რა ჰქონდა ზედ
წაცხებული. ლოყაზე მომითათუნა და თითქოს მომენება. გვი-
ან მივხვდი, კარამელი ეცხო. მუდამ კარამელი ედო პირში,
დღედაღამ იმას წუნიდა. ამიტომაც ჰქონდა, ალბათ, კბილები
დაჭიანებული.

პირველად ოცდაექვსი წლისამ აღმოაჩინა „სიხარულად“
სახელდებული ქერის ორმო, მოადგილედ დაჯდა სამნეო
დარგში...

ელიკო ვერულავა იმ დროს მხოლოდ მეათეკლასელი იყო.

თანატოლების ყურადღებით განებივრებულ, უფროსების გადაჭარბებულ მზრუნველობას მიჩვეულ გოგონას იპოლიტესნაირი ვინმე რას მოეწონებოდა, მაგრამ ელიკოს იმ ხაფანგში ჩაუცდა ფეხი, რაშიც მანამდე არაერთი ნებიერა გაბმულა.

იპოლიტემ თავდაპირველად ზედაც არ შეხედა დირექტორის ქალიშვილს, უფრო სწორად, წარმოდგენითაც ვერ წარმოიდგენდა და ოცნებითაც ვერ იოცნებებდა, ელიკო ჩემი ცოლი გახდებაო. მით უფრო, ქალების უყურადღებობას არ უჩიოდა. უცოლო ჭაბუკის გამოჩენამ მეტოქეობა გააღვივა მშვენიერი სქესის თანამშრომელთა შორის. ვის დაკარგვია ასეთი საქმრო, მაგრამ ბარე ორი-სამი გასათხოვრის სულში იმედის მბჯუტავი ალი ააციმციმა. რაც იოლად გვეძლევა, იმაზე ტუჩის ვიბზუებთ ხოლმე და იპოლიტემაც თვალი დაადგა ყველაზე ამაყსა და უკარებას — მრავალა პაპასკირს, ვისაც თავისი ქალწულებრივი ვნება ყინულის ნატეხივით მიჰქონდა მამაკაცთა ცეცხლწაკიდებული გულებით მოკირნყლულ ბილიკზე. შინაბერობის გადასახვევამდე მრავალას ჯერ კიდევ კაი გზა ჰქონდა გასავლელი და იპოლიტეს იმედის ნატამალიც არ უნდა დარჩენოდა. ელიკომ ამაებისა არაფერი იცოდა, მაგრამ გუმანით იყნოსა, გაუთხოვრებს შორის მეტოქეობა გაიმართაო და გატაცებით ჩაექა ბრძოლაში.

რა თვე იყო? გახსენებადაც არ ღირს! კარგი ამინდი კი იდგა. იპოლიტეს მრავალა დაემარტოხელებინა ქუჩის მოსახვევთან და შორიდან ისე ჩანდა, მთასა და ბარს უმტკიცებსო. ელიკო თავის ჭიშკართან, ძენის ძირას იჯდა და იქიდან უყურებდა. რას არ მისცემდა, ოღონდ თავისი ყურით მოესმინა ყოველივე. ეჭვიც არ ეპარებოდა, „დედაბერი“ შანსს ხელიდან არ გაუშვებდა და იპოლიტეს დაითრევდა. პატარა, უჭკუო გოგოს მართლაც რომ მოესმინა მათი დიალოგი, ალბათ გულს აიცრუებდა და იპოლიტე ვერასოდეს გახდებოდა დიანოზის სიძე.

მრავალამ ათი წუთი ისმინა იპოლიტეს მოქარგული ბჟუტური, ბოლოს მოიწყინა და ცივი წყალი გადაასხა:

— ნუ გეწყინება, ბიჭუნი, მაგრამ მე რომ გამოგყვე, ათიწლით ადრე უნდა დაბადებულიყავი, იპოლიტე არ უნდა გრქმოდა და, რაც მთავარია, შენნაირი „მასტი“ არ მომწონს!

შებრუნდა და თავის გზას გაუყვა. იპოლიტე კი ერთხანობას დარეტიანებული იდგა, თან ფიქრობდა, ეს „მასტი“ მაინც რაღა ჯანდაბაო.

ქურდულად მიმოიხედა, ვინმემ ხომ არ შემამჩნიაო. არ მოენონა ელიკოს თვალთვალი. „გადაგრევენ ეს ბავშვები, დაახიო უნდა უყურები!“ — მოღუშულმა ჩაუარა, მაგრამ „ბავშვმა“ — უცებ:

— რაო, იპოლიტე, ვერ გაალხვე ყინულეთი?

იპოლიტე კინალამ შეხტა, ბრაზით სახე მოექცა. მეორე წუთს თავი მოითოკა, გაჭირვებული ლიმილიც მოახერხა და გათამამებულ ლანირაკს თვალი გაუსწორა. პირველად შეამჩნია, მონაფური კაბის ქვეშ უკვე ქალიშვილი იმაღლებოდა.

— აი, ვეტყვი მამაშენს, უსაქმოდ რომ ზიხარ აქ!.. დაგახევს ყურებს!

ელიკომ გამომწვევად გაიცინა და ამ სიცილში ისიც იგულისხმებოდა, რომ ჯერ ბავშვი იყო, და ისიც, რომ უკვე ქალიშვილობისათვის მიეღწია.

— ანდა, მამაშენი რად მინდა, აგერ ვარ და მე დაგახევ ყურებს!

იპოლიტე მართლაც წაეპოტინა გოგონას, ყურები ხელისგულებში მოიმწყვდია, ოღონდ, რა თქმა უნდა, მოფერებით.

ელიკომ კვლავ გაიცინა და პირველი ხიდი მაშინ გაიდო...

ეჲ, მართლაც დაბერდა დიანოზი, ზედმეტად მიმნდობი გახდა. იმას ვეღარა ხედავდა, ყურისძირში რა ხდებოდა. ათასნაირ გეგმებს აწყობდა ქალიშვილისათვის, მტერს რომ თვალებს დაუვსებდა, ისეთ მომავალს უმზადებდა, მომავალი კი თურმე აქვე, ეზოშივე ტრიალებდა და დიანოზის გულმა ძლივს გაუძლო სასიკვდილო დარტყმას.

ელიკომ თამამად გაუსწორა მზერა და ორად-ორი სიტყვა გაიმეტა:

— მამა, ვთხოვდები!

კაცი გაშრა, ენაჩავარდნილი შეჰყურებდა კარგა ხანს, მე-
რე ხმის კანკალით დაეკითხა:

— გაგიყდი?

— მამა, უკვე დიდი ვარ! როგორც გადავწყვიტე, ისე გავა-
კეთებ!

— მერე სწავლა?

— მომბეზრდა სწავლა, ვინც უსწავლელია, ჩვენზე უკეთ
ცხოვრობს!

დიანოზს თითქოს ყელში წაუჭირესო, ძლივსღა სუნთქავდა.

— ვინ არის მაინც?

— იპოლიტე!

— ვი-ინ?! — თავზარი დაეცა დიანოზს. — ვი-ინ?! — გაიმ-
ეორა უკვე ხმადაბლა და იმნამსვე, სულის სილრმეში, საშინ-
ლად შესძულდა თავისი მოადგილე, რაღაც სლიპსა და ცივსის-
ხლიანს შეხებოდეს თითქოს. — ისა?.. ის სელაპი!.. დღესვე
გავაგდებ სამსახურიდან!

ელიკო კი, მისი ელი, თვალებმოწყურული შეჰყურებდა,
თხელი ტუჩები ჯიუტად მოეკუმა.

— შენ ამასწინათ აქებდი!

მართლაც აქებდა! ენა ძირში უნდა მოეკვნიტა. სწორედ
მისმა სიტყვებმა უბიძგეს ელის, დიანოზის ნათქვამმა ფერი
შემატა უფერულ სურათს, რომელსაც სილრმე და პერსპექ-
ტივა არ გააჩნდა.

დაილალა დიანოზ ვერულავა, საშინლად დაილალა!.. დრო
იყო, შემცვლელზე ეფიქრა... იწვა იმ ღამეს მარტოკაცის ლო-
გინში და გული ტკივილით გამოსცემდა: ელი, ელი, ელი!.. —
სად დაიკარგა, საითკენ წავიდა მისი ნამდვილი ელი!

7

— ისევ წერ? — თავზე ბოცმანი წამომდგომია. პანია, უფე-
რული თვალები მოუჭუტავს, მსხვილი ტუჩები დამცინავად მოუ-
ბრიცავს. არაფრითა ჰგავს იპოლიტეს და მაინც ვამსგავსებ.
„ნეტა რას ამომიჩემა?“ — ვფიქრობ და ფეხზე ვდგები.

— გეტყობა, ბევრი თავისუფალი დრო გაქვს! — დამარცვ-
ლით მეუბნება. — წამოდი!

მივყვები. კიჩოზე ჩერდება. „ოხოტსკის“ ნაკვალევზე თე-
თრი ჩქერალი მოსდევს. რამდენიმე დელფინი გამოგვდგომია,
ნყლის ქაფს ეთამაშებიან. ლამაზ, მბზინავ სხეულებს ღონივ-
რად ისვრიან თეთრი წინწკლებით გაჯერებულ ჰაერში.

— აპა, აქედან აქამდე მორეცხე! — მიბრძანებს ბოცმანი,
ძენძსა და ვედროს მაჩეჩებს.

გულმოდგინედ ვხეხავ ათასჯერ გახეხილ გემბანს, თან
მრავალა პაპასკირზე ვფიქრობ. ნეტა რანაირი „მასტი“ მოე-
ნონებოდა მრავალას — შავგვრემანი, თეთრგვრემანი, მნი-
თური... — მარჩეველას ნარჩეველაო, გამიგონია. საბოლოოდ
ბედმა ისე გადაწყვიტა, მრავალა პაპასკირი საბავშვო სახლზე
დაქორწინდა...

ზღვის მლაშე წყლით ვიწუნები, ოფლით მეწინწკლება
საფეთქლები და პირისახეს ნიავს მივუშვერ... მაინც საიდან
გამოჩნდა ეს მრავალა პაპასკირი? ისლა ვიცი, მავრა ექთანს
ერგებოდა ნათესავად, იმან მოიყვანა, იფიქრა, ბედს ვუმზა-
დებო, რა იცოდა, მარტოქალობისათვის თუ იმეტებდა.

— ჰემ, ჰემ!.. — კვლავ ეს ბოცმანი, ჩემ მიერ იპოლიტედ
წოდებული, წამომადგა თავზე, ნამუშევარს გადახედა. გემ-
ბანი ისე პრიალებს, ცხვირსახოცს ჭუჭყი არ აჰყვება. წუნი ვერ
დაუდო, მაინც არ მოვწონვარ. ვხვდები, მას შიშს გვრის საწერ-
კალამი და თეთრი ქაღალდი, მისთვის სრულიად უცხო, გაუ-
გებარი ატრიბუტები სხვანაირი არსებობისა.

კაპიტნის თანაშემწეს კი ზღვისფერი თვალები და სანდო-
მიანი სახე აქვს, თანაგრძნობით მიღიმის.

— რაზე დაგსაჯეს, ამხანაგო მატროსო?

— არ ვიცი, ამხანაგო კაპიტნის თანაშემწევ!

— შენზე ამბობენ, მთელი დღე კუბრიკეში ზის და წერსო!

— დიახ, ამხანაგო კაპიტნის თანაშემწევ, წერილსა ვწერ!

— ამოდენა წერილს, შე კაცო?

— დიახ, ჩემს ადრესატს, დიდ ნიკანორს ყველაფერი აინ-
ტერესებს!

— დიდი ნიკანორი ვინდაა? — კაპიტნის თანაშემწის სახ-
ეზე ღიმილი ქრება.

— კოლუმბისა და მაგელანის შემდეგ უპირველესი ზღვა-
ოსანია, ამხანაგო კაპიტნის თანაშემწევ!

კაპიტნის თანაშემწე ეჭვით შემომცეკერის. ვერ ბედავს
მითხრას, ევეთი ზღვაოსანი არ გამიგონიაო. ეშმაკმა დალახ-
ვროს, იქნებ მართლაც არსებობს დიდი ნიკანორი. საზღვაო
აკადემიაში სწავლის დროს ზღვაოსნობის ისტორიაში გაჭი-
რვებული სამიანი ჰქონდა და ასი პროცენტით მარტო კოლუმ-
ბისა და მაგელანის არსებობაში იყო დარწმუნებული.

იქნებ შემეცითხოს, რა ამბებს უყვები იმ შენს ნიკანორსო,
მაგრამ იგი არაფერს მეცითხება. ბოცმანი მრავალმნიშვნე-
ლოვნად უყურებს. კაპიტნის თანაშემწე კი თავს უქნევს და
გვშორდება.

ირგვლივ ჰორიზონტამდე მშვიდი ზღვა გაწოლილა. მზის
სხივები თანაბრად ეფინება და დასავლეთიდან აღმოსავლე-
თისაკენ თეთრი ქაფქაფა რძე იღვრება თითქოს...

ტყუილად არ ჩამეძია კაპიტნის თანაშემწე, შემეძლო თუნ-
დაც ელეფთერ ლაგვილავას უბედურების ამბავი მომეთხო...

8

მავრა და ელეფთერი გვიან დაქორწინდნენ. ელეფთერ ლა-
გვილავა მაშინ ორმოცს უკაკუნებდა და ახლობლებმა მასზე
ხელი ჩაიქნიეს. მანქანამ დაღუპაო, — ეს ისედაც აშკარა იყო.
მძღოლის ხელობა ჯარში შეიყვარა და ხელისგულში ჩამჯ-
დარი იმუამინდელი უანგი და მაზუთი ვერასოდეს მოიშორა.
ზორბა ვინმე გახლდათ, დიდი, მძიმენონიანი მანქანები დაჰ-
ყავდა. მსუბუქ მანქანაში თავს როგორლაც დამცირებულად
გრძნობდა. ვითომც ეს ამოდენა კაცი ვიღაცას ძალით ჩაეტე-
ნა ციცქანა ნაჭუჭჭი. განძრევის ერიდებოდა, ვაითუ კვერცხ-
ივით შემომეფვნესო. გადაჟყვა გზებსა და შარებს. ამასობა-
ში ბერბიჭობის აჩრდილი წამოადგა თავზე. მაინცდამაინც

წუნია არ იყო, ოღონდ თავისი დღე და მოსწრება ისეთ ქალებს
ხვდებოდა, გზისპირებზე რომ შოულობენ იაფად და შეუწუხე-
ბლად.

ქალის ასაკი რა სახსენებელია, მაგრამ მავრა ძერია ელე-
ფთერს რომ შეხვდა, სიყმანვილის ჟამს საკმაოდ იყო გადაც-
ილებული. გასაოცარი ისლა რჩებოდა, ასე გვიან რომ გაიცნეს
ერთმანეთი. მავრა ექთნად მუშაობდა საბავშვო სახლში, ელე-
ფთერის სახლიდან „სიხარულამდე“ კი ხელის გაწვდენაღა
იყო. ასეა თუ ისე, ერთხელ წამლებიანი ბოლჩით დატვირთუ-
ლი მავრა ავტობუსს არ დაელოდა და რაიცენტრიდან მომავალ
ელეფთერს ჩაუჯდა კაბინაში. მხიარული გუნების ქალს პირზე
ვარდი ეფინა და ელეფთერმა უცხო თვალით შეხედა.

„სიხარულის“ ჭიშკრამდე მიიყვანა, გზა გაიმრუდა საამი-
სოდ. კარგა ხანს გაჰყურებდა, როგორ მიირხეოდა ქალი ხეი-
ვანში. საკმაოდ მოხდენილი დიაცი ბრძანდებოდა, მაგრამ კაც-
თა დიდი ნაწილი ბრმაა და ასეთ ქალებს ვერ ამჩნევენ. ელე-
ფთერიც ბრმა იყო ამ წუთამდე. ახლაღა აეხილა თვალი და
კვირის თავზე მავრა შინ დაისვა, თავის პატარა ქოხში.

იმ დღიდან კაცი და ქალი, როგორც ეს მილიონჯერ მომხ-
დარა, ბეჯითად შეებნენ უღელს. რისი ზიდვაც ღმერთმა დაავ-
ალა, ოცი წელი ერთგულად ზიდეს, თუმცა ერთგულების წილ
ბედთა გამრიგე განა ჯილდოს გაიღებს ხოლმე. შიში აწუხებ-
და ცოლ-ქმარს, უკვე ასაკში ვართ და ვაითუ უშვილძიროდ გა-
დავეგოთო. მავრას ერთი-ორჯერ თითქოს აპყვა კიდეც ბავშ-
ვი, მაგრამ სამი-ოთხი თვის შემდეგ იმედი უწყდებოდა ხოლმე
და გამოცდილმა ექიმმა ურჩია, ასეთი ბედი გქონია, რაკი ბავშ-
ვი გინდა, საავადმყოფოში უნდა დაწვერო.

დიდხანს იყო მავრა მიყურადებული. ერთხელ, ქორწინებ-
ის მეორე წელი გადიოდა უკვე, მიხვდა, ბედმა ისევ გაუღიმა. იმ
დღესვე დაწვა რაიონის საავადმყოფოში. ექიმის რჩევას
უგდო ყური. მთელი დღე ლოგინიდან არ დგებოდა და თუ წა-
მოდგებოდა, ისე ფრთხილად ადგამდა ნაბიჯს, გეგონებოდათ,
პირთამდე სავსე ჯამი მიაქვს და არ უნდა გადმოღვაროსო.
დრომ მოუწია და ვიღაც უცნობი აფაჩუნდა, იძრა მუცელში.
ბედნიერი ქალი ყურს უგდებდა, მუდამდე ხელი საბანქვეს,

მუცელზე ედო. როცა ვერაფერს იგებდა, გული შიშისაგან ეწუ-რებოდა, მეორე წამს კი აქარად ესმოდა სიცოცხლის სწრა-ფვის მაუწყებელი მოძრაობა. პანაწინა თავის საპატიმროს ფეხ-ებს ურტყამდა და თვალცრებლიანი მავრა ჩუმად, თავისთვის ჩურჩულებდა: „დედიკოს ცემ, ცუდო ბიჭო? არ გებრალები? ცემე, ჩემო ბიჭო, ცემე!..“ დარწმუნებული იყო, ბიჭი მეყოლე-ბაო. ოღონდაც, რაც დრო გადიოდა, მით უფრო რთულდებოდა საქმე, ექიმის დაფიქრებულ, უკმაყოფილო სახეზე ეწერა ყოვე-ლივე. უნდოდა ეკითხა, რა ხდება ჩემს თავს, რა მჭირს ასე გაუთავებელიო. ვერ ბედავდა! სიმართლეს უფრთხოდა და იმი-ტომ!.. ბოლოს, მეტი გასაგისი არ იყო და ექიმმა, რა ვქნაო, პირდაპირ უთხრა ელეფთერს, ასაკის ბრალია ყველაფერი, ჩვიდმეტი წლისა ხომ არაა, ქალი ბავშვს ვერ დაბადებს, ქირუ-რგის დანა თუ არ დაეხმარაო. თავი ჩაქინდრა ელეფთერმა, არც მავრა ემეტებოდა საოპერაციოდ, წარმოსახვაში უკვე ცოც-ხლად არსებულ ბავშვსაც ვერ თმობდა. ამდენი არა უთქვამს რა. ოღონდ ქალი გადამირჩინეთო, ეგა თქვა, პატივისცემა, ხომ იცი, ჩემზეაო...“

ნარკოზიდან რომ გამოიყვანეს, მავრამ ჯერ ის იკითხა, ბიჭი როგორააო. ექიმს გაეცინა, შენ რა, მკითხავი ხომ არა ხარ, სა-იდან მიხვდი, ბიჭი რომ გეყოლებოდაო. ექიმის სიცილმა ქალი დაამშვიდა, ბიჭი ცოცხალია, თორემ ასე ლაღად ხომ არ გაი-ცინებდაო. თითით ახლო მოიხმო, ჩურჩულით დაეკითხა, ანი სხვაც თუ მეყოლებაო. ექიმს სახე დაუგრძელდა, როდის-რო-დის გაულიმა, დაუყვავა, ჯერ ამას მოუარე, სხვაზე სხვა დროს ვილაპარაკოთო.

ეს ერთი ბავშვიც ღვთის წყალობა იყო. სულ მალე მიხვდ-ნენ ელეფთერი და მავრა, როგორმე ეს მაინც უნდა დაენარ-ჩუნებინათ. ამაზეც მადლობელი ვართო, ფიქრობდნენ ცოლი და ქმარი, ელოლიავებოდნენ თავიანთ ერთადერთს, პატარა ამირანს, თავს ევლებოდნენ, ცივ ნიავს არ აკარებდნენ, თით-ქოს ისეთი სიფრიფანა და გამჭვირვალე ვინმე ყოფილიყოს, ვაითუ სულის შებერვას გაექრო. მშობლებს ეჩვენებოდათ, სიფრიფანაო, თორემ კაჟივით ბიჭი გაიზარდა, ცამეტისამ სიმაღლით მამას გადასწრო. ხანდახან მამის მკლავზე ჩაძი-

ნებული ბრგე ვაჟკაცის საწოლზე გადაყვანა უჭირდა ელე-ფთერს, შვილის სიმძიმისაგამ მკლავი უბუუდებოდა. შემდგო-მაც, წლების შემდეგ, გაახსენდებოდა შვილის სიმძიმე და მკლავების ტკივილი უცხოველდებოდა... ხომ კაჟივით ბიჭი იყო ამირანი, რაღაცნაირად გამჭვირვალე ჩანდა მაინც, თითქოს სინათლე გასდიოდაო. ისე დახტოდა და დანავარდობდა, თით-ქოს მიწის შვილი აღარააო, მიწას სწყდებოდა და პაერში ფრე-ნას ესწრაფვოდა. ტოლ-ამხანაგები გზას უთმობდნენ. გო-გონებს ძილი უკრთებოდათ, თუმცა ყველასთან თანაბრად ეჭირა თავი ბავშვური გატაცებითაც არავინ ყვარებია, გარდა რაღაც შორეულისა, მიუწვდომელისა, თვითონაც რომ არ იცო-და, არსებული იყო თუ არარსებული. იმთავითვე ბედის დავ-თარში ეწერა ალბათ, აქ კი არა, იქ შეეყვარებინა თავისი რჩეუ-ლი, აქედან კი უცოდველი და წმინდა ზრახვებით წარსდგო-მოდა არსთა გამრიგეს.

ერთხელ სხვის ჭირზე, სხვის ტკივილზე თქვა ელეფთერ-მა: ღმერთმა მარტო ბერიკაცები რომ წაიყვანოს, სამოთხე პენ-სიონერთა სახლს დაემსგავსებაო. ღმერთს ახალგაზრდები და უცოდველებიც უყვარსო. მაშინ რა იცოდა, სხვისთვის კი არა, თავისთვის თხზავდა იგავს. უკვე ჭრილობა იხსნებოდა მის სხე-ულზე, თვითვე იყრიდა ზედ მარილს, მაგრამ ტკივილის შეგრ-ძნება ჯერაც ვერ მისულიყო ცნობიერებამდე და კარსმომდ-გარი უბედურებისა არა უწყოდა რა.

მანამდე კი სხვა სანუხარი ჰქონდათ. მაშინ რა იცოდნენ, რომ ეს სანუხარი ერთი ბეწო, გამჭვირვალე ღრუბლის ფთი-ლაღა იყო იმასთან შედარებით, რაც მოელოდათ. ფეხმძიმო-ბიდან მავრას ტრომბი შერჩა, ფეხები დაუსივდა, სისხლძარ-ღვები ლურჯად დააჩნდა. აქამდე ღონივრად მავალი და დაუ-ზარელი ქალი ინვალიდივით ააბაჯბაჯა. ავადმყოფობამ დაამ-სხვილა, ფორმა დაუკარგა, მაგრამ პირისახე კვლავაც ისეთი ნათელი ჰქონდა, ტკივილსა და ტკივილს შორის თბილი ღიმილი ვარდივით გადაეფინებოდა ტუჩ-პირზე, ცოცხალი თვალები აუციმციმდებოდა და, ქალის ფორმა დაკარგვიაო, კაცს ავინ-ყდებოდა.

ელეფთერს ეგონა, ჩემი ბიჭი მუდამ ჩემს უბეში იქნება მიყუჟული, თავს ჩემს მკლავზე დადებს და ისე დაიძინებსო. დრომ უწია, ამირანი დაკაცდა, ტოლებში გაერია. ჩვიდმეტი წლისას გაუგო ელეფთერმა, თამბაქოს მიეტანაო. იწყინა, ნაადრევიაო, თქმით კი არაფერი უთქვამს. თვითონაც ჩვიდმეტისა იყო, პირველად რომ გაუსინჯა გემო. ამირანიც მიხვდა, მამამ გამიგოო. მაინც რიდი ჰქონდა და პაპიროსს სამალავში ინახავდა. როცა მოუნდებოდა, ველოსიპედით მიემგზავრებოდა თანატოლებთან, საჭყუმპალაოზე. იქითკენ ასფალტი-ანი გზატკეცილი მიდიოდა, რკინიგზის გადასასვლელს ებჯინებოდა. დიდი გადასასვლელი იყო, ორი ლიანდაგი ერთად ეწყო და მატარებლებიც წამდაუწუმ დაგრიალებდნენ აღმა-დაღმა. გადასასვლელს მიღმა ველოსიპედს შეაბრუნებდა, საცალფეხო ბილიკით მინდორს გადაჭრიდა და საჭყუმპალა-ოც გამოჩნდებოდა. მთელი დღე იქ ეყარნენ ამირანის ტოლ-სწორები, ჩუმჩუმად თამბაქოს ეწეოდნენ და საქმით თუ არა, ენით მაინც ათასნაირ უწყინარ ცოდვას სჩადიოდნენ.

იმ დღეს მავრას თავის ტკივილი აჲყვა. რა წამალი არ და-ლია, რა არ მოიმოქმედა, ტკივილი კი ვერ დაიამა. ელეფთერიც ვერ იყო გუნებაზე, ლოგინიდან ადგომა დაეზარა. თუმცა მზიანი, ბარჩეალა დღე იდგა, წინა, წვიმიანმა დღემ ჰერი ნეს-ტით გააჯერა და ელეფთერს ძვლები ტეხდა. საუზმეც უგემუ-რად შეჭამა. წუხანდელ ხაჭაპურს რეზინივით ლეჭავდა. უკუ-ლმართ ფეხზე ავდექი, იქნებ სამუშაოზე არც წავიდეო, გაი-ფიქრა, მაგრამ მაინც წავიდა. მერე, მანქანის საჭეს რომ მი-უჯდა, აგურის ქარხანასა და რკინიგზის სადგურს შორის გა-აქროლა, უგუნებობამ გაუარა, გახალისდა. ორჯერ გადაირბინა იმ გადასასვლელზე. ჯიხურის კართან მორიგე იჯდა. იცნობდა და ორივეჯერ ხელის ანევით მიესალმა. იმანაც სალამი დაუბ-რუნა. უბე გამობერილი ჰქონდა, არყის ბოთლს თუ მალავდა. ეს ისე გაიფიქრა ელეფთერმა, მე რას მიმალავს, რომელი შემ-მონმებელი მე ვარო.

მესამეჯერ რომ მიადგა აგურის ქარხანას, ერთმა ახალ-გაზრდა ინუინერმა, მანამდე სალამსაც რომ ამადლიდა, თანა-გრძნობით შეხედა (ეს მერე გაიაზრა, მაშინ რას მიხვდებო-და!) და უთხრა:

— შინ უნდა წახვიდე, ელეფთერ!

ელეფთერს ხელში საბუთი ეჭირა, აგურის გატანის ნებარ-თვა. ინუინრის ნათქვამს ვერ ჩასწვდა, გაიოცა:

— რა მინდა შინ?

მეორე წამს კი, თითქოს თავში ჩაჰკრესო, მიიხედ-მოიხე-და. ირგვლივ მუშები და მძღოლები იდგნენ, თანაგრძნობით შესცეკროდნენ, ხმის ამოღებას ვერ ბედავდნენ.

მერე ვიღაცამ ისე თქვა, ჩაიზღუქუნაო, „გამაგრდი, ელე-ფთერ!“

„მაგრა!“ — ტვინში პატარა ალი აინთო, ამ აზრს ჩაეჭიდა. რა თქმა უნდა, მავრა გახდებოდა ცუდად. დილით თავის ტკივილს უჩიოდა. იქნებ ტრომბი მოწყდა... ინსულტი...

— ცოცხალია? — ყრუდ იკითხა.

— ჯერ კიდევ ცოცხალია! — საერთო მდუმარებაში საიდ-ანლაც აღნევდა ეს ხმა, ვერაფრით მიმხვდარიყო, ვინ ამბობდა.

შეხტა კაბინაში და მანქანა ადგილიდან მოწყვიტა. ისე მი-აქანებდა, უნდა დამტვრეულიყო, მაგრამ არცოდნამ გადაარჩი-ნა... რომ ცოდნოდა!.. სადაა სამართალი?.. რად სჭირდებოდა ეს გადარჩენა?.. ვის უნდოდა ამიერიდან მისი სიცოცხლე?.. ან როგორ უნდა ეცოცხლა?..

სახლი ახალი მომთავრებული ჰქონდათ — ორსართული-ანი, ხალვათი, მდიდარი... ყველაფერი მისი ბიჭისათვის კეთ-დებოდა, ამირანს თავისი საქმები უნდა ჰქონოდა, დრო რკი-ნასა და ბეტონზე არ უნდა გაეცდინა, რკინა და ბეტონი ელეფ-თერის საქმე იყო.

ჭიშკარი ლია დახვდა, ეზო — მეზობლებით სავსე.

— რა ამბავია ჩემს თავს! — ეგონა, ვიყვირეო, ჩუმად, უღლ-ნოდ კი იკითხა. კიბეზე რომ ადიოდა, მუხლები ეკვეთებოდა. ვიღაცამ მკლავში სტაცა ხელი, შეებჯინა, თორემ ეს ამოდენა კაცი ზევით ვერ აზიდავდა ტანს.

აივნის ტახტზე გულშემოყრილი მავრა იწვა და ექთნები დასტრიალებდნენ. მავრა მომკვდარაო, გაუელვა და ამ გაფი-ქრებაში იყო ტკივილიცა და იმედიც, რისი, მერე და მერე, რო-ცა გაახსენდებოდა, რცხვენოდა. იმ წუთას ცოლი გასწირა, იმ წუთას დათმო, მაგრამ წამის შემდეგ მიხვდა, მავრა ცოცხა-ლი იყო.

წინა ოთახიდან ექიმი გამოვიდა, საშინლად დაღლილი და მოთავებული. ელეფთერს შეხედა და თითქოს ენა გადაყლაპაო, პირი დააღო, ხმა კი ვერ ამოიღო. სახე ერთიანად დაეტეტკა.

ელეფთერს გული გაუჩერდა. უკვე არ იცოდა, მართალი იყო ყოველივე თუ ეჩვენებოდა. ცხადი სიზმრის ზღვარზე ეკიდა და თუ ელეფთერი კიდევ მოძრაობდა, მხოლოდ ინერციით, გაუაზრებლად.

ექიმი კართან გადაეღობა. ესეც ინერციით, რადგან უცბადვე განზე გადგა და ელეფთერმა ზღურბლს გადააბიჯა.

მისი ამირანი, მისი ანგელოზი ბიჭი გაშოტილი იწვა. თავი და მხრები მთლიანად დაებინტათ და პირისახე იმ სახვევზე უთეთრესი გახდომოდა. ღრმად სუნთქავდა, მკერდი აუდჩაუდიოდა. ხანდახან მარჯვენას აწევდა... აწევდა... შუბლისკენ მიჰქონდა, ალბათ ტკიოდა და უნდოდა ხელი მიედო, დაეამებინა, ოღონდ ძალა არ ჰყოფნიდა და ხელი უღონოდ უვარდებოდა...

— ექიმო, რა ვქნათ?! — ხმა არ ჰერთ ელეფთერის ხმას, იგი მიხვდა, დაყოვნება სიკვდილს უდრიდა. — რა ვქნათ, ექიმო?! — ეს უკვე კითხვა კი არა, ყვირილი იყო.

ელეფთერი გარეთ გამოვარდა. რამე უნდა ეღონა, რამე უნდა მოემოქმედა!.. დანარჩენი მერე გაირკვეოდა. არ უკითხავს, რა მოუვიდა ჩემს ბიჭს, ვინ დამღუპაო — ჯერ უნდა ემოქმედა.

ეჱ, რა შეუძლია ადამიანს? მთელი სოფელი ფეხზე იდგა. იმ დღეს ბარე რამდენიმე ოჯახში ისმოდა წივილ-კივილი. ორი საათი არ დასჭირვებია დედაქალაქიდან ექიმთა ბრიგადის ჩამოფრენას, მაგრამ ყველაფერი ამაო აღმოჩნდა...

მოგვიანებით, როცა ეს ჯოჯოხეთური დღეები მომთავრდა, ელეფთერსა და მავრას ერთადერთი საზრუნავი შერჩათ — ბიჭის საფლავი. ნეკერჩხლის ძირას, შვილის საფლავთან საათობით ჩამომჯდარი ელეფთერის თვალნინ წვრილ-წვრილად ლაგდებოდა უბედურების სურათი და ამ სურათის ცქერით იგლეჯდა გულს, ისჯიდა თავს, არ იცოდა რისთვის, თუმცა მიზეზი რად უნდოდა, კითხვებს რა გამოლევდა... იმ დღეს

სამსახურში რომ არ წავსულიყავიო, იმ დღეს ჩემი ბიჭი გვერდით რომ მყოლოდაო, ის ველოსიპედი სულაც არ მეყიდაო... უსაგნო და ფუჭი კითხვები, საკუთარი თავის საწამებლად მოგონილნი... რა შეეძლოთ მათ, გარდა იმისა, რომ ჭალარას უმატებდა, სასიკვდილოდ წამლავდა, სიცოცხლეს უსწრაფებდა...

უბედურება კი მართლაც შემთხვევითი, ულოგიკო, დაუჯერებელი იყო. საათის ისრის სულ ერთი წუთით გადაწევა ან გადმოწევა ყველაფერს ცვლიდა, მაგრამ წერა თუ კარზე მოგიყავნებს, ჩვენ თვითონ ვყოფთ ხაფანგში თავს.

ბიჭმა სამალავიდან სიგარეტის კოლოფი და ასანთი ამოილო, ჯინსის ჯიბეში ჩაიდო, საჭყუმპალაოზე წავედიო, მავრას დაუბარა და ველოსიპედს მოახტა. ველოსიპედი ერთი კვირის წინ უყიდა ელეფთერმა. ძველი ისე მოყანყალდა, სადმე კისერს მოიტეხსო, იფიქრა. მავრამ შვილის ხმა გაიგონა, მაგრამ თავს ცუდად გრძნობდა, ლოგინში იწვა. წამოინია, რათა ფანჯარაში გაეხედა. ბიჭი უკვე ჭიშკრის მიღმა მიერეკებოდა.

მზიანი, ნათელი დარი იდგა. ასფალტი ბრწყინავდა. სიცხისაგან დარბილებულიყო და ველოსიპედი კვალს ტოვებდა. ბიჭი აუჩქარებლად ატრიალებდა პედალს, ნიავი სახეში სცემდა და სიცხეს უნელებდა.

მთელ გზაზე სულ რამდენიმე მანქანამ ჩაუარა. ფრთხილობდა, ასფალტიდან ხრეშიან თანთანაზე გადადიოდა.

რკინიგზის გადასასვლელი შორიდან გამოჩნდა. წინა ლიანდაგზე გრძელზე გრძელი შემადგენლობა იდგა. ალბათ ახლომდებარე სადგურში ვერ შეეღწია, თავის რიგს ელოდებოდა.

გზა ხსნილი იყო. ბიჭმა ისიც დაინახა, მორიგეს ასაკეცი საწლი ჩეროში რომ გაეტანა და გემრიელად ხვრინავდა. ჯიხურში მოსაწყენად წერიალებდა ზარი.

გადასასვლელს მომცრო ავტობუსი მიუახლოვდა. ბიჭი ავტობუსს აედევნა. ფანჯრიდან მისი კბილა გოგონა იცქირებოდა ცნობისმოყვარედ და ბიჭმა პედალს აუჩქარა, იმ გოგოს არ ჩამოვრჩეო.

მერე ყველაფერი წამში მოხდა...

მეორე ლიანდაგზე მატარებელი გამოგრიალდა და ავტობუსს გადააწყდა. გაისმა საშინელი ჭახანი. ცეცხლის ალი ავ-

არდა. ცეცხლმოკიდებული ავტობუსი გადაყირავდა, ველო-სიპედიანი ბიჭი გაიგდო და მთელი ოცდაათი მეტრი აჩოჩია-ლა, თან კეფა რელსზე არტყევინა...

ვაიმე, შვილო! მეხსიერებიდან არ ამოდის ეს სურათი, ისევ და ისევ მეორდება... მატარებლის ჭახანი, ცეცხლმოდებული ავტობუსი, განწირულთა წივილ-კივილი და ელეფთერის ბიჭი, კეფას რომ რელსზე უხათქუნებს... ვაიმე, შვილო!

9

სულაც არ მიკვირს, კაპიტნის თანაშემწერომ ნაწყენი და-მრჩა. ჩემი ბრალი ხომ არაა, მას რომ დიდი ნიკანორის სახელი არ გაუგონია. კოლუმბი იცის, მაგელანი იცის, დიდი ნიკანორი კი არ იცის. ამის აშკარად თქმა სამარცხვინო ჰეგონია. ამიტომ ჩუმ-ჩუმა გაიკითხავს, კაპიტანთან საუბარში, ვითომ შემთხ-ვევითო, სიტყვაში ჩააგდებს — „აი, დიდმა ნიკანორმა რომ ჩაიარა მადაგასკარის ნაპირებთან...“ „ვინ დიდი ნიკანორი?“ — გაიოცებს კაპიტანი. „ნუთუ არ გაგიგონიათ? კოლუმბისა და მაგელანის შემდეგ...“ მაგრამ კაპიტანი ზღვის მგელია, ზღვაოსნობის ისტორიაც ფრიადზე იცის. მას ვერ მოატყუებ... და აი, რადიოში მესმის მკაცრი ბრძანება: „მატროსი ბუალავა გამოცხადდეს კაპიტანთან!“ როგორც წესია — ლანჩების ბრაგა-ბრუგით, ყოჩალი სალმით, ასე და ასე, მატროსი ბუა-ლავა გამოცხადდა-მეთქი. „ამხანაგო ბუალავა! — კაპიტანი ცდილობს მკაცრი სახე მიიღოს, მაგრამ ჩუმ-ჩუმა ეცინება. — იქნება გვიხსნა, ვინ არის დიდი ნიკანორი, შენი სეხნია!“ „ამ-ხანაგო კაპიტანო! დიდი ნიკანორი მამაჩემია!.. უფრო სწო-რად, — აქ ცოტათი ვბორძიკობ, — სულიერი მამაა ჩემი, რად-გან მე არაერთი სხვა მამაც მზრდიდა!“ კაპიტნის თანაშემწეს პირისახე ვარდისფერი უხდება, კაპიტანი კი მატროსების ეშმა-კობაში დაბერებულა და ვერაფრით გააცურებ... „აბა, აბა, ჩა-მომითვალე შენი სულიერი მამები და ნამდვილი მამები!“ რა უნდა ვუპასუხო! თითებს ვხრი და ვითვლი: დიანოზ ვერულა-ვა, კაცი გმირთა-გმირი, ელეფთერ ლაგვილავა, სიმაღლით და

ღონით ილია მურომეცსა ჰეგავს (კაპიტანი ხომ რუსია, უკეთ გაიგებს!), დიდი ნიკანორი... „მოკლედ, ყველა გმირთა-გმირ-ია?“ „არა, რატომ? იპოლიტეც მზრდიდა, კაცი-მელაკუდა!“ კაპიტანი ხითხითებს, მეტს არ მალაპარაკებს, არც იმას მე-კითხება, რამდენი დედა მყავდა. „შენ, ამხანაგო მატროსო, ფრთხილად იყავი, თორემ გემბანის ხეხვას არ გაკმარებთ!“ „არის, ამხანაგო კაპიტანო!“

გემბანზე ვჩერდები. ლბილი, მშვიდი საღამოა. მზე თითქ-მის ჩასულა, ვარდისფერი კუნუბი უჩანს, ვარდისფერი ხიდი დაწოლილა ზღვაზე, ირგვლივ კი რუხი ჰორიზონტი შემო-ხაზულა...

„იპოლიტე მზრდიდა, კაცი-მელაკუდა!“ — ასე ვუპასუხე კაპიტანს. ვინ მომცა არჩევანის საშუალება, თორემ ჩემი აღმზრდელების სიიდან ხომ ამოვშლიდი იპოლიტეს, ანდა ბოცო კაკულიას, ან თუნდაც პისტი ქარდავას...

ზოგს რანაირი ბედი აქვს და ზოგს რანაირი! ბოცო კაკუ-ლიას ცხოვრებაში გადამწყვეტი როლი სიმაღლემ ითამაშა. სკოლაში ამხანაგებს წელამდე ძლივსა სწვდებოდა. ხვლიკი-ვით დასუნსულებდა და ვისაც მოეპრიანებოდა, თავში წაუ-თაქებდნენ. ბოცო პროტესტს ვერ ბედავდა. ყოველივეს იტა-ნდა, თან ჩუმ-ჩუმა გულში იმარხავდა. სპორტსმენიც ამიტომ გახდა. დღედაღამ ვარჯიშობდა. პატარა სხეული მოქნილი და დაკუნთული გაუხდა, მაგრამ კვლავაც ჩია დარჩა და მისი კუ-ნთები ვერავის აშინებდა.

იქნებ სიმაღლიდან ბევრი რამ ჩანს, მაგრამ ბრმა რომ ხის კენწეროზე აიყვანო, მაინც ვერაფერს დაინახავს. ბოცო კი ქვევიდანაც საკმარისზე მეტს ხედავდა. რახან სხვანაირი ღო-ნე არ ერჩიოდა, იარაღი მოიძია და აღმოჩინა კიდეც. პირველი ანონიმური წერილი რომ დაწერა (უფრო სწორად, გაზეთიდან ამოჭრილი სიტყვები დაალაგა და ქაღალდზე დააწება!), ეს მთელი კონტინენტის აღმოჩინას უდრიდა. გასაოცარი უფრო ის იყო, ბოცომ რომ ანონიმური წერილის ძალა თავდაპირვე-ლად საკუთარ თავზე გამოსცადა. სკოლის დირექტორს მისწე-რა, ეგ თქვენი ბოცო კაკულია აუღებელი ციხესიმაგრეა, გა-გვიტიალა ბალ-ვენახი, ბავშვი არ გაუშვა გაულახავი და დიდებ-

საც არ გვეპუებაო. სტაცეს ბოცოს ხელი, შეათრიეს დირექტორის კაბინეტში, შენ ვინა ყოფილხარო, ყური აუნიეს, პიონერთა შეკრებაზე გაჯორეს და კედლის გაზეთში გამოაჭენეს, ვითომც დევგმირი ბოცო დარევია სოფლის გოგო-ბიჭებს, ისინი კი თავპირისმტვრევით გარბიან.

გავიდა დრო. ბოცო ფიზკულტურის მასწავლებელი გახდა, მაგრამ ძირითად სპეციალობად კვლავ ანონიმური წერილების წერა შეერჩა. ისე გაინაფა ამ საქმეში, ოსტატობის ისეთ ზღვარს მიაღწია, ქორწინების კვირის ბოლოს საკუთარ თავს მისწერა, ეგ შენი ცოლი საეჭვო ვინმეა, სანამ გათხოვდებოდა, ქვეყნის ბიჭები დაათრევდნენ, გათხოვდა და, წყალი არ გაუვა, რქებს დაგადგამსო. მშვენივრად იცოდა ბოცომ, მისი ცოლი ერთი ალალ-მართალი და წმინდა ქალი იყო, მაგრამ განგებ გადარია, ამით უნდოდა შიშა და მორჩილებაში ჰყოლოდა. ოღონდ, მთლად კარგად ვერ მოზომა. ქალმა დაკრა ფეხი და გაშორდა. შევცდიო, დაასკვნა ბოცომ, საკუთარი ბედნიერება ჩემივე ხელით დავანგრიეო. მოინდომა შერიგება, მაგრამ ქალმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. გამწარდა ბოცო, დაჯდა და ჩვეულ იარაღს დაავლო ხელი, ქვეყანას მოჰყოინა ანონიმური წერილები, ეგ ქალი ისე იქცევა, ყმაწვილი ბიჭები ხელიდან წაგვივლებო, მაგრამ ბრძოლის ეს ველი ერთადერთი აღმოჩნდა, სადაც არავინ მის ფაციფუცს ყურადღება არ მიაქცია...

პისტი ქარდავა?.. რა დამავიწყებს პისტის დალაქავებულ ხალათსა და გრძელზე-გრძელ ფართხუნა პალტოს, არასოდეს რომ არ იხდიდა. პისტის თავგადასავალი ხომ ისევ და ისევ მისი პალტოს თავგადასავალი იყო....

თოვლიანი ზამთარი იდგა. ნავახშმევს პისტი ქარდავამ ჩვეულებისამებრ თავისი გაზინთული ხალათი გაიძრო და გრძელკალთებიანი პალტო ჩაიცვა. ჩანთები, როგორც ყოველთვის, გამზადებული ჰქონდა, ხელსაბანის გვერდით რომ სკამია, იმის უკან, მოფარებულში მიემალა. ვინ რას წამოსძახებდა პისტის, არც ზოგ-ზოგი ვიღაცები იყვნენ სულელები, საკუთარ ოჯახებსა და შვილებს არ ივიწყებდნენ, ბეჯითად ეზიდებოდნენ თავიანთ წილს, ოღონდ პისტივით შიშისაგან

გულაფანცქალებულნი კი არ იყვნენ, ამაყად მიჰქონდათ, თავანეულად, თითქოს ასეც უნდა ყოფილიყო, ასე იყო სავალდებულოდ მიჩნეული. პისტი ქარდავას კი სირცხვილის ოფლი სდიოდა და შიშისაგან მუხლები უკანკალებდა. განა ციხისა და სასამართლოსი ეშინოდა, უფრო ბავშვებისა, მათს გამჭრიახ თვალებს გაურბოდა. ამ თვალებში სიმართლე ეწერა: ჭიტა, გიცანი, გრძელკალთებიანი პალტოვ! — თითქოს ასე იკითხებოდა. — სალამი შენ, ვინც ასე მოხერხებულად მალავ პისტი ქარდავას გამხდარ სხეულს და სარჩოს, ერთ რაზმეულს მაინც რომ გამოკვებავს!.. ამ სიტყვებში არც საყვედური იგულისხმებოდა, არც პროტესტი, უფრო პატიება და გაოცება, სად მიაქვს პისტის ყოველდღე ამდენი; თუ თვითონ ჭამს, რა ეტყობა ნაჭამისა, ან მის ოჯახს რა ეტყობა, ან მის ახლობლებს...

ასე იყო თუ ისე, პისტიმ ქურდულად მიმოიხედა. მედიკო სამუშავასათვის ყურადღება არ მიუქცევია, რადგან არც მედიკო გახლდათ ცით მოვლენილი ანგელოზი. ეს მიმოხედვა უფრო ქვეშეცნეული და ანგარიშმიუცემელი იყო, რადგან შიში მაინც ვერ გააჩერებდა, ჩვეულს ვერ გადააჩვევდა და პალტო მოხერხებულად მოირგო, ხელები ჯიბებში ჩაიყო. ჯიბები გარღვეული ჰქონდა და ჩანთებს ისე აიღებდა, ისინი კალთებქვეშ მოექცეოდნენ. ვინც პისტის შეხედავდა, შეეძლო ეფიქრა, რამ მოუღრიცა ამ ქალს ფეხებიო, ჩანთების არსებობას კი ვერ მიხვდებოდა. ფეხების სიშხვართეს პისტი რას დაგიდევდათ, თვალების ქურდული ცეცებით დატოვა სამზარეულო და ეზოში გამოცუნცულდა. ამ დროს უკვე ბნელოდა. ბავშვები საძინებლებში შეერეკათ და ეზოში არავინ იყო. პისტის გული მოეცა, ფეხს აუჩქარა, თუმცა მძიმე ჩანთები წვივებზე ეხლებოდა და პისტის ისე გადააქან-გადმოაქანებდა, თითქოს მთვრალიაო. ჭიშკარი გაიარა პისტიმ და თავი სამშვიდობოს იგრძნო. ყოველთვის ასეთი განცდა ტანჯავდა, თუმცა ყოველდღე ეზიდებოდა ამ ჩანთებს და აქამდეც უნდა მიჩვეულიყო.

მოკლედ, იმ თოვლიან საღამოსაც თავი სამშვიდობოს დაიგულა. გასცდა კიდეც ვერულავების ჭიშკარს, გზისპირას ობლად მდგარ ტირიფს, ახლა რომ თოვლის გორაკსა ჰგავდა. ორ ნაბიჯზე არაფერი ჩანდა და უცებ იმ არაფრიდან ეშმაკი

წამოიმართა. არც არსაიდან გადმოუდგამს ნაბიჯი, არც ციდან ჩამოფრენილა, არც მიწიდან ამომძვრალა, არ იყო და თეთრ სიბრელეში მოულოდნელად გაჩნდა — მაღალი, აწონილი... მხრებზე შავი თავი ება, პირისახე კი სულაც არ ჰქონდა. პისტი თოვლში ჩარჭობილივით შედგა, თუმცა იცოდა, მომდევნო წუთს ძირს რომ გაიშხლართებოდა... ეშმაკმა პალტო გადაუხსნა, ჩანთები გამოგლიჯა და მხარი ღონივრად გაჰკრა. პისტი ქარდავა გადაქანდა. საკმარისი თოვლი იდო, რის გამოც უფალს მაღლი შესწირა. ძირს მოადინა ბათქუნი და არც არაფერი სტკენია... ეშმაკმა ჩანთები გადმოაპირქვავა, რაც მოეწონა, უბეში ჩაიტენა, რაც არა, ფეხი ჰკრა, მიყარ-მოყარა, იბუქნავა, თანაც ხვენეშოდა და ყმუოდა... თოვლში ზურგით გაშოტილი პისტი თვალებდაჭყეტილი უყურებდა ამ საცოდაობას. მთლად მუჭისტოლა გახდა, გაიტრუნა, ეშინოდა, ვაითუ წამომაყენოს, ზურგზე შემახტეს და ეს ამოდენა ქალი ცხენივით აქეთ-იქით მაჭენოსო. ეშმაკს, ალბათ, მისი ნაფიქრალისა არაფერი ესმოდა, როგორც გაჩნდა, ისევე გაქრა.

კარგა ხანს ეგდო თოვლში პისტი ქარდავა, განძრევას ვერ ბედავდა. სიცივემ მოუჭირა, მიხვდა, გავიყინებიო და ჯარისკაცივით ფორთხვა-ფორთხვით „სიხარულისკენ“ წაფოთხდა. მხოლოდ ჭიშკართან გაბედა წამოდგომა. ეზო სირბილით მოლია. კიბესთან ჩვენს პიონერხელმძღვანელს ცისია დევდარიანს შეეფეთა და გულის ხეთქებით უთხრა:

— ძა, შემაშინეს!

მთელი ერთი კვირა ახრამუნებდა იმ ღამის ნადავლს ჭიპო კვირიკაძე, აქსელერანტი, სპორტსმენი და მუცელლორა...

10

ცისიას დედაც ჰყავდა და მამაც. ორივე ჯანმრთელი იყო, არც სიღარიბეს უჩიოდნენ, არც საზოგადოებრივ მდგომარეობას. მამა საპენსიო ასაკისა ბრძანდებოდა, დედაქალაქში ცხოვრობდა და სხვა ოჯახი ჰქონდა. ოთხ გერს ზრდიდა, ოთხივე გოგო იყო, ერთხაირად გრძელ და წითელცხვირანი, ერთ-

წაირად ჩასუქებული და ზარმაცნი. მთელი დღე იცოხნებოდნენ და ეძინათ, საქმეზე მათრახით ვერ მიდენიდი. ორსართულიან, ხალვათ ბინაში ცხოვრობდნენ. პირველი სართულის რამდენიმე ოთახი სტუდენტები გოგონებზე ქირავდებოდა. ცისიასათვის კი ამოდენა სახლში კუნჭული ვერ მოიძებნა. დედასაც სხვა ოჯახი შეექმნა. მართლაცდა ბედის დაცინვა იყო, თორემ ესეც გერებს ზრდიდა, მართალია, ორს — გოგო-ბიჭს, მაგრამ ამ ოჯახშიც ცისია გულზე არავის ეხატებოდა. მამინაცვალმა აშკარად აითვალისწუნა, ცოლს ეჩეუბებოდა, მომაშორე თავი-დან, წავიდეს და საკუთარ მამასთან იცხოვროსო. დედა სუსტი ნებისყოფისა იყო, ვინ საითენაც შეუძახებდა, იქით მიბრუნდებოდა. მეორე, ძლივძლივობით წაკონინები ღვახის დანგრევას ისევ ერთადერთი ქალიშვილის წყენინება არჩია და პირველკლასელი ცისია „სიხარულში“ აღმოჩნდა.

მეხსიერებიდან რას უნდა წარეშალა ის პირველი დღე, დედა რომ ხელების საყსავით წავიდა და მამინაცვლის მანქანაში ჩაჯდა. გასკდა ბავშვი ტირილით. ბალახში გაწვა, არავის იკარებდა და დედა, დედაო, — ღნაოდა. „სიხარულის“ მრავალჭირმნახველი თანამშრომელნი თითქოს დააბერა იმ წუთებმა. აქამდე მხიარული, აურიამულებული ბავშვები დასევდიანდნენ, თამაშს თავი ანებეს და უჩუმრად მდგარნი, აქა-იქ ლანდებივით კრთოდნენ.

დაიღალა, გაჩუმდა. იწვა ბალახში და თავს მაღლა არ სწევდა. გულამომჯდარი სლუკუნებდა და მხრები უთროთოდა. დედა უკვე აღარც ახსოვდა. ცრემლებმა წარეცხეს სიმწარე და შვიდი წლის ცისია დევდარიანის ბავშვობა.

მოვიდა დიანოზ ვერულავა და ხელში აიტაცა. მამაკაცის ძლიერ ხელებში გოგონა გაყუჩდა, მიენდო.

ქალები მიესივნენ დიანოზს, თქვენ ნუ წუხდებით, ბავშვს ჩვენ წავიყვანთო, მაგრამ კაცმა არ დაანება, მიჰყავდა და უნანავებდა.

ასე გადაჰკვეთეს მთელი ეზო. უკან ქალები მისდევდნენ, ქალებს — ბავშვები. ცისია ვერავის ხედავდა, თითქოს სიზმარშია, ესმოდა ხმადაბალი გადანალაპარაკევი, სხლიბინი, გრძნობდა, რომ ეცოდებოდათ, თუმცა ერჩია სადმე გადამალულიყო.

მედკაბინეტში შეიყვანა დიანოზმა ბავშვი. ტახტზე დააწვინა, თმაზე მოეფერა.

მავრა ექთანმა თავი წამოაწევინა, ვალერიანის წვეთები დაალევინა.

მერე დიანოზი წავიდა და მავრა ჩამოუჯდა ტახტზე. თავისი ღულუნა, თბილი ხმით აქვითქვითდა, თან ეფერებოდა, თან ვიღაცას წყველიდა, მიწისპირზე სიარულს უკრძალავდა. გოგონას არაფერი ესმოდა ამ სიტყვებისა, ქალის ხმა კი გულს ესალბუნებოდა.

თანდათან თვალი მიელულა, ტახტი თითქოს დაირნა, ცისია სიზმარეთში ჩაეშვა.

სიზმარში კვლავ შინ იყო, თავის დედასთან. ქალი გაზექურასთან საქმიანობდა, ქვაბში კერძს ხარშავდა. ხანდახან ეშმაკურად გამოხედავდა გოგონას, თვალს ჩაუბაჭუნებდა, შეთქმულივით უჩურჩულებდა, ცოტა მოითმინე, კერძი მოიხარშება და გადმოგილებო. ამ დროს საიდანღაც გამოვარდა ბრაზით გაბოროტებული მამინაცვალი, ქვაბს ხელი ჰკრა, გაზექურიდან გადმოაგდო. ცისიას განვდილ ხელზე მდუღარე გადმოესხა. ატირდა და ტირილში გამოეღვიძა.

მოგვიანებით ჰელო ნინუა გამოჩნდა, ერთი დაჩამიჩებული, მოცუცენული დედაბერი, ვისი სახე მუჭში ჩაეტეოდა, მის კაბაში კი ადამიანის სხეული თუ იმალებოდა, ძნელი დასაჯერებელი იყო. ხელები ჰქონდა მწყაზარი, ბავშვის ხელებს მიუგავდა, საპნიან წყალს ისე გაეთეთრებინა, ქალალდისფერი გაეხადა. ათასი ბავშვი ეყოლებოდა ამ ხელებით დაბანილი და ათასმეერთე ცისია იყო. იმდენი ეპუტუნა გოგონას, ამან ტირილი ვერ გაბედა, მორჩილად გაიხადა და აბაზანაში მოთმინებით ჩაჯდა, ჰელო ბებიამ კი თმა წამში გაუსაპნა და ცხელი წყალი გადაათქლიშინა.

გული თანდათან დაეწმინდა, დღე დღეს მიჰყვა და მიეჩია საბავშვო სახლის რიტმს. სკოლაში დადიოდა სხვებსავით, სამეცადინო ოთახში გაკვეთილებს იზუთხავდა, თავისუფალ დროს ეზოში დარბოდა. თავდაპირველად საჭმელი უგემური ეჩვენა, თეთქნები ტოვებდა. მერე და მერე არ ყოფნიდა. შიმშილის სუსტი შეგრძნება გულის კოვზს უნინკნიდა, მაგრამ

ამასაც შეეგუა. ხანდახან შეუბრუნდებოდა სევდა, გაიბუსებოდა. განზე გადგებოდა, თამაში არ ენადა. ვინმე თუ ჩააცივდებოდა, გაანჩხლდებოდა, გულს შეასკდებოდა. სხვას ამით რა უშავდებოდა, თვითონ კი დიდხანს ვერ მოდიოდა გონს, თავს უბედურად და მიუსაფრად გრძნობდა.

თვის დასასრულს დედამ მოაკითხა. გადაირია სიხარულით, არ გამექცესოდა კაბაზე ჩააფრინდა. დედას ჯიბეში მზესუმზირა ეყარა, ერთი ცალი საღეჭი რეზინიც მოუტანა, ფორთოხლის სუნიანი. ჩაეხუტა ცისიას, უსუსურად ჩაისლუკუნა და წასასვლელად გაინია... ჭიშკართან მამინაცვლის მანქანა იდგა, მოუთმენლად აპიპინებდა. ცისია შიგ ვერავის ხედავდა და ეგონა, მანქანა თავისით პიპინებსო. დედა ხშირ-ხშირად იყურებოდა იქითკენ. „კვლავ მოვალ, გოგო, კვლავ მოვალ!“

— ნირნამხდარი ბუტბუტებდა და ბავშვის მოშორებას ცდილობდა. ცისია კი ატირდა, აჯღავლდა, ქვეყანა დააქცია; დედის კალთას მაინც არ გაუშვა ხელი... გაფითრდა ქალი, ხელი მოწყვეტით გაუქანა... იქნებ შიშისაგან, ან გაკვირვებისაგან ცისიას ხმა ჩაუწყდა, კაბას შეეშვა... დედა შებრუნდა, გაიქცა. მანქანაში ჩახტა, კარი მიიჯახუნა და გაქრა... ცისია კი იდგა გაშტერებული და უცებ ცხვირიდან სისხლი წასკდა...

— ჩემი სიკვდილი, დედაია, მოუკლავს ბავშვი! — მავრა ექთანმა გამოიარა შემთხვევით, გასისხლიანებული გოგონა დაინახა და შეიცხადა. ცხვირსახოცი შეაშველა, მხარზე ხელი მოჰკვია და მიიხუტა.

ცისია — თითქოს გავარვარებულ რკინას შეეხოო — ახტა და წამოიყვარა:

— არ მინდა, არ მინდა, ხელი გამიშვით!

გაუსხლტა და ქარივით გავარდა. ბიჭურად გადაახტა ღობეს, გადაირბინა საბოსტნე და თხმელნარში გაუჩინარდა.

არიქა, თავს რაიმე არ დაანიოსო, გოგო-ბიჭები გაადევნეს. ცისიამ ირბინა, ირბინა და ვერასულას კლდემდე მიირბინა. იქ მოლზე პირალმა დაწვა და გაიტრუნა.

ქვეყანა სიჩუმით აივსო. ნელი ნიავი თუ გაფაჩუნდებოდა ფოთლებში. ვერასულას კლდეს მზე ეფინებოდა და იქიდან სიმხურვალე მოდიოდა. იწვა გოგონა და თხმელნარის ჩუმ

შრიალს უგდებდა ყურს. ტყის სიღრმეში მოისმოდა ბავშვების მოგუდული ძახილი — „ცისია, ცისია! ცისია დევდარიანი“ კი ქვეყნიერებას გადამტერებოდა და ხმას არავის სცემდა.

დღო გავიდა. ცხვირიდან სისხლი უკვე აღარ სდიოდა. შიმშილი იგრძნო. ჯიბეში მზესუმზირა მოსინჯა. ამოიბოჭა და გადაყარა, თითქოს შური იძიაო. საღეჭი რეზინი კი ვერ გაიმეტა.

მერე ტყიდან ბონდო ჭანაკია გამოვიდა. მხარზე წალდი გაედო. გოგონას ნახვა ვითომც არაფრად ჩაუგდია. იქვე, ლოდზე ჩამოჯდა, პაპიროსი ამოიღო და ასანთი აუღელვებლად გააჩხაკუნა. ისევე მშვიდად, დარბაისლურად მოქაჩა. ტუჩები მოამრგვალა და ბოლის რგოლები გამოუშვა.

— უყურე!

რგოლი ცოტა ხანს ეკიდა ჰაერში და გაქრა. იმ რგოლს მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე.

ცისია პირდაღებული შეჰყურებდა.

— გშია? — ჯიბიდან ორი ვაშლი ამოიღო ბონდომ. — ერთი შენ, ერთი მე! — თანხმობისათვის არ მოუცდია, ისე გადმოუგდო. თავისი სახელოზე გაუსვ-გამოუსვა და მადიანად ჩაკბიჩა. ცისიამაც სახელოზე გაისვ-გამოისვა, თვითონავ ხრაშუნით ჩაკბიჩა.

შეჭამეს.

— ახლა წავიდეთ, თორემ ვახშამს ვერ მივუსწრებთ! — დაფაცურდა ბონდო.

ცისია არ გაჯიუტებულა, ამოიხვნება.

— წავიდეთ, „კეთილი გული“ მივირთვათ! (ასე ვეძახდით მწირ ვახშამს).

უხმოდ დაეშვნენ „სიხარულისაკენ“.

ნავახშმევს დიანოზ ვერულავამ მოიხმო თავის კაბინეტში, დაუყვავა, თუმცა ამ მოფერებაში სიმკაცრეც გაურია. მეორე-ჯერ ასე თუ მოიქეცი, დედაშენს ძალით გავატან შენს თავსო. ცისიას ამაზე არაფერი უთქვამს. ჯიბიდან ოთხად დაკეცილი ქაღალდი ამოიღო, სასკოლო რვეულიდან ამოხეული.

— რა არისე ს? — გაიოცა დიანოზმა.

— განცხადება!

ვერულავამ ხმამაღლა წაიკითხა:

— „განცხადება. არ მინდა დედა! არ მინდა მამა! არავინაც არ მინდა! ცისია“.

თვენახევრის შემდეგ დედა კვლავ გამოჩნდა. ცისიამ მანქანა შორიდან იცნო. ანგარიშმიუცემლად გაქანდა ჭიშკრისაკენ, მაგრამ უცბად, მოსხლეტით შეჩერდა, თითქოს უხილავ კედელს წააწყდაო. ჯიქურ შეტრიალდა... თავდაპირველად ყურადღება არავის მიუქცევია. ბავშვები აღმა-დაღმა დათარეშობდნენ და ვინ საითკენ მოკურცხლავდა, ამის გამრკვევი არავინ იყო. წუთის შემდეგ მთელ „სიხარულს“ და ახლო-მახლო ტყე-ბუჩქნარს მოედო ბავშვებისა და აღმზრდელების ძახილი: „ცისია, ცისია!“

გამტკნარებული დედა სკამზე იჯდა, შუა ეზოში. ვერ გადაეწყვიტა, ეტირა თუ ჩხუბი აეტეხა. მამინაცვალიც გადმოვიდა მანქანიდან, ნერვულად ურტყამდა ნაფაზს. კარგადაც ხვდებოდა, ვის სჯიდა ჯიუტი ბავშვი.

— ადე, ქალო, წავიდეთ! — შეუძახა ცოლს და იქვე მდგომდიანოზს თავშეუკავებლად მიუგდო: — ასეთი თავნება რომ არის, იმიტომ იმკის თავისას! არ ვუნდივართ და ნუ ვუნდივართ!

დიანოზს გულის სიღრმეში სურდა, პანღური ამოეკრა ამორაყისთვის. იცოდა, რაც ამას მოჰყვებოდა და შენიშვნა აკმარა:

— ჩვენთან არ ენევიან!

მამინაცვალმა მძულვარედ შემოხედა, პაპიროსი ჩააქროდა ნამწვი ჯიბეში ჩაიჩურთა.

დიანოზმა ზურგი შეაქცია და ქალს მიუბრუნდა — აქ, ალბათ, ბავშვი თავს უკეთ გრძნობსო... ქალი ატირდა და მანქანისაკენ გაიქცა.

მანქანა ისე აღმუვლდა, თითქოს გაჯავრებულიაო. ხრეში და მტვერი მოაყარა ჭიშკარს და უბოდიშოდ მიიმალა. ცისია საწლის ქვეშიდან გამოფოფხდა, თურმე ტარაკნისა შეეშინდა.

მთელი დღე მხიარულად იყო, ქანცგანყვეტამდე ითამაშა. მისი კისკისი ეზოს ხან ერთ კუთხეში ისმოდა, ხან მეორეში.

სალამოს კი უცაბედად დადარღიანდა. ვახშამზე უარი თქვა, მიჯ-და კუთხეში და მორთო ხმადაბალი ზმუილი. ვინმე თუ მოვიდო-და, რა განუხებს ცისიაო, პასუხს არ აძლევდა. თუკი ჩააცივდე-ბოდნენ, ანჩხლად შეჰყვირებდა — „დამანებე, დამანებე თავი!“

სულ გულჩათხრობილი დადიოდა. სწავლაზე გული აიცრუა. შენიშვნებს ვერ იტანდა. შაბათ-კვირას თვალი ჭიშკრისაკენ ეჭირა. მანქანის ხმაზე წამოხტებოდა. მანქანა ან ჩაივლიდა, ან სხვა ბავშვების მშობლებსა და ახლობლებს გადმოსხამდა. მეტად არ უტირია, მაგრამ ნაადრევად წვებოდა, თავს ბალიშის ქვეშ შეყოფდა და გაიტრუნებოდა. ძნელად იძინებდა და ბავშვები ფრთხილობდნენ, ჩვენი „ფსიხი“ იძინებს და ნუ ვიხმაურებთო.

ასე გაგრძელდა რამდენიმე კვირა. თანდათან გახდა, უპ-ები ჩაუშავდა. ვინ სთავაზობდა მეფურ სადილებს, რაც ჰქონ-დათ, იმასაც საწყლად მოციცქნიდა. ისედაც უთქმელი ვინმე იყო ბუნებით, შიმშილით სული რომ გაძვრომოდა, პურის ნა-ტეხს არავის შეეხვეწებოდა.

დრომ მოუშუშა ჭრილობა. თანდათან მოიხედა. თითქოს-და საშიშროებამ განვლო. ერთ დღეს კი სკოლიდან აღარ მო-ბრუნდა. მორიგე აღმზრდელმა იფიქრა, სკოლაში დარჩებოდაო და თავი დიდად არ შეუწუხებია. სადილზე მისი არჩივი ხელ-შეუხებელი რომ დარჩა, ვარვარამ მოისაკლისა, სკოლა ხომ შორს არ იყო და ბავშვი გაგზავნა, მაშინდა გაირკვა, ცისია დაკა-რგულიყო.

ვერულავა იმ წამსვე მიხვდა ყოველივეს. შემთხვევით ელეფთერ ლაგვილავამ ჩამოიარა სატვირთო მანქანით და ის გააჩერა. რკინიგზის სადგურისაკენ გაქანდნენ. ლტოლვილი მოსაცდელ დარბაზში იპოვეს, კუთხეში მიყუჟულიყო. უზარ-მაზარ სკამზე ერთიციცქნა ჩანდა და დიანოზს ენა ვერ მოუ-ბრუნდა სასაყვედუროდ. გოგონამ შორიდანვე დაინახა კაცე-ბი, პირი ისე დააღო, თითქოს დაყვირებას აპირებდა. ელეფ-თერი ზღურბლზე დარჩა. დიანოზმა დარბაზი აუჩქარებლად გადაჭრა. ცისიამ ხელი ასწია, დარტყმისაგან თავი დაიფარა. „მამინაცვალი სცემდა, ალბათ!“ — მიხვდა დიანოზი. ბავშვს გაუცინა და გვერდით მიუჯდა.

— იცი კი საითკენ მიდის აქედან მატარებელი?

გოგონამ თავი ჩაღუნა, ძლივს ჩაიბურტყუნა:

— დედიკო მინდა!

რა უნდა ეთქვა დიანოზს, რითი დაემშვიდებინა? სიცრუე არ შეეძლო. მოტყუებული ბავშვი შემდგომ მოსთხოვდა პა-სუხს. სიმართლე კი გულის მოკვლელი იყო.

— შენ უკვე დიდი გოგო ხარ! — დარბაისლურად უთხრა, თან თავს ისჯიდა თვალთმაქცობისათვის. — შენოდენა გო-გოები ქვეყნის საქმეებს აკეთებენ. ამიტომ მქონდა შენი იმე-დი, ვიფიქრე, ცისია დამეხმარება-მეთქი.

— მე?

— ჰო, შენ! სულ მალე არდადეგები იწყება, სკოლამდელე-ბი ზღვაზე მიგვყავს. მინდა, შენც გაგაყოლო, აღმზრდელებს დაეხმარები! პატარები, ხომ იცი, რა ჩურჩუტები არიან, შენ კი უნდა გაართო, უხელმძღვანელო...

ამაზე ცისიამ ვერაფერი თქვა, ამოიხვენეშა, ხელები დიდი ქალივით გაშალა, ვითომ ამოდენა საქმეს როგორ მოვუვლიო.

უკვე მანქანაში, კაცებს შორის ჩაჭეჭყილ ცისიას ელეფ-თერმა შესთავაზა:

— გინდა, საჭეზე ხელი მოგაკიდებინო?

ბავშვის აღფრთოვანებული სახე რომ დაინახა, მუხლზე დაისვა და მანქანა ისე წაიყვანა.

ცისია საჭეს მონდომებით ჩააფრინდა, თან ხშირ-ხშირად აპიპინებდა... ასე დაბრუნდნენ „სიხარულში“...

მას შემდეგ ცხრა წელი გავიდა. მავანსა და მავანს იქნებ ბედნიერებას ანიჭებს ბავშვობის მოგონებები, ცისია დევდა-რიანს კი თავი ბავშვად არ უგრძვნია. იმასდა ნატრობდა, ნეტა მალე გავიზარდო, ის დრო დადგებოდეს, არავის კისერზე არ ვეკიდო, არც კაცის, არც სახელმწიფოსი, ჩემი ოფლით შემეძლოს ლუკმაპურის შოვნაო...

სხვები იქნებ უარეს დღეში იყვნენ. ცისიას კი ორ-სამ თვე-ში ერთხელ მაინც დედა აკითხავდა. ჯიბიდან წვრილ ფულს დააძვრენდა. გოგონა უარობდა, არაფერში მჭირდებაო... მუ-რაბები და ჯემები მოჰქონდა. ცისია ხელს არ ჰკიდებდა და

სკოლამდელი პატარები წააცუნცულებდნენ ხოლმე. უცხო-სავით ხვდებოდა, არც ემალებოდა, არც კისერზე ეხვეოდა, დაჯდებოდნენ ბალის სკამზე, მაგნოლიის ჩრდილში, ირვალივ ბავშვები დარბოდნენ, ცელქობდნენ. დედა-შვილი გვერ-დიგვერდ ისხდნენ და გაუგებარი იყო, რა აკავშირებდათ ერთ-მანეთთან. დედა ხანდახან აფშლუკუნდებოდა, გულსაკლავად იწყებდა ჩივილს, ბედს იწყევლიდა. გერები წამოეზარდნენ თურმე, ყურს არ უგდებდნენ, ისიც წამოსძახეს, შენი შვილე-ბი რომ ვიყოთ, ამდენს არ გვეჩეუბებოდიო... ჩუმად უსმენდა ცისია, თვითონაც უკვირდა, გულში სიბრალულის იოტისოდე-ნა გრძნობაც რომ არ გაუკრთებოდა, თითქოს ვიღაც შორე-ბელი უყვებოდა ყოვლად უინტერესო ამბავს. დროის ამ ხარ-ჯვაში ერთადერთი, რაც ფარულად სიამოვნებდა, ის იყო, რომ იქ, ჭიშკრის მიღმა მანქანაში მამინაცვალი იჯდა, სიგარეტს სიგარეტზე ექაჩებოდა, აქეთკენ გამოხედვას ვერ ბედავდა და წუთი საუკუნედ ეჩვენებოდა.

— ხომ კარგადა ხარ, ჩემო გოგონი, ხომ არაფერი გიჭირს?
— წამდაუნუმ ეკითხებოდა დედა.

ცისია გულსგარეთ პასუხობდა.

— ჰო, დედა, ნუ ნერვიულობ, კარგადა ვარ! — მერე უცებ ეზოში მოძირილავე ბავშვებს გასძახებდა: — შეეშვით ერთ-მანეთს! ამოდენა ვირგლა პატარას ჩაგრავ! — თითქოს ეს სახლი მისი საგამგებლო ყოფილიყოს და ყველას ევალებოდა, უსიტყვოდ დამორჩილებოდნენ.

ასეთ დროს დედა შიშიანად შეხედავდა. წამოზრდილი ქალიშვილი რაღაც შინაგან ძალას ფლობდა და ქალს ეშინოდა ამ ძალისა.

— ვის დაემსგავსე ასეთი! — წაიბუტბუტებდა და დაფა-ცურდებოდა.

— ჰო, დედა, წადი, ჩემზე ნუ ინალვლებ! — ცივად ეტყოდა ცისია, გულგრილად დაიხრებოდა საკოცნელად — ქალი უკვე მასზე დაბალი იყო — ბაგეს შეახებდა დედის დამჭერარ ლო-ყას. გულმოკლული დედა კი, შვილის სიცივით დათრგუნვილი, მხრებჩამოყრილი მიტუსტუსებდა მანქანისაკენ.

სხვამ ვინ იცოდა, რა უჯდებოდა ცისიას ეს ნიღაბი. მანქა-ნა ორლობეს მიეფარებოდა თუ არა, ცისიაც დაიკარგებოდა თვალსაწირიდან. სადმე თხმელნარის სილრმეში განმარტოე-ბული მოგუდულად ზმუოდა თავისითვის, გულს იგლეჯდა... შეღამებულზე მობრუნდებოდა, წყალგადავლებულსა ჰგავდა. ქარივით შემოვარდებოდა ბავშვების მარაქაში, ყირაზე გადა-დიოდა, ყველაზე მეტს ანგლობდა, ყველაზე მეტს კისკასებ-და. მეტისმეტი მოსდიოდა.

ჰო, საოცრებავ! ერთხელ მამამაც მოაკითხა. დავიწყებო-და კიდეც მამის არსებობა. იქნებ მკვდარიც ეგონა, შურდა იმათი, ვინც იტყოდა, მამა ავარიაში დამეღუპა ან ზღვაში დამეხრიო.

მამას მუხლებდაბერილი შარვალი, საკმაოდ შელახული პი-ჯაკი და თეთრი პერანგი ეცვა. პერანგი თუმცა გარეცხილიც იყო და გაუთორებულიც, საყელო გაჰყვითლებოდა. ალბათ თვი-თონვე ირეცხავდა ხელსაბანი საპნით და იმიტომ იყო ასეთი ყვითელი. თავდაპირველად ვერ იცნო ცისიამ, მორიდებით შეაცქერდა. იმან კი დაბნეულად მოიფშვნიტა ხელები და ნაძა-ლადევი ქირქილით ალაპარაკდა:

— რამოდენა წამოზრდილა, ჰა! რა გოგო დამდგარა, ჰა! კარგად სწავლობ, არა? ჩემი ზარმაცუნები ვერ სწავლობენ კარგად! უფროსებს ხომ უჯერებ? ჩემი ზარმაცუნები არ მიჯერებენ! რა ვქნა? — მიმართა უცებ დიანოზ ვერულავას (ყოველივე ეს დირექტორის კაბინეტში ხდებოდა). — რა ვქნა, ჭირს ცხოვრება! ცოლი სულ კვნესა-ვაებაშია, რაღაცა ოხრო-ბა დაემართა, ან ის მოკვდებოდეს, ან მე! ჩემი ზარმაცუნები სიქას მაცლიან!..

ცისიას უცებ გულ-ღვიძლი აეწვა. წვეთი ცრემლი არ დაუგ-დია, მაგრამ თავს ცრემლის ტბაში გრძნობდა.

— მამა! — ჩაეხუტა კაცს, ლოყით მიეკრა მის გაუპარსავ, ჭაღარა, ბურძგლა ლოყას.

— ჰო, ჰო! — წყვილი კურცხალი ჩამოუგორდა კაცს. ჯიბიდან შეღანძლული ცხვირსახოცი ამოიღო და ცრემლი შეიშრო. — ჰო, აწი ხშირად მოვალ!.. თურმე რამოდენა გოგო მყოლია!

გამომშვიდობებისას ჯიბიდან დაჭმუქნილი ხუთმანეთიანი ამოაცოცა და ცისიას მორცხვად ჩაუკუჭა ხელისგულში.

ცისიამ ჭიშკრამდე მიაცილა, მამა მძიმედ წაჩანჩალდა სასოფლო საბჭოსაკენ, რათა რაიცენტრში მიმავალ ავტობუსს გაჰყოლოდა...

11

დიდი ნიკანორი „ნიკანორის ქვიდან“ დავინახე. იქნებ მომეჩვენა, ვერ დავითიცებ, სინამდვილეა-მეთქი. აშკარად წარმომიდგა: თეთრიალენებიანი ხომალდის გემბანზე იდგა ჩიბუხით ხელში. ჩიბუხი დამიქნია და ამ დროს კაპიტნის სამხრეებზე ოქროს სხივებმა გაიელვა... ბოლომდე დარწმუნებული იმიტომ არა ვარ, ყოველივე სიზმრისა და ცხადის ზღვარზე მოხდა. მეორე წუთს კი მხოლოდ მშვიდი ზღვა იყო ფართოდ გაშლილი და თეთრი ხომალდი კიდიდან კიდე არსად ჩანდა...

დიდი ხანი არ გასულა, ბიბლიოთეკაში შემხვდა. თაროებს შორის გვერდულად გავძვერი, სქელ-სქელი წიგნების ყუებს ვათვალიერებდი, მინდოდა რაიმე საინტერესო შემერჩია, მაგრამ ყოყყმანობდი. ამ ყოყმანში დიდ ნიკანორს შევეჯახე... ზევიდან გადმომხედა, ბიბლიოთის ჭაღარა შერთვოდა, ნიკაპზე პატარა სამკუთხა წვერი მოეშვა, ლოყები კი სუფთად გაეპარსა. ჩამერალი ჩიბუხი კბილებით ეჭირა და ისე მითხრა: „საინტერესო!“ თან გაშლილი წიგნი დაკეცა და გამომიწოდა. გადავშალე და ნახატს დავაკვირდი: უზარმაზარი კაცი გაშოტილა მინაზე, უთვალავი ბანრით ხელფეხეკრული. პანაწკინტელა კაცუნებს გვერდიდან კიბე მიუდგამთ, არბი-ჩამორბიან და კასრებით საჭმელ-სასმელი ააქვთ, რათა ეს გიგანტი გამოკვებონ. „ზღაპარია?“ — ვკითხე. დიდმა ნიკანორმა ჩიბუხი პირიდან გამოილო და ასე თქვა: „მეც არ დავიჯერებდი, თვითონ რომ არ მენახა!“ მხარზე ხელი გადამხვია. ბიბლიოთეკიდან ერთად გამოვედით, სოფლის ორლობეს დავუყევით. გულდაჯერებით მიყვებოდა: „მისტერ ჯონათან სვიფტმა ჩაიზე დამპატიუ ლილიპუტების ქვეყანაში... ვენვიეთ დედაქალაქ მალ-

დენდოს. რა თქმა უნდა, არათუ იმპერატორის სასახლეში, თვით ქალაქშიც ვერ დავეტეოდით და ქალაქგარეთ შეგხვდნენ. იმპერატორი ნეკათითისოდენა ბრძანდებოდა, მისი ქალიშვილი კი — პრინცესას სახელი ვერ დავიმახსოვრე — ნეკათითისოდენაც ვერ იყო...“ დიდმა ნიკანორმა მოყოლა უცებ შეწყვიტა, წიგნს ხელი შეახო, დანარჩენს აქ წაიკითხავო და მოსახვევები შეუხვია...

გული დამწყდა, ასე უცებ რომ გამშორდა, მაგრამ, ალბათ, დიდად მოუცლელი ვინმე იყო. რას ვიზამდი, წავილე მისტერ ჯონათან სვიფტის წიგნი და „სიხარულის“ უკან, თხმელნარში რომ ეკვდერია, იქ განვმარტოვდი... კუთხეში, მზის გულზე ლოდი გდია და იმაზე მიყვარდა წამოწოლა. ზევიდან ლურჯი ცა გადმომფენოდა, ოთხივე მხრივ მწვანე სუროთი დაფარული კედლები მფარავდა, მე კი წიგნს გადავშლიდი და გავეშურებოდი შორეული მხარეებისაკენ... ლილიპუტების ქვეყანა, ბრობდინგნაგი, ლაპუტა, ბალნიბრბიში, ლაგნაგი, გულდაბდრიბი და ჰუინჰენჰემების უჩვეულო სახელმწიფოები რომ მოვიარე, ჭიხვინით შემოყო თავი პაპუჩი ეძგვერაძემ, ერთი წლით ჩემზე უმცროსმა ბიჭჭა. „რას აკეთებ?“ „ვმოგზაურობ?“ „აბა, მართლა? — უცებ იჯერებს და ცნობისმოყვარეობით: — მომიყევი!“ მეც დიდი ამბით — „ეს ნანგრევები ნანგრევები კი არაა, ხომალდის გემბანია... ჩვენ ზღვის ტალღებზე ვტორტმანებთ... მივემგზავრებით ჰუინჰენჰემების ქვეყანაში....“ და დაწვრილებით უჟყვები, რაც გადაგხვდა ლემუელ გულივერს, დიდ ნიკანორს და მე ცხენების სამეფოში. ერთ ამბავში ვარ და მწვანე ტოტები გაინ-გამოიწევა, ჩემზე ორი წლით უფროსი მამუკა გიორგაძე გამოყოფს თავს. სანამ შემოძრებოდეს, კარგა ხანს მიგდებს ყურს, ეცინება და მეუბნება: „ნიკანორ, ბილიკზე, ვერასულას კლდესთან კაცმა გაიარა, იქნებ ისაა დიდი ნიკანორი!“ ვიცი, იტყუება, მაინც ხალისიანად გავრბივარ იქით.

თხმელნარი ჩუმად შრიალებს. ეკალბარდები აძონძილა აქა-იქ. ფუტკრის ბზუილი ისმის. სულ ახლოს, ბილიკის გასწვრივ ბროლილელე მოჩხრიალებს. აგერ ვერასულას კლდეც! ვხედავ, ლოდზე კაცი ზის. ნაცნობი კიტელი, ბილა ულვაშები,

ალერსიანი თვალები... ჩიბუხს დარბაისლურად აბოლებს... „ნიკანორ, მაპატიე, მაშინ ისე უცბად მიგატოვე, შორს მივე-მგზავრებოდი!..“ სირბილისაგან გული ამიჩქადა, ჰაერს ხარ-ბად ვისუნთქავ, ის კი მშვიდად შემომცქერის და უწყინრად — „მესიე უიულის დავალებით საპარო ბურთი უნდა გამომეცა-და... მესიე უიული ამბობს, საპარო ბურთი ჰაერზე მსუბუქი ერთადერთი საფრენი აპარატია. უარს ხომ არ ვეტყოდი! ორა-სი მეტრის სიმაღლეზე ავფრინდი... ვერ წარმოიდგენ, რა მშვე-ნიერია ზევიდან ჩვენი მიწა... ტყვები, მდინარეები, გორაკები, სახლები. უცაბედად ქარი მოვარდა და გამიტაცა. თითქმის ორი კვირა მივფრინავდი ბურუსში, საპარო ბურთმა სიმაღლე დაკარგა. უკვე ზღვის ტალღები სწვდებოდა ჩემს კალათას და ამ დროს გამოჩნდა მიწის პატარა ზოლი. ვაშა, გადარჩინილი ვარ! თურმე დაუსახლებელ კუნძულზე მოვხვდი. ლრმადპა-ტივცემულმა კაპიტანმა ნემომ გადამარჩინა... დიახ, ამიტომაც მხედავ ცოცხალსა და სალ-სალამათს! თუმცა ყოველივე ამას წაიკითხავ მესიე უიულ ვერნის წიგნებში!..“ დაამთავრა დიდმა წიკანორმა და სწორედ ამ დროს წამომეწივნენ პაპუჩი და მამუკა... „რა გიუივით გამოგვექეცი, მე ხომ გეხუმრე!“ — მითხრა აქოშინებულმა მამუკამ, მე კი ვერასულას კლდეს ავხედე და მაშინ ვიკითხე: „რატომ ჰქვია ამას ვერასულა?“ „ვე-რავინ ადის და იმიტომ!“ — განმიმარტა ყოვლისმცოდნე მამუ-კა გიორგაძემ. „მოდით, ბიჭებო, ვსინჯოთ! იცით ზევიდან დედამიწა რა მშვენიერია!“ „ხომ არ გააფრინე, ჩამოვარდები!“ — გამაფრთხილა მამუკამ. არ დავუჯერე, მივადექი კლდის ძირს და შევათვალიერე.

თავზევით გადმოწოლილიყო უზარმაზარი კლდე. სწორი, ოდნავ ატალღებული სანახები ბროლილელესი პირდაპირ კლდის ძირს აწყდებოდა. ზევით, წვეროდან გორაკიანი მხარე იწყებოდა და თანდათან მაღლა და მაღლა შორეულ მთებში გადადიოდა... ცდუნებამ მძლია, შვერილი მოვსინჯე, ცოტათი ავიწიე. „ხომ არ გაგიუდი!“ — ფეხებში მეცა მამუკა. პაპუჩიც პირდალებული მიყურებდა და გამეცინა.

იმ ღამეს ლოგინში ჩათბუნებული ვფიქრობდი. აგერ დიდ-მა წიკანორმა დედამიწის ყველა კუთხე-კუნჭული მოიარა. მე

კი ვერასულას კლდეზეც ვერ ავსულვარ-მეთქი. მრცხვენო-და საკუთარი გაუბედაობისა. მაშინ განა მამუკა გიორგაძის შეძახილმა შემაჩერა. ოდნავ მოვწყდი მიწას, კლდის შვერილს ჩამოვეკიდე და მთელი სხეული წამში დამიძაბუნდა, მუხლებ-ში სისუსტე ვიგრძენი, ხელებში ღონე გამიქრა...

დიდი წიკანორი კი კვლავ გამომეცხადა. „ძვირფასო მე-გობარო! — ასე მითხრა. — ახლახან დავბრუნდი შორეული და საშიში მოგზაურობიდან. უბედურება შემემთხვა. ჩემი ძველი ნაცნობი კაპიტანი აქაბი თეთრ ვეშაპთან ბრძოლაში დამეღუ-პა... მე კი, წარმოიდგინე, კუბომ გადამარჩინა... დიახ, ხომალ-დი დაიღუპა, მაგრამ ოკეანის სიღრმიდან კუბო ამოვარდა და მეც ზედ შევაჯექი... თუმცა, დასძინა დიდმა წიკანორმა, მის-ტერ ჰერმან მელვილს ეს ამბები შესანიშნავად აქვს აღწერ-ილი..., იმ საღამოს კი, მაგნოლიის ძირას, პაპუჩი ეძგვერაძეს გატაცებით ვუყვებოდი, თუ როგორ ვმონაწილეობდი თეთრ ვეშაპთან ბრძოლაში, როგორ დაიღუპა აქაბი, მე კი, დახეთ რა ბედი მქონია, კუბოზე შევჯექი და ოკეანე გადმოვლახე... შიმ-შილისაგან კინალამ სული გამძვრა და ამიტომაც ვარ განრიპუ-ლი. პაპუჩი, როგორც ყოველთვის, თვალგაცეცებით მიგდე-და ყურს. ყოველი სიტყვა სჯეროდა და უცებ მიმოზა კაციამ, მორცხვად გამიღიმა და პირველად გავიგონე მისი ხმა: „რა უცნაური ვინმე ხარ, წიკანორ!“

„რა უცნაური ვინმე ყოფილხარ!“ — ნაძალადევად გამიცი-ნა „ოხოტსკის“ ბოცმანმა, მეგობრობის ხელი გამომიწოდა, მა-გრამ ამ ხელს არ დავენდობი. წინა დღეს, შენ მაინც გეწერე-ბაო, „ელვა-გაზეთით“ გაგვამხიარულეო, — მითხრეს. დილით, თურმე, ბოცმანის კუბრიკში ოთახის ტარაკანი გამოცოცდა. ავდექი და ვირთხისტოლა ტარაკანი დავხატე. ვითომც ამ ტარ-აკანს ბოცმანისათვის ულვაშებში ჩაუვლია საცეცები და ჰაერ-ში პარონიალებს, შიშისაგან დაპატარავებული ბოცმანის ილუ-მინატორში გადაგდებას აპირებს. დგანან მატროსები, უყუ-რებენ და ხორხოცებენ. თავდაპირველად ბოცმანი ტარაკან-ისფერი გახდა, მერე ალბათ მიხვდა, ჩემთან მეგობრობით უფრო მოიგებდა და ხელიც ამიტომ გამომიწოდა...

ჩემი ფიქრი ისევ ვერასულას კლდეს უბრუნდება. იქნებ მიმოზა კაციას წამოძახილმა მიბიძგა, იქნებ ბიჭური თავმო-ყვარეობა მაიძულებდა, მაგრამ ყოველდღე, ხან დილაუთენია, ხან საღამოს ავრბოდი ვერასულას კლდესთან. მივადგებოდი კლდის ძირს, დავუყვებოდი ერთ მხარეს, მეორეს, ვეძებდი ფეხის მოსაკიდებელ ადგილებს. არ მჯეროდა, რომ ვერასუ-ლას კლდე მართლაც ასეთი აულებელია... ვერა, ვერ დავ-ძლიე!.. დიდი-დიდი, ორი-სამი მეტრით ავინევდი თითქმის ბრტყლად მოსწორებულ კედელზე, შიში მართმევდა ღონეს, მაძაბუნებდა, თუმცა აშკარად ვხედავდი კლდის მომცრო შვერილს, ნაბზარევს, ანატკეჩის...

ერთხელ იპოლიტე კვირკველიამ წამასწრო, სამ-ოთხ მეტრ სიმაღლეზე მაინც ვიქნებოდი ასული. გულაჩქარებით, სწრაფად ვქშინავდი, ფეხის წინ გადანაცვლება მიჭირდა და უკან დაბრუნებისაც მეშინოდა. ამ დროს მომესმა დამცინავი ხითხითი. „აბა, აბა, ახლავე ჩამოდი!“ ნელ-ნელა ჩამოვცოცდი. მუხლები მიკანკალებდა და კინაღამ ჩამოვსხლტი... ხომ დავე-ბერტყებოდი მაშინ ქვა-ლორლზე! „ხომ დაებერტყებოდი მა-შინ ქვა-ლორლზე?“ — თითქოს ნაფიქრალი წაიკითხაო, იპო-ლიტემ ყურში ჩამავლო ხელი და „სიხარულისაკენ“ წამათრია. ტკივილს ვითმენდი, მაგრამ მეტად დამამცირებლად ვეჭირე და ღონე რომ მყოფნოდა, იმ ხელს მოვაღრლნიდი... დიანოზ-თან მიმიყვანა, ეგონა დირექტორი გადამყლაპავდა, იმან კი გამიღიმა — „ბიჭია, ფათერაკებს ეძებს!“ „რომ დაიმტვრეს, ხომ მოგვთხოვენ პასუხს?“ „კი, მოგვთხოვენ!“ — მშვიდად შეეპა-სუხა დიანოზი, მე კი მანიშნა, თავისუფალი ხარო...

„მაგი გერყინა? — შემეკითხა დიდი ნიკანორი. — მაგი კი არა, ერთხელ ინდიელებმა კინაღამ სკალპი ამაძვრეს. თუმცა ამ საინტერესო ამბებზე მშვენივრად ყვება მისტერ ფენიმორ კუპერი!“

12

მამა თითქოს სიზმარში ენახა. გოგონა ხუთი წლისა იქნე-ბოდა და კუთხეში იდგა...

ჩია კაცი დაამახსოვრდა, მგონი მელოტიც. ერთ დროს კე-დელზე სურათი ეკიდა, მერე გაქრა. ვერ შენიშნა, როდის ჩამოხსნეს. მეხსიერებაში იქნებ იმ სურათის ანაბეჭდი ჩარჩა.

მაშინ კი, ხუთი წლის გოგონა კუთხეში რომ იდგა, დედა ჩხუბობდა. დამფრთხალ მიმოზას თვალები გაფართოებოდა და ვერა აზრი ვერ გამოეტანა. დედიკო ხმამაღლა ლაპარაკობ-და, ხელებს იქნევდა. მამა პასუხს არ აძლევდა და სადღაც სივრცეში იყურებოდა. მიმოზას უნდოდა ეკითხა, რა მოხდა, რაზე ჩხუბობთო... ვეღარ გაბედა.

მამიკომ ამოიხსრა. მიმოზას წინ ჩაცუცქდა. ხელზე აკო-ცა. თვალებში ლმობიერება და სინანული ედგა.

— ხელი გაუშვი ბავშვს! — შეჰკივლა დედამ და ამ შეძახილ-მა, უშუალოდ მას რომ შეეხო, მიმოზა აატირა. ცრემლი უცბად გადმოყარა, თვალთ დაებინდა. ქალმა ბავშვი აიტაცა, გულში ჩაიკრა და ჩქარ-ჩქარა გაიმეორა: — ჩემია, ჩემია, ჩემია!..

მამა წავიდა და დაიღუპა.

არა, ეს ჩხუბი არაფერ შუაში იყო. ალბათ ასე ჩხუბობდნენ ადრეც, მაგრამ წინა ამბები გოგონას მეხსიერებიდან ამოიშ-ალა. ხასიათით ვერ შეეგუუნ თურმე ერთმანეთს. იმ დღესაც, იქნებ თვითონაც არ იცოდნენ ჩხუბის მიზეზი, მაგრამ კაცი რაღაცნაირად დარეტიანებული გავიდა შინიდან, გონებადა-ფანტული მუშაობდა და მშენებარე სახლის მეცხრე სართუ-ლიდან გადმოვარდა.

დედა გიუს დაემსგავსა. თავს კედელს ახლიდა და გაჰკიო-და:

— მე მოვკალი!.. მე მოვკალი!.. მე მოვკალი!..

მოცვივდნენ მეზობლები, ძლივს გააჩუმეს. დედას გული ცუდად გაუხდა და სასწრაფომ წაიყვანა. მერე გაიგო მიმოზამ, დედა ბავშვს ელოდებოდა თურმე და მუცელი მოწყდა.

საავადმყოფოდან დალეული და სიფრიფანა გამოვიდა. თვალებში ვერ იხედებოდა. ჩაეხუტა თავის გოგოს და მდუღარე ცრემლში ჩაალბო. იმ დღიდან შეიცვალა, ხმამაღლა ლაპარაკს გადაეჩვია. ბავშვს თავს ევლებოდა და სხვა მიზანი არაფერი ჰქონდა.

ორნი ცხოვრობდნენ ერთოთახიან, პანია ბინაში — მიმოზა და დედიკო. ბინა ძველი პროექტისა იყო, ჰმამა იმ კაცი ვერ აუქცევდა ერთმანეთს გვერდს. სამზარეულო ერთი ციცქა ჰქონდა და ვიწრო და გრძელ აივანზე გადიოდა, სადაც ელაგა ყველაფერი, რაც ბინაში ვერ ეტეოდა. ჰყოფნიდათ! ისე, სიტყვის მასალად იტყოდა ქალი, სტუმარი რომ მოგვივიდეს, გასამლელ საწოლს დავდგამ სამზარეულოში. ვინ უნდა მოსულიყო? არც ნათესავი ჰყავდათ სადმე, არც ახლობები. არსაიდან არავინ აკითხავდა დედა-შვილს, თუმცა ერთმანეთთან თავს კარგად გრძნობდნენ და უცხო ვინმე არც იყო საჭირო.

დედა ექთნად მუშაობდა საავადმყოფოში. ხშირად ღამეც რჩებოდა სამორიგეოდ. წასვლის წინ ყოველთვის ეკითხებოდა, ხომ არ გეშინია. არიგებდა, კარები მაგრად ჩარაზე, თუ ვინმე დარეკა, ნუ გაუღებ, მეზობელს დაუკაუუნე და ის გაიხედავსო. „არ მეშინია, დედა!“ — ეტყოდა მიმოზა, თუმცა გული უფანცქალებდა. კარს მართლაც მაგრად ჩაკეტავდა, აფოფხდებოდა საწოლზე და გვიანობამდე წიგნზე ეყვინთებოდა. როდის-როდის ჩაეძინებოდა, მაგრამ საკმარისი იყო ოდნავი გაფაჩუნებაც, აივანზე ნიავის გაქროლება, დაგვიანებული მეზობლის ფერის ხმა კიბეზე, ქუჩაში გავლილი მანქანა... უმაღვე გამოეღვიძებოდა, თავს ასწევდა და ყურს უგდებდა... დილაუთენია გაიჩხაუნებდა გასაღები, ეს დედა აღებდა კარს... „უჰ, როგორ ჩამძინებია!“ — შეაგებებდა ყოჩალად.

მაინცდამაინც რა ისეთი ხელფასი ჰქონდა ქალს. ოქრო ხელების პატრონიან და ავადმყოფები ირჩევდნენ. ცოტ-ცოტა ფულსაც უდებდნენ ხალათის ჯიბეში. მანეთი მანეთს ემატებოდა და ასე გაჰქონდათ თავი. სხვაზე უკეთ არა, მაგრამ არც ტოლებზე უარესად ეცვა და ეხურა. თვითონაც ცდილობდა დედის გულის მოგებას. ღამენათევ ქალს საუზმეს დაახვედრებდა. დასხდებოდნენ მეგობრულად და ჩუმად ჭუკჭუკე-

ბდნენ. დედას სამსახურის ჭორები მოჰქონდა, მიმოზა სასკოლო თავგადასავლებს უყვებოდა.

ერთ დღეს თითქოს რაღაც შეიცვალა. მიმოზა მიყურადებული იყო და იმიტომ შენიშნა, ორ-სამჯერ ქალი ნამტირალევი მოვიდა. გოგონას არაფერი უკითხავს, თუ საჭირო იყო, დედა თვითონაც მოუყვებოდა. არადა, დიდების სამყაროში ბევრი რამ გაუგებარი ხდებოდა. იფიქრა, სამსახურში უსიამოვნება შეემთხვაო და ამით დამშვიდა თავი.

ერთხელ, დილით დედა სარკესთან დაინახა. თვალი გაახილა და ბალიშიდან არც წამონეულა, ისე გახედა. ქალი თმას ივარცხნიდა. ადრეც არაერთხელ ენახა, რა თქმა უნდა, მსგავსი სცენა, ყურადღებად არ ლირდა, მაგრამ ამჯერად დედა სხვანაირად ივარცხნიდა... კოხტაობდა! თმას სხვადასხვანაირად იყენებდა და მუშტრის თვალით აფასებდა საკუთარ ანარეკლს. განსაკუთრებული რა ხდებოდა, მაგრამ მიმოზას უნებლიერი შიში დაეუფლა, ყელში რაღაც გაეჩირა და დაუძახა:

— დედა!

ქალმა გაკვირვებით მოხედა. დავიწყებოდა შვილის იქ ყოფნა. იმასაც რა მიზეზი ჰქონდა შიშისა, მაგრამ აშკარად შემცბარი ჩანდა. თმას ხელი უშვა და თავი დაუდევრად წაიკრა მანდილით.

— აჸ, შენ არ გძინავს?

ამ ნაძალადევ დაუდევრობაში იგულისხმებოდა, რამ შეგაშინა, ვერთობოდიო, მიმოზას კი ერჩივნა, ქალს კეკლუცობა განეგრძო.

პარასკევს, სკოლიდან რომ ბრუნდებოდა, უცხო მაშინ ნახა. დედას თეთრი ხალათის გახდა დავიწყებოდა. ხელები ჯიბებებში ჩაეწყო. ცდილობდა საქმიანი გამოჩენილიყო, ამით ნაცნობებს თუ აგრძნობინებდა, ცუდს ნურას იფიქრებთ, სამსახურებრივ ამბებზე ვმუსაიფობთო... კაცი ოდნავ ახალგაზრდა ჩანდა, სპორტული სტილისა, აი, ისეთი, უასაკონირომ არიან, ვერ გაიგებ, რა ხნისაა... ნაცრისფერზოლებიანი შარვალკოსტიუმი ეცვა, ჰალსტუხიც ნაცრისფერი ეკეთა და თავზე ნაცრისფერი შლაპა ეხურა. ამიტომაც ნაცრისფერი გადასდებოდა თვითონაც. მორიდებით მოაბიჯებდა, განგებ იცავდა

დისტანციას, იდაყვსა და იდაყვს შორის მტკაველი მაინც რჩებოდა, მთლად ყურადღებად იყო ქცეული.

გოგონას უნდოდა მიერბინა, მაგრამ რაღაცამ შეაკავა, თვალი აარიდა. „ეგე, დედაშენი ვიღაცასთანაა!“ — მხარი გაპკრა თანაკლასელმა. „თანამშრომელია!“ — იცრუა მიმოზამ და შინისაკენ გაიქცა.

დიდხანს ელოდა დედას. ერთი სული ჰქონდა, ეკითხა, ვინ იყო ის კაცი, მაგრამ როცა ქალი დაბრუნდა, ვერაფერი ჰკითხა. ცოტა დამაგვიანდა, დღეს ბევრი სამუშაო მქონდაო, არცთუ გულწრფელად დაუგდო დედამ. მიმოზამ არ იცოდა, წყენოდა თუ არა და ღამით ჩუმად, თავისთვის იტირა. დედა მართლაც დაღლილი ჩანდა, ღრმად ეძინა და არაფერი გაუგია.

მთელი კვირა ისე გავიდა, საეჭვო არაფერი მომხდარა. ცხოვრება ჩვეულებრივი გზით მიდიოდა. ისიც კი იფიქრა გოგონამ, ეჭვიანი ვარ და საკუთარმა ეჭვებმა დამაფეთესო. ცოტათი გამხიარულდა, გალადდა. ახლა უკვე შეეძლო ეკითხა დედისთვის, ვინ იყო ის ნაცრისფერი კაციო, მაგრამ საამისოდ ვერც თვითონ მოიცალა და არც დედას ეცალა. სამუშაო მართლაც ბევრი ჰქონდა ქალს, რასაც მოწმობდა ხალათის ჯიბიდან ამოკრეფილი მანეთიანები.

ცუდად დამებედა ეს პარასკევებიო, გაიფიქრა მიმოზამ და მართლაც პარასკევ სალამოს დედამ მოულოდნელად ჰკითხა:

— ხვალ შინა ვარ და სად გირჩევნია წასვლა, თეატრში, კინოში თუ ცირკში?

მიმოზამ ეჭვით შეხედა. დედას ლოყები შეეფაკლა და ეს არ მოეწონა. ამიტომაც უპასუხა:

— არ მცალია, ხვალ გაკვეთილები მაქვს!

დედას არაფერი უთქვამს. შაბათს კი, სკოლიდან დაბრუნებულს კარი რომ გაუღო, მიმოზა უმაღ მიხვდა, რაღაც მომხდარიყო. დედამ უცნაურად დაიმორცხვა, განითლდა და სწრაფად წასჩურჩულა:

— ჩვენთან სტუმარია!

დიახ, ის უცხო კაცი იყო.

— მიმოზა, გენაცვალე, მიესალმე ძია ლადიკოს!

დღესაც ნაცრისფერი ეცვა. პერანგზე ზედა ღილი შეხსნოდა და უფერული ბუწკი მოუჩანდა. ლამაზი კაცი ეთქმოდა, მაგრამ ფერი აკლდა.

ადრინდელი რიდისა არაფერი ეცხო, გაშინაურებულიყო.

— ჲა, ეს ის მიმოზაა, რომელსაც არც კინო უნდა, არც ცირკი და არც თეატრი? იქნებ ნაყინიც არ უნდა და ტკბილი ნამცხვრებიც?

არაფერი უნდოდა მიმოზას, გარდა ერთისა — ეს კაცი გამქრალიყო.

ძია ლადიკო არ გამქრალა, ის დარჩა და მიმოზას არ შეეძლო ამის წინააღმდეგ რაიმე ეღონა.

სამივენი ერთ ოთახში ვერ დაიძინებდნენ, მიმოზა ხომ არც ისე პატარა იყო. მომცრო ტახტი დაუდგეს სამზარეულოში, მაცივარსა და გაზქურას შორის, იქ, სადაც წინათ სასადილო მაგიდა იდგა. მაგიდამ კი შუა ოთახში გაიჩირჩა და მიმოზა მუდამ ზედ აწყდებოდა.

— აქ დაიძინებ შენთვის კოხტად! — ნაძალადევი მხიარულებით თქვა დედიკომ, თან მზერას ვერ უსწორებდა.

მიმოზა მორჩილად გამოეხმაურა:

— ჲო, დედა!

მთელი ბინა რაღაც უცხო, უჩვეულო ფაჩუნით აივსო. უჩინარი ლანდები დაძრწოდნენ თითქოს და მიმოზას ძილი არ ეკარებოდა. ოთახიდან ხმადაბალი ჩურჩული ისმოდა გაუთავებლად. ნეტავი რაზე ლაპარაკობდნენ ამდენს, ალბათ ჩხუბობენ და ისევ რიგდებიანო, ფიქრობდა. სიტყვები არ ესმოდა, მაგრამ ძალაუნებურად ყური იქითკენ ჰქონდა მიპყრობილი. თავდაპირველად ფრთხილი ჩურჩუნილა აღწევდა. მერე და მერე სიფრთხილეს მოუკლეს, ფიქრობდნენ, ბავშვს დაეძინაო, ბოლოს კი თვით ბავშვის არსებობაც ავიწყდებოდათ.

საშინელი იყო ეს წუთები, თავზარდამცემი. საბანს თავზე წამოიხურავდა და ყურებს თითებით იცობდა. სადღაც ნაშუალამევს ძლივძლივობით ჩაეძინებოდა და დილით თვალის გახელა უჭირდა.

— რამ გააზარმაცა ეს ბავშვი? — უკვირდა დედას, დაბრმავებულიყო და ვერაფერს ხედავდა.

უცხო ალერსით დნებოდა, მუდამ კატასავით კრუტუნებდა. ყოველნაირად ცდილობდა გოგონას გული მოეგო. მხოლოდ ღიმილით ელაპარაკებოდა, მხოლოდ გულისგასახარ სიტყვებს უბნებოდა, შოკოლადის ფილებს უზიდავდა. მიმოზას გულს კი არაფერი ეკარებოდა. შოკოლადი უყვარდა, მაგრამ ამ ფილებს პირს არ აკარებდა, თანაკლასელებთან მიჰქონდა.

ერთხელ საშინაო დავალებას წერდა. ამოცანის ამოხსნა გაუჭირდა და დედას დაეკითხა. ქალს დაეზიარა ტვინის განძრევა, კაცს გადმოუყვად:

— ლადიკო, მიეხმარე, გეთაყვა!

უცხო დაუზარებლად ნამოდგა, დაიხარა, ხელით გოგონას კისერს დაეყრდნო. მიმოზას თითქოს მძიმეზე მძიმე ტვირთი დააწვა, კისრის მალები ეტკინა. უხეში, ცივი, ოფლიანი მოეჩვენა კაცის თითები. უზროდ დაჰყურებდა რვეულის ფურცელს და საკუთარ ნაწერს ვერ არჩევდა. უცხომ კი მეორე ხელით ფანქარი აიღო, ამოცანა წუთში ამოხსნა, ხუმრობით თმა აუბურდა და მოშორდა. მიმოზას შიგნით თითქოს ძარღვები დააწყდა. მთელი ტანი უთროთდა და კარგა ხანს ვერ შეძლო ამოხსნილი ამოცანის გადაწერა.

იქნებ ზედმეტი იყო შიში და განცდა, ბოლოს და ბოლოს რას უშავებდა ეს კაცი? მის ყოველ სიტყვასა და მოძრაობაში სიკეთის სურვილი იგულისხმებოდა. სად იმალებოდა აქ საფრთხე? ზღაპარში ბოროტებას ქაჯისა და დევის სახე აქვს, სიკეთეს — უფლისნულებისა, გლეხის ბიქებისა და ფერიებისა, სინამდვილეში კი რაოდენ ძნელია გაარჩიო ბოროტი და კეთილი. უცხოს ლამაზი პირისახე და აღნაგობა ჰქონდა, არც ქაჯსა ჰქავდა და არც ცხრათავიან დევს. ასაკში შესული ქალისათვის მეტისმეტად ახალგაზრდა ჩანდა და იქნებ აქ იმალებოდა უნდობლობის სათავე? ვინმე ჭალარა, სახედალარული კაცი ნაკლებ შეაშინებდა, თუნდაც მკაცრი ვინმე ყოფილიყო, ბევრი მოეთხოვა და ცოტა გაეცა, ეს უფრო სამართლიანად მოეჩვენებოდა. გაუიოლდებოდა ასეთი კაცისთვის მამის დაძხებაც. არადა, დედა ჩუმ-ჩუმა ეხვეწებოდა, მამა დაუძახეო. გაუჭირდა, მაგრამ ნამდვილი მამა თითქმის დავინყებოდა და

დედის ხათრით უცხოს „ლადიკო-მამა“ დაუძახა. კაცს გაუხარდა, ხელი სტაცა და მუხლზე დაისვა. დედა იქვე იჯდა და ქსოვდა. იცინოდა, უხაროდა ოჯახური იდილიის ეს სურათი. მიმოზას კი ეუხერხულა. უკვე წამოჩიტული გოგო იყო, მისი სულის ფარულ კუნჭულებში ქვეცნობიერი, გაუგებარი ლტოლვა იბადებოდა, ლონდ ქალურობის ეს პირველი, უბინდა ნმინდა ძახილი ვერაფრით ეგუებოდა ამ მოფერებას — ზიზღი ეუფლებოდა, ამბოხების სურვილი კლავდა... დაუსხლტა უცხოს ხელებს და სამზარეულოს შეაფარა თავი. დედა და „ლადიკო-მამა“ კარგა ხანს იცინოდნენ, თუმცა ამ სიცილს ეჭვის ელფერი მიეცა.

იმ დღიდან მეტი სითამამე იგრძნო უცხომ. ხანდახან უცნაურად მიაშტერდებოდა გოგონას და მიმოზას ტანზე ეკლები ჩხვლეტდა... ცუდი რა ხდებოდა?.. მიმოზას რცხვენოდა საკუთარი თავისა, ვერ ბედავდა გაეაზრებინა ყოველივე, მაგრამ ღამღამიბით, ლოგინში მარტოდ დარჩენილს, ფიქრად აეკვიატებოდა, ავდგები და გავიქცევიო, ლონდაც, სად უნდა გაქცეულიყო? ვინ ჰყავდა დედის გარდა, ვინ შეიფარებდა? ვინ დაიცავდა საშიშროებისაგან, რისი სახელიც არ იცოდა.

ოჳ, ეს უსაშველოდ გაჭიანურებული ღამეები, როცა ვინრო სამზარეულოში სული გეხუთება. ფერხთით, გაზქურაზე ოთახის ტარაკანი დაფაჩუნობს, თავთით მოძველებული მაცივარი გრიალებს და ქშინავს. ქუჩიდან ჩავლილი მანქანის გუგუნი და თუხთუხი შემოდის. მეზობელი ოთახიდან კი ისმის ლადიკოსა და დედას გაუთავებელი ჩურჩული, რომლის სიტყვები გაუგებარია, მაგრამ დედის ხმის კილო წუნუნსა და მუდარას გამოხატვას, მასში თხოვნა გამოსჭვივის, ლადიკოს ხმაში კი მდიდარი სოვდაგრის გაღიზიანება იგულისხმება, ვისაც თავი მოაბეზრეს და თუმცა ბუნებით ძუნწი არაა, მაშინდა გასცემს, როცა მოეპრიანება. ამ დროს ძილგატებილ მიმოზას ეცოდება დედა და ეზიზდება კიდეც, გულში მემბოხის ცეცხლი უტრიალებს, მაგრამ ვერა და ვერ ბედავს ხმის ამოღებას.

მერე დედას ღამის მორიგეობამ მოუნია. ჭკვიანად იყავიო, მიმოზას დაუბარა. აბა, კაცს ხომ ვერ გაუბედავდა. გოგონა სამზარეულოში, თავის ლოგინზე აძვრა და სახელმძღვ-

ანელოები გადაშალა. ნავახშმევნი იყვნენ, მაგრამ ლადიკოს მაინცდამაინც ჩაი მოუნდა. თვითონვე აიდულა და დაისხა. შენც ხომ არ დალევო, მიმოზას დაეკითხა. გოგონამ თავი გააქნია. წიგნში ჩარგო ცხვირი. ერთსა და იმავე სტრიქონს დაშტერებოდა და ვერაფრით ამოეკითხა. უცხო აუჩქარებლად ანკარუნებდა ჭიქაში კოვზს, ნელ-ნელა, პატარ-პატარა ყლუპებით სვამდა და თვალს არ აშორებდა. მიმოზა გრძნობდა მის მზერას, გულმუცელი ემღვრეოდა, მაგრამ ცდილობდა არაფერი დამჩნეოდა. ლადიკომ ჭურჭელი აკრიფა, მაგიდა ტილოთი გადაწმინდა, პურის ფინჩხი სანაგვეში ჩაყარა, ღამე მშვიდობისაო და გავიდა... მიმოზა დიდხანს იჯდა გაუნძრევლად. ყოველი ფაჩუნი ესმოდა ბინაში... აი, უცხო ფანჯარასთან დგას, სიგარეტს ეწევა (თამბაქოს სუსტი სუნი აქამდეც აღნევს!). აი, ნამწვავი გადაისროლა, ვინ იცის, იქნებ გამვლელს დაეცა თავზე... ახლა საპირფარეშოში შედის, ონკანი მოუშვა, წყალი ჩხრიალებს... ოთახში მიდი-მოდის... ნეტავი რას დადის ამდენს, რა ანუხებს?.. ოხრავს... რადიოს ჩართავს და უმალ გამორთავს... კლასიკური მუსიკა არ მოსწონს... ახლა ალბათ იხდის... საწოლი ჭრაჭუნებს... წვება... სიჩუმეა... საწოლი ისევ ჭრაჭუნებს... ვაითო დება... არა, გვერდს ინაცვლებს... მიმოზამ შვებით ამოისუნთქა. ჩუმად იხდის, ტანისამოსს სკამის ზურგზე ჰკიდებს. ფრთხილად, უხმაუროდ წვება. გული აჩქარებულად უცემს... იმ ოთახში კვლავ აჭრაჭუნდა საწოლი... ვაიმე, დგება!.. არა, წევს!.. სიჩუმეა... გარეთ მანქანა თუხთუხებს. ღამეა. ბნელა. მთელ სახლს სძინავს, მიმოზასაც თვალი ეხუჭება... მოულოდნელად უცხომ თავი ასწია, საწოლის ქვემოდან უზარმაზარი, ხორცის საკეპი ნაჯახი გამოაჩინა. პირს უსინჯავს. დგება, თითის წვერებზე მოიწევს, ნაჯახი თავზე-ვით უჭირავს... „დედა, დედა!“ — მიმოზა ცდილობს მშველელს უხმოს. შიშისაგან ხმა დაკარგვია, გული გასკდომაზე აქვს. სულ ახლოს ხედავს უცხოს სახეს, სიბნელეში ქაჯს დამსგავ-სებია, ღოჯები ამოზრდია. „დედა!“ — ძლივს ჩურჩულებს მი-მოზა... უცბად ეღვიძება. ოფლად გაღვრილა. სიჩუმეა. ღამეა. ბნელა. მთელ სახლს სძინავს. ოთახიდან ლადიკოს ფშვინვა ისმის... მიმოზას კვლავ ძილ-ბურანი ითრევს. დედის ხმა აღვი-დებს. დაგვიანებულა. მზე უკვე მაღლა ჰკიდია.

— ადე, გოგო, შუადღეა უკვე, რა ძილქუში დაგაწვა? — მთელი ღამე მაგისი ფაჩუნიც არ გამიგია! — იცინის ლა-დიკო. — სძინავს თრითინასავით! — ცოტა გვიან კი დასძენს: — ეჱ, ბავშვობავ, უდარდელო ბავშვობავ!

უდარდელო? გოგონას დარდი ხრავდა, მაგრამ ვერავის უმხელდა. შიშითა და ფორიაქით ელოდა დედის ღამეულ მორიგეობებს. არაფერი მომხდარა, მაგრამ ვერა და ვერ შეეგუა უცხოსთან ერთ ჭერქვეშ მარტოდ დარჩენას. დედას კი ღამის მორიგეობა მოუხშირდა. ახლა მეტი ფული სჭირდებოდათ. ლადიკო არსად მუშაობდა და თუ შინიდან გავიდოდა, მხოლოდ იმიტომ, ეზოში, მეზობლებთან დომინო ეხათქუნებინა. „არ ნახვიდე!“ — უთხრა ერთხელ მიმოზამ დედას. „შენ გგონია, მიხარია ღამის თევა? — დედამ ნაძალადევად გაიცინა. — ხომ ხედავ, უძილობამ დამაბერა, პირისახე დამინაოჭდა. მალე ჩემს ქმარს მოვბეზრდები! — მერე გამომცდელად შეხედა: — შენ რისი გეშინია?“ რა უნდა ეპასუხნა? სათქმელი არაფერი ჰქონდა და გაუჩუმდა.

უცხო საბოლოოდ გაშინაურდა. უკვე არავისი ერიდებოდა. დილიდანვე ვინრო ბინაში ტრუსისამარა დაბორიალობდა. მსუქანი არ ეთქმოდა, მაგრამ აზიზი სხეული ჰქონდა და ხორცი დონდლოდ ეკიდა. მიმოზა თვალს არიდებდა, ზიზღი ყელში ებჯინებოდა. თითქოს ჭაობის დიდ ლოქორას გაევსო მთელი ბინა და ფეხის დასადგმელი ადგილიც აღარა რჩებოდა. უნებლიერ საკუთარი სიშიშვლე აფრთხობდა. დედა როცა არ იყო, ლოგინში ხალათითვე წვებოდა. აბაზანაში რომ შევიდოდა, კარს სინჯავდა, ჩაკეტვა ხომ არ დამავიწყდაო. სულ ეჩვენებოდა, კარს უცხო მოადგა და სახელურს ეჯაჯგურებაო. ერთხელ მართლაც მოსინჯა კაცმა სახელური. „შიგა ხარ?“ — იკითხა. მეტი არაფერი, მაგრამ დამფრთხალმა გოგონამ გულისცემა კარგახანს ვერ დაიოკა.

თითქმის ორი თვე გავიდა უკვე. ერთხელაც, დედა ღამით მორიგეობდა და ლადიკო ადრე დაწვა. მიმოზა თავის ტახტზე იჯდა ჩვეულებისამებრ. გაკვეთილი ჰქონდა სასწავლი, მაგრამ გულს ვერ უდებდა. ბოლო დროს მეცადინეობას უკლო და კლასის დამრიგებელმა შენიშვნა მისცა. ახლაც წიგნი გადა-

შალა, მაგრამ თავი ვერ აიძულა, გაფანტული გულისყური მოეკრიბა. წიგნი გადადო, სინათლე ჩააქრო და ჩაწვა... ყურს უგდებდა ლამის ხმაურს. ფიქრობდა თავის გაუხარელ ცხოვრებაზე, დედაზე, რომელსაც სმენა დაჩლუნგებოდა და შვილის გულისცემა აღარ ესმოდა. დალუპულ მამასაც იხსენებდა და სწყინდა, ასე ცოტა რომ ჰქონდა გასახსენებელი, ფიქრობდა უცხოზე, „ძია ლადიკუზე“, „ლადიკო-მამაზე“, თვით თავისი არსებობით რომ უნგრევდა ჩვეულ ყოფას... თავს გისოსებში გამომწყვდეულივით გრძნობდა... ენატრებოდა სადმე შორს გადაკარგვა. წარმოიდგინა კიდეც: აი, სახლიდან გადის... უცნაურად სწრაფად მოიტოვა დიდი ქალაქი. წინ ფართო ველი გადაიშალა. მიმოზა მიაბიჯებს ლაღანა ბალახითა და თეთრი გვირილებით დაფარულ მინდორზე. პირზე გრილი ნიავი ელაციცება და გული ამჩატებია, საწუხარისაგან გათავისუფლებულა. მინდვრის ბოლოს, მწვანე კორომში, გამჭვირვალე ნაკადული მორაკრაკებს, თეთრ კენჭებში ულურტულებს. მიმოზა ნელა იხდის, შიშვლდება. წყალში ფრთხილად ჩადის. წყალი თბილია, ალერსიანი, კენჭები ფეხისგულზე ელუტუნება. მიმოზა ნაკადულში წვება, ნებივრობს. გამჭვირვალე, წმინდა წყალი გადასდის მკერდზე, მუცელზე, ფეხებს ჩაუვლის ლივლივით... თვითონაც ხვდება, რომ ლამაზი, ნაზი ფერიაა, ოლონდ დაუცველი, უსუსური. ამ პატარა ნაკადულს მინდობილს ეშინია ფარული ძალისა, მწვანე ლაქაშებში და ლოდნარში რომ მიმალულა... უცებ დიდი, შავი ლოდი შეირხა, უზარმაზარ კიბორჩხალად გადაიქცა, გრძელი საცეცები მიმოატარა, მარწუხა ფეხები ქვებზე ააფხოკიალა და წამოვიდა... მიმოზას გული გაუჩერდა, გაეყინა. პირი გააღო, ჰერი არ ეყო... კიბორჩხალა კი მიოჩეს... სახე ადამიანისას მიუგავს, იღიმება კიდეც... იცნო თითქოს გოგონამ, ოლონდ გონება გამოეთიშა, წინააღმდეგობის ლონე აღარა აქვს... საშინელი კიბორჩხალა კი მთელ ნაკადულს გადაეფოფრა, ჩამოაღამა, მარწუხა ფეხი მიმოზას მუცელზე ჩასჭიდა... გამოეღვიძა! მთელი სხეული უცახცახებდა... სიზმარი თითქოს გრძელდებოდა. მუცელზე მართლაც იდო რაღაც მძიმე და უხეში... ხელი!.. ვიღაცა იწვა მის გვერდით და მუცელზე ფრთხილად უფათურებდა... გიუივით წამო-

ხტა გოგონა, აბაზანაში შევარდა და ჩაიკეტა. უპაერობა ახრჩობდა, სიზმარი და ცხადი ვერ გაერჩია. იატაკზე ჩაცუცქდა და ატირდა. კარს გარედან უცხო მოადგა, დაუკავუნა ფრთხილად, გაუბედავად. ხმა უკანკალებდა: „მიმოზა, გეთაყვა, რამ შეგაშინა, ჩემო გოგო?“ მიმოზა კი ტიროდა და დედის მოსვლა-მდე აბაზანიდან არ გამოსულა...

საუზმის დროს ლადიკომ ფარისევლურად ჩაიხითხითა, დედას უთხრა:

— არ ვუყვარვარ მე შენს გოგოს! ჩემი ბრალიცაა, ვერ მოვიგე მისი გული!

— რაზე ატყობ? — დედამ მიმოზას კარაქიანი პური დაუდო და მიაჩერდა: — შეცვლილი მეჩვენები, ცოტას ჭამ ალბათ!

— გუნება გამიფუჭა ამ დილით! — ლადიკო უტიფრად უყურებდა და მიმოზას ლუკმა ვერ გადაეყლაპა. — ვიფიქრე, გავაღვიძებ-მეთე და ხელი მოვუთათუნებ. შეშლილივით წამოვარდა! თვითონ შემრცხვა, რომელი ურჩხული მე მნახა!

დედამ თავი გამკიცხავად გააქნია:

— არა გრცხვენია? ხომ ხედავ, როგორ უყვარხარ მამას! რცხვენოდა, თუმცა ვერ ჩასწვდომოდა რატომ, რისი? ორი დღის შემდეგ, დედა რომ ლამის სამორიგეოდ მიდიოდა, მოიტყუილა.

— ცუდადა ვარ!

— რა გტკივა? — ჰეკითხა ქალმა.

— არ ვიცი!

— ალბათ სკოლაში გეზარება წასვლა და იგონებ!

დედა წავიდა.

საწოლზე მოკუნტულ მიმოზას ძილი კვლავ გაუფრთხა. ეშინოდა სიზმრისა, ცხადისა კი — უფრო. საბანი მჭიდროდ შემოეხვია და ცახცახებდა. უცხოსაც გაუტყდა ძილი. მთელი ლამე ხვენეშოდა, გვერდს ინაცვლებდა. ხანდახან ადგებოდა, აივაზზე გავიდოდა, სიგარეტს ეწეოდა, მერე აბაზანაში ონკანს მოუშვებდა, პირს იბანდა და ფრუტუნებდა, სინათლეს ცოტა ხნით აანთებდა და აქრობდა... გარიურაჟზე მიმოზა ისევ დალლასა და ძილს ებრძოდა, როცა ლადიკომ შემოიხედა. ბინდი ქრებოდა და უცხო ისე გამოიკვეთა, თითქოს იატაკიდან

ამოძვრაო... ტრუსის ამარა იყო. გრილოდა და უფერულბენვი-ან მკერდზე ხელი მოისვა.

— გადაირევი კაცი, რატომ არა გძინავს? — ხმადაბლა ჰკითხა, მღელვარებისაგან ხმა ჩახლეჩოდა.

მიმოზა ზურგით კედელს მიეკრა. მკერდზე საბანს ისე მაგრად იფარებდა, მაჯები ეტკინა.

უცხო შინაურულად ჩამოუჯდა საწოლის კიდეზე.

— ძილი გამიტყდა, ათასი ფიქრი მიტრიალებს თავში.

მიმოზას ესმოდა მისი ჩახლეჩილი ხმა, მაგრამ აზრი ვერა-ფერი გამოეტანა. იქნებ ამ უცხოსაც სადარდებელი გასჩენოდა და გულის გადამლა ეწადა. იქნებ მარტოობას გაურბოდა, აქ კი მიმოზას გარდა არავინ იყო.

— მცივა! — თქვა უცებ უცხომ. შიშველი იჯდა და კანზე ბუსუსები ეყარა. — მცივა! — გაიმეორა. — ვერაფრით გავთბი. — მერე გოგონას დააკვირდა. — შენც გცივა? რატომ კანკალებ? გეშინია თუ გცივა? გინდა, გაგათბო?

მიმოზას არაფერი უნდოდა, მიმოზას სადმე გადაკარგვა უნდოდა! გამომწყვდეული პატარა მხეცივით კედელს ეკვროდა და ცახცახებდა. ხმის ამოლება კი ვერ შეძლო.

უცხომ საბნის ბოლო მოსწია. მიმოზამ არ დაანება, მაგრამ მისი სუსტი ხელების წინაალმდევობა უცხოს არც შეუმჩნევია და თავისი დიდრონი, უხეში ხელი წელზე დაადო, კედელს მოსწყვიტა...

მიმოზა ატირდა. ცრემლი ლვარად წასკდა. უცხომ წუთით გაინია, ერთგვარი გაკვირვებით შეხედა, აჩურჩულდა:

— ნუ გეშინია, გენაცვალე, არაფერს დაგიშავებ. რამ და-გაფრთხო, შე გლახა, რომელი კაციჭამია მე მნახე!

ქარგავდა ამგვარ სიტყვებს, მეტი არაფერი, მაგრამ ის ხელი, მძიმე და უხეში, მიმოზას წელზე რომ ედო, თითქოს ხე-რხემლის გადამტვრევას უქადდა... მიმოზას კი სხვა ლონე არა ჰქონდა, გარდა ცრემლისა...

ამ დროს დაინკრიალა ზარმა. უცხო წამოვარდა და თავის ოთახში შეიპარა, იქიდან კი ნამძინარევი ხმით დაიძახა:

— ვინ არის?

დედის გარდა ვინ იქნებოდა.

წამოფრატუნდა, კარი გაულო და ნაძალადევი მხიარუ-ლებით — ა, შენა ხარ? ასე ადრე რატომ გამოგიშვეს?

— დავეთხოვე, — ჩურჩულით შეეპასუხა ქალი, — წუხელ ბავშვი უგუნებოდ მეჩვენა და ვერ მოვისვენე, ავად ხომ არ გახდა-მეტქი!

— რა სჭირს, კაშივითაა! — ხმა ჩახრინწოდა უცხოს. — ე, შეიტყიტე, კატასავით გატრუნულა.

მიმოზამ საბანი თავზე წამოიხურა. სული ეხუთებოდა. კარგად წარმოიდგინა, თუ როგორ შემოიჭყიტა დედამ, ფრთხილად, არ გავაღვიძოო. „სძინავს, დედა ენაცვალოს!“ — და ოთახში გაბრუნდა თავის ლადიკოსთან. იქ ანუნუნდა, ისე ვარ დალლილი, იქნებ თვალი მოვატყუოო... მერე ზამბარები აჭრა-ჭუნდა და ამასობაში გათენდა კიდეც, დრო იყო სკოლაში წას-ვლისა.

მთელი დღე უქეიფოდ გრძნობდა თავს, თავბრუ ეხვეოდა. კლასის დამრიგებელმა კვლავ შენიშვნა მისცა, რა გჭირს, ყურს სულ არ მიგდებო. მერე და მერე ცოტათი გაერთო. შიში გადა-ავიწყდა. მით უფრო, მომდევნო ორი ლამე დედა შინ იქნებოდა... იქნებ გული გაეხსნა დედისათვის, ეამბნა თავისი გასაჭირი... თუმცა, ვინ იცის, რა მოხდება ორი დღის მანძილზე, ხომ შეიძლება უცხომ პაპიროსის საყიდლად ქუჩა გადაირბინოს გალმა მაღაზიისაკენ, გვერდიდან მანქანა გამოვარდეს და ზედ შეასკდეს.

მსგავსი არაფერი მომხდარა. საღამოს დედამ კინოში წაიყ-ვანა. მარტონი წავიდნენ. იქითობისას ნაყინი ჭამეს, აქეთო-ბისას ბალში შეეხეტნენ, ცოტა ხნით ჭადრის ქვეშ ჩამოსხდ-ნენ, დაელოდნენ დღისა და ბინდის გაყრას. მენამული, სუსტი წათურები აინთო და საღამოს იდუმალება წარიშალა. მიმო-ზას გული შეეკუმშა, დედის მხარს ლოყით აეკრა.

— დედა, მე დიდი ვარ?

— შენ? — დაბნეულად ჩაეკითხა ქალი. — ვინ იცის? ჯერ ბევ-რი არ გესმის ამ ცხოვრებისა, მაგრამ მთლად პატარაც არა ხარ!

პასუხმა ვერ დააკმაყოფილა.

— დედა, ნუ გვინდა ის! — თხოვნით, საწყალობლად წარ-მოთქვა მიმოზამ.

— ვინ ის? — სწრაფად, ნერვულად გამოეხმაურა ქალი. ცხადია, მიხვდა, ვისზე იყო ნათქვამი, მაგრამ კითხვა ისე მკაცრი და მტრული გამოუვიდა, მიმოზა უცებ თავის თავში ჩაიკეტა. დედა ანუნუნდა, სვეს უჩიოდა, მარტოობას, მიუსაფრობას, უკაცობას ტიროდა, ოჯახს უმამაკაცოდ ოჯახი არა ჰქვიაო, ამტკიცებდა... მიმოზა არ უსმენდა, მხიარული სალამო ჩაუშეამდათ.

მომდევნო დღეს საწოლიდან აღარ წამოდგა. თავი მტკივაო, შესჩივლა დედას, თუმცა არაფერი ტკიოდა. სკოლაში წასვლა საშინლად დაეზარა. ისიც კი იფიქრა, ავდგები და აივნიდან გადავხტებიო. წარმოიდგინა, ასფალტზე დალენილი საკუთარი ძვლები და ურუოლამ დაუარა თხემიდან ტერფამდე. დედა შეშფოთდა, სიცხე გაუზომა. არა ჰქონდა, მაგრამ ასკოფეინის აბი მაინც გადააყლაპა.

— მაგას სიზარმაცე სჭირს, მე თუ მკითხავ! — ჩაიდუდლუნა ლადიკომ.

— გადაიღალა ბავშვი, ბევრი ინერვიულა! — დედა შეეცადა, დაეცვა.

— მეც ვნერვიულობ! — მოუქრა ლადიკომ, თუმცა გაუგებარი იყო, რას გულისხმობდა.

მიმოზამ წიგნი გადაშალა, წუთის წინ წაკითხული მეორე წუთს ავინწყდებოდა. დედამ, შვილს ვასიამოვნებო, ხაჭაპურები დააცხო. ყველი ცოტათი მლაშე გამოდგა და მიმოზას წყურვილი კლავდა, ონკანში კი სალამომდე მხოლოდ მდუღარე მოთქრიალებდა.

სალამოს ტელევიზორთან დასხდნენ. უცხოური ფილმი იყო, საინტერესოდ იწყებოდა, მაგრამ მოულოდნელად შუქი გამოირთო. ჩუმად ელოდნენ სიბნელეში. ლადიკოს მოთმინება დაელია და გულს ასკდებოდა. მიმოზა დედას ჩაეხუტა, თითქოს მას შეეძლო დაეცვა ბნელში დაყურსული ურჩხულისაგან.

— დედიკო, ჩვენ არავინა გვყავს? — იკითხა უცებ მიმოზამ.

— ვინ არავინ?

— ნათესავები! ყველასა ჰყავს დეიდა, მამიდა, ბიცოლა...

— კი გვყავს, ალბათ... — გაწელა ქალმა. ცდილობდა, ვინმე ახლობლის სახელი გაეხსენებინა, მაგრამ ყველაზე ახლო ნათესავიც ამ ქალაქიდან შორს ცხოვრობდა. — მე გყავარ აგერ, მეტი არავინ გჭირდება შენ! — ეს ისე თბილად გამოუვიდა, მიმოზას გული აუჩუყდა და თავი ძლივს შეიმაგრა, რათა არ აღრიალებულიყო.

კიდევ ერთი დღე და ერთი ღამეც მიიღია. დილით სკოლაში წავიდა. თავი მართლაც ატკივდა. რაღაც ფერი ვერ გადევსო, — მასწავლებელმა უთხრა, — თუ გინდა, შინ წადი და დაისვენეო... არაფერი მიშავსო და ბოლომდე დარჩა. მერე თანაკლასელ გოგონას წაჰყვა. დავალებები ერთად დაწერეს. ტელეფილმს უყურეს. წამცხვარი მიირთვეს.

შინ გვიან მიბრუნდა. არ ჩქარობდა, ნელინელ მოსეირნობდა. დედა ჩაცმული დახვდა, წასასვლელად გამზადებულიყო. სად დაიკარგე, მაგვიანდებაო, შემოსწყრა.

— მიდიხარ? — უიმედოდ იკითხა მიმოზამ.

— ჩვენ უკვე ვისადილეთ, შენ თვითონ გაიცხელე სადილი!

— თავი მტკივა!

დედა შეყოყმანდა, შუბლზე ხელი დაადო.

— სიცხე არა გაქვს, რა ჭირი დაგეტაკა, სულ რომ თავი გტკივა! — ქალმა საათზე დაიხედა, განერვიულდა. — გადაყლაპე ანალგინი და დაწექი!

დედა წავიდა. მიმოზას კი ანალგინის ძებნის თავი არა ჰქონდა. სასკოლო ფორმის გახდაც დაეზარა, საწოლზე აძვრა და დაწვა. ბინაში ჩამიჩუმი არ ისმოდა და უცხოს არსებობაც დავიწყებოდა.

უკვე ჩაბნელებულ ოთახში ხმაურით დაახველა ლადიკომ. მიმოზა შეკრთა, გამოერკვა. ოთახში სინათლე აინთო. უცხო ამოძრავდა, კარგა ხანს დაბორიალობდა. ნეტავი რას აკეთებდა? იცვამდა, ალბათ, ან რაღაცას ეძებდა. მერე აქეთკენ წამოვიდა. კართან ფეხსაცმელს წაჰყრა ფეხი, ხმადაბლა შეიგინა.

სამზარეულოშიც აანთო სინათლე. უაზროდ მიმოიხედა, გოგონას დააცქერდა.

— თავი მტკივა! — საწყლად შესთხოვა მიმოზამ.

— ახლავე, ახლავე!

ოთახში შებრუნდა და მალევე მოვიდა. ხელში ჭიქა წყალი და ორი აბი ეჭირა.

— გადაყლაპე და წუთში გაგივლის!

მიმოზამ აპეპი მორჩილად გამოართვა, პირში ჩაიდო და ყლუპი დააყოლა.

უცხომ ერთხანს უყურა. ტუჩები უღიმოდა, თვალებში კი მასაც შიში უკრთოდა. შუქი ჩააქრო, ოთახში შებრუნდა და ტელევიზორი ჩართო.

მიმოზამ კვლავ ბალიშზე მიდო თავი. საფეთქლები სტკიოდა და ჩუმად კრუსუნებდა, ოღონდ ისე, უცხოს რომ არ გაეგონა.

დიდხანს იწვა გაუნძრევლად, ბნელ ჭერს აჰყურებდა და ტელევიზორის ხმას უსმენდა.

მერე თვალი მიელულა. ძილს შეებრძოლა, წინააღმდეგობა გაუნია. საფეთქლებზე თითქოს საღტე მოუჭირესო, ტკივილნარევ, არეულ ძილში ჩაეფლო. რაღაცნაირ, აბურდულ სიზმრებს ხედავდა, რომლის თავსა და ბოლოს ვერ არკვევდა. სადღაც გარბოდა, ოღონდ ვერ მიმხვდარიყო, რისი ეშინოდა და რას გაურბოდა. გვირილებიან მინდორზე გავიდა თითქოს. გულზე მოეშვა. მტკივან შუბლს გრილი ნიავი მოელამუნა, ოდნავ მოუშუშა. გადაირბინა მინდორი, პეპელასავით გადაფარფატდა. ტყის მწვანე კორომში შევიდა... ნაკადული მოუღურტულებდა თეთრ კენჭებში. მიმოზამ აუჩქარებლად გაიხადა და ნაკადში ჩაწვა. ტანზე ლივლივით უვლიდა გამჭვირვალე წყალი, მკერდზე გადასდიოდა, თეთრ მუცელზე, ჯერ კიდევ გამხდარ, ბავშვურ ფეხებზე... მერე საიდანლაც უზარმაზარი ლოდი გადმოგორდა, გაბრტყელდა, დიდ, საშინელ კიბორჩხალად გადაიქცა. თავზარდაცემული უყურებდა მიმოზა შავ კიბორჩხალას, გაქცევა ეწადა და არ შეეძლო. ის კი დაიძრა, წამოვიდა, გრძელზე-გრძელი საცეცები გამოიშვირა. რკინის შავმა მარნუხებმა ქვა და ხვინჭკი მოფხოჭნეს. ძლივს მოათრევდა შავ, მძიმე სხეულს... მოვიდა საზარელი ურჩხული, გადაეფოფრა გოგონას. მისი მახინჯი პირისახე მიმოზას თავზევით ჩამოეკიდა. ხაოიანი მკერდით კი მიმოზას თეთრ ტანს დააწვა და უცებ კიბორჩხალამ მუცელზე მარნუხები ჩაასო, მაკრატელივით გააწვაპუნა. აუტანელმა ტკივილმა გულ-მუცელი აუ-

წვა გოგონას... ინივლა მიმოზამ, მისმა ხმამ თითქოს ჯებირი გადმოლახა. თვალი გაახილა, მაგრამ სიზმარს ვერ გაექცა. მის ნაზ სხეულს ღონიერი, მახინჯი ქაჯი დაპეტრონებოდა და დაუნდობლად ჯიჯგნიდა. შიშსა და ტკივილს სხვა, არანაკლებ თავზარდამცემი ხმა დაერთო, გიშური კივილი დედისა...

გონს მხოლოდ საავადმყოფოს თეთრ პალატაში მოვიდა. მარტო იწვა. ექიმები ფრთხილად, უხმაუროდ შემოდიოდნენ, თანაგრძნობით დასცექეროდნენ. თვალს ვერ უსწორებდნენ, თითქოს დანაშაულის ნაწილს თავისი მხრებით ეზიდებოდნენ... დიდხანს, დიდხანს მიცურავდა მიმოზა სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის. ერთ ნაპირზე თეთრი სიცარიელე გადაშლილიყო, მეორე ნაპირზე მწვანე ველებს გრილი ნიავი აბიბინებდა... სად ჰქონდა არჩევანის უფლება, თორემ თეთრ სივრცეში განქარდებოდა, მაგრამ ალბათ სხვა, უფრო ძლიერი ნება განაგებდა მიმოზა კაციას ბეჭ-ილბალს და სიცოცხლისაკენ მოახედა...

ნაწილი 2

ნიკანორი და სხვები

13

როგორა ჰგავს საბავშვოსახლელთა ბიოგრაფიები ერთი-მეორეს. რა ცოტაა ბედნიერება და რამდენია გულთა ტკენანი... გადავიკითხე ჩემი ჩანაწერები და არცთუ მხიარულად გავეხუმრე საკუთარ თავს: ნიკანორ, შე ზღვის მგელო, დახე, მწერლის ნიჭიც დაგყოლია ცოტაოდენ... ერთი-ორჯერ გაგვაღიმე კიდეც და ერთი-ორჯერ თვალი აგვიწყლიანე... თუმცა საკუთარ თავზე მთლად დიდი წარმოდგენისა ნუ იქნები. თუ შეძლებ, ეს ცალკეული ამბები ერთ ქოთანში მოხარშე, იქნებ ერთი კერძი მაინც გამოგივიდეს... რაც წინა თავებში ითქვა, თითქოს ნაკადულმა ჩაიჩხრიალაო...

„ეჱ, ჩემო ძვირფასებო, მე არავის ვეშვილები!“ — გონებაში ეს ფრაზა ჩამებეჭდა, ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად თქმული. აქ რა მოსატანია ეს სიტყვები, რატომ მომაგონდა, ანდა რა საერთო აქვს ამ ამბებთან?.. ეს ხომ მაშინავთქვი, ჩემს არცთუ შორეულ ბავშვობაში...

ახლაც ჩამესმის ის საშინელი ხმები, მთლიანად რომ ამავსო, ყურებზე ხელებს ვიფარებ, თუმცა უშედეგოდ...

— ნი-კა-ნორ!

სადღაც შორს, ცის კიდიდან დგრიალით დაძრულა მატარებელი. მოდის, მოიჩქარის... იზრდება, იზრდება... რელსებზე დაგადუგი გააქვს რკინის ბორბლებს. პროჟექტორები მზე-ებივით ბრდლვიალებენ, ბნელს არღვევენ.

ირგვლივ ტრიალი მინდორია, თავშესაფარი არსადა ჩანს.

მსურს გავექცე და ვერ გავრბივარ, ფეხები მებორკება,
ნაბიჯი ვერ გადამიდგამს, გული აჩქარებით მიცემს...

მატარებელი კი გუგუნით მოიჩქარის. რკინის ვაგონები
ეხლება ერთმანეთს, ისმის რახრახი, ღრჭიალი და შემზარავი
კივილი:

— ნი-კა-ნორ!

საფეთქლებზე ხელებს ვითარებ. მინდა დავიმალო და ვერ
ვიმალები, შიშისაგან მუხლები მეკვეთება.

უცებ ვხვდები, მატარებელი კი არ გრიალებს ასე. ეს „ნიკა-
ნორის ქვა“ დაძრულა თავისი მარადიული ადგილიდან, დაძრუ-
ლა და მოგორავს. მიწა იზნიქება მისი სიმძიმის ქვეშ, მტვრის
კორიანტელი ცასა სწვდება... მოგორავს უზარმაზარი ქვა და
ჩახლეჩილი ხმით მოჰკივის:

— ნი-კა-ნორ!

ვერსად ვიმალები, ირგვლივ ტრიალი მინდორია. ქვა კი მო-
გორავს და მოჰკივის... ყურებში უსაშველო ზრიალი მესმის,
ლამისაა თავი გამისკდეს...

— დე-და!.. — მშველელს ვუხმობ.

პასუხი არსაიდანაა...

— ნიკა! — ეს უკვე სულ სხვა ხმაა, სხვა გახსენებაა.

ფანჯარაში მზე იჭყიოტება. შუშას ერთადერთი ბუზი ეხლე-
ბა. ვცდილობ ხელისგულში მოვიმწყვდიო, დალლილი ბუზი
თითებს შორის მიძვრება და ისევ შუშას ეხლება.

— ნიკა, არ გესმის? თავი დაანებე!

— ახლავე, დედა!

— ოპ, ღმერთო ჩემო, რა შეუსმენარი ბავშვია! — დედა-
თამარი წამოენთება, ბოლო დროს იოლად ბრაზდება. უცაბე-
დად წამოუვლის ხოლმე, მკერდზე ხელს მიიდებს, ვაი, გულიო.
დამძიმდა და იმისი ბრალია. მუცელი სულ უფრო და უფრო
ეზრდება, ძლივს დაბაჯბაჯებს.

— ნიკა, რატომ არ უჯერებ დედას! — მამიკო-ტარიელის
ხმაში მოთოვილი სიფიცხე იმალება.

— ახლავე, მამა, აი...

მეცინება, მუჭქში გამომწყვდეული ბუზი ხელისგულში მი-
ცაცუნებს.

— აი...

დედა-თამარს პირზე ზიზდი ეხატება, მამიკო-ტარიელი
ცივად შემომყურებს და ღიმილი სახეზე მადნება.

— ახლავე გაუშვი, წადი, ხელი დაიბანე! — დაბეჯითებით
ამბობს დედა-თამარი, თან ჩანგალს თეთვზე აკაკუნებს გამა-
ფრთხილებლად.

— კი! — ვგრძნობ, დავაშავე. ხელსაბნის კიდეზე ვსვამ
ბუზს. არა უშავს, ფრთები არ დაზიანებია. მწერმა პანია, სიფ-
რიფანა ფრთები ერთმანეთს გაუსვა და გაირბინა. ალბათ, ეს-
იამოვნა კიდეც ხელსაბნის სიგრილე.

ონკანი მოვუშვი, წყალს ხელები შევუშვირე.

— ხელსახოცი მანდ ჰკიდია!

— ჰკ!

— იჩქარე, სხვაგან მივდივართ! — მამიკო-ტარიელს კერ-
ძი უკვე გადმოულია — შემწვარი ბადრიჯანი, ნიგოზი გაძ-
ვირდაო და მაიონეზითა შეემაზული.

დედა-თამარი პირს არაფერს აკარებს. რაც მუცელი წამო-
ეზარდა, მადა მთლად გაუქრა.

მამიკო-ტარიელის პირისპირ ვჯდები. ბადრიჯანზე არ ვგი-
შდები, მაგრამ რაკი მამიკო შეექცევა, მეც მოვიჩოჩებ.

— ჯერ წვნიანი ჭამე!

დედა-თამარი თეფშს მივსებს წვნიანით, თანაც ოსპის
წვნიანით, ჯერ კიდევ საბავშვო სახლში რომ შემჯავრდა. უარ-
ის თქმას ვერ ვპედავ, ხმადაბლა ვჭიჭყინებ:

— ბევრია!

— კარგად უნდა დანაყრდე, შორს მივემგზავრებით!

ჩუმად ვხვრებ, თან ვფიქრობ — „სად შორს?“

— პირს მაგრე ნუ ანკლაპუნებ! — ოცდამეათეჯერ შემახ-
სენებს დედა-თამარი. — პურს ნუ ფჩხვნი, წაფჩხვენებით აივ-
სო მაგიდა!

— თუ აკვიდან არ ასწავლე, მერე გვიანაა! — შენიშნავს
მამიკო-ტარიელი.

— ბევრია! — ჩურჩულით, მორიდებით ვჭირვეულობ.

ჩუმად მივირთმევთ. დედა-თამარმაც მოციცქა პური და
ყველი... უპეებში ცრემლი გაუბრნყინდა.

— მორთე ახლა ზღუქუნი! — უხეშად თქვა მამიკო-ტარი-ელმა, ჩანგალი მაგიდაზე დააგდო.

გული დამეთუთქა. კოვზს შევეშვი. მინდა, დედა-თამარს ჩავეხუტო, მაგრამ ვერ ვბედავ.

წვნიანის თეფში ამაცალა და მეორე, მომცრო დამიდო. მეტის ჭამა არ მსურს.

თავს უნებლიერ დამნაშავედა ვგრძნობ, თუმცა არ ვიცი, რა დავაშავე.

საიდანდაც ჩვენი ციცა შემოიძურნა. ფეხზე გამეხახუნა, საწყალობელი კრუტუნი მორთო. ხელი გავაპარე, პურის ნატეხი დავუგდე.

— ნიკა! — მამიკო-ტარიელმა მკაცრად შემომხედა, თან მაგიდის ქვეშ ფეხი გაიქნია. კატამ შესჩხავლა და კარისაკენ მოცოცხა.

თავი დავხარე, ცრემლი მომაწვა.

— ნიკა! — გამიმეორა მამიკო-ტარიელმა და უცებ დედა-თამარს შეულრინა: — მომაშორე ეგ კატა!

— შენ დაიჭირე თაგვები და მოგაშორებ!

მამიკო-ტარიელმა არაფერი უპასუხა.

სადილი ჩუმად მოვამთავრეთ. მამიკო-ტარიელმა ელექტროსაპარსი ჩართო, წვერის პარსვას შეუდგა. კვლავ ფანჯარასთან მივდექი. არ ვიცი, რა ვაკეთო. შუშას გარედან გახუნებული ფოთლები ეფინება. მოვინყინე. ჩუმად ვუსმენ ელექტროსაპარსის ზუზუნს და ვფიქრობ:

„როცა პატარა ვიყავი....“

დედა-თამარმა წვნიანის ქვაბს ხმაურით დაახურა სახურავი. თეფშები სამზარეულოში გაიტანა. ონკანი მოუშვა და ახლა ბუზღუნ-ბუზღუნით რეცხავს. წყალი ჩხრიალებს, თეფშებს ჩხაკუნი გააქვს, ელექტროსაპარსი კი თანაბრად ზუზუნებს.

„როცა პატარა ვიყავი, ზღვაში დავიბადე....“

— რა თქვი? — დედა-თამარმა რეცხვა მოამთავრა, ხელებს იმშრალებს.

— არაფერი!

ელექტროსაპარსის ზუზუნი შეწყდა. მამიკო-ტარიელმა ლოყებზე მოისვა ხელ, სუფთად გავიპარსე თუ არაო. სარკეს

ზედ მიეწება, თან ენის წვერით ლოყაზე პატარა ბორცვს აჩენს. მეღიმება.

ზღვა?.. ზღვის ლურჯი ფერები მეხსიერებაში არასოდეს მიხუნდება. საკმარისია, თვალი დავხუჭო, გონებაში ვთქვა სიტყვა „ზღვა“, და უმალვე „ნიკანორის ქვაზე“ აღმოვჩნდები. წინ ლურჯი სივრცე გადაიშლება და ალივლივდება. დიდხანს, დიდხანს ვიჯექი ხოლმე „ნიკანორის ქვაზე“ და ველოდი... რას?.. რა უნდა მოსულიყო იმ შორეული ჰორიზონტიდან?.. აგერ თეთრი ხომალდი გამოჩნდა, თავისი გზით მიირწევა აუჩქარებლად... აგერ თოლიები ქანაობენ ტალღებზე... დელფინები ღონივრად მიაპობენ ზვირთებს... ბოლო დღეს ზღვას ვეთხვებოდი. იმდენ ხანს ვიჯექი, სილურჯეში გავითქვიფე. თეთრქოჩირორა ტალღები ხმაურით გაედევნენ ერთიმეორეს. მერე თეთრი ქაფიდან ოქროსთმიანი ასული ამოვიდა, თვალები ლურჯად მომანათა... „დედა!“ — შევძახე...

— რა იყო? — ბუზღუნით შემეკითხა დედა-თამარი.

— არაფერი!

გულისაშვილები — დედა-თამარი და მამიკო-ტარიელი, მოულოდნელად შემოიჭრნენ ჩემს ცხოვრებაში, თითქოს არსაიდანო...

მოსაწყენი, წვიმიანი ამინდი იდგა. გული სევდით მევსებოდა. არ ვიცოდი, რა მადარდებდა, მაგრამ ტირილს ცოტალა მიკლდა. ფანჯრის მინა შენისლული იყო და ხელისგული ავუსვი. წვიმის ფარდა, ტალახიანი ეზო და ბულულა ხეები გამოჩნდა.

უცბად კარი შემოგლიჯეს. ვინ? — კუჭუნა ცქიფურიშვილმა, ან იქნებ ოთოია თავცეცხლამ, ან კიდევ სულ სხვა ვინმემ, ეს უკვე ალარ მახსოვს — „ნიკანორ, შენს წასაყვანად მოვიდნენ!“

რა იყო-ო?! თითქოს ფრთები გამომეზარდა, იატაკს მოვწყდი, გალიაში მომწყვდეული ჩიტივით ვეხლებოდი კედლებსა და ჭერს...

ძლივს ვიპოვე ღია კარი...

დერეფნის ბოლოს კაცი იდგა, ხელები გაეშალა... მისკენ გავიქეცი... გავიქეცი კი არა, გავფრინდი...

„ჰოპლა!“ — შესძახა კაცმა და ჰაერში ამაგდო... ჭერამდე!.. ზურგით ვიგრძენი ჭერი და თითქოს იქ შევყოვნდიო... ნამის გაელვება... ქალი მაშინ დავინახე... დედა!..

— ნიკა!

ორივენი მზად იყვნენ. დედა-თამარმა სულ ახლახან შეიკერა კაბა — ფართო, ხალვათი, მსუბუქი. სხვა კაბებში უკვე ვერ ეტეოდა. მამიკო-ტარიელს კი შავი შარვალ-კოსტუმი აცვია. ამ სიცხეში ჰალსტუხიც არ დავიწყებია, პეპლის ფრთასავით ჭრელი — ყელზე მჭიდროდ გაუნასკვია.

— დაგევარცხნა მაინც! — მუშტრის თვალი შემავლო.

დედა-თამარმა ჩანთიდან სავარცხელი ამოიღო. სავარცხლის კბილები თმაში მრჩება, მნინკნის... ვითმენ.

— ჯაგარივითაა, რა სავარცხელი გაუძლებს! — ბუზ-ლუნებს დედა-თამარი.

ხელიდან ვუძვრები და მაშინდა ვკითხულობ:

— სად მივდივართ?

— ცირკში! — მამიკო-ტარიელი დიდრონი კბილებით იკრიფება. ესაა მისი სიცილი და გუნება მიკეთდება. კიბეზე ასკინ-კილათი ჩავრბივარ, თან ვმძერი:

— ცირკში მივდივართო, ცირკში მივდივართო...

— ნიკა, მოისვენე! ფანჯარა ასწიე, უბერავს!

— დაშოშმინდი ახლა, რა დროს ცირკია! — ხელები გაასავა დედა-თამარმა.

დავშოშმინდი.

ჩავსხედით მანქანაში. ჩვეულებრივ წინ მსვამდნენ, მაგრამ მამიკო-ტარიელმა ხელით მანიშნა, უკან დაჯექიო, დედიკოს გვერდით.

ჭირვეულობა არ დამიწია.

გავაქროლეთ და მანქანაში ნიავი შემოფართქალდა.

ფრთები გავშალე და გავფრინდი. მანქანაში ასე მემართება ხოლმე. თვალს დავხუჭავ, ხელებს გავშლი. ნიავი უბეში მიფართქალებს... ამიტაცებს, ამიტაცებს და ლურჯ სივრცეში გამაქროლებს.

— ნიკა, მოისვენე! ფანჯარა ასწიე, უბერავს!

სახელურს მორჩილად ვატრიალებ. ჰაერი გუბდება. სუსტი ნიავიღა შემოფარუნდება წინა სარკმლიდან, კინკრიხოდან გადმოვარცხნილ თმას უნენავს მამიკო-ტარიელს.

ჩუმად ვათვალიერებ! მსუქანი კაცია მამიკო-ტარიელი. სუნთქვა უჭირს, ხვენების, შუბლზე ოფლი ასკდება. კოტიტა

ხელები საჭეზე უდევს. დუნედ მოძრაობს, მაგრამ ამ მოძრაობაში ღონე იგრძნობა. თავს უშიშრადა ვგრძნობ, თითქოს ვერასულას კლდე აღმართულა ჩემსა და ურჩეულეთს შორის, ვერავინ ვერაფერს დამაკლებს... ეს ჩემი მამაა!.. მამა!.. რაც ის გამოჩენდა, დიდი ნიკანორის ხატება თანდათან წარიშალა, გაქრა... მე თვით სახელი შემიყვარდა მათი — „ტარიელი“ ხომ ვაუკაციობის განსახიერებაა, „თამარი“ — სიწმინდისა... თანაც ისეთი გვარი, თითქოს გულთან წილნაყარიაო... წლების შემდეგ მე, მატროსი ნიკანორ ბჟალავა ვხვდები — სახელი არაფერს წინავს, მაგრამ მაშინ... მამიკო-ტარიელი წინ იყურება, სარკეში მხოლოდ შუბლი უჩანს. ვცდილობ ისე დავჯდე, მისი მზერა დავიჭირო... მოვახარხე კიდეც, ოღონდ მამიკო-ტარიელის თვალებში ვერაფერი წავიკითხე, იქ მხოლოდ ასფალტიანი გზა ირეკლებოდა.

დედიკო-თამარი ხალვათადა ზის. იმთავითვე მსხვილი და ბაჯბაჯა ქალი იყო. ფართო სახეზე სინაზე ეხატა, თუმცა წვრილ თვალებში ხანდახან ეკლები ამოიჩაჩებოდა. პირველი დღეები გამახსენდა, უჩვეულოდ ბედნიერი დღეები... დედა-თამარი აბაზანაში მბანს. მრცხვენია, იგი კი ღონივრად მხეხავს... მოღიავებულ კარში მამიკო-ტარიელი ჩანს, გაზეთს კითხულობს და ხანდახან აქეთ იხედება. საპნის, ცხელი წყლისა და სიმორცხვისაგან მთლად ვარდისფერი ვხდები და თეთრ ქაფში ჩამალვას ვცდილობ, მაგრამ დედა-თამარის თბილი და ღონიერი ხელები თავის ნებაზე მატრიალებენ. მერე დიდ, ხაოიან პირსახოცს შემომახვევს, ამიტაცებს და ციმციმ მიმარბენიებს ფუმფულა, თეთრი ლოგინისაკენ... გვიან ღამე მეღვიძება... დედა-თამარის ქათქათა, რბილ მკლავზე ვწევარ... მშვიდად ფშვინავს დედა-თამარი და ჩემს სულშიც სიმშვიდე იღვრება...

გამახსენდა ყოველივე და მივუჩიდი, მხარზე გავეხახუნე.

— გაინი, სიცხეა!

უსიამოვნო წინათგრძნობა მეუფლება. ვერ ვხვდები, რატომ მიწყრებიან. გული შიშისაგან მეწურება. ფანჯრის მიღმა კი სოფლები და პლანტაციები გარბიან, ყველანი ერთნაირნი და სხვადასხვანაირნი, უცნობი მხარეები და თითქოს ნაცნობიც... ეჲ, რას ვიფიქრებდი მაშინ, ასე უცებ, ასე მოულოდ-

ნელად რომ გამიმეტებდნენ, ეჭვადაც ხომ არაფერი დამსიზ-მრებია. მომეჩვენა, რომ ერთხელ უკვე ვიყავი ამ მხარეში, მე-ხსიერებაში გადანახული ხატი გამიცოცხლდა.

— სად მივდივართ? — შემკრთალი ვკითხულობ.

მამიკო-ტარიელი წინ იყურება, ჩემი ხმა თითქოს ბეტონის კედელს ეხლება. დედა-თამარიც ბაგერმოკუმული, კოპებშეკრული ზის.

ყელში ბურთი მეჩრება, ჩუმად გავყურებ გარემოს.

სადღაც წინ, სახურავებს მიღმა გამოკრთა ნაცნობ ხეთა კენ-ნეროები. მოსახვევიდან, სადაც გზა დაბლა ეშვება, ტყიან გორაკებში უცბად გაიელვა ვერასულას კლდის ჯიუტმა შუბლმა.

მივხვდი...

თითქოს სულში რაღაც ჩამიტყდა. თავბრუ მეხვევა, ვგრძნობ, თანდათან ვეთიშები სინამდვილეს, სიზმრების ქვეყანაში ვი-ძირები.

კარგა ხანს გრძელდება ეს ვარდნა. წინა სავარძლის ზურგს ვხედავ მხოლოდ. ხამი ფერის ქსოვილზე ხან მზის სხივი და-ეფინება, ხან ჭრელი ჩრდილი გაიელვებს.

ისმის ძრავის მოგუდული გუგუნი.

მერე მანქანამ სვლა შეანელა, შეანელა და დიანოზ ვერულა-ვას ჭიშკართან რომ ძენნაა, იმის ჩრდილში შეყო ცხვირი. მაშ-ინდა ავიხედე. გზის გაღმა ჩაის მუქი რიგები ჩამწკრივებულა.

კაცმა სიგარეტი ამოილო, სანთია აანთო და შევამჩნიე, ლონიერი ხელები უკანკალებდა, ცეცხლის ალს სიგარეტს ვერ ახვედრებდა.

— გააბოლა ახლა! — მწყრალად წამოიძახა ქალმა.

კაცმა პასუხი შეაყოვნა, პლანტაციისაკენ მიიხედა და ყრუდ თქვა:

— უთხარი, ქალო, რამე!

— მე რა უნდა ვუთხრა, ენა არა გაქვს?! — ქალმა სახე გა-ნზე მიაბრუნა.

კაცმა ამოიხვნება. სიგარეტი სარკმელში მოისროლა, მთე-ლი ტანით შემობრუნდა და ამ დროს პერანგის ღილი ტკაცა-ნით მოწყდა.

— ნიკა! — რა უცებ ჩაეხლიჩა ხმა, სათქმელს წელავს.

მთლად დავპატარავდი, გულს ბაგაბუგი გააქვს და თვი-თონაც იმ გულისხელა გავხდი.

— ნიკა! — თავს მოერია კაცი, ხმას რკინის ჟღერადობა შესძინა: — შენ უკვე დიდი ბიჭი ხარ, უნდა გაგვიგო!

„როცა პატარა ვიყავი!..“ — გავიფიქრე უნებლიერ და თან-დათან თეთრ ბურუსში გადავეშვი... სადღაც უსასრულოდ ვვარდებოდი და ვიღაცის შორეული, ჩახლეჩილი ხმა ექოსავ-ით გამოსცემდა:

— იცი?.. ჩვენ... მე და ეს... მე და ეს შენი დედ-მამა აღარა ვართ!.. იცი?.. ასეა ეს!

თითქოს აფეთქდა რაღაც, დაიზრიალა... „ნიკანორის ქვა“ დაიძრა ადგილიდან, წამოგორდა საშინელი გრიალით... მოგ-ორავს და მობლავის, ლამისაა საფეთქლები დამასკდეს:

„ნი-კა-ნო-ორ!..“

14

არ ვიცი, რამდენ ხანს გაგრძელდა ეს საშინელი ზრიალი. ალბათ მეც ვკიოდი — „დედა, დედა!“ — მაგრამ საკუთარი ხმა არ მესმოდა. საოცარია, როცა უჭირს, ადამიანი მუდამ დედას უხმობს, ისიც კი, ვისაც დედა არასოდეს უნახავს.

თანდათან მისუსტდა ხმები. იკლო ხმაურმა, სადღაც გაქრა „ნიკანორის ქვა“.

— გონს მოდის. — ჩურჩული მომწვდა.

თვალებზე შუქი დამეცა, ქუთუთოები ოდნავ შევხსენი. თითქოს გამადიდებელ შუშაში ვიყურები, საგნებმა ფორმა იც-ვალეს: თეთრი ჭერი ჩაიღუნა, თეთრხალათიანი კაცი კი წყა-ლში არეკლილივით დაირწა.

შევეცადე, გონება მომეკრიბა.

— ნიკანორ, კარგადა ხარ, დედა? — მავრა ექთანის ხმა ვიცანი.

ოთახის სიღრმეში ლანდები ირხეოდა. თითქოს დიანოზ ვერულავა იყო, უცნობი ქალებიც. თეთრი ხალათები მხრებ-ზე მოესხათ და ხმადაბლა ჩურჩულებდნენ.

ალბათ ვკვდები-მეთქი და ცრემლი გადმომიგორდა.

— ნუ გეშინია, გენაცვალე, აქა ვართ ყველანი! — მავრა ექთანის მკერდიდან ამოსული, ღულუნა ხმა პატიებას მთხოვდა თითქოს.

სახეზე ხელი ავითარე და კედლისაკენ შევბრუნდი.

— გვემდური, დედა? — გულდანყვეტით დამეკითხა.

პასუხი არ გამიცია, ლაპარაკი არ შემეძლო, გონება კი გამინათდა და ზოგი რამ გამახსენდა.

როდის იყო ეს? რა დრო გავიდა მას შემდეგ?.. ყურში კვლავ ჩამესმა მამაკაცის ჩახლეჩილი ხმა: „შექანებულია ეგ ჩვენი ბიჭი!“ ისევ და ისევ გამიმეორდა: „შექანებულია! დარეხვილია! შექანებულია!..“ „დიახ, შექანებული ვარ, — გავითიქრე, — მაგრამ ამით ვინმეს ვუშავებ რამეს?“

— კარგი ანი, დედაია, გეყოფა! — მავრა ექთანმა თბილი, ფაფუკი ხელი დამადო თავზე.

გავიტრუნე, თავი მოვიმძინარე. ის კი იჯდა და მეფერებოდა, იჯდა და მეღულუნებოდა...

მართლაც ჩამეძინა... ალბათ დიდხანს გამიგრძელდა უსიზმრო ძილი. თვალი რომ გავახილე, ფანჯრებს დამე მოსწოლოდა. ჭერზე სუსტი ნათურა ბუუტავდა. მივიხედ-მოვიხედე. პალატაში სხვა საწოლებიც იდგა და სხვა ბავშვებსაც ეძინათ. ფეხი გავანძრიე და რაღაცაზე მომიხვდა. წამოვიწიე. უცბად ვერ მივხვდი, რა იყო.

ვიღაცა იჯდა ჩემს ფერხთით.

დავაკვირდი. მავრა დეიდას ფეხები სკამზე დაეწყო, თავი საწოლის რკინის ზურგზე ჩამოედო და მძიმედ ფშვინავდა.

დიდხანს ვუყურე, განძრევისა მეშინოდა... მქრქალი სინათლე ყველაფერს ნათლად ვერ აჩენდა. მავრა დეიდას შავი მანდილი მოეხსნა, მუხლებზე ედო, ჭალარა გასჩეჩოდა... ვუყურებდი და ვერ ამეხსნა: თავს რას იკლავდა, ღამებს რად მითევდა ეს უცხო ადამიანი, როცა იმათ უარმყვეს, ვის შვილადაც ვითვლებოდი... დიდხანს ვწონე ეს აზრი, ხან აქედან მივუდექი, ხან იქიდან, ვერაფერი დავასკვენი... ამასობაში კვლავ ჩამეძინა...

დილით მზის სინათლემ გამაღვიძია. მავრა დეიდა არსად ჩანდა. თავს არ ვუტყვდებოდი, თორემ ვინერვიულე.

ორი საათის შემდეგ მომაკითხა, თან პატარა ქვაბით ქათმის ბულიონი მომიტანა. ჩამომიჯდა და მეჩურუნა. სიკვდილი შენს არგამხარებელთო, — წყევლაც გაურია, თუმცა უბოროტოდ. გულს ნუ გაიტეხო, შენი ღირსნი არც იყვნენ და ნუ იდარდებო. თვითონ როგორებიც არიან, ისეთსავე მაიმუნს დაჰბადებენ და მაგი ზარდონო... ეს რომ წამოსცდა, მაშინდა მივხდი მიზეზთ-მიზეზს. საკუთარს აჩენდნენ და ჩემზე გული აიყარეს.

პირი კედლისაკენ ვქენი.

ფშუტუნი მომესმა. გვიან მივხვდი, მავრა დეიდა ტიროდა. შემოვბრუნდი, მაგრამ იმას თვალებზე ვეებერთელა ცხვირ-სახოცი აეფარებინა და კარისაკენ მიიწვედა.

მინდოდა, მეხმო. ბოლო წამს რაღაცამ შემბორკა. ეჭვიანი გავხდი, უანგარო სიკეთისა არა მჯეროდა.

მესამე დღეს, ვითომც არაფერიო, კვლავ მინახულა.

მზერა გავუსწორე.

— ცარიელი ცხვირი შეგრჩენია, შე საბრალო! — აქშუტუნდა.

— დიახ! — უაზროდ შევეპასუხე.

ვერ მიხვდა, ამით რისი თქმა მინდოდა, მაგრამ უზომოდ გაახარა ჩემმა ხმამ, არ იცოდა, რითი გავერთე. დაჯდა და საბავშვო სახლის ჭორები ჩამომიკაცლა.

მავრა დეიდას წასვლის შემდეგ პირველად წამოვდექი. სისუსტეს ვგრძნობდი. საპირფარეშოსკენ რომ მივდიოდი, გზა-გზა ხან საწოლის ზურგს ვეყრდნობოდი, ხან კედელს. ავადმყოფები ცნობისმოყვარედ მითვალთვალებდნენ. ჯერ არავის ვიწნობდი და მრცვენოდა.

ხელსაბანის თავზე დალაქავებული სარკე ეკიდა, იმაში ჩავიხედე. ძლივს გავარჩიე საკუთარი ანარეკლი. ვერ გავიხსენე, თავი როდის გადამხოტრეს. ზღარბს მიმიგავდა. ლოყები ჩამცვენოდა და ყვრიმალები ამომეზარდა... აბა, ასეთ სარკეში რა უნდა გამერჩია, მაგრამ მართლაცდა ცარიელი ცხვირი დავრჩენილვარ...

რამდენი თვე გაგრძელდა ჩემი უცნაური ავადმყოფობა? თითქოს არაფერი მჭირდა, ღონე კი არ მიბრუნდებოდა. გამა-

შუქეს, ფილტვები სუფთა აქვსო, გული კარგად უცემსო, კუჭ-ნაწლავი ნორმალურიაო... რამდენი ექიმიც აქ მუშაობდა, ყველა მომადგა სტეტოსკოპით, მიკაკუნეს ზურგზე და მკერდზე, ზოგმა კანფეტი მომიტანა, ზოგმა — ხილი. ალბათ ამან უფრო მომარჩინა.

ყოველდღე მაკითხავდა მავრა დეიდა, ტკბილეულითა და ნამცხვრებით მანებივრებდა. ვებრალებოდი და იმიტომ! მეც მებრალებოდა! ვერ ვეუბნებოდი, ნუ მოდიხარ, როგორმე გავძლებ-მეთქი. გულწრფელი ნათქვამი არ გამომივიდოდა. მთელი დღე კარისაკენ ვიყურებოდი და ველოდი. გაჭირვებით დადიოდა. გასიებულ, ლურჯად დაძარღვულ ფეხებზე ძლივს დაატარებდა მძიმე სხეულს. ახლომახლო უცხო ვინმე თუ ტრიალებდა, სკამზე ჩამოჯდებოდა, ფეხებს მეორე სკამზე ან საწლის კიდეზე ჩამოაწყობდა და ისვენებდა. შუბლი წვრილი ოფლით ენინნკულებოდა და ჩუმად კრუსუნებდა. შავი სატინის მანდილს მოიხსნიდა, ნაადრევი ჭალარა აეჩეჩებოდა. მანდილით ოფლს შეიმშრალებდა და თავს ისევ წაიკრავდა. სიმწრისა იყო ეს ოფლი. ვიცოდი როგორ იტანჯებოდა და თვალს ვერ ვაშორებდი... არ ვიცი, რატომაა, რომ სხვისი ტკივილი ჩვენს ტკივილს აქრობს, სხვისი გასაჭირი ჩვენს გასაჭირს გვიიოლებს...

რაც დრო გადიოდა, ხალისი მემატებოდა. ღონეც დამიბრუნდა, თმა გამეზარდა, დარდი გულიდან გადამივარდა. გულისაშვილების გახსენება სევდას უკვე აღარ მგვრიდა, ფარული წყენა თუ მწინკნიდა ხანდახან. ჩემი ფიქრი სულ სხვა მხარეს წარიმართა და ერთხელ, ღიმილის გარეშე ვთქვი:

— დეიდა მავრა, იცი, რატომ დავისაჯე?

გაკვირვებით შემომხედა.

— დიდ ნიკანორს ვუღალატე და იმიტომ!

თვალი აახამხამა. დიდი ნიკანორი არც სმენოდა, კითხვა კი ვერ გამიბედა...

ღამდამობით თვალს დავხუჭავდი და წარმოვიდგენდი: აქოჩილი ტალღები, ზვირთებზე მქროლი დელფინი, წამიერება, როცა ზღვის ქაფისა და მზის სხივისაგან ვიშვი...

15

პარასკევს გამოვეწერე. ძია ელეფთერმა წაგვიყვანა თავისი ლურჯი „ნივათი“. ლაგვილავები „სიხარულიდან“ არც ისე შორს ცხოვრობდნენ და იმ ღამეს თავისთან დამტოვეს. მანქანაში ხმას არ ვიღებდი, მერიდებოდა. ძია ელეფთერის ხელში საჭე სათამაშოსავით ჩანდა. მანქანა, ეტყობა, ეპატარავებოდა და რომ მოენდომებინა, იღლიაში ამოიჩრიდა და ისე წაიღებდა.

მისვლისთანავე, სანამ კაცი მანქანასთან ჯახირობდა, მავრა დეიდამ მეორე სართულზე ამიყვანა, სასტუმრო ოთახში შემიძლვა, სკამზე მოწყვეტით დაეშვა, მუხლებზე ხელები დაიკრა და წვრილი, ჩავარდნილი ხმით ატირდა.

— შეხედე, შეხედე, ნიკანორ, ჩემს დამლუპველს!

ფართო კედელზე კაცის სიმაღლის სურათი ეკიდა. ელეფთერის ვაჟი ამირანი იდგა სახლის წინ, მწვანე მდელოზე. მკერდგაღელილი, წითელი პერანგი ეცვა, ჯინსის მჭიდრო შარვალი. ჯიბეებში ხელები ვერ ჩატეოდა, მარტო ცერა თითები ჩაეყო. პირზე ამაყი ღიმილი აჩნდა. იცოდა, ალბათ, თავისი ფასი. ისეთი ცოცხალი ჩანდა, ძნელი იყო უბედურების დაჯერება. ყველგან — კედლებზე, ტახტზე, მაგიდაზე დიდი და პატარა სურათები გამოეფინათ, მთელი საოჯახო ალბომი. აი, ჩვილი გაუგორებიათ ჭრელ ფარდაგზე, ბუნჩულა ხელებით საკუთარ ფეხს ჩასჭიდებია, საწოვარა ჰგონია და პირში იჩრის, არაფრად დაგიდევს სირცხვილ-ნამუსს; აი, საბავშვო ბაგის აღსაზრდელი, კულულები მხრებზე ჩამოზრდია, გოგოსგან ვერ გაარჩევ; ბალის ასაკის თავდაჯერებული კაცუნა, ხელში რომ სათამაშო ტანკი უჭირავს, ან ავტო, ან თოფი და ხმალი; აი, პირველკლასელის ოდნავ შემინებული, სერიოზული სახე. მერე ასაკი თანდათან მატულობს.

— შეხედე, ნიკანორ, რა უბედურება გვჭირს! რისთვის უნდა იცოცხლოს ამის დედ-მამამ! — მავრა დეიდას ხმა გაებზარა, ძლივს ჩურჩულებს.

ხალიჩაგადაფარებულ ტახტზე ამირანის შარვალ-კოსტიუმი აწყვია... იქვეა ფეხსაცმელები, პერანგები, ჰალსტუხები, რომ-ლებიც არასოდეს უტარებია, და ისევ და ისევ სურათები...

თავბრუ დამესხა. დამაფრთხო უბედურების ამ გამოფე-ნამ. ტახტისკენ გახედვაც არ შემძლო, მეგონა, წამოდგება ეს შარვალ-კოსტიუმი და თავისით გაივლის-მეთქი.

ამასობაში ქვედა სართულის კარი მოაჯახუნეს. ძია ელეფ-თერმა გვაგრძნობინა, გეყოფათ ტირილი, ძირს ჩამოდითო.

დაფაცურდა მავრა დეიდა, ცრემლი სწრაფად შეიმშრალა.

ფეხის გადადგმა გაუჭირდა და მხარზე დამეყრდნო. წუთ-ის შემდეგ კი მსუბუქად, მჩატედ მიდიოდა, ტკივილებს ყურა-დღებას არ აქცევდა.

ძია ელეფთერი ბუხართან მიდგმულ, თუნუქის ღუღუნა ღუმელს მისჯდომოდა, ხელებს ითბობდა.

ზღურბლზე ავიტუზე. ეს სახლი ისე გაეძებგა დარდის აჩრდილებს, არ ვიცოდი, სად იყო ჩემი ადგილი, სად მქონდა დაჯდომის უფლება.

მავრა დეიდამ მსუბუქად მიბიძგა, ტაბურეტზე დამსვა. თვითონ საქმიანად აფუსფუსდა, თან რაღაცას ტუტუნებდა, აზრი ვერ გამოვიტანე. განგებ თუ ხმაურობდა, გამოყრუე-ბულ სახლში ცოცხალ ბერებს ასახლებდა, მაგრამ ცარიელ კედლებსა და ოთახებში ბერები უკვალოდ ქრებოდა.

ძია ელეფთერმა ისე ამოიხრა, თითქოს გული ამოაყოლაო. თავი ასწია და დამაკვირდა უცხო, მიუჩვეველი თვალებით. იქნებ დავავინყდი, მზერაში კითხვა ჩაუდგა: ვინა ხარ, რა გინ-და, რად მოხვედი?

ერთი მუჭა გავხდი, მაგრამ სად უნდა დავმალოდი.

ბედად მეზობელი შემოეხეტა. გზაზე მოვდიოდი, შუქი ვნახე და გულმა ვერ მომითმინაო. ხანშიშესული კაცი იყო, ნი-კაპზე ჭაღარა ბაზჯგვლი მოსდებოდა. სიბნელიდან შემოვარდ-ნილ ყაჩალსა ჰეგავდა, მაგრამ ისე გამიხარდა, თითქოს ჩემი გად-ამრჩენელი მოსულიყოს. თავზე წკიპურტი წამკრა, სკამი ღუმელთან მოაჩოჩა, თან ამინდს ლანძღავდა, ისეა ჩამოჟამე-ბული, ზამთარი არც აპირებს წაბრძანებასო.

ძია ელეფთერს თვალებში შუქი ჩაუდგა, თუმცა მსუბუქი ბინდი ეფინა ამ შუქს. ამინდზე ლაპარაკს აჰყვა. ასე თუ გაგრ-

ძელდა, გაზაფხული დაგვიანდება და ვიზარალებთო, შარშან ასეთ დროს ტყემალი უკვე გადაპენტილი იყო.

შუა საუბარში სკამები მაგიდასთან მივწიეთ. მე კუთხეში მოვკალათდი, მავრა დეიდას გვერდით. ბოთლებსა და ჯამ-ჭურჭელზე სინათლე ბრჭყვიალებდა და თვალი დამეღალა. უფროსების მუსაიფი წყლის ღუკლუკივით ჩამესმოდა. მოვ-ითენთე. პირში ღუკმის ჩადება მეზარებოდა. წუთით გამოვ-ფხიზლდებოდი, როცა მავრა დეიდა მხარზე ხელს შემახებდა, მომითათუნებდა და მოფერებით მეტყოდა: „ჭამე, გენაცვა-ლე, ჭამე!“ მსიამოვნებდა მავრა დეიდას ფაფუკი ხელი, მა-გრამ ძილი კვლავ მძლევდა. ხმები მინანავებდა და ბოლოს მთლად ზმანებაში გადავედი. იქ კი ვრცელი, უნაყოფო ტრა-მალი გადაიშალა, სიბნელიდან უზარმაზარი ლოდი გამოგორ-და გრიალით და თვალი დავაჭყიტე.

მეზობელი თავდახრილი ჩაჰყურებდა ჭიქას. ძია ელე-ფთერს სახე გაქვავებოდა. ხელში სასმისი ეჭირა, შიგ გამ-ჭვირვალე სითხე ლიცლიცებდა.

— ეს ჩემს ბიჭს და იმქვეყნიურ სარძლოს გაუმარჯოს!

მივხვდი, ცეცხლი ეკიდა და იწვოდა.

მავრა დეიდამ უღონოდ მოისვა მუხლებზე ხელები, თი-თქოს ტკივილებს იყუჩებსო. მის თვალებში ეწერა უთქმელი ძახილი — „ვაიმე, შვილო!“

— აბა, რა უნდა ვიფიქრო! — თქვა ძია ელეფთერმა მძიმედ.

ცოლისძმას დაესიზმრა თურმე: გამოეცხადა ბიჭი, ანალ-გინის ორი აბი მომეციო, უთხოვა. ერთი ჩემთვის მინდა, ერ-თიც ჩემი მარინესთვისო... ვითომც უნახვებია ის მარინც. ტა-ნმორჩილი გოგო ყოფილა, მწყაზარი პირისახე ჰქონია, მო-ნაფურად გადავარცხნილი თმა და მოკლე ნაწნავები... იმ ავ-ტობუსში მჯდარა საბრალო გოგო. მამამისს უცხოეთიდან საფირმო ბალთა ჩამოუტანია და იმითდა უცვნია თავისი ერ-თადერთი შვილი... სიცოცხლეში არასოდეს უნახავთ ერთ-მანეთი გოგო-ბიჭს. იქნებ წუთით ადრე შეავლეს თვალი ერ-თიმეორეს. ამირანმა პედალს ფეხი დააჭირა, ველოსიპედი ააჩ-ქარა, ფანჯარაში გოგოს ხედავდა და ცდილობდა ველოსიპე-დი მოხდენილად, ყოჩალად ეტარებინა. მარინემ თმაზე ხელი გადაისვა, იმ ვაჟის თვალში კარგად თუ ვჩანვარო...

— ჩემს ბიჭსა და იმქვეყნიურ სარძლოს გაუმარჯოს! —
გაიმეორა ელეფთერმა.

თვითონ ვერ გავიგე, როდის ამომიჯდა გული, რისი შემე-
შინდა. ცრემლები თავისით წამომცვივდა.

კაცები გაჩუმდნენ, გაკვირვებით შემომხედეს. ჩემი არსე-
ბობა დავიწყებოდათ.

— მოგიკვდეს ჩემი თავი, ბავშვი შეგვიშინდა! — მავრა დე-
იდამ ამაყენა, მკერდში ჩამიკრა, მომეფერა. ნურაფრის გეშინ-
იაო, გულთან ახლოს ჩვენს გასაჭირს ნუ მიიტანო, თავს ნუ და-
იჩაგრავო, მეტუტუნებოდა, თან კიბეზე ავყავდი. პატარა, გვე-
რდითა ოთახში ლოგინი გამიშალა, ზენარზე ცხელი უთო გადა-
უსვა, ჩამათბუნა, თვითონ კი ძირს ჩავიდა, კაცებთან.

საპანში თავიანად ჩავიმალე. იქვე, მეზობელ ოთახში ამი-
რანი წამომდგარიყო, უხმოდ დასეირნობდა. ჯინსი ეცვა, წითე-
ლი პერანგი. ხელი კეფაზე მიედო, ჩამტვრეული კეფა სტკიო-
და. ყრუ ტკივილი ვიგრძენი, თითქოს მე დამერტყას კეფა ფო-
ლადის რელსზე.

ძილში უცბად ჩავიძირე. სიბნელიდან უზარმაზარი, შავი
მატარებელი გამოგრიალდა და გაბმულად შემომბლავლა:

„ნი-კა-ნორ!“

თვალი გავახილე. ვერ მივხვდი, სად ვიმყოფებოდი. ყურ-
ში ჯერ კიდევ სიზმრისეული ხმა მიზრიალებდა. გარეთ ბნე-
ლოდა. მეზობელი ოთახის კარი ოდნავ იყო მოღიავებული და
იქიდან სინათლის ვიწრო ზოლი ეცემოდა.

გული შიშიანად ამიფართქალდა.

იმ ოთახიდან ყრუ, გაუგებარი ბერები გამოდიოდა.

შიშს ვძლიე, საბანი გადავიხადე და შიშველი ფეხები ცივ
იატაკს შევახე.

ფრთხილად მივირბინე კარის ღრიჭოსთან, გავიჭყიტე.

სავარძელი დავინახე. შიგ თითქოს რაღაც ჩაზვინულიყო.
მერე მივხვდი, მავრა დეიდას მხრები იყო. თავი მკლავებში
ჩაერგო და მთელი სხეული უთახთახებდა.

იქვე ძია ელეფთერს დაეჩიქა, მკერდით ტახტს გადამხო-
ბოდა. გაწვდილ ხელებში ამირანისა და იმქვეყნიური სარძლოს
სურათები ეჭირა და ყრუდ ქვითინებდა.

შემზარა აქვითინებული მამაკაცის ხილვამ. ამოდენა,
ბრგე ვაჟუაცი ერთიანად ძაგძაგებდა.

დამთრგუნა მწუხარების სილრმემ, იმ უძირო ჭამ, საიდან-
აც ეს ცრემლები გაუთავებლად მოედინებოდა.

უხმოდ დავუბრუნდი საწოლს, ლოგინი უკვე ცივი იყო და
მაცახცახებდა.

დილით, საუზმეზე კარაქიანი პური ხელში რომ ამითრ-
თოლდა, მავრა დეიდამ გამომცდელად შემომხედა:

— კარგად იძინე, გენაცვალე?

— კი! — ვიცრუე და ლუკმა ძლივს გადავყლაპე.

ძია ელეფთერს დაღლილი თვალები გაჰყინვოდა. ჩემკენ
არ მოუხედავს, იქნებ ემძიმებოდა ჩემი სტუმრობა.

მავრა დეიდას სახელოზე მოვქაჩე და ვედრებით ჩავჩუ-
რულე:

— გამიშვი, შინ მინდა!

„შინ“, რა თქმა უნდა, საბავშვო სახლი იყო. მავრა დეიდა
მიხვდა, უნებლიერ შვებით ამოისუნთქა.

— ჰო, გენაცვალე, მეც უნდა წამოვიდე, თვითონ წაგიყვან!

16

ნისლიანი გარიურაჟია. ზღვას ნაცრისფერი დაჰკრავს. აქა-
იქ თუ გადასერავს ვერცხლისფერი ზოლი. თეთრი, გამჭვირ-
ვალე ნისლი მსუბუქ ფთილებად ეფინება წყლის ზედაპირს,
თითქოს იმ ადგილას წყალი ორთქლდებაო... იქ, სადაც მზე
უნდა ამოვიდეს, ოდნავ ნათდება, მზის სხივები ვერ არღვევენ
ჰორიზონტს შემოხვეულ ჯანდს. სამხრეთით, ზღვიდან რა-
მდენიმე რუს გორაკს ამოუყვია თავი. ეს ჰოკაიდოა, იაპონიის
ჩრდილო კუნძული. ჩვენ ლაპერუზის სრუტით ოხოტის ზღვა-
ში გავდივართ.

გრილა, ტყაპუჭი მაცვია...

ლამით ვმორიგეობდი და თეთრად გავათენე. ახლა დასა-
ძინებლად წავალ, მაგრამ ცოტა ხნით გემბაზზე შევყოვნდი. აი,
ის გორაკი ვერასულას კლდეს მაგონებს...

ვერასულას გოროზი კლდე კი ხატიაშვილებს მახსენებს, ტყუპ ძმებს, გიას და თემოს... ღორჯოლას და ფუცუკას. ხომ ჰგავდა ვერასულასთან ჭიდილს ჩემი ბრძოლა ტყუპებთან?..

ტყუპთა მამა ქურდი იყო, თანაც უიღბლო. ცხოვრებაში ჩეირი არ გადაებრუნებინა. ერთ სასჯელს რომ მოიხდიდა, მეორეში შეყოფდა თავს. სარგებელი არაფერი ჰქონდა, მაგრამ ადამიანი პატივმოყვარული ვნებების დასაკმაყოფილებლად თვითონ ირჩევს ასპარეზს. ტყუპთა მამას კი საამაყოდ მიაჩნდა თავისი კარიერის უმაღლესი მიღწევა — „კანონიერი ქურდის“ სახელი. წესით, სხვა ნაკლები რანგის ქურდებს ღალა უნდა ეზიდათ მისთვის. ეტყობა, თვითონ რომ ეგონა, იმოდენა წონა არ ჰქონია ფსონში და ვინ რას მიაშავებდა. ასეთ ოხერს ოჯახი რად უნდოდა, მაგრამ ერთი უწყინარზე უწყინარი, ნაზზე უნაზესი სოფლელი გოგო შეაცდინა და დაღუპა კიდეც. ეჯავრებოდა, არ ითქმის. უყვარდა, რა თქმა უნდა, თუმცა თავისებური სიყვარულით, ველური ეჭვიანობისა და შეუბრალებლობისაგან რომ შედგებოდა. ტყუპთა დაბადებამ ღონე წაართვა საბრალო ქალს, ქმრის უგულობამ კი თანდათან მოინელა. უკვე დიდი ბიჭები იყვნენ, დედის დაღუპვა მნარედ განიცადეს. თემო დიდხანს ზღუქუნებდა — „დედიკო, დედა!“, გია კი ბოლმის გორგლად გადაიქცა, კუნჭულში მიეგდო და ხმას არავის სცემდა.

კაცმა თავი კინაღამ მოიკლა, ოღონდ ყელზე თოკის შემოჭერას, ისევ ლვინოში ამჯობინა ამოხრიობა. გატიალებული მოეთრეოდა შინ და იწყებოდა ჯოჯოხეთი. გულის სიღრმეში შვილები მამას ადანაშაულებდნენ, მამა კი — შვილებს. ხმამაღლა ამაზე არაფერი თქმულა, ოღონდ ბნელ ჯურდმულში ჩაბუდებული ეჭვი მძაფრ სიძულვილად გადაიქცა, რომლის მსგავსი მხოლოდ ახლობლებს ეუფლებათ ხოლმე. „უჲ, თქვენი!..“ — თვალებს გადმოკარკლავდა კაცი, სხვა ვერაფერი მოეფიქრებინა, კბილებით საკუთარ ხელებს იჭამდა. გაფითრებული ბიჭები კედელთან აიტუზებოდნენ, ხმის ამოღებას ვერ ბედავდნენ. კაცს თვალები დაუსისხლიანდებოდა, ისე მიაშტერდებოდა, თითქოს შვილები კი არა, მოსისხლე მტრები იდგნენ მის წინ. ცარიელ ბოთლს გადაამტვრევდა და

ცხვირწინ დაუტრიალებდა ხან ერთს, ხან მეორეს, მაცალეთ, ყელები უნდა გამოგდადოთ, თუმცა საამისო ღონე უკვე არ ერჩოდა. ლოგინზე დაეგდებოდა და ხვრინვას ამოუშვებდა.

თემო, თითქოს წვივები დააჭრესო, მოწყვეტით ჩაჯდებოდა, წუთის წინ გადატანილი ზაფრისაგან ტირილს იწყებდა. გია წინანდებურად იდგა, — უტყვი, გაკერპებული. პირისახეზე სიფიტრე გვიან გადასდიოდა. მუშტს ისე ღონივრად კუმბავდა, ფრჩხილებით ხელისგულს ისერავდა.

— მოვკლავ! — თქვა ერთხელ და ხელი ძალუმად დაჰკრა კედელს.

— რა? — ვერ გაიგო დამფრთხალმა თემომ.

— მოვკლავ-მეთქი! — გაიმეორა გიამ და თემო მიხვდა, უბედურებას ვერ აიცილებდა. წუწუნი მორთო, იქნებ თავი შევაბრალოო. გიამ პირი კედლისკენ მიაბრუნა, ზურგი დაჰპაროდა და თემო ჩივილს შეეშვა.

ღვინო და პურ-მარილი გზაზე არ ყრია. კაცი დასალევს თუ ვერ იშოვიდა, უფრო იბოლმებოდა, მწარდებოდა. ბიჭები ატყობდნენ უგუნებობას, თავს არიდებდნენ. თემო ეთითლიბაზებოდა, გია დუმდა. კაცს ერთიც აღიზიანებდა და მეორეც. რაიმე მიზეზს გამოჩერეკდა, თითქოს ნავთი გადაისხაო, სწრაფად წაეკიდებოდა ცეცხლი. თემო თუ მარტო იყო, სტაცებდა ხელს და ქვეშ ამოიდებდა. გიას ვერ უბედავდა, რაღაცნაირი რიდი ჰქონდა. თემო წინააღმდეგობას ვერ უწევდა, ძირს გაგორდებოდა და ტირილ-ტირილით ოთხზე მოცოცხავდა. გიას თუ მოიხელთებდა, კაცი პირისპირ აეყუდებოდა. უყურებდა, უყურებდა, არც არაფერს ეუბნებოდა. მუშტს ასწევდა, სახესთან მიუტანდა. გია კი მზერას არ არიდებდა, არც პატიებას ითხოვდა არარსებული დანაშაულის გამო, უტეხად შესცეროდა და ბოლმიანი კაცი მის თვალებში განაჩენს კითხულობდა.

ერთხელაც ბიჭებმა ბრეგვეს. პირველად გიამ გამოიღო ხელი. თვითონაც არ ახსოვდა, როგორ გაექცა, რანაირად გაბედა, ან სად ჰქონდა ღონე, ამოდენა კაცზე ხელი აღემართა.

— შენი დედაც... — ბინურად შეაგინა კაცმა და გიას შეეძლო იმ წუთას თავი შეეკლა.

თვალთ დაუბნელდა და მუშტი გაუქანა. დაავიწყდა ვინც იდგა მის ნინ, ღონის დაუშურვებლად იქნევდა მუშტებს, კაცმა კი ხელები პირისახეზე აიფარა, ადგილზე დაბანცალდა. მთვრალს, ნაცემს, დამცირებულს უცბად წაერთვა ძალა. ამ დროს მობრუნდა გასაქცევად გამზადებული თემოც. ქურდულად მიეპარა და თავისი წილი წილი ჩასცხო. ეს კი წვეთი იყო, რომელმაც შეუძლებელი შეძლო. კაცი იატაკზე დაეცა და აქვითინდა.

გია თითქოს გამოფხიზლდა, თვალი დაუბრიალა უშნოდ დალმეჭილ ძმას. იმას ლიზლური სიცილი პირზე შეადნა.

— მომეხმარე! — შეუღრინა გიამ, მამას ჩაეჭიდა ღონივრად.

ძლივს წამოსწიეს, ონკანთან მიიყვანეს, პირისახე მოჰბანეს და ტახტზე წამოაწვინეს.

კაცი იცრემლებოდა. კედლისაკენ მიბრუნებული თავისთვის ტიროდა და ბიჭებს ხმას არ სცემდა.

ვახშმად ჩაი აუდუღეს. ჭიქა საწოლთან, სკამზე დაუდგეს. კაცი კი ჩუმად, ბავშვივით სლუჟუნებდა.

გვიანობამდე არ დაწოლილან, თითქოს ავადმყოფს უთევენო ღამეს. თემო შეშინებული აპარპალებდა თვალებს. გია კვლავ კუშტად იჯდა, მზერა ერთი წერტილისათვის მიეყინა.

ბოლოს მამა აფშუტუნდა, ჩაეძინა.

ბიჭებიც დაწვნენ. ფხიზელი ძილით ეძინათ. მაინც ვერ გაიგეს, კაცი როდის გაიპარა.

მთელი კვირა არ გამოჩენილა. სახლში ფული დაიღია. ბოლო აბაზით პური იყიდეს, მამის ასავალ-დასავალი კი გაქრა.

— ჩვენი შეეშინდა? — ჭოჭმანით იკითხა თემომ.

— შეეშინდა არა! — ცივად გამოსცრა გიამ. — მადლობელი იყავი, მძინარეებს თავები რომ არ დაგვაყრევინა!

მომდევნო კვირის სამშაბათს კაცები მოვიდნენ, თან უბნის მილიციელი ახლდათ. ბიჭებს გამოჰკითხეს, უკანასკნელად მამა როდის ნახეთო; ნასვლის შემდეგ რამე ხომ არ შემოუთვლიაო; საერთოდ როგორ იქცეოდაო; უცნაური რამე ხომ არ შეგიმჩნევიათო... თემო აქაქანდა, გიამ კი პირში წყალი ჩაიგუბა.

ერთმა თქვა, პირადი ნივთები აიღეთ, აქ არ გედგომებათ, სახელმწიფო მოგივლითო.

თემო სწრაფად დაფაცურდა, რაღაც-რაღაცეები, ჩემო-დანი არა ჰქონდათ და, სასკოლო ჩანთაში ჩაჩურთა.

გიამ ჯიუტად გააქნია თავი:

— აქ დაველოდები!

— რამდენი წელი, რვა? — იანგლა ერთმა.

— გინდა ათი! — ბოლმით შეეპასუხა გია.

— გაიგე, სულელო თავო, მამაშენი ციხეშია, მაღაზია გაქურდა!.. ეს ხომ მისთვის პირველი არ არის!

გიამ ამაზე არაფერი თქვა, თვითონაც დაიწყო ჩანთის ჩალაგება...

„სიხარულში“ გადმობარგების მესამე თუ მეოთხე დღეს ტყუპებს მეტსახელები მიეკერათ, გიას ღორჯოლა შეერქვა, თემოს — ფუცუკა. ეს მეორე გასაგები იყო, თემოს პირისახეზე მუდამ წვრილი მუწუკი ეყარა. ისედაც ერთი გამწლეული, გრძელი ბიჭი გაიზარდა, კეხიანი ცხვირი მარტორქას ერთა-დერთ რქას მიუგავდა ციცქნა სახეზე. ძმები სულაც არ ჰგავდნენ ერთმანეთს, როგორც ეს მოსალოდნელი იყო. ღორჯოლა თუმცა სიმაღლით ჩამორჩებოდა ძმას, ბეჭებში გაიწია, თავიც მსხვილი ება და რაკი ღონე მოზვერისა ჰქონდა, მუდამ მოზვერივით იყო სარქენად მომართული. ამიტომაც თუ შეურჩიეს მეტსახელი... ასე იყო თუ ისე, მეტსახელების მთხველი ქუცნა ჭედია სხვათა ზურგს ამოეფარა და იქიდან დაიწინავლა:

— ჰეი, ფუცუკა!

თემოს ფერფურმა გადაუარა.

— მე ვარ ფუცუკა?

— შენ არა, აგერ ყურპარტყუნას ვაჯავრებ! — დაიღმიჭა ქუცნა ჭედია.

ყურპარტყუნა ექვსისა გახლდათ, ყურები მართლაც ფართოდ გაეფშიკა, პირი მოელო და საკუთარ თითებს იზუზნიდა.

— ჰეი, ფუცუკა! — ახლა ლორჯგო შამუგიამ მოახედა თავისკენ. შამუგიას ბიჭს ზანგივით სქელი ტუჩები ჰქონდა და როცა ცხენივით დაიჭიხვინებდა, მსხვილ, ნაფოტა კბილებს გამოაჩენდა ხოლმე.

— ფუცუკა, ფუცუკა! — ყურპარტყუნამ თითი პირიდან გამოიღო და თემოს მიუშვირა.

— დამცინით? — ცეცხლი ეკიდა თემოს, მაგრამ ჩხუბს ვერ ბედავდა.

გია იქვე იდგა, კევს ღეჭდა.

ზანტად შეხედა სახეაჭარხლებულ ძმას და მშვიდად დასკვნა:

— მოგცლია ერთი, ფუცუკა ხარ და ეგაა!

— მე ვარ ფუცუკა? — იყვირა თემომ, ტირილს ცოტალა აკლდა.

გიას თითქოს არც გაუგონია, შამუგიას ბიჭი მოიხმო თითო.

— რა გქვია, ძმაკაც?

შამუგია ლონით როდი ჩამოუვარდებოდა, ოღონდ გიას თავდაჯერებულობამ დააფრთხო.

— ჰა, რა იყო?

— რას გეძახიან-მეთქი?

— მე?.. ლორჯგოს!

გიას ბაგეზე დიდებული, შემწყნარებლური ღიმილი გაუკრთა.

— მომენინა! ახლა ისიც გეცოდინება, მე რა მქვია, ჰა?

ლორჯგო, ყოველი შემთხვევისათვის, გასაქცევად მოემზადა, თან ჭედიას მიუბრუნდა:

— ქუცნა, სად იმალები? მიდი და თვითონ უთხარი!

— მე რა შუაში ვარ, აგერ პირლიამ უთხრას! — ქუცნა ჭედია გაძვრა-გამოძვრა და პირლიას ზურგში უბიძგა.

პირლიას არც არავისი ეშინოდა. ტყუპი ძმები ფეხებზეც ეკიდა, ერთადაც და ცალ-ცალკეც. პირისახე სიცილის ნიღაბს მიუგავდა. ტკარცალს რომ მორთავდა, ყველა კბილს სათითაოდ გამოაფენდა. ამჯერადაც, ქუცნამ შემილიტინაო, ჩაბუირდა, თქმით კი ვერაფერი თქვა.

გიამ თვალი გადაავლო ბიჭებს. ქუცნა ჭედია დაილია, კინაღამ ბალახებში ჩაძვრა. გიამ პირდაპირ მკერდში ატა-კა თითი.

— შენა!

ქუცნა ჭედიას სიმწრის ოფლმა დაასხა, მაგრამ ყველა გზა მოჭრილი ჰქონდა და ამოღერდა:

— ლორჯოლა!

გიამ ნაძალადევად გაულიმა.

— გაუმარჯოს ლორჯოლას, ვინც სხვანაირად დამიძახებს, ის იყოს შპიონი!

ყურპარტყუნამ კვლავ თითი გამოიძრო პირიდან და ახლა გიას მიაშვირა:

— ლორჯოლა, ლორჯოლა!..

უფროსჯგუფელი ბიჭები პირველი კორპუსის მარჯვენა ფრთაზე განაპირა ოთახში ცხოვრობდნენ. ლორჯოლამ კუთხის საწოლი დაიჩემა და ფუცუკაც ფერხთით მოათავსა. ახალმოსულები, ჩვეულებრივ, დაცარიელებულ საწოლებს ეპატრონებოდნენ. ლორჯოლას არ მოეწონა შუა ოთახში ძილი და კუთხეს მიადგა. იქ, თავის საწოლზე შუქრი ცეცხლაძე იჯდა, თავნაგრძელებული, ავადმყოფური შესახედაობის ბიჭი. მასზე ექიმები ამბობდნენ, პრაქტიკულად ჯანმრთელიაო, ბავშვებს კი აეჩემებინათ, გინდა თუ არა, ჭლექიანიაო. მთლად ჯანმრთელი, ალბათ, ვერ იქნებოდა, რადგან მუდამ ახველებდა. თავდაპირველად ყველას თავს აცოდებდა და იმიტომ. თანდათან ეს დაუსრულებელი, მორიდებული ხველება ჩვეულებად გადაექცა. ებრალებოდათ და თავზე ხელს უსვამდნენ. ისიც სარგებლობდა ამ მარტივი ეშმაკობით და თავს მშვენივრად გრძნობდა.

სწორედ ამ შუქრი ცეცხლაძის ცხვირწინ აეყუდა ლორჯოლა.

შუქრიმ ამოხედა, კრთომა დაეტყო, ვერ მიმხვდარიყო, რას სთხოვდნენ.

— ძმაკაც! — მძიმედ, აუჩქარებლად ამოღერდა ლორჯოლამ. — თუ ვინმემ გაგიხურა, აგერა ვარ, იცოდე!

შუქრიმ ვერაფერი გაიგო, თვალი დაახამხამა, ცხვირით ხვლიპინი მორთო. მუდამ სურდო ჰქონდა, ცხვირის მოხოცვა კი ავიწყდებოდა.

— ოღონდ შენც უნდა მცე პატივი! თუ კედლისკენ არ შევბრუნდი, ვერ ვიძინებ!

— კედლისაკენ? — გაკვირვებით იკითხა შუქრიმ, ასეთი მარტივი ქვეტექსტი ვერ ამოეხსნა.

— ჰო, საწოლი უნდა გამიცვალო!

— მე...

ამდენი ეშმაკობით მოპოვებული მცირე უპირატესობა აქამდე არავის ხელუყვია და შუქრის დათმობა ემძიმებოდა, ჩხუბის თავიც, ცხადია, არ ჰქონდა და უმნეოდ მიმოიხედა.

ოთახში ამათ გარდა ხუთნი იყვნენ — ჭიპო კვირიკაძე, გუგული ჯიქია, დიდი ვაჟიკა, თათრის ბიჭი მურადი და მამუკა გიორგაძე.

ჭიპო კარადასთან იქექებოდა. თავი ასწია, შუქრის მუდარით სავსე თვალებს შეეფეთა და სწრაფადვე დახარა, ვითომ ძალიან დაკავებული ვარო.

გუგული ჯმუხაძე ჯმუხი ბიჭი იყო, კანი უანგისფერი და ისეთი უხეში ჰქონდა, ხელს რომ ჩამოგართმევდა, იფიქრებდი, სახეზი გამეხახუნაო. თმა წვრილად დახუჭუჭებოდა, ვერა სავარცხელი ვერ დავარცხნიდა, კიდევ კარგი, პელო ბებია ხშირად ბანდა, თორემ გუგულის თმებში ის პანია, საზიზლარი არსებები თუ შეჯირითდებოდნენ, იქიდან მარეკები ვერ გამოდენიდნენ.

დიდი ვაჟიკა არც ისე ბაყბაყდევი გახლდათ, როგორც მეტ-სახელიდან ჩანს. ასე იმიტომ შეარქვეს, მეორე ვაჟიკაც არ-სებობდა — ვაჟიკა-ცქნაფა. ამას იგი უფროსი ძმა ეგონა და საჩივლელად მასთან მორბოდა. ვაჟიკა-ცქნაფას დამჩაგვ-ვრელნი ისევ სხვა ცქნაფები თუ იქნებოდნენ. ამათ, რა თქმა უნდა, დიდი ვაჟიკა დევგმირად მიაჩნდათ. თვალებს რომ გად-მოქაჩავდა, ელდისაგან ენა მუცელში უვარდებოდათ...

თათრის ბიჭს მურადს საუცხოო შავი თვალები და ისეთი ხმა ჰქონდა, ყრუსაც სიმღერის იშტაზე მოყვანდა...

მამუკა გიორგაძე თავის საწოლზე იჯდა და ახალმოსულის ახირება აშკარად არ მოსწონდა. თვალებში სევდა და სინაზე ედგა. ჩუმი თავმოყვარეობით მოჰქონდა თავისი დარდი. მის სულში იკვირტებოდა ჭეშმარიტი რაინდი, მაგრამ ჯერაც წელი ვერ მოემაგრებინა, მრავალი განსაცდელი უნდა გაევლო და გაკაჟებულიყო.

შუქრი ცეცხლაძემ ვერსაიდან მხარდაჭერა რომ ვერ იპოვა, უცებ ორივე ხელით ჩააფრინდა საწოლის კიდეს და იკივლა:

— არსადაც არ გადავალ, ეს ჩემი ადგილია!

ღორჯოლამ ცივად გაიღიმა. სახე ნიღაბს მიუგავდა, ხოლო თვალებში სიძულვილი იგორგლებოდა, თითქოს ერთ უწყინარ ბიჭს კი არა, მოსისხარს დაჰყურებდა.

— ვერ გავიგე! — გამოსცრა, ხოტორა თავზე მძიმე ხელი გადაუსვა, მოფერებით ყურამდე ჩააღწია და მოუწინკნა.

— მეტკინა! — მტირალა ხმით შესძახა შუქრიმ, ადგილზე შეხტა.

მეტი ვერ მოითმინა მამუკამ.

— რას ჩააცივდი? — თვითონაც გაოცდა, ისეთი ჩახლე-ჩილი ხმა ამოუვიდა ყელიდან.

— რა? — მთელი ტანით შემობრუნდა ღორჯოლა.

ჭიპომ ცოხნა შეწყვიტა. გუგული საწოლზე წამოგორდა. დიდი ვაჟიკა ადგა და განზე გაიწია. თათრის ბიჭმა შიშნეულად მოიხედა.

— რა? — მძიმედ იკითხა ღორჯოლამ.

— რას ჩააცივდი? — შემკრთალი ხმით გაიმეორა მამუკამ.

ღორჯოლა წუთში მის წინ გაჩნდა, მხრებზე ჩააფრინდა, ასწია, ფეხზე წამოაყენა და მძულვარებით მოქცეული სახე ახლოს მიუტანა.

— რა ბრძანე, გენაცვალე?

— ის ავადმყოფია! — ხმის კანკალით თქვა მამუკამ.

ღორჯოლამ, ვითომც არაფერიო, ხელი უშვა, კვლავ შუქრისაკენ შებრუნდა.

ცეცხლაძე ჩუმად სლუკუნებდა და ლოგინს კეცავდა. წინა-აღმდეგობა უცბად შეწყვიტა და აწი გიორგაძეს გამოსარჩილება არ სჭირდებოდა.

ჭიპომ, აქაოდა არაფერი მინახავსო, ბოლო ლუკმა უგემუ-
რად დაღეჭა. გუგულიმ ჩაიქირქილა, მამუკას გამოხტომა არ
მოეწონა. დიდ ვაჟიკას ხელი ექავებოდა, მაგრამ გამოსარ-
ჩლება ვერ გაბედა. თათრის ბიჭმა კი, ქარიშხალმა გადაიარ-
აო, შვებით ამოისუნთქა.

კარგა ხანს ვერ დაიოკა მამუკა გიორგაძემ თრთოლვა. ყვე-
ლაფერი უცახცახებდა, გულმუცელი ემლვრეოდა. შეურაცხ-
ყოფილი იყო, საკუთარი თავი სძაგდა. გრძნობდა ღორჯოლას
ცივ გამოხედვას, ერჩივნა შესკდომოდა, მაგრამ გაუბედაობა
ტანჯავდა.

პირლიმ და ქუცნა ჭედიამ შემოიხედეს.

— რავა ხართ, ლომებო! — პირლიას, როგორც ყოველთვის,
კბილები თეთრად უელავდა. ქუცნა ეშმაკურად აკვესებდა
თვალებს, ყნოსვით იგრძნო დენთის სუნი.

მამუკა, თითქოს უბიძგესო, წამოხტა და გარეთ გავარდა.
არავისი წახვა არ სურდა, ვერავის იტანდა. ცრემლი აწვებო-
და და ეშინოდა, ამდენ ბიჭებში ტირილი არ დაეწყო. უნდოდა
დამალულიყო. ყველგან ბავშვები დარბოდნენ, ფეხებში ედე-
ბოდნენ. ეზოს კუთხეში, ღობესთან, ხეს ამოეფარა და იმის
ძირას ჩაჯდა.

ცოტა ხანში ფეხის ხმა მოესმა. აწყლიანებული თვალები
სწრაფად შეიმშრალა.

ღორჯოლა წამოადგა თავზე.

მამუკამ პირისახე მიაბრუნა.

ღორჯოლამ მხარზე მოუთათუნა.

— სად გაიქეცი?

მამუკამ არაფერი უპასუხა.

— ვერულავასთან უნდა დაგესმინე? — უბოროტოდ
ჰკითხა.

— ეგლა მაკლია!

ღორჯოლამ შემრიგებლურად გაულიმა, თავზე მეგობრუ-
ლად წკიპურტი წაჰკრა.

— პაპიროსი გინდა?

— არ ვეწევი!

— მით უკეთესი! წამო, ვივახშმოთ, ბალანდა შევხვრიპოთ!

მხარზე ძმაკაცივითთ გადაპეხვია ხელი და წამოიყვანა.
მამუკას თავი სძულდა, მაგრამ ვერ შეძლო ხელი ეკრა...

17

მავრა დეიდა მძიმედ მოაბიჯებს. ჩემთვის ხელი ჩაუვლია
და ძირს იყურება, თითქოს სოფლის მოხრეშილი გზა საფრთ-
ხეს უქადდეს.

მოუთმენლად ვცმუკავ, თან ფეხი უკან მრჩება. მინდა მა-
ლე მოთავდეს პირველი შეხვედრის უსიამოვნო წუთები, ყალ-
ბი თანაგრძნობა, გამოკითხვები, ვიშვიში.

დღე ისეთია, გუნებას გაგიფუჭებს. არ წვიმს, მაგრამ უფე-
რული ცა გადმომხობია და კაცმა არ იცის, რას აპირებს.

ნელა მივდივართ. მანძილი არც ისე დიდია. აი, გამოჩნდა
კიდეც დიანოზ ვერულავას ჭიშკარი.

ღობის გასწვრივ პატარა ღელე ჩამოუდის. ზედ ძეწნა გად-
მომხობია. გულისაშვილებმა რომ მომაბრუნეს, ძეწნა ღია-
მწვანე ფოთლებით იყო დაფარული.

უსიამოვნო ფიქრი მოვიშორე, რადგან „სიხარულის“ დი-
რექტორი შევნიშნე.

ჭიშკარს კეტავდა.

აუჩქარებლად შემობრუნდა, დინჯად. ადრევე დაგვინახა
და დაგველოდა.

გული ამიჩქარდა, თითქოს რაღაც დამეშავებინოს და სას-
ჯელის ღირსად მთვლიდნენ.

— ოპო, ჩვენი ნიკანორი დაგვიბრუნდა!

მკლავებში გამომიმწყვდია, ღონივრად ჩამბლუჯა. ცხვირი
ღილს მოვახვედრე, მეტკინა. ხმა არ ამომიღია.

თავისი მსხვილი, მძიმე ხელი მხარზე დამადო და გზა ერ-
თად განვაგრძეთ.

შაბათი დღეა. ამ დროს ბავშვები სკოლაში იქნებიან. მეც
ასე მირჩევნია, სანამ მობრუნდებიან, შევეგუები აქაურობას.

ეზოში არავინაა. მესამე კორპუსიდან ისმის სკოლამდელ-
თა შეუწყობელი სიმღერა.

პირველი კორპუსის კიბეზე მრავალა პაპასკირი დგას, ხელში უურნალი უჭირავს, იჭმუხნება.

— ბატონო დიანოზ! — რაღაცა უნდა შესჩივლოს და ამასობაში მე მამჩნევს. — მაშ, ჩვენი ნიკანორი დაგვიბრუნდა.

ლოყაზე ხელს მითათუნებს, ცოტათი თავდაჭერილად.

— სხვა დროს, სხვა დროს! — დიანოზი გვერდს აუვლის, თან ხელს არ მიშვებს.

მავრა დეიდა ვერ გვეწევა, ოხვრითა და ხვნეშით ამოდის კიბეზე.

წინასწარ ვიცი, სამასწავლებლოში შემიყვანენ. დიანოზ ვერულავა ყველას გამოუცხადებს, აი, ჩვენი ნიკანორი დაგვიბრუნდაო. ნამოიშლებიან, ზოგი გულწრფელ, ზოგი ნაძალადევ სიხარულს გადმოაფრქვევს. მე კი თავჩაღუნული, დარცხენილი დავდგები და სიტყვას პირიდან ვერ ამომქაჩავენ, ანდა ერთი და იგივე უნდა ვიმეორო თუთიყუშივით — „კარგად!“ „გმადლობთ!“ „კარგად!“

სამასწავლებლოს კარი შეაღო დიანოზმა და წინ გამიგდო.

— აი, ჩვენი ნიკანორი დაგვიბრუნდა!

ოო! თითქმის ყველანი აქ არიან. ნუთუ მართლაც ჩემს დასახვედრად შეიყარნენ? ან იქნებ კრებაა დანიშნული? არ ვიცი, როგორ მოვიქცე. შუაგულ ოთახში დამაყენეს, ირგვლივ მივლიან, მათვალიერებენ, საალერსო-საქებარ სიტყვებს არ იშურებენ.

— სიმაღლეში წასულა! — აცხადებს ვარდიკო ჩქვანავა, გრძელცხვირა, კუშტი ქალი. ლოყაზე მკოცნის. ამ ლოყაზე იყო, ხუთი თითო რომ დამაბეჭდა. დიდრონი, წითელი ხელები ჰქონდა და სულ მეგონა, გამასილაქებს-მეთქი. ერთხელ მართლაც ვერ ავიცდინე. მეცადინეობის დროს წიგნში თეთრი ქალალდი მედო და ჩემდაუნებურად უზარმაზარი სტაფილოს-ფერი ცხვირი დავხატე. ვარდიკომ წამასწრო, დახედა და უანგისფერი გახდა. წამოვინიე და უმალ დავჯექი, რადგან ისეთი ტკაცანი გავიგონე, მეგონა კედელი ჩამომემხო...

— რა ბიჭი დამდგარა! — ეს სულიკო ხუბუტიაა, დაბალი, თეძოსქელი ტურფა. არ მახსოვს, რა ფერისა დავტოვე, მგონი, თმას მაშინაც მოცისფრო გადაჰკრავდა. ცისფერ თვალებს

აფახულებს, ლურჯი ფანქრით შემოუხაზავს. პუტკუნა, ცივი ლოყა ლოყაზე მომადო, ვითომც მაკოცა.

ჩვენმა რისხვამ, ქსენია სალაყაიამ ჭკუის სასწავლებლად თითო ასწია.

— გაეშმაკდებოდი ახლა შენ, მიყურე ერთი!

ქათქათა ჭალარა გვირგვინი ადგა, მაგრამ ისე ამაყად და თავაწეულად შემოგხედავდა, ახალგაზრდაზე უფრო ახალგაზრდა ჩანდა.

ჩიტო ხუხუამ სკამი ააჭრაჭუნა, ადგომა დაეზარა.

— კარგად გამოიყურები, გენაცვალე! — ერთი ჩოფურა, ტლანქი დედაკაცია. ასეთები ტრაქტორებივით მუშაობენ, ამას კი სკამს ვერ ააღლეტ.

სოფლის პატარძალი ტატიანა ყალიჩავა ნაზად მიღიმის. აქედან რომ წამიყვანეს, ერთი ცქრიალა, წერწეტი იყო. ახლა მუცელი წამოზრდია.

ოლდა დარჯანიამ ცივად გამომხედა, არც კაი უთქვამს, არც ავი. ვიწროთვალება, მონგოლური იერის ქალია. ლობიოსავით მსხვილ კბილებს რომ გამოაჩენს, მგონია, რომ ცხენივით დაიჭიხვინებს.

ამბაკო ცომაიამ, ჩვენმა აგრონომმა, ოთახი ჯარისკაცურად გადმოჭრა, ხელი გამომიწოდა.

— მაშ, მაშ, დაგვიბრუნდი!

— იოსავა სადაა? — კითხულობს ვერულავა. — ნაზიბროლა, წაიყვანე და რაც საჭიროა, მიეცი. მერე ეთერს გადაულოცე!

ნაზიბროლა წირღვავას, თეთრეულების საწყობის გამგეს, ფეხებზე კალოშები აცვია და მიჩლახუნებს, თითქოს მუხლებამდე ტალახში მიდიოდეს. ტანს ისე ამოძრავებს, გარბისო. სინამდვილეში კუს სიჩქარით ძლივს მიჩოჩავს.

თეთრეულის საწყობში შემიყვანა, ზენრები, ბალიშისპირი, საბანი, პირსახოცი და ბურტყლიანი ბალიში დამიხვავა და საძილე ოთახისაკენ წამიძღვა. კიდევ კარგი, შორს არ არის. ცარიელ საწოლზე დავყარე და საკუჭნაოსკენ გავემართეთ. მეკუჭნავე ეთერ იოსავა ლიმილით მხვდება, მწყობრი, წვრილი კბილები უჩანს.

— დიანოზმა, რაც ეკუთვნის, მიეციო! მერე პელოს გადა-
ულოცე!

ნაზიბროლა წირლვავას კალოშების ჩლახუნი იმდენ ხანს
მესმის, თითქოს ორი ნაბიჯი კი არა, ჩემს უკან ორკილომე-
ტრიანი დერეფანი ყოფილიყოს.

ეთერ იოსავამ ნიკაპი თითებით ამინია, თვალებში ჩამხედა.

— ჰმ, დაგვიბრუნდი, სიმპათიავ?

— ჰო! — მოკლედ ვპასუხობ. ასე თავაუნეულად ბევრს
ვერ ილაპარაკებ.

— ჰმ, რითი გაგახარო? ხომ იცი, ტეპასიდან ვერ გამოგი-
ნერ „ლევისებს“!

ამოდენა პრეტენზია არცა მაქვს. მძიმე, უხეში ბათინკები
მოვიზომე. უსახური შარვალი და კურტაკი გამოვართვი, უხმა-
რი საცვლები და წინდები, დაბამბული პალტო... დიდი ვერა-
ფერი შეილია, მაგრამ თბილად ვიქნები ზაფხულამდე.

მოხედვაც ვერ მოვასწარი, თითქოს იატაკიდან ამოძვრაო,
წინ პელო ნინუა დამერჭო. სიმაღლით ჩემოდენა კი იქნებო-
და, მაგრამ მე ჯერ კიდევ მქონდა იმედი, რომ გავიზრდებოდი,
პელო ბებია კი ადრე უფრო მაღალი მეგონა, თუმცა ალბათ
ადრეც ასეთი ციცქა და მოჯღანული იქნებოდა.

— მოდი, გენაცვალე, მოდი, ჩემი ოქრო! — წაუმლერა
პელო ბებიამ. — კაი ქენი, რომ დაგვიბრუნდი, გენაცვალე!
ყველას შვილივით გვიყვარხარ!..

ხელი ჩამავლო, ტუტუნ-ტუტუნით აბანოსაკენ წამიყვანა.
ამას ჩვეული ვარ და მორჩილად ვდგები ცხელი შხაპის ქვეშ.

ამასობაში შიმშილმაც მომაკითხა. ბავშვები სკოლიდან
არ მოსულან, მაგრამ ჩემი კუჭი უკვე გადაეჩვია მაგ განაწეს
და თავი სასადილოში შევრგე.

— დეიდა ვარა!

ვარვარას ხელში ჩამჩა ეჭირა, ქვაბში ურევდა. ღაუღაუა
ლოყები, ჩემს დანახვაზე, ცხიმის წინწკლებით დაეფარა, ხე-
ლები გაშალა და შეიცხადა:

— ბატიუშკი, ეს ვინ მობრდზანებულა!

გული გამითბა.

— გშია, ჩირიმე? აკლავე, აკლავე...

ეს ამოდენა ქალი დატრიალდა, მოზრდილი მათლაფა მო-
ნახა, იმდენი ბორშჩი ჩამითქლიშინა, ფეხი რომ დამცდენოდა,
ჩიგ ჩავიხრჩობოდი.

— ჩამე, ჩირიმე, ჩამე! — თან თმა მომწინკნა, ყური ამი-
ნია, მხარზე მუჯლუგუნი წამკრა, მოკლედ, სადილის საფასური
წუთში გადავიხადე.

მათლაფის ძირი გამოჩნდა და სასადილოში ცისია დევ-
დარიანი შემოცქრიალდა.

ისეთი ლამაზი ვინმეა ეს ცისია დევდარიანი, თითქოს პირ-
ველად ვნახეო, ფეხზე წამოდგომა დამავიწყდა. ასე ვზივარ,
კოვზი პირთან მიჭირავს, პირი დამიღია და გაშტერებული
ვუყურებ.

ცისიას ეცინება.

— ნიკანორ, რა დაგემართა, კოვზი არ გადაყლაპო! — ლო-
ყაზე ტკაცანით მაკოცა და წინ დამიჯდა. — ჭამე, ხელს არ
შეგიშლი!

აბა, ეგა თქვი და! ხელს არ შემიშლის! ცხვირწინ დამისკუ-
პდა, შემომცინის და ხელს არ შეგიშლიო... ლუკმა ვერ გადავ-
ყლაპე...

— კედლის გაზეთი არ დამავალო! — ამოვლერლე ბოლოს.

— არ გავალებ, მაგრამ რაც შენ წახვედი, ჩაგვიფლავდა!

— თავი მოისაწყლა. — არავითარი გაქანება, შარშანდელი
თივასავითაა, არც გემო, არც ფერი...

— იცოდე, შიმშილობას გამოვაცხადებ! — დავემუქრე.

— ჩვენ ხომ მეგობრები ვართ!

ეშმაკის ფეხი, საითაც მოუნდება, იქით მიმატრიალებს.

ვუყურებ და ვფიქრობ: ცისიას მშობელი მხოლოდ ცაა
ალბათ, ისეთივე გამჭვირვალე და ჰაეროვანია იგი. შეხედავ
და ზაფხულის სიცხეში გრილი ნიავი მოგელამუნება. დედის
დამსახურება მხოლოდ ისაა, დაბადა და მისი წამდვილი სახე-
ლი ამოიცნო...

პირველი დღის შთაბეჭდილებები უფრო მკვეთრად ჩამე-
ბეჭდა მეხსიერებაში. ამიტომაც გამიგრძელდა სიტყვა. ხან-

დახან თვეები ისე ჩაივლის, სათქმელიც არაფერია. პირველ დღეს კი უმნიშვნელო წვრილმანებიც გამახსოვრდება.

ცისია დევდარიანთან ლაპარაკი არც მქონდა მომთავრებული, გარედან ხმაური და ბრაგაბრუგი მოისმა. ბავშვები მობრუნდნენ სკოლიდან და ახლა შემოსასვლელთან ფეხებს იბერტყავდნენ.

კარი გაიღო და ქუცნა ჭედიამ შემოყო თავი. ხვლიკსა ჰგავდა — გამხდარი, ცქაფი, ცოცხალი. მერვეკლასელი კი იყო, მაგრამ სიმაღლით მე ვერ მჯობნიდა... გამიღიმა, გავუღიმე. მეტი სალამ-ქალამი ჩვენ არ ვიცით. თვალი ჩამიპაჭუნა, მეც ჩავუპაჭუნე. ჩემი ნათლია იყო, ნიკო ნიკანორად მიქცია. მინდოდა სამაგიერო გადამეხადა, მაგრამ გადავიფიქრე, „ქუცნა ჭედია“ ისედაც მეტსახელსა ჰგავდა.

ზურგზე მოაწვენ და საცობივით შემოაგდეს. ხმაურით, ურიამულით შემოცვივდნენ, აავსეს სასადილო.

ზოგმა გამიცინა, ზოგმა მუჯლუგუნი მკრა, ზოგმა თმაზე მომქაჩა.

— ჟა, ნიკანორ, ზლაპრები არ გამოგველევა ანი!

თითო-ოროლა ახლებიც ურევია. ერთმა მხარზე მძიმე ხელი დამადო, გაუღიმარი, ცივი თვალებით დამაცქერდა.

— ეს ჩემი ადგილია!

ავდექი, ადგილი მართლაც მისი იყო. კილო არ მესიამოვნა ოღონდ. ხომ შეეძლო, ოდნავ რბილად ეთქვა და ყველაფერი „ოკეი“ იქნებოდა.

ცისიაც ადგა, საქმე ულევი მაქვსო, მე კი ქუცნა ჭედია-სთან მივირბინე, ყურთან დავიხარე:

— ეგ ვინ არის?

— ღორჯოლაა, შეეშვი ერთი!

— უფრო ღრჯოლაა, მე თუ მკითხავ. — ჩავჩურჩულე.

— ნინ რომ დაუჯდა, ტყუპისცალია, ფუცუკა! — ქუცნამ ჩაითხუუნა.

ტყუპები ერთნაირები გამეგონა, ესენი კი ერთმანეთს არ ჰგავდნენ. ერთი თუ მართლაც ღორჯოს მაგონებდა, მეორე

— გაძვალტყავებულ ცხენს.

ჩვენს ფხუკუნზე ღორჯოლამ მოიხედა, ეჭვიანად ამათვალიერა. ქუცნა ჭედია ნამში ჩაქრა, ვითომ არაფერ შუაში ვარო. მეც არ გამიგრძელებია იღბლის გამოცდა. სასადილოდან გამოვჭენდი და კარში პირდაპირ მიმოზა კაციას დავეტაკე.

ბედი არ გინდა! ისე უხეშად გამომივიდა, მგონი ვატკინე კიდეც. საცოდავად ამოიკვნესა. მიცნო, სიმორცხვეს ვეღარ სძლია და წყნარად მომესალმა.

— გამარჯობა!

მეც დავიბენი. რაღაც რევერანსის მაგვარი გავაკეთე. ვინმეს რომ დავენახე, სიცილს დამაყრიდა. ისედაც სულელივით კარში ვიყავი გაჩხერილი და არ ვუშვებდი. სასწრაფოდ ჩამოვეცალე და ეზოში გავინავარდე. რა ისეთი ღონე დამგროვებია, ეზო სწრაფად შემოვირბინე და ტლინქებით სულ ტალახი ვყარე.

მოვიხედე, ციცქნა ჭუკია მომდევს. გავჩერდი, გაჩერდა. თაგუნასავით დაკუსა წვრილი თვალები და წამახული ცხვირით ჰაერი ისე შეიყნოსა, თითქოს სუნამო დამეღვაროს.

— მომდევ?

— კი! — თავი სწრაფად დამიქნია.

— მესამეში გადახვედი?

— კი!

— დამიჭრ?

— კი!

— აბა, დამიჭირე!

გავიქეცი. გამომიდგა. მაგნოლიას სამჯერ შემოვურბინე. რას დამენეოდა! შემეცოდა და გეზი ვიცვალე, ვითომც შემთხვევითო, შევჩეხე.

აკისკისდა და აკისკისდა.

— გეყოფა, თორემ უსადილოდ დარჩები!

— დღეს კინოა, ინდიელებზე, ბა-ბახ! — ვითომ გაისროლა და მოქუსლა.

ძალიანაც კარგი! რამდენი ხანია, კინოში არ ვყოფილვარ.

სკამზე დავჯექი და დაველოდე, სადილობა როდის დამთავრდებოდა. თანაკლასელები მაინტერესებდა.

ჯერ გოგონები გამოჩნდნენ. მიმოზა კაციამ მალულად მოიხედა, განითლდა. სულ ასე წითლდებოდა და ამის წამალი მე არ ვიცოდი. ცირუ და პეპელა გამოყვნენ. დამინახეს თუ არა, ჩემკენ წამოკუნტრუშდნენ.

— შენზე ამბობენ, ავად იყონ! — ჩამეკითხა ცირუ ბედია, ავადმყოფები სხვა ჯურის ხალხი ჰგონია.

— შენ თუ ხარ ჭკვიანად? — დავეჯლანე.

ოთხმოცდაათს გადაცილებული ბებია ზრდიდა აქამდე. დედაბერმა ჭკუით გაზომა, ვაითუ დილით ბავშვს მკვდარი დავხვდე და გული გავუხეთქოო. ამიტომაც „სიხარულში“ გაამწესა. როცა ოდნავ ღონეზე მოვიდოდა, ჩამოაკითხავდა ხოლმე, თუ არადა, ვინც აქეთკენ გამოიხედავდა, ყველას პირით უთვლიდა, ჭკვიანად იყავი, არ იცელქოო. ამიტომაც შევეკითხე, ჭკვიანად თუ ხარ-მეთქი. არ წყენია, ჩემი შეკითხვა ყურს იქით გაუშვა.

— გადამდები ხომ არაფერი გჭირდა?

— ისეთი გადამდები სენი მჭირდა, ვისაც თითო დავადე, ყველა დაიხოცა!

— მართლა? — პირი დააღო პეპელამ.

— კი! დახოცილებისათვის კუბო არ გვეყო, ამანათების ყუთებში ჩავაწყვეთ და ნათესავებს დავუგზავნეთ!

— მმ!..

სანამ ამათთან ვჯდანაობდი, თანაკლასელი ბიჭებიც მოცვიდნენ, ხელი ჩამომართვეს. ხვიჩა თურქიამ დაახველა და დიდის ამბით გამოაცხადა:

— დღეს კინო ყოფილა ინდიელებზე! ისეთი ჩხუბია თურმე... გააფრენთ!

— ტელევიზორში რომ იყო, „ლედი კარატე“, აი, რომ გვიჩვენონ! — არველოდ არდიამ ხელი ისე გაიქნია, ვითომ კარატისტი იყო.

— ინდური კინოებიც მიყვარს! — ოთოია თავცეცხლამ ცოტა წაუმდერა კიდეც ინდოელთა ყაიდაზე. თავს რომ შეარხევდა, თმებზე თითქოს ცეცხლის ალი გადაუვლიდა.

— შინ რომ ვიყავი, ერთ კარატისტს ვიცნობდი, ხელს მოიქნევდა... უპ! — ზაზა დევიძემ ხელით ვითომ ვიღაცას თავი

გადაასხიპა. დიდი და გაუჭირვებელი კაცის შვილი იყო ზაზა. მამიკოს განუცხადებია, ბავშვი გაჭირვებაში უნდა იზრდებოდესო და სახელმწიფოს ჩამოპკიდა კისერზე, ქვეყანა მდიდარი და კეთილია, მოუვლის, აბა, ხომ არ აშიმშილებსო.

— უპ... და თავი წააცალა, ხომ? ბევრი ნახე დახოცილი! — აქირქილდა ოთოია თავცეცხლა.

— ცოტა ადრე წავიდეთ და ადგილები დავიკავოთ! — ივერი ტყებუჩავას პირისახე გოგოს მიუგავს. განგებ იჭყანება ხოლმე, ვინმეს მართლაც არ შეეშალოს და გოგო არ ვეგონოო.

ჯგროდ წავედით. არც სხვები იყვნენ სულელები, ვინც ჭამა მოათავა, სოფლის კლუბისაკენ მოიჩქაროდა.

თითქოს ქარმა ჩაიქროლა, ფეხაჩქარებით ჩაგვიარეს ცქიფურიშვილებმა. ცხრა შვილის დედა ავტოსტრადაზე რეფრიუერატორმა რომ მიასრისა, ბოლო — დათუჩი ორი წლის ძლივს იქნებოდა და სამუდამოდ დაძინებულ დედიების ღილზე ექაჩებოდა: „დე, ჯუჯუ მინდა!“ მამა კი, ერთი უბირი გლეხიკაცი, ამოდენა ოჯახს მკლავის ღონით რომ არჩენდა, თითქოს ეს მკლავები დააწყვიტესო, დაჯდა ღარიბული ქოხის დირეზე და მზერა სივრცეს მიაშტერა... უფროსმა და-ძმამ თავსა და მამას მიხედა, დანარჩენთა პატრონი კი ბიჭიკო და „სიხარული“ შეიქმნა... უჭმელი ბავშვების სადარად ბიჭიკოს სახეზე ყვრიმალები ამოსჩრია, დიდრონ, სევდიან თვალებს აყვარევალებს... ახლაც ბურძგლა თავი ჯიუტად დაუხრია და თავისიანებს მიუძღვება... ძმას ფეხდაფეხს მიჰყვება მერვეკლასელი ფუნთუშა, ქათქათა, ჩამრგვალებული გოგონა... კვალზე ჩემი თანაკლასელი კუჭუნა მისდევს. რომ ჩამიარა, გვერდში მუჯლუგუნი ჩამაზილა, თან თვალი ჩამიპაჭუნა. მერე მოდიან მეხუთეკლასელი ნანული, მესამეკლასელი უუუუნა და პირველკლასელი დუდუნა. ამისათვის ხელი ჩაუვლია ნაბოლარას — პატარა დათუჩის, მოდის კი არა, ბურთივით მოგორავს.

შურდულივით გავარდა პაპუჩი ეძგვერაძე. ხელი წავატანე, მაგრამ კინალამ სახელო შემატოვა. ვიფიქრე, გოგონების ხათრით იმტვრევს თავ-პირს-მეთქი. მოვიხედე, მართლაც მეხუთეკლასელები ცუცუ, იამზე და მაყვალა მოსეირნობენ.

— მოგივიდა პასუხი? — ვეკითხები ცუცუ მარღანიას.

ცხვირი ამაყად აპრიხა და განზე მიაბრუნა. ქვეყანამ იცის, რა ცეცხლიცა წვავს. მუდამ წერილების წერაშია, ჩუმ-ჩუმა აგზავნის სადღაც.

— შენ შენი დიდი ნიკანორი თუ მონახე? — გესლიანად მეკითხება იამზე კავსაძე. პასუხს არა ვცემ. თავისი გასაჭირი ყოფნის და არ მინდა გული ვატკინო. საკმაოდ შეუხედავია, თანაც კოჭლი. ამის დაფარვას ცდილობს და ვერ ახერხებს. ამიტომაც იბოლმება და მზად არის დაგვესლოს.

მაყვალა შონია მიღიმის, თითქოს მოწყალებას იმეტებდეს. მაყვალა შონია სულაც არაა მაყვალა, მით უფრო შონია. ერთი ქერა, ცისფერთვალება, ცხვირპაჭუა გოგოა, თუმცა ღერი რუსული არ ეხერხება. თავისი ტოლი ძმა ჰყავს — კახა შონია, რომელიც სინამდვილეში არც კახაა, არც შონია, არც მისი ძმა — ესეც ერთი რუსი ბიჭია, ესეც ქერა, ცისფერთვალება და ცხვირპაჭუა. რუსეთის სულ სხვადასხვა მხარეებიდან ჩა-მოიყვანეს ახალმა მშობლებმა, და-ძმად აქციეს, მერე კი, არ ვიცი, იქნებ გული აიცრუეს...

ამასობაში მივაღწიეთ კიდეც სოფლის კლუბს. ვხედავ, ადგილები სანახევროდ შევსებულია. აქაოდა, მებილეთე ვერ გაგვიგებსო, სოფლის ბიჭებიც ბლომად შემოპარულან. ავი-რჩიეთ ერთი რიგი და მეექვსეკლასელები ჩავმწკრივდით. თი-თქოს ჩვენ გველოდნენო, წამში შეივსო ადგილები ირგვლივ. თავისითავად გამოვიდა ისე, მიმოზა კაციას გვერდით აღმო-ვჩნდი. მერედა რა? მაინც ვერ ვიხედები იმ მხარეს, შევხედავ და განითლდება... წინა რიგში ცუცუ, იამზე და მაყვალა დას-კუპებულან. კახა შონია თავისი დასთანაა. სულ ჩხუბობენ, ერთ-მანეთს ვერ იტანენ, მაინც მუდამ ერთად სხედან... უკან მოვ-იხედე და ძმები ღურწკაიები დავინახე, მეშვიდეკლასელები, დინჯი, თავშეკავებული ბიჭები. არ ვიცი, მიცნეს თუ არა, თავე-ბი კი დამიქნიეს. სიტყვა გამიგრძელდა და წრე იმიტომ შე-მოვხაზე, მეთქვა, მეორე მხარეს ერთი სკამია თავისუფალი-მეთქი.

შემობრძანდა ის ახალი, ღორჯოლა, მე რომ „ღორჯოლად“ მოვნათლე. გვერდით ტყუპისცალი მოჰყვება, ფუცუკა, ჩიჩ-

ვირჩამოშვებულ ცხენს რომ ჰგავს. ქურუშად მიიხედ-მოიხე-და ღორჯოლამ, კარგ ადგილებს ეძებს. მეც დამინახა და ის ცარიელი ადგილიც ჩემს გვერდით. წამოვიდა და მთელი რიგი წამოდგა, რათა გაეტარებინა. ამისათვის არც ბოლიშები დას-ჭირვებია და არც ჯიკავ-ჯიკავი. მოდის ღორჯოლა თავისუფა-ლი ადგილისაკენ, ამაში გასაკვირი რა უნდა იყოს, მაგრამ აგერ ფუცუკაც მოჰყვება ფეხდაფეხ. ვფიქრობ, ნეტა ერთ სკამზე ორივენი როგორ მოთავსდებიან, ან რა ისეთი გაჭირვებაა, წინა და ბოლო რიგები ხომ თავისუფალია-მეთქი.

ფიქრი ვინ მაცალა, წამომადგა თავზე და ერთი სიტყვა დააგდო:

— ადე!

მამაჩემი, დიდი ნიკანორი მასწავლიდა ამ ასიოდე წლის წინ: შეიძლება ადამიანმა სიცოცხლე დათმო, მაგრამ ხდება ხანდახან — შაურიანის დათმობა სიკვდილის ტოლფასია...

შემეძლო, ცხადია, დამეთმო ეს სკამი, კინოც დამეთმო ინდიელებზე, მაგრამ ამჯერად ამ ჩემს სკამს, რომელიც კანო-ნით მე მეკუთვნობდა, სიკვდილის შიშითაც ვერავინ წამართ-მევდა და მიმოზას შევეკითხე:

— მიმოზა, შენ ხომ არ იცი, რას მთხოვს ეს ბაბუა?

მოხდა რაღაც საშინელება. ვიგრძენი, რომ ყურში ხელი წამავლეს და ამქაჩეს. მთლად ისე არა, რომ ამღლეტოდა, ტკივილსაც ბოლო-ბოლო მოვითმენდი, მაგრამ დამამცირე-ბლად კი. სიბრაზისაგან თვალზე ცრემლი მომაწვა და როგორც კი ხელი მიშვა, ძალლივით კბილები გავაკრაჭუნე და ხელზე ვეცი.

მაგარი ბიჭი ყოფილა, ხმა არ ამოულია, ძლივს მომიშორა. ღურჯ წაკბილარზე დაიხედა. მეგონა, მუშტის ასწევს და თავზე უროსავით მხეთქავს-მეთქი. იქნებ ასეც მომხდარიყო, მაგრამ წინა სკამიდან იამზე წამოხტა, სიავისაგან თვალები კინალამ გადმოსცვივდა:

— არა გრცხვენია, ამოდენა ვირი...

„ვირიო?“ — ღორჯოლამ მიმოიხედა, მთელი დარბაზი მას უყურებდა.

უხმოდ შებრუნდა, შეყოვნებული ძმა წინ გაიგდო და უკანა რიგს მიეტანა.

სიბნელეში ზურგს მიბურღავდა მისი მზერა, მაგრამ ეკრანზე ისმოდა ცხენების თქარათქური, ბოროტი ჭიჭინაზე სკდებოდა, კეთილის წილი იყო თანაგრძობა, ოქრო და მშვენიერი გმირი ქალი. მე რისი უნდა მშინებოდა? მე ჩემს რაშს მივაქროლებდი და ღორჯოლას ჯაგლაგი ვერ მომენტოდა...

18

გვიანი ლამეა, ვწევარ ჩემთვის, ვაყვლიპინებ თვალებს, არა და არ მეძინება.

ვითმინე, ვითმინე, მერე ბალიში ავნიე, ზურგით მივეყრდენი და ოთახს გავხედე.

ფართო ოთახი გვაქვს. ათი საწოლი ერთ მხარესაა ჩამორიგებული, ათი — მეორეს. ვიღაცას უფიქრია, ნამეტანი ხალვათი გასასვლელია შუაშიონ და ოთხი საწოლი სიგრძეზე ჩაუკვეხებია. ამ ოთხიდან პირველი ჩემია. თავით კედელს ებჯინება. საკმარისია ავინიონ და მთელი ოთახი ხელისგულივითაა.

გარეთ ბნელა. ფანჯრიდან ეზოს ნათურა იყურება. იმის შუქზე ფიფქი ტრიალებს. საიდან გაჩნდა? ნუთუ გათოვდა?

კარის ძგიდეზე წითელი ნათურა ბუუტავს სუსტად. საწოლი ავაჭრაჭუნე.

პაპური ეძგვერაძე, მოუსვენარი, მკვირცხლი ბიჭი, შამფურივით შეტრიალდა, თავი წამოსწია და მომაჩერდა:

— არ გძინავს?

თვითონ ხომ სულ სძინავს, ოღონდ კურდღლის ძილით. ოდნავი ფაჩუნი და თავს წამოჰყოფს. მისი საწოლიც გასასვლელში დგას, ჩემს ფერსთით...

— თუ არ გძინავს, მოყევი რამე! — ბალიში ჩაიხუტა, ნიკაპით ჩამოეყრდნო და მომჩერებია.

— რა უნდა მოვყვე? გარეთ თოვას აპირებს, აქ თბილა, მეტი რაღა გინდა? — სიტყვა ბანზე ავუგდე.

— ზღაპარი მოყევი!

„ზღაპარი?“ — მარცხნივ და მარჯვნივ ზამბარები აჭრაჭუნდა და ერთბაშად ოთხი წყვილი თვალი აინთო. მარჯვნივ პირველკალასელები მიშიკო გაბედავა და ჯიბო მოსაშვილი წვანან. მიშიკოს ქვედა ტური ჩამოუშვია, ნერწყვს ვერ იკავებს... ჯიბო შავზე შავი გადაბმული წარბებით გამოირჩევა. ამ წარბებს შორის ღრმად ჩამჯდარი თვალებიც ისეა ჩაშავებული, რევოლვერის ლულები გეგონება... მარცხნივ მეორეკალასელები ვალერიკო გაგლოევი და რომანიკო ბარნაბიშვილის საწოლებია. წითელყვრიმალებიანი ვალერიკო ოსეთიდან ჩამოიყვანეს თურმე, არც ოსური იცოდა, არც რომელიმე სხვა ენა... რომანიკო ჩვენსავით დაკარგული როდია. ფუნთუშა ლოყებზე ტკბილეულის სუნი სდის. კვირაობით გასტრონომის დირექტორი დედიკო აკითხავს საკუთარი „შიგულით“. კვირა დილა რომანიკოს მხიარული ჭიხვინით იწყება, საღამო კი ხმადაბალი ზმულით მთავრდება.

— გახსენი რა ზღაპრის გუდა! — რომანიკომაც ბალიში მოხერხებულად გაისწორა.

რამდენი ხანია წასული ვარ და ჩემი ძირსმოსაჭრელი ენა არ დავინიშებიათ.

— ზღაპრის გუდა ტყუილების გუდაა, მე თუ დამიჯერებთ! — თითო ავნიე. — ზღაპრებს უფროსები თხზავენ, თვითონაც არა სჯერათ, ჩვენ კი გვატყუებენ!

— მაინც კაია ზღაპარი! — პაპური მოუთმენლად გადაგორდა-გადმოგორდა, საბანი კოხტად ამოიკეცა და მოსასმენად მოემზადა.

— რა მოვყე?

— იყო ერთი ღტ-ღტ! — წამოიძახა ჯიბომ.

— იყო ერთი ღტ-ღტ! არც თავი ჰქონდა, არც ფეხი, არც ტანი, არც ხელი, არც არაფერი! არ დადიოდა, არ დაფრინავდა, არ დარბოდა, არ დახტოდა, მაგრამ საკმარისი იყო, ვინმეს ეთქვა: „ღტ-ღტ!“ სიცილ-სიცილ მოვარდებოდა და ყველაზე უცხვირპირო, ბუზღუნა და ბუტია ბავშვს გააცინებდა. თვითონაც ხომ სულ იცინოდა, კისკისებდა, კვასკვასებდა, ხარხარებდა, ქირქილებდა, ხითხითებდა, კუჭკუჭებდა, ხანდახან მთლად ჩაბურდებოდა...

ერთი სულის ამოთქმით ჩავარაკრაკე, თან მეზობელი სანოლებისაკენ გადავიხარე, ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ, ვითომ ფეხის გულებზე უნდა შეგიღიტინოთ-მეთქი. საწოლები გრძელები იყო, ბიჭები ჯერაც მოკლები, ფეხებს ვეღარ მივწვდი, მაგრამ ისინი აკვასკვასდნენ და აკისკისდნენ...

— ნიკანორ, ხედავ, ფიფქი ფარფატებს, თავი ციმბირში მგონია! მოყევი რა, ვითომ მამაშენი — დიდი ნიკანორი ჩრდილოეთის ირმებით მოგზაურობს და თეთრი დათვი შეეჩება!

— ხვიჩა თურქიამ საპანი მჭიდროდ შემოიხვია და ფანჯრის რაფაზე ჩამოჯდა.

— უკეთესია, აფრიკაში ჯუჯებმა კინაღამ რომ შესანსლეს! — წამოხტა არველოდ არდია.

— აფრიკაში კი არა, მთვარეზე გაფრინდა და იქაურმა ჯუჯებმა შეჭამეს! — გამოანათა ოთოია თავცეცხლამ.

— დებილო, მთვარეზე სიცოცხლე არ არის, ჯუჯებს რა უნდა! — ჩაიბუბუნა გონელი ჩიჩუამ. ისეთი გამხდარი ვინმეა ეს გონელი, ინდაურის წონა ძლივს გამოვა, სამაგიეროდ ხმა აქვს, ას ფუთს აიწონის.

— თვითონ დებილო, სიცოცხლე არ არის, მაგრამ იქნებ ქვის ჯუჯები არიან! — არ დათმო ოთოიამ.

— ვინმეს მაგი რომ შეეჭამა, ნიკანორს სალაპარაკო გაუთავდებოდა! — განაცხადა ზაზა დევიძემ.

— ნიკანორ, ხმა ამოიღე, ტყუილუბრალოდ ნუ აყაყანებ ამათ! — ივერი ტყებუჩავამ ჩაურთო.

ამასობაში წვრილფეხობამაც წამოყო თავი. უფრო სწორად, ძლვიკისა და ქვათის არა სძინავთ, თორემ მეოთხეკლასელები სიკო, რწყილა და ომიკო ზარბაზნის გასროლას ვერ გაიგებენ. ესენი იმდენს ხტუნაობენ, ძალაგამოლეულებს სალამობით ზეზეურად სძინავთ. ძლვიკი და ქვათი ერთი გვარისანი არიან — ჩქვანავები, ერთი სოფლიდან, კარის მეზობლები. მშობლები კატასტროფაში დაეღუპათ და თავი ძმები ჰგონიათ. ძლვიკი ქუცნა ჭედიამ შეარქვა, სიცივისაგან მობუზულ პატარა, უშნო ჩიტს ჰგავსო, სამაგიეროდ ქვათი გოდორაა, თავისაზე ორი-სამი წლით უფროსებს წონითაც ჯაბნის,

სიმაღლითაც და მადითაც. ამათ გვერდით ჭუკიამაც დაკუსა თვალები და ყურები ლოკატორებივით ამოძრავა.

ცოტათი გავიპრანჭე. მარჯვენა ავწიე, ქუთუთოები მოვჭუტე, შუბლი შევიჭმუხნე, ვითომც, რასაც ვყვები, აზრის სივრცეზე ვხედავ-მეთქი და განგებ მოგუდული ხმით, აუჩქარებლად დავიწყე:

— დიახ, ამასწინათ მამიკოს შევხვდი — დიდ ნიკანორს! აი, ამოდენა, — ხელები გავშალე, — ულვაშები დარდით ჩამოეშვა. სინანულით მითხრა, რა გაეწყობა, ჩემი სახელგანთქმული ულვაშები უნდა მოვიპარსომ. მეწყინა, ცხადია! გახსოვთ, ადრე გიყვებოდით, ჩრდილოეთ პოლუსზე მოგზაურობის უამს როგორ შევლოდა ულვაშები. ბარონი მიუნჟაუზენისაგან უსწავლია თურმე! საძილე ტომრიდან გარეთ გამოყოდა და როცა გაიღვიძებდა, იმდენი ჭირხლი ესხა, მთელი ექსპედიცია ადნობდა ჩაის წყლად. დიდი ნიკანორი რომ არა, უწყლობით დაიღუპებოდნენ.

პაპუნა, კუჭუნა და ჯანიკო აფრუტუნდნენ, აქეთ-იქიდან დაუსისინეს, მოგვასმენინეთო.

— ისეთი რა მოხდება-მეთქი, შევეკითხე. ჩემი მამიკო თუ ხარ, შენი ულვაშები ისე მომწონს, ოქრო-ვერცხლით დატვირთული ქარავანი რომ შემოგთავაზონ, ამ ულვაშებს მაინც ნუ შეელევი-მეთქი. თურმე ნუ იტყვით, კოსმოსური ხომალდის მეთაურად დაუნიშნავთ. კოსმონავტებს სკაფანდრები აცვიათ. თავზე, აი, ასეთი, — ხელები თავზევით მოვამრგვალე, — ჩაფხუტები ახურავთ. დიდმა ნიკანორმა, ჩაფხუტი რომ დაიხურა, ულვაშები შიგ ჩაიკუჭა და კინაღამ მოიგუდა... სულზე მიუსწრეს!

ამათ მეტი რაღა უნდოდათ, აქირქილდნენ.

— მოვა აღათი ბებია და დაგაგლევთ ყურებს! — წაიბუზებუნა თავდიდამ, ზღაპარს რომ კაი ძილის გამოცხობა ერჩივნა.

— მთვარეზე სიცოცხლე არ არის! — სწრაფად ჩამიკრა თურქიამ.

— მთვარეზე რომ ქვის ჯუჯების ტომი აღმოჩნდა... — გამოვასწორე.

— აგე! — ნიშნი მიუგო ოთოია თავცეცხლამ.

— იმისმა ბელადმა — პირველმა ჯუჯამ, სიმაღლით რომ ვაჟიკა-ცქნაფაზე, ან ძღვიკიზე, ანდა სულაც რწყილაზე და ჭუკიაზე ერთი მტკაველით მაღალია და აგერ, ქვათიაზე დაბალი, აი, იმან, დეპეშა გამოგზავნა, ვინაც კი საბავშვო სახლში, რატომლაც „სიხარულად“ რომ იწოდება, ქვისთავიანი და ქვისგულიანია, ჩვენი ჯიშისაა და გამომიგზავნეთო... დიდ ნიკანორს ებრძანა ამ საქმის მოგვარება...

— მაშ, გამგზავრებულა მთვარეზე თავდიდა! — შორი კუთხიდან ხმა მოაწვდინა სუმჩხვინდმა. ამას ცხვირზე ნაიარევი აჩნდა. ქუცნა ჭედიამ არ დააყოვნა და ცხვირი დაუთვალა: ერთი ცხვირი, ორი ცხვირი, სამი ცხვირი... შენ, ძმაო, სუმჩხვინდი, ე.ი. სამცხვირა, ყოფილხარო!... სუმჩხვინდიო? — მოაღო პირი ბიქმა, მაგრამ ყური არავინ გამოიბერტყა, არავინ შეიბრალა, ჯიუტად სუმჩხვინდს ეძახდნენ. უკლო ტირილს და შეეჩვია კიდეც.

— შენ თვითონ ხარ ქვისთავიანი! — არ შეარჩინა თავდიდამ. — გიჯობს შენს ცხვირს მიხედო!

— წუხელ ლაგვილავებთან მეძინა! — თავდიდას ჭიჭყინს არად ვაგდებ. — ატყდა ერთი გრრრიალი — გურ-გურ-გურ-ფშშ... ვაიმე, მინისძვრაა-მეთქი და კარში გავვარდი... თურ-მე დიდმა ნიკანორმა ვერასულას კლდის ძირას თავისი ხომალდი დასვა. ვისაც არა გჯერათ, მიდით და ნახეთ, იქაურობა ცეცხლითაა გადაბუგული...

— დილით რომ წავიდეთ? — იკითხა ქვათიმ, თბილი ლოგინის დატოვება ეზარებოდა.

— დილამდე დიდი დროა, კვალიც წაიშლება!
— გარეთ ცივა! — ჩაინრიპინა ჭუკიამ.
— ჰო, ცივა! — დავეთანხმე. — წუხელიც ციონდა. მეც შემ-ცივდა. ავდექი და ხანძრისაკენ წავედი. ვერასულას კლდის ძირას ტყე იწვოდა. მივეფიცხე და კარგადაც გავთბი. თან იმას ვუყურებ, აქ რა ხდება-მეთქი. ვხედავ, ნახანძრალზე დიდი ნიკანორი და ქვის ჯუჯა დგანან. ჯუჯა მუხლამდე ძლივსა სწვდება. ნაბიჯს რომ გადადგამს, ჩხაკა-ჩხუკი გააქვს. სხვა პატარა-პატარა ჯუჯუკები, ჭუკიას სიდიდისანი, აქეთ-იქით დაგორავენ, ერთმანეთს ეხლებიან — ჩხაკ!.. ზურგსუკან ფეხ-

ების ხმა მომესმა. მოვბრუნდი და თვალებს ძლივს დავუჯერე, ზოგ-ზოგი ჩვენი აღმზრდელი გადასწრებაზე მორბის!.. ლამე იყო და ყველანი ვერ ვიცანი... მიშიკო ძაგანიამ (ჩვენი მძღოლი გამასხენდა) ჩამოიქროლა თავისი მონჯლრეული „რაფით“, იმას ეგონა, ლამაზ-ლამაზი გოგოები ჩამოვიდოდნენ. იქით პისტი ქარდავა გამორბის, ურიკით დიდზე-დიდ ქვაბს მოაგორებს, ეს ჯუჯუკები სუკები და ბარკლები ჰგონია... მედიკო სამუშია მოირხევა ნაზად და პისტის გასძახის — „პისტი, შე სასიკვდილე, ცოტა მეც დამიტოვე!“ უცებ იპოლიტე კვირკველიამ იყვირა — „ჰეი, ხელი არ ახლოთ, ყველაფერი ჩემია!“ ვინ მოუსმენდა?! ყველას ფართხუნა ხალათები ეცვა და დიდ ჯიბებში ქვის კარაქებსა და ქვის შაქარს იტენიდნენ...

— ჩვენ ვინდა უნდა აღგზარდოს? — გულუბრყვილოდ მეკითხება პაპუჩი.

— ნუ დარდობ, დილიდან აღმზრდელ-მასწავლებლად თავდიდას ნიშნავენ და კარგადაც მოგივლით!

— ჩემთან რა გინდა, რა! — ჩაინუწუნა თავდიდამ.

— ცსს! — გამოსცრა კუჭუნა ცქიფურიშვილმა.

ბაჩუჩების ფაჩუნით შემოვიდა ლამის ძირა აღათი ეჯიბია, კარგა ხანს მიყურა... ამოიოხრა...

თითქოს ხელი მკრესო, თვალი გავახილე.

ფანჯრის მიღმა, განათებულ წრეში თითო-ოროლა ფიფქი ტრიალებდა და სიბნელეში იკარგებოდა.

ოთახში სანახევროდ ბინდი იდგა. ბიჭებს ეძინათ, მშვიდად ფშუტუნებდნენ.

ეძინა მთელ სახლს, ჩქამი არსაიდან ისმოდა.

ყური მივაპყარი, საიდანლაც, ოთახების სიღრმიდან თითქოს სუსტმა სლუკუნმა მოაღნია.

„პატარა ტირის!“ — გავიფიქრე. საწოლიდან უხმოდ ჩავსრიალდი. ცივ ფლოსტებში ჩავყავი ფეხი. ვცდილობ, არ ვიხმაურო. პაპუჩიმ თვალი დააჭყიტა, მომაჩერდა. თითო ტუჩზე მივიდე. კვლავ ბალიშს ჩაეხუტა და სიზმარეთში შებრუნდა. იქ დიდი, ბრჭყვიალა მატარებელი მიგუგუნებდა და ვერცხლ-

ისფერ ვაგონებში ნებიერად მიემგზავრებოდნენ კუჭუნა და ჯანიკო, სუმჩხვინდი და ოთოია, ძლვიკი და ქვათია, ვალერიკო და რომანიკო, ჭუკია და თავდიდა...

სახლის მეორე ბოლოს ორი ოთახია, სკოლამდელი ბავშვებისა. მეჩვენება, რომ სლუკუნი იქიდან ისმის და თითის წვერებზე მივიპარები.

ჯერ ბიჭუნებთან შევიჭვრიტე. ათ მომცრო საწოლზე ცხრა ბავშვს სძინავს. მეათე ლოგინი ანგრეულია, პატრონი არა ჩანს. დათუჩი ცქიფურიშვილი, ალბათ, რომელიმე დაიკოსთან წაცუნცულდა. ცხრა ვაჟკაცი კი ღრმა ძილში ჩაფლულა — ზოგს ცხვირი ბალიშში ჩაურგავს, ზოგი ზურგზე წევს, ზოგი მოკრუნჩხულა... თავხოტორა ზვიადი, ვაჟიკა-ცქნაფა, კოჭლი ლაშა, ანგელოზივით სიფრიფანა ნუკრი, თვეში ერთხელ ასთმის შეტევები რომ მოსდის, ეშმაკის ფეხი სოსიკა, მუდამ რომ ხელი გამოუწვდია („ერთი ცალი მზესუმზირა მასესხე!“ „ერთი წვნიკი კევა მომიწინკნე!“ „ვაშლი მაკეჩიე სულ ცო-ოტა-ცოტა, აი, ამოდენა!“), წკიპურტა — პანაწინა, ჯიუტი, ღონიერი; ვასიკო — პირმრგვალი, მორგვივით ბიჭი; სერიოუა — ღერი ქართული რომ არ „ეკერკება“ და ვინ იცის, რუსულის უცოდინარ ტოლებს რითი აგებინებს რაიმეს; ყურპარტყუნა — ყურები აქეთ-იქით გაუფლამტია და პირში თითი ჩაურჭვია საზუზნავად...

მეზობელ ოთახში შევყავი თავი...

ღამის ნათურა ბუუტავს აქაც, თანაბრად ეფინება რვა პატარა, მოკლე საწოლს. რვა გოგონას სძინავს — სამი, ოთხი და ხუთი წლისანებს... აგერ ოთხი წლის ეთერიკო, ოდნავ გახსნილი ბაგეებიდან თეთრი, წვრილი კბილები უბრწყინავს; სამი წლის სვეტას საფეტქელზე ქერა კულული დახვევია, ლურჯი ძარღვი წყნარად უფეთქავს; ხუთი წლის ნაილის შავი თმები ბალიშზე მიმოპნევია, პირისახე სანახევროდ შიგ ჩაუფლია; აგერ ოთხი წლის მამისთვალა, მრგვალი, დაჭორფლილსახიანი ებრაელი გოგონა, თმების სიწითლით ოთოიას რომ გაეჯიბრება; სამი წლის გოგუცას თურმე თმა გადაპარსეს, მკბენარი ჰყავდა, ახლა ბიჭისაგან ვერც გაარჩევ; ხუთი წლის თეონას მოკლედ შეკრეჭილი წაბლისფერი თმა შუბლზე ჩამოჰყრია, მკვეთრად მორკალულ წარბებქვეშ ქუთუთოები უთრ-

თის, თითქოს წამნამების გახსნას ეპირებაო; ლოყანითელი მოკონა, ენაჩლიფინა, მეგრულადაც ძლივს რომ უქცევს და სხვა არც ერთი ენა არ იცის... დაბოლოს, მარიხი...

შიშითა და გაკვირვებით მიყურებს. საჩვენებელი თითი პირში ჩაუჩრია. ცრემლი არ სდის, მაგრამ შიგნიდან მოწოლილი სლუკუნი ვერ შეუკავებია.

ახალი ბავშვია, წელან მოიყვანეს. თეთრხალათიანი ქალი და მილიციელი ახლდნენ, თითქოს დიდი ვინმე დამნაშავე ყოფილიყოს. თავისი პანია ფეხებით ისე მოაბიჯებდა, ვითომც გადაწყვიტა, სასჯელის ღირსი ვარო.

— რა გატირებს?

— მეშინია!

— ფისი გინდა?

— ჰო!

— ნამოდი!

წამოფოთხდა. ხელი შევაშველე, ძირს გადმოვსვი, ბუმბულივით მჩატეა. საწოლქვეშ ფლოსტები მოვუძებნე და ფეხები ჩავაყოფინე.

— ოლონდ ჩუმად, არავინ გავაღვიძოთ!

ციცქნა ხელი ნდობით გამომიწოდა. საპირფარეშოს კარამდე მივაცილე.

— შედი!

— მეშინია!

— იქ სინათლეა! ბიჭები არ შედიან გოგონების საპირფარეშოში!

— მეშინია!

— შედი და მე აქ დაგელოდები!

შედის, თან უკან-უკან იყურება. ცოტა ხანში ჩურჩული მესმის:

— აქა ხარ?

— ნუ გეშინია, არ დაგტოვებ!

სირბილით გამოდის, ელიმება.

— ისე შემეშინდა, იქ ვიღაცა იყო!

— იქ არავინაა, წავიდეთ!

ჩუმად ვბრუნდებით.

საწოლამდე მიმყავს, ვაწვენ, საბანს ვახურავ, იმან კი — უცებ:

— მე დედიკო სულ არა მყავს და მამიკოც სულ არა მყავს!
— არ დაიჯერო, აბა, ისე საიდან გაჩნდებოდი!
— არ ვიცი.
— შენ მამიკოც გეყოლება და დედიკოც. მანამდე, თუ გინდა, ვითომ მე ვიქნები შენი მამიკო!
— ასეთი მამიკოები არ არიან! — სევდითა თქვა.
— მართლა კი არ ვიქნები, ვითომ მამიკო ვარ! ოღონდ არავის უთხრა, კარგი?

ომაზე ხელი გადავუსვი და შევბრუნდი.
— მამიკო! — დამიძახა უცებ ეშმაკუნამ.

შევჩერდი.

— მაკოცე!

ლოყაზე ვაკოცე.

— დაიძინე! — წავჩურჩულე და წამოვედი...

ლოგინი გაყინული დამხვდა. საბანი ნიკაპამდე ავინიე და თვალი დავხუჭე. ძილი არა და არ მომეკარა. ხშირად მემართება ასე. დავინწყებ ფიქრს და ძილი სადღაც გამეპარება. რამდენს ვეხვენები, დამიბრუნდი-მეთქი, ძილის მაგიერ კი აკვიატებული ფიქრი მიბრუნდება.

მარიხზე ვფიქრობ. რა თქმა უნდა, სისულელე ვუთხარი. მინდოდა დამეწყნარებინა. ძამიკო მაინც მეთქვა, ხომ უფრო უპრიანი იქნებოდა. ადგება ახლა და ბიჭებში დამიძახებს მამიკოს. სად გინდა მერე დაემალო ბავშვების ხითხითს. მარტო ქუცნა ჭედია მეყოფა!

ვინ არის მარიხი? პატარა, ობოლი გოგოა! მხოლოდ ეს ვიცი, მეტი არაფერი. ვწევარ და ბიოგრაფიას ვუთხზავ. რა ისეთი ბიოგრაფია უნდა ჰქონოდა. შეიძლება მთელი მისი ცხოვრება ორ სიტყვაში მოთავსდეს — „დაიბადა!“ და „არის!“ მაგრამ თუ ჩავუკვირდებით?

დედა ხომ ჰყავდა? დიახ, ახალგაზრდა დედიკო ჰყავდა. სკოლა ახლახან დაამთავრა. გამოუცდელი იყო და შეცდა. არა, პირიქით! დედიკო ასაკოვანი ბრძანდებოდა. ჯიბეში უმაღლესის დიპლომი ედო. სამსახურიც ჰქონდა, ხელფასიც, ჰყავდა

ნათესავები, მეგობრები, პატარა ქალაქში ყველა იცნობდა... საქმროები თავს ევლებოდნენ... რაღაც ეშმაკად, ცოლიანი კაცი შეუყვარდა. იქნებ ის კაცი ცოლზე უკვე არ გიუდებოდა, მაგრამ შვილები ჰყავდა — ორი გოგო და ორი ვაჟი, იმათ კი ვერ მიატოვებდა. ჩუმად ხვდებოდნენ ერთმანეთს. კაცი იფიცებოდა, ისეთი დღეც გათენდება, ოჯახიდან წამოვალო. ასეთი დღე ვერ გათენდა, მაგრამ ისეთი კი დადგა, ქალმა რომ შეცოდების ნაყოფი იგრძნო... ჲა, საიდან ვიცოდი?.. გასაკვირია?.. პატარა ბიჭი და „შეცოდების ნაყოფზე“ მსჯელობა!.. ვაიმე, ქვეყანა გამიგებსო, წელზე კორსეტი მოიჭირა. მარიხი ჯერ არ დაბადებულიყო, კორსეტის ციხეში უკვე ჩასვეს.

კორსეტი რომ გაჩნდა, იმ დღეს გაქრა სიყვარულიც. კაცს გაახსენდა ცოლი და ოთხი შვილი. მარიხის დედიკოს გაახსენდა სამსახური, დიპლომი, ნათესავები, პატარა ქალაქის ჭორები... კიბო მჭირს, ვკვდებიო და დიდ ქალაქში გამოიქცა. კიბო კი არა, მარიხი სჭირდა. მოიშორა და ახლობლებს გააგებინა, კეთილთვისებიანი აღმოჩნდა, ღმერთმა მიშველა, გადავრჩიო. ღმერთმა გაიგონა ნათქვამი (ან იქნებ ეშმაკმა!), სამი წლის შემდეგ მართლაც კიბო გაუჩინა, ძუძუსი, მარიხმა რომ ვერ მოწოვა.

თვალი სწრაფად გავახილე, გული შიშიანად ამიფართქალდა, მკერდი ამტკივდა, თითქოს მე მომაჭრეს ის ძუძუ...

რა ბოროტი ვარ! ეს რამ მაფიქრებინა?

„მე დედიკო სულ არ მყავს და მამიკოც სულ არ მყავს!“ — თვითონ მითხრა ასე. იგი ციდან ჩამოფარფატდა, აი, იმ ფიფეკივით. იგი ღმერთმა გააჩინა, ანგელოზის უხილავი ფრთები შეასხა და ძირს ჩამოუშვა.

იმ წუთიდან დაიწყო მისი ცხოვრება.

ალბათ ძალიან პატარა იყო, იქნებ შვიდთვიანიც. შვიდთვიანებს სამშობიაროში დიდხანს აჩერებენ, მუშტარიც ნაკლები გამოუჩნდება... იწვა თეთრ სახვევებში, კრუტუნებდა თავის-თვის და აზრადაც არ იცოდა, მეფის სასახლეში მოევლინა ქვეყნიერებას თუ მანანნალის ქოხში.

ქოხი რა საკადრისია? თეთრ, ქათქათა სახლში გადაიყვანეს, სადაც მისთანანი ჭყლოპინობენ.

იზრდებიან, ოღონდ ნელა... სიარულს სწავლობენ, ოღონდ ცოტა უფრო გვიან, ენას იტეხენ, ოღონდ არც ისე ჩქარა...

სასახლეში დაბადებული ცხვირს დააცემინებს და ორ-მოცდათი ძიძა მიესვა გულის ხეთქებით, არიქა, ნიავი არ მიეკაროსო. თეთრ, ქათქათა პალატაში კი გასკდი თუ გინდა ტირილით, სანამ ერთი ძიძა ჩამოუვლის ორმოცდაათს...

— ისევ არ გძინავს? — პაპურიმ ასწია თავი.

— ვიძინებ! — მოკლედ მოვჭერი და საბანი თავზე წამოვ-იხურე.

სიზმარი ვნახე. ვითომ თოვლიან ტრამალში დავიკარგე-ნით. თავზე გვათოვდა უხვად. გვციოდა. არავინ იცოდა, გზა საითქენ გაგვეკვლია. მოვიდა მარიხი და მთხოვა — „ამიყვანე!“ ავიყვანე და პირდაპირ წავედი. ფეხდაფეხ მიმოზა კაცია მო-მყვებოდა. ისეთი გამჭვირვალე და სიფრიფანა ჩანდა, ლანდად ვხედავდი, მაგრამ ვიცოდი, რომ მიმოზა იყო. სხვა გოგო-ბიჭე-ბიც მომყვებოდნენ კვალზე. ვიღაცამ იკითხა: მაინც საითქენ მიჰყავს ნიკანორ ბჟალავას ბავშვები?.. ეჭვით იკითხა: მაინც საითქენ?..

19

ოხოტის ზღვა ნისლით გვეგებება. ხელის გაწვდენაზე ვე-რაფერს ხედავ. მთელ სამყაროში მარტო ჩვენი ხომალდია... ასეთ დროს საშიშია ცურვა. მოაჯირს თუ გადაეყუდები, რუხი წყალი ისე ჩანს, მსუბუქი ორთქლი დაეფინაო. ყოველი მხრი-დან თეთრი კედელია და „ოხოტსკი“, შუაში ხევს ამ კედელს. გახლეჩილი ნისლის ფთილები ფართატით მიექანება კორპუ-სის გასწვრივ.

მიცურავს „ოხოტსკი“, თან გაბმით გუგუნებს — „უუუ!.. უუუ!..“ ხმა აქვე იგუდება, იკარგება. „ოხოტსკი“ მაინც ცდი-ლობს შემხვედრნი გააფრთხილოს, აგერა ვარო, გზაზე არ გა-დამეყაროთ, თორემ ბეწვის ხიდზე გავდივარ, ჩემს ქვემოთ უძირო უფსკრულიაო.

ნისლს მივჩერებივარ. ვინ უნდა შეგვეჯახოს, მაგრამ ჩემს წარმოსახვაში შესაძლებელი ცოცხალი ხატივით წარმოჩნდება. ეს ბურუსი რომანტიკის ბურუსია, რათა არსებული მეტი ხიბლით შეიმოსოს.

ბურუსიდან, არსაიდან გამოჩნდა მაშინ „სიხარულის“ სტუ-მარიც.

საეჭვოდ იქცეოდა. ჯერ იყო და, ავტობუსიდან ტყისპი-რას ჩამოვიდა. სოფლამდე კილომეტრიც რჩებოდა, რაიცენ-ტრამდე — ბარე ხუთი-ექვსი. სანრეტ არხს გადაევლო, ეკალ-ბარდებში გაკვალულ ერთადერთ ბილიკს გულდაჯერებით დაადგა, ეტყობა, კარგადაც იცოდა, საით მიდიოდა ეს ბილი-კი. ფუცუკამ და ლორჯოლამ დროზე შენიშნეს, ერთმანეთს გადახედეს და ძეძვებს ამოეფარნენ.

შორიდან ჩამოსულსა ჰგავდა. ველვეტის ყავისფერი შარ-ვალი და ტყავის კურტაკი ეცვა. თავზე სვანური ქუდი ჩამო-ეფხატა. სათვალე ეკეთა. რაც მთავარია, მოწაბლისფრო წვე-რულვაში მოეშვა. მხარზე ფოტოაპარატი ეკიდა, ხელში მომ-ცრო „დიპლომატი“ ეჭირა.

უცნაურად იქცეოდა. არსად მიეჩქარებოდა თითქოს, მის-ეირნობდა თავისთვის. ხანდახან ჩერდებოდა, გამხმარ კუნძს დააკვირდებოდა, ან აძონდილ თხმელას. ერთ ადგილას კარგა ხანს იყო ჩაცუცქული. ბიჭებს ცნობისმოყვარეობისაგან სუნ-თქვა შეეკრათ. ისეთი არაფერი! როცა წამოიწია, ხელში ყო-ჩივარდი ეჭირა.

— დარტყმულია, აი! — ჩაიჩურჩულა ფუცუკამ.

ლორჯოლამ პასუხად თითო შუბლზე მიიკაკუნა.

ამასობაში უცნობი საკმაოდ შორს წავიდა. ბიჭები ძუნძუ-ლით მიჰყვნენ. ხანდახან ჩაცუცქდებოდნენ, გაიყურსებოდ-ნენ. ერთი-ორჯერ ფუცუკამ ხმელი ტოტი გაატკაცუნა. ასე-თი უგერგილო ვინმე იყო! ლორჯოლამ შეუბლვირა, იმან კი, მავედრებელი მზერით, — რა ვქნა, შემთხვევით მომივიდაო.

უცნობი თითქოს დაეჭვდა, მოიხედა, მაგრამ ნაბიჯი არც აუჩქარებია, არც შეუნელებია.

ერთგან ბილიკი ორად იყოფოდა. მარჯვენა საპავშვო სახლისაკენ მიემართებოდა, მარცხენა — ვერასულას კლდის ძირამდე აღწევდა.

კაცი წამით შეყოვნდა, შეჭოჭმანდა.

ბიჭებმა სუნთქვა ჩაიხშეს, გაიტრუნენ.

უცნობმა ვერასულას კლდისაკენ გადაუხვია.

— აჲა! — ხმადაბლა თქვა ღორჯოლამ, ვითომდა ახლა კი მივხვდიო, თუმცა ვერაფერსაც ვერ მიხვდა.

ფუცუკამ თვალი ააპარპალა, იქნებ მეც გამაგებინო, რა ხდებაო. ცოტათი ეშინოდა კიდეც. ღორჯოლასაც არ ჰქონდა გული საგულეში, მაგრამ არაფერს იმჩნევდა.

— არ მომწონს მე ეს კაცი! — ხმადაბლა თქვა ღორჯოლამ. უცნობს კვლავ ფეხაკრეფით მიჰყენენ.

ბილიკმა ბროლილელეში ჩაირპინა. ზევით საჭყუმპალაო იყო. ამ სიცივეში იქ, ცხადია, არავინ დადიოდა. აქ კი, ვიწროზე, ნაჩირკნი თხმელა იყო გადებული და უცნობმა ზედ ისე გაიარა, ვითომც ცირკის ჯამპაზიაო.

ბიჭებმა აცალეს მიმალვა, მერე სულმოუთქმელად გადაირპინეს თვითონაც. კიდევ კარგი, ღორჯოლა დროზე მიხვდა, ფუცუკას ანიშნა და თანთანას გაჰყენენ. ცოტა კიდევ და მთავარი ბილიკის მოსახვევთან უცნობი დაინახეს. იდგა და უკან იყურებოდა. ღორჯოლამ ძმას ამაყად შეხედა, რომ არ გადმოგვეხვია, ხომ ზედ გადავანყდებოდითო.

უცნობმა გაილიმა. სათვალე მოიხსნა, გაწმინდა, ისევ გაიკეთა და გზა განაგრძო.

ბიჭები გაფაციცებით მიჰყენენ. კაცი ნაღდად შემოგზავნილსა ჰგავდა. ვინ და რისთვის შემოგზავნა, ესლა იყო გასარკვევი.

ვერასულას კლდე უცბად წამოიმართა. ტყე აქ უკან იხევს. მოღიავებულ, მწვანე მდელოზე ამოზიდულა თვალშეუწვდენი ქარაფი და მრისხანედ გადაჰყურებს გარემოს.

უცნობი შეჩერდა... უყურა, უყურა ვერასულას კლდეს... ღორდზე დაანყო „დიპლომატი“, ფოტოაპარატი, გაიხადა კურტაკი და უცებ შემოტრიალდა, ზამბარასავით მოიღუნა. შეჰკივლა — „იააა!“ და ფეხი ჰაერში ისე შესტყორცნა, თითქოს ხმალი გაიქინაო.

ამ ანგლობაზე თვითონაც გაეცინა, ლოდზე მოხერხებულად მოეწყო და გასძახა:

— ჰეი, ბეღურებო, გამოდით, მეჩვენეთ, რა ბიჭებიცა ხართ!

ფუცუკას დასცხა, ფერფურმა გადაჰკრა. ღორჯოლას სიბრაზისაგან სახე მოექცა. ჯიბეში ხელი ჩაიყო, იქ დანა ედო. სამალავიდან ზლაზვნით გამოვიდა და უცნობს წინ დაუდგა. ფუცუკამაც გაბედა, თუმცა წელის აზიდვა გაუჭირდა.

ახლა ორივე დაბლვერილი იდგა და თავს მალლა არ სწევდნენ.

— ესე იგი გაინტერესებთ, უცხო ვინ შემოეხეტა თქვენს სამფლობელოში?

ბიჭებმა არაფერი თქვეს, მხოლოდ ფუცუკამ აასხლიპინა ცხვირი.

— მე ვარ აგენტი იქს-ნოლ-ერთი!

— აგენტი არა... — აგდებულად თქვა ღორჯოლამ.

— არა გჯერა? ახლავე დაგიმტკიცებ! — კურტაკის ჯიბიდან უბის წიგნაკი ამოილო, გახსნა და ვითომ წაიკითხა: — აქ მიწერია, რომ თქვენ ძმები ხართ!

— ტყუპები ვართ! — მძიმედ დაემონმა ღორჯოლა. თავიდანვე ხომ არ მოეწონა და არა ეს კაცი, რაც დრო გადიოდა, უფრო არ მოსწონდა.

— აკი ვთქვი! ამას თუ დავუმატებთ, — საათზე დაიხედა, — თქვენ რომ „სიხარულის“ აღსაზრდელები ბრძანდებით და მეცადინებიდან გამოიპარეთ, მგონი, ერთი აგენტისათვის მეტისმეტიცაა!

უცნობმა კურტაკი ჩაიცვა, ნივთები აიღო, წასვლა დააპირა და უცბად — ღორჯოლას:

— ვიცი, ჯიბეში დანა გიდევს! თუ გინდა, ნუ დამიჯერებ, მაგრამ, ჯერ ერთი, დანა ხიფათს გადაგყრის, მეორეც — ვაჟკაცს დანა სულაც არ სჭირდება!

აქ უცნობმა კვლავ შეჰკივლა — „იააა!“ და თავისუფალი ხელით თხმელის ტოტი ჩამოსხიპა.

ფუცუკა პირდაღებული გაჰყურებდა მიმავალს, ღორჯოლამ კი ზიზღით ჩაიდუდლუნა:

— ტრიპაჩია ვიღაცა!

ორივეს დაეკარგა დევნის ხალისი. უცნობი „სიხარულის“ მიმართულებით გაუჩინარდა.

პასპორტში დევი ცირდავა ეწერა. გვარი ალბათ სწორი იყო. ალბათ-მეთქი, რადგან იქნებ ვინმემ ბოროტად იხუმრა და არც გვარი ჰქონდა თავისი. თურმე ბარათი მიუმაგრებიათ სახვევზე. იტყობინებოდნენ, ბავშვი მთლად უპატრონო არ გეგონოთ, ცირდავააო. სახელი მიღიციელმა დაანათლა. რკინიგზის ბაქანზე, ძელსკამზე რომ იპოვა, რა დევივით ბიჭიაო, და გვარს სახელად დევი მიუწერეს. იქნებ ყოველივე ლეგენდაა, მაგრამ იმ ბარათში ვითომ ისიც ეწერა, ამ ბავშვს ნუ გააშვილებთ, ერთ-ორ წელინადში პატრონი გამოცხადდებაო. დევი ცირდავას პატრონი ბოლომდე საბავშვო სახლი აღმოჩნდა, სოფელ ბროლილელეში რომ მდებარეობდა და ვიღაცას უტაქტოდ „სიხარული“ დაურქმევია. დროის მანძილზე ეს სახელი შინაარსისაგან დაიცალა. მოგვიანებით, თანატოლების ნაადრევად სერიოზული სახები რომ გაახსენდებოდა, უსაშველო სევდა იპყრობდა და სურდა, ის არამკითხ ნათლია მოეკლა... რვა კლასი დაამთავრა დევი ცირდავამ და მერე უკან არ მოუხედავს. შესჯავრდა საბავშვო სახლები, ობლობის დაუცხომელი ტკივილი გულში დიდხანს ატარა და ამიტომაც ცდილობდა მეხსიერებიდან ამოეშალა წარსული. უმადურობით კი არ მოსდიოდა, ყველასი მადლიერი იყო, ვინც ასვა, აჭამა, ჩააცვა, ასწავლა, მაგრამ თექვსმეტი წლისამ თავი მამაკაცად იგრძნონ და საკუთარ ბედს ეწია. ჯერ პროფტექნიკური სასწავლებელი დაამთავრა. ცოტცოტაობით ყველაფერი ეხერხებოდა, დურგლობა გინდა, მოპირკეთება, მობათქაშება, ელექტროგაყვანილობა... ერთხანს მშენებლობაზე იმუშავა, რიგიანად ხომ უნდა ჩაეცვა... თანდათან გათამამდა, თავი ასწია, წიგნებს ჩაუჯდა, გარისკა და უნივერსიტეტის კარი შეაღო. დიდად არ ეიმედებოდა, მაგრამ გაუმართლა, ჩაირიცხა და ხუთ წელინადში უურნალისტის დიპლომი ჩაიდო ჯიბეში... ჯერაც ახალბედა სტუდენტმა ცოლი შეირთო. ყელში ამოსვლოდა საერთო საცხოვრებლები, ოცდაოთხი საათი უცხო ხალხთან

ტრიალი, ოჯახური სითბო მონატრებოდა და იმიტომ აჩქარდა. უიღბლო აღმოჩნდა ეს ქორნინება. ვერ იქნა, შვილი ვერ აჟყვა დევი ცირდავას ლამაზ მეუღლეს, ვერც სიღარიბე იგუა დიდხანს და გამოსამშვიდობებელი ბარათიც არ დაუტოვა. გული გაუკერპდა ახალგაზრდა კაცს, თავი დამცირებულად იგრძნო... ჩაიკეტა თავის თავში, მარტოობისათვის ვყოფილვარ გაჩენილი, ირწმუნა. ისეთი პროფესია ჰქონდა, მარტოობას ვინ დააცლიდა. ავტორიტეტული გაზეთის თანამშრომელი იყო და ერთ მშვენიერ დღეს — ხომ ასე იწყებენ ზღაპრებს — გაზეთის რედაქტორმა მოუღლოდნელი მივლინება შესთავაზა, შენზე მითხრეს, საბავშვო სახლის აღზრდილიაო, ჰოდა, ეგერ „სიხარულიდან“ ანონიმურ წერილებს იწერებიან, გაარკვიე რაშია საქმე, თან კარგი ნარკვევი დაგვინერე, თან ბუნების წიაღში დაისვენეო...

იქნებ ჯობდა, მაშინვე ეთქვა უარი. მეტი მიზეზი რად უნდოდა, ეტყოდა, მე ჩემს ბავშვობას ხაზი გადავუსვიო. არაფერი უთქვამს და უკვე შინ, სანამ გაიხდიდა, მთელი სიცხადით წარმოიდგინა, როგორ შედგამდა ფეხს „სიხარულის“, უსიხარულო სანახებში. გული აუჩქროლდა, შიშიანად შეეკუმშა, ტკივილმა გაჰკრა. ბალიშზე მიწვა, თან თავს შეუწყრა: „ე, ეგეთები არ იყოს! რა დროს შენი გულია?“ მერე ცდილობდა ბედნიერების მცირედი წამები მაინც აღერიცხა მისხალ-მისხალ, უფალი ობლებსაც რომ ჩამოურიგებს, მაგრამ სულ სხვა, მძიმე და დამამცირებელი სცენა ასესენდებოდა. მაშინ მთლად პატარა იყო და ხმა დაირხა, ქალი და კაცი გვესტუმრნენ, ერთი ჩვენთაგანი უნდა იშვილონო. მე არავის მოვენონებიო, იფიქრა დალონებულმა. დირექტორი ალბათ სხვანაირად ბჭობდა, მოახმობინა. ცოცხალ-მკვდარი შეიყვანეს კაბინეტში. თავდახრილი იდგა, არც სტუმრებისათვის შეუხედავს, არც ვერულავასათვის. იფიქრეს, ამას მეგრული არ ეცოდინებაო და თამამად ყაყანებდნენ: „წითურია, სახე დაჭორფლიანებია!“, „პირი დებილივით მოუღია, ნერწყვს ვერ იკავებს!“ კისრისტებით გავარდა უკანა ეზოში, ტყეს მისცა თავი. თვითონაც არ ახსოვდა, რამდენი ირბინა, დაეცა ჩეროში და ცრემლის სადინარი გახსნა... მერე და მერე ერთი დარდი კლავდა, რატომ იქვე, თა-

მამად, პირში არ მიუგდო პასუხი: მე თქვენ არ მინდიხართ! მე მაინც არ წამოგყვებოდით! მე არ მინდა ასეთი დედა და მამა! ახლა, ბალიშზე თავმიდებულს გაახსენდა ის შეურაცხმყოფელი სიტყვები და მოუნდა სადმე შეხვედროდა იმ ქალსა და კაცს, ეთქვა: „აბა, შემომხედეთ! არც ჭორფლი მაქვს, მნითურიც არ გახდავართ! ისე კი, დიდი მადლობელი ვარ, რომ დამინუნეთ!...“ შეუძლებელი იყო სამაგიეროს გადახდა და გული დაუმძიმდა...

დილაუთენია გამოჰყვა ავტობუსს...

წინ შემოღობილი გამოჩნდა. ეს უკვე „სიხარულის“ მიწები იყო, სწორად დაგეგმილი ნაკვეთები. ერთ მხარეს სიმინდის ნაყანები ჩანდა, მეორე მხარეს ჩაის რიგები. შუა, საკმაოდ მოზრდილი ოთხკუთხედი ბოსტანსა და ხეხილს ეჭირა. ღობეს ორრიგი ხეხილი მოჰყვებოდა. ფოთლებდაცვენილი, რუხი ხეები შემცირნულებივით იდგნენ.

— ჰეი!

ღობესთან კაცი აყუდებულიყო. შინაურულად ეცვა, თითქოს საკუთარ სახლში ყოფილიყოს — ფეხებზე რეზინის ჩექმები, ძველი მუხლებდაბერილი შარვალი, შინნაქსოვი ჯემპრი, მხრებზე დაბამბული კურტაკი მოეგდო. ყელზე თბილი კაშნე მოეხვია. ყურებიანი ქუდი ეხურა, ალბათ ზონარი გასწყვეტოდა და ქუდის ყურები აქეთ-იქით გაფშეკოდა.

— რას აკეთებ მანდ, ამხანაგო? — მკაცრად იკითხა. დანასავით ვიწრო პირისახე, წვრილი თვალები, წინ წანეული ცხვირი, თითქოს პატრონის სახიდან გაქცევას ლამობსო, ამ კაცის სრულ პორტრეტს ქმნიდა.

ცირდავას არ მოეწონა როყიო კილო, დინჯად შეეპასუხა:

— ხახვის ფოჩებს ვიპარავდი თქვენს ბოსტანში.

კაცს თვალები ნესტრით აევსო:

— მე არ გეხუმრები, ამხანაგო!

— დირექტორი თუ არის? — ცირდავამ იცოდა, გენერალთან უფრო იოლია საერთო ენის გამონახვა, ვიდრე ზემდეგთან.

— დირექტორი რაიონში გამოიძახეს! — კაცს ხმა ოდნავ მოურბილდა.

— სამწუხაროა! — ცივად დაასკვნა ცირდავამ.

— კვირკველია გახლავართ, მოადგილე სამნეო ნაწილის დარგში!

— აგაშენა ღმერთმა! — ცირდავამ ჯიბიდან მივლინების ბარათი და უურნალისტთა კავშირის წიგნაკი დააძრო.

ცვლილება უეცრად მოხდა. კვირკველია შაქარივით დადნა და ფიანდაზად დაეგო.

— მოვკვდი კაცი და ეგ არი! როგორ ვერ მივხვდი, ბატონო! მობრძანდით, გენაცვალე, უდირექტორობას როგორ გაგრძნობინებთ! აგერ არა ვართ ჩვენ? მიბოძეთ თქვენი ჩემოდანი!

— „დიპლომატს“ წაეტანა, მაგრამ სტუმარმა შორს დაიჭირა, მსუბუქია და თვითონაც მოვერევიო, თან შეეკითხა:

— სახელი შენი?

— იპოლიტე, ბატონო, იპოლიტე კვირკველია! — კუტიკარს ჭვინტი წაჰკრა და ისე გააღო.

ახლაღა მოისაზრა ცირდავამ, თუ რატომ შემოუარა ამ შორი გზით. შეეშინდა საპარადო ჭიშკრისა. იქიდან კორპუსებამდე კაი ასი მეტრი იყო. ყველას თვალწინ, სააშკარაოზე უნდა გაევლო. მთელი ეზო გაყუჩდებოდა, კუთხე-კუნძულიდან მოაჩერდებოდნენ, ვინ არის, ვინ მოიცალა ჩვენთვისო. ამიტომ შეარჩია ეს გზა, ტყე-ტყე იარა, კი არ მოდიოდა, მოიპარებოდა, საღამოსპირის იმედი ჰელინდა, სინათლისა და სიბნელის გასაყარისა.

— აქეთ, ბატონო, აქეთ! — ხელებს იფშვნეტდა იპოლიტე.

სტუმარმა ფეხს აუჩქარა და საღამოს მქრქალ სინათლეს გაექცა, რათა ელნათურებით განათებული სახლისათვის შეეფარებინა თავი...

ოთახი საგანგებოდ სტუმართათვის იყო განკუთვნილი. ერთი დივანი იდგა, მაგიდა, ორიოდე სკამი და, რაც მთავარია, კუთხეში თუნუქის ღუმელი, რომელშიც წუთის შემდეგ მხიარული ცეცხლი აგურგურდა. ძალიან არ ციოდა, მაგრამ ცეც-

ხლის ხმაური სიმყუდროვეს ბადებდა. ცირდავას ძარღვებში პანაწკინტელა ჭიანჭველები ამოძრავდნენ. უცბად მოეშვა, დაღლილობა იგრძნო. წამოწოლა მოუწდა და ისე, გულსგარეშე ჰქითხა პატარა ბიჭს, ღუმელთან რომ ჯახირობდა:

— რა გქვია, ბიჭი, შენ?

ბიჭმა უპასუხა, მაგრამ ცირდავამ, თითქოს გამოითიშაო, ნათქვამი ვერ გაიგონა.

ნახევარ საათში იპოლიტე შემობრუნდა და რაღაც სუნი შემოყოლა. მოგვიანებით მიხვდა სტუმარი, იპოლიტეს კარამელის სუნი ასდიოდა.

— დაგდალეთ ლოდინით, ხომ, პატივცემულო? ახლავე გაჩნდება ყველაფერი!

— რატომ წუხდებით! — მოუბოდიშა ცირდავამ. — ჭიქა ჩაიც საკმარისია!

მოშივნოდა, მაგრამ თავს უხერხულად გრძნობდა. კედელს მიღმა ბავშვები ემზადებოდნენ დასაძინებლად. ისმოდა ჩურჩული, სიცილი, ჭყივილი, ჩივილი და ახალგაზრდა კაცს კრიჭა შეეკრა, თითქოს სხვათა წილ ღუმას სთავაზობდნენ.

— ჩაი სად წაგვივა? — დაიღმიჭა იპოლიტე. — ჩაი ხვალ ვსვათ, ან ზეგ-მაზეგ!.. ეს, ბატონო, — ხელით ჰაერი შემოხაზა, — ოჯახია, დიდი ოჯახი, სადაც სტუმარს ჩაის როგორ აკადრებენ. ახლავე გაჩნდება ყველაფერი...

„ახლავე“ არა, მაგრამ მეორე ნახევარი საათის შემდეგ ორმა გოგომ თავდახურული კალათით შემოათრია სანოვაგე. ცნობისმოყვარე თვალები მოანათეს სტუმარს. იპოლიტემ ანიშნა, მოცოცხეთ აქედანო და გოგონები კარში გასხლტნენ, თან თავიანთი ჩურჩულული სიცილი გაიყოლეს.

— თუ თქვენი სურვილი იქნება, ავდგეთ და ჩემთან წავიდეთ! — ამბობდა იპოლიტე, თან კალათიდან სანოვაგეს მაგიდაზე აწყობდა. — ოჯახი მაქვს, თავზე ჭერი მახურავს, სტუმრისათვის ღვინოც მომექევება და ქვეშაგებიც!

— აქედან ვერსად წავალ! — იუარა ცირდავამ.

— თუ არადა, აგერა ვართ გემრიელად! — ადესა ჩამოასხა იპოლიტემ.

დასხდნენ, ჭიქა ჭიქას მიუჭახუნეს.

— ბოდიშს მოვითხოვ, მე ნავახშმი ვარ, ჭამაში ვერ შეგველებით, ორიოდე სადღეგრძელოს კი ვიტყვი!

— ბრძანეთ! — ცირდავამ ლუკმა გატეხა.

— იქნებ სადღეგრძელოების რიგი და წესი დავარღვიო, ამაზეც ბოდიში, მაგრამ ამ ჭიქით მინდა ვადღეგრძელო... ვინ, თუ მიხვდებით? — თითო ჭერისაკენ აიშვირა იპოლიტემ.

— მამაზეციერი! — უწყინრად შეეხმიანა ცირდავა, სათვალის მიღმა მისი თვალები არ ჩანდა.

— არა, მამაზეციერს თავის დროზე ვადღეგრძელებთ! — იპოლიტემ ახლა თითო იატაკისეკენ დაუშვა.

— აღსაზრდელები?

— ამ დიდი ოჯახის მამა მინდა ვადღეგრძელო, ყველა ჩვენთაგანის სათავანებელი კაცი — დიანოზ ვერულავა!

დევი ცირდავა ახლალა მიხვდა, მასპინძელი გადაკრულში იყო და არყის სუნს, ალბათ, კარამელით ახშობდა.

— ორიოდე სიტყვა მეც მსმენია ბერიკაცზე!

— მტერმა ცუდი რამ თუ ჩაგრუჩულა, არ დაიჯერო! მე დამიჯერე, მე ვიცი ყველაფერი! დიანოზი კაცური კაცია! ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს და თუ ოდესმე მოკვდა, მამაზეციერი თავის გვერდით დაისვამს!

ჭიქა ასწია იპოლიტემ და მზერა უცებ გაეყინა.

ცირდავამ მოიხედა. ფანჯრის შუშას ვიღაცის კურკასავით წვრილი სახე მოჭყლეტოდა. მეორე წამში გაქრა და იქიდან სიცილი მოისმა.

იპოლიტემ სულელურად ჩაიხითხითა.

ცირდავას გაეღიმა. აგრე იყოს, დიანოზს გაუმარჯოსო, ოდნავ მოსვა და ჭიქა დადგა.

ცოტა ხანში კარს უკან ფხაკუნი მოისმა, ვიღაცანი ჯაჯგურობდნენ.

იპოლიტემ თითო ტუჩზე მიიდო, კართან მიიპარა და უცებ გამოაღო. ჭუჭრუტანასთან ორი ბიჭი ჭიდაობდა. ოთახიდან გამოსულმა შუქმა გაანათა მათი დამფრთხალი სახეები და ბავშვები გაქრნენ.

— ა, ბატონო, ასეთ ჯოჯოხეთში ვცხოვრობთ! — იპოლიტემ კარი მიხურა, სუფრას დაუბრუნდა. — თავზე დაგვაჯდნენ, ამათგან საშველი აღარაა!

თუნუქის ღუმელში ცეცხლი გურგურებდა. მისი თანაბარი ღულუნი გულს უამებდა სტუმარს, სითბოთი ავსებდა. მასპინძელი კი, როგორც ჩანს, არც ისე შორსმჭვრეტელი, არც ისე ფართო გაქანების კაცი, თავისთვის ჭყლოპინებდა, მიეთმოეთებით თავს აბეზრებდა.

მოგვიანებით მორიდებული კაკუნი გაისმა, თავნაკრული ქალი შემოვიდა. ზომიერი სისავსე შვენოდა, ლოყები წითლად ასტკეცოდა, წუთის ნინ ცეცხლთან ტრიალებდა ალბათ. ხელში ხონჩა ეჭირა და, თუმცა ზედ თეთრი, ქათქათა ხელსახოცი გადაეფარებინა, ოთახი ცხელი ხაჭაპურების მსუყე სურნელით აივსო.

ცირდავამ წარმოიდგინა, ეს ხონჩა როგორ ჩამოივლიდა მეზობელ ოთახში და, ვინ იცის, ლოგინებში ჩათბუნებული პატარები ახლა ჩუმ-ჩუმად ნერწყვს ყლაპავენ. ერჩივნა, ბავშვებისათვის ჩამოერიგებინა, მაგრამ ახირებად და მეტიჩრობად ჩაეთვლებოდა და ისლა მოახერხა, ფეხზე წამოიწია, ხონჩას ხელი შეაგება.

— რატომ წუხდებოდით, ქალბატონო!

— რა შეწუხებაა, ბატონო! — ქალმა წვრილი, თეთრი კბილები გამოაჩინა. ეგ იყო, თხელი ტუჩები ჰქონდა და, როცა მოკუმავდა, სახე კუშტი უხდებოდა. — მიირთვით, ბატონო, სანამ ცხელია! — ხელსახოცი გადასწია. ოთხად დაჭრილი ხაჭაპურებიდან ყველი უონავდა.

— ჩემი ცოლია, ელიკო! — თქვა იპოლიტემ.

„ელიკო?“ — დევი ცირდავა დააკვირდა. ქალის სახებაში რაღაც ადრინდელი, ანდავინყებული იღანდებოდა.

— ელიკო? — იკითხა. — თქვენ დიანოზის ქალიშვილი არ ბრძანდებით?

იპოლიტემ წარბი ანკიპა. უკვე საკმაოდ შეზარხოშებული იყო და არ იცოდა, როგორ გაეაზრა სტუმრის ცნობისმოყვარეობა.

ქალს ჯერ გაკვირვება, მერე მიხვედრა შეეტყო და თავ-შეკავებული სიხარულით ჰკითხა:

— თქვენ... თუ არ ვცდები, ცირდავა უნდა იყოთ! პო, დევი ცირდავა!

— გამარჯობათ, ელი! ასე მოგმართავდათ, მგონი, მამა-თქვენი!

— გამარჯობათ, ბატონო დევი!

იპოლიტე ჭიქას აწვალებდა, დამცინავად ჩაიღმიჭა და გამოაჯავრა:

— ქალბატონო ელი!.. ბატონო დევი!..

ქალმა ისეთი მზერა ესროლა, ცეცხლი ყოფილიყო, ფერ-ფლად აქცევდა, სტუმარს კი პირი აარიდა.

— მიირთვით და დაისვენეთ! ხვალაც ხომ ჩვენი სტუმარი იქნებით!

სანამ კარს მიხურავდა, ქმარს გადასწვდა:

— ზედმეტად კი ნუ შეაწუხებ, სტუმარს დასვენება ენდომება!

იპოლიტემ არაფერი უპასუხა, გუნება გაფუჭებოდა.

„ეჭვიანი უქნია ღმერთს!“ — ცირდავას ართობდა კაცის მარტივი განცდები, მაგრამ მობეზრებოდა უკვე და სადავე ხელში ჩაიგდო.

— ახლა მე მომეცით ნება, რომ თქვენი სადღეგრძელო დავლიო!

— როგორ გეკადრებათ... — იპოლიტემ პროტესტის ნიშნად ხელი ასწია, მაგრამ უმალ დაიხია. — პო, როგორც გენებოთ!

დიდხანს არ დარჩენილა. სიტყაძუნნი გახდა. გამომშვიდობებისას გაუგებარი ბურტყუნი მორთო, ან მართლაც მთვრალი იყო, ან თავს იმთვრალიანებდა.

ღუმელში ცეცხლი თამაშობდა. ცირდავას ფიქრი ელის უტრიალებდა. პატარა ელი ნაზი და გამჭვირვალე, მაგრამ გულფიცხი გოგონა ახსოვდა. ბიჭები ერთიანად მასზე იყვნენ შეყვარებულნი, ის კი, დახე, იპოლიტე კვირკველიას გაჰყოლია.

სევდა დაეუფლა. ამ ჭერქვეშ ბარე ას სულს ეძინა, თავი მაინც მარტო იგრძნო.

ფანჯრის მიღმა გაიჩხაკუნა. მოიხედა და მოულოდნელობისაგან გული გადაუქანდა. შუშაზე უზარმაზარი სიფათი გამოჩნდა, — საცრისოდენა თვალები, ფართოდ დაბჩენილი, მსხვილკბილება პირი, პარტყუნა ყურები, წითელი ცხვირი,

ბანჯგვლიანი ტუჩ-ნიკაპი... მიხვდა, კედლიდან ჩამოხეული აფიშა იყო, ალკემიოლიზმის წინააღმდეგ მიმართული და ვიღაც ონავარმა გულის გასახეთქად შუშაზე მიუფინა.

ფანჯარა გამოაღო. ჭიკარტი მოძვრა და ქალალდი ჩაფრიალდა. ბნელში ფხუკუნი და გაქცეულთა ფეხის ხმა მოისმა. ცივი ნიავი შემოიჭრა. ჰაერში იშვიათი ფანტელი ტრიალებდა. ელნათურების შუქზე თეთრი პეპლებივით დაფარფატებდნენ. დევიმ ღრმად ჩაისუნთქა და ფანჯარა მიხურა. მერე კარისაკენ მიბრუნდა, გამოაღო და მეზობელ ოთახში გაიხედა. კარიდან გამოსული სინათლე საწოლებს შორის დაგებულ ფარდაგზე დაეფინა. ბნელში ძილდამფრთხალი ბავშვების თავები შეირხა. დევი თვითონ სინათლეზე იდგა, ბავშვებს ვერ ხედავდა, მაგრამ იცოდა, რომ შემოჰყურებდნენ და შეთქმულივით ხელი დაუქნია:

— აქეთ მოდით, აქეთ!

შიშველი ფეხები ატყაპუნდა იატაკზე, რამდენიმე გაბედული ბავშვი კარს მოადგა.

ცირდავამ განზე გაიწია, ოთახში შემოუშვა და მაგიდისაკენ მიახედა:

— აბა, მიესიეთ, იპოლიტე ბიძიამ დამაბარა, ეს ყველაფერი ბავშვებს აჭამეო!

მოუსვენრად იწრიალა ლოგინში. შუალამე გადასული იქნებოდა, მან კი ვერა და ვერ დაიძინა.

ადგა, ჩაიცვა, კურტაკი ბეჭებზე მოიხურა, სათვალე მოირგო.

ბავშვებს ეძინათ. თუნუქის ღუმელში შეშა ჩაფერფლილიყო და სიცივე მოიპარებოდა. თხელი საბნების ქვეშ შემცივნული ბავშვები მოკუნტულიყვნენ.

ცირდავამ ღუმელში შეშა შეუკეთა, ცდილობდა არ ეხმაურა.

კუთხეში ვიღაცა გაბმით, ბერიკაცივით ახველებდა. პატარა ბიჭს საბანი ძირს ჩამოეგდო, სიცივისაგან აკანკალებდა. ხველების დროს მთელი ტანი ეძაგრებოდა, მაგრამ ძილს თავს

ვერ ართმევდა. დევიმ საბანი დაახურა, გვერდები შეუკეცა. შუბლზე ხელი ფრთხილად დაადო, სიცხიანი ხომ არ არისო. „დედიკო!“ — თქვა უცებ ბავშვმა. დევის გული ერთი მუჭა გაუხდა. დაიხარა. ბიჭს ღრმა ძილით ეძინა. „ჰო, შვილო, ჰო!“ — ჩურჩულით შეეხმიანა და გაეცალა.

გზა-გზა კიდევ ორს გაუსწორა საბანი და დერეფანს დაუყვა. აქ რამდენიმე ოთახი ადმინისტრაციისა იყო. ჩამინული, ბნელი კარებიდან კანტორის სუნი აღწევდა. მხოლოდ ერთგან ბჟუტავდა ნათურა. შუშაზე ცეცხლის გამონაშუქი თამაშობდა. ღუმელთან, მისთვის მოკლე საწოლზე, ღამის ძიძა ჩათბუნებულიყო.

დერეფნის ბოლოს ინგლისური საკეტი გადასწია და ეზოში გავიდა.

ქურუში სიბირელე ჩამოწოლილიყო, ორ ნაბიჯზე არაფერი ჩანდა. კორპუსების ირგვლივ თუ ეფინებოდა ფანჯრების სუსტი გამონაშუქი.

კარგა ხანს იდგა, მისჩერებოდა უკუნს და არ იცოდა, რაზე ეფიქრა, ვერ გაერკვია, რა უნდოდა, რას ესწრაფვოდა, რა გზებს ეძებდა. უცებ მიხვდა, აქედან იოლად ვერ წავიდოდა, მივლინება გაუჭიანურდებოდა.

კენტი ფანტელი ჩამოფარფატდა ზევიდან. დევიმ ამოიხრა და შებრუნდა.

ერთგან მოღიავებული კარი დაინახა და იქ შეიხედა. გოგონებს ეძინათ. სითბო მეტი იყო ამ ოთახში, ჰაერიც უფრო მსუბუქი ჩანდა. სუსტი ნათურა ბჟუტავდა და დევიმ თვალი გადაავლო ბალიშებზე მიდებულ ამ პატარა თავებს, ახლა რომ სიზმარეთში გაურბოდნენ თავიანთ სვეს.

ოთახიდან გასვლას აპირებდა და ამ დროს ჩურჩული მოესმა:

— ძია!

შორიახლო პატარა გოგოს არ ეძინა. შავი, ხუჭუჭა თმა შეარხია. ორმა გახელილმა თვალმა გაიბრნყინა.

დევიმ ანიშნა, ნუ ხმაურობო, და დაიხარა.

— რატომ არ გძინავს?

— არ მეძინება!

თავზე ხელი დაადო, მოეფერა.

— რა გქვია?

— ანუში!

— უნდა დაიძინო, ანუშ, ცავატანემ! — ეს ერთი სიტყვალა
იცოდა სომხურად.

— კი!

ბავშვმა მისი ხელი დაიჭირა, თითქოს აკოცა კიდეც — დე-
ვიმ თბილი სუნთქვა იგრძნო — მერე კაცის ხელისგული ლო-
ყის ქვეშ ამოიდო და გაიტრუნა. დევი ერთხანს გაუნძრევლად
იდგა. გოგონას ღონე მოაკლდა, მოდუნდა, მშვიდი, თანაბარი
სუნთქვა დაიწყო. „დაიძინა!“ — მიხვდა და ხელი გამოაცალა.

— იძინე, ანუშ, იძინე! — ჩასჩურჩულა.

გოგონამ ძილში გაიღიმა.

მერე, უკვე თავის ლოგინში, დიდხანს ფიქრობდა ბიჭუ-
ნაზე, რომლის სახელი არ იცოდა, და გოგონაზე, რომლის სახე-
ლი უკვე იცოდა.

ღუმელში ცეცხლი მიწყნარდა, მიინავლა. ოთახში სიცივე
შემოიპარა. დევიმ საბანი მჭიდროდ შემოიხვია, მარტო ტუჩ-
პირი მოუჩანდა... მოიკუნტა დევი ცირდავა, მოიკუნტა, და-
პატარავდა... მოულოდნელად მიხვდა, რომ მართლაც პატა-
რაა, ისეთი, როგორიც იყო ორი ათეული წლის წინათ. ყვე-
ლაფერი დანარჩენი მხოლოდ სიზმარია. და აი, წევს პატარა
დევი რკინის ჟანგიან საწოლზე, ცხვირ-პირი გამოუყვია საბ-
ნიდან. ოთახში ისე ცივა, თავზევით მსუბუქი ღრუბელივით
ჰკიდია ამონასუნთქი. წევს და რაღაცას ელოდება. სხვა ლოგ-
ინებზე მის კბილა ბიჭებს სძინავთ, კედელს მიღმა — მის ტოლ
გოგონებს. ყველას, ყველას სძინავს. მხოლოდ დევის გაუხე-
ლია თვალები, კარს მისჩერებია... იმ კარს მეორე მხრიდან
დიანოზ ვერულავა უახლოვდება — დიანოზ ბიძია... პატარა
დევი მას ვერ ხედავს, მაგრამ იცის, რომ კარს იქიდან უახლოვ-
დება, ახლა სახელურს ჰკიდებს ხელს, ახლა გამოალებს, შე-
მოიხედავს და დევისა და დიანოზ ბიძიას მზერა ერთმანეთს
შეხვდება... დიანოზს თვალებში ღიმილი ჩაუდგება.

კარმა მართლაც გაიჭრიალა. ცირდავა არ განძრეულა. ქუ-
თუთოები შეხსნა მხოლოდ და უხმოდ უთვალთვალებდა ბიჭს,

რომელმაც კარი ზურგით შემოაღო და ასევე ზურგშექცევით
შემოდიოდა.

უკვე გათენებულიყო, ოთახში ციოდა და დევის ლოგინის
დატოვება ეზარებოდა.

ბიჭი შემოტრიალდა, ცალ მკლავზე შეშა მოპქონდა და
ცდილობდა, კარი არ მიეჯახუნებინა. გზა ფრთხილად განაგრ-
ძო ღუმელისაკენ. პირისახეზე დაძაბულობა ეხატა, პირდაპირ
იყურებოდა და ამიტომაც ვერ შეამჩნია სტუმრის დაკვირვე-
ბული მზერა.

დაიხარა, შეშა კი არ დაყარა, მოხერხებულად დადო. თუმ-
ცა ტვირთმა ჩხაკუნი მაინც გაადინა. ღუმელის კარი გამოა-
ღო. ნაცარი მოჩხრიკა, ნაკვერჩხალი მოაქუჩა, ნაფოტები და-
აწყო და საბერველივით დაუწყო ბერვა. კარგა ხანს იწვალა
ასე. ბოლოს სუსტი ალი გაკრთა. ბიჭმა შეშა შეაწყო და კარი
მიხურა. მხოლოდ ამის შემდეგ მოიხედა და სტუმრის მზერას
შეეფეთა.

დაიმორცხვა. პირი განზე მიაბრუნა, ხელები დაიფერთხა
და წამოიმართა.

— რა გქვია? — ჰკითხა ცირდავამ.

— პაპუჩი, — ჩაიბურტყუნა ბიჭმა, — ეძგვერაძე! — დაუ-
მატა უხერხულად.

— დიდი მადლობელი ვარ, პაპუჩი ეძგვერაძე! — გაუღიმა
დევიმ.

ბიჭს მეტი არაფერი უთქვამს, ისე გავიდა.

„უყურე შენ, უთენია წამოაგდეს და გამინაწყენდა!“ —
უხალისოდ გაიფიქრა ცირდავამ.

წამოხტა, ღუმელთან მიირბინა და იქ დაიწყო ჩაცმა.

კედლებს მიღმა ახლადგამოღვიძებული ბავშვების ხმაუ-
რი ისმოდა. ღამის ძიძა დადიოდა ოთახიდან ოთახში, ჯოხს
ურახუნებდა რკინის საწოლებს, რათა შეყოვნებული ბავშვე-
ბი დროზე წამოეყარა, თან გაუთავებლად იმეორებდა:

— ადექით, აბა, დროზე!

გარეთ უღიმდამო, მორუხო დღე დგებოდა.

ჭიშკრიდან კაცი წამოვიდა. ბენვიანი ქუდი ეხურა, საყე-
ლო აეწია. ხელები პალტოს ჯიბეებში ჩაეწყო.

იცნო „სიხარულის“ დირექტორი. ლოგინი სახელდახელოდ გაასწორა.

დიანოზ ვერულავამ შემოიხედა. სტუმარი რომ ფეხზე დაინახა, გვერდულად შემოვიდა. პალტოს ლილები შეიხსნა და ხელი უხმოდ გამოუწოდა.

— ვერ მიცანით, დიანოზ ბიძია?

დაბერებულიყო საბავშვო სახლის დირექტორი. მრგვალ სახეზე ნაოჭი მოხშირებოდა. ლოყები და ღაბაბი ჩამოჰვენოდა, თუმცა მსუქანი კაცი არ ეთქმოდა. ძველი სილამაზის ნაშთი შერჩენოდა მხოლოდ. მის გამომეტყველებაში დაღლილობა იგრძნობოდა. სტუმრის კითხვამ შეაცბუნა, დააკვირდა, თავი გააქნია:

— ვერ გიცანი, ხომ იცი შენ!

დევის გული დაწყდა, შეეცადა მოხუცის მეხსიერება გაეღვიძებინა.

— მე დევი ვარ, ცირდავა, როგორ არ გახსოვართ, თქვენს ხელში გავიზარდე!

დიანოზ ვერულავა მართლაც შეცვლილიყო. მის სულში ნახანდრალი ბუუტავდა მხოლოდ. სტუმრის წყენა ითაკილა, გულსგარეთ გაულიმა:

— ახლა კი გამახსენდი! შე რა გითხრა! რას შვები, რასა იქ, ჩვენს მხარეს რამ ჩამოგაგდო?

დევი მიხვდა, ბერიკაცი თვალთმაქცობდა, მის მეხსიერებას ნისლის ბურანი დაჰთვინოდა. არ ჩასციებია, ჩხრეკა არ დაუწყია... თანდათან გაირკვეოდა ყოველივე...

20

ამ ჩემს ჩანაწერებში სკოლა თითქოს არც არსებობს. იგი განზე დამრჩა. თუ არადა, დღის დიდი ნაწილი ხომ სკოლას მიაქვს. არ ვიცი, რატომ მოხდა ასე! სკოლაში ყველანი თანაბარნი ვართ, ჩვენ — საბავშვოსახლელნი და სოფლის გოგო-ბიჭებიც. იქ სხვა რამ გვახარებს და სხვა რამ გვაწუხებს, სხვა კონფლიქტები იბადება და წყდება.

იმ დღეს გრიგოლ დელეყვა, ჩვენი სკოლის დირექტორი, ჩაგვაცივდა, რაც გინდათ, შემეკითხეთო. გასუსული ვისხედით, ხმის ამოღებას ვერავინ ბედავდა. ბოლოს მე ვიკითხე:

— პატივცემულო, დელფინს მეტი ტვინი აქვს თუ ადამიანს?

— რა? — ვერ გაიგო დელეყვამ, მერე ნაძალადევად ჩაიცინა: — გაგაგიუბენ ეს ბავშვები!.. დელფინსაც გააჩნია, ბუალავა, და ადამიანსაც!

— ესე იგი, ჭკვიანი დელფინი უფრო ჭკვიანია, ვიდრე უჭკუო ადამიანი?

დელეყვას სახეზე წითელი ლაქები დააჩნდა და ბრაზით გამოსცრა:

— ახლავე გადი კლასიდან!

სანამ კარს მივხურავდი, ვითომც გულუბრყვილოდ ვიკითხე:

— მშობელი მოვიყვანო, პატივცემულო?

მერე უოზეფინა, სკოლის პიონერხელმძღვანელი, ღონიერი და ტლანქი გოგო, გრენადერივით ძვალმსხვილი და ბეჭებრტყელი, დიდხანს მიტარებდა ზრდილობის გაკვეთილს, თუმცა ვერ გამეგო, რა დავაშავე, რადგან პასუხი მართლაც მაინტერესებდა.

ცირდავამ კი, „სიხარულის“ სტუმარმა, ასე მითხრა:

— უჭკუო კაცი არათუ დელფინზე, ვირზე უჭკუოა, ბუალავა!

აი, პასუხი! თვითონ ცხვირზე სათვალე წამოუკვეხია და ამიტომ პროფესორი მგონია. ჩვენი სკოლის არც ერთ მასწავლებელს არ სჭირდება სათვალე, თვალები არ უღამდებათ წიგნებზე და იმიტომ. იმდენი მაინც იციან, ჩვენს ცარიელ თავებში რამე-რუმე ჩაჩურთონ.

რაკი გაკვეთილიდან გამაგდეს, დიდ შესვენებამდე ცარიელ დერეფანში დავსეირნობ. მიგმანული კარებიდან მოისმის ხმები, ხან მასწავლებლისა, ხან ბავშვისა... „ჭყონია, მთლად გამოტვინდი, ხომ?“ „ჯდარკავა, დაეგდე მანდ!“ „გეგია, თავი დაანებე ლამზირას!“ ანდა ბეჯითი მოსწავლის დაზუთხული „რტ-რტ-რტ!..“ და შინაბერას ნერვული, ეჭვიანი შეძახება:

„ყოჩალ, ყოჩალ!..“ უმთავრესად მზუთხავების წილად რომ მოდის.

დერეფნის ბოლოს ცისია ვნახე, დევდარიანი. მიტოვებულივით იდგა. ფანჯრის თეთრი შუქი ირიბად სცემდა და უფრო გამხდარი და ფიორა ჩანდა. მოიხედა. მეგონა, მე მიყურებდა. თურმე ზურგსუკან ცირდავა და ღელეყვა მოდიან, ცირდავას გაულიმა შეთქმულივით.

ზარიც ამ დროს აწყარუნდა და ღელეყვამ მობოდიშებით უთხრა სტუმარს:

— ა, ბატონო, რა ძნელია სოფლის სკოლაში მუშაობა!

ბავშვები გამოცვივდნენ და ჩვენები მე შემომეხვივნენ.

მიმოზა კაციამ უხმოდ, საყვედურით შემომხედა. ასე მგონია, ყოველ ჩემს ნაბიჯს ამონმებს და ქულებს მიწერს-მეთქი.

პეპელამ კი ცნობისმოყვარეობით მკითხა:

— დელფინის ტვინი რაში გაინტერესებს?

— დელფინის არა და ღელეყვას ტვინი მაინტერესებს! — სერიოზულად ვპასუხობ. — ისეთი ხელსაწყო გამოვიგონე, ვინმეს შუბლზე მივაზომებ და ნამში გავიგებ ტვინის მოცულობას, — თან ვითომ თურქიას შუბლს ვზომავ.

— ეე, გაინი იქით! — ხვიჩა დამფრთხალი იხევს უკან.

სხვებს ეცინებათ.

— წავიდეთ ბუფეტში! — გვახსენებს კუჭუნა ცქიფურიშვილი. ათკაპიკიანი ტალონები გვაქვს და ყოველთვის ერთად მივდივართ: მე, კუჭუნა, პეპელა, ნანი, მიმოზა, არველოდი, ივერი, ხვიჩა, ზაზა და ოთოია თავცეცხლა.

დიდი შესვენება თავდება. ვზივარ გაკვეთილზე. მათემატიკის მასწავლებელი, ერთი ბეწო, კიკნა ქალი დაფასთან წვალობს, მე კი ფანჯარაში ვიყურები... მოწყენილი ცა ჩამოწლილა. იქიდან თოვლის ფანტელი დაფარფატდა, დაფარფატდა და კიკნა მასწავლებელს ამოცანა ბოლომდე არც ჰქონდა ჩამოწერილი, ისეთი მსხვილი, ფაფუკი ფიფქები წამოვიდა, ორ ნაბიჯზე გაქრა თვალსაწიერი.

— ვაშა! — ხმადაბლა ჩავილაპარაკე.

მასწავლებელმა კი —

— ბულავა, დაგავიწყდა, კლასში რომ ზიხარ?

ვერაფერს ვიტყვი, მართლაც დამავიწყდა!

სტუმარზე ვფიქრობ, დევი ცირდავაზე. ამბობენ, ანონიმურმა წერილებმა ჩამოიყვანაო. ესევე უთხრა დიანოზ ვერულავას:

— რაღა დაგიმალო, დიანოზ ბატონო, და ანონიმური წერილები მოდის რედაქციაში!

ვერულავას თვალებში ნაპერწკლებმა გაიელვა, უცნაურად ჩაიკუჭუჭა, ეგრევე აჯახა:

— ვიცი მე ეგ ამბავი, ბოცო კაკულია წერს მაგ წერილებს!

ცირდავამ პირი დააღლო. უფრო იმან გააოცა, ვერულავამ რომ ყველაფერი იცოდა და ეს ოდნავადაც არ აღელვებდა.

— მერე თქვენ არაფერი იღონეთ?

— რა უნდა ვიღონო? ეწერება კაცს და წერს, ასე ვთქვათ, შემოქმედებით წვას განიცდის. აუკრძალავ და ვაითუ გული გაუსკდეს. ისე, ცუდი არაფერი იფიქრო, წესიერი კაცია, უსამართლობას ვერ იტანს. ოღონდ ესაა, ბუზსა და სპილოს ერთი საზომით ზომავს.

მეღომება. ვიღაცა მკაცრად ჩამდახის:

— ბულავა, რა გაცინებს?

ოჳ, ეს უკვე მომდევნო გაკვეთილია! თავზე ისტორიის მასწავლებელი მადგას, ჭალარა, ჩასუქებული კაცი, ხელში სახაზავს ათამაშებს... რაზე ყვებოდა?.. რა ვიცი რაზე ყვებოდა!..

იმ ცირდავამ დღეს დეიდა ვარა გააწილა. რამდენი გყვსო, შვილებზე შეეკითხა. ვარვარამ ხუთი თითი გაშალა, მეორე ხელის ცერა თითიც ზედ მიადო.

— ექვსი? — გაიოცა სტუმარმა.

— სულ ტკუპ-ტკუპი ბიჩებია!

— გაგიმრავლებია, აბა, ჭახნაკიები!

— მააშ! ტავადის კალი ვარ, პობედონოსცევა და ჩახნაკიებს კი ვამრავლებ! — სიცილით დაემოწმა ვარვარა და უცებ სერიოზულად დაუმატა: — ჩემი ბონდო ზალიან მშრომელია!

— მერე კვლავ შინაურულად გაულიმა და — რა უკავი, ბიჩო, ვესნუშები და რიუი ტმები?

თურმე ცირდავა ოდესლაც ჭორფლიანი და მწითური ყოფილა. წარმოვიდგინე სათვალიანი ოთოია, ანდა თავცეცხლა ცირდავა და ხითხითი ამიტყდა.

— ბუალავა, კვლავ ცაში დაფრინავ?
რა ვქნა, ეს უკვე ლიტერატურის მასწავლებელია, დრო
სწრაფად გარბის.

გარეთ კი თოვს და თოვს...

სკოლისაკენ განცალკევებით ორნი მოდიოდნენ ამ დილით
— სტუმარი და ცისია დევდარიანი. ცისიას ნაბიჯები ეშლებო-
და, კრთოდა. შორიდან ვუყურებდი და ჩემთვის ყველაფერი
ნათელი იყო. ცირდავა ვერაფერს ხვდებოდა. თამამად მოაბი-
ჯებდა, არ ესმოდა მდუმარების შინაარსი და მხოლოდ ერთხ-
ელ გადაულაპარაკა:

— ითოვებს, ცისია დევდარიანო?
აგე, გათოვდა კიდეც! მიწისპირი თეთრად გადაიპენტა.
ტოტებზე თეთრი, ფაფუკი ქულები ჩამოჯდა, გადათეთრებულ
ეზო-გარემოს ნაკვალევი ჯერაც არ ამჩნევია.

პირველი ჩვენა ვართ და ეზოში ფრენით გავდივართ.
მოხრეშილი გზა თანაბრად გადაქათქათებულა, თოვლს
ჭრაჭუნი გააქვს.

უფრო და უფრო ხვავრიელად წამოვიდა. ახლომახლო ხე-
ები და ღობე-ჭიშკარი თუ მოჩანს, თორემ სახლები თეთრ კო-
რიანტელში ძლივს ილანდება.

ცირდავა და ცისია დევდარიანი უკანაც ერთად ბრუნდე-
ბიან, გვერდიგვერდ მოდიან. ამათი გვერიდება, მაგრამ ავიღე
და პაპუჩის თოვლი შევაყარე. იმანაც მიპასუხა. სხვებიც გათა-
მამდნენ, დაერივნენ ერთმანეთს. ზოგი წინ გარბის, ზოგი
აქეთ-იქით, არის ერთი ურიამული, წიოკობა, სიცილ-კისეისი...

ამასობაში ჭიშკარსაც მივაღწიეთ. წინ წასულებმა ფარ-
თოდ გავაღეთ და ყიუინით შევცვიდით ეზოში.

ცირდავაც წახალისდა, თოვლი მოხვეტა და ცისიას შეაყარა.
ასე არ უნდა-მეთქი, ზუსტად სათვალეზე მივაფშვენი გუნ-
და. ჩანთა ძირს დავაგდე და ახლა მეორეს ვაკეთებ.

— ბავშვებო, სირცხვილია, სტუმარი რას იფიქრებს? — წამ-
ოიძახა ცისიამ, მაგრამ მისი კნავილი ურიამულში ჩაიკარგა.

— დამიდექ, თუ ბიჭი ხარ! — შემომძახა ცირდავამ, სათ-
ვალიდან თოვლი ჩამოიფერთხა და დროზე წამოიცვა, რად-
გან მეორე გუნდა უკვე გავუქანე.

განზე გახტა, თოვლი მოხვეტა და მომაყარა, მშრალი და
ფაფუკი თოვლი ჰაერში გაიფანტა.

— მიდი, პაპუჩი, შემოუარე! — მოიხმო ცირდავამ. ეძგვერ-
აძე ოთოია თავცეცხლას ეჭიდავებოდა. ხელი უშვა და ჩემკენ
გამოქანდა.

დახეთ, მაგ მოღალატეს! განზე გავხტი, მაგრამ ცირდა-
ვამაც მომისწრო და ხელი მტაცა. სამივენი გადავკოტრიალ-
დით. ცირდავას სათვალე დაეკარგა, მე კი ხელიდან დავუს-
ხლტი, თან ბლუჯა-ბლუჯა თოვლი მივაყარე.

— გნებდები, ბუალავა, მთლად ნუ დამმარხავ, თუ კაცი
ხარ!

ზურგზე გაშხლართულმა მკლავები აქეთ-იქით გადააგდო
და თავი მოიმკვდარუნა.

ირგვლივ სხვა ბავშვები გუნდაობენ. პაპუჩი კვლავ ოთოია
თავცეცხლას გამოუდგა. ჩავიმუშებელე და ცირდავას ზევიდან
დავაცერდი. ბეცად ამომხედა, თვალებს ჭუტავდა, ალბათ
ბუნდოვნად მხედავდა.

— სათვალე მომიძებნე!
იქვე ეგდო თოვლში, გავწმინდე და ჩემი ხელით გავუკეთე.
უკეთ შემათვალიერა.

— გაცივდები! — მკლავზე მოვქაჩე. მგონი გული შემი-
ვარდა, თითქოს ჩემზე სუსტ არსებას ვმფარველობდი.

ცისია მოვარდა.
— ვაიმე, ხომ არ გეტკინათ რაიმე?!
ამათ გავშორდი. ღონე იმდენი მაქვს, არ ვიცი, რაზე და-
ვიხარჯო. მოვწყდი ადგილს და თოვლის კორიანტელში გავეხ-
ვიე. მივრბივარ ეზოს კუთხისაკენ, ახალ თოვლში მთლად და-
ვიკარგე. შევყოვნდი. ბავშვების ხმები ჩაგუდულა. სიწყნარ-
ეა. ფიფქები მეცაცუნება. ერთმანეთს ეხლება ფანტელები,
ძირს ეფინება, ხმას კი არ გამოსცემს...

ლუმელში ცეცხლი გიზგიზებს. პატუჩი ეძვერაძეს უყოჩა-ლია, გაუჩაღებია და წასულა. ცირდავა ხელებს ითბობს.

მის წინ ბოცო კაკულია დასკუპებულა. მუხლები მონაფე-სავით მიუტყუპებია, ხელები ზედ დაუბჯენია და წინ გადმოხ-რილა — მისი წვრილი ცხვირ-პირი სრულ ყურადღებას გამო-ხატავს.

— კი მაგრამ, ბოცო... — ზანტად იწყებს ცირდავა. ფიზკუ-ლტურის მასწავლებელი ფეხდაფეხ შემოჰყვა და ზღურბლზე მანამ იდგა, სანამ სკამს შესთავაზებდნენ.

— არაფერს ვჩივი, სპორტული მოედანი მომიწყოს... აგერ, ორძელი... სამარცხვინოა! — ბოცოს პატარა, წვნიკი სახე სიჯიუტის განსახიერებაა.

— მე თუ მკითხავ, ანონიმური წერილები...

— დიახ, დიახ, აქაოდა, ბოცო პატარა კაცია, ორი მეტრის სიმაღლისა ვერ გაიზარდაო....

— ამას ვინ გეუბნება?

— ზოგ-ზოგებს ჰგონია, თუ სიმაღლეში გაიქაჩა, ჭკუითაც ლმერთს მიუახლოვდა. რასაც ვიტყვი, უკან ბურთივით ჩამ-ჩრიან — „შენ, ბოცო, გაჩუმდი!“ „შენ, ბოცო, მოიცადე!“ „შენ, ბოცო, არავინ გეკითხება!“ რატომ? აყლაყუდა რომ ვერ გა-ვიზარდე, იმიტომ?

— წერილები ხელმოწერილი რომ იყოს, ხომ უფრო დაგე-ჯერებოდა?

— იმიტომ არ მიჯერებენ, რომ პატარა კაცი ვარ, სიმაღლე არ მოუცია ღმერთს! მე რომ მაღალი, წარმოსადეგი ვინმე ვიყო, ტრიბუნაზე დავდგებოდი, არც არავისი მომერიდებოდა. ახლა რა? ტრიბუნიდან არცა ვჩანვარ, რაც გინდა სერიოზული და მართალი საკითხი დავსვა, დარბაზი სიცილს ვერ იკავებს...

— წერილს როცა ღებულობენ, ვინდა მიხვდება, რა სიმა-ღლის კაცი წერდა?

— იციან, აბა არ იციან? მაღალი კაცი უფრო თავდაჯერე-ბულია, ხელწერაზეც ეტყობა. აქაოდა, ფეხებზედაც მკიდიხ-

ართ, ჩემი ფეხების სიგრძისა არ გაზრდილხართო. თავი მაღ-ლა დააქვს, ასე ჰგონია, ტვინითა მაქვს გამოტენილიო. ის კი არ იცის, ბუშტი ჰაერითა სავსე, ცაში კი დაფრინავს. პატარა კაცი სხვანაირი წყობისაა, ვინც დაბლა ვართ, ათას წვრილ-მანსა ვხედავთ, ცხოვრება კი წვრილმანებისაგან შედგება. მნიშვნელოვანი საქმის ბედს ხანდახან პატარა შემთხვევა გადაწყვეტს. აგერ, ჩვენი ჭურჭლის მრეცხავი, პისტი ქარდა-ვა ამ ათი წლის წინ გათხოვდებოდა, ოქროს კბილი რომ არ გადაეყლაპა.

— სადა აქვს ოქროს კბილი? — უნებლიერ გაიოცა ცირ-დავამ.

— ახლა უკვე არა აქვს, მაშინ ჰქონდა — ორი ცალი. გამო-ჩნდა საიდანლაც საქმრო, შეახვედრეს ერთმანეთს. პისტის პირველი დანახვისთანვე გული შეუვარდა, საქმროს ცალი ტუჩით ულიმოდა. მაშინ მოდაში ოქროს კბილი იყო და იმას უჩვენებდა. თურმე ძილში ის კბილი ჩამოვარდნია და გადაუ-ყლაპავს, ოქროს მაგიერ ღოჯი მოუჩანს. პისტი ხომ ისედაც საფრთხობელაა, მისი საქმრო უარესი იყო, მაგრამ იმანაც კი, უკბილო დედაპერი არ მინდაო, თავი ქვას შეუშვირა...

ცირდავა გადაფიჩინდა. ბოცო გაჩუმდა, სერიოზულად შესცექროდა, თითქოს უკვირდა, ამას რა აცინებსო.

ცირდავამ სიცილის ცრემლი მოიწმინდა, ჰკითხა:

— დიანოზს რას ერჩი? გაყვლიფა საბავშვო სახლიო... დი-ანოზის ხელში გავიზარდე!

— მაგი როდინდელი ამბავია. მაშინ სხვა დრო იყო, ახლა სხვაა. დრო ვის არ შეცვლის!

— დიანოზს ვერა! — უხეშად მოუჭრა ცირდავამ.

— დრო ვისაც გინდა, იმას შეცვლის! — ჯიუტად გაიმეო-რა ბოცომ. — მაშ, სულ დიანოზის ხელფასით აშენდა მისი სახლ-კარი!

ცირდავას გუნება წაუხდა.

— ვიცი, რასაც ფიქრობთ! — ბოცომ უგემურად ჩაიხითხი-თა. — დიანოზი არ იკადრებსო. მაგი მეც ვიცი. პისტი ქარდავა-სავით კარაქსა და შაქარს არ ჩაიწყობს ჯიბეში. დიანოზი მაღ-ლა დგას!

ამ სიტყვებში აშკარა დაცინვა გაუღერდა და დევი გაბრაზდა.
— არა ხარ შენ კაი კაცი!
— მაგი მეც ვიცი! — აუღელვებლად დაუდასტურა ბოცომ.
— სიმართლის მთქმელი კაი კაცი როგორ იქნება?

დევის გული მწუხარებით აევსო. ბოცო კაჯულია იქნებ მართალიც იყო. ყოველივე ეს ვერაფრით ესადაგებოდა დიანოზ ვერულავას ხატს, ბავშვობის დროიდან გულში რომ დაპქონდა. რა თქმა უნდა, არც ცირდავა იყო ბრმა და ყრუ, ავსაც ხედავდა და კარგსაც. მის ნაცნობებში რამდენმა მოიტეხა კისერი, ისეთებმა, პატიოსნების სიმბოლოდ რომ ესახებოდა.

— მაინც არა მჯერა დიანოზის ნახდენა! — ვერა და ვერ ემეტებოდა ვერულავა.

ბოცომ კვლავ ჩაიხითხითა.

— ასეა! პატარა კაცის ნათქვამს პატარა ფასი ადევს. გეგონებათ, მე მინდოდეს დიანოზის ნახდენა. მე არავისი ნახდენა არა მსურს, სიმართლე მინდა და იმას ვეძებ, სიმართლის წინაშე ყველანი თანაბარნი უნდა ვიყვეთ, ჩემისთანა მოკლეც და ელეფთერ ლაგვილავასავით აყლაყუდაც. ვთქვათ, დიანოზი არაფერ შუაშია, მაგრამ ის ხომ დირექტორია, პირველი კაცია! როგორ შეიძლება არაფერ შუაში იყოს? იგივე ბავშვის გაშვილება ავიღოთ, სცადეთ, არაფერი დახარჯოთ და ისე იშვილოთ!

— ჩემს დროს არაფერი იხარჯებოდა!

— ის სხვა დრო იყო, ბატონო, ობოლი ბევრი გვყავდა, შვილის აყვანის მსურველი — ცოტა. ახლა გასაშვილებელი ბავშვი თითზე ჩამოითვლება, მსურველი მილიონია... აგრე, პატარა გოგო მოიყვანეს, მარიხი, ნახეთ რა ამბავი დატრიალდეს!

— რა უნდა დატრიალდეს?

— ნახავთ, ვიღაცანი ხელს როგორ მოითბობენ!

— ბოცო, შენს ნათქვამში იქნებ სიმართლის ნაწილიცაა, მაგრამ თავი ამტკიცდა და დამტოვე, თუ კაცი ხარ!

ბოცო წამოდგა. მართლაც ისეთი ჩია იყო, სახის ნაოჭები რომ არა, ბავშვი ეგონებოდა კაცს.

— ბოცო! — ზღურბლზე შეაყოვნა დევიმ. — ჩემზე საჩივარს თუ დაწერ, მისამართი ხომ იცი, გაზეთის მეოთხე გვერდზე წერია!

ბოცომ პირი დაალო, მერე ფარისევლურად ჩაიხითხითა, ვითომც გაიხუმრა:

— არაფრისა გეშინიათ? თანამდებობა, ხომ იცით?
— ჩემი თანამდებობა არ დამეკარგება! — დევიმ შუბლზე თითი მიიკაუუნა. — საცა წავალ, თან დამაქვა!

ბოცოს პირზე ღიმილი შეეყინა. ცირდავა უტეხად შეჰყურებდა და ფიზკულტურის მასწავლებელი უფრო დაპატარავდა, დაჩიავდა, შებრუნდა და გაქრა.

22

ბოლო ფიფქი ზედ ცხვირის წვერზე ჩამომაჯდა არხეინად. მოსხლეტით შევჩერდი. ფეხდაფეხ პაპუჩი ეძგვერაძე მომყვებოდა და ზედ გადმომაწყდა. შეშინებული სახე ჰქონდა.

— მოხდა რამე? — ჩურჩულით მკითხა.

თვითონ არ ვიცოდი, რა მოხდა. იქნებ მინდოდა ცხვირის წვერზე ჩამომჯდარი ფიფქი დამტვალიერებინა. ის ხომ ბოლო იყო, მეტი ციდან არ მოფარფატებდა. პანია, კრისტალურ ფეხებზე იდგა, ის ფეხები მოადნა, თვითონაც დაილია და სისველე შემატოვა. ყოველივე ეს რომ მენახა, თვალები ელამივით უნდა გადმომექაჩა... ან იქნებ იმიტომ შევჩერდი, ჩემ წინ გაუკვალავი თოვლიანი მინდორი რომ იყო გადაშლილი, მზეზე თეთრად ბრწყინავდა, იმის იქით თხმელნარის რუხი კედელი იდგა, თხმელნარს იქით კი ჯანღიდან ვერასულას პირქუში კლდე მოგვჩერებოდა.

კლდის ძირას, ერთგან, გადმოწოლილი ფლატე ვიცოდით. იმის ქვეშ, მშრალ მოედანს თხმელა და ძეძვნარი შემორტყმოდა. ლორჯოლა იქ უნდა დამხვედროდა. რა უნდოდა? რად მომიხმო? თავს გამოვუტყდი, ცოტათი მეშინოდა კიდეც. იქნებ სწორედ შიში გადამელობა და იმან გამაჩერა.

ვიგრძენი, ვიღაცა იდაყვზე შემეხო, მანიშნა, მიდი, ნურაფერს შეეპუბიო. პაპუჩი არ იყო. ბიჭი ჩემს უკან იდგა, მაგრამ ხელები ჯიბეებში ჰქონდა, ლოყები სიცივისაგან დაბრანი-

და და ტყისაკენ ისე იყურებოდა, თითქოს იქიდან თავდასხმას მოელისო.

გამეღიმა.

— რა გაცინებს? — ბუზლუნით შემეკითხა.

იმას ჰგონია, დამცინისო, მე კი ჩემს საიდუმლოს ვუღიმი.

აგერ, გვერდით დიდი ნიკანორი ამომდგომია, ისეთი დიდი ვინძეა, მე და პაპური მუხლებამდე ძლივსა ვწვდებით. მარჯვენა მოიჩრდილა, ვერასულას კლდეს გახედა, მარცხენა იდაყვზე შემახო და მიბიძგა.

ყოველთვის ასეა, როცა მიჭირს, დიდი ნიკანორი მუდამ ჩემს გვერდითაა და მამხნევებს.

დავიძარით. თოვლი მუხლებამდე მწვდება. იგი ფაფუკი, მსუბუქი და ხვავრიელია, ამიტომაც ნაკვალევი ღრმა ჭრილობასავით აჩნდება.

იოტისოდენაც არ მეშინია. ვიცი, დიდ ნიკანორზე ღონიერი და სამართლიანი ქვეყნიერების ზურგზე არავინაა.

ამასობაში ტყის ბილიკზე გავედით. ახლა არც ბილიკი ჩანს, არც სხვა რამ ნაკვალევი, მაგრამ ადრე ხომ იყო და ალლოს მივენდეთ. ბიჭები ან არ მოსულან, ან სხვა გზით იარეს, უკვე იქ არიან და კოცონიც დაანთეს.

მართლაც მეცა დამწვრის სუნი. პაპურიმ ცხვირი აასრუტუნა, კაი ყნოსვა ჰქონდა.

— კვამლია! — დაასკვნა.

ღელესთან ჩვენი ნაკვალევი სხვათა ნაკვალევებს შეუერთდა. ბიჭებს აქ ჩაუვლიათ.

წყალი მდორედ, უხმოდ მიედინება, თოვლის თეთრ ჩარჩოში ჩამუქებულა.

ბოგირი მოყინულია. ღელეში ბანაობა ვერაფერი ხეირია და ფრთხილად გადავდივართ.

თავზევით წამოიმართა ვერასულას კლდე. კლდის პირს აქა-იქ თოვლი მძივივით გასდევდა. დავაკვირდი, რამდენჯერ ვცადე კლდესთან შეჭიდება. ახლა იმ თოვლის ღაქებს გავადევნე მზერა და ფიქრში მოვინიშნე ის ბილიკი, ქარაფზე გადმოკიდებული წვრილი ხაზი, რომელსაც ვითომ ავყევი კიდეც... წარმოსახვით შუა წელს მივაღწიე და მუხლებში ძაბუნი ჩამეღვარა.

პაპურიმაც ახედა კლდეს, ჩაიხითხითა.

— რას იღრიფები?

— დიდი ნიკანორი ქვად რომ იქცეს, ვერასულას კლდეს დაემსგავსება!

დავაკვირდი და მართლაც კაცს მივამგვანე, დიდ ნიკანორს, იდგა და შორეულ სივრცეს გაჰყურებდა...

— რას გაჩუმდი? — ვერ ისვენებს პაპური, ფიქრს არ მაცლის.

თოვლი მოვხვეტე და სახეზე შევაყარე.

— აჲა!

სანამ ჩამოიბერტყა, კარგა შორს წავედი. წამომეწია. გუნდა ეჭირა, მაგრამ კლდის ძირამდე მივაღწიეთ და შურისძიება დაავინწყდა. ხელი სიცივით რომ აეწვა, მაშინდა გადააგდო. თვალებში შიში ეწერა, ამას ჩემი იმედი ჰქონდა, მე კი დიდი ნიკანორისა.

— ზევით გამოქვაბულია, ოღონდ აქედან არა ჩანს. შიგ ურიცხვი განძი ინახება! — თვალი არ დამიხამხამებია, ისე მოვიტყუუ.

— მატყუებ? — ეჭვით შემომხედა.

— რატომ უნდა მოგატყუო? დიდმა ნიკანორმა მანახა. უზარმაზარი ზანდუკები აწყვია, სულ ოქრო-ვერცხლით საფსე.

— ცოტა ვერ წამოილე?

— არ შეიძლება, ჯადო ადევს. ის რომ წამოიღო, თვითონ უნდა ახვიდე, სხვის დაუხმარებლად!

— იჸ, მატყუებ! — არ დაიჯერა პაპურიმ. — იქ როგორდა მოხვდი?

— დიდი ნიკანორი ბუმბერაზია, მტაცა ხელი და შემსვა!

პაპური შეყოყმანდა, დავიჯერო თუ არაო... შევბრუნდი და გზა გავაგრძელე.

ცხვირნინ ბუჩქი შეირხა, იქიდან წყვილმა თვალმა გამოაჭყიტა. გული შემიხტა. ისე შავი იყო, ზანგი მეგონა. ძლივს ვიცანი გუგული ჯიქია. შავტუხას თეთრი გარემო უფრო შავად აჩენდა.

დაუსტვინა. იქიდან, საიდანაც კვამლი ადიოდა, საპასუხო სტვენა გაისმა.

გუგულიმ ხელი დამიქნია, აქეთ წამოდითო. ხშირ ბუჩქნარ-ში გაძრომა ჭირდა. შორიას ალო ფართო ბილიკი მეგულებოდა, მაგრამ რაკი საიდუმლო შეხვედრაზე მივდიოდი, თოვლით ჩანამქრულ ბუჩქნარში უნდა მეფხოტიალა.

ბოლოს ცეცხლი დავინახეთ. ფლატის ქვეშ თოვლს ვერ შეეღწია. მშრალი, ხვინჭკიანი ადგილი უბესა ჰგავდა. ცეცხლი თოვლის კიდეზე ენთო, ბიჭები კი იმ უბეში ისხდნენ და თბებოდნენ.

ჩუმად მოგვაცქერდნენ. უხმოდ გავჩერდი, სალამ-ქალამზე არ დავხარჯულვარ. გუგული ზურგსუკან დადგა, გასაქცევი გზა მომიჭრა. არ შემშინებიაო, ტყუილია, მაგრამ მართლაცდა, ხომ არ მომკლავდნენ. ცეცხლთან ჩავცუცქდი, მივეფიცხე.

შუაში, სავარძელივით ჩაღრუტნულ ქვაზე ლორჯოლა იჯდა. ხელმარჯვნივ ფუცუკა წამოსკუპულიყო. უფრო სწორად, ნემსებზე ტრიალებდა, ხან ლორჯოლას შეხედავდა, ხან ჩვენ მოგვაშტერდებოდა, მოკლედ, ვერ ისვენებდა. ხელმარცხნივ ლორჯგო და პირდია მოკალათებულიყვნენ. პირდია ნებიერად გადაწოლილი ისვენებდა. ფეხსაცმელები ცეცხლისაკენ გაეშვირა და ოხშივარი ასდიოდა. ლორჯგოს კი გრძელი ჯოხი ეჭირა, ნაკვერჩლებში საიდანლაც მოპარული კარტოფილი ჩაეყარათ და თვალს ადევნებდა, არ ჩაგვინახშირდესო. ქუცნა ჭედია ფეხზე იდგა, შეშფოთებული აპარალებდა წამნამებს... სხვა სახეებიც გაკრთა აქეთ-იქით, მაგრამ მე ლორჯოლას მივჩერებოდი, რადგან მის სიტყვაზე იყო ჩემი ბედი დამოკიდებული. სევდიანად გავიფიქრე, რა მგლებივით მოჩერებიან-მეთქი. საკმარისია, ბელადმა კბილები გააკრაჭუნოს, წამში მომესევიან. ლორჯოლას ცივ მზერაში ცეცხლის ანარეკლმა გაიღვა და მოულოდნელად მკითხა:

— რა გაიფიქრე?

რა უნდა მეთქვა? იქნებ დიდი ნიკანორი მეხსენებინა, მორიგი ზღაპარი გამომეცხო. ლორჯოლა, თითქოს მიმიხვდაო, თითით დამემუქრა:

— ტყუილები არ იყოს!

— სერზე მიდის სამი მგელი, ტუჩმოკლე და კუდიგრძელი!

— ჩავარაკოაკე.

სიჩუმე ჩამოწვა. ქარაგმას ვერ მიმიხვდნენ. ან იქნებ ლორჯოლა მიხვდა და ახლა იმას ფიქრობდა, რანაირად შეეფასებინა. ვერ მოითმინა ფუცუკამ, მწივანა ხმით წაიკავლა:

— ამით რა გინდა გვითხრა?

ხიდი უკვე დავწვი და არას ვნალვლობდი.

— მოვედი და ყველამ ისე შემომხედეთ, თითქოს ბეკეკავიყო, თქვენ კი — რუხი მგლები!

— მერე არა ხარ ბეკეკა?

— დიდი ნიკანორის ბიჭი ვარ! — ცოტათი ამაყად გამომივიდა.

ვინც მიცნობდა, „დიდი ნიკანორიც“ გაეგონა. ალბათ ორს არ სჯეროდა მისი არსებობა, მაგრამ აქამდე არავის უთქვამს, ზღაპრებს ნუ ჩმახავო. არც ახლა უთქვამთ რამე! ზოგიერთებს შურდათ კიდეც, მე რომ დიდი ნიკანორი მყავდა. იგი ჩვეულებრივი ადამიანი როდი იყო, ზღაპარშიც ისე ყოჩალად გრძნობდა თავს, როგორც სინამდვილეში. მტერს იქ ამარცხებდა, სადაც წააწყდებოდა, ჩაგრულს ხელს უწვდიდა.

რაკი მგელი ვახსენე, რა თქმა უნდა, შემეძლო აქვე მომეთხო დიდი ნიკანორის მორიგი გმირობის ამბავი, როცა მას რუხი მგლების ხროვა დაეხვია, ალბათ ხუთასი მგელი მაინც იქნებოდა, დიდმა ნიკანორმა კი კომბლით იფრინა.

ასე გავიფიქრე, მაგრამ თქმით არაფერი მითქვამს, რადგან ამ დროს საიდანლაც ჭიპო კვირიკაძე გამოლაყუნდა, გრძელი ხელი ლორჯგოს გადააწვდინა, შორიდანვე აიტაცა დანახშირებული კარტოფილი და გაცივება არ აცალა, ისე შესანსლა.

ეგ როგორო და ფუცუკამაც წამოიღო ხელი, მაგრამ ლორჯოლამ მკაცრად შეუძახა — „აბა, აბა!“

ყველამ უკან დაიხია, თან მომლოდინე თვალებით შეაცერდნენ ლორჯოლას — ხროვის ბელადს.

ლორჯგოს ჯოხი გამოართვა, ადგილიდან არ წამომდგარა, ისე თითო-თითოდ გამოაგორა დანახშირებული კარტოფილი და ჩამოურიგა ბიჭებს, სულ ბოლოს — პაპუჩის და ფუცუკას. მერე მე შემომხედა, ოდნავ გაკვირვებულმა, ანგარიში როგორ შემეშალაო.

— შენთვის აღარ დარჩა!

— არ მინდოდა! — აგდებით ვთქვი, არც თავისთვის დაუტოვებია და ამიტომ არა მწყენია.

— მოდი, აქ დაჯექი! — ფუცუკას საჯდომზე მანიშნა, ძმას კი მხოლოდ შეხედა და ფუცუკა დაპატარავდა, ხელისგულზე ცხელ კარტოფილს აგორავებდა, თან გან-გან მიჩოჩავდა.

დავჯექი. აშკარა იყო, ცემას გადავურჩი, მაგრამ ვერ გამეგო, გუნებაში რა ჰქონდა.

— ეგ რატომ მომიყვანე? — პაპუჩიზე მანიშნა. — მე ეგ არ დამიბარებია!

— პატარაა და ამეკიდა!

— რახან მოვიდა, იყოს, მაგრამ ენას კბილი დააჭიროს! — პაპუჩისათვის თვალი არ მოუშორებია, ისე თქვა.

პაპუჩის ცხელი კარტოფილი ყელში გაეჩხირა, შეშფოთებულმა შემომხედა.

— მაშ, მგლებსა ვგავართ? — ჩაიცინა ღორჯოლამ, სახის ნაკვთები არც შერხევია.

არ მიყვარს ასეთი სიცილი — უხალისო, ცივი, ნაძალადევი. ვერ გაიგებ, მართლა იცინის, თუ გულში სულ სხვა რამ უდევს.

— მომწონს, ხომ იცი შენ, უკეთესს ვერ მოიგონებ! — ჩემკენ გადმოიხარა, ვითომც ჩამჩურჩულა: — საიდუმლო უნდა გაგანდო! კერკეტი კაკალი ჩანხარ, ადვილად ვერ გაგტეხენ, იცოდე, არავის უთხრა!

ყური ვცქვიტე. მიყვარს საიდუმლო. თვითონაც უამრავ საიდუმლოს ვინახავ. დღე არ გავა, თითო საიდუმლო წამომცდება, მაგრამ ამასობაში ახალი მიჩნდება. დიდი ნიკანორის საიდუმლოებები ქვეყანას მოვთინე, მაგრამ რა მათქმევინებს, პატარა მარიხის ვითომც მამიკო რომ ვარ.

— მაშ, დაიფიცე, რომ არ გაგვცემ! — საზეიმო კილოთი შემომთავაზა ღორჯოლამ.

— რანაირად დავიფიცო?

ჯოხით ნაღვერდლიდან ნაკვერჩხალი გამოიღო.

— რაზეც გინდა, იმაზე დაიფიცე, ოღონდ, სანამ ფიცს არ მოამთავრებ, ეს ნაკვერჩხალი ხელით უნდა ათამაშო.

კაი ჭკუაზეა, ღმერთმანი! გამომცდელად მიყურებს. რა ვქნა? ამას მე კი არა, არსენა აკეთებდა. სილაჩრეს ვერ გამო-

ვამჟღავნებ. ვითომც ჩემთვის ეს იოლზე იოლიაო, ნაკვერჩხალს ხელიდან ხელში ვაბურთავებ, თან სიტყვებს სხაპასხუპით ვყლაპავ:

— ვფიცავ დიდი ნიკანორის სახელს...

ნაკვერჩხალი გადავაგდე და თოვლში ვსტუცე ხელი. ოპოპო, როგორ მეწვის?!

ღორჯოლა კვლავ იცინის, მზერა შეურბილდა. მოვეწონემეთქი და, რა დასამალია, მიხარია.

ამ დროს მამუკა გიორგაძის თვალებს შევეფეთე. განზე მიმჯდარა. ლაპარაკში არ ერევა. თავისი წილი კარტოფილისათვის ხელი არ უხლია. ჭიბო კვირიკაძე ცდილობს, ის კარტოფილი უჩუმრად გადმოიგოროს. მამუკა ვერ ხედავს, რადგან საყვედურით მე მიყურებს.

თვალი ავარიდე. საიდუმლოს მოსასმენად გავემზადე. ღორჯოლამ უცებ ყურში ჩამავლო ხელი, მიმიზიდა. მეტკინა, მაგრამ ხმას არ ვიღებ. ისე ჩამბლუჯა, წინანდელივით კბილს ვერ გავკრავ. ზედ ყურზე მომაორთქლა:

— ჩვენ აქ ბანდა შევექმენით, აი!

ხელი მიშვა. ცოტა ხანს ყური მიბუუის, უფრო ნათქვამის გამო. პირი დაღებული დამრჩა.

ღორჯოლას სახე წამოუწითლდა, მუხლზე მჯილი დაიკრა.

— ნიკანორი მართალია, ბანდა არ გვინდა! ჩვენ რუხი მგლები ვიქნებით, მგლების ხროვა! ხროვის ბელადი ყველაზე ძლიერია!.. ყმუილი უნდა გასწავლოთ.

პირთან ხელისგული მოამრგვალა და მართლაც მგელივით, გაბმით აყმუვლდა.

წკავწკავით აპყა ფუცუკა... ღორჯგომ და პირლიამ ხმები ააყოლეს... მერე სხვებმაც... თითქოს სასაცილო, მაგრამ უფრო ზარდამცემი იყო ბიჭების ყმუილი...

პაპუჩი ეძგვერაძემ მკლავზე მომქაჩა, ხელი უკანკალებდა.

მამუკა გიორგაძე წამოდგა და გაგვშორდა.

ღორჯოლა უცბად, მოწყვეტით გაჩუმდა. მზერა მიაყოლა მიმავალს. არაფერი უთქვამს...

მამუკა გიორგაძის მამა ჯერაც ახალგაზრდა იყო, მაგრამ ოცი წლით მეტს მისცემდა კაცი. ერთ დროს კაი ვაჟკაცი, ახლა მოთავებული ჩანდა. სახე ჩაჰუკითლებოდა, სიყვითლე თვალის გუგებშიც გადასულიყო, ღვიძლი არ უვარგოდა ალბათ. ხმა ჩახრინებოდა, მთელი ღამე გაბმით ახველებდა, ვერც თვითონ იძინებდა, არც სხვებს აძინებდა. არავინ იცოდა, როდის გადაირეოდა, არადა ზოგჯერ იქნებ განგებაც იგიუიანებდა თავს. რაღაც აბებს ყლაპავდა გაუთავებლად, მთელი ტანი ნემსის ნაჩევლეტებით ჰქონდა დაფარული, თვითონვე იკეთებდა ნემსს, თვალდახუჭული, დაბრმავებული, თითქოს ეს მისი სხეული სულაც არ იყო. სხვას ათასჯერ მაინც შეეჭრებოდა ინფექცია, მამას კი ალბათ იღბალი ჰქონდა, თუ ამას იღბალი ჰქვია.

ხელი უკანკალებდა...

მამუკას ასეთი დაამახსოვრდა: მამა ზის თავის საწოლზე ტრუსის ამარა, ხელში ასანთის კოლოფი უჭირავს, თვალები უაზროდ მიუპყრია სივრცისათვის და ხელი უკანკალებს. მერე თითქოს შიგნიდან რაღაც მოაწვაო, პირს აღებს, სურს დაიღმუილოს, ხმა არ ამოსდის ხახიდან. უცებ ასანთის კოლოფი მუჭში ეფშვნევა, შიშველ მუხლისთავებს ჩამოიხოკავს ნაფშვენით. თვალებში მრისხანება იბადება, მხოლოდ მისთვის ხილულ მტერს ემუქრებაო, ხმადაბლა იღრინება.

მამუკა უკვე კარის ზღურბლზეა. კედელ-კედელ მიაღწია, გასაქცევად გზა ხსნილი აქვს და აქ იცდის. იქნებ უბედურებამ გადაიაროს. ხანდახან ხომ ასეც ხდება. მამა უცბადვე დამშვიდდება და მბორგავ ძილში ჩაეფლობა.

კაცმა პირი დააღლო, ისეთი ხმა გამოსცა, თითქოს კისერზე დანა დაუსვესო. წამოვარდა და ოთახში აწრიალდა. ეხლებოდა კედლებსა და კარადებს. ბიჭსაც ცხვირწინ ჩაუარა და ვერ დაინახა. მაგიდას გადააწყდა, ამოკრა ხელი, გადააყირავა. თვითონაც გადაყირავდა, საშინელი ბრაგვანით დაასკდა იატაკს. მამუკამ ნაბიჯი წარსდგა, საშველად გაიწია, მაგრამ

კაცი მჩატედ წამოხტა და ერთი დარტყმით კედლის სარკე ჩამოამსხვრია. ხელზე სისხლი დასდინდა...

ახლა უკვე ვერაფერი დაამშვიდებდა, უნდა ემტვრია და ელენა, რაც ხელთ მოხვდებოდა.

მამუკამ კარი გაიხურა და ბნელ კიბეზე დაეშვა. გული შიშისაგან უკანკალებდა, თითქოს მამის თანამეინახენი ჩასაფრებულიყვნენ კიბის ბაქნებზე და მისკენ ხელებს იშვერდნენ. მთელ სადარბაზოში ერთადერთი ნათურა ეკიდა და ისიც ძლივს ბუუტავდა.

ქუჩაში შიში შეუნელდა, თუმცა კვლავ მთელი ტანით თრთოდა. ტელეფონთან დიდხანს იწვალა. წესიერად ვერ აგებინებდა სასწრაფოს მორიგეს თავის გასაჭირს. „მამა ცუდადაა, მამა ცუდადაა!..“ — იმეორებდა და რაკი ვერ აუხსნა, ტირილი წასკდა. მორიგე მიუხვდა, ხმა შეურბილდა, სადარბაზოსთან დაგველოდეო, უბრძანა.

გიორგაძეების ბინიდან ღმუილი და მტვრევის ხმა ისმოდა. მეზობელ ფანჯრებში ნათურები ინთებოდა. ძილგატეხილი მეზობლები თავს გარეთ ჰყოფდნენ. არავინ კითხულობდა, რა ხდებაო, მიეჩივინენ უკვე.

სადარბაზოსთან სასწრაფოს მანქანა იდგა. მძლოლს საჭეზე დაედო თავი და თვლემდა.

მამუკას ცახცახი ვერ დაეოკებინა.

შეწყდა ხმაური, სიჩუმე ჩამონვა. მეზობლები მოშორდნენ ფანჯრებს, სინათლეები სათითაოდ ჩაქრა.

მამუკა ნელინელ მიიპარებოდა კიბეზე.

ფეხის ხმა მოესმა. კინაღამ უკანვე ჩაირბინა, მაგრამ მიხვდა, რომ თეთრხალათიანები იყვნენ და ერთადერთ, განათებულ ბაქანზე დაელოდა.

— მამაშენია? — ჰკითხა მენინავემ.

მამუკამ თავი დაუქნია.

— ნუ გეშინია, სძინავს! — დაუყვავა. — ე-ეჲ!

სხვებმა უხმოდ ჩაუარეს.

მამუკამ სწრაფად მოლია დარჩენილი საფეხურები. ბინაში ყველაფერი ყირაზე იდგა. ამას უკვე მიეჩივია. ყოველი ასეთი შეტევის შემდეგ დიდხანს ალაგებდა ხოლმე. კაცი ლოგინ-

ზე ისე გაშოტილიყო, სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა. ცხვირი წვეტიანი გაუხდა, ლოყები ჩაუცვივდა, უპეები შავად ამოუღამდა. მამუკას აქამდე მიცვალებული არ ენახა, იფიქრა, მოკვდაო და ძრნოლა დაეუფლა. კაცს მკერდი ოდნავ შესამჩნევად აუდ-ჩაუდიოდა და ამან დაამშვიდა.

დალაგებას შეუდგა. მაგიდა და სკამები წამოაყენა, მინის ნამსხვრევები აკრიფა.

მამის საწოლთან სკამი მოაჩოჩა და დაჯდა.

დილამდე ჯერ კიდევ შორს იყო.

დააკვირდა მამის შეცვლილ სახეს. ახსოვდა კი სულ სხვა მამიკოც...

ნებიერა ბავშვად იზრდებოდა მამუკა გიორგაძე. სახელიც მამამ შეურჩია, ერთადერთი ვაჟი დაისაკუთრა თითქოს. თავ-დაპირველად ოჯახი ოჯახს ჰქავდა. დედა და მამა ორ დიდ მზე-სავით დაპნათოდა ბავშვს და მეხსიერებას შერჩა ნათელი, მზიანი ოთახები და ლბილი სითბო, დედის ალერსიანი ხელი და მამის გაუპარსავი ლოყა, კისერზე რომ ულიტინებდა. რო-დის იყო ეს?.. რა დრო გავიდა მას შემდეგ?.. ერთხელ მამიკომ საბავშვო ბალში წაიყვანა. უთოვლო ზამთარი იდგა და სუსხ-იანი ქარი ქროდა. პატარა მამუკას პალტო გაეხსნა, თოში შე-მოეჭდო. მამიკოს გაეცინა, „უჲ, შე გლახა!“ დაავლო ხელი, მკერდში ჩაიხუტა, თან თავისი უზარმაზარი პალტო შემოახ-ვია. მამუკა გაიტრუნა, კისერში აორთქლავდა კაცს, მამა კი ფრთხილად მიაბიჯებდა, მოყინულზე ფეხი არ დამიცდესო. ბიჭი ჩათბუნდა, თვალი მიელულა... წლების შემდეგაც ეს წუთები ყველაზე ტკბილ მოგონებად დარჩა.

თვალები მამისა ჰქონდა მამუკას, თაფლისფერი, თმა — დედისა, შავი, ოდნავ მონაბლისფრო. დედა რომ თმებს ჩამო-იშლიდა, ფერიას ემსგავსებოდა. იცოდა საკუთარი თავის ფა-სი. სარკესთან ხშირად ტრიალებდა, იზომავდა იაფ, ჭრელა-ჭრულა კაბებს და ოხრავდა. მასზე უარესები ხომ ისე იცვამ-დნენ, ცაზე მოწყვეტილ ვარსკვლავებს ემსგავსებოდნენ.

თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, ხანდახან, უმიზეზოდ წამოწყებული კინკლავი რომ არა, სადაც დამამცირებლად შა-ურიანებსა და აბაზიანებს ახსენებდნენ. მერე და მერე ეს კინ-კლავი ხმამაღალ ჩხუბში გადაიზრდებოდა ხოლმე. ფულის სახელი დატრიალდებოდა და სუნთქვას ახშობდა, ბინაში ერთ-ბაშად მზე ჩაქრებოდა და სითბო ნელდებოდა.

მამუკა ვერ არჩევდა ავსა და კარგს, მტყუანსა და მარ-თალს. ისლა იცოდა, რომ ალერსი სინათლეა, ჩხუბი — სიბნელე.

მერე გამოჩინდა ოჯახის მეგობარი. მის მიხრა-მოხრაში თანამდებობაც ჩანდა და ფულიანობაც. მფარველივით გადა-ჰქვევდა ხელს მამიკოს და ეტყოდა: „რავაა, თუ იცი, საქმე? არ დაგჩაგროს, ბიჭო, ცხოვრებამ! ხომ იცი, მარიფათიანი კა-ცისაა ქვეყანა!“ მამა თითქოს პატარავდებოდა, ნაწვალები ღიმილით პასუხობდა და მამუკას — იგი ხომ უკვე არც ისე პატარა იყო — საშინლად ეცოდებოდა და ეზიზლებოდა კიდეც. გუნებაში ეხვეწებოდა, მიდი, მამა, გაასილაქე ეს ქონის გუ-დაო. ხმამაღლა მსგავსს ვერაფერს ეუბნებოდა. მამა კი, ჩხუ-ბის მაგიერ, შავ „ვოლგაძი“ უჯდებოდა. უკან გვიან ბრუნ-დებოდნენ ხელიხელგადახვეულნი, ღილინ-ღილინით. სადარ-ბაზოსთან ერთმანეთს დიდხანს ეფიცებოდნენ ძმობას... მერე მამიკო ვერ პოულობდა საფეხურებს. მამუკა ჩაეგებებოდა, მხარს შეაშველებდა, უთქმელად, უსაყვედუროდ. მამიკო უცებ შეჩერდებოდა, შეათვალიერებდა, ძლივსა ცნობდა, გაიხარებდა, რამოდენა შვილი ნამომეზარდაო. ხელს შეუყოდა თმაში, მოქაჩავდა მტკივნეულად, მაგრამ ეს იყო მისი ალერსი და მამუკა ითმენდა.

დედამ ახალი სამსახური იშოვა. მანამდე პურის მაღაზია-ში დახლს მიღმა იდგა. მუდამ ახლადგამომცხვარი პურის სუნი სდიოდა. თეთრი ხალათი ისე უხდებოდა, სადედოფლო კაბა ყოფილიყოს. ახლა ეს თეთრი ხალათი გაიხადა და ლურჯი შეიკ-ერა. სამსახური ნაკლებხელფასიანია, მაგრამ უფრო ფულიან-იაო, ეს გამოცანა მამუკას ვერაფრით ამოეხსნა. თანდათან იჯახი სიკეთით აივსო, თუმცა ამ სიკეთეს სიხარული არ მოუ-ტანია. მამიკო სულ უფრო და უფრო იღრუბლებოდა, იოლად ბრაზდებოდა. იქნებ იმიტომ, დედიკოს სამსახური რომ გვიან

ღამემდე გრძელდებოდა და ოჯახი უქალოდ დარჩა. მამუკას დედა ენატრებოდა, ის კი ჩივილის საპასუხოდ თუმნიანს ჩას-ჩრიდა, აპა, ღვეზელი იყიდეო, თითქოს ღვეზელი შეცვლიდა ყველაფერს, ან თუმნის ღვეზელი რა ჯანდაბად ჭირდებოდა.

ერთ დღეს მამიკომ ოჯახის მეგობარი სცემა — იქვე, კი-ბეზე. მამუკა კიბის თავზე იდგა და გაკვირვებული უყურებდა. აქამდე ეგონა, მამიკოს ჩეუბი არ ეხერხებაო. ახლა კი ეს ზორ-ზოხი, ღიპგადმოგდებული კაცი, ქვევით რომ შავი „ვოლგა“ ელოდებოდა, ძლივს იდგა ფეხზე, მოკაკული და დაჩუტული. ლამობდა სახე მაინც დაემალა. მამიკო ორი საფეხურით მაღლა იდგა და ცდილობდა სწორედ ცხვირ-პირში მოერტყა. მერე ნიხლიც მიაყოლა და უგვანოდ შეუკურთხა. ნაცემმა უკან-უკან დაიხია, ქალივით ატირდა, კიბეზე ჩაძუნძულდა, გზა-გზა სახე-ლურს ეყრდნობოდა, ცრემლითა და ლორნოთი თხვრიდა.

მამუკას ოდნავადაც არ შეჰრალებია, უსაშველო ზიზღ-სა გრძნობდა მხოლოდ, თითქოს გაბერილი გომბეშოსათვის დაედგას ფეხი.

მამა ამჯერადაც მთვრალი იყო, შვილი ძლივს იცნო, აქ რა-ლას უდგეხარო, შეულრინა, ჯიკავ-ჯიკავით გაიგდო წინ.

ბიჭს არა სწყენია, მორჩილად მიიძურნებოდა.

მამამ ხელსაბანს მიაშურა, პირზე ცივი წყალი შეისხა, ტახ-ტზე დავარდა და, რაღაცნაირად, საცოდავად თქვა, ველო-დოთ, სანამ მილიცია მოვარდებაო.

არავინაც არ გამოჩენილა. ვერ გაბედა ჩივილიო, გამხი-არულდა კაცი და მამუკა მიხვდა, მამას ეშინოდა.

დედა გვიან დაბრუნდა. არ გაკაპასებულა, არ უჩხუბნია, ისე შეხედა ქმარს, თითქოს ცარიელ ადგილს უყურებსო.

მამუკამ შვებით ამოისუნთქა, იფიქრა, ჭექა-ქუხილს გა-დავურჩითო. თურმე, ნუ იტყვი, განსაცდელი წინ ელოდათ.

მომდევნო ღამეს ქალი სამ საათზე დაბრუნდა, კაცივით მთვრალი. კიბეზე ძლივს ამოვიდა, თან გაუთავებლად ხითხ-ითებდა.

მამა ფხიზელი დახვდა. იდგა და ბოლმას გულში იკლავდა. ქალი ცდილობდა ამაყად და გამომწვევად დაეჭირა თავი, სა-ცოდავი და დამამცირებელი სანახავი კი იყო.

— კაცი ხარ ახლა შენ? — დაეკითხა ქმარს და თვითონვე დაასკვნა: — კაცი კი არა, მთხლე ხარ!

კაცმა ხელი ასწია და გაულანუნა.

მამუკა უხმოდ ეცა მამას, მკლავზე ჩამოეკიდა. კაცი სკამ-ზე დაეცა, სახე ხელებში დამალა და გაყუჩდა.

ეს იყო და ეს! ერთ დღეს კაცი მოდიოდა გატრეტილი, მე-ორე დღეს — ქალი. გასივდა გული. ბიჭი წიგნს დაჰყურებდა და ვერაფერს გებულობდა. ხელი უკან-კალებდა, რვეულში ასოები ვერ გამოჰყავდა. გახდა დარღისაგან, დაილია, თავის გასაჭირს არავის უმხელდა.

ერთხელ კლასის ხელმძღვანელმა მოაკითხა. მშვიდი დღე აღმოჩნდა ის დღე. მამაც ფხიზელი იყო და დედაც. დიდის ამბით მიიღეს სტუმარი. ნამცხვარი დაჭრეს, დედამ რომ სამსახური-დან გამოაყოლა ხელს. ყავა მოუხარშეს. დედამ უმკითხავა კიდეც. შინაბერას მალე გათხოვება უწინასწარმეტყველა. „რა მომხიბლავი მშობლები გყოლია! — გაიხარა კლასის ხელმძღვ-ანელმა. — ასეთი მშობლების პატრონი უკეთ უნდა სწავლობ-დე!“ სტუმრის წასვლის შემდეგ კაცმა ქამარი დაიხვია ხელზე, იმ ერთადერთ დღეს მკაცრი და სამართლიანი მამის როლი გაითამაშა. მამუკამ ზურგი მიუშვირა და კვნესა არ აღმოხდე-ნია.

ისევ ძველებურად წავიდა საქმეები. ქვეყანა თუ აღმა მიდ-იოდა, ოჯახი დაბლა ეშვებოდა. ადრე ამ გასაჭირს თუ მაღა-ვდნენ, თანდათან სირცხვილის გრძნობაც მიყუჩდა, მიიღია და ახლა მხოლოდ მამუკა იდგა ოჯახის საიდუმლოს სადარა-ჯოზე. გულზე ტვირთად ედო ეს საიდუმლო, გადაეჩვია სი-ცილს, ტოლებთან არ თამაშობდა.

რამ მიიყვანა იმ საღამოს დედის სამსახურში, ვინ უბიძგა? თანაკლასელებთან ერთად კინოს ბოლო სეანსიდან ბრუნდე-ბოდა, ქალაქის სახელგანთქმულ სასტუმროს ჩაუარეს და მამუკას დედა გაახსენდა. „აქ დედაჩემი მორიგეობს, გავუვ-ლი, იქნებ შინ მიდის!“ — ბიჭებს დაემშვიდობა. რამდენჯერ ყოფილა სამსახურში დედასთან. ქალი მესამე სართულზე მორიგეობდა ხოლმე და მამუკას ყოველთვის უკვირდა, მო-

როგორ ერთ ადგილას ჯდომისა და გასაღებების ჩამორიგების მეტს არაფერს აკეთებს, აბა ფული საიდანაო.

ახლაც აირბინა მესამე სართულზე. მორიგის მაგიდასთან დამლაგებელი ქალი იჯდა, ქსოვდა. იქნებ გამოჩერჩეტებული ვინძე იყო და იმიტომ, ან იქნებ ბოლმა ჰქონდა გიორგაძის ქალისა, მაგრამ ბიჭს დაუფიქრებლად უთხრა:

— დედაშენი? მგონი მეცამეტეში შევიდა!

მამუკას ცუდი გულში არ გაუვლია, დაუყვა გრძელ დერეფანს, თან ნომრებს კითხულობდა... წყვილები ერთ მხარეს, კენტები — მეორეს და აპა, სამასმეცამეტეც...

ალბათ ესეც ბედია. ვინც შიგ იყო, კარი ხომ მაინც უნდა ჩაეკეტა. სიფხიზლე მოუდუნდათ და მამუკა სახელურს რომ მიანვა, კარი მსუბუქად დამორჩილდა.

არასოდეს მანამდე მამუკას არ ენახა ასე მოშიშვლებული დედა. ოთახში სიგარეტისა და ღვინის სუნი ტრიალებდა. დედა, ეტყობა, წუთის წინ კისკისებდა; ჰაერში ჯერ კიდევ ეკიდა მისი სიცილის სუსტი ექო.

უცნობის მუხლებზე იჯდა მამუკას დედა და ჭალარაულვაში, დიდთავიანი კაცი შემზარავ ურჩხულად მოეჩვენა.

ყელში ბურთი გაეჩირა ბიჭს. კარი მიაჯახუნა და გამოიქცა. ქარივით ჩაუქროლა დამლაგებელს, კიბე ჩაირბინა, და მხოლოდ მაშინ, როცა სახეზე ქუჩის ცივი ჰაერი მოხვდა, გული შეულონდა, პირდაპირ ასფალტზე წაიქცა.

გონს რომ მოეგო, ვიღაც-ვიღაცები შემოხვეოდნენ. ლო-ყაზე ხელს უთათუნებდნენ, გაინით, ბავშვს ჰაერი ჭირდებაო, ერთმანეთს ამუნათებდნენ.

წამოიწია, ხელი შეაშველეს, ფეხზე დააყენეს. მუხლების სისუსტესა გრძნობდა, მაგრამ თანამგრძნობელთა კედელი გაარღვია და წავიდა... იქნებ სიზმარი იყო ყოველივე? თვალწინ სულ ის საშინელი სურათი უტრიალებდა, ვერ წარმოედგინა, როგორ შეხედავდა დედას, რანაირად დაელაპარაკებოდა.

ფანჯრები ჩაბნელებული დახვდა, შუქი თუ გამოირთო. გულის კანკალით შევიდა სადარბაზოში, თითქოს საძრახისი საქმიდან ბრუნდებოდა და ეშინოდა, ვინმეს არ შეემჩინა.

ხელის ფათურით მიაგნო კარს. ისე სწრაფად შეაღო, მდევარს გაურბისო. შინაც ბნელოდა და თავისი ოთახიდან მამის

ხრიალი მოესმა. ალბათ ღრმა ძილით ეძინა, ანდა მთლად უგონოდ იყო.

ძლივს მიაგნო საკუთარ საწოლს. ზედ აძვრა. ზურგით კედელს მიეყრდნო და თვალგაფართოებული მიაჩერდა სიბნელეს.

სურდა აქედან გაქცევა, სადმე შორს გადაკარგვა, მაგრამ სად ჯანდაბაში წასულიყო ამ შუალამეს, ვისთვის შეეფარებინა თავი.

საშინლად გაინელა უსაშველო ღამე, ალბათ არც აპირებდა გათენებას. გარიურაჟი რომ შემოიპარა, მაშინდა გაახსენდა, დედა რომ არ დაბრუნდა. მცირედი კმაყოფილება იგრძნო, ქალს ეშინოდა შვილისა.

გაბმულად დაახველა მამამ, დიდხანს ვერ დაიოკა, კვნესოდა და ხრიალებდა. ვაითუ, კვდებოდა!.. ნეტავი მართლაც მომკვდარიყო...

მერე, არაერთი წლის შემდეგ, წუთიერი გულახდილობის უამს, მამუკა გიორგაძე სევდიანად მეტყვის:

— მამა?.. მამა კარგი მყავს, კეთილია!.. არა, არ მცემდა!.. მხოლოდ ერთხელ მცემა, მაგრად მცემა! არ ვიცი, რა დავამავე, ვერ მივხვდი! ალბათ რაღაც დავაშავე და თვითონაც ვერ მივხვდი, ხომ ხდება ასეც... არა, არ მტკენია, აი, იოტისოდენაც არ მტკენია, მაგრამ... იმ ღლეს ჩემი დაბადების დღე იყო, იმან კი მცემა... გული მეტყინა ცოტათი...

24

„სიხარულში“ კრება შედგა.

დევი ცირდავას შეაგვიანდა. სალამი ხმადაბლა წაიდუღუნა და მიმოიხედა, მყუდრო ადგილს ეძებდა.

ვერულავამ თავი დაუქნია, აქეთ მობრძანდითო, „პრეზიდიუმში“, საგანგებოდ სტუმრისათვის დადგმულ სკამზე მიუთითა.

უკვე დაწყებულიყო და დირექტორი შესავალ სიტყვას ამბობდა. ცირდავამ ყური მიუგდო. დიანოზი „ლანს“ ისე არბილებდა, თითქმის არ ისმოდა. სტუმარს ცნობისმოყვარედ ათვა-

ლიერებდნენ და თვითონაც ფარულად უთვალთვალებდა შეკრებილთ... ელიკო და იპოლიტე სიღრმეში ისხდნენ. ელიკომ მალულად გამოხედა და მერე სულ გან-გან იყურებოდა. იპოლიტე ვერ ისვენებდა, წრიალებდა... მავრა ექთანმა შინაურულად გაულიმა. ადრე, დევის ბავშვობის ჟამს, მავრა ერთი კოპნია ქალიშვილი იყო, მუქწითელ პომადას იცხებდა, პირისახეს ზომიერად იპუდრავდა... ბოლო რიგში ბონდო ჭახნაკიას მოჰკრა თვალი. ლოყებლაჟლაჟა, პირმრგვალი ჭაბუკი ახსოვდა, დროსა და შრომას თითქოს გამოეშრო, სახის კანი დანაოჭებოდა, შავად გარუჯულიყო...

ამაზე ფიქრობდა, როცა კარი გაიღო და ვარვარა შემოვარდა ქოშინით.

— დააგვიანდა? ბოდიში, ჩირიმე, საკმე ბევრი იკო!

ფეხდაფეხ პისტი ქარდავა შემოინმაწნა, კარის ძგიდესთან აისვეტა.

ვერულავამ ლაპარაკი შეწყვიტა. ახმაურებული მსმენელები დააშოშმინა. აცალა, სანამ ვარვარა რიგებს შორის გაძვრებოდა, ბონდოს გვერდით დასკუპლებოდა, და სიტყვა განაგრძო, შეეცადა თანამშრომელები წარედგინა სტუმრისათვის, მრავალა პაპასკირით დაიწყო და ცისია დევდარიანით მოამთავრა.

— არავინ გამომრჩენია? — იკითხა ბოლოს.

— თუ შეიძლება, პატივცემულო?

— ჰა, ბოცო, რა იყო?

— მე დაგავინყდით, პატივცემულო!

— მართლა დამავინყდა! — ვერულავამ გაკვირვებით მიმოიხდა. — მეგონა, კრებაზე არც იყავი!

— არ ვჩანდი, პატივცემულო!

— მერე ფეხზე ვერ დადექი, შე კაცო? — გაქირდა იპოლიტემ.

აქა-იქ გაიცინეს.

დევიმ წამით შეავლო მზერა იპოლიტეს. ეშმაკის ფეხი ჩანდა დიანოზის სიძე, მის გასაცნობად ათი ფუთი მარილიც არ კმაროდა. შემოგციცინებს, ოლონდ თვალებში კი არა, სადღაც ყურის ბიბილოს მიმართულებით. კოხტად გამოწკეპილა. სა-

კვირველი კია, მაგრამ ამ სიკოხტავემ მისი მამაკაცური რენომე თითქოს დააქვეითა კიდეც.

მანჭკვალა სოკო რომ ამოძვრება, თავი ისე ამოყო ბოცომ, სხვათა ზურგს უკან იმაღლებოდა თურმე. იპოლიტეს ქირდის-თვის ყურადღება არ მიუქცევია, ჯიუტი ბავშვის გამომეტყველებით შეჰყურებდა დიანოზს.

— ეს ჩვენი ჩემპიონია, ბოცო კაკულია! — გაეღიმა ვერულავას. — კაი ქენი, ბოცო, თავი რომ შემახსენე, დაჯექი ახლა!

— სიტყვა მაქვს, პატივცემულო!

— მერე, ბოცო, მერე, ჯერ კრება არც დაგვინყია!

ბოცო სხვათა ზურგს უკან ჩაიკარგა.

— მრავალა, გამოაცხადე, აბა, დღის წესრიგი! — შვებით ამოისუნთქა ვერულავამ.

მრავალა პაპასკირი დარბაისლურად წამოდგა, სკამი უკან გასწია, კაბა გაისწორა და ამ დროს ხელი ისე ჩამოისვა, გეგონებოდა, მტვერი ჩამოიფერთხა.

— ამხანაგებო, პირველი საკითხია საერთაშორისო მდგომარეობა და მშვიდობის დაცვა მსოფლიოში!

უკანა რიგიდან კვლავ წამოყო თავი ბოცო კაკულიამ.

— თუ შეიძლება, პატივცემულო?

მრავალამ თვალი მოწყურა, თავშეკავებით დაუსისინა:

— იქნებ გვაცალო, ბოცო!

— ძალიან დიდი საქმეა მშვიდობის დაცვა...

— მოითმინე, ბოცო! — ჩაერია ვერულავა.

ბოცო კაკულია კვლავ გაქრა, თუმცა არცთუ დიდი ხნით.

— მეორე საკითხია დისციპლინის განმტკიცება ბავშვებს შორის და დისციპლინა თანამშრომლებში...

— თუ შეიძლება პატივცემულო? — ბოცო კაკულია უწყინარი თვალებით იყურებოდა.

— ბოცო, დაჯექი მანდ! — მკაცრად გააფრთხილა ვერულავამ.

— მესამე საკითხია ფიზკულტურისა და სპორტის ჩამორჩენა! — შურისმგებლის კილოთი თქვა მრავალამ.

— ვისი ბრალია მერე მაგი? — მეოთხეჯერ წამოდგა ბოცო კაკულია. — მართალია, პატარა კაცი ვარ, მაგრამ...

— ამბაკო, ხომ ხარ აგრონომი, უშოვე მაგას ზრდის სტიმულატორი და გადაგვარჩინე! — კვლავ იანგლა იპოლიტე კვირკველიამ.

ატყდა სიცილი. ბოცო წამში გაქრა.

ამბაკო ცომაია, მაღალი, წარმოსადეგი, თხელი კაცი, წამოდგა, ჭაღარა ულვაშებზე ხელი მოისვა, მერე კიტელზე რომ ორდენის ლენტი ჰქონდა მიმაგრებული, იმასაც მოუცაცუნა თითები.

— მაგის ზრდის სტიმულატორი ერთია — ყურები გამოვიფხიკოთ და ერთხელ მაინც მოვუსმინოთ!

— რა უნდა გვითხრას ვითომ ახალი? — აგდებით წამოიძახა იპოლიტემ. — ნუ გეშინია, თავს არავის დააჩაგვრინებს, ეგერ ტუში და მელანი არ გადასდის თითებზე!

— ტყუილია! — თავისი კუთხიდან დაინტეინა ბოცომ.

— ტუშს და მელანს იგი არ ხმარობს. — დამცინავად ჩაურთო მრავალამ. — მაკრატელზე და წებოზე დასპეციალებული!

— ანონიმური წერილები მეც მეჯავრება, — დინჯად განაგრძო ამბაკომ, — მაგრამ იქნებ პირველად მოუნდა კაცს აშკარად, საჯაროდ თქვას რაღაცა, ჩვენ კი არ ვაცლით. მეცა მაქვს ხანდახან შეკითხვა. ამ ხნის კაცი ვარ და ყოველთვის ვერ გამიბედავს, გულში ვიკლავ. მაგალითად, ასეთი ამბავი... სად არიან ჩვენი მზარეულები? მედიკო სამუშია, როგორც წესი, კრებაზე არც მობრძანებულა, მაგისი შეწუხება რანაირად იქნება!.. მაშ, თქვენ უნდა გვითხოთ, ქალბატონო ვარა, ერთი მითხარით, ჩვენს ბავშვებს საჭმელი თუ ჰყოფნით?

— ყოფნით, ვინ თქვა არ ყოფნითო! — ვარვარას სულსწრაფად დასწრო პისტი ქარდავამ.

— ვისაც არ კოფნის, დაბავკას ვაჩმევ, ჩირიმე! — ვარვარას ლოყები წამოეუინულდა.

— ეს სულ სხვა ამბავია! აი, ნორმაო რომ ვიძახით, თუ ჰყოფნით?

— ზოგს კოფნის, ზოგს არა, ჩირიმე!

— შენს ბიჭებს ეყოფოდათ?

— რას ამბობ, ჩირიმე, ტიტო ჩამაზე ტიტო კატამს ჩამენ!

— სახე გაებადრა ვარვარას.

— ჩემი ბიჭები, ისა, რა შუაშია აქ? — წამოიძახა ბონდო ჭახნაკიამ.

— იმ შუაშია, რომ ბავშვი ბავშვია, ჭახნაკია იქნება ის თუ ეძგვერაძე! — ამბაკომ ხელი ჩაიქნია და დაჯდა.

— ამით რისი თქმა გნებავდათ, ბატონო ამბაკო? — ცივადი იკითხა მრავალამ.

— რისი თქმაც მინდოდა, ვთქვი უკვე! — ამბაკომ ცხვირ-სახოცით შუბლი მომიშრალა და გვერდით მსხდომთ გადაულაპარაკა: — გამგონემ გაიგონოს!

ცომაიას ბოცოზე მეტი წონა ჰქონდა და უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. მრავალა პაპასკირი ვერულავას მიუბრუნდა დაბნეულად:

— რა ვქნათ, ბატონო დიანოზ?

ვერულავა თავდახრილი იჯდა და ისე ალაპარაკდა:

— რა თქმა უნდა, ნაკლი გვაქვს, მათ შორის კვების საქმეშიც. არ არის, ბატონო, საკმარისი მომარაგება. დღევანდელი კრების დღის წესრიგი სხვანაირია, მაგრამ ამბაკოს თუ საჭიროდ მიაჩნია, შევეხოთ ამ საკითხსაც. აგერ სტუმარიც გვესწრება, არ იფიქროს, კრიტიკისა ეშინიათო. გამოვიდეთ და ვთქვათ, ვის რა გვაწუხებს!

— ჰო, ვთქვათ, ამხანაგებო! — გაუბედავად დაამატა მრავალა პაპასკირმა.

— პირდაპირ სირცხვილით დაიწვება კაცი! — სკამს ფეხი გაჰქრა და ისე წამოდგა ვარდიკო ჩქვანავა. — რამდენი წელია ამ დაწესებულებაში ვმუშაობ და ყოველთვის სიამტკბილობაში ვიყავით. ბოლო დროს რაღაც-რაღაცაზე ვიღაც-ვიღაცებმა ენა ამოიდგეს და ჩვენს პატივცემულ დირექტორს კრიტიკობანა გაუბედეს. პირველი დღეა, რომ ვიცნობთ დიანოზს? ვის შეუძლია ეჭვი შეეპაროს მის უანგარობაში... — მისდია და მისდია ვარდიკო ჩქვანავამ, ფიანდაზი დაუფინა ვერულავას.

დევი ჩუმჩუმა უთვალთვალებდა დიანოზს. მე რომ ვიყო, ამას ვერ მოვისმენდიო, გაიფიქრა შეწუხებულმა. დირექტორი კვლავ ისე თავდახრილი იჯდა და ვარდიკომ ძალიან შორს რომ შეტოპა, მაშინდა აიღო თავი, სტუმრის მზერას შეეფეთა და უცებ გააწყვეტინა აქაქანებულ ქალს.

— კაი ანი, ვარდიკო, ხომ იცი, კრიტიკა ჩვენი ცხოვრების ნორმაა!

— კრიტიკას გააჩნია, ბატონო დიანოზ! — ხვნეშით წამოდგა სულიკო ხუბუტია. — ამბაკოს არ უნდოდა, მაგრამ ისე გამოუვიდა, თითქოს ჩვენ სულ ქურდები ვართ და ყველაფერს შინ ვეზიდებით!

— მე ეს არ მითქვამს! — წყენით ჩაურთო ამბაკომ.

— არ გინდოდა გეთქვა, მაგრამ ასე კი გამოვიდა! — სულიკომ მოხდენილად დააფახულა გრძელი წამნამები.

— რასაც საკუჩნაო გვადზლევს, იმიტი ვაკეტებ! — ვარვარა გაბუტულ ბავშვს დაემსგავსა.

— დიახაც! — წამოიკნავლა პისტი ქარდავამ. — რასაც მოგვცემენ, ბავშვებს იმას ვაჭმევთ, შინიდან ხომ არ მოვიტან?

— დიდუ! — წამოიკივლა ფანჯარასთან მჯდომმა, სიმპა-თიურმა ეთერ იოსავამ. — ყველაფერი მე გადმომაბრალეთ ახლა! რაც ნორმაში წერია, არაფერი დამიკლია მე!

— თქვენმა მზემ, ხატზე დახატული წმინდანები ხართ! — თითქოს დაიჭრაჭუნაო, აღათი ეჯიბიამ.

— ეჰე, ჩხუბში თუ აღათი ჩაერია, გვიფრენს აქედან! — გახუმრება სცადა იპოლიტებ.

— გირჩევნია, შენს თავს მოუარო! — არ შეარჩინა აღათიმ. — ყველანი წმინდანები ბრძანდებით, ნაკლი არავისა გაქვთ. აქეთ იოსავას ანგელოზის ფრთები წამოეზარდა, იქით წირლვავა აფრინდება საცაა, ფრთების ფართქუნი მესმის კიდეც... თუმცა ბებერი ვარ, ყური მატყუებს, მგონი გატკიცინებული თეთრეულია, რომ ფართქალებს...

— ქალო, გიუი ხარ, ჩემგან რა გინდა? — იწყინა ნაზიბროლა წირლვავამ.

— კარგადაც იცი, რაც მინდა! — ნიშნის მოგებით თქვა აღათიმ. — ხშირად მინახავს ჩამოწერილი თეთრეული, პელოს ხელიც რომ ვერ ათეთრებს, ახლები კი სადღაც მიფრინავს...

პელო ნინუამ თავისი სახელი რომ გაიგონა, ახითხითდა, უი, შენ რა გითხრაო და ქოქოლა მიაყარა აღათის.

დიანოზი თავაუწევლად ისმენდა. თითქოს პელოს ხითხითმა გამოაფხიზლაო, მიმოიხედა.

— იქნებ სხვებსაც აქვთ სათქმელი? — ყრუდ იკითხა. — ზოგს ბავშვის საჭმელი არ მოსწონს, ზოგს თურმე თეთრეული. აქამდე ჩუმად იყავით და მიმალავდით. ვთქვათ, ბარე, რაც დაგვიგროვდა, გულში ნურაფერს ჩავიტოვებთ!.. აგერ, ტატიანას ვკითხოთ!

ტატიანა ყალიჩავას თვალებში არამინიერი შუქი კრთოდა. გარშემო მყოფთა ნალაპარაკევი არც ესმოდა, სმენა შიგნითკენ მიეპყრო.

— მე? — იკითხა შემკრთალმა. — მე რათა?

— ეს ბიჭით თუ გაგვაძედნიერებს! — იხუმრა ვერულავამ. — ქალბატონო ოლდა, თქვენ რაღას გვიბრძანებთ?

ოლდა დარჯანიამ წვრილი, მონგოლური თვალები მოწკურა და უხეშად შეეპასუხა:

— მე, დიანოზ ბატონო, საკვები და თეთრეული არ მეხება! ნეტავი ჩემს საქმეებს მოვუვლიდე და...

— თქვენ, ქალბატონო ჩიტო, თქვენც ამ აზრისა ხართ?

ჩოფურა, ტლანქმა ჩიტო ხუხუამ სკამი მძიმედ ააჭრაჭუნა.

— მე?.. როგორც სხვები, ისე ვარ მეც! — უდარდელად ჩაიქნია ხელი.

— თქვენ არაფერი გეკითხებათ! — დაცინვით თქვა ვერულავამ. — აგერ ბოცო კაკულიას კი ყველაფერი ეკითხება!

ბოცო კაკულიამ, წყლიდან ამოყვინთაო, ისე ასწია თავი და გულუბრყვილო თვალები მოანათა.

— შეიძლება, პატივცემულო?

— თქვი, ბოცო, რაც გინდა, სხვები თუ ამბობენ, შენ ვისზე ნაკლები ხარ!

— მე, პატივცემულო, მინდოდა მეკითხა, აი, ფულს თუ ვიღებთ, როცა ბავშვს გავაშვილებთ?

— რაო? — დიანოზს სახე დაეტეტკა.

— ეს უკვე ნამეტანია! — წამოხტა იპოლიტე.

— დედა-ა! — ლოყა ჩამოიხოკა ელიკომ, მაგრამ დევის ნაძალადევი მოეჩვენა ეს უესტი.

— მაგალითად, პატივცემულო, როცა ნიკა ბჟალავა გააშვილეთ, განა ფული არ დატრიალდა?.. იმათ, რა პქეიათ... ბავშვი დააბრუნეს, არ გვინდაო, ჩვენი ფული კი დაგვიბრუნეთო...

— რა ხდება ბოლოს და ბოლოს აქ! — წამოიმართა ქსენია სალაყაია.

ქალიშვილივით წელგამართული იდგა, სიტყვა „დედაბერის“ სათქმელად კაცს ენა ვერ მოუბრუნდებოდა.

— დიანოზ, პირდაპირ შემომხედე! შენ რამე იცი ამ ამბისა?

დიანოზს თითქოს ჰაერი არ ეყო.

— ვინ არის, კაცო, ეს... — იპოლიტემ ხელი ბოცოსკენ გაიშვირა. — ვინ არის ეს ინტრიგანი, ბერიკაცს საინფარქტოდ რომ იმეტებს!

დიანოზმა ხელი მკერდზე მოისვა, თითქოს მართლაც გულს ისინჯავსო. მერე ქსენია სალაყაიას შეხედა და შესაბრალისი კილოთი ჰკითხა:

— ქსენია, შენ ხომ გჯერა, მე რომ ფული არასოდეს ამიღია!

— მუდამ მჯეროდა შენი, დიანოზ! — ყოყმანი შეეპარა ქსენიას ხმას. — ამ ამბავს მაინც უნდა გარკვევა. ბოცო თუ ტყუის, აქედან აიკრავს გუდა-ნაბადს, თუ არადა...

ნირნამხდარი, შეშინებული მრავალა პაპასკირი წყალგა-დავლებულივით იდგა და არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო.

რატომლაც დევი ცირდავას შეეკითხა:

— რა ვქნათ, გავაგრძელოთ კრება?

დევიმ მხრები აიჩეჩა.

მრავალამ ახლა დიანოზს შეხედა.

მძიმედ წამოდგა დიანოზ ვერულავა, კარისაკენ გაემართა.

სიჩუმეში ვერავინ გაბედა ხმის ამოღება.

ბოცო კაკულიამ, უცებ, სლუკუნით — „რაკი პატარა კაცი ვარ, იმიტომ ხომ?..“

არავინ უპასუხა.

დევი არავის შეხმიანებია, გულდამძიმებული ბრუნდებო-და თავისი ოთახისაკენ. რცხვენოდა. დიანოზის სახელს კი არა, თითქოს მის სახელს მოეცხო ჩირქი. „ვინ არის ბოლო-ბოლო ეს ბოცო!“ — აგდებით გაიფიქრა, მაგრამ ამან ვერ და-ამშვიდა.

ეზოში ბავშვებს თოვლის პაპა გაეკეთებინათ. ცხვირის მაგიერ გირჩა ჰქონდა ჩარჭობილი. უკვე არავის აინტერესებ-

და და მიეტოვებინათ. ჩუმად დნებოდა, გვერდზე გადაქანებულიყო, მალე წაიქცეოდა ალბათ...

25

ესე იგი ჩვენ ხროვა ვართ! ხანდახან ვიკრიბებით აჩემებულ ადგილას, ვერასულას კლდის ძირას. ვკინკლაობთ, ვკამათობთ, სხვა დროს კი ვყმუით, ვლრენთ, ვწკავნკავებთ... თავიდან კარგად ვერთობოდი, მერე მომბეზრდა და ბოლოს ავჯანყდი...

ხროვის ბელადმა ხმადაბლა შეჰყმუვლა. დანარჩენები ჩუმი ღრენით შეეპასუხნენ.

ვერასულას კლდის ძირას მზე მოადგა, სასიამოვნოდ აჭყიტებდა, თუმცა ქვებს ჯერაც შერჩენოდათ ზამთრიდან გამოყოლილი სიცივე,

ძმის დაბამბული კურტაკი ლოდზე დაეგდო ღორჯოლას და ზედ იჯდა.

— მხიარულად უნდა ვიცხოვროთ! — ქადაგებდა. — მოსანყენია ცხოვრება! დილაუთენია ადექი, ჩაი, პური, ფაფა, „კე-თილი გული“!.. წადი სკოლაში!.. შუადღის ბალანდა!.. გაკვე-თილებზე ყვინთვა არ კმარაო, ახლა სამეცადინო ოთახში უნდა ყვინთო... სალამოს კი კვლავ ჩაი, ხილფაფა, „კეთილი გული“... ამასობაში ძილის დროც მოდის. ინექი შენთვის და უსმინე ცე-ცხლაძის გაუთავებელ ხველებას. თავი მოხუცებულთა თავშესაფარში მგონია... მოსაწყენია ცხოვრება!

— კინოში ხომ დავდივართ! — დაიწრიპინა შუქრი ცეცხლაძემ და მორიდებულ ხველებას მოჰყვა.

— შენ გაჩუმდი! — თვალი გადმოუქაჩა ღორჯოლამ. — შენისთანა ამებას რა უნდა ხროვაში!?

შუქრი მოიკუნტა, ჭიპო კვირიკაძეს ამოეფარა.

— ეჲ, ბეკეცებო! — განაგრძო ღორჯოლამ. — რა უნდა გელაპარაკოთ! კინო?.. კინო ეყოფა კაცს? ჩვენ რა, პატარები ვართ? იქნებ თოჯინებით გავერთოთ? მხიარული ცხოვრება,

იცით, რა არის?.. მხიარული ცხოვრებისათვის საჭიროა კაიჭამა-სმა, გოგოები, თამბაქო, სხვა რამე-რუმეებიც...

— მადა გქონია! — დაიჭყანა პირლია.

— ერთი გემრიელად გამაძლო! — ამოიოხრა კვირიკაძემ.

— შენ ნეტავი ჩვენც არ შეგვჭამდე! — შეეპასუხა ქუცნა ჭედია.

— მორჩით ბჟუტურს! — მოიღრუბლა ღორჯოლა, სახე ცივი და უკარება გაუხდა. — როცა ხროვის ბელადი ყმუის, ლეკვები მხოლოდ წევნეკავებენ. დაიმახსოვრეთ, ბეკეკებო, ვისაც გრძელი ენა აქვს, აქაურ ამბებს ქვეყანას მოჰყენს, ის მოდალატე და მაბეზლარაა, ასეთებს კი, ხომ იცით, რა ეკუთვნის!.. ისიც დაიხსომეთ, ვინც ჩვენთან არ არის, ხროვის მტერია და კიდეც უნდა იხანოს!

— თათრის ბიჭი არ არის! — ხმა გამოიღო შუქრი ცეცხლაძემ.

— მამუკა გიორგაძემ, თავიდან მომწყდიო, დაითრია ჩანთა და სამეცადინოდ წავიდა! — ქუცნა ჭედიამაც კუდი ააქიცინა.

— ცქიფურიშვილები არ არიან! არც ღურწკაიები გვკადრულობენ, ნამეტანს იბერებიან! — ფუცუკა ხელში ასანთს აჩხაკუნებდა ნერვულად.

— მოვემვათ, აგერ რამდენი ვართ! — ხატიაშვილების ახირება არ მომეწონა.

— შენ რა, მშვიდობის მაძიებლად მოგვევლინე? — თვალი თვალში გამიყარა ღორჯოლამ. — მტერი მტერია!.. ბევრნი ვართო, უმრავლესობა ბეკეკები ხართ, ყმუილიც არ შეგიძლიათ, დააღებთ პირს და ლეკვებივით წევნეკავებთ! მგელს მგლობა რომ შეეტყოს, მისი ყმუილი ზარს უნდა სცემდეს!

გაბმით შეჰქმუვლა. ღორჯგო შამუგიამაც უმალ მოაღო პირი, თუმცა მისი ხმა უფრო ყროყინსა ჰგავდა. დიდი ვაჟიკა აჰყვა, ისე ცდილობდა, კისერზე ძარღვები დაებერა; გუგული ჯიქიას ხმა ჩაუწყდა და ტურასავით ხაოდა; ჭიბო კვირიკაძეს წვრილი ხმა ჰქონია, ყური გახვრიტა; შუქრი ცეცხლაძე ცინდალივით კნაოდა; პირლია სასაცილოდ ტკარცალებდა; ქუცნა ჭედიას პირისახე ისე დაეჭყანა, პატარა მაიმუნს დაემსგავსა;

თავდიდამაც კი დაიწყო, მაგრამ სხვა, ლეკვებად მონათლული ბიჭები, შეშინებულნი დუმდნენ, და თვითონაც გაჩუმდა.

სასაცილო მოსასმენი იყო და გამეცინა.

— ყმუილზე იოლი რა! ერთხელ დიდ ნიკანორს ორასი მგელი დაეხვია თურმე. იმათი ყმუილისაგან მთის კალთას ზვავი მოწყდა და ორასივე ჩაიმარხა. მარტო ხროვის ბელადი გადარჩა. დიდი ნიკანორი ყურებში ჩააფრინდა, ზედ მოაჯდა და იმდენი აჭენა, სანამ საბრალო მგელს ოთხივე ფეხით ზოოპარკში მიიყვანდა.

— გეყო მიქარვები! — სახე ბრაზით მოექცა ღორჯოლას.

— უმალ შეგახრამუნებ, ვიდრე ზურგზე შეგისვამდე!

— ნინადადება მაქვსა! — თითო მონაფესავით ავწიე.

ღორჯოლა ეჭვიანად მიყურებს, აინტერესებს, რამდენს შევტოპავ.

— აგერ, რა ბევრნი ვართ ხროვის წევრები და... ლეკვები! მხიარული ცხოვრება თუ გვინდა, საქმე უნდა გავიჩინოთ. მე ვიცი საქმე!

— დაარეხვებს ახლა რაიმეს! — უშნოდ გადააწიტა ფუცუკამ.

— თოხსა და ბარს ამბაკო აგრონომიც გვაჩეჩებს ხოლმე!

— მხარი აუბა ქუცნა ჭედიამ.

— „სიხარულში“ თვრამეტი სკოლამდელი ბავშვია! დიდი ვაჟიკა ხომ მფარველობს ვაჟიკა-ცქნაფას. ჩვენც დავინაწილოთ თითო-თითო და ვუპატრონოთ!

— ეგ როგორ? — ღორჯოლამ ყურზე ხელი მიიღო, ვითომ სმენა დამაკლდაო.

— ვითომ მამიკოები ვიყოთ, მგლობა რაში გვარგია...

— წითელქუდები ვიშვილოთ! — აჭიხვინდა ქუცნა ჭედია.

— ეს ხომ მხოლოდ თამაშია! — მეწყინა. — თანაც პატარებიც გაერთობიან!

— ჩვენ თუ მამიკოები ვიქნებით, დედიკოებიც ხომ მოუნდებათ? — იკითხა ღორჯგომ.

— მერე რა, გოგონებიც ითამაშებენ! — ყოყმანით ვთქვი, თუმცა მივხვდი, ამათ ვერაფერს შევასმენდი.

— დედიკონებთან კოცნაობა შეიძლება? — სიცილის ნიღბად გადაიქცა პირლია.

— კოცნაობა რა შუაშია, ეს ხომ თამაშია! — გავწითლდი, თან სასონარკვეთით დავუმატე: — არ გინდათ, ნუ გინდათ! ძალაა?

ახმაურდნენ. ზოგი იცინოდა, ზოგი ქილიკობდა და უცებ — ქუცნა ჭედიამ:

— იქნებ უკვე გყავს შვილობილი, ალბათ ის პატარა მაიმუნი!

— შენზე მაიმუნს არც არავის ვიცნობ ქვეყანაზე! — მოვუჭერი.

ქუცნას ფერი ეცვალა, საჩხუბრად გამოიწია, მაგრამ ღორჯოლამ თვალის ბრიალით შეაჩერა.

— ნიკანორ, ჩემო ბეკეკა, სალაზლანდაროდ არ გვცალია. სკოლამდელებს შევეშვათ, დანარჩენებს კი გადასახადი მაინც ვაკისრებინოთ, შაურიანი სულზე... ვისაც არ ექნება, თითო ალიყური და მისი ჯანი... ხროვას პაპიროსი შემოელია!

კოლოფიდან ბოლო სიგარეტი ამოილო, პირში გაირჭო, კოლოფი კი დაჭმუჭნა და მოისროლა.

ბიჭები შურით შეაცქერდნენ.

პაპუჩი იდაყვზე შემეხო, გამაფრთხილა, მეტი ნუ მოგდისო.

მე კი ისეთი ვინმე ვარ, თუ რამე არ მომწონს, ვერ დავმალავ.

— მათხოვარი კი არა ვარ, შაურიანები ვკრიბო, მე არ მინდა

და ასეთ ხროვაში!

ღორჯოლამ ფუცუკას ასანთი გამოართვა, მოუკიდა, სიგარეტი დინჯად მოქაჩა და ნელ-ნელა მომაბოლა. გულის სილ-რმეში შიში მწინენიდა, მაგრამ უტეხად შევცქეროდი.

— მაშ მიდიხარ? — მკითხა.

თავი დავუქნიე.

— ხომ იცი, მოღალატეს რა ეკუთვნის?

— მორჩილების ფიციარ დამიდვია, მოღალატე რად ვიქნები?

— ვინც ენას წაიღებს, ხომ იცი?

— ვიცი! — მტკიცედ ვუპასუხე.

სიჩუმე ჩამოვარდა. ღორჯოლამ მძიმე ხელი აიღო, თითქოს დარტყმას მიპირებსო. ლოყაზე მომითათუნა.

— მაგარი ბიჭი რომ ხარ, იმიტომ მინდა ჩემს ხროვაში დარჩე! — ხმაში ხვეწნა გაურია. — დარჩი რა, ნიკანორ, ჩემი თა-

ნაშემწე გახდები. აგერ რამოდენა ვირებია, — მერვეკლასე-ლებისკენ გააქნია თავი, — რასაც უბრძანებ, იმას გააკეთებენ... სიტყვას გაძლევ!

— არ მინდა სხვის ჭკუაზე ვიარო! — ჯიუტად გავაქნიე თავი.

სიგარეტი ძირს დააგდო, ფეხით ისე დაასრისა, თითქოს მეც ეგრე მიპირებდა.

— მაშ, არა?

თავი კვლავ გავაქნიე.

— ლორჯგო, ჭიპო, მოიწით აქეთ!

შამუგია და კვირიკაძე წამოდგნენ, დაბნეულებმა ერთმანეთს გადახედეს.

— სტაცეთ ამას ხელი!

ბიჭები ყოყმანით მომიახლოვდნენ.

— მგლები ხართ, თუ თხები, გაქაჩეთ-მეთქი! — დასჭყივლა ღორჯოლამ.

— მოეშვით, მოეშვით! — იყვირა უცებ პაპუჩიმ, წინ გამოვარდა.

— ეგ კიდევ ვინა გდია? გუგული, ჰკა მაგას ჭიტლაყი!

გუგულო ჯიქია, თითქოს ამას ელოდაო, გახარებული ეცა პაპუჩის და ჩაბლუჯა. ბიჭი ასხმარტალდა, მაგრამ გუგული უფრო ღონიერი იყო და მაგრა ეჭირა.

ამასობაში ღორჯგომ და ჭიპომ ხელები ჩამავლეს.

— მაშ, არა? — ერთხელაც დამეკითხა ღორჯოლა.

ბაგე მოვკუმე, პასუხი არ ვაღირსე.

— მაგრა გეჭიროთ, არ გაუშვათ! — ღორჯოლამ ირგვლივ შემომირბინა, ბუქნავდა და იმეორებდა: — მაშ, არა?.. მაშ, არა?.. — უცებ გამოექანა და ზურგზე შემომახტა, ქუსლები გვერდებზე მომცხო: — აჩუ, ვირო, გააჭენე!

სიმძიმისაგან კინაღამ წელი მომწყდა, გვერდებიც მეტკინა, მაგრამ ისე გავმნარდი, არც ხმა ამოვიღე, არც ნაბიჯი გადავდგი.

— აჩუ, აჩუ, ვირო! — მთლად გადაირია ღორჯოლა.

თავდაპირველად სხვები შეშინებული იდგნენ, მერე და მერე გამხიარულდნენ, ახორხოცდნენ და თვითონაც აბუქნავდნენ.

პაპუჩიმ დრო იხელთა, დაუსხლტა აცუნდრუკებულ გუგულის და ღორჯოლას ზედ ჩამოეკიდა.

ამდენს ხომ ვერ გავუძლებდი. გადავვარდი და ღორჯოლაც გადავიყოლე, ლორჯგოც და ჭიპოც.

ხროვის ბელადმა ძირს რეხვა თავი. სანამ გონს მოვიდოდა, ფეხზე ვიდექი.

მე და პაპუჩი ადგილს მოვწყდით, წრე გავარღვიეთ და მოვკურცხლეთ.

26

ხანდახან გაქცევაც გამარჯვებაა. იქნებ ღორჯოლას კი არ ვებრძოდი იმ დღეს ვერასულას კლდესთან. მონას შევებრძოლე საკუთარ თავში და დავამარცხე... აგერ, დღეს, ოხოტის ზღვაზე, მოულოდნელად ქედმაღლობა აღმოვაჩინე ჩემი ცხოვრების ათვლის სისტემაში. თურმე საჭიროა სხვა რაკურსით შეხედო ადამიანებს, სხვა წახნაგით მიუბრუნდე, სხვანაირად გაზომო და მაშინ დაინახავ, რომ კაპიტნის თანაშემწერც ისეთი ვინმეა, როგორიც გეგონა, და ბოცმანიც მთლად იპოლიტე კვირკველია როდია.

იცით, რა არის მეცხრე ტალღა? მეც არ ვიცი! მეცხრე ტალღას ალბათ მომავალში ვნახავ, როცა მხრებზე სხვა სამხრეები მექნება და უზარმაზარი რკინის ხომალდი ჩემს ნებას დაემორჩილება. ამჯერად კი მეშვიდე ტალღაც საკმარისია.

ოხოტის ვრცელი ზღვა თითქოს შექანდა, უზარმაზარ ქვაბს რომ შეარყევენ და მასში ჩასხმული სითხე კიდეებს მიაწყდება, ისე. იქნებ მართლაც ირყეოდა ფსკერი, კლდოვანი ნაპირებით გარშემოწერილი და მასში ჩასხმული ლურჯი წყალი გამოსავალს ეძებდა.

ჩვენი ხომალდი თითქოს დაპატარავდა. შტილის დროს, წყლის გასარკულ ზედაპირზე იგი დიდებულად მიარღვევდა მსუბუქ ზვირთებს, მაგრამ საიდანლაც მოვარდა შვიდტალღიანი შტორმი და ზღვა ატორტმანდა, აიყალყა წყლის კედელი... ერთი, მეორე, მესამე... აისვეტა, სადღაც თავზევით აიწია, დაასკდა გემბანს და მთელმა ხომალდმა ისეთი ჭრიალი მორთო, თითქოს დიდი

ურო დაარტყეს და კაკალივით დახეთქესო. პოი, საოცრებავ, წამის ნინ უფსკრული განიხვნა, სადღაც ქვევით ჩავექანეთ, მაგრამ მომდევნო წამს ტალღის თავზე ამოვტივტივდით და გულისწამლები ტაატით გავემართეთ მომდევნო ტალღისაკენ, იმის იქით კი სივრცე მოებურა უფრო შემზარავ, კოლოსალური ძალის მქონე მრისხანე სტიქიონს...

დიახ, უნდა დამეძლია საკუთარი მე, განმედევნა ფარული შიში და ამ დროს დავინახე კაპიტნის თანაშემწერ, რომელიც ნაბიჯებს ზამბარასავით მოადგამდა, სტიქიის სიგიჟეს არად აგდებდა; და დავინახე ბოცმანი, ჩიბუხი რომ ჩაქრობოდა და მისი ანთება უფრო ანაღვლებდა, ვიდრე თავზევით წამომართული ტალღები. მივხვდი, ადამიანთა შეფასებისას არ უნდა ავჩქარდე. ზედაპირი ხშირად მარტივია, სიღრმეში ბევრი რამ აუხსნელი და იდუმალი იმალება.

— რაო, მწერალო, ხომ არ გეშინია? — ღიმილით მკითხა ბოცმანმა.

— ცოტათი კი, ამხანაგო ბოცმანო!

— მიეჩვევი, თავდაპირველად მეც მეშინოდა!

ამ წუთას ორივენი გულწრფელი ვიყავით.

— მატროსო ბჟალავა, აქედან კიჩომდე ჩაიარეთ, ნახეთ, ყველაფერი რიგზე თუა გემბაზე!

— არის, ამხანაგო ბოცმანო!

ორი ნაბიჯიც არ მქონდა გადადგმული, თავზე ცივი წყალი თქლიშინით გადმომესხა და ამომლუმპა. მოაჯირს ჩავეჭიდე, რათა ტალღას არ მოვეტაცე. სიფრთხილე შიში არ არის, ვაუკაცობა შიშის ძლევაა... კიჩოსკენ მივიწევდი, რკინის გემბანი კი აღმა-დაღმა ისე დაფრინავდა, თითქოს უსაზომო საქანელაზე ვქანაობდი...

ნაწილი 3

„რეხი მულები“

27

იმ წელს თოვლი მალევე წავიდა. ორი დღე ისე დწებოდა, თითქოს მიხვდა, უდროოდ მოვსულვარო. ჯერ სახურავებიდან ჩამოილია. ლოლუებს წვეთები კაპაკუპით გასდიოდა და მავრა ექთანი უმცროსი ჯგუფის ბავშვებს არიგებდა, შაქარყინული არ გეგონოთ, ნუ წუნით, თორემ ანგინას დაიმართებთო. ჩაის რიგებს თოვლ-ჭირხლი ჩამოებერტყა, აქა-იქ მდელომ და ნახნავმა გამოიხედა, აჭრელდა ქვეყანა. მიწა დაიქსელა პანია ნა-კადულებით, ფეხსკერძო ჭყაპაჭყუპი რომ გაჰქონდა. ეს უთვა-ლავი ნაკადული მოზრდილ რუებად იკრიბებოდა და აქამდე და-ლეული ლელე უცბად მოპირთავდა, ნაპირები გადმოლახა, სულ ლიწინ-ლიწინით ჩაჰქონდა ფიჩი და ნეშომპალა.

დევი ცირდავამ დილით სახსრების ტეხვა იგრძნო, სიცივი-საგან ააბაბანა. მიხვდა, სიცხიანი იყო. საბანი მჭიდროდ შემო-იხვია, მაგრამ ვერ გათბა. იწვა მარტო და ძაგძაგებდა. სმენა იჭერდა გარედან შემოსულ ხმებს. ხანდახან კედელს მიღმა ატყდებოდა ჩოჩქოლი. ბავშვები შემოცვივდებოდნენ საძი-ნებელ ოთახებში. მერე ხმები გადაინაცვლებდა, შესუსტდე-ბოდა, თუმცა უფრო მხიარული, ლალი და თავისუფალი ხდებო-და. ესე იგი ეზოში დათარეშობდნენ. ანდა სიწყნარე ჩამო-წვებოდა, საიდანდაც ხმადაბალი დუდუნილა ისმოდა, ცხადი⁸³,

სამეცადინო ოთახში ისხდნენ და გაკვეთილებს იზუთხავდნენ. ზოგჯერ კართან იწყებდნენ ფხაკუნს, ისმოდა ჩუმი სიცილი, ჭუჭრუტანასთან ძიძილაობდნენ. ერთხელაც ფანჯრის შუშას ჩრდილი დაეცა, ვიღაცა ცნობისმოყვარე იჭყიტებოდა.

„სიხარულის“ ცხოვრება თავისი გზით მიდიოდა. სტუმარი ალბათ არავის ახსოვდა, ის კი თავს ზედმეტად ბარგად გრძნობდა, ხმის ამოღება ერიდებოდა.

სკოლიდან ადრე დაბრუნებულმა პაპუჩი ეძგვერაძემ შემოიჭყიტა. დევიმ გაიხარა. ბიჭის შეშინებულმა სიფათმა მიახვედრა, ფარსაგი რამ მჭირსო. მთლად გავარვარებული იყო, ოფლი წყალივით სდიოდა, თუმცა სიცივე ვერ დაეძლია.

ახლავე დევი ძიაო, დამფრთხალი პაპუჩი მავრა ექთანთან გავარდა. ქაქანით მობაჯბაჯდა მავრა ექთანი, თერმომეტრი იღლიაში ჩასჩარა, შუბლზე ოფლი შენმინდა.

— საავადმყოფოში ხომ არ აჯობებს, მავრა დეიდა? — საცოდავად იკითხა დევიმ.

— რა გჭირს ისეთი? — თავი ყოჩალად დაიჭირა მავრამ, თუმცა თერმომეტრს რომ დახედა, ნირი ეცვალა. — ეს ხომ შენი სახლია, გენაცვალე, უცხო კი არა ხარ! გრიპია, მეტი არაფერი! თუ დაგვჭირდა, ექიმებს აქეთ მოვიყვანთ!

„გრიპიო? — გაიფიქრა დევიმ. — ვითომ გრიპისაა ეს სიცხე?“ ახლალა მიხვდა, ეს დღეები სიმშვიდეს თამაშობდა. შიგნით კი ცეცხლი ენთო და გულ-ღვიძლს უწვავდა. მერე უცბად რაღაცა ჩატყდა, თითქოს ელექტროდამცველი გადაიწვაო, უფრო იმ დღიდან, როცა კრებაზე არცთუ სრულყოფილი საოჯახო პორტრეტი იხილა. განა პირველად გაიგო, ვიღაცები ბავშვთა უბედურებაზე რომ ხელს ითბობდნენ, მაგრამ აქამდე ეგონა, მის კერპებს ეს არ ეხებოდა.

მავრა ალერსიანად პუტუნებდა, აბებითა და მიქსტურებით ჭყიპავდა.

ცირდავამ თვალი დახუჭა, თავი მსუბუქად ტკიოდა.

— ძალიან კი ნუ აფორიაქდები, მავრა დეიდა! — ჩუმად, თხოვნის კილოთი უთხრა. — ვიცი მე, რისია ეს სიცხე. ქვეყანას ნუ ააწირიალებ, სიმშვიდე და ასპირინი მიშველის, სხვა არაფერი მჭირდება.

მავრა რომ გავიდა, დევიმ საკუთარ ფიქრს გაუღიმა. ხომ გაუხანგრძლივდა ეს უცნაური მივლინება. ისედაც დიდხანს შერჩა საბავშვო სახლს. უკვე ორჯერ დარეკეს თბილისიდან, რას აპირებო. ვერაფერი უპასუხა. ახლა ეს სიცხე დაერთო, ვინ იცის, რამდენ ხანს გასტანდა. გრძნობდა, „სიხარულში“ გატარებული ყოველი ზედმეტი წუთი ძაფი იყო, ბადეს რომ ქსოვდა მის ირგვლივ, ხელ-ფეხზე ბორკილად ედებოდა. რაც მეტ ხანს დარჩებოდა, უფრო ძნელი აღმოჩნდებოდა აქედან წასვლა. რა თქმა უნდა, არც დედაქალაქი დაიღუპებოდა უმისოდ, გაზეთსაც არავინ მიხურავდა; ან რა ქარვასლები ჰქონდა იქ დატოვებული, რა სიმდიდრე დაეგროვებინა. თუმცალა ცხოვრების ჩვეული რიტმი იგივე ქარვასლაა, მისი დათმობა არც ისე იოლია... თვითონვე გაუკვირდა ფიქრის ასე შემობრუნება. ნეტავი ვინ ეხვენებოდა, დარჩიო! ალბათ, იმას ნატრობდნენ, მალევე გაუდგებოდეს თავის გზას, მოგვეზვებოდესო...

ვიშვიშით შემოვარდა დეიდა ვარა. წაგრძელებული ლანდივით შემოჰყვა პისტი ქარდავა. ლანგარი მოჰქონდა, დადგა მაგიდაზე და უჩუმრად გაიძურნა. ვარვარას მოუსვენარმა ნრიალმა მთელი ოთახი აავსო, თან რატრატებდა, თან ჩაის ჭურჭელს აწკარუნებდა.

— რა მოგივიდა, ბიჩო, გაცივდი? არაპერია, ოპლი მოიდინე და გაგივლის!

მადა მთლად გაქრობოდა, მაგრამ ვარვარას შემოტევას ვეღარ გაუძლო, შოშიასავით უდებდა პირს, ქალი კი კოგზით ჩრიდა ჩაიში ჩაფშვნილ ღვეზელს, თან ყოველ ლუკმას მოაყოლებდა:

— ჩამე, ჩირიმე, ჩამე!

გაახსენდა დევი ცირდავას: იგი კვლავ პატარაა, ისეთი პატარა, სკამზე ზის და, რომც მოინდომოს, ვერ ჩამოფოფხდება. წინ ცხელი წვნიანით სავსე მათლაფა უდგას, ორთქლი ასდის. მაგიდის მეორე მხარეს ქალი ბავშვს აძალებს — „ჭამე, ჭირიმე, ჭამე!“ ბავშვი ჭირვეულობს, პირი განზე მიაქვს, ითხუპნება. დევის არავინ უბნება, ჭამეო, ზის გადრუნჩული, დაჰყურებს თეფშს და ელოდება... უცებ ტირილს იწყებს. არავინ იცის, რატომ ტირის, იქნებ თვითონაც არ იცის...

დევიმ სახე კედლისაკენ მიაბრუნა, ყრუდ წარმოთქვა:

— მეტი არ მინდა! გმადლობ, დეიდა ვარა!

ვარვარას კოვზი ჰაერში გაუჩერდა, დაძალება ვერ გაბედა, დაფაცურდა.

— ცავედი, ჩირიმე, მალე სადილია!

მოგვიანებით ცისია დევდარიანმა შემოიხედა მორიდებით. კარის ძგიდეს მიეყრდნო, ხომ არაფერი გჭირდებათო, ჰკითხა.

დევიმ სათვალე გაისწორა. ისე უყურებდა, თითქოს გადაბრუნებულ ბინოკულში ხედავსო. ქალიშვილი ძალიან შორს ჩანდა და მომხიბლავად პატარა იყო.

— შენი ქორწილის თამადა მაინც ვიქნები, ფიფქიავ! — გაეხუმრა. — მანამდე მოვლონიერდები!

— იპ! — განითლდა ცისია. რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ამ დროს ელიკოც მოვიდა და ცისია კარში გასხლტა.

ვითომც არაფერიო, ელიკომ კარი ზურგით მიხურა. თეფში მოჰქონდა, ყველიან კვერებს ცხელი ორთქლი ასდიოდა.

— ძალიან მანებივრებ, ელი! — ხელზე ხელი დაადო დევიმ.

ელიკო წამით გაყუჩდა. ხელი არ წაუღია, უხერხულად ჩაიცინა.

— კარგი გოგოა ეს ცისია!

— კი, კარგი ბავშვია! — დაუდასტურა დევიმ.

— ბავშვი კი არის, მაგრამ დიდხანს არ მოუწევს ლოდინი, სოფლის ბიჭები ისე არიან დაგეშილები, კბილებს ილესავენ!

— ვინ ბიჭები? — თვითონაც გაუკვირდა, ისე მოხვდა გულზე.

— რატომ შეიცხადე? — ელიკოს ხმაში დაცინვა გაკრთა.

— ასეთი გოგო ბევრი კი არ დადის ჩვენს სოფელში!

— რა ჩემი საქმეა! — თავს ძალა დაატანა, გულგრილად ეთქვა, მერე ხუმრობით ნიშნი მოუგო: — ამ სოფელში ლამაზ გოგოებს დიდხანს არ აცლიან. შენ ხომ ძლივს მოასწარი სკოლის დამთავრება, ჩამოგიქროლა რაშზე ამხედრებულმა იპოლიტემ და...

— დაცინვას კაცი არ მოუკლავს! — თხელი ბაგები დაებრიცა ელიკოს, წამიერ დაუშნოვდა.

სიკერპე დალანდა დევიმ ამ ცვალებადობაში, მიხვდა, სათქმელი უნდა გამოეზომა.

— სიყმაწვილეში ყოველივე სხვანაირად ჩანს, — ელიკოს სიტყვებში გულისტკენა ისმოდა, — იპოლიტე კი... მე არაფერს ვნანობ, ესაა, ეჭვიანი უქნია ღმერთს.

— მთავარია, მამაშენს თუ შეეწყო.

— გიუდებიან, ისე უყვართ ერთმანეთი. — სიცრუე მეტად აშკარა იყო და ელიკომ უცბად მოჭრა: — მთავარია, მე და იპოლიტე შევეწყოთ ერთმანეთს, მამა კი... ეჲ, დაგვიბერდა დიანოზი!

— ამით რისი თქმა გინდა?

— იპოლიტე რომ არა, ვინ იცის, ამ სახლის საქმე საითკენ წავიდოდა. მთელი ტვირთი ჩემს ქმარს აწევს მხრებზე!

„ესე იგი, სადავეები იპოლიტეს უჭირავს, — დაასკვნა დევიმ, — და მოგებაც, რაღა თქმა უნდა...“

— მაშ, დაგვიბერდა გვირგვინოსანი და იპოლიტეა უგვირგვინო ხელმწიფე! — თავი მაინც ვერ შეიკავა ქილიკისაგან. ელიკოს წყენა შეატყო და სათქმელს გადაუხვია: — უჭკუობაა, ლამაზი ქალი გესტუმროს და მთელი საათი ქმარზე ალაპარაკო!

— კაი ეშმაკი ხარ! — თითით დაემუქრა ელიკო. — მაგ ეშმაკობას გირჩევნია, ეს კვერები არ გააცივო. წავედი, თორემ იპოლიტემ რომ შემომისწროს, მართლაც რას იფიქრებს!

— ასე მგონია, — დევიმ მაჯაზე სუსტად მოუჭირა ხელი,

— რომ იმ შენმა იპოლიტემ პირადად წამართვა რაღაც!

— ქალაქურად მოგიქარგავს ენა! — ხელი გამოსტაცა ქალმა და კარისაკენ გაემართა.

— ელი! — ხმადაბლა მიადევნა დევიმ. — რაც აქ გამოვიკეტე, მგონია, რაღაცები მოხდა!

ქალი შეყოვნდა, მოიხედა, წინანდელი მომხიბლველობა დაჰკარგოდა.

— რა უნდა მომხდარიყო?

— იმ კრების შემდეგ... დიანოზი ნაწყენი დარჩა.

— ჰო, რა ვიცი, თავის ოთახშია გამოკეტილი და... დაკაუჭნებისა მეშინია! — და უცებ ბრაზით: — ნეტავი ეს წვერი მოგეპარსა, რა მოდაა, სოფელს თვალში ეჩხირები!

კარში სწრაფად გასხლტა და გაიჯახუნა.

დევიმ წვერზე ხელი მოისვა. ცოტა ხანს ვერ დაიოკა გულის ჩქროლვა. რა იყო ეს? ასე რატომ ილაპარაკა? რამ უბიძგა? რა შურს ამ იპოლიტესი? „მართლაც უნდა გავიპარსო!“ — გადაწყვიტა. „თბილისში ვერც მიცნობები!“ — ეს ფიქრი სადღაც შორს გაკრთა, ზედ კი დაეფინა უფრო მნიშვნელოვანი, ფერისცალების მაუნიებელი — „დიახაც, სულ სხვანაირი კაცი სჭირდება „სიხარულს“.

სალამოს სიცხე ისევ შეუბრუნდა, პაპუჩი ეძგვერებე მოახმობინა.

— ნუ გეშინია, გრიპი არა მჭირს! — უღონოდ უთხრა.

— მე არ მეშინია! — ბიჭი თვალებგაფართოებული დაჟყურებდა.

— მარტო არ დამტოვო! — სთხოვა დევიმ.

— არ დაგტოვებ!

საბნიდან ოფლიანი ხელი გამოაცოცა, ბიჭის ცივ ხელს სუსტად მოეფერა.

— ეს ყველაფერი ნერვებია, გამივლის!

პაპუჩიმ თავი დაუქწია.

— გინდა დავძმაკაცდეთ?

— დიახ!

დევი დიდხანს უყვებოდა რაღაცას. სათქმელს თავი და ბოლო ვერ მოაბა. სანამ რამეს იტყოდა, წინა ნათქვამი ავინუდებოდა. თვითონაც ხვდებოდა, მაბოლებსო, მაგრამ ერა ვერ გაეჩერებინა. გაოფლილი სათვალის მიღმა ბიჭის მფრთხალ სახეს უყურებდა და უცებ — ნეტავი რას ვაწვალებ ბავშვსო, გაიფიქრა.

— ჰო, კარგი, წადი ახლა, დაიძინე!

ეს თქვა და მეტი არაფერი ახსოვდა. დილაუთენია გამოეღვიძა. თავი განსაწმენდელში გავლილივით იგრძნო. გონებაც გადაეწმინდა, გული თანაბრად უცემდა.

ოთახში ღუმელი ღულუნებდა, მშრალი, თბილი ჰაერი იდგა.

„რა იყო, რა დამემართა?“ — წყნარად გაიფიქრა.

ცოტცოტაობით იხსენებდა ყოველივეს.

ბუნდოვანი ფერები ვერ გაარჩია და ხელის ფათურით სათვალე მოძებნა.

იქვე, სკამზე მოკუნტულს ეძინა პაპუჩი ეძგვერაძეს.

უყურა, უყურა დევიმ და, თვითონაც არ იცოდა რატომ, გული აუჩუყდა...

თავი მაღალ ბალიშზე მიედო და მიყურებდა. სათვალე ძირს დავარდნოდა. მზერას ძაბავდა, მივხვდი, ვერა მცნობდა. სათვალე მივაწოდე და მაშინდა მიცნო.

— ნიკანორ, მეც ობლის ზღაპრიდანა ვარ!

— დიახ, ვიცი!

ვიცოდი, რა თქმა უნდა, უფრო იმ წარმოსახვის წყალობით, მავრა ექთანს რომ დაჟეონდა თავისი მეხსიერებით.

— თქვენ ზღაპრიდან გადმოგორდით... სადგურის სკამზე! ხის სკამი იყო და როცა ზედ დაებერტყეთ, გეტკინათ კიდეც. ზღაპრიდან გადმოსვლა უფრო იოლია, ვიდრე გადმოგორება, არაფერი გეტკინება. სამწუხაროდ, სიარული ჯერ არ იცოდით და თქვენს ტირილზე ხალხი შეიყარა. მაღალი, შავულვაშა მილიციელი თავზე წამოგადგათ. ვისია ეს ბიჭი, აფსუს რა დევივით ბალლიაო, თქვა. იქნებ მართლაც დევებმა ჩამოიარეს და დედა-დევს აბგიდან გადმოუვარდით...

ცირდავას თითქოს შეუღიტინესო, უღონოდ გაეცინა.

— ეგ ვინა ყოფილხარ, კაცო?!

— ჩუმად და მშვიდად იწექით! — მკაცრად ვუბრძანე. — ასე თქვა მავრა ექთანმა, მაგას სრული სიმშვიდე მოარჩენსო... ოღონდ ჯერ ეს აბი გადაყლაპოსო!

აბს წყალი მორჩილად დააყოლა, კვლავ ბალიშზე მიესვენა.

— თქვენ ჩუმად იწექით, მე კი გაგართობთ! ჩემი რატრატი თუ მოგბეზრდათ, თქვით და ჩემ მაგიერ ისევ პაპუჩი დასკუპდება... ეძგვერაძე?.. კი, მართლაც მისი გვარია! არ მოგწონთ? მე კი მომწონს და... ჩემზე ერთი წლითაა უმცროსი, მაგრამ ძმები ვართ... როგორი ძმები?.. ერთად ვთამაშობთ, მე ჩემს თავგადასავალს ვუყვები, ის კი მისმენს. ლაპარაკეს რა ფასი აქვს, თუ არავინ მოგისმინა!.. პაპუჩი აი, ასეთი ბიჭი! — ცერი ავწიე. — მე რომ უშვილო ვიყო... — ცირდავას გაეღიმა და შეცდომა

სწრაფად გამოვასწორე: — მე კი არა... დიდი რომ ვიყო და თანაც უშვილო, პაპუჩის ვიშვილებდი... რატომ იღიმებით?.. ისეთი მართალი ბიჭი მეორე არ მოიძებნება!.. შენი გული-სათვის ჭაში ჩაძვრება. ერთხელ, იცით, რა შეემთხვა?.. ეძგვე-რაძეს ეძებდა და ეჯიბიძეს წააწყდა!.. თუმცა სხვა დროს გი-ამბობთ, როცა უკეთ იქნებით!.. მე? — უცბად მოვიწყინე, ლა-პარაკის ხალისი დამეკარგა. — არა, მე არავის ვეშვილები!

მოგვიანებით ჩემი ადგილი მამუკა გიორგაძემ დაიკავა. ცირდავა ამ დროს თვლემდა და ცვლილება ვერ შეამჩნია. „არა, მე არავის ვეშვილები!“ — თითქოს რამდენჯერმე ჩაესმა სევ-დით შეფერილი სიტყვები და გაღიზიანებით დაეკითხა: „რა-ტომ, რატომ არ ეშვილები?“ პასუხად კი მამუკა გიორგაძის შემცბარი ხმა მოესმა:

— მე მეკითხებით?

გონს მოეგო და კარგა ხანს არკვევდა, ახლა ვინდა მპატ-რონობსო. გაოფლილიყო და სთხოვა, ბალიშის ქვეშ ცხვირ-სახოცი მიდევს და მომანოდეო.

მამუკას ჩანთა თან წამოეღო, წიგნი მუხლზე გადაეშალა და გაკვეთილს ჩუმად იზუთხავდა.

— მამუკა, ერთი ეს მითხარი, რა კაცია ნიკანორი?

— კარგია, პატ... — მამუკამ წიგნი დახურა, მაგრამ თითი შიგ ჰქონდა გარჭობილი.

— პაპუჩი?

— ისიც კარგია, პატ...

— შენა?

— რა ვიცი! — მხრები აიჩეჩა და მოულოდნელად დაამატა: — საშუალო მინდა დავამთავრო, აქედან კი პროფტექნიკურში გვაგზავნიან!

„მეც ხომ პროფტექნიკურში წავედი!“ — გაიფიქრა ცირ-დავამ. თვალი მიელულა. ბიჭის ნათქვამი ტვინში ზოზინით მოძრაობდა: — „პროფტექნიკურში? რა უჭირს მერე!.. დი-ანოზს ვთხოვ, დატოვოს, ბარემ საშუალოც დაამთავრები-ნოს... ეგერ ცისიას ხომ დაამთავრებინა!“

ცისია ნატვრასავით გაასხენდა. თვით სახელი მოსწონდა, ეს ხუთი ბგერა — ცისია. გოგონა მართლაც ცით მოვლენილი

ჩანდა. უხმოდ ინვა ცირდავა, მამუკას წიგნის გაშარიშურება თუ უფრთხობდა ფიქრს. თავისთვის ათასჯერ იმეორებდა ამ ხუთ ბგერას, გემოს უსინჯავდა. მერე სახელს თვით ხატი მო-ჰყვა. მოეჩვენა, რომ ცისია იდგა მის წინაშე. თხელი ლაბადა ეცვა, გამჭვირვალე, ახლახან გამოვიდა წვიმიდან და წვეთე-ბი თმებში უბრწყინვავდა. „შეგცივდა?“ — თანაგრძნობით ჰკი-თხა ცირდავამ. გოგონამ თავი დაუქნია, ლაბადა გაიძრო, სკამ-ზე გადააფინა. თურმე ტანზე თხელი, ფართატა კაბა ეცვა. სწორი, შხვართი ფეხები გამოუჩნდა. ცერზე შედგა, ხელები ზევით ასწია და ადგილზე თეთრ გედად შეტრიალდა.

— ცისია, — წაიჩურჩულა ცირდავამ. ბურანიდან ძნელად გამოდიოდა და ვერ გაერკევია, კვლავ მამუკა იჯდა მის წინ, თუ სხვა ვინმე. ძლივს გაარჩია გოგონას ბავშვურად მომრგვა-ლებული ლოყები. იცნო, თუმცა სიცხიან ტვინში მეხსიერება დასუსტებოდა და სახელი ვერ გაიხსენა:

— რომელი ხარ?

— მიმოზა!

— ვინ მიმოზა?

— კაცია!

— ჰო, მიმოზა კაცია... — გაიმეორა ცირდავამ. — დიდი ხანია, რაც მამუკა წავიდა?

— ამწუთას გავიდა, სამეცადინო აქვს!

— მე კი ცისია დამესიზმრა! — თქვა ცირდავამ. — როგორ ფიქრობ, ცისია მინახულებს?

მიმოზამ თვალები დახარა, თითქოს ვიწრო ბილიკზე ჰოს და არას შორის გაიარაო, თავი დაუქნია:

— ჰო!

მზეს მიეფიცხა. თბილი სხივები იღვრებოდა ციდან და დევი ცირდავას ძარღვებში მოძრაობდა. ჯერაც სისუსტეს გრძნობდა. განძრევა ეზარებოდა, მთელი არსებით მისცემო-და დროის აუჩქარებელ დინებას... გამოზაფხულდა. ეზო ლბილი, ნორჩი მდელოთი დაიფარა. ხასხასა, მწვანე ფერზე თვალი ისვენებს. საოცარი სიმყუდროვეა. ბავშვები სკოლაში

არიან. ეზოს მოპირდაპირე კუთხეში ტატიანა ყალიჩავა დარაჯობს სკოლამდელებს. თვითონ სკამზე ზის, თვლემა ერევა. პატარებს კი წრე შეუკრავთ და შეუწყობელი ხმებით მღერიან — „ზილინა, ზილინა...“, რაც ოდნავადაც ვერ არღვევს საყოველთაო სინყნარეს.

— ზილინა, ზილინა... — მონოტონურად, მოწყენით მღერიან პატარები. გოგონები უფრო წვრილ ხმებს გამოსცემენ, ბიჭუნებს კი სიმღერა და წრეში ტრიალი აღარ აინტერესებთ.

სკამზე მძიმედ შეირხა ტატიანა ყალიჩავა. პირზე ხელი იტაცა, რათა მთქნარება ჩაეხშო და ქურდულად მიმოიხედა, ვინმე ხომ არ მიყურებსო.

დევი ცირდავა უყურებდა!

ქალმა რაღაც გადაულაპარაკა ბავშვებს. წრე შეჩერდა, უცებ გასკდა, დაიშალა, ბიჭები გამოცვივდნენ და მიმოიფანტნენ.

გოგონებმა წრე კვლავ შეკრეს და ამღერდნენ:

— ზილინა, ზილინა...

ახლა უფრო სუფთად და ხმაშენყობილად მღერიან... შავგვრემანი ეთერიკო, ქერაკულულებიანი ნაილი, დაჭორფლილი მამისთვალი, თმაბურძგლა გოგუცა, ნაბლისფერთმიანი თეონა, ენაჩლიფინა მოკონა, პანაწინა მარიხი... ანგელოზების წვრილი ხმა ჰაერში ჰკიდია...

გაელიმა დევის, საკუთარი მეხსიერება შეაქო. სათითაოდ ახსოვდა პატარების სახელი და გონებაში როცა ჩამოთვლიდა, თითქოს სიმღერის ტექსტს იმეორებდა... ახლა ბიჭების გამოცნობას შეეცადა: დათური ცქიფურიშვილი ყველას ფეხებში ედება, წამდაუწუმ კოტრიალობს, თან მხიარულად ჭიხვინებს; ვაჟიკა-ცქინაფა აქეთ-იქით დასუნსულებს; ნუკრი ბუმბულივით მსუბუქია, თითქოს დაფრინავს, მაგრამ უცებ სუნთქვა ეკვრება და ჩერდება; მაშინვე მიუსწრებს წკიპურტა, ხელს შეახებს; ნუკრი კვლავ გაფრინდება, ყურპარტყუნას მიენევა; პირდაღებული ყურპარტყუნა გონს გვიან მოდის და სერიოუას გადაუჭრის გზას; „ჩურ, ნე ია!“ — რუსულად იძახის სერიოუა და იქვე ვასიკოს სტაცებს ხელს; ორივენი ეცემიან; ვასიკო უფრო ღონიერია, ხელებიდან უძვრება. სერიოუა სოსიკას გადააწყდება; სოსიკა — ზვიადს, ზვიადი — ლაშას... ამას ფეხი სტკივა, სწრაფად ვერ დარ-

ბის, გაიბუსება, მოიწყენს. ვაჟიკა-ცქინაფა მოირპენს, თავს დააჭერინებს და ასე გრძელდება უსასრულოდ...

„იქნებ ეს სულ სხვა ნიჭია!“ — უკვირს დევის. ბავშვების დამახსოვრების ნიჭიც არსებობს იქნებ, რადგან აქამდე თუ რამეს უჩიოდა, სწორედ რომ მეხსიერებას.

ტატიანა ყალიჩავას ხელები მუცელზე უწყვია. ჩურჩუმა ეფერება თავისას, ჯერ არდაბადებულს. იმან, ალბათ, პატარების ყიუინი გაიგონა და თვითონაც პანია ფეხებს იქნევს...

შეკრთა დევი, ფიქრი გაუწყდა. მრავალა პაპასკირი მაშინდა შენიშნა, როცა ჩრდილი დაეცა.

ქალი სკამზე ჩამოჯდა. ვაჟი სალამის ნიშნად წამოიწია და კვლავ დაჯდა.

— თავს ვალდებულად ვთვლი, მოგიბოდიშოთ! — ცივი თავაზიანობით დაიწყო პაპასკირმა. — ალბათ უნდა მენაბულებინეთ, მაგრამ ვიფიქრე, ზედმეტად არ შევაწუხო-მეთქი.

— როგორ გეკადრებათ, ძვირფასო მრავალა! — შინაურულად შეეპასუხა დევი. — არავითარი ვალდებულება ჩემს მიმართ თქვენ არ გაკისრიათ. პირიქით, ვიცი, ზედმეტი ბარგი აღმოვჩინდი. რა ვუყოთ, შეუძლოდ ვინ არ გამხდარა. სიმართლე გითხრათ, თქვენთან საუბარი მეწადა, განსაკუთრებით იმ კრების შემდეგ. ამას სხვა დროისათვის გადავდებ. ისე სუსტადა ვარ, რაიმე რომ წამომცდეს, ვაითუ დამსაჯოთ კიდეც, საქმეზე რომ მიდგეს, ბავშვიც მომერევა!

მრავალას ცალყბად გაელიმა, თუმცა ამას მისი სერიოზულობა იოტისოდენადაც არ შეუცვლია.

— თქვენ ხუმრობა გყვარებიათ!

— დიახ, ასეთი ხუმარა გამაჩინა უფალმა! — დევი ხმადაბლა ლაპარაკობდა, ძალას იზოგავდა. — ალბათ, თვითონაც ხვდებით, რა უნდა შეგეკითხოთ. როგორ ფიქრობთ, ძვირფასო მრავალა, ბოდიში რომ ასე მოგმართავთ, ბოცო კაკულია რას გამორჩება აქედან, ვინმეს იარაღი ხომ არაა?

— თქვენ ფიქრობთ, რომ ბოცოს დაინტერესებული პირი იყენებს?

— ხომ დასაშვებია?

— ცხადია, ერთ-ერთი დაინტერესებული პირი მეცა ვარ.
— მრავალას არც გაუღიმია, ისე თქვა. — დირექტორის მოად-
გილე, ძილშიც დირექტორის სავარძელი რომ ესიზმრება!

— ასე სულაც არ მიფიქრია, მაგრამ, რაკი თვითონ ამბობთ,
ხომ დასაშვებია...

— გინდა დამიჯერეთ, გინდა არა, — მრავალას ლოყები
შეეფაკლა, — სულაც არ მაწყობს დირექტორობა! რატომ? ჩე-
მი ხელფასი დირექტორისას კაპიკებით ჩამორჩება, პასუხის-
მგებლობა კი დირექტორს მეტი აწევს. რამე რომ მოხდეს,
დირექტორს მოხვდება როზგები. დიანოზი კლდესავითაა, მაგ-
ის ჩრდილში მყუდროდა ვერდნობ თავს.

— კარგი, მოვემვათ ამას, მაგრამ ის მითხარით, რაც იმ
კრებაზე ითქვა, შეესაბამება სინამდვილეს?

მრავალა არც ახლა აღელვებულა.

— ზოგი კი, ზოგი გაზვიადებული მეჩვენება. კაცი რომ
ჩხრეკას დაიწყებს, სად ნახავთ ისეთ დაწესებულებას, ნაკლს
რომ ვერ გამოჩხრეკა...

— ასეთი დაწესებულებები მე მინახავს, მაგრამ ამას თავი
დავანებოთ. მხიბლავს თქვენი პირდაპირობა. რაც ავად გავხ-
დი, მეჩვენება, რომ რაღაც ხდება. ელიკომ მითხრა, დიანოზი
ჩაიკეტაო. რას ნიშნავს ეს? მიკვირს, რომ არ მინახულა!

— დიანოზი გაგვებუტა! — უბრალოდ თქვა მრავალამ და
ჩაიცინა. ქალის სიცილი პირველად მოესმა დევის და გაუკვირ-
და. მრავალას სიცილი უხდებოდა.

— როგორ გაგვებუტა?

— ხომ იცით, კაცი რომ ასაკში შედის, ბავშვს ემსგავსება.
დიანოზი გაგვებუტა, ზის თავის ოთახში და აღარ გამოდის.

— და თქვენ გინდათ, რომ მე შემოგირიგოთ? — მიხვდა
დევი.

— გაგიგონიათ, დირექტორი ბავშვივით იბუტებოდეს? —
კითხვა შეუბრუნა მრავალამ.

— ნუ მიწყენთ და, სანამ დიანოზი თვითონ არ მომიხმობს...

მერე, მრავალას წასვლის შემდეგ, შეეცადა წარმოედგინა
გაბუტული დიანოზი. აი, პატარა ბიჭივით ტაბურეტზე ჩამომ-
ჯდარა ეს ამოდენა ბერიკაცი, ლოყები და ღაბაბი ფენა-ფენა

ჰკიდია, ჭალარა თავი დაბლა დაუხერია, მუხლებზე დაწყობილ
კოტიტა ხელებს დასცექერის...

შარაგზიდან ხმაური მოისმა. უფროსჯავუფელები ბრუნ-
დებიან სკოლიდან. წინ ცისია დევდარიანი მოუძღვება. უკვე
გამოუზაფხულებია, ყავისფერი, ნაქსოვი ჟაკეტი აცვია. ნათე-
ლი დღეა და წითელი ყელსახვევი უხდება, უფრო ნორჩისა და
უბინოს აჩენს. თამუნა ქარჩავასათვის ჩაუვლია ხელი. თამუნა
იბუსება. ბიჭებმა ალბათ თმაში მონიწენეს. ისეთი ლამაზი,
ტალღოვანი თმა აქვს, ძალაუნებურად წასცდებათ ხელი.

ამათ ორ-ორად ჩამწკრივებული გოგონები მოჰყვებიან. დუდუნა ცქიფურიშვილი, რა თქმა უნდა, უუუუნა ცქიფურიშ-
ვილს მიჰკედლებია. ვერც იფიქრებ, დები რომ არიან, თუმცა
ძალიან თუ დააკვირდები, საერთოს აღმოაჩენ, ცქიფურიშ-
ვილებისას, ფუნთუშადან მოყოლებული დათუჩიმდე ყველას
რომ ეტყობა. ერთავად ხორცსავსენი არიან (ბიჭიკოს გარ-
და), თითქოს ნუგბარ-ნუგბარი საჭმელით იკვებებოდნენ. ალ-
ბათ, კარგად შეირგებდნენ, რასაც იღბალი შეახვედრებდათ.
დებს ფეხდაფეხ გვრიტო პაპუაშვილი და ჭატა ცირამუა მო-
ჰყვებიან. გვრიტოს გვრიტოან საერთო არაფერი აქვს, ეშმაკის
კერძია, თუ რამე არ გააფუჭა, ვერ მოისვენებს. ჭატა ცირამუას
კი მწვანეზე მწვანე თვალები უკიაფებს მოცუცქნულ სახეზე,
რაც მეტად უცხო იერს აძლევს... შავთვალება ანუშს პირველ-
კლასელი ნატაშა მენაბდე მოჰყავს. ამას წინსაფარი გარდი-
გარდმო მელნით მოუთხუპნია, ტუჩზეც მელნის კვალი აქვს,
კალამს პირში თუ იჩრიდა...

ცისია ხანდახან შეჩერდება, უკან იხედება, ბიჭებს უწყრე-
ბა, ხან ერთს უძახის, ხან მეორეს. მთელ შარაზე გაფანტუ-
ლან, წესრიგს ვერ ეგუებიან.

აგერ მიშიკოს ქვედა ტუჩი ძირს დასწევია, ნერწყვს ვერ
იკავებს; ჯიბო მოსულიშვილი გადაბმული წარბებქვეშიდან
ისე იყურება, თითქოს მღვიმეში ზისო; ვალერიკო გაგლოევს
გატკიცინებული ლოყები აპლვივებია; რომანიკო ბარნაბიშ-
ვილს სკოლის ბუფეტიდან ღვეზელი წამოუღია და გზა-გზა
ილუკმება. ახლა რწყილა მოვარდება, ცოტა მომიფიჩვენიო,
შეეხვენება. სიკომ და ომიკომ კარში შემოსვლა არ იკადრეს,
ღობეზე გადმოეშვნენ. ჭუკია დასუნსულებს ბიჭებს შორის,
თითქოს ყნოსვით ეძებს რაღაცას. ძღვიკი და ქვათი, ერთი მწერა

რთლაც მოძღვნკული, მეორე — გოდორა, ხელიხელგადახ-
ვეულნი მოემართებიან.

ცისიას ნაბიჯი ერევა, წითლდება, უცხოსი რცხვენია.
— როგორ ბრძანდებით?
— გაღმა გასვლა გადავიფიქრე, ფიფქიავ, გამოღმა ვრჩე-
ბი! — დევის ელიმება.

ბავშვებმა ჩაიარეს. წავიდა ცისიაც. კარგა ხანს თვალწინ
ედგა ნათელი ხატი... ცისია შარაგზაზე ბავშვებთან ერთად...
ცისია ჭიშკარში შემოდის... ცისია მის წინ დგას (ის კი ბატონკა-
ცივით იჯდა და არც წამომდგარა!)... ცისია მიდის... ცისია
კიბეზე... ძლიერ მოიმორა ეს უწყვეტი ზმანება... უცებ ნიკაპზე
ხელი მოისვა და „მართლაც რა ბერიკაცივით წვერმოჩაჩული
დავდივარ!“ — უკმაყოფილოდ გაიფიქრა.

ნახევარი საათის შემდეგ, სარკის წინ სულ სხვა ცირდავა
იდგა, ათი წლით გაყმანვილებული. „ასეთი კი მოვენონები ელი-
კოს!“ — ამ გაფიქრებამ სიხარული არ აგრძნობინა. არად ულ-
ირდა არც ელიკოს მოწონება, არც მრავალასი, არც რომელიმე
სხვა ქალისა... „ის კი ჯერ ბავშვია!“ — სევდიანად დასძინა...

28

პაპურის თავგადასავალი მაშინ ველარ ვუამბე ცირდავას,
სხვა დროისათვის შემოვინახე. ამბავი კი ასეთი იყო:

სხვა ობოლი ბავშვები ერთთავად დედიკოებს თუ ეძებდ-
ნენ, პაპური ეძგვერაძეს მამიკო ენატრებოდა. ბიჭის წარსუ-
ლი ბნელით იყო მოსილი, საკუთარ ასავალ-დასავალზე არა-
ფერი იცოდა. თავისი არასრული თორმეტი წელი ლოდინში
გაატარა, იქნებ იმ უამრავ კაცებში, აღმა-დაღმა რომ მიმო-
დიან, ერთი ვინმე შეყოვნდეს, თავზე ხელი გადამისვას და
მითხრას, მამა ვარ შენიო. სამწუხაროდ, არავინ გაჩერებულა,
ვერავინ მოიცალა მისთვის. არადა, რა ხარჯებში ჩავარდებო-
და? პაპურის ნეკათითისოდენა არაფერი სჭირდებოდა, გარ-
და იმისა, რომ მამას ეარსება. შემოხედავდა, გაულიმებდა (ულ-
ვაშებში ჩაიღიმებდა), ხმადაბლა, შეთქმულივით დაუძახებდა:

„პაპური, შვილო!“ ან პირიქით, მკაცრი, გამაფრთხილებელი
კილოთი: „პაპური!“ ასარჩევი მამიკო სადაა და იქნებ მთლად
ისეთი შეხვედროდა, ყურს რომ აუზევდა. მერე რა!.. მამიკო
მაინც მამიკოა!.. ერთხელ ისიც შეშურდა, ჭუკიას რომ წამოსც-
და: „მე კი მამიკომ გემრიელად მიმბეგვა!“ ოლონდ მამიკო ჰყ-
ოლოდა, თუნდაც გემრიელად მიებეგვა....

სოფლის ცენტრში, სკოლასთან, უცნობი ბერიკაცი გამოე-
ლაპარაკა. ბერიკაცს საქმე არაფერი ჰქონდა, დაგვიანებულ
ავტობუსს ელოდებოდა და მოწყენილობისაგან ყები უსკდე-
ბოდა. რა გვარი ხარო, უინტერესოდ ჰკითხა. ბიჭის გვარი ეუ-
ცნაურა და გამოცოცხლდა. ამა და ამ სოფელში პართენ ეძგ-
ვერაძე რომ ცხოვრობს, რა არის შენიო. ბიჭმა ყური ცქვიტა,
სოფლის სახელი გონებაში ჩაიბეჭდა. შორებელი ნათესავი-
აო, უპასუხა. ცოტა ფიქრის შემდეგ თავისთვის დაასკვნა, ნა-
თესავი იქნება, აბა რაო, თან სიტყვა „შორებელი“ ჩამოაშორა.
იმ დღიდან მოუსვენრობამ შეიპყრო, ჩუმი დარდი შეეპარა,
თქმით კი არავისთან გაუმხელია. ერთ მზიან დილით კი დაჰ-
კრა ფეხი და გადაიკარგა.

დიანოზმა მილიცია შეყარა, რკინიგზის სადგურებზე ეძე-
ბდნენ დაკარგულ ბიჭს. მატარებელი სულ ორი მიმართულებით
მიდიოდა, მაგრამ ამ ორ მხარეს ბარე ორასი სადგური გამწკრი-
ვებულიყო.

პაპური მატარებელს არც გაჰკარებია. ეგონა, დედამიწის
ზურგზე სადაც გინდა, ფეხითაც მივალნებო. ზღვა არ ჰქონდა
გადასაცურავი და არც თოვლიანი ქედები — გადასალახი. მიდიოდა
და ყოველ შემხვედრს ეკითხებოდა. ზოგმა აღმა მი-
ასწავლა, ზოგმა — დაღმა. ასე ინანწალა, სანამ საბავშვო სახ-
ლის ისედაც უსახური ტანსაცმელი ჩამოეფხრინებოდა და
მთლად მათხოვარს დაემსგავსებოდა. ბოლოს მართლაც მი-
აღწია იმ სოფელს, ჩაათავა ვინწრო ორლობე და პართენას ჭიშ-
კარი შეალო.

გული უფანცქალებდა. თვითონაც არ იცოდა, რისი უნდა
შინებოდა, მაგრამ მუხლები მოუდუნდა.

პატარა, მწვანეავნიანი სახლი მიწას ერთი საფეხურით
სცილდებოდა. საფეხურის მაგიერ ჯორკო იდო. ეზოს კუთხე-

ში, ხურმის მოტიტვლებულ ჩრდილში კიდევ ერთი მოზრდილი ჯორქო ეგდო, ირგვლივ შეშა და ნაფოტი ეყარა. შეჭალარავებული კაცი იჯდა ჯორქოზე, თუთუნს ეწეოდა და ბიჭისაკენ იყურებოდა.

ფერხთით უზარმაზარი, ბომბორა ძალლი დანოლილიყო, ენა გადმოეგდო და ისიც ბიჭისაკენ იყურებოდა.

პაპური უმწეოდ შეჩერდა, არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო.

ძალლი ზანტად წამოიმართა, გაიზმორა და აუჩქარებლად, ყოყმანით წამოვიდა, თითქოს ვერ გადაეწყვიტა, ეს პატარა ბიჭი გადაეყლაპა თუ არა.

პაპურის შიშისაგან გააცივა, იცოდა, გაქცევა არ შეიძლებოდა.

ძალლი წელამდე სწვდებოდა, დრუნჩი ზედ ჭიპზე მიადო და უსუნა, თან ჩუმი ღრენა გამოსცა.

ბიჭი დამბლადაცემულივით იდგა, კაცი კი ხმას არ იღებდა.

კარგა ხანი გავიდა ასე. ძალლმა ჩაინკმუტუნა, პატრონს შეახსენა, რატომ არაფერს მკარნახობო, თავი განზე გასწია და ერთი ორჯერ გამაფრთხილად შეჰყეფა — თითქოს დაიქუხაო.

არავინ არაფერს ამბობდა და ძალლმაც ინტერესი დაკარგა, ბიჭს განაწყენებული გაშორდა, კვლავ განვა, თავი თათებზე დადო და თვალები მიღულა.

მხოლოდ ამის შემდეგ შეინძრა კაცი, ბრძანების კილოთი უთხრა:

— მო აქ!

პაპურიმ ფეხი ძლივს გადადგა, მორიდებით მიუახლოვდა.

— მათხოვრობ?

ბიჭმა თავი გააქნია.

— მა აქ რას შემოეხეტე?

— პართენ ბიძიას ვეძებ, ეძგვერაძეს! — ძლივს ამოღერდა პაპურიმ.

— პართენა ვარ მე, ოღონდ ეძგვერაძე კი არა, ეჯიბიძე! — კაცმა ფართოდ გაიღიმა, თვალები კი ისეთივე კუშტი შერჩა.

— მითხრეს, ეძგვერაძეო! — საცოდავად დაიკავლა პაპურიმ.

— კი იყვნენ აქ ეძგვერაძეები... ჩემს დაბადებამდე! ახლა მე ვარ აქაურობის ბატონ-პატრონი! რახან მოხვედი, აიღე ნაჯახი და შეშა დამიჩეხე!

ნაჯახი იქვე ეგდო. პაპურიმ შეშას დაჰკრა. შიოდა, კუჭი ეწვდოდა. ძალა ეცლებოდა, მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდა, ნაჯახს უხმოდ იქნევდა. კაცი თუთუნს ექაჩებოდა და შიგადაშიგ ნაფოტებში აწიტებდა.

— მაშ, ეძგვერაძეს ეძებდი, არა? — ნიშნისმოგებით დაეკითხა.

— დიახ!

— რად გინდოდა? ეჯიბიძე რითია ვითომ უარესი?

— ეძგვერაძე ვარ მე!

ეჯიბიძე მცირე ხნით გაჩუმდა. ტუჩის კუთხეში ღიმილი მიჰყინვოდა. ბიჭისაკენ არც მოუხედავს, ისე უთხრა:

— სულ ერთია მაი, ეძგვერაძე თუ ეჯიბიძე! გშია? აგე, პური და ყველი, ითოხლავე!

იქვე, ჯორქოზე გაზეთი გაეშალა. ზედ პურის გამხმარი ნატეხები, თხლად დაჭრილი ყველი და კომბოსტოს მწნილი ეყარა. ყველს ბუზი აჯდებოდა მხიარული ბზუილით.

ბიჭმა ნაჯახი დადო, ბუზს აუქშია და ყველი და პური აიღო.

— შორიდან მოდიხარ? — კვლავ ალაპარაკდა ეჯიბიძე. — ზედაც გეტყობა, დამშეული რომ ხარ! ვინ გამოგიშვა მერე, მშობელი არა გყავს?

ბიჭმა თავი გააქნია.

— არა გყავს? მაშ, უპატრონო ყოფილხარ? დამის გასათევი არ გექნება! გული არ გაიტეხო, აგერ არაა სახლი?

ამას რომ ამბობდა, პირისახეზე კუნთი არ შერხევია. ამ მცირე ხნის მანძილზე ნიკაპზე ჭალარანარევი ბურძგლი ამოუვიდა. თვალებში ყინულის პატარა ნატეხები ედო და პაპურის ეშინოდა ამ კაცისა.

— მოიცა! — მოულოდნელად წამოხტა, სახლისაკენ გაქანდა და კარში გაუჩინარდა.

ამასობაში ბომბორა ძალლს მობეზრდა თვლემა. წამოდგა, გაიზმორა და სტუმარს ხელახლა გასაცნობად მოადგა.

პაპუჩიმ წამოდგომა ვეღარ გაბედა. ძალლმა დასუნა და ბიჭს რომ ყველი და პური ეჭირა, უსინდისოდ პირი უტაცა. ჭა-მდა, თან ჩუმად იღრინებოდა, აქაოდა არ გაინძრე, თორემ შენც ზედ მოგაყოლებ, ლუკმადაც არ მეყოფიო.

ხითხითი მოესმა. მასპინძელი გამოსულიყო და შორიდან უყურებდა ბიჭის საცოდაობას. ხელში სალესი ქვა, თუნგი და უზარმაზარი ნამგალი ეჭირა.

— აი, ასეთი უნამუსო ცხოველია! — პართენა ეჯიბიძემ ძალლს წიხლი ამოსცხო და პირუტყვი წკმუტუნით რომ გაშორდა, ბიჭს თუნგი შეაჩერა.

— დამისხი!

ბიჭმა თუნგიდან სალეს ქვაზე წყალი დაუსხა.

პართენმა აუსვა და დაუსვა ნამგალი, აუსვა და დაუსვა... პირისახე მთლად გადაუსხვაფერდა, თვალები აუციმციმდა, ხანდახან ღიმილით ახედავდა პაპუჩის.

ბიჭს გული გაუწვრილდა, შიში, შიმშილი, დაღლილობა ერთმანეთს გადაეწინა და მუხლები ეკვეთებოდა.

თანდათან დაღამდა, ბეჭედი ჩამოწვა.

კარგა გვიანი იყო, მასპინძელმა ლესვა რომ შეწყვიტა. ნამგლის პირი თითით შეამოწმა და ჯორკოზე დადო.

— დავიღალე, წავიდეთ, დავიძინოთ!

მომცრო ოთახში შეიყვანა, დიდი ნათურა აანთო და ოთახი ისე გაკაშკაშდა, თვალის გახელა ჭირდა.

კუთხეში ფარდავიანი ხის ტახტი იდგა და იმაზე დააწვინა. შუქი უხმოდ ჩააქრო, მეზობელ ოთახში გავიდა.

დამფრთხალ პაპუჩის ტან-ფეხი დაბეჭილივით ჰქონდა. თხელ საბანს გულ-მუცელზე მჭიდროდ იქრავდა, უფრო შიშის გამო, რადგან ჰაერი ისე დაიხუთა, სუნთქვა ჭირდა. ელან-დებოდა უცნაური მასპინძელი და მისი გალესილი ნამგალი. სიბნელიდან მოიწეოდა თითქოს, ბიჭს უღერებდა და პაპუჩის ცივ ოფლს ასხამდა.

დაღლილობამ თავისი ქნა, როდის-როდის ჩაეძინა.

ვიღაცამ თითქოს ჩაჰკივლა: „გაიღვიძე, გაიღვიძე, ეძგვერაძე, გაიღვიძე, თორემ მოვიდა სიკვდილი!“

უნდოდა გაღვიძებოდა, გული შიშისაგან უფართხალებდა, მაგრამ იცოდა, რომ ეს ხმაც, ეს შიშიც ესიზმრებოდა და ძილს თავს ვერ ართმევდა.

უცებ უხვი სინათლე გადმოიღვარა. იფიქრა, სახლს ხანძარი გაუჩნდაო, ცეცხლმა აავსო მთელი ოთახი, მკვეთრი ნათელი ქუთუთოებში უძვრებოდა.

დააჭყიტა თვალები.

ჭერზე ნათურა კაშკაშებდა.

პართენ ეჯიბიძე თავზე წამოსდგომოდა, თვალებში გიუური ცეცხლი ენთო, ხელში ის უზარმაზარი, გალესილი ნამგალი და ასევე უზარმაზარი ურო ეჭირა.

პაპუჩის ენა ჩაუვარდა.

პართენამ მოულოდნელად ბედნიერად გაიღიმა, ნამგალი და ურო გადააჯვარედინა, მაღლა აღმართა და მჭახე ხმით შესძახა:

— ახლა იწყება დიდი აღლუმი!

ჯერ ადგილზე ააბრახუნა ფეხები, საკუთარ თავს უბრძანა:

— ნაბიჯით ი-აა-რ, ერთ-ორი!

მხრებგაჯგიმული პართენ ეჯიბიძე მხედრული მარშით დაიძრა, მაგიდას ირგვლივ შემოუარა, ნამგალსა და უროს რიტმულად ხან ასწევდა, ხან დასწევდა, თან ტუჩებით მარშის ხმას გამოსცემდა: „ძუმპა-ძუმპა-ძუმპაპა!..“

ხანდახან პაპუჩის გადმოხედავდა მოზეიმე იერით, აქაოდა მოხდენილად ხომ დავდივარო.

კარგა ხანს დააბიჯებდა ასე, თვითონაც დაიღალა. მოწყვეტით გაჩერდა, თავს უბრძანა:

— ადგილზე სდექ, ერთი-ორი!

გონს მოეგო, მოიღუშა, ნამგალი და ურო მაგიდაზე დაყარა, სინათლე ჩააქრო და შეცვლილი ხმით დაიბარა:

— დაიძინე! იცოდე, არაფერი გინახავს და არაფერი გსმენია!

დარეტიანებული იწვა პაპუჩი. ერთი პირობა, შიშისაგან სლუკუნი დაიწყო, მაგრამ მასპინძელი გამიღიზიანდებაო და ხმა გაკმინდა. თვალგახელილი მისჩერებოდა უკუნს, საშიშროებას რომ უქადდა. ასაკი თავისას აკეთებს მაინც და კვლავ ჩაეძინა.

ვინ იცის, რა დრო გავიდა. კვლავ აინთო ნათურა, კაშკაშა შუქი დაეფინა. პაპუჩიმ უმაღ გაახილა თვალი.

პართენ ეჯიბიძე ისევ ისე იდგა, გადაჯვარედინებული ნამგალი და ურო თავზევით აეწია... გაუცინა და საზეიმოდ გამოაცხადა:

— ახლა იწყება დიდი აღლუმი! — და მუსიკის ტაქტიც ააყოლა: — ძუმპა-ძუმპა, ძუმპაპა!.. — ოღონდ რაღაცნაირად ჩატეხილი, დაღლილი ხმით.

ფეხების ბრაგუნით შემოუარა მაგიდას. თანდათან სახე გადაეწმინდა, თვალებში შუქი ჩაუდგა, დაღლილობამ თითქოს გადაუარა.

პაპუჩი კედელს აკვროდა, უყურებდა და ხმის გაღებას ვეღარ ბედავდა.

ღონე უცბად მოაკლდა ეჯიბიძეს. აჩქარებით სუნთქავდა. ხმაათროლებულმა ერთი-ორი ტაქტი კიდევ დაამდერა, ძუმპა-ძუმპა, ძუმპაპა და ტვირთი მაგიდაზე დაყარა.

წვერი უფრო წამოზრდოდა, უპეები ჩაუშავდა, საშინელი სანახავი გახდა, მაგრამ საცოდავიც. არაფერი უთქვამს, ისე გავიდა.

პაპუჩი წამოხტა, კართან მიირბინა და ჭუჭრუტანაში გაიხედა. ეჯიბიძე პირქვე ეგდო ლოგინზე.

ფრთხილად ჩაიცვა, გაფაჩუნებისა ეშინოდა. აივნის კარი ნელ-ნელა გამოაღო.

„ღრრრ!“ — ხმა გამოსცა ბომბორა ძაღლმა, სიბნელეში კბილები გააწეუნა.

ბიჭი შემობრუნდა, მაგიდიდან ნამგალი და ურო აიღო და ტახტის ქვეშ დამალა. თვალგახელილი ინვა, დაღლასა და ძილს ებრძოდა.

ეგონა ვფხიზლობო, მაგრამ ვიღაცამ უხეშად შეანჯლრია და მაშინდა მიხვდა, ჩასძინებოდა.

წამოხტა.

პართენ ეჯიბიძე თავზე წამოდგომოდა, პირისახე დაღ-რეჯოდა. ხელი გამოუწოდა და ხრიალით უთხრა:

— მომე!

პაპუჩიმ ნელ-ნელა დაიწია, ტახტის ქვემოდან ჯერ ურო გამოაძვრინა, მერე ნამგალი.

ეჯიბიძემ გამოართვა, ხელებში შეათამაშა. წამში ფერი შეემატა და ალერსიანი კილოთი გამოაცხადა:

— ახლა იწყება დიდი აღლუმი!

ამასობაში ირიჟრაჟა. პაპუჩის საფეთქლები ასტკივდა. ეჯიბიძესაც სიქა გამოეცალა. დავარდა თავის ლოგინზე და ცხვირით სტვენა ამოუშვა.

ბიჭმა აივანზე გაიჭყიტა. ძაღლი ეზოში დასეირნობდა. პაპუჩი კარში გვერდულად გაძვრა და ხმადაბლა დაუსტვინა.

ძაღლი გამაფრთხილებელი ღრენით შეეპასუხა, აქაოდა, მანდ იდექი, თავი თუ არ მოგბეზრებია.

პაპუჩის ცრემლი მოერია, უღონობამ და დაღლილობამ ძალა მთლად წაართვა.

აღმოსავლეთმა სოფლის ორლობეში წითლად შემოანათა და მეზობელ ეზოში ხბომ დაიზმუილა. ბოსლიდან ძროხა გამოდენეს. შავმანდილიანი დედაბერი მოჰყვებოდა წკნელით. ჭიშკარს მიღმა გადადენა და უკან დაბრუნდა.

— დეიდა! — ხმადაბლა, გაუბედავად დაუძახა პაპუჩიმ.

დედაბერმა მოიხედა.

— დეიდა, ძაღლი არ მიშვებს! — ტირილით შესჩივლა ბიჭმა.

— მოგიკვდეს ჩემი თავი, ვინა ხარ, შვილო, მანდ რა გინდოდა! — წამოვიდა დედაბერი, ძაღლს წკნელი გადაუჭირა და გააგდო.

პაპუჩის იმედი მოეცა, შერცხვა ცრემლისა და თავაუღებლად თქვა:

— პართენა არიო, ეძგვერაძე, და იმასთან მოვედი, ეს კი ეჯიბიძეა!

— პართენა ეძგვერაძე სულ სხვაა, გენაცვალე! ეს გიჟი გულს გაგიხეთქავდა ალბათ, ნეტა ეგ დამინდებოდეს და... — მიაწყევლა დედაბერმა, პაპუჩის ხელი ჩავლო და ეზოდან გაიყვანა: — შენ რა იქნები პართენასი?

— ეძგვერაძე ვარ მე!

დედაბერმა გამომცდელად შეხედა, მცირე ყოყმანის შემდეგ თქვა:

— მოგვიკვდა პართენა, ერთი კვირის ნინ დავმარხეთ, არც არავინ დარჩა! იქნებ შვილი ხარ მისი, ჰა?

პაპური გაწითლდა.

— არავის შვილი არა ვარ მე, ობოლი ვარ!

დედაბერმა ცხვირი ხმაურით მოიხოცა, მოფერებით თავზე ხელი გადაუსვა.

— ეს სასიკვდილე შიმშილით მოგკლავდა, წამო, გენაცვალე, პური გაჭამო!

სანამ პაპური გემრიელად ილუკმებოდა, გულაჩვილებული მასპინძელი მის ობლობას დასტიროდა, ბიჭის ნაკვალევს გამოდევნებულმა ტელეფონის ზარმა მრავალი სოფელი და ქალაქი გაიარა და ამა და ამ სოფელში ჩამოაღწია.

მესამე დღეს გენერალივით მედლებით მკერდდაუინუილებული ამბაკო ცომაია მოადგა ჭიშკარს. ულვაშებზე ხელი გადაისვა, დიასახლისს ღირსეული მადლობა მოახსენა და პაპურის მტკიცედ ჩავლო ხელი.

— დარჩეს! — თქვა დედაბერმა. — მეც საფლავში მიდგას ცალი ფეხი, ეს ეზო-კარი მაგისი იქნება. პართენა ეძგვერაძესაც ოხრად დარჩა!

— რამდენი წლისა ბრძანდებით? — იკითხა ამბაკომ.

დედაბერი იმ ხნისა ბრძანდებოდა, როცა უკვე აღარ მალავენ ასაკს.

ამბაკომ სინანულით ამოიხვნეშა.

— არ შეიძლება, მთავრობა არ გვაძლევს ნებას!

29

იპოლიტეს პირით შემოუთვალა დიანოზმა ცირდავას, თუ მოიცლი, გამომიარეო. ვინ იცის, თვით იპოლიტე რას ფიქრობდა ამ დროს. თვალებში არ შემოუხედავს, ქედდადრეკილი იდგა. ალბათ ხარჯსაც გაიღებდა, ოღონდ დაუპატიჟებელი სტუმარი დროზე გასდგომოდა თავის გზას. სულაც არ ეპიტნავებოდა, უცხო რომ შეესწრო ბებრული მარაზმის უსიამოვნო სცენებს.

დანაბარებს ეშმაკურად მოაყოლა იპოლიტე:

— გამომშვიდობება უნდა დიანოზს, იფიქრა, სტუმარი გვტოვებსო!

დიდი გონება არ სჭირდებოდა ამ ქარაგმის ამოხსნას. დევიმ არაფერი უპასუხა. ვერაფრით გაახარებდა იპოლიტეს. ამასნინობაზე დაურეკეს გაზეთიდან და კუთვნილი შვებულება გამიფორმეთო, მოითხოვა.

ვერულავების ჭიშკართან ელიკო დახვდა. სიფრიფანა კაბა ეცვა, სუსტი ნიავი რომ იტაცებდა. უხდებოდა, ქალიშვილსა ჰგავდა. იქნებ განგებ ჩაიცვა კიდეც, დევის თუ აწონებდა თავს. ქათინაურებისაგან თავი შეიკავა ვაუმა. მსუბუქი და უწყინარი შეთამაშება, რაც აქამდე გაბედა, საშიშ გამოძახილს პოულობდა ელიკოს სულში. ისლა გაიფიქრა, ელიკო რომ ნაადრევად არ გათხოვილიყო, ასევე დამხვდებოდა ჭიშკართან, აქ დამელოდებოდათ.

დიანოზის ოთახისაკენ რომ მიემართებოდა, დაბწეული ელიკო კი წინა ოთახში დიასახლისის სავალდებულო ბოდიშს იხდიდა, მიხვდა დევი, ქალს ქმარზე ნაკლებ როდი წვავდა ცნობისმოყვარება. ალბათ, გამოედევნებოდა სტუმარს, მაგრამ ვაუმა იმთავითვე რბილად, თუმცა ცოტათი ცივადაც, მოზომა სიტყვა, ელიკოს წყენის საბაბი არ დაუტოვა და კარი მიუხურა.

დიანოზის სულაც არ ჰგავდა გაბუტულ ბავშვს. ფანჯარასთან იდგა და ეზოს გაჰყურებდა. თხილის მოშიშვლებული ბუჩქები ჩანდა, ღობე და იმის იქით შეშის ფარდულის ჩაშავებული კედელი.

კარის ჭრიალზე არ შემობრუნებულა. ხელი ასწია და თითებით, აქეთ მოინიეო, ანიშნა.

დევი დიანოზის გვერდით გაჩერდა.

კარგა ხანს იდგნენ ჩუმად. რა ისეთი სანახავი იყო ეს უფერული ხედი, მაგრამ დიანოზი არ ჩქარობდა, დევიმ კი ის პირველი წამები გაუშვა, როცა რამდენიმე დღის უნახავ ადამიანს მოიკითხავენ.

ვერულავების სახლი ძველი, წვალებით ნაგები ხის ოდა როდი გახლდათ, დიანოზს რომ თავის დროზე სრა-სასახლედ ეჩვენებოდა. იპოლიტე სხვა აზრისა ბრძანდებოდა და პირველი, რაც მარიფათიანმა სიძემ ოჯახში შემოიტანა, ათშაურიანი

წილაბლოკები იყო. მოვიდნენ ხურონი და კირითხურონი, დაშალეს დიანოზის სახლი, მის ადგილას ხალვათი სართული ააშენეს, ხის სახლი კი მეორე სართულად წამოაკვეხეს. შიგნიდან შპალერი გააკრეს, გარედან ერთი პირი აგური ააყოლეს და შელესეს.

— დააკვირდი! — თქვა უცებ დიანოზმა და თითო ფანჯრის მინას ატაკა.

დევი ვერ მიუხვდა.

— ეზოს კუთხეში მსხალი რომ დგას, გახსოვს?

— როგორ არ მახსოვს? — მხრები აიჩეჩა დევიმ. — ცოტა მომიპარავს თუ?

— იმ დღიდან დაიწყო ჩემი წახდენა! — მოწყვეტით თქვა დიანოზმა, ხმაში ნაღველი შეეპარა.

დევის არ გაჰქირვებია, დიანოზი რომ მონანიების გუნებაზე დადგა, ესეც სიბერის ნიშანი იყო.

— თვითგვემა არ გიხდებათ, დიანოზ ბიძია! — მკაცრად შეეპასუხა. — რაც იყო, იყო! მართალია, მსხალი თქვენს ეზოში აღმოჩნდა, მაგრამ ქვეყანა არ დაქცეულა. ბავშვები ხელს მაინც არ აკლებდნენ, ნაქურდალი უფრო ეგემრიელებათ ხოლმე!

დიანოზი მძიმედ შემობრუნდა. თურმე ხელჯოხი ეჭირა და იმას ეყრდნობოდა.

— სახსრებმა შემაწუხეს ბოლო დროს, მტებს, მტებს! — შესჩივლა და სკამისაკენ წაჩოჩიალდა.

დევიმ ხელი შეაშველა.

— აგაშენა ღმერთმა! — მადლი მოახსენა დიანოზმა და ხვენეშით დაჯდა.

უპეები ლურჯად შესიებოდა, ალბათ ღვიძლიც აწუხებდა. თვალები გამჭრიახად მოაპყრო, სურდა ძირისძირობამდე ჩასწვდომოდა სტუმარს. ნაძალადევად ჩაიცინა, მოკლედ, ჩაწყეტილად...

— მაშ ნაქურდალი უფრო ეგემრიელია ხოლმე?

— დიახ! — ვაჟი მიხვდა, მისი სიტყვები ორაზროვნად უდერდა, მაგრამ უკან არ დაიხია. — მსხლის ძირი „სიხარულს“ რომ ეკუთვნოდა, კრეფას მაშინაც გვიშლიდით, ჩვენ კი ვიპარავდით.

— ნება რომ მომეცა, ერთ დღეში გაფცევნიდით!

— ის ხე რომ შემოიღობეთ, მერეც იპარავდნენ...

— მართალია, — სევდიანად თქვა დიანოზმა, — დარაჯად არავინ ედგა და ონავრები ჩუმ-ჩუმად კრეფდნენ. განა ვერ ვამჩნევდი? თვალს ვხუჭავდი. ელიკო რომ განიწმატდებოდა, მეცინებოდა. რა ოხრად გვჭირდებოდა? ჩვენთან ხილი, ხომ იცი, ბაზარში არავის მიაქვს. ბაზრამდე კი არა, სუფრამდე ვერ აღწევს. ხეზე გავდივართ და იქვე ვჭამთ!.. ოღონდ ეს არ არის მთავარი! მთავარი აი რა არის: ვზივარ და ვფიქრობ, სად დავთმე, როდის დავთმე, გეზი რანაირად შემეცვალა? თავი ბევრი ვიმტვრიე და ბოლოს მივხვდი, იმ წუთიდან, როცა იპოლიტემ „უსამართლობა გამოასწორა“, „სამართალი აღადგინა“ და ის მსხალი შემოიღობა, მე კი წინააღმდეგობა ვერ გავუწიე..

იქნებ უფრო ადრეც, იმ წუთიდან, როცა ერთი ელიკო მეორეთი შეცვალა, იმ პირველის ხატება თანდათან მიინავლა, ტკივილი დაუყუჩდა და თუ გახსენება სურდა, სხვათა და სხვათა ჩვილი ბავშვები აგონდებოდა, თავისი, სისხლხორცეული კი — არა. იშვიათად, როცა ეგონა, ყველაფერი დავიწყების ბურუსმა მოიცვაო, მოულოდნელი ტკივილი გაჰქირავდა გულს, მოუჭერდა, სულის მოთქმას შეაწყვეტინებდა და გონებაში ამოტივტივდებოდა მწუხარე ძახილი: „სადა ხარ, სად, ელი!“ ხანდახან? იშვიათადო? მხოლოდ მაშინ, როცა ელიკოს ხასიათსა და ბუნებაში ამოიჩაჩებოდა რაღაც უცხო, მიუღებელი, რისთანაც შეგუება არ შეეძლო. იპოლიტეს ჩასიძებამ განახლა ტკივილიანი მოგონებები, ერთმანეთს ჩაეწნა დარდი სამუდამოდ დაკარგულის გამო, სინანული და სასოწარკვეთა, ბედის სამდურავი და საკუთარი თავით უკმაყოფილება...

იპოლიტე კვირკველია თავდაპირველად ლანდივით შემოიპარა. თვითონაც გრძნობდა დანაშაულს, კარგად მოეხსენებოდა, დიანოზის გასაძარცვად შემოსული ქურდი რომ იყო. დროზე ადრე არ უნდა გაეცა თავი, არ უნდა დაეღვიძებინა დარაჯნი ამა სახლისანი. ისე ცხოვრობდა, თითქოს არც ცხოვრობდა. თვალებში შესციცინებდა დიანოზს და ამავე დროს თვალებს ვერ უსწორებდა...

დიანოზის მახვილ მზერას არაფერი დაემალებოდა. ელიკოს ლამაზ პირისახეზე სწრაფად წარიშალა ბედნიერების ცისკ-როვანი ღიმილი, ერთ დღეში ბაგის კიდეზე ნაოჭი დააჩნდა, თავისი ჩვიდმეტი თუ თვრამეტი წლის მიჯნაზე უცბად დაბერდა, არა იმიტომ, რომ ქალობას ეზიარა, არამედ იმიტომ, რომ ცხოვრების გზაზე თურმე უამრავი მახეა, გულუბრყვილო სულთათვის დაგებული, ხოლო სიკერპე და თავმოყვარეობა უკრძალავდა მშველელის მოხმობას.

ჩუმ-ჩუმა ჩურჩულებდნენ ცოლი და ქმარი. მერე და მერე სიცხარე შეერია ხმებს. დიანოზს აზრი ვერაფერი გამოჰქონდა, თუ არადა არავინ აზიარებდა საიდუმლოს. შემდგომ სიცხარეს ზიზღიც დაემატა, ისეთი სიტყვებით ნათქვამი, კაცის ყურებს რომ არ მოესმინება და სიყვარულსა და ურთიერთპატივისცემას რომ გამორიცხავს. გული ასტკივდა დიანოზს, მაგრამ არაფერში ერეოდა, ფიქრობდა, ახალგაზრდები არიან, ერთმანეთთან შეგუება უჭირთო. ერთხელ ვერ მოითმინა, ელიკო დაიმარტოხელა და სასხვათაშორისოდ ჰკითხა:

— რა იყო, ელი, შვილო, რა ვერ გაიყავით?

ელიკო წამით გაყუჩდა, სახეზე სიწითლემ გადაჰკრა და უცბად აფეთქდა:

— არავისი საქმე არ არის მაგი!.. დამანებეთ, ყველამ დამანებეთ თავი!

შევარდა კუთხის ოთახში, ჩაირაზა კარი და კარგა ხანს გაბმით იტირა. განბილდა დიანოზი. იქნებ დაყვავებითა და მოფერებით ეშველა რამე, მაგრამ თვითონაც ხომ კერპი იყო. კარგადაც იცოდა თავნებას ხასიათი. ამიტომაც გაუჩუმდა, ოღონდ ბოლომდე ვერ აპატია. გულდამძიმებული წავიდა სამსახურში. იქ უდანაშაულო ვარვარას უყვირა. ვინმეს რომ ეკითხა, რატომ ყვირიო, ვერაფერს იტყოდა, ვარვარამ კი მხოლოდ წაუტირა.

საკუთარ ჭერქვეშ გაუძნელდა ცხოვრება. შინ მისვლა ეზარებოდა. მოშივდებოდა და საბავშვო სახლის სამზარეულოში მიუჯდებოდა კუთხის მაგიდას, ფაფასა და წვნიანს შეჭამდა. ვარვარასა და მედიკოს ფერფური გადასდიოდათ, დირექტორი გვამოწმებსო. დივანზე, კაბინეტში მოუხშირა დამისთევას.

ეს უთქმელობა რომ არა, ფარული დარდი რომ არა, სხვა რა გასაჭირო ადგათ. იპოლიტე კვირკველია დაუზარელის ერთი იყო. ოჯახსაც და „სიხარულსაც“ დაეტყო მისი ხელი. დიანოზს ამოსუნთქვის საშუალება მიეცა. ზემდგომ ინსტანციებში თუ დაიბარებდნენ, თორემ ყველა სხვა საქმეზე იპოლიტე დარბოდა. ისეთი ვინმე იყო, ქვიდან კარაქს გამოადენდა.

მსხლის ის ძირიც მაშინ შემოიერთა. ძველი ღობე მოარღვია და ახლის შეღობვას შეუდგა. ალბათ, უნდა ეთქვა დიანოზს, ღობე როგორც მიდიოდა, ზუსტად იმ ხაზს უმიზნეო. არაფერი უთქვამს და იპოლიტემაც თავის ჭკუაზე ქნა. უყურა, უყურა დიანოზმა, სიტყვა ყელში გაეჩირა. ელიკომ კი ფიცხად, რა მოხდა, მამაჩემო, ამ ერთ მტკაველ მინას ხომ არ გადაგვატანო. დიანოზი შებრუნდა და სიძე-ქალიშვილისათვის სამი დღე ხმა არ გაუცია.

კარგა ხანს ეჩვენებოდა მერე, „სიხარულელები“ ვერულავების გაუმაძლრობაზე ჭორაობენო. აბა, როგორ ემართლებინა თავი, როგორ აეხსნა, არაფერში მჭირდება ის მინა, მით უფრო მსხლის ძირიო. თვითონ ეჩვენებოდა ასე, თორემ საბავშვო სახლში არც არავის ამოუღია ხმა, ბევრს ახალი ღობე საერთოდ არ შეუმჩნევია, გარდა იმ ონავრებისა, მსხლის გემო რომ იგემეს. ამათ წნელით შემოღობილი რას დააკავებდა, როცა ეპრიანებოდათ, მაშინ გადმოდიოდნენ სათარეშოდ.

დიანოზის დამუნჯებამ ელიკო ააბუზდუნა. იქნებ სხვა რამ ჰქონდა საბუზლუნო და ამაზე იყრიდა ჯავრს. იპოლიტე გათამამდა; თითქოს დასტური მიეცა, რაც ოჯახისათვის სასარგებლოა, შეგიძლია, ნებართვა არავის ჰკითხო, ისე აკეთეო. ამას დიანოზი მოვიანებით მიხვდა, თუმცა თვით იპოლიტესაც არ ჰქონდა ყოველივე ბოლომდე გაანგარიშებული. სადა სცალოდა ფიქრისათვის, ყოველდღე ქალაქს დარბოდა, „სიხარულის“ სამეურნეო საქმეებს აკვარახჭინებდა. თან თურმე ექიმთანაც დაცუნცულებდა საიდუმლოდ, კაცური გასაჭირი ადგა, რასაც აბებითა და მიქსტურით შეველოდა. ამ ამბისა არაფერი იცოდა დიანოზმა. როცა ყურში ჩააწვეთეს, იპოლიტეც შეეცოდა და თავისი შვილიც. მოინდომა გულახდილობაზე გამოენ-

ვია, ოლონდ უნდობლობისა და თავმოყვარეობის კედელი ველარ გაანგრია.

შუბლზე ღარები ჩაუღრმავდა ელიკოს. სახე უფრო მკაცრი და უკარება გაუხდა, ხასიათი — აუტანელი: სამნი ცხოვრობდნენ ერთ ჭერქვეშ და ვინმეს რომ ეკითხა, რამ შეგყარათო, პასუხს ვერ მოიაზრებდნენ.

ერთხელ მედიკო სამუშაომ კარაქი დააკლო ბავშვებს. შემთხვევით შეესწრო დიანოზი. ბავშვი კარაქიან პურს ჭამდა. პურის ნაჭერზე ცხიმისნაირი რაღაც აჩნდა. ბრმა როდი იყო დიანოზი, კარგად იცოდა, ვინ რას იპარავდა, მაგრამ მთლად ასე გათავსედება არ აპატია. მედიკომ ფერი დაკარგა, თავის მართლება ვერ შეძლო და აზლუქუნდა. მერე და მერე, დიანოზი რომ ვერ დაცხრა, ადგა და პირში უთხრა, მე კი ვარ დამნაშავე, მაგრამ მეც მაკლებენ და ციდან ხომ არ ჩამოვიტანო. ვინ გაკლებსო, ჩაეძია დიანოზი. ვინ და ისო! იმან კი ისო და ასე ჯაჭვმა იპოლიტემდე მიაღწია. თვითონ იპოლიტეც ვიღაცას რაღაცას უტოვებდა. უამისოდ მისი კვაჭობა გროშ-კაპიკი არ ეღირებოდა. გაახსენდა დიანოზს, ამ დილით, საუზმეზე, საკუთარ სახლში, პურს რომ მადიანად უსვამდა კარაქს, კითხვითაც არ უკითხავს, აქ საიდან გაჩნდაო.

შინ რომ დაბრუნდა, მოღუშული მიუჯდა სუფრას. ვახშამზე უარი თქვა. საკარაქე ათვალინუნებით გასწია განზე და ელიკო გულომისანივით მიხვდა, რა ბოლმა ჭირდა დიანოზს.

— ამ ხნის კაცი ხარ, მამა, როდის უნდა მიხვდე ცხოვრების ავან-ჩავანს? — დაყვავებით ჰერთხა.

დიანოზმა პასუხი არ გასცა, ადგა და თავის თანახში გავიდა, ლოგინში ჩაწვა, თავზე საბანი წამოიხურა.

ელიკო ფეხდაფეხ შემოჰყვა. აცალა გახდა და დაწოლა, საწოლის კიდეზე ჩამოუჯდა, ანუნუნდა:

— როდემდე უნდა ვიყოთ ასე, მამა? მიიხედ-მოიხედე, აშენდა ქვეყნა, ყველა რაღაცას შოულობს, ჩვენ კი ამ ხუსულში ვცხოვრობთ!

„ხუსულაო?“ — მწარედ გაეცინა დიანოზს. რაც გუშინ სასახლედ მიაჩნდათ, დღეს ხუსულად გადაქცეულიყო.

— მესმის, სხვანაირი კაცი ხარ! ძველები სხვანაირად იზრდებოდით, ამიტომ ახალ ცხოვრებას ფეხს ვერ უწყობთ. მე ხომ უწერ გეუბნები, გარდაიქმენი-მეთქი. იყავი შენთვის პატიოსნად,

ჩვენ კი, ახალ თაობას, გვაცალე, ჩვენებურად ავაწყოთ ცხოვრება!

— ეს ყველაფერი მართლაც შენი ნააზრევია, თუ სიძეუფალის ნაბუუტურევი? — წამოჯდა დიანოზი, შვილს თვალი გაუსწორა.

— მადლობა ღმერთს, მხრებზე თავი მეც მაბია და არც იპოლიტე სხვაზე ნაკლები ჭკუისა! — ინყინა ელიკომ.

— მაშასადამე, თქვენ თქვენი ჭკუით განსაჯეთ, რომ, თუ ბავშვს ათ გრამ კარაქს დაკალებთ, ამით სასახლესაც აიშენებთ, მანქანასაც იყიდით, ქურქებს ჩაიცვამთ...

— დაგვცინე, დაგვცინე!.. — ტუჩი აიბზუა ელიკომ. — სხვათა შორის, ჩვენთან ბავშვები ურიგოდ არ იკვებებიან და ეს იპოლიტეს დამსახურებაცა! თუ ბოლომდე გულმართალი იქნები, ამას ვერ უარყოფ. ათი გრამი კი ერთი ბავშვისათვის არაფერია, ოთხმოცი ბავშვი ასე რვაას გრამს დაგვიტოვებს, თვეში ეს ოცდახუთ კილომდე ადის... მთლად სახუმარო საქმე როდია!

აღშფოთებისაგან დიანოზს სახე წამოუქარხლდა. ელიკომ, ზედმეტი მომივიდაო, და სიცილით მკერდზე ხელები მიაბჯინა, ლოგინზე დაგდო და ცხვირი ლოყასთან ჩაურგო:

— ჩემო ბრაზიანო მამიკო! კაი ახლა, ნუ აგვიტეხე ერთი ამბავი! ყველას ჭამა გვინდა, შენც, მეც, იპოლიტესაც, მედიკოსაც...

რა ექნა დიანოზს! შვილი წელიწადში ერთხელ თუ მოეფერებოდა. ამიტომაც ვერ უწევდა წინააღმდეგობას, უმალ გაღხვებოდა... მართლაცდა რა მოხდა?.. ათი გრამი!.. განა აქამდე არ იცოდა, მისი თანამშრომლები რომ მარტო მწირი ხელფასით ვერ იარსებებდნენ. სხვა გზა არ ჰქონდა, პატარ-პატარა რამებზე თვალი უნდა დაეხუჭა. პირადად მას მართლაც არაფერი სჭირდებოდა, არც ხალვათი სახლი, არც ზომაზე მეტი საჭმელ-სასმელი, მოდური ტანისამოსი, წაირ-წაირი გასართობები...

— მოვიდეს ერთი შენი ვაჟბატონი, გავაძვრენ ნემსის ყუნეში! — გულსგარეთ დაიქადნა, მაგრამ როცა იპოლიტე ფარისევლური ხითხითითა და ხელების ფშვნეტით გამოეცხადა, შეფეხს ხარისხიანი საღებავი შევაწერე, გამოიდარებს თუ

არა, ჭიშვარს და ბადურა-ლობეს შევღებავთო, ენა ვერ მოაბრუნა სასაყვედუროდ. ნამდვილად სასარგებლო კაცი იყო ეს იპოლიტე კვირკველია...

ოჯახის საქმეებს უკვე არავინ ეკითხებოდა და თვითონაც არაფერს კითხულობდა. დიდად არ გაჰქვირვებია, როცა ეზოში ორი დიდი საბარგო მანქანა შემოგუგუნდა, წიდა-ბლოკებით მძიმედ დატვირთული. ესლა იფიქრა, სად იშოვეს ამდენი ფულიო. თითო ბლოკი ათი შეური მაინც ლირდა. სახლის შენებისათვის კიდევ რამდენი რამ იყო საჭირო. იპოლიტეს ჯიბეში ალბათ რაღაც-რაღაც ჩაჩრიალდა. იქნებ ვინმემ მემკვიდრეობა დაუტოვა, იქნებ წყარო რამ აღმოაჩინა მოჩუხჩუხე და კოკას ივსებს. ძნელი დასაჯერებელი იყო, იმ ცუცქნა-ცუცქნა, წვრილმანი ქურდობით ამდენი ფული ეშოვა. ეჭვს გასაქანი არ მისცა დიანოზმა, კვლავ ელიკოს სიყვარულმა გადაუღობა გზა, მოჩვენებითი ბედნიერების დანგრევის შიშმა თვალი დაახუჭვინა.

მერე, კარგა ხნის შემდეგ, ერთი მისი ნაცნობი და კოლეგა პასუხისმგებაში მისცეს. თურმე უსასყიდლოდ არავის გააშვილებდა. ყოველ ბავშვზე ნიხრი დაეწესებინა. ეგ როგორო, ყური ცქვიტა დიანოზმა, მიმოიხედა. თვითონ იშვიათად თუ გააშვილებდა ბავშვს. ეჭვიანი იყო, არავის ენდობოდა. ადრე ბევრი ობოლი ჰყავდათ, აყვანის მსურველი იშვიათად გამოჩნდებოდნენ. ან ხალხი გამდიდრდა, ან უშვილონი მომრავლდნენ, მსურველთა რიგი დადგა. დიანოზი ნაირ-ნაირი ცნობებითა და განკარგულებებით დატვირთულ მთხოვნელებს ჩააცივდებოდა, სააფთიაქო სასწორზე შეუგდებდა სინდის-ნამუსს, იმას იკვლევდა, ბავშვის აყვანა რაიმე სიგლახისათვის ხომ არ უნდაო. შემდგომაც, ვინმეს თუ გააშვილებდა, ხშირ-ხშირად მოიკითხავდა, როგორაა ჩვენი ობოლი, შეეგუა თუ არა ოჯახსო.

აი, ამ საქმეშიც ჩაერია იპოლიტე, თუმცა ელიკოს ხელით. თვითონ ვითომც განზე იდგა, მაგრამ რასაც თავის ცოლს ჩასძახებდა, ელიკო მეორე დღეს დიანოზის ყურამდე მიიტანდა, თანაც ისე მოხერხებულად, შვილის ნაკარნახევი დიანოზს

საკუთარ აზრად მიაჩნდა და რომელიმე პატარის ბედი იმისდა მიხედვით წყდებოდა.

აპა, რას წარმოიდგენდა დიანოზი, სიძერომ შუამავლად დაუდიოდა, ვითომც მისთვის გადასაცემ ფულს გულმშვიდად ჯიბეში ჩაიდებდა. საკუთარი თავი ანგელოზივით წმინდა ეგონა, აქეთ კი თურმე მუშტრები აკითხავდნენ, თან ალბათ ფიქრობდნენ, კაი ყაჩალი ყოფილა ეს ვერულავა, წახდა ქვეყანა, ამაზე იძახდნენ, პატიოსანი და პრინციპული კაციაო!.. იფიქრებდნენ, თორემ ჩივილით ხომ არავინაც არ იჩივლებდა. გახარებულებს ახლადნაშვილებ პატარაზე მზე და მთვარე ამოსდიოდათ და გახარჯული ხელის ჭუჭყი ვის მოაგონდებოდა.

დაუზარელი კაცი იყო იყო იპოლიტე. ოღონდ დაგევალებინათ, მინაში ჩაძვრებოდა, ცაზე ავიდოდა, რაც ევალებოდა, ხომ აკეთებდა, რაც არ ევალებოდა, იმასაც ისევე გულმოდგინედ, უზადოდ მოაკვარახჭინებდა. საკუთარი ცოლი რომ ავად გაუხდებოდა, თვითონ დაჯდებოდა, საანგარიშოს ააჩხაკუნებდა, საჭირო საბუთს შეადგენდა, ხელმონერის მეტი რომ არაფერი სჭირდებოდა. ისე გაეჩვია დიანოზი მის დაუზარებლობას, ბოლო-ბოლო ერთი პატარა ცნობა რომ დასჭირვებოდა, იმისთვისაც ვერ იცლიდა და იპოლიტეს მიუგდებდა. ისიც ხალისით ჩამოაწიკინებდა. „აბა, ბეჭედი და ოქრო ხელმონერა, შეფო!“ — წინ დაუდებდა დიანოზს. „შეფი!“ წაუკითხავად მოუწერდა ხელს, დაარტყამდა ბეჭედს და წავიდოდა ის ქალალდი სადაც ჯერ არს.

სულის სიღრმეში ხომ ეზიზლებოდა სიძე, კაცად არ თვლიდა, თან იმდენად ენდო, ყველა საქმე იმას გადააბარა. თურმე, ნუ იტყვით, რა ჭუჭყმი იჯდა და ეგონა, სუფთა ვარო.

აგერ სულ ბოლო შემთხვევა! პატარა ნიკანორი გააშვილეს, ბჟალავა. თითქოს დასაწუნი არაფერი ჰქონდათ ახალ მშობლებს. კაცს ტარიელი ერქვა და მართლაც ტარიელივით ბრდლვინავდა, ქალს — თამარი და თამარივით ნარნარებდა. წახდა ქვეყანა, თორემ ასეთ წყვილს საკუთარი შვილი რატომ არ უნდა შესძენდა. პირველი დანახვისთანავე მოეწონა ისინი დიანოზს, საბუთებიც ისეთი ჰქონდათ, წყალი არ გაუვიდოდა. მისი ხელის მოწერალა აკლდა. ბოლო წამს რაღაც შეე-

ჭვდა. იქნებ ალლომ უკარნახა, იქნებ წინათგრძნობამ შეაწუხა, კალამს ხელს რომ ჰკიდებდა, სული აემღვრა, უსიამოვნო შეგრძნება დაეუფლა.

— ცუდად ხომ არა ხართ? — თანაგრძნობით შეეკითხა ტარიელი. ეპირფერებოდა, თვალებში კი ყინულის ნატეხი ედო.

შეხედა დიანოზმა თამარს. ქალს ლამაზი, მშვიდი სახე ჰქონდა. ბაგები ელიკოსას მიუმსგავსა. ერთადერთი ეს ბაგები გასცემდა ქალის გულცივობასა და სიმკაცრეს.

კალამი უკან დადო დიანოზმა. სულელივით იჯდა და ვერაფერი მოეფიქრებინა. ან რა უნდა ეთქვა, რითი აეხსნა, წუთის წინ მომწონდით, გახარებული ვიყავი, საბუთებიც წესრიგშია, ახლა კი თქვენი თვალების სიცივე და ვიწრო ბაგები არ მომენტობა? ხომ საგიუეთში გააქანებდნენ ეგრევე.

დიანოზის გუნებაცვალებადობა უმაღ იყნოსა იპოლიტებ. საკუთარი ხელისგულივით ჰყავდა სიმამრი შესწავლილი.

ზურგსუკან მიუახლოვდა, მხარზე ფამილარულად გადააყრდნო ხელი და ნაძალადევი სიხალისით, სიცილ-სიცილ უთხრა:

— აბა, ბეჭედი და ოქრო ხელმოწერა, შეფო!

დიანოზმა ბეჭედიც დაარტყა და ხელიც მოაწერა. თვითონაც კმაყოფილი იყო, წუთიერ ეჭვებს რომ არ დამორჩილდა, რადგან დერეფნის ბოლოდან უკვე მორბოდა ნიკანორ ბუალავა.

ბავშვის სახე დაამახსოვრდა დიანოზს. სიტყვებით ვერ გამოიხატება, ალბათ, ის განცდა. სიხარული, შიში, ყოყმანი, თავპრუსხვევა, აღფრთოვანება, ყველაფერი ერთად მონაცვლეობდა ნიკანორის სახეზე.

ტარიელმა ხელები გაშალა, ბავშვი აიტაცა და ჭერისაკენ შეისროლა — „ჰორპლა!“

არაერთი თვე გავიდა იმ დღიდან. დიანოზს ახსენდებოდა პატარა ნიკანორის სახე და კმაყოფილებას გრძნობდა, ამ ჩიორამ მაინც იპოვა თავისი ბედიო. მცირე ეჭვი გაკენწლავდა ხანდახან, მაგრამ უმაღ ჩაქრობდა. ყოველდღიური წვრილმანებით გადატვირთულს დრო არ ჰქონდა, ეჭვს ჩაღრმავებოდა.

ერთ დღეს კი მეხი გავარდა. რაიონიდან დაურეკეს, ჩემო

დიანოზ, არასწორად გაგიშვილებიათ ის ბავშვი, აგერ ახლად-შეძენილი მშობლები უკან აბრუნებენ. დიანოზს კინალამ უურმილი გაუვარდა. მაინც რატომაო, ესღა იკითხა. ქალი დაფეხმდიმდა და მე ჩემიც მეყოფა, ორს ვეღარ მოვუვლიო...

გაახსენდა თავისი ეჭვი დიანოზს. მოსაკლავი მყავს იპოლიტე, იმან მიბიძგაო, გაიფიქრა, მაგრამ არც ამჯერად უთქვამს სიძისათვის რაიმე...

— უნდა წახვიდე, დიანოზ ბიძია! — მძიმე იყო ამისი თქმა. უკვე ორი საათი ლაპარაკობდნენ და ძლივს გაბედა.

დიანოზი გაჩუმდა. თვალები მიელულა და ცირდავა ვერ მიხვდა, გაიგონა მოხუცმა მისი წათქვამი თუ ვერა. მერე დიანოზს კისერი წამოუნითლდა, სისხლი თითქოს ზევით, საფეთქლისაკენ მიაწვა. წუთიც და ალბათ რაიმე საშინელს ჩაიდენდა, აყვირდებოდა, გამოლანდავდა, პირდაპირობას თავხედობად ჩაუთვლიდა. დიანოზმა კი ყრუდ, ხმის კანკალით ჰკითხა:

— შენ ჩემი გჯერა, დევი?

ცირდავას სჯეროდა მისი, როგორც საკუთარი თავისა, მაგრამ იმ დღიდან, როდესაც სადავეები ხელიდან გაუშვა, დიანოზის პატიოსნება ვერაფერს წყვეტდა.

— დიანოზ ბიძია, კაცობას ვფიცავ, მჯერა შენი! — ფიცხად უპასუხა და უმაღვე მკაცრად დაუმატა: — მაპატიე პირდაპირობა და დროა, წახვიდე!

დიანოზი კარგა ხანს იჯდა ჩუმად. უპები ოდნავ შეეხსნა და სტუმარს ისე შესცქეროდა, თითქოს უნდოდა შეესწავლა. უკვე დამშვიდებულიყო.

— სად? — იკითხა უცოდველი ღიმილით. — იმედია, გალმა არ მაგზავნი, მარილზე?

ცირდავამ მხრები შეარხია.

— ჰო, წუნერვულობ, ძალიან კარგად მესმის, სადაც მაგზავნი! — დიანოზი გადმოიხარა, მუხლზე მოუთათუნა მსხვილი, დაბერილი თითები. — გვონია, ამაზე არ მიფიქრია? დღესვე გავათავისუფლებ ადგილს! ახალ დირექტორს შევეხვენები, ჭიშკართან პატარა ჯიხური ამიშენოს. პენსიას დარაჯის პატარა ხელ-

ფასი დაემატება და მეყოფა... ვიქნები ჩემთვის!.. თანაც ბავშვებთან!.. მთლად აქედან წასვლა არ შემიძლია... ბოლომდე მომისმინე და მერე მითხარი! — ხელი ასწია, ცირდავას ლაპარაკი აუკრძალა. — ჯერ კიდევ შარშან გადავწყვიტე, რომ მოვიდა ჩემი წასვლის დროც, მაგრამ, მოდი, გავიგებ, ვინ უნდა შემცვალოს-მეთქი. გავიკითხ-გამოვიკითხე, მოვსინჯე... იცი, რა გავიგე?.. ბარე ხუთმა კაცმა, მე რომ ღირსეული კანდიდატი მეგონა, დინჯად შემომხედა და მკითხა: კი, წამოვალ, დიანოზ, დირექტორად, მაგრამ ერთი გამაგებინე, საჭმელ-სახრავი მექნება რამე?.. გავჩუმდი. ვიფიქრე, სანამ გავძლებ, გავძლებ! რაღა გარედან მოვიყვანო ყაჩალი, აგერ სიძე მყავს გავარდნილის ერთი და ამ საცოდავ „სიხარულს“ მაგიც ეყოფა-მეთქი.

— მაშ, გაგიჭირდა წესიერი კაცის პოვნა?

— ვინც აქ დამნიშნა, მაშინ ჩემზე ახალგაზრდა იყო. დიდი ხანია ჩვენი სისტემიდან წავიდა. ზედმეტად ფიცხობდა, ყველაფერი გულთან მიჰქონდა. მთლად გამოუცდელი ვიყავი და ასეც ვუთხარი. იმას რა გამოცდილება უნდა, ბავშვის ლუკმა რომ შინ არ წაიღოვო, მიპასუხა...

— მე რომ მოგინახო ეგეთი კაცი? — ცირდავას მღელვარება არ დასტყობია, თუმცა შიგნით გულ-ღვიძლი ეწვოდა.

— მაინც როგორი ეგეთი? — დიანოზმა ხელები მუცელზე დაინყო და ერთმანეთს მოუჭირა. ისიც სიმშვიდეს თამაშობდა, თუმცა შინაგან დაძაბულობას ვეღარ მაღლავდა.

— ვინც ბავშვის ლუკმას შინ არ წაიღებს და არც სხვას გაატანს, ვისაც ეს ობიექტურად არ სჭირდება! ვინც ისეთი დარეხვილი და გიუია, საბავშვო სახლის დირექტორის პატარა ხელფასს დასჯერდება და ბავშვის ბედ-იღბლით არ ივაჭრებს. ისეთი ვინმე, ვისი ცხოვრების მიზანი მხოლოდ და მხოლოდ ბავშვის მომავალი და სიკეთე იქნება!

— სადღეგრძელოსავით კი უდერს, მაგრამ უურნალისტი ხარ და გეპატიება. ეს ალბათ საგაზეთო მოწინავის სტრიქონებია, მაგრამ მე ლოზუნგებისა არა მჯერა!

— მაპატიე, დიანოზ ბიძია, მართლაც მაღალ შტილში ავიჭერი! — გაეცინა დევის და ორივეს დაძაბულობა მოეხსნა.

— რაც სათქმელი გაქვს, ბოლომდე თქვი, მაგ სიცილით ვერ დამიძვრები! — თითო დაუქნია დიანოზმა. — სული მიმდის იმის გასაგებად, ვინ არის ის ღმერთივით კაცი?

დევიმ მოწყვეტით, როგორლაც ბავშვური გულუბრყვილობით თქვა:

— ეგ კაცია შენი აღზრდილი დევი ცირდავა!

დიანოზი კარგა ხანს უყურებდა გაშტერებული. მერე სახე დაუმშვიდდა და დუმილი დაარღვია:

— ხუმრობ თუ სერიოზულად?

— რატომ უნდა ვიხუმრო? — კითხვა შეუბრუნა ცირდავამ, გაღიზიანება შეეტყო.

— გულწრფელად მითხარი... ნუ გეწყინება და... შენი უფროსი, გაზეთის რედაქტორი როგორი თვალით გიყურებს?

— მგონი, რიგიან უურნალისტად მთვლის! — გაელიმა დევის. — იქნებ ვარსკვლავებს ვეღარ ვწყვეტდე, მაგრამ...

— ბინა გაქვს თბილისში?

— დიახ, ერთოთახიანი, იზოლირებული. კარგი ავეჯიც მიდგას, რუმინული, ფერადი ტელევიზორი, ბარი, შიგ „ვისკი“, თუმცა ერთი ბოთლი, სამაგიეროდ რამდენიმე „ვარციხე“ და მისთანები... მოკლედ, ტექნიკის საუკუნეს რომ შეეფერება, ისე!

— ხელფასი?

— დიდი არა, ვერ შეგახარბებ, მაგრამ შენოდენა კი მაქვს! ამას თუ დავუმატებთ პონორარებს, პრემიებს...

— კარგად აგინწყვია ცხოვრება! — დიანოზმა თითო შუბლზე მიიბჯინა. — გატყობ, საქმეში ქალი ურევია!

— ვინ ქალი? — ვერ მიუხვდა დევი.

— ვიღაც აგეკიდა და ახლა ცდილობ, თავი დაიძვრინო!

— ქალს როგორ გავექცევი, ოღონდ ვინმემ წყალობით შემომხედოს და... — გულლიად გაიცინა დევი.

— აბა, შე მამაცხონებულო, ცხოვრება საათივით აგინწყვია და ამ ჭირში რატომ ჰყოფ თავს? საბავშვო სახლის დირექტორმა, მე თუ მკითხავ, თითო ბოთლი რძე მაინც უნდა დალიოს დღეში, როგორც მავნე წარმოების მუშაკმა. შახტის მუშაზე ნაკლებ საშიში და სანერვულო როდია და იმიტომ!

— ნუ მაშინებ, ბიძია დიანოზ! ჩვენ, უურნალისტები, ისე-
თი თიხიდან ვართ გამოძერნილნი, ხანძარი რომ იყოს, თავი
შიგ ცეცხლში უნდა შევყოთ!

— რა სარგებელს ნახულობთ მერე?

— ახლაც მახსოვს, კუთხის საწოლზე ვიწექი. არ მეძინა.
უფრო სწორად, დამანვინეს, ძილი კი არ გამეკარა. ვიწექი და
კარს გავყურებდი. მეორე მხარეს იმ კარს შენ უახლოვდებო-
დი. მე შენ გელოდი, ბიძია დიანოზ! ნაბიჯის ხმა არ გამიგონია,
მაგრამ ვიცოდი, რომ კარს შემოაღებდი და შემოიხედავდი...

დიანოზმა ხელი ისე აიქნია, თითქოს მალულად ცრემლის
წვეთი მოიშორაო, თუმცა იქნებ დევის მოეჩვენა ასე. უცბად
ხველება აუტყდა, დიდხანს ახველებდა, ძლივს მოახერხა,
ეკითხა:

— მერე?

— არაფერი, შენ მართლაც შემოიხედე და ჩვენი მზერა
ერთმანეთს შეხვდა!

დიანოზმა პირზე ხელი აიფარა, ხველების ჩახშობას შე-
ეცადა.

ბოლოს დამშვიდდა და სინანულით თქვა:

— არ მახსოვს, ბიჭო, და რა გიყო!

— მაპატიე ზეანეული სიტყვა და მინდა, როცა კარს ვუახ-
ლოვდები, მეორე მხარეს გულის ფანცქალით მელოდეს პაპუ-
ჩი ეძგვერაძე, ნიკანორ ბჟალავა, ანუში... სხვათა შორის ყვე-
ლა ბავშვის სახელი ვიცი, გვარიც... ტვინში ისე ჩამებეჭდა... —
დევიმ მზერა სადღაც სივრცეს მიაპყრო და ჯერ სკოლამდელ-
თა სახელები ჩამოთვალა, მერე უმცროს და სამუალოჯვუფელ-
თა, ბოლოს უფროსჯგუფელებს გადასწვდა და ქუცნა ჭედიათი
რომ მოამთავრა, თვითონაც გაუკვირდა: — ერთიც არ გამომ-
რჩენია!

ვერულავა გაოცებული უსმენდა. ცხადი იყო, ამ უცნაურ-
მა მონოლოგმა შთაბეჭდილება მოახდინა.

— იცი რა, — თქვა დიანოზმა, — წვერი მოგიპარსავს და
უფრო ყმანვილი მეჩვენები! — იყუჩა, მერე კი დაამატა: —
იმედია, ჯიხურს მაინც დამიდგამ ჭიშკართან. დავჯდები, გამ-
ვლელ-გამომვლელს შევხედავ!

30

იპოლიტე კვირკველიას რაიონში ჰკითხეს:

— რაო, ის უურნალისტი, თქვენი სტუმარი, დათანხმდა დი-
რექტორობაზე?

იპოლიტეს თითქოს ცეცხლი შეუნთესო, არაფერი დაკლე-
ბია, კინალამ შეკუნტრუშდა.

მოსაუბრებ ვერაფერი შეამჩნია და განაგრძო:

— კარგი კანდიდატია, განათლებული, დედაქალაქიც
იცნობენ, პატიოსანი...

იპოლიტე ყოველ ამ სიტყვაზე თანდათან პატარავდებო-
და. სულის ხუთვა დაეწყო. ვერც ისა თქვა, ეს ამბავი ახალია
ჩემთვისო, არც ის ივარგებდა, გამოეაშკარავებინა, ჩემი იმე-
დების მსხვრევას იოლად არავის დავანებებო.

ცალყბად გაიღიმა, თუმცა გაჭირვებით, თვითონაც საქე-
ბარი სიტყვა დაპატარადა:

— კი, ჭკვიანი კაცია! ოლონდ არა მგონია, დაგვთანხმდეს!
ხვეწნას არ დავაკლებთ, მაგრამ...

— რა ვიცი, დიანოზმა მოაწვდინა ხმა, უნდაო და... — მოსა-
უბრეს სხვა ბევრი საქმეც ანუხებდა და ამ თემაზე მეტი არა-
ფერი უთქვამს.

მიშიკო ძაგანიას „რაფში“ გაბრუებული ჩაჯდა იპოლიტე.
ჯიბიდან კარამელის ბლუჯა ამოიღო და პირში ჩაიყარა, თუმცა
გემო ვერ გაუგო. ნახევარი გზა ისე მოლიეს, გონს ვერ მოეგო.
მერე მიშიკო ხუმრობით იკითხა, უფალი დიანოზი კვლავინ-
დებურად გვებუტება თუ გული მოუბრუნდაო. პოლიტეს უცებ
გულლრძოდ დასცდა:

— ყანყრატოში ამოვუყვან მაგას!

— რაო, რაო? — ვერ გაიგო ძაგანიამ.

იპოლიტე გამოფხიზლდა. რაიკომის ინსტრუქტორმა გამ-
აბრაზაო, მოიტყუილა. მიშიკო რატომ ჩაუღრმავდებოდა,
რომელ ინსტრუქტორზე იყო ლაპარაკი. იპოლიტეს ფიქრმა კი
გზა გაიკვლია და დიანოზისა და ცირდავას ირგვლივ დატრი-

ალდა. სწორედ რომ არ მოელოდა ამ მხრიდან დარტყმას! ცირდავაზე გული მოსდიოდა, გველივით შემოგვიძვრა, ამაზეა ნათქვამიო. უფრო კი სიმამრზე ხელდებოდა. უყურე მაგ ბებერს, თავისი ადგილის ღირსად არ ჩამთვალაო. ამდენი წლის სამსახური არაფრად ჩამიგდოო. ოჯახისა და საქმის ერთგულება წყალში გადამიყარაო...

იმავე სალამოს, დევი ცირდავას რომ გადაეყარა, თავი ისე მოაჩვენა, ბაიბურში არა ვარო. არც ცირდავა იყო მაგისი ჩიტი, ეგრე იოლად მოტყუებულიყო. გუმანით იგრძნო, იპოლიტე დაეჭვებულიაო. შეეძლო, რა თქმა უნდა, პირდაპირ განეცხადებინა თავისი განზრახვა, დასამალი რა ჰქონდა, მაგრამ იპოლიტესნაირი ადამიანები მეტად საშიშნი არიან და დრომდე თავი შეიკავა. მერე კი ნანობდა, იქნებ თავისი პირდაპირობით უკეთ დაეცვა დიანოზის ჯანმრთელობა და ნერვები.

იპოლიტე შინ რომ დაბრუნდა, პირისახიდან თითქოს ნიღაბი ჩამოიხსნა. რიდი არავისი ჰქონდა და რისხვის დამალვა არც უცდია.

— ეგ მამაშენი მთლად გასულელდა, მგონია!

ელიკომ შუბლი შეიჭმუხნა, არ ესიამოვნა. უხმოდ მიაჩერდა, განმარტებას ელოდა.

— წარმოგიდგენია, დირექტორობას თავს ანებებს, ჩვენთვის კი არაფერი უთქვამს!

— დროა უკვე, აღარ შეუძლია ადამიანს! — ელიკომ მხრები შეარჩია.

— მეც მანდა ვარ, რომ არ შეუძლია, მაგრამ ოჯახზე არ უნდა იზრუნოს? ბოლო-ბოლო, მუშტარი რომ მოვვეძებნა, ათიდან თხუთმეტ ათასამდე ჩავიჯიბებდით. რამდენი ხანია მანქანაზე ვოცნებობ. ანდა რითი ვარ სხვაზე ნაკლები. ამდენი წელი რისთვის ვაკლავდი თავს? მოვა ახლა ერთი ვინმე ჯეელი და დაგვაჯდება თავზე!

— ვინ ჯეელი?

— გაგიკვირდა? წინასწარ არაფერი შეგითანხმა, ხომ? ან იქნებ ელოდი, წავა და ადგილს სიძეს დაუთმობსო! არა, ბატონო, ჩვენ რა ღირსნი ვართ მაგისი, ჩვენ როგორ შევწვდებით მაგ სიმაღლეებს! ჩვენ რანაირად მოვუვლით ამ წვინტლიან

ბაღნებს!.. — იპოლიტე რაც მეტს ლაპარაკობდა, უფრო ღიზიანდებოდა, ოთახში ბოლთას სცემდა და თითებს იმტვრევდა.

— გაჩერდი! — შეუძახა ელიკომ. — მართლა გაიგე რამე თუ?

— გავიგე კი არა, რაიონში უთქვამს კიდეც, ჩემს შემცვლელად ცირდავა მინდაო!

ელიკოს ყბა ჩამოუვარდა, გამტკნარებული იდგა კარგახანს.

— დათანხმდება მერე?

— დათანხმდება კი არა, თვითონ უთხოვია! მათხოვარი!.. როგორი მათხოვარიც წავიდა ქალაქში, ისეთივე დაბრუნდა! — ვერ ისვენებდა იპოლიტე.

ელიკოს სახე თითქოს დაეჭმუჭნა, წამში დაუბრერდა, დაუუშნოვდა. ჯიუტად დახარა შუბლი და დიანოზის ოთახს მიაშურა. მის ამ მოძრაობაში იგულისხმებოდა მტკიცე, უკომპრომისო გადაწყვეტილება.

იპოლიტემ ენა გადაყლაპა, მოიმჩვარა. მხრებჩამოყრილი მიჰყვა უკან. წინასწარ ეშინოდა იმ მეხთატეხისა, რაც ახლა ატყდებოდა.

დიანოზი სავარძელში იჯდა, ფანჯარას მისჩერებოდა. იქნებ თვლემდა, ან ჩაფიქრებულიყო, ზღურბლიდან მხოლოდ მისი ჭალარა თავი მოჩანდა.

ელიკომ ოთახი გადაჭრა და ფანჯარას აეფარა.

დიანოზმა მზერა შეაგება.

— ელიკო, შენ? — თითქოს ზმანებიდან გამოვიდაო. მის ამ წამოძახილში მოფერების კილო იგრძნობოდა, მაგრამ წუთის შემდეგ ქალიშვილის გვერდით სიძე აიტუზა და დიანოზმა გაკვირვებით იკითხა: — რა მოხდა?

— მართალია ეს ამბავი? — ბრაზით გამოსცრა ელიკომ, პირისახე გასცროეცოდა.

დიანოზი წამით დაიბნა, უმაღ მიხვდა, რასაც ეკითხებოდნენ და თავს ძალა დაატანა, მშვიდად ეთქვა:

— მართალია, მშვილო!

— მე შენი შვილი არა ვარ! — თითქოს ცივი დანა ყანყრატოში ჩაჭედა ელიკომ.

დიანოზი გაფითრდა, ბავე აუკანკალდა. ელიკომ კი, თით-ქოს ეშმაკები შეუჩნდნენო, დაუნდობლად მიაყარა:

— შენი შვილი რომ ვიყო, ფეხებზე არ დაგვიკიდებდი, ლუკმას პირიდან არ გამოგვაცლიდი!..

დიანოზი თითქოს დამუნჯდა, გულზე ხელი მიიდო, რათა მოულოდნელი ტკივილები დაეამებინა.

იპოლიტე დაფრთხა, ცოლს მკლავზე მოქაჩა, მაგრამ ელიკომ მისი ხელი ჩამოიშორა და, რაც აქამდე გულში ჰქონდა, ერთად ამოანთხია:

— ვინა ხარ საერთოდ? ვინ შეგეხვეწა, ამიყვანეო? გაჭირვებისა და გარჯის მეტი არაფერი მინახავს. თუ მამობა არ შეგეძლო, ეგერ სახელმწიფო მომივლიდა, ან სხვა პატრონი გამომიჩნდებოდა. არასოდეს მითხოვია, რასაც ვერ შესწვდები, ის გაგვიკეთეო, რაც შეეიძლია, იმას რატომ გვაკლებ? მე კი არა, ცირდავა ყოფილა შენი შვილი! დიდი ხანია, ვიგრძენი, რომ შეგვიძულე, თვალის დასანახად გეზარებით! არც არასოდეს გიყვარდი, ყოველთვის ის შენი ელიკო გიყვარდა, თვალითაც რომ არ გინახავს! დაბერდი და მაინც ვერ დაიჯერე, რომ ის მოკვდა, მოკვდა...

ელიკოს უცებისტერიული ტირილი აუვარდა, ხელზე იკბინა და ოთახიდან გავარდა.

დიანოზი კვლავ ისე იჯდა, სახე გაქვავებოდა.

იპოლიტე ცოლს გაეკიდა, მაგრამ ბოლო წამს რაღაც იეჭვიანა, შემობრუნდა.

დიანოზი აჩქარებით სუნთქავდა, ბაგეს ოდნავ არხევდა, სიტყვა კი არ ამოსდიოდა.

იპოლიტე დაიხარა, ხმადაბლა დაუძახა. ბერიკაცს უპეში ცრემლი უგროვდებოდა.

— ელიკო! — მთელი ხმით იყვირა იპოლიტემ. — მამაშენი ცუდადა!

ელიკომ კარი შემოაღო. თვალები ჯერაც სველი ჰქონდა, გაპბუშტებოდა.

დიანოზი ცდილობდა, რაღაც ეთქვა, ხორხიდან ხმა არ ამოსდიოდა, ყბა მოექცა.

ელიკომ მოირბინა, მუხლებზე დაეცა.

— მამა, მამიკო!

ბერიკაცმა ხელი ძლიერ გამოაჩოჩა, ელიკოს ხელს შეეხო. ქალი მიუხვდა, მისი ხელი აიღო. დიანოზმა ის ხელი ძლიერ დლივობით თავზე დაადო და გაყუჩდა.

ასე იყვნენ კარგა ხანს. დიანოზი ზევიდან დაჰყურებდა, თავზე ხელი ედო, ელიკო კი ამოსცქეროდა და თვალებში ცრემლი უშრებოდა...

31

დიანოზის სავარძელს ვერა და ვერ მოერგო. ხან ისე იჯდა, ხან ასე. სიმამრთან შედარებით პატარა კაცი იყო და სავარძელი ზედმეტად ხალვათი ეჩვენებოდა.

პირში კარამელი ჩაიდო, მოწუნა. ყელში ტკბილი ნერწყვი ჩასდიოდა და სიამოვნებისაგან კრუტუნებდა.

პირველი მრავალა პაპასკირი შემოვიდა. ცერად გახედა იპოლიტეს, ოდნავ ჩაიღიმა. კაცს კინალამ კანფეტი გადასცდა. მრავალას ვინ რას გამოაპარებდა, თვალის ერთი შევლებითაც ხვდებოდა, რა ცეცხლიც წვავდა იპოლიტეს.

— ძალიან ცუდადაა? — იკითხა ქალმა.

— ცუდადა! — შვებით ამოისუნთქა იპოლიტემ. ეს შეხმიანება მშვიდობის შემოთავაზებას ნიშნავდა.

კაბინეტი მომცრო იყო, ყველა თანამშრომელი ვერ დაეტეოდა. ფეხდაფეხ შემოჰყვნენ მრავალას. რაკი ორიოდ სკამი არ ეყოფადათ, კედლების გასწვრივ გაჩერდნენ, ხმას კი არავინ იღებდა. ცხადი იყო, ცვლილებები მოხდა და არავინ ჩქარობდა ბანაკიდან ბანაკში გადარბენას. მხოლოდ ქსენია სალაყაიამ ვერ მოითმინა, დიანოზის სავარძელში გამოჯგიმულ იპოლიტეს მკაცრად მიაჩერდა და ვითომც ხუმრობით, უფრო კი აგდებით, უთხრა:

— მაგ სავარძელმა გაჩვევა იცის, იპოლიტე ჩემო! იპოლიტე წამოწითლდა, ბრაზი დაითრგუნა და შემრიგებლურად შეეპასუხა:

— ამ სავარძლის პატრონი, მადლობა ღმერთს, ჯერაც ცოცხალია, ქსენია, დროზე ადრე კი ნუ ვმარხავთ!

ქსენიამ ცივი ლიმილით — ეს ხომ სიტყვას არავის შეარჩენს:

— მესაფლავის ნიჭი ღმერთს არ მოუცია ჩემთვის, ვიღაცვილაცას კი ბარი უკვე აუღია, თხრის და თხრის!

იპოლიტემ პასუხს თავი აარიდა, მიხვდა, სახიფათო ბილიკისკენ უბიძგებდა ოხერი დედაბერი და დევი ცირდავას გამოჩენა გაუხარდა კიდეც.

— აგრ სტუმარიც მოპრძანდა! ვინც იჯდა, წამოდგა, სკამი შესთავაზეს. ცირდავამ იუარა და კუთხეში მიდგა.

იპოლიტე უფრო თამამად, მყარად ჩაჯდა, თითქოს ამით ამბობდა, ვერც ვერავინ ამაგდებს აქედან.

— ბევრი ლაპარაკი რა საჭიროა, ვითარება ყველამ ვიცით! ჩვენი საყვარელი ხელმძღვანელი, დიანოზ ბატონი შეუძლოდა. არც ისე მძიმედაა, ზოგიერთებს რომ მოეჩვენათ. მეორე მხრივ, ასაკი თავისას შვება. უნდა შევეცადოთ, უდიანოზობა არ შეგვეტყოს. მისთვის წამალი იქნება, თუ ჩვენს მოვალეობას ღირსეულად შევასრულებთ. იმედია, დიანოზი მალე მოკეთდება...

— ღმერთმა ქნას! — გამოეხმაურა ქსენია სალაყაია და იპოლიტემ იმწუთსვე გადაწყვიტა, თუ დირექტორობა ბედის დავთარში მიწერია, სხვაზე ადრე ამ ქალს გავაპრძანებ ჰენსიაზეო.

— ჯერჯერობით კი, — განაგრძო იპოლიტემ, — მე, როგორც მოადგილე სამნეო ნაწილის დარგში, და მრავალა, როგორც მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში, ისე წარვმართავთ საქმეს, რანაირადაც დიანოზს მოესურვებოდა!

თითქოს ჯებირი მოიხსნაო, ყველა ერთბაშად ალაპარაკდა, ერთმანეთს არ აცლიდნენ. ზოგმა ასე თქვა, ზოგმა ისე, მაგრამ ამ წაირ-წაირ ხმებში კეთილი სურვილისა და მომავლის

შიშის მეტი არაფერი იყო და იპოლიტემ დიანოზისნაირად თითო მაგიდაზე დააკაკუნა.

— საქმეს, ამხანაგებო, საქმეს მივხედოთ, ლაპარაკს ნუ გადავყვებით!

უცბად შეიფერა ხელმძღვანელის როლი იპოლიტემ. თავდაჯერებით იძლეოდა განკარგულებებს. გრძნობდა ცირდავას ყურადღებიან მზერას და ცოტათი თამაშობდა კიდეც. რა ხდება სამზარეულოშიო, გამოიკითხა, ხვალინდელი მენიუ როგორია, შემთხვევით მანდ ბავშვებს არაფერი დააკლოთო... მორიგეობის რიგი ხომ არ ირღვევაო... „მაცადინეობა“ როგორ მიდისო... ავად ვინმე ხომ არა გვყავსო... ხელფასი ხომ არ გვიანდება, დროულად უნდა გავცეთ, ხალხს გული არ ვატკინოთო...

ბოლოს ყველა დაითხოვა, მიშიკო ძაგანია დაიტოვა, თუმცა დევი ცირდავა ისევ თავის ადგილას იდგა.

იპოლიტემ, ვითომც სულ გადამავიწყდაო, თავზე ხელი შემოიკრა:

— ოჲ, მაპატიეთ, სტუმარო, ისე გავერთე საქმეებში... თქვენთვის აქ არაფერია საინტერესო!

ნათქვამი ორაზროვანი გამოუვიდა და ცირდავას გაეღიმა:

— რატომ? ზოგი რამ ჩემთვისაც საინტერესო გამოდგა!

— ჰო, გენაცვალე, ჰო!.. — მოითაფლა იპოლიტე, მაგრამ როგორც კი ცირდავა გავიდა, სახე მოეღრუბლა, ერთხანს ჩუმად იჯდა, ძაგანია დავიწყებოდა. — ჰო!

მიშიკო ძაგანიამ ბოლო „ჰო“ თავისი მისამართით მიიღო და მორიდებით უთხრა:

— ნიკო ბჟალავას მშობლები აპირებენ მოსვლას!

— ჰო, ვიცი! — შეეპასუხა, გულმა რეჩხი უყო. დაავიწყდა, მიშიკო რისთვის დაიტოვა. კაბინეტის ჰაერი არ ეყო, დერფანში გავარდა.

წუთში შემოირბინა მთელი საბავშვო სახლი. ზოგს მოეფერა, ზოგი მამაშვილურად დატუქსა, თავისი ძალა უჩვენა. თანამშრომელი არ დარჩენია, ვისაც ერთი-ორი სიტყვით არ შეეხმიანა. პისტი ქარდავასაც კი, სანამ ის ქონიან ტაფებს ცხელწყალში რეცხავდა, ოსტატობა და სისუფთავის სიყვარული შეუქო. ვარვარას შვილების ამბავი გამოკითხა. ქალს თვალზე

ცრემლი მოადგა, გული აუჩუყდა და თავისი „ტკუპ-ტკუპების“ ქებას მოჰყვა. მედიკო სამუშაი იმ დღეს არ მუშაობდა. მაინც საქებარი სიტყვა დააგდო, იცოდა, პისტი მიურბენინებდა, მისი გულის მოსაგებად კი მეტი არაფერი იყო საჭირო. გზად პელო ნინუა შემოეყარა. მაგრად ხომ ხარ, ბებეროო, შეეხუმრა, კუზზე მოუთათუნა. დედაბერს პირისახე ღიმილის ნაოჭებად გადაექცა. ეთერ იოსავას ხელის მოთათუნებას როგორ გაუბედავდა. ქალი მაინც ქალია, ესიამოვნებაო და... „ბადრ მთვარეს“ შეადარა. „ჩასკდი შენ!“ — შეეპასუხა იოსავა, ლოყები შეეფაკლა. ნაზიბროლა ნიღლვავა იქვე იდგა ამ დროს, კუშტად იყურებოდა და ქალო, ცხელი უთო თუ გაქვსო? რად გინდაო? ეგ შეკრული შუბლი დაიუთოვე და ისე შემომხედეო... ნაზიბროლამ გულიანად ჩაიხვისვინა.

ნაშუადლევს კვლავ კაბინეტის კარს მიადგა და მორიდებული ხველება გაიგონა.

შუქრი ცეცხლაძეს ჭუჭყიანი ცხვირსახოცი პირზე მიედო და ხველებას იოკებდა.

— რა იყო, შუქრი, ვინმე ხომ არ გჩაგრავს?

ეზიზლებოდა ეს ბიჭი, რაღაცა სჭირსო და იმიტომ, მაგრამ შუქრი სასარგებლო ვინმე იყო, მოეფერებოდი და ენაზე არაფერი გაუჩერდებოდა.

იპოლიტემ ძმაკაცივით გადაპხვია ხელი, კაბინეტში შეიყვანა, ხუმრობა-ხუმრობით, სიცილ-სიცილ ამოქაჩა, რაც აწუხებდა.

— ჰო, რუხი მგლები!.. — ტკბილი სიტყვა ალხობდა შუქრის. — აი, ასე... — ხმადაბლა შეჰყმუვლა კიდეც. — სულ მაგარმაგარი ბიჭები ვართ... აუჰ, ღორჯოლა მაგარია...

ჯიბეში სამმანეთიანი ჩაუდო იპოლიტემ, აფთიაქში ჰემატოგენი იყიდე, ჯანმრთელობას რგებსო და გაისტუმრა.

საღამოს გია ხატიაშვილი მოიხელთა, მხარზე ხელი შეთქმულივით დაჰკრა და წასჩურჩულა:

— რკინის დისციპლინა უნდა დავამყაროთ მე და შენ, ხროვის ბელადო, აქ!

უცებ მიშიკო ძაგანიას ნათქვამი გაახსენდა, გულისაშვილები აპირებენო მოსვლას, ნიკო ბჟალავას ყოფილი მშობლები. გულმა რეჩხი უყო, რა უდროო დროს შემოეჩირნენ ახლა!

პირადად მე ზღვის ავადმყოფობა არ მაწუხებს. აგერ, ოხოტის ზღვაზე, ჩემი მცირედი მეზღვაურული გამოცდილებით ძლიერ შტორმს რომ შევეჩეხე და ჩვენი რკინის ხომალდი ასანთის კოლოფივით აღმა-დაღმა დატორტმანდა, დავრწმუნდი — ზღვა ჩემი სტიქია ყოფილა. მაგრამ აი, გადაიარა უამინდობამ, ჩადგა ქარიშხალი, წვრილი ტალღები თუ გადაქოჩრავდა ზღვის სწორ ზედაპირს. სწორედ ამ დროს ვიგრძენი გულისრევა, მივხვდი, რა ავადმყოფობაც შემეყარა — იპოლიტე კვირკველიაზე ვფიქრობდი დიდხანს, მისი სხვადასხვანაირი ჰიპოსტასი წარმომიჩნდა. იმ ბეჭედეს, იპოლიტე კვირკველია რომ ერქვა, თურმე სხვა წახნაგიც ჰქონია, სხვა განზომილებაც და ამიტომაც გამხადა უქეიფოდ მისმა გახსენებამ.

მხედველობაში მაქვს იპოლიტეს ამურული თავგადასავლები. გასაოცარი ის იყო, ელიკოსნაირი ქალისათვის ვერ მოევლო იპოლიტეს, სხვათა ბოსტანში კი ცდილობდა გადაბობლებას. ზრდასრული ქალები ახლოს არ იკარებდნენ და რაც ამათთან არ გამოსდიოდა, პატარა გოგონებთან ახსენდებოდა. რა თქმა უნდა, ფრთების გაშლას აქაც ვერ მოახერხებდა, ეშინოდა საიდუმლოს გამუდავნებისა და უცილო სასჯელისა, მაგრამ ხანდახან ეშმაკობისა და მოურიდებლობის წყალობით ნანატრი უსრულდებოდა. ერთი-ორჯერ ისე ჩაიარა ამ ამბავმა, ვითომც არაფერიო. ის გოგონები დიდი ხნის წინათ გასცილდნენ აქაურობას და იპოლიტეს მათი ბედი არც აინტერესებდა. ერთი ისეთი ეშმაკის ფეხი გამოერია, აქეთ გამოიჭირა. მიხვდა თავის ძალას, არც არაფერი დაუთმია, მაგრამ იმის საფასურად, იპოლიტემ კაბინეტში შემიტყუა, ჩახდა მომინდომაო (ვიღაცამ კარზე დააკაკუნა და იპოლიტეს ხელი მოეცარა), ყოველ კვირა დღეს თუმანს სთხოვდა და იპოლიტეც იძულებული გახდა, ეხადა ეს ბეგარა. იმ გოგომ მალე მოამთა-

ვრა რვა კლასი და იპოლიტე შეეცადა, სადმე შორეულ პრო-
ფექციურ სასწავლებელში გაემნეს ებინა.

ერთი წლის შემდეგ სხვა ფათერაკი გადახდა. დიანოზი
თბილისში იყო წასული. ელიკო რაიცენტრში დაიბარეს, წლი-
ური ბალანსი უნდა ჩაებარებინა. წასვლის ნინ მერვეკლასე-
ლი გოგონა მოიყვანა, კუშტი, სახენაყვავილარი ბავშვი, ჩემს
მოსვლამდე სახლს მიმილაგებსო. იპოლიტეს ამ დროს ეძინა.
ნინადღის ნამთვრალევი იყო, გვიან დაწვა და დროზე ვერ
გაიღვიძა. თვალი რომ გაახილა, ცოლს გასძახა, ელიკო, წყა-
ლიო. მეზობელ ოთახში ფეხის ხმა მოისმა და გოგონამ შე-
მოიხდა. იპოლიტემ, — ელიკო სად არისო. გოგონამ — ქალაქ-
ში წავიდა. მაშინ შენ მოდი აქო. გოგონა ვერაფერს მიხვდა,
გულუბრყვილოდ მოუახლოვდა. აგერ ჩამოჯექიო, უბრძანა
იპოლიტემ. გოგონა ჩამოჯდა. იპოლიტემ — კაი გოგო, კაი
გოგოო, — საკინძე შეუხსნა და ხელი შეუყო. გოგონა ახლადა
შეფრთხიალდა, გაინია, მაგრამ კაცმა არ გაუშვა, თან მუქარით
— „ჩუმად, ხმა არ ამოიღო!“ ბავშვი ატირდა. იპოლიტემ მის
ტირილს ყურადღება არ მიაქცია, მაგრამ სწორედ ამ დროს გაი-
ჭრიალა კარმა და ზღურბლზე ელიკო გამოჩნდა.

ვითომც ვერაფერი შეამჩნია ელიკომ, გოგონა გამოიხმო
ოთახიდან, სახეში არც შეუხედავს, მიდი, პირი დაიბარეო, უბრ-
ძანა. აქეთობისას ბაზარში გამოევლო და საყიდლების გადა-
რჩევაში დაიხმარია, ტკბილეული აჭამა, ნაძალადევი ღიმილით,
— რამ შეგამინა, შე გლახა, იპოლიტე ბიძია გაგეხუმრა, ოლონდ,
იცოდე, არსად არაფერი წამოგცდესო და გაისტუმრა. მთელი
ამ ხნის მანძილზე იპოლიტე გასუსული იწვა და თავს იმკვდა-
რუნებდა. მარტო რომ დარჩნენ, ელიკომ ბაზრის ნავაჭრიდან
ღომის შესაზელი ახალთახალი ჩოგანი ამოიღო და ხმის ამო-
უღებლად ურტყა და ურტყა. იპოლიტემ საბანი თავზე წამოი-
ფარა. ყოველ დარტყმაზე შესაბრალისი კრუსუნით პასუხობ-
და. ასეთი ახსნა-განმარტება საკმარისი აღმოჩნდა. იპოლიტემ,
გრიპი შემეყარაო, და ერთი კვირა არ გამოსულა შინიდან. იმ
საწყალ გოგოს ხმა არსად ამოუღია, მაგრამ ელიკომ იმდენი
ქნა, ვითომც ამ ბავშვზე გული შემტკიცაო, და სხვა, „უკეთეს“
საბავშვო სახლში გადააყვანინა. კარგა ხანს იყო იპოლიტე

თავდახრილი, ბალახივით წყნარი და მორიდებული. ცოლს ვერ
უბედავდა სიტყვის შებრუნებას, მაგრამ ადამიანს სხვისი დან-
აშაული და შეცოდებანი ეჩხირება თვალში, თორემ საკუთარი
იოლად ავინყდება. არც ელიკო ახსენებდა იმ ამბავს, გული
ემდვრეოდა და იმიტომ.

რაღაც ეშმაკად, ბოლო დროს მიმოზა კაციას დაადგა იპ-
ოლიტემ თვალი. რაში უნდა დასჭირვებოდა ეს მოცუცენული,
საწყალი გოგო, მაგრამ შემთხვევით ყური მოკრა მიმოზას
უბედურების ამბავს. იპოლიტესთვის ეს უბედურება სულაც არ
იყო ტრაგედია. მსგავსი ამბავი მხოლოდ უხამს ხვიხვინს თუ
მოგვრიდა. პირიქით, გაუხარდა კიდეც, იოლი ეჩვენა გოგოს
დამორჩილება. მიმოზას სული ხომ ისედაც დათრგუნვილი იყო
და იპოლიტეს მცირე მცდელობაც იკმარებდა. შეურჩია კიდეც
დრო. ეთერ იოსავა ავადმყოფობდა ამ დროს და ბიულეტენი
გაიფორმა. იპოლიტემ საკუჭნაო ჩაიბარა დროებით. დერეფან-
ში მიმოზა მოიხელთა და ახალი პირსახოცები უნდა დაგირიგ-
ოთო, ისეთი კილოთი უთხრა, შეკამათება არ შეიძლებოდა. საქმიანი
იერით მიდიოდა საკუჭნაოსაკენ, გასაღებების ასხმუ-
ლას მიაჩხარუნებდა. მიმოზა კი მორჩილად მიგოგმანებდა ფე-
დაფებ. იპოლიტე ვერ ხედავდა გოგონას, მაგრამ მის წარმო-
სახვაში ცოცხლდებოდა რაღაც თოთო, რბილი, სასურველი და
რაც უფრო უახლოვდებოდა საკუჭნაოს, მით უფრო უცხო-
ველდებოდა ჟინი.

გასაღები ძლივს მოახვედრა კლიტეს. შევიდა და შემოდიო,
ჩახლეჩილი ხმით უბრძანა. მიმოზა დააფრთხო ამ ხმამ. უკან
გაბრუნება მაინც ვერ გაბედა, ზღურბლს გადააბიჯა. იპოლი-
ტემ კარი ჩაკეტა და მხარზე ხელი სტაცა, თეთრეულის შეკვ-
რისაკენ უბიძგა. მიმოზას თავზარი დაეცა, ხმა ვერ ამოიღო.
იპოლიტემ მისი დუმილი თანხმობად ჩათვალა, გოგონას წელზე
ხელი შემოჰვია. მიმოზას მუხლები მოეკვეთა, კაცის მკლავებს
შორის ჩასრიალდა და ძირს დაეშვა. კაცი უცბად ვერ მიხვდა,
რაც მოხდა. გოგონა გონდაკარგული ეგდო და პირისახე მიტ-
კლისფერი გახდომოდა.

იპოლიტეს პირკატა ეცა. მუხლებზე დაეცა, ლოყებზე მო-
უტკაცუნა, ყურის ბიბილოები მოუსრისა.

მიმოზა თითქოს არც სუნთქავდა.

მიხვდა იპოლიტე, რაოდენ შორს შეტოპა და თვითონაც იღუპებოდა. საშინელმა, შემზარავმა აზრმა გონება დაუბნებლა. დაავლო ხელი და საკუჭნაოს სიღრმისაკენ წაათრია. იქ უნდა გადაემალა ჭუჭყიანი თეთრეულის გროვაში.

გონს დროზე მოეგო. ხელებში ღონე წართმეოდა და ერთიათად დამძიმებული გოგონა უვარდებოდა. შეეშვა. კარი გამოალო და დერეფანში გაიხედა. არავინ ჩანდა. შიშისაგან მთლად ოფლად გაღვრილიყო და თავპრუ ეხვეოდა.

კვლავ იღლიაში ჩავლო ხელი. საშინლად ემძიმა. ხვენება-ხვენეშით გამოათრია დერეფანში. იქ ერთი ძველი, მონგრეული ტახტი იდგა და იმაზე დააწვინა.

საკუჭნაოს კარი ჩაჟეტა და დერეფანი სწრაფად გაიარა. საბედნიეროდ, არავის დაუნახავს.

მთელი წუთი პარმალზე ითქვამდა სულს და ამ დროს გამოჩნდა პელო ნინუა. ბალიშისპირების დასტა მოჰქონდა.

— ხომ კარგად გააუთოვე, ბებერო? — ნაძალადევად შეეხუმრა. ხმას ჯერ კიდევ ვერ იმორჩილებდა, ჩახრინნოდა. — მოდი, მოგეშველო!

ნახევარი გამოართვა. ერთად წამოვიდნენ საკუჭნაოსაკენ. ტახტამდე რომ მიაღწიეს, იპოლიტემ შეიცხადა, ვაიმე, ეს რა არისო. გარეცხილ-გაუთოებული ბალიშისპირები ძირს დაყარა და მიმოზას მივარდა.

პელო ნინუა აკივლდა.

მოცვივდნენ სხვებიც.

გოგონა ძლივს მოაბრუნეს, სამი დღე იწვა მავრა ექთანის იზოლატორში.

მავრა დაეკითხა, მაგ დერეფნის ბოლოს რა გინდოდაო. მიმოზა განითლდა, არაფერი მახსოვსო, წაიჩურჩულა.

აბა, სად გტკივაო, ქალაქიდან მოწვეულმა ექიმმა სტეტოსკოპი მოუმარჯვა. აი, აქაო, — გულზე ხელი მიიდო გოგონამ, უპეში ცრემლი გაუბრნებინდა... აბა, აბა, ნუ გეშინიაო, ნაძალადევი მხიარულებით ლოყაზე მოუთათუნა ექიმმა...

იპოლიტემ პირველ დღეს ვერ გაბედა, მეორე დღეს კი მოაკითხა. კარამელის კამფეტები მოუტანა. მიმოზას ზაფრანისფერი დაედო, ენა მუცელში ჩაუვარდა. კაცმა, ვითომც

არაფერიო, გაუცინა, რამ შეგაშინა, გენაცვალე, ცუდად ხომ არ მოგექცნენო. თუ ვინმემ რამე გაგიბედა, მითხარი და მე ვიცი, რასაც ვუზამო. ჩვენ ხომ შენთვის უცხო ხალხი არა ვართო. პირადად მე მამობრივი გრძნობის მეტი არაფერი მამოძრავებსო...

მიმოზა უსმენდა და მის მკერდში ჩაბუდებული ჩიტის სუსტი გული შიშიანად იკუმშებოდა...

32

წინა ღამეს, ძილის წინ პაპუჩი ეძგვერაძემ გადმოსცა საიდუმლო ბარათი. თავზე ასევე ეწერა ბატიფეხურით: „საიდუმლო ბარათი. როცა წაიკითხავთ, დაწვით!“ ტექსტის ირგვლივ ფერადი ფანქებით დახატული სისხლიანი გულები, გადაჯვარედინებული ხმლები და თავის ქალები ეხატა, შუაში კი ჩაეწიკივებინათ: „თუ მკერდში ვაუკაცური გული გიცემს, თუ შიში უცხოა შენთვის, ხვალ, ნაშუადღევს, ხუთ საათზე და თხუთმეტ წუთზე, ბროლილელის პირას მოდი, ხიდთან!“

ცირდავამ პაპუჩის თვალი ჩაუკრა, თითო ტუჩზე მიიდო, აქაოდა, ქვასავით ვდუმვარო. ქალალდს კი ასანთით ცეცხლი ნაუკიდა.

დათქმულ დროს ეზოდან ისე გავიდა, ვინმეს არ ეეჭვიანა. განგებ თამაშობდა შეთქმულის როლს, თორემ ვის ეცალა მისთვის.

ჯერ სოფლის შარაზე იარა, ვითომც სკოლისაკენ მივდივარო. მერე ტყის ბილიკზე გადაუხვია, შორიდან შემოუარა, ბროლილელზე ხიდად გადებულ თხმელის მორს მიაღწია.

პაპუჩი ელოდებოდა, მოუთმენლად ცმუკავდა. ცირდავა რომ დაინახა, ხმადაბლა დაუსტვინა. საპასუხოდ ბუჩქებიდან ძმებმა ღურწკაიებმა გამოყვეს თავი.

ცოტნემ ჩაახველა, გაუბედავად ჰკითხა:

— ჩვენი ბარათი მიიღეთ?

— მივიღე და ბრძანების თანახმად იქვე დავწვი! — ცირდავა სერიოზულად შეჰყურებდა ბიჭებს.

— თანახმა ხართ, შეასრულოთ ჩვენი მოთხოვნები?

— თანახმა ვარ! — უყოფმანოდ უპასუხა.
— თვალი უნდა აგიხვიოთ და ისე წაგიყვანოთ!
ოპო, სერიოზული ამბავი ჩანდა!
— თანახმა ვარ! — ღიმილი დამალა ცირდავამ.

პაპურიმ უბიდან წითელი ნაჭერი დააძვრინა. ცირდავა ჩაცუცქდა და ბიჭებმა თვალი აუხვიეს. მერე ცოტნე და ბაკური აქეთ-იქით ამოუდგნენ და დაიძრნენ.

ნელა მიდიოდნენ. დევი ტოტების შეხებას გრძნობდა ხან-დახან. ეკლიან გლერძებს განზე სწევდნენ ალბათ. გუნებაში იღიმებოდა. ბავშვობაში თვითონაც შექმნა მეკობრეთა რაზმი, რომლის ერთადერთი მიზანი ვერულავების ხილზე თარეში იყო... თვალახვეულიც მშვენივრად ხვდებოდა, რა ბილიკსაც ადგნენ და სულაც არ გაუკვირდებოდა, იქ, ეკვდერის ჩრდილ-ოვან ეზოში შავ ალამს თუ დაინახავდა, ზედ დახატული თავის ქალათი და გადაჯვარედინებული ძვლებით.

წამით შეყოვნდნენ. ბილიკიდან გადაუხვიეს. ვიწრო, ჩაბ-ნელებულ ჯაგებში გაიკვლიეს გზა. ამას იმით მიხვდა, სახეზე რომ ჩრდილი დაეფინა და ნესტიანი სიგრილე შეისუნთქა. ერთგან გვერდულად ატარეს. კარგად ახსოვდა, აქ ხავსმოდებული საფლავის ლოდი ეგდო. ფეხი ასწიეო, რომ სთხოვეს, ეკვდერის ზღურბლი უნდა ყოფილიყო. მერე ფეხებქვეშ ბალ-ახის სირბილე იგრძნო და გააჩერეს...

ღორჯოლამ მისწი-მოსწია აქოთქოთებული ბავშვები, მაგ-ნოლიას რომ გარს შემოხვეოდნენ. ხის ტანზე თაბახის ფურ-ცელი იყო მიკრული. ზედ გამოესახათ სიმპათიური, ღიპიანი კაცი, რომელსაც მეზღვაურის მაისური ეცვა, ბუდიონური ულვაშები მამაცურად აეპრიხა, ჩიბუხი პირში გაერჭო და ხალ-ისიანად იღიმებოდა. ჩიბუხის ბოლი რგოლებად იკვრებოდა და ფურცლის თავზე ასოებს ქმნიდა. ამ ასოებით კი იკითხებოდა სიტყვა — „გირჩევთ!“ ძირითად ტექსტში ავტორი მკითხველს ურჩევდა, რუხი მგლების ხროვიდან რუხი ვირების ჯოგში გა-დასულიყო, ყმუილი ვინც ისწავლა, ახლა ყროყინს მისჩეოდა,

ტლინკების ყრა აეთვისებინა, ხოლო ხროვის ბელადს „ღრმად-პატივცემულ ჩოჩრად“ მოიხსენიებდა.

ღორჯოლას ბოლმისაგან სუნთქვა შეეკრა, მოკიდა ხელი და ფხრენით ააგლიჯა.

მოგვიანებით, ცოტათი დაწყნარებული, ონკანთან მივიდა და ცხვირწინ, კედელზე კიდევ ერთი პროკლამაცია იპოვა. ამჯერადაც ზედ გამოსახული მრჩეველი წინას ჰგავდა. შუაში ეხატა მულტფილმების სერიალის გმირი მგელი, რომელიც კურდლებში შევარდნილიყო, ხიდან ქალალდა გლეჯდა, დამ-ფრთხალი კურდლები კი თავქუდმოგლეჯით გარბოდნენ.

ღორჯოლა კარგა ხანს ხმას ვერ იღებდა, მერე იქ მყოფი ბიჭების გასაგონად გამოსცრა:

— ვიღაცას, ვატყობ, ორი თავი აბია! — მისწვდა და ჩამო-ფხრინა.

ნავახშმევს სამეცადინო ოთახის კარზე მესამე ფურცე-ლი რომ დაინახა, ტანში გასცრა. ამჯერადაც უცნობს მგელი დაეხატა, ოღონდ ორი თავი ება და თვალებს ისე ქაჩავდა, ყვე-ლას გადაყლაპვას უქადისო. რჩევა კი ერთადერთი ენერა: „ბეკეკებო, ხროვის ბელადს შორიდან აუარეთ, ფერება-ფერ-ებაში არ შემოეჭამოთ!“

ამის ჩამოხევა ვეღარ მოასწრო, გოგონების ტკარცალმა შეაჩერა.

ცისია დევდარიანი გოგონებთან ერთად კარზე გაკრულ ფურცელთან შეყოვნდა.

— ა, ბატონო, რიგიანი კედლის გაზეთი ვერ გამოგვიცია და... თურმე რა ნიჭიერი ბავშვები გვყავს! — გაეცინა ცისიას.

— ოღონდ ვერაფრით მივხვდი, ვინაა „ხროვის ბელადი“?

— „აბა, დამაცადეს“ ჰგავს, მაგრამ რატომ აბია ორი თავი?

— იკითხა შოვნა ჩართოლანმა, აწონილმა, უპეჩაშავებულმა გოგონამ.

აქ კი მიმოზა კაციამ — გულუბრყვილოდ:

— ვაიმე, ვიღაცას მაგონებს! — და უცებ ღორჯოლას დაა-დო თითო. — აი, ამას!

„აი, ამასო!“ ფუნთუშა ცქიფურიშვილი ერთიანად ათახ-თახდა, უფროსჯგუფელები მარინე ტორონჯაძე და ნათელა

ტაკიძე ჩაბჟირდნენ. ეს ჭორბიურო მანანა ჩიტაია კი დაბარებულივით მოვარდა — „ჰი-ჰი, ეგ რა ამბავი ხდება?“ ცხადია, ეს ამბავი მთელ საბავშვო სახლს მოედებოდა დიანოზ ვერულავადან ვიდრე დათური ცქიფურიშვილამდე.

ღორჯოლას ფერთურმა გადაურბინა. არ იცოდა, რა ეთქვა. დამფრთხალ მიმოზა კაციას მიაშტერა მზერა და მართლაც მგელივით შეულრინა — „ღრრრ!“ გოგონამ ვაიმეო, ნაბიჯი უკან გადადგა.

ცისიამ, შემრიგებლურად, კაი, ერთი, ნუ აშინებ ბავშვსო.

ღორჯოლამ ცივად ჩაიცინა და გაშორდა.

დიდხანს მოესმოდა გოგოების კაკანი და გულს ასკდებოდა. ყველაზე მეტად მიმოზაზე იბოლმებოდა, იქნებ იმიტომ, მასზე უთქმელი და ნაზი არსება არასოდეს შეხვედროდა, სინაზეს კი დანაშაულად უთვლიდა, როგორც რაღაც უცხოს, არამინიერს, მიუწვდომელს. ამან მაინც როგორ გამიბედაო, ფიქრობდა, თუმცა კარგად იცოდა, მიმოზას უნებლიერ წამოძახილი მიამიტობა და გულუბრყვილობა იყო, მეტი არაფერი.

ქუცნა ჭედია მონახა, ვხვდები, ვინც მიკეთებს ამას, მაგრამ მაინც შემიმოწმეო. ქუცნა გასუნსულდა, აღმა-დაღმა ირბინა, საეჭვო პირთ დაეკითხა. ჩვენმა საერთო ნაცნობმა ნიკანორმა, სიცილი დააყარა, რომ შემეძლოს, უკან არ დავიხევდი, მაგრამ რომელი მხატვარი მე მნახეო; პაპური ეძგვერა-ძემ თვალები დააფახულა, მაგისი დამწერი ვარო? ორი სიტყვა ვერ მიმიბამს ერთმანეთზეო; მამუკა გიორგაძემ — მოგცლია ერთი, ჩემს სამეცადინოს ვერ ავუდივარო; ბიჭიკო და კუჭუნა ცქიფურიშვილებმა, აქედან შეუბრეუ, თორემ მალევე იწვნევ, რისი ღირსიცა ხარო; უფრო პატარებზე ეჭვის მიტანა ზედმეტიაო, ასკვნიდა ქუცნა ჭედია; ბოლოს ისიც თქვა, იქნებ თვითონ ცისია დევდარიანი ირჯება სამაგისოდო...

დილით, საკუთარი საძილე ოთახის კარზე ბიჭებს ახალი ფურცელი დახვდათ: საკარცხულში ჩამჯდარ ორთავიან მგელს თავები მოწყენით ჩაექინდრა და ცრემლები მტევანებივით ეკიდა. იქვე მანჭია მაიმუნი ჩაცუცქულიყო და ცრემლებს ქოთანში აგროვებდა. ქვევით კი ეწერა: „მგლობიდან მაიმუნობამდე ერთი ნაბიჯია!“

იპოლიტე კვირკველიამ კაბინეტში დაიბარა ცისია დევდარიანი და მკაცრად ჰკითხა:

— დევდარიანო, თუ იცი, რა საქმე გაბარია?
ცისია უხმოდ მიაჩერდა.

— შენს ხელთა ჩვენი აღსაზრდელების სული! შენ კი რას მიკეთებ? კონფლიქტურ ვითარებას ქმნი!

— მე? — გაიკვირვა ცისიამ.

— დიახ! აპა რასა ჰგავს, კედლები აჭრელდა უხამსი ნახატებით, რომლებიც ეწევიან ზოგიერთი მოზარდის დისკრედიტაციას. ეს თუ შენი თაოსნობით კეთდება, ამას არც კედლის გაზეთი ჰქვია, არც მუშაობა!.. — სული მოითქვა იპოლიტემ, პირში კარამელი ჩაიდო, მოწუნნა და ნათქვამს დაამატა: — ვერ ხედავ, რა დონეზეა დისციპლინა? შენ კი შენი ელვა-ნახატებით...

— მე არაფერ შუაში ვარ!

— მერე რატომ? შენ საქმის კურსში უნდა იყო და დროზე გაგვაგებინო ხოლმე. აი, ნახავ, ყოველივე ეს ცუდად დამთავრდება და ამ ამბავს ორივენი შევენირებით, შენც და მეც!.. ისე, — იპოლიტე ცისიას სკამის ზურგს დაეყრდნო და პირი ყურთან მიუტანა: — ისე... — პირიდან კარამელის მოტკბო სუნი ამოსდიოდა და ქალიშვილმა თავი გასწია. — ბავშვების გაკეთებულს არა ჰგავს ეს საქმე!

— რატომ? ბავშვებიც თამაშობენ დიდობანას!

— ჰმ, დიდობანას თამაში!.. მე უფრო დავიჯერებდი, დიდები რომ თამაშობენ პატარობანას. აი, შენი უურნალისტი, მაგალითად...

— ჩემი რატომ? ცირდავა საბავშვო სახლის სტუმარია! — ცისიას სახე აელანდა.

იპოლიტემ ორაზროვნად ჩაიქირქილა, სავარძელს დაუბრუნდა.

— დაელაპარაკე ერთი, საკადრისი არ არის, წყალს რომ ამღვრევთ-თქო!

— თუ გნებავთ, თვითონ დაელაპარაკეთ! — უკმეხად შეეპასუხა ცისია და კაბინეტიდან გავიდა...

იმავე საღამოს პირველი კორპუსის დერეფანში, დიანოზის კაბინეტის კარზე, ახალი ფურცელი გამოჩნდა. ზედ ყვავი ეხატა. ფრთებქვეშ ორთავიანი მგელი შეეფარებინა. ყვავს სახე იპოლიტესი ჰქონდა...

დიახ, თავის ხელობაში გაწაფული მწერალი აქ საიდუმლოებებს დახლართავდა, ცნობისმოყვარეობას გააღვივებდა. რაიმე ისეთ ილეთს გააკეთებდა, გაოცებისაგან პირდაღებულებს დაგვტოვებდა. ხომ შეიძლება, მაგალითად, ცირდავას ეკვდერში დიდი ნიკანორი დავახვედროთ? პირში ჩიბუხგაჩრილი, მეზღვაურის მაისურებიანი, საყვარლად ლიპიანი დიდი ნიკანორი ხმის ჩასანმენდად ჩახველებს: ჰემ, ჰემ... და თავის კოტიტა, ღონიერ ხელს გამოუწვდის. ცირდავა კი მართლაც პირდაფჩენილი მიაჩერდება.... ანდა, ვთქვათ, „ოხოტსკს“ გარიდებული ზღვის მგელი — ნიკანორ ბჟალავა დროის მდინარებას უკულმა შეაბრუნებს და თავისი მატროსული კუბრიკიდან პირდაპირ ეკვდერის სურომოდებულ დარბაზში მოადენს ტყაპანს, პარდონ, ბოდიში, ჩემს ბავშვობაში ერთი წუთით შემოვირბინეო... კიდევ უკეთესი, თუ შორეული ცურვის კაპიტნის სამხრებიანი ნიკანორ ბჟალავა მომავლიდან გვეწვევა, ჭაღარა ულვაშებზე ხელს გადაისვამს და დროის ეშმაკობის წყალობით, თავისზე ბევრად უმცროს ცირდავას წარუდგება... ჰო, ჰო, კალამი ხომ ჩემია და საითაც მივმართავ, იქითკენ გაიცევა. ოღონდაც, მე გულუბრყვილო და ალალმართალი მთხობელი ვარ, ზედმეტი წერტილითაც ვერ შევალამაზებ, რაც იყო. ამბის მომხიბლაობა ამით ზარალდება, მაგრამ ჭეშმარიტება წმინდაა...

პაპუჩიმ და ღურნეკაიას ბიჭებმა ცირდავა რომ შემოიყვანეს, მე უკვე პარტიზანული რაზმის „ვერასულას ბიჭების“ ბელადი გახლდით და გაჯგიმული ვიდექი იმ ადგილას, სადაც ოდესალაც აღსავლის კარი უნდა ყოფილიყო.

ცირდავას თვალი ახვეული ჰქონდა, სათვალე გულისჯიბეში ედო. რაც წვერი მოიპარსა, უფრო ახალგაზრდა მეჩვენებოდა. თანამედროვე „სვეტი“ ტიპი იყო, ოღონდ ისეთი, თავისი „სვეტობით“ რომ არ ყოყოჩობს, ზევიდან არავის დაჰყურებს და აგერ ჩვენს ბავშვურ თამაშებშიც ხალისით ებმება.

სულაც არ მიკვირს, ასეთი ტიპი ვინმეს, თუნდაც ცისია დევდარიანს მოსწონდეს. ეს ისე წამომცდა, ჩემთვის არავის უთქვამს, ცისიას სტუმარი მოსწონსო... იქნებ ეს ორი სული პირველად მე დავაკავშირე ჩემს წარმოსახვაში.

რაზმში, ბარე აქვე ვიტყვი, ათიოდე ბიჭი მოგროვდა. ცოტნე და ბაკური უკვე დავასახელე, ახლა ისინი ვალმოხდილი ადამიანების გამომეტყველებით განზე გადგნენ. ბიჭიკო ცქიფურიშვილი წარბშეჭმუხვნილი იბლვირება, კუჭუნა ჩაცუცქულა და მოუთმენლად ცმუკავს. მამუკა გიორგაძეს თავი დარბაისლურად უჭირავს, თამაში სერიოზულობის ზღვარამდე აჰყავს ხოლმე. გონელი ჩიჩუა კუთხეში იმალება. „ჰემ. ჰემ!..“ — ბარიტონს იმოწმებს, მოსწონს ეკვდერის აკუსტიკა... ყველას არც ჩამოვთვლი, თორემ სია გამომივა... პაპუჩი ზღურბლზე დარჩა, თუმცა გამქცევი აქედან არავინაა.

— მოქალაქე დევი ცირდავა! — ხმამაღლა, საზეიმოდ წარმოვთქვი. — დაიფიცეთ, რომ, რასაც აქ წახავთ და გაიგონებთ, საიდუმლოდ შეინახავთ!

— გულში ღრმად ჩავიმარხავ და პირიდან ვერავინ ამომგლეჯს! — ასევე საზეიმო კილოთი მპასუხობს ცირდავა.

— უბრალოდ თქვით, „ვფიცავ!“

— ვფიცავ!

— შეგიძლიათ, სახვევი მოიხსნათ!

ცირდავა სახვევს იხსნის და სათვალეს იკეთებს.

— მეგონა, თვით დიდი ნიკანორი დამხვდებოდა! — ელიმება. — ოცნებად გადამექცა მისი გაცნობა!

— ჩვენ ყველანი დიდი ნიკანორის შეიღლობილები ვართ! — ვუხსნი. — ესე იგი, ნიკანორისტები. ოღონდ ეს საიდუმლოა. ისინი თუ „რუხი მგლებია“, ჩვენ „ვერასულას ბიჭები“ ვართ, ისინით „ლორჯოლისტებია“, ჩვენ „ნიკანორისტები“ ვიქნებით... ჩვენს საიდუმლოს მხოლოდ ღირსეულთ ვანდობთ. თქვენი თავდებია პაპუჩი ეძგვერაძე, იმან აიჩემა, ჩვენი ჭკუისააო...

ამ სიტყვების შემდეგ ცირდავას ხელი მოვკიდე და კუთხის ლოდთან მივიყვანე. ლოდი მაგიდის მაგივრობას გვიწევდა. ირგვლივ ქვები ეყარა და ერთიც ხის მორი ეგდო. დავსხედით და სათქმელი პირდაპირ ვაჯახე:

— ჩვენ ომს ვუცხადებთ რუს მგლებს, ესე იგი ღორჯო-ლისტებს! ასე არაა, ბიჭებო?

ბიჭებმა გაფარჩეული საჩვენებელი და შუათითი ასწიეს, აქაოდა „ვიტორია“, ჩვენ გავიმარჯვებთო.

— მაინც რას გიშავებენ ეს ღორჯოლისტები? — იკითხა ცირდავამ.

— თავი მოაქვთ, რა! — მინდა ავუხსნა. — მუშტებზე იხე-დებიან! რაკი მაგოდენა სახედრები დაიზარდნენ, სხვებმა ფე-ხისგულები უნდა მოგვფხანონო!

— მაშასადამე, თუ სწორად გავიგე, ცალ-ცალკე ღორჯო-ლას ვერ მორევიხართ და ერთად იმიტომ შეიყარენით! — ცირდავას სათვალე მეტად სერიოზული და ჭკვიანი კაცის იერს აძლევდა. — დღეს-ხვალ, როგორც ვატყობ, ნიკანორისტები შეუტევენ ღორჯოლისტებს, ღორჯოლისტები — ნიკანორის-ტებს და აქამდე თუ საბავშვო სახლს, „სიხარული“ ერქვა, გახდება „ცემა-ტყეპის“ სახლი, სადაც მართლაც მუშტი იქნება მთა-ვარი. დღეს ისინი გვცემენ, ხვალ — ჩვენ...

— ისინი ვერ გვცემენ! — მოუთმენლად გავაწყვეტინე. — ვერ გვცემენ, თუ თქვენ, ძია დევი, ჩვენ ამოგვიდგებით და კარატეს ილეთებს გვასწავლით!

— აი, თურმე რატომ მომიწვიეთ! ვთქვათ, დაგთანხმდით, გასწავლეთ რაღაც ილეთები, თქვენ კი წახვალთ და ღორჯო-ლას სცემთ. ასე არ გამოვა! ვატყობ, დღეს თქვენ გჩაგრავენ, ხვალ — თქვენ დაჩაგრავთ!

— მაშ, რაღა ვქნათ? — იკითხა მამუკა გიორგაძემ. — სანამ მკაცრი დირექტორი გვყავდა, კიდევ ჰო!.. დიანოზისა მასწავლებლებსაც ემინოდათ, იპოლიტე კი... ჰი! — ხელი აგდებით ჩაიქნია.

— დიანოზი არსად აპირებს ჯერჯერობით წასვლას! — დაყვავებით თქვა ცირდავამ. — ჯობს ავწონ-დავწონოთ. ჩხუ-ბითა და მუშტი-კრივით ნუ შევეჯიბრებით რუს მგლებს. ისე მოვიქცეთ, მგლობისა რცხვენოდეთ და თვითონ მორბოდნენ, ნიკანორისტებში მიმიღეთო...

ბიჭები ერთბაშად აყაყანდნენ, ზოგმა რა თქვა და ზოგმა რა. შეთქმულება აბა რისი შეთქმულებაა, თუ ყველამ ერთ-

ბაშად მოაღო პირი და ქვეყანას გააგებინა, აგერა ვართ, ვთათ-ბირობთ, მოდით და მოგვისმინეთო.

— ხმადაბლა, სსს-უ! — დავისისინე.

უმაღვე ჩურჩულზე გადავიდნენ.

— ჩვენ უნდა გვქონდეს ჩვენი პროგრამა, უნდა ვიცოდეთ, რა გვინდა და რისთვის ვიკრიბებით! ღორჯოლას გასალახად ამოდენა რაზმის შეკრება ნამეტანია! — განაცხადა ცირდავამ.

— ბიჭებო! — ცირდავას ნათქვამი ჭკუაში დამიჯდა. — მე, მაგალითად, მგონია, რომ მთავარია, პატარები არ დავა-ჩაგვრინოთ!.. თუ ჯიბეში კანფეტი გაქვს, მიეცი, თუ ტირის, გააცინე, თუ დანაღვლიანდა, მოეფერე... მე აგერ მარის ვმფა-რველობ!

— შესანიშნავია! — მოეწონა ცირდავას. — მივხედოთ პატარებს, რაინდობა გამოვიჩინოთ!

— გოგოებიც არავის დავაჩაგვრინოთ! — დინჯად ამოღ-ერლა ბიჭიკომ.

— მართალია! — მხარი აუბა ცირდავამ. — კაცები ვართ და გოგონები უნდა დავიცვათ!

— მე თუ მკითხავთ, დიანოზი დაბერდა და, რახან პენსიაზე გადის, ახალი დირექტორი სულაც არ გვინდა, რესპუბლიკა გამ-ოვაცხადოთ და ჩვენი სახლი ჩვენ თვითონ ვმართოთ! — მა-მუკა გიორგაძეს კოჭებში ეტყობოდა, შორს რომ წავიდოდა.

— იპოლიტეს მმართველობა აღარ გვინდა! — ხმა შეანია ბიჭიკომ. — ჩვენც ხომ უნდა გვკითხონ?

— თუ პირში წყალი ჩავიგუბეთ, ვინ რას გვკითხავს! — ჩაურთო პაპუჩიმ.

— ამიტომ საჭიროა დავაარსოთ არალეგალური გაზეთი, აი, ასეთი! — და საგანგებოდ ამ შემთხვევისათვის გადანახუ-ლი ფურცელი ამოვაფრიალე.

ჩემი და პაპუჩის ერთობლივი ნახელავი გახლდათ.

ზედ კუთხეში ფერადი ფანქრებით მეზღვაურის მაისურე-ბიანი დიდი ნიკანორი დაეხატეთ, ბიღა ულვაშები აქეთ-იქით ჰქონდა აპრეხილი. ჩიბუხი ხელში ეჭირა. ბოლი რგოლებად ამოდიოდა და გაზეთის სათაურად იქვეოდა. სათაური კი ასეთი იყო: „გირჩევთ!“ სულ რამდენიმე წინადადება ეწერა: „გირჩევთ, არაფერი მისცეთ, ვინც შაურიანს გძალავთ!“ „მგლის ყმუილი

თუ მოგესმათ, გირჩევთ საკუთარ ყურებს არ დაუჯეროთ!“
„ვინც იძახის, რუხი მგელი ვარო, ან ჩოჩორია, ან ჭრელი კატა,
გირჩევთ ჭიტლაყი ამოჰკრათ!“

ცირდავა სიცილით ჩაბჟირდა, პაპუჩის ხელი გადაჰვია
და იკითხა:

— მაშ, თქვენ იყავით, პირველ ღამეს გული რომ გამიხ-
ეთქეთ და ფანჯარაზე ამოდენა სიფათი გააკარით?

ცოტა გვიან, როცა ბიჭები ეკვდერიდან სათითაოდ გაილა-
ლნენ, მე და ძია დევი დავრჩით. მხარზე ხელი დამადო და
მკითხა:

— ნიკანორ, იცი, რომ გულისაშვილები ჩამოდიან?
გამტკნარებული მივაჩერდი, გულის ბაგაბუგი ვერ დავ-
იოკე, ასე მეგონა, მისი ხმა ძია დევისაც ესმოდა.

— რა უნდათ?
— შენი ხელახლა აყვანა!

ნელა, გვერდიგვერდ მივდიოდით ტყის ვიწრო ბილიკზე
და ძია დევი ეკლიან გლერძებს განზე სწევდა.

— იმათ ხომ თავიანთი შვილი შეეძინათ?
— ბავშვი მოგუდული დაიბადა.

მემწვავა, თითქოს ჩემი ბრალი ყოფილიყოს, ის ბავშვი

რომ ვერ გაჩნდა.

— მაშ, ისევ მე უნდა ამიყვანონ?

— ჰო!
ვერასულას კლდესთან აღმოვჩნდით. თვითონვე გამი-
კვირდა, გზა ასე სწრაფად რომ მოვლიერ. მუშტრის თვალი
შევავლე კლდეს. ძალიან თუ მოვინდომებდი, ავიდოდი კიდეც
ვერასულაზე.

— შენ რას იზამდი, ძია დევი?
არ უნდა მეკითხა. შენს მხრებზე შეგდებულ ტვირთს სხვა
ვერ წაიღებს. შენს გადასაწყვეტს სხვა ვერ გადაწყვეტს...
ცირდავამ, შევატყვე, საკუთარ ბავშვობაში ჩაიხედა, საკუ-
თარი სულის სიღრმეში, იქ ჭა იყო და ფსკერზე მოგონებები
ცოცხლობდნენ. არაფერი უთქვამს, მე კი მაინც მივხვდი.

— მეც ასე გავაკეთებ, ძია დევი!

გულისაშვილები აპრილის ბოლოს გამოჩნდნენ. სკოლ-
იდან ვბრუნდებოდი და ჭიშკართან ნაცნობი „მოსკვიჩი“ რომ
დავინახე, გული უცნაურად შემიხტა. იქნებ ჯობდა დროებით
თავი ამერიდებინა. ეგერ ეკვდერში მოვენყობოდი, ნიკან-
ორისტები არ გამცემდნენ, სხვები კი არ მომძებნიდნენ... ეს
ისე გავიფიქრე, სასხვათაშორისოდ. სხვა ძალა კი, — არ ვიცი
ცნობისწადილი, ფარული ჭოჭმანი, არ მინდა ვითიქრო, შურის-
ძიების სურვილი, — წინ მექაჩებოდა. ისე ცოცხლად, ისე თვალ-
ნათლივ წარმომიდგა ხანმოკლე ბედნიერების დღეები, თით-
ქოს ათას ელნათურას გაეშუქებინა თვალისმომჭრელად და
ჩრდილისთვის ადგილი არ დარჩენილიყო. მით უფრო მემნარა
იმ საშინელი წუთის გახსენება, როცა ყოველივე გაქარწყლდა,
ღალატის შემზარავი, მახინჯი სახე ვიხილე, სისხლძარღვში
შხამი და ბალდამი ჩამეღვარა, საავადმყოფოს თეთრ კედლე-
ბში გამომკეტა მრავალი თვის მანძილზე და არ ვიცი, რამ —
იქნებ მავრა დეიდის თბილმა, ღულუნა ხმამ, — მომაბრუნა
სიცოცხლისაკენ.

— ნიკანორ, უნდა გახარო! — მრავალა პაპასკირი ჭიშკარ-
თან დგას. მკაცრ სახეზე სიკეთის სხივი ინთება. ახლადა
ვხვდები, თურმე რაოდენ დაბერებულა მრავალა პაპასკირი.
სამუდამოდ საბავშვო სახლზე დაქორწინებულა და შეუძლე-
ბელია, მის ბედში რაიმე შეიცვალოს.

— მე არავის ვეშვილები, მრავალა მასწავლებელო! —
თითქმის უხმოდ ვლაპარაკობ, ბაგებს ძლივს ვარჩევ.

— რას ამბობ, გეთაყვა! — წარბები ზე აზიდა მრავალამ.
უკვე ვიცი, მისი სიმკაცრე მოჩვენებითია. ამ სიმკაცრის უკან
უიღბლო დედა იმალება, ვერშემდგარი. მე ის მებრალება... მე,
თვითონ უპატრონოს, მებრალება სასწავლო ნაწილის გამგე
მრავალა პაპასკირი.

— ნუ გეწყინება, მრავალა დეიდა! — ანგარიშმიუცემლად,
შინაგანი კარნახით, შუბლს მელავზე ვაყრდნობ. — არსად
ნასვლა არ მინდა, აქაც კარგადა ვარ!

მეტი არაფერი მითქვამს. მრავალამ თმებზე მოფერებით მომქაჩა და გამშორდა. შორიდან ვუყურებ, სანამ ზღურბლს მიღმა გაუჩინარდებოდეს. „მე რომ ცირდავა ვიყო, ცოლად შევირთავდი!“ — გავიფიქრე, მაგრამ ვიცი, ვგრძნობ, ცირდავას გული სულ სხვა მხარეს მიაქანებს.

ჩემს კარადას მივაშურე. ჩანთა შევინახე. ცხელოდა და კურტაკიც გავიძრე.

ოთახის სიგრილე მსიამოვნებდა. იქნებ წამოვწოლილიყავი, მაგრამ ვინ მაცალა. პატარა რწყილა შემოვარდა, ხან ერთ ფეხზე მოხტოდა, ხან მეორეზე, ვითომც მართლა რწყილი ყოფილიყოს.

— ნიკანორ, შენთან მოვიდნენ!

წელი ძლივს ავითორიე. ვატყონდი, რწყილა შურით სკდებოდა, მე კი ალარ შემეძლო სიკეთის სათანადოდ დაფასება. გამახსენდა, როგორ ფრთაგაშლილი მივფრინავდი ბეჭნიერებისაკენ, როგორ ვერ ვეტეოდი კედლებში და თავს ჭერს ვახლიდი.

შემრცხვა იმდროინდელი ჩემი სულსწრაფობისა, ახლა ფეხს ძლივს ვადგამდი.

პაპუჩი შემეფეთა.

— ნიკანორ, შენთან მოვიდნენ! — ხმაში ამასაც სევდა ეტყობოდა.

— მიდი, ძია დევის გააგებინე! — ჩავჩურჩულე და გზა განვაგრძე.

დერეფნის ბოლოს ოთხი იდგნენ. იპოლიტე ხელებს იფშვნეტდა, ალბათ კარამელისაგან თითები ეწებებოდა და ისე მიღმოდა, ვითომც მე მბრძანებელი ვიყავი, ის კი ჩემი მონამორჩილი. მრავალა პაპასკირი ცოტათი განზე იდგა, ყოყმანობდა, ალბათ ვერ გაეგო ჭეშმარიტი არსი სპექტაკლისა, ამ სცენაზე რომ თამაშდებოდა. ისინი კი, გულისაშვილები, თითქოს არც შეცვლილიყვნენ, ტარიელი გასქელებულა ოდნავ, პრესტიჟული ღიპი უფრო წამოზრდია. წინანდებურად მძიმედ სუნთქავს... თამარს ფეხმძიმობამ წინ წამოზრდილი მუცელი შეატოვა, კვლავაც ფეხმძიმესა ჰეგავს, თუმცა ვიცი, ყველაფერი წარსულს ჩაბარდა.

— ნიკანორ! — დამიძახა ტარიელმა და მკლავები გაშალა.

იქნებ ფიქრობდა, ძველებურად გამეორდებოდა ყოველივე. მაშინდელივით გავფრინდებოდი, ხელში ამიტაცებდა, ჭერისაკენ ამისროდა და ხმამაღლა შესძახებდა: „ჰოპლა!“

მაგრამ მე, ჩემი პატარა ჭკუითაც ვიცოდი, არაფერი მეორდება ამქვეყნად. ნაბიჯი შევანელე და შორიახლო გავჩერდი.

ტარიელმა მკლავები ჩამოუშვა, ნირნამხდარი ჩანდა. იპოლიტე ხელების ფშვნეტას მოეშვა და დამტკბარი ხმით მომიხმო:

— ნუ გერიდება, ნიკანორ, ახლოს მოდი!

მე ისევ იქ ვიდექი.

თამარმა გადმოდგა ნაბიჯი, მძიმედ, ფეხატკიებულივით, ხელი გამომიწოდა.

— მოდი, დედიკო, ჩემთან! ასე მალე დაგავიწყდი, შვილო?

„შვილო?“ — ეს სიტყვა უკვე არაფერს ნიშნავდა და მე ჯიუტად ვდუმდი.

იპოლიტემ იკადრა, მოცუნცულდა, მხარზე ხელი მომხვია, ვითომც ალერსით, თუმცა კანფეტებიანი ხელი თითქოს მეწებებოდა, ფრჩხილებმა კი მატკინა.

— ნუ ჯიუტობ, ნიკანორ, ხომ იცი, როგორ უყვარხართ ქალბატონ თამარს და ბატონ ტარიელს! ცოტა ხნით დაგაბრუნეს, თორემ შენი დატოვება აზრადაც არ ჰქონიათ! შენ ხომ დიდი ბიჭი ხარ, კაცურად უნდა გაუგო!

— ჰო, უნდა გაგვიგო, ნიკანორ! — ხმა ჩაეხლიჩა ტარიელს, ნერვულობა დაეტყო, მე კი გავიფიქრე: „გაბრაზდება და მცემს!“

— ჰო, შვილო, ხომ გახსოვს, რა ცუდად ვიყავი! კარგად ვერ მოგექეცით, მაგრამ გვაპატიე! — აფშლუკუნდა თამარი.

გული რაღაცნარად მომეთუთქა, თვალი ამიწყლიანდა, მაგრამ ეს ბუალავები ალბათ კაჟისანი ვართ, ოხრები და ჯიუტები.

— ნიკანორ! — თავზე ხელი გადამისვა მრავალა პაპასკირმა. — თქვი რამე, ძალას არავინ დაგატანს!

მზერა გავუსწორე და მასვე ვუპასუხე:

— გითხარით მე, მრავალა დეიდა, არავის ვეშვილები-მეთქი!

— სწორსაც იზამ! — მოისმა უცებ დევის ხმა და მხარზე მისი ხელი ვიგრძენი.

— ეს ვინდაა?! — ბრაზით წამოჭარხლდა ტარიელი.

— დევი ბატონო, რატომ კადრულობთ! — იპოლიტესაც სიბრაზისაგან სუნთქვა შეეკრა, თუმცა შეეცადა თავი მოეთოკა. გულისაშვილებს მიუბრუნდა: — თბილისელი უურნალისტი გახლავთ, ჩვენი სტუმარი!

— მერე რას ერევა ჩვენს საქმეში? — თამარის თხელ ტუჩებზე სიკაპასე აისახა.

— თქვენ ეს ბავშვი, ბატონებო, ერთხელ უკვე გაიმეტეთ!

— ვინ არის, კაცო, ეს? რამდენსაა რომ ბედავს?! — წამოიძახა ტარიელმა.

— თქვენგან მიკვირს, მრავალა, რა ვაჭრობა გაუმართეთ ამათ?

მრავალა მთლად გათეთრდა, ხმა კი ვერ ამოიღო.

— მე, შენ... — თავი ბუღასავით დალუნა ტარიელმა, ნაბიჯი გადმოდგა.

თავიდან ცირდავას ხმას სიფიცხე ეტყობოდა, ტარიელის მუქარამ კი თითქოს დაამშვიდაო, აგდებითა თქვა:

— იპოლიტე, შენ იცი ჩემი ამბავი, ეს ლეში მძიმეს იწონის და იმიტომაა ეგრე იმედიანად!

ტარიელმა იღმუვლა და წამოვიდა. იპოლიტე ციბრუტივით დატრიალდა. აქეთ ტარიელს მოუჭრა გზა, იქით თამარს ამშვიდებდა, ცირდავასაც მოუთაფლა, არ დამღუპოთ, ჩხუბი არ დაიწყოთ, საქმეს საციხოდ ნუ გავიხდითო.

ტარიელი საბერველივით ქშინავდა, მაგრამ ყოყმანი დაეტყო. იპოლიტემ ისარგებლა და გულისაშვილები ჯიკავ-ჯიკავით კაბინეტში შეაგდო, თვითონაც შეჰყვა.

მრავალა დაბნეული შეჰყურებდა ამ სცენას, უხერხულად დაიწყო თავის მართლება.

— იცით, მე მინდოდა... ბავშვისთვის როგორც ჯობია, ისე... ხომ გესმით?

— გთხოვთ, მაპატიოთ, უხეშად რომ მოგმართეთ, მაგრამ გავფიცხდი! — ცირდავამ გაუღიმა. — იმასაც გთხოვთ, მრავალა, ზედმეტად გულუბრყვილო და მიმნდობი ნუ იქნებით!

— იპოლიტე ისე შემეხვენა...

— მაგ თქვენს იპოლიტეს კუდი ენვის! წავიდეთ, ნიკანორ!

უკვე გავდიოდით, მრავალა რომ წამოგვეწია.

— იცით, მამინ იპოლიტე სხვა ბავშვს გაატანს, მარიხს, მაგალითად...

— ეს არ უნდა დავუშვათ! — გადაჭრით თქვა ცირდავამ.

— დიანოზი რომ ჩაერიოს... მისი შენუხება კი არ შეიძლება, განერვიულდება!

— რახან ეგრეა, მე და ნიკანორი ვიღონებთ რაიმეს. ხომ, ნიკანორ? — თვალი ჩამიკრა.

— ჰო, მარიხზე ჩვენ ვიფიქრებთ! — თავი დავუქნიე.

იმ საღამოს კი კედელზე კვლავ გაჩნდა თაბახის ფურცელი, რომელზეც ეხატა შავი ყვავი. ფრთების მაგიერ ხელები ჰქონდა, თავზე ქოჩირს იგლეჯდა და ბუმბული აქეთ-იქით იფანტებოდა. კუთხეში ჩიბუხიანი მეზღვაური სასაცილოდ იჯღანებოდა და ვითომ ურჩევდა: „იპოლიტე, დაშოშმინდი!“

ბარე უნდოდა იპოლიტეს დაშოშმინება, მაგრამ ორ ცეცხლს შუა იწვოდა და როგორმე ორივე უნდა ჩაექრო. აქეთ სიმამრის ლოგინად ჩავარდნა და ცირდავას მოულოდნელი პრეტენზიები, იქით გულისაშვილების ამბავი და კედელზე დაკიდებული პროკლამაციები. ეს ამბები ჯერჯერობით საბავშვო სახლს არ გასცილებოდა და მანამდე უნდა მოევლო როგორმე. „ვინც მე დამცინის, შენც დაგცინის! — ასე უთხრა ლორჯოლას. — ოღონდ გამიგე, ვისი ხელი ურევია და ნახავ, რა დღე დავაყარო!“ „მაგი რომ ვიცოდე, არავისი დახმარება არ დამჭირდებოდა!“ — დაიქადნა გულგასიებულმა ლორჯოლამ. იპოლიტეს ნათქამი ცეცხლზე ნავთის დასხმა იყო, ლორჯოლას რაღა წაქეზება სჭირდებოდა, სიმწრისაგან ისედაც კბილებს აღრჭიალებდა. რაღაც-რაღაცებს უკვე ხვდებოდა, მაგრამ სანამ ბოლომდე არ ჩაეძიებოდა, თავს იკავებდა შურისძიებისაგან. თავდიდა დაიხლოვა, მოეფერა. პაპიროსს უნილადებდა მმაბიჭივით. თავდიდა არ ეწეოდა, მაგრამ ხროვის მრისხანე ბელადის ყურადღება მოსწონდა და ნაკვალევზე გეზი პირველად იმან ააღებინა. ფურცელზე დახატული მეზღვაური დიდი ნიკანორია, მისი თავგადა-სავლები კი ბუღავაზე უკეთ არავინ იცისო.

ამასობაში ტარიელი გაჭიჭინდა, ბავშვივით გაჯიქდა, გინ-და თუ არა, აქედან ბავშვი უნდა წავიყვანოო. „მაგ ღვლიპის ჯინაზე!“ — იძახდა და ამ სიტყვებში ხან ნიკანორს გულისხმობდა, ხან ცირდავას.

ორი თავი არ ება იპოლიტეს, სადა ჰყავდა გასაშვილებელი ბავშვები? ერთადერთი პატარა მარიხი იყო, მთლად უდედმა-მოდ რომ ითვლებოდა. უნდოდა შავი დღისათვის შემოენახა, მაგრამ ამაზე შავი დღე როდის დაუდგებოდა და ფანჯრიდან ყალიჩავას გადასძახა:

— ტატიანა, ბავშვები გამოუშვი აქეთ, კანფეტებს მივცემ! ყალიჩავამ, თითქოს სიზმრიდან გამოერკვაო, პატარებს დაუტატანა და თვითონაც უკან მოსდია. პატარები მხიარული ჟივილ-ხივილით გამოიქცნენ.

იპოლიტემ კარამელები ისროლა და ვინც სხვას დაასწრო, ზედახორა გამართა. ზოგს მეტი შეხვდა, ზოგს სულაც არა-ფერი.

ტატიანა შეცბა, გაწითლდა. იპოლიტე მიხვდა, კარგი საქ-ციელი ვერ გამოუვიდა, მაგრამ იხტიბარი არ გაიტეხა და გუ-ლისაშვილებს თითოთ უჩვენა.

— აი, ეგერა დგას, სლუკუნებს, ისაა მარიხი! ბავშვს რუხი რეიტუზი ჩამოსჩაჩოდა. თმა გაჰერცგნოდა. უკანფეტობას მისტიროდა და ჭუნებიანი ხელით ცრემლს სახ-ეზე იზუზნიდა. ამიტომაც ვერ ჩანდა მთლად მომხიბლავი. ტა-რიელი შეყოყმანდა, თამარმა კი გვერდში მუჯალუგუნი წაჰერა.

— დავბან და ჩავაცმევ, მერცხალივით გახდება! — ესეც ასე! — გაუხარდა იპოლიტეს, უნდოდა ნაკანფე-ტარი თითები მოელოკა, მაგრამ სტუმრებისა მოერიდა და ხე-ლების ფშვნეტას მოჰყვა. — ამ წუთას ბავშვი ვერ არის ფორ-მაში, მაგრამ დამიჯერეთ, წუნუ არ დაედება. თუ მოგეწონათ, დაბრძანდით, მოვილაპარაკოთ!

სკამები ახლოს მოაჩინეს, თავები ერთმანეთისაკენ მის-წიეს და აჩურჩულდნენ.

მთელი საათი დასჭირდა წვრილმან ინილო-ბინილოს, მხო-ლოდ ამათთვის საინტერესოს.

ხელი ხელს დაჰკრეს ტარიელმა და იპოლიტემ.

იპოლიტემ ფანჯარა კვლავ გამოაღო და ეზოს გადახედა. არაფერი შეცვლილიყო, ოღონდ საკუთარ თავში შეეჭვე-ბულს მზერა გაუმახვილდა.

ეგერ სუმჩხვინდი წამოენია თავდიდას და ძირს გააგორა.

— ბიჭო, რას შვები, ჰა!.. მოიტეხეთ ხომ კისერი?! — უყვი-რა გაგულისებულმა.

კახა შონია ეკინკლავებოდა თავის დას მაყვალას, ის კი არას უთმობდა და ჩხუბამდე ცოტალა აკლდათ.

— რა ვერ გაიყავით?! — ახლა ამათ გასძახა იპოლიტემ.

ვაჟიკა-დიდს დოინჯი შემოეყარა და ვაჟიკა-ცქნაფას ხმა-დაბალ წუნუნს უსმენდა.

ამათთვის არაფერი უთქვამს და ყალიჩავას გასძახა:

— ტატიანა, მარიხი მომიყვანე ერთი!

აუჩქარებლად, ზანტად შებრუნდა ქალი. ორივე ხელი ამობურცულ მუცელზე ედო. ბავშვები გადათვალა გუნებაში, მეორეჯერაც შემოტრიალდა და ნირშეცვლილმა იკითხა:

— ბავშვებო, მარიხი არ გინახავთ?

ბავშვებმა თამაში შეწყვიტეს. ყურპარტყუნამ პირიდან თითო გამოიღო და განაცხადა:

— აქ იყო და აღარ არი!

ტატიანამ, შიშით, კვნესასავით —

— ბავშვებო, გაიქეცით, მონახეთ სადმე!

იპოლიტეს გული ჩაუვარდა, არ მოეწონა პატარა მარიხის მოულოდნელი გაუჩინარება.

34

— მაშ, წავედით! — ხელი ხელში ჩავავლე.

ტყე-ტყე და უკანა ეზოებით ვიარეთ საქონლის გადასა-დენ ბილიკებზე. წამდაუნუმ კუტიკარი ან ხარდანი გვხვდე-ბოდა. გზა-გზა ვისვენებდით და ყოჩივარდებს ვკრეფდით. წი-ნასწარ არც მიფიქრია, საითკენ მივუძღვებოდი პატარას, მსურდა გულისაშვილებსა და იპოლიტეს გავცლოდი და ეს იყო.

წინ სოფლის სასაფლაო გამოჩნდა.

ლობეზე გადავსვი და თვითონაც გადავძვერი.

ეს ლოდები, ჯვრები და ბორცვები მარიხისთვის არაფერს ნიშნავდა, სიმართლე რომ ვთქვა, არც ჩემთვის ნიშნავდა რამეს. ხანდახან, ცხადია, მეც ვფიქრობდი სიცოცხლის წარმავალობაზე, აუცილებელ სიკვდილზე, ამ დროს სევდა შემიპყრობდა, მაგრამ საფლავის ქვები ამაზე არაფერს მეუბნებოდნენ.

ერთგან, საფლავზე ნორჩი ძენნა დახრილიყო. ჩრდილში კაცი იჯდა. სულაც არ გამკვირვებია. რამდენჯერაც გავიარე, ელეფთერ ბიძია ყოველთვის აქ იჯდა. შორიდან ვუთვალთვა-ლებდი და გულზე თითქოს ტვირთი ჩამომკიდესო, თავს ისე ვგრძნობდი.

ფართო მხრები მოეხარა, თავი ხელებში ჩაერგო, ვერ გა-იგებდი, ეძინა თუ ფხიზლობდა.

ჩუმად ვიდექით. დამავიწყდა, მარიხი წინასწარ გამეფრ-თხილებინა, რომ არ ეხმაურა. მან კი ხელზე მომქაჩა და შავ სვეტზე ამოკვეთილ სურათზე მიმითითა.

— მოკვდა?

თითო ტუჩზე მივადე, მაგრამ მარიხის წვრილი ხმა თითქოს ჰაერში გასრიალდა. კაცი შეირხა, თავი მოაბრუნა.

დღითიდღე ბერდებოდა ძია ელეფთერი. მწუხარება უხ-რავდა გულს, ჭაღარა მრავლობდა მის თმასა და წვერ-ულვაშ-ში. უპეები უსივდებოდა. თვალები ჩაშრეტოდა. კი გვიყურებ-და, მაგრამ თითქოს ვეღარა გვხედავდა.

„ძია ელეფთერ, — მინდოდა მომებოდიშებინა, — ეს მარიხია!“

ვერაფერი ვთქვი.

როდის-როდის გაიღო ხმა:

— ჰა, შენა ხარ?

მიცნო. მე კი ბურთი ყელში გამეჩირა. საიდან უნდა მეგრ-ძნო მისი მწუხარების სიღრმე, მაგრამ უნებლიერ მაფრთ-ხობდა უძირო უფსკრულის ხილვა.

ელეფთერმა ისევ საფლავისაკენ მიაბრუნა პირი, შეხედა თავისი უბედური შვილის სურათს და აქამდე ამომშრალი უპი-დან ერთადერთი კურცხალი ჩამოუგორდა.

მარიხმა ჯერ მე შემომხედა, თითქოს რაღაცას მეკითხე-ბოდა, მერე კაცს და უცებ სასწაულებრივი რაღაც მოიმოქმე-და, რაც მხოლოდ ბავშვს შეუძლია და მასაც არცოდნის სიწრ-ფელე აპედვინებს.

გამისხლტა, ძია ელეფთერთან მიცუნცულდა, მხარზე ხე-ლი შეახო და წვიკინა, მტირალა ხმით ჰკითხა:

— მოკვდა?

კაცმა მძიმედ შეხედა, ძლივს ამოიხვნება:

— ჰო!

— დამარხე?

კაცი მოიკუნტა, თავი მთლად დაბლა დახარა და მოგუდუ-ლად მითხრა:

— ნიკანორ, მომაშორე ეგ ბავშვი!

მარიხმა კი — საცოდავად:

— საწყალი!

კაცს შეაძაგაგა. ხელები პირზე აიფარა და უცნაური, ყრუ ბგერები გამოსცა, ვერ გავიგე, ტიროდა თუ იგუდებოდა.

შემეშინდა, მარიხს მოვქაჩე. გამიძალიანდა, ტკიპასავით აეკრა და ვეღარ მოვაცილე.

ამასაც თვალები ცრემლისაგან წარეშალა.

თავგზა ამებნა და ერთადერთი, რაც შემებლო, ის მოვი-მოქმედე, — უკან-უკან დავიხიე და მოვკურცხლე...

35

ელეფთერს გული გასკდომაზე ჰქონდა. ეს, ალბათ, ისე-თივე წუთია, როცა მძიმე სნეული დასტაქრის სკალპელს ელო-დება და ჯერაც გაურკვეველია, გადარჩება თუ არა. სულის პირველი მოძრაობა ამბოხება იყო. „მომაშორეთ ეს ბავშვი!“

— ვიღაცამ იკივლა მასში. იმ წამს შეებლო ხელი ეკრა, ღონი-ერი ტორის ერთი მოძრაობა იკმარებდა — ეს უცხო, აბეზარი არსება გამქრალიყო. ოღონდაც, ელეფთერის ძალ-ღონე ამო-ენოვა მწუხარებას. ხელის განძრევის თავი არა ჰქონდა და გულშეჭირვებული შესაბრალისად ითხოვდა: „რას გადამეკი-

დეთ? თავს რად არ მანებებთ? დამტოვეთ ჩემს შვილთან!.. რა თქვენი საქმეა? იქნებ მე ასე მირჩევნია? იქნებ ვტკბები ჩემი მწუხარებით, გულს მიკეთებს ფიქრი, რომ ნაბიჯ-ნაბიჯ ვუახლოვდები ჩემს შვილს, ჩემს ამირანს!..“ მკლავზე ჩამოკიდებული ციცქა გოგო კი თითქოს ქვეშეცნეულად გრძნობდა, კაცი რომ უფსერულისაკენ მიექანებოდა და თავისი პანია ხელებით ჩაპორენოდა, არ უშვებდა, ცდილობდა შეეჩერებინა ეს ტრაგიკული ვარდნა.

გონს მოეგო ელეფთერი. ეუხერხულა. არ იცოდა, რა ეთქვა პატარისათვის, როგორ მოქცეოდა. იჯდა მდუმარე და ძირს დამტერებოდა. ალბათ, მარიხიც მიხვდა, რომ რაღაცა უკვე შეიცვალა. ხელი უშვა კაცს. საფლავის კიდეზე ჩამოსკუპდა, თან კრიალა მარმარილოს მოეფერა, ნაზად, ლაციცით მოუცაცუნა თითები და ამ უნებლიერ, გაუაზრებელმა მოძრაობამ შეძრა ელეფთერი. „ამირანი რომ ცოცხალი მყოლოდა, ამოდენა შვილიშვილი მეყოლებოდა... ეს პანაწინა შეიძლებოდა ჩემი შვილიშვილი ყოფილიყო...“ — მოულოდნელმა აზრმა თითქოს სინათლის სხივით გამსჭვალა აქამდე ჩაბნელებული გონება. რაიმე თუ არსებობდა იმქვეყნად, ანგელოზის მოფერება და ლაციცი უფრო ჭრიდა, ვიდრე ელეფთერის გაუთავებელი ვაება.

— მოგწონს? — თვითონვე გაუკვირდა, ხმა ისე შეცვლოდა. თითით ამირანის სურათი უჩვენა, მარმარილოზე ამოკვეთილი.

ბავშვმა თავი დაუქნია, ცოტათი თავისებურად, ოდნავ განზე გადახარა და ისე. ელეფთერი გამრა. ამგვარად აკეთებდა თავის დროზე პატარა ამირანიც. თავს განზე გადახრიდა და ისე დაუქნევდა. იქნებ ბევრ სხვა ბავშვსაც ჩვევია ასე, მაგრამ ელეფთერს მოეჩვენა, ვითომც გასაოცარ მსგავსებას ხედავდა მარიხსა და ამირანის ბავშვობას შორის.

ნიკაპი აუნია და ჩააცქერდა. ხარბად სწავლობდა, ეძებდა მხოლოდ მის წარმოსახვაში არსებულ მსგავსებებს.

მარიხს ცოტათი შეეშინდა, პირისახე დაემანჭა, ალბათ ასლუკუნდებოდა კიდეც, მაგრამ ელეფთერი უცბად ალაპარაკდა. გიური სურვილი დაეუფლა აქვე, ამწუთას ყველაფერი აესწნა ამ პატარა არსებისათვის, ისიც ეზიარებინა თავისი ტანჯვისათვის. იქნებ მართლაც ციური ანგელოზი ეჯდა წინ და

გულის ფიცარზე იბეჭდავდა ყოველ სიტყვას. მარიხს თავი განზე გადაეხარა (ამირანიც ასე ხრიდა განზე თავს!), უსმენდა, თუმცა სიტყვათა აზრი სანახევროდ არ ესმოდა. ელეფთერი იხსენებდა ამირანის პატარაობას, უამრავ წვრილმანს აღნუსხავდა თურმე მისი გონება. ეჩვენებოდა, რომ ეს ამბები ახლა ხდება, მათს თვალწინ. ამირანი არ დაღუპულა, ხატოვნად ცოცხლდებოდა კაცის სიტყვებში. არასოდეს იმ ტრაგიკული დღიდან ამდენი არ ულაპარაკია ელეფთერს, მავრასაც კი არ განდობია ბოლომდე. ეჩვენებოდა, რომ მავრამ უფრო იოლად გადაიტანა უბედურება, საკუთარმა ავადმყოფობამ და ხორცის ტკივილმა შეუნელა სულის ტკივილი, თუმცა მეორე წამს თავს ისჯიდა, ახსენდებოდა ფარული დარდი ქალის მზერაში...

ამას უყვებოდა ახლა პატარა მარიხს და ბავშვის გაფაციცებულ თვალებში თანაგრძნობას ეძებდა.

— მერე ხომ ისევ გაიღვიძებს? — იკითხა უცებ მარიხმა. — გაიღვიძებს და გაცოცხლდება!

ელეფთერს ენა ჩაუვარდა, ერთხანს ჩუმად უყურა და თავი დაუქნია.

— კი, გაცოცხლდება... — ფიქრში დაასრულა, — „იქნებ შენში...“

„როგორა ჰგავს ამირანს!“ — ყოყმანით დასძინა.

ალბათ, პატარა მარიხი ყველაზე ნაკლებ ჰგავდა ამირანს, მაგრამ რას არ მისცემდა ელეფთერი, ვინმეს ტყუილი რომ ეთქვა, ვინმე რომ მიმტვდარიყო, რანაირი სიცრუე სჭირდებოდა ახლა ელეფთერს... რატომ არ შეიძლებოდა, ეს პანია არსება მართლაც ამირანის ასული ყოფილიყო... თვალტანადი ბიჭი კი იყო ამირანი. იქნებ იეშმაკა სადმე თავისი თანატოლთან, იქნებ მთლად იმქვეყნიურ სასძლოსთან იეშმაკა, ადრევე იცნობდა მარინეს და იმ დღეს იმიტომ აედევნა საბედისწეროდ ავტობუსს... მერე ღმერთმა გადმოხედა წყალობის თვალით, მათი ჰეცოდების წაყოფი, ამირანისა და მარინესი, აქ, ამირანის საფლავთან მოჰკვარა ელეფთერს... ეს იყო ფანტასტიკურზე ფანტასტიკური დაშვება, მაგრამ ვინ რა ხარჯში ჩავარდებოდა, თუ ელეფთერთან მივიდოდა და ეტყოდა: „უნდა მოგილოცო, ელეფთერ, იქნებ ჭორია, მაგრამ შვილიშვილი გყოლია თურ-

მე, ამირანის ასული...“ ძნელი დასაჯერებელი კი იქნებოდა, თუმცა ელეფთერის მოწყურებული სული იოლად დაიჯერებდა ამ სიტყვებს.

— რა გქვია?

— მარიხი!

— დედ-მამა არა გვყავს?

— მე დედიკო არა მყავს და მამიკო არა მყავს! — სწრაფად, დაზეპირებულივით ჩაარაკრაკა ბავშვმა.

„ჰგავს!“ — თავს ირწმუნებდა ელეფთერი. მოუთმენლობა იპყრობდა უფრო და უფრო. მალე უნდა მისულიყო შინ, შეეგმონებინა ამირანის ბავშვობის დროინდელი სურათები, ერთხელ კიდევ შეედარებინა და დაბეჯითებით ეთქვა: „ჰგავს!“

— თუ ჩემთან წამოხვალ, მანქანით გაგასეირნებ!

გოგონამ თავი დაუქნია, სახე გაუნათდა.

წამოდგა ელეფთერი, საფლავის მარმარილოს დაეყრდნოდა ისე წამომართა. ამ თავის სიმაღლიდან დახედა ბავშვს. იგი მთლად პანია ჩიტია ჰგავდა. გასაკვირიც იყო, სიცოცხლე როგორ თავსდებოდა ამ ციცქნა სხეულში. მარიხმა მიამიტად ამოხედა და ხელი ნდობით გამოუწოდა.

წავიდნენ.

ზვავივით მძიმე და მოუხეშავი კაცი ნელა მიადგამდა ნაბიჯს. პატარა გოგოს წვრილი ფეხები კი მოკლე ნაბიჯებს ითვლიდა.

ერთხელ მოიხედა ელეფთერმა. სინათლე დაკლებოდა თვალში და სვეტზე გამოსახული ამირანი ძლივს შეიცნო. მარიხმა კი ხელი დაუქნია — „ნახვამდის!“

გაიარეს მოხრეშილი ბილიკი. ელეფთერის თავში სრული ქაოსი ტრიალებდა. თვითვე ვერ გაეგო, რას ნიშნავდა ყოველივე, რას სჩადიოდა, რას ეძებდა, რა უნდოდა ამ ბავშვთან?

პატარა მარიხი კი, ნდობითა და შიშით შეპყრობილი, ნაბიჯებს ჩქარ-ჩქარა იცვლიდა, თავისუფალ ხელს წინ და უკან იქნევდა. ნდობით იმიტომ, ძლიერი კაცის გვერდით მიდიოდა და სასაფლაოს გაუგებარ იდუმალებას აღწევდა თავს, შიშით იმიტომ, რომ კაცის მდუმარება აფრთხობდა და ყოველი ნაბიჯი იყო შეუცნობელი.

გზისპირას „ნივა“ იდგა. ელეფთერმა კარი გამოაღო, ხელი შეაშველა. მარიხი შეფოფხდა, წინა სავარძელზე დასკუპდა.

უმალვე ცალი ხელი თამამად შეავლო საჭეს, თან კაცს შეხედა, მიწყრება თუ არაო. ზუსტად ასე იქცეოდა ამირანი, როცა სამი წლისა მანქანაში შეფოფხდებოდა. ცალ ხელს საჭეს ჩავლებდა და მამას შეხედავდა, მიწყრება თუ არაო.

ელეფთერი არ უწყრებოდა. არც მარის გაწყრომია. საჭეს რომ მოჰკიდა ხელი, მისმა უზარმაზარმა ტორმა ბავშვის ნაზი ხელიც შიგ მოიყოლა და ამ შეხებამ, უნბლიერ ლაციცმა თვალთ დაუბნელა. არ ახსოვდა, როგორ ჩართო სტარტერი, როგორ გადასწინა სიჩქარის ბერკეტი, მანქანა როგორ დაძრა. ნამთვრალევივით მართავდა და საკუთარ ჭიშკართან ინტუიციამ და ჩვევამ მიიყვანა, თუმცა აზრი და თვალისჩინი გამოთიშვოდა.

გადმოვიდა მანქანიდან. შემოუარა და გოგონა ხელში აიტაცა. ბავშვმა კისერზე შემოაჭდო წვრილი მკლავები, ლოყასთან ჩააორთქლა და გაიტრუნა. ამირანიც ასე გაიტრუნებოდა ხოლმე მამის მკლავებში. თავდაპირველად უმჩატა პანია მარიხი, ბუმბულის წონა ჰქონდა. ამირანის გახსენებამ კი ღონე უცებ წაართვა, თითქოს ისიც ჩამოეკიდა მკლავზე. მარიხი კი არა, მარიხი და ამირანი, ორივე ერთად აეტატებინა, ჩაეხუტებინა და ასე შევიდა ეზოში, აიარა კიბე და უნებლიერ შეშინდა, ბავშვი არ დამივარდესო. საფეხურზე დასვა, მკლავი მოისრისა, დაპეუუებოდა.

ახლალა გაიხედა უკან. „ნივა“ მოუხერხებლად გაეჩერებინა, გვერდულად იყო გაჩერილი. ჩაირბინა, ეზოში შემოაგორა და, ჭიშკარს რომ კეტავდა, გზად მიმავალ მეზობლის ბიჭს დააბარა, შენს გაზრდას, საბავშვო სახლში შეიარე, გააგებინე, მარიხი ელეფთერთანააო.

მერე კიბე კვლავ აირბინა, სასტუმროს კარი შეაღო, შეიხედა დაბინდულ ოთახში, სადაც ყველაფერი ამირანს ეკუთვნოდა. ზღურბლზე შეყოყმანდა. ამ თავისი ნაბიჯით იქნებ ბავშვს აფრთხობდა. უკან დაიხია, მაგრამ ამასობაში მარიხი თვითონ შეფრთხიალდა, შუა ოთახში შემცბარი გაჩერდა.

ელეფთერი იდგა და უყურებდა.

დადინჯდა ბავშვი, კედლების გასწრივ ჩაიარა. ამირანის ნივთებს და სურათებს დააცექერდა. ასე მუზეუმის დარბაზებში დადიან ხოლმე, თუმცა მარიხმა, ცხადია, არც იცოდა, რა იყო მუზეუმი. წრეს რომ შემოუარა, ერთხელაც შებრუნდა,

ამირანის დიდ სურათთან მივიდა, თითოს წვერზე აიწია და ფეხსაცმელსაც ვერ მიწვდა. ელეფთერი მივიდა, ასწია. მარიხმა ლოყაზე მოუთათუნა ამირანს, ვითომც მოეფერა. ელეფთერი კი გვერდიდან გაჰყურებდა ბავშვის პროფილს და გული კვლავ აუჩქარდა — „ჰგავს!“

ხელში ბავშვატატებული დაეშვა კიბეზე. სამზარეულოს კარი შეაღო, მაგიდასთან დასვა.

— გშია?

მარიხს შიოდა. ელეფთერმა მაცივარი გამოაღო. უკვე რამდენი წელია, თევში სად იდო, ისიც არ იცოდა.

ერთ საათში მავრა მოქლოშინდა. გული ხელით ეჭირა. სახეზე რთული წურწურით ჩამოსდიოდა. შორიდანვე შეუძახა შეშინებული ხმით:

— რა მოხდა, ელეფთერ!

ზღურბლზე გაოცებული შეჩერდა.

დაბალ ტაბლას უსხდნენ ელეფთერი და მარიხი.

მომცრო, ყელში გამოყვანილი ჭიქები ედგათ. ელეფთერი ლვინოს ისხამდა, მარიხი — ლიმონათს. ელეფთერი სადღეგრძელოებს იგონებდა, ეს, აი, იმ თოჯინას გაუმარჯოსო, ან იმ ყურცელიტასო, მარიხის ცხვირის წვერსა და ყურის ბიბილოებსო... გოგონა კისკისებდა და ჭიქას ჭიქაზე უწკარუნებდა, ერთადერთ სიტყვას ეტყოდა პასუხად — „გაუმარჯოს!“

უყურა ამათ მავრამ და იქვე, კართან დადგმულ სკამზე დაეშვა, მუხლზე ხელი დაიტყაპუნა, არცთუ მკაცრად შეუტია ქმარს:

— გასულელდი, კაცო, შენ?

იმ ღამეს მარიხი წინა ოთახში დააძინეს და ჩურჩული აუტყდა ცოლ-ქმარს.

— ჰგავს, ამირანის სახელსა ვფიცავ, ჰგავს... — ირწმუნებოდა ელეფთერი.

„რამ დაგაბრმავა, კაცო!“ — უნდოდა ეთქვა მავრას, მაგრამ ქმრის უცაბედი ცვალებადობით შეშინებული გონს ბოლომდე ვერ მოსულიყო.

დილით უთენია დააჭყიტა ორივემ თვალი.

— რა გადაწყვიტე, ელეფთერ? — შეეკითხა ქალი.

კაცმა არაფერი უპასუხა. ხვნეშით წამოდგა. წინა ოთახში გავიდა და მძინარეს დააცქერდა. ცოტა ხანს დუმდა, მერე მისი ჩურჩული მოისმა:

— დამიჯერე, მავრა, ძალიანა ჰგავს!

36

ცირდავაზე მეც შემივარდა გული, მაგრამ მე ხომ კაცი ვარ. ახლა რომ ვიხსენებ, ერთი ჩვეულებრივი, კეთილი და პატიოსანი ჭაბუკი იყო. მიკვირს, რამ გადარია ეს ქალები? იქნებ იმიტომ მოსდიოდათ თვალში, ჩვეულ გარემოში სიახლე რომ შემოჰკონდა. სოფელი არცთუ ისე დიდი გახლდათ, საბავშვო სახლის თანამშრომლები წლების მანძილზე იცნობდნენ ერთმანეთს, დღე ჰგავდა დღეს, ახალი არაფერი ხდებოდა, ან თუკი ხდებოდა, ისე ნელა და შეუმჩნევლად, სიახლის ხიბლი ეკარგებოდა. ცირდავა სულ სხვა სამყაროდან ჩამოვიდა. განა შორია თბილისამდე, მაგრამ სიშორე მარტო კილომეტრებით როდი იზომება. ჭაბუკის ყოფა, სიტყვა-პასუხი, ჩაცმულობა, თუნდაც ის, რომ მოუნდა — წვერი მოუშვა, გადაიფიქრა — მოიპარსა, სათვალე (ჩვენს ნაცნობებში სათვალეს არავინ ატარებდა!) — ყოველივე ამას სიახლის ბეჭედი ერტყა... კარატეს ილეთები იცისო და, გასაგებია, ჩვენ, ბიჭები, მივცვივდით... მაგრამ გოგონები?.. აგერ ანუში რომ ანუშია, ტკიპასავით ზედ ეკვროდა, სადმე მოიხელობდა და მკლავზე მიეხუტებოდა... იქნებ მთლად მამიკო ეგონა, თუმცა ამაზე სიტყვა არ დასცდებია... მერვეკლასელ სულიკო ანთელავას თვალი უცნაურად ებინდებოდა, ქვეშეცნეულად თუ ცდილობდა, რაც იყო, იმაზე დიდი ქალიშვილი გამოჩენილიყო... მზევარ კიტია, ეს ჩხინკა და ელამი, სულ ცხვირნინ უტრიალებდა, ტკარცალებდა, ტლინებს ისროდა... ვატყობდი, აქეთ ლორჯგო იფხორებოდა, შამუგია, ჩემს ციცინო კორძახიას ხომ არ დაადგა თვალიო, იქით ფუცუკა სკდებოდა ეჭვით, ფუნთუშას ხომ არ შეხედა სხვანაირადო... თვით ცირდავას ნარმოდგენაც არ ჰქონდა ამაებზე.

რომც ცოდნოდა, ყურადღებასაც არ მიაქცევდა ამ ბავშვურ-ჩურჩულ ვნებებს, ოღონდაც კაცი იყო და რანაირად არ უნდა ეგრძნო უფრო სერიოზული, მაღალი ძაბვის მუხტი, რასაც შე-იძლებოდა ჭექა-ქუხილი მოჰყოლოდა. ერთი შეხედვით, ჩვენ-მა ბუღალტერმა ელიკო ვერულავამ სრულიად უმიზეზოდ აით-ვალისწუნა მრავალა პაპასკირი, სასანავლო-აღმზრდელობითი ნაწილის გამგე. „ეგ პინგვინი, ეგაო!“ — ბოროტად ჩაისისინა. არც მრავალას ეხატა გულზე დირექტორის ქალიშვილი. სი-ძულვილის მიზეზს ვითომც ვერ მიუხვდა, თავისითვის კი გა-იფიქრა: „გათხოვილი ქალია, ეშმაკები თუ არ ულიტინებენ, რას მერჩის, რას მეცილება!“

ელიკოს სძულდა თავისი ქმარი. იმ პირველი ღამიდან მო-ყოლებული, როცა ვნებით გათანგული, სირცხვილის ცეცხლით დამწვარი ელოდა იპოლიტეს კაცურობის დასტურს, ახალ-გაზრდა კაცი კი უცებ ატირდა და ბოდიშების ლუდლული მორ-თო. „ჩაინი იქით!“ — მკვახედ უბრძანა ელიკომ, წამში გაუარა ვნებამ, სირცხვილის ცეცხლს კი ვერა და ვერ მოერია. მას შემ-დეგ ყოველი ღამე წამებად გადაექცა, თითქოს ვიღაცა ავალდებულებდა ამ ცივსისხლიან გომბეშოსთან წოლილიყო. ერთი სიტყვაც კმაროდა, დიანოზი სიხარულით გააპანლურებ-და სიძეს, არათუ სოფელში, რაიონშიც ამოუკეთავდა ფეხს, მაგრამ ელიკომ თავმოყვარეობა ვეღარ გადასძალა. საკუთარი ნებით მოიმოქმედა ყველაფერი, ვერავის დაადანაშაულებდა და ამან გადაუკეტა გზა... ბედნიერი ცოლის როლს თამაშობ-და, უნაყოფობასაც თვითონ იბრალებდა. თანდათან შეურიგ-და კიდეც ბედს. მისი ქალური ბუნება სიყვარულს მოითხოვდა, ის კი თავს იტყუუბდა, ლოგინი კი არაა მთავარი, ურთიერთ-გაგებაა მთავარი, მე და იპოლიტე ერთმანეთს ვუგებთო. იმას როგორ იფიქრებდა, ჩემი უღონო ქმარი ხელს გამოიღებს და პატარა გოგოებს გადაეკიდებაო. ქმარი რომ ჩოგანით სცემა, გული შხამით აევსო. თითქმის მიფერფლილი სიძულვილი ცეცხლად შემოენთო, გაუათასკეცდა, სულში ვეღარ იტევდა და პირველად მაშინ გაიფიქრა, რომ არაფერი საშინელება არ იქნებოდა ასეთი ქმრის ღალატი. ბუნებით არ იყო ღალატის ქალი და განითლდა. რომც მოენდომებინა, ირგვლივ ვერავის

იპოვიდა, კაცი რომ კაცად მოსწონებოდა. ყველა იპოლიტედ ეჩვენებოდა, ყველასაგან იმ პირველი ღამის დამცირებას მოელოდა. კაცებს ისე უკმეხად ექცეოდა, ფიქრშიც ვერავინ შეპტედავდა თუნდაც უცოდველ არშიყს. მაგრამ რასაც ად-ამიანი თუნდაც ფიქრში დაუშვებს, იგი ლეგალობის სტატუსს იძენს და მეორეჯერ გაფიქრებისას ჩვეულებრივ აზრად იქცე-ვა. ხელმეორედ თავში რომ ასეთი აზრი მოუმწიფდა, არ გაწ-ითლებულა, უხერხულობა არ უგრძვნია, პირიქით, წარმოსახ-ვაში აბსტრაქტული, მოგონილი ღალატი გაუცოცხლდა და გული შეუთრთოლდა, თითქოს დანაშაულზე შეასწრესო. ამ-იერიდან ეს იყო საიდუმლო, რასაც ვერავის გაანდობდა. და მაინც, ოჯახის დანგრევა არც უფიქრია. მაშინ, მწარე თაფ-ლობის თვეს, ჯერ კიდევ შეიძლებოდა ქმართან განშორება, ამდენი წლის შემდეგ კი ეშინოდა, ქვეყნის დასაციინი და მასხ-რად ასაგდები გავხდებით და არ არსებობდა ძალა, სიმართლე ბოლომდე ეთქმევინებინა. ამ ფიქრებით იყო აფორიაქებული, როცა ცირდავა ჩამოვიდა. მოენონაო, — ძნელია ამისი თქმა. ელიკო თავის ნაფიქრალს ისე ღრმად ინახავდა, კაცი ვერას გაუგებდა. ახსოვდა ვაჟის ბავშვობა, უფრო სწორად, ახსოვ-და გვარი, დაჭორფლილი პირისახე და უღალი თმა. ახლა კი სულ სხვა ფერისა და აღნაგობის სათვალიანი ჭაბუკი გამო-ეცხადა და ძნელი იყო მასში ობოლი ბიჭის ამოცნობა... არ უნდა აჩქარებულიყო, ცოტა მაინც მოეცადა! — ამ აზრს თუ ჩაუღრმავდებოდა, ატირდებოდა კიდეც და გულდამძიმებუ-ლი ელი ცდილობდა თავი ქარაფშუტად წარმოესახა, სინამდ-ვილეში კი მძიმე ბუნებისა იყო და ძვირად უჯდებოდა ის მცირე ფლირტი, რისი უფლებაც ვაჟს მისცა. რაკი ცირდავაზე ფიქრ-მა გული აუჩქროლა, უმაღ შეეცადა, გაერკვია, სხვა ვინ აჩ-ქარდა, სხვას ვის გაუტყდა ღამის ძილი. შეუმცდარმა ქალურ-მა ალლომ მიახვედრა — „ცივი პინგვინის“, მრავალა პაპასკი-რის ყინულოვანი გულიც გალმხვალიყო... „დიახ, ბატონო დევი!“ — ოფიციალურად, თავშეკავებით მიმართა მრავალამ და ელიკომ მის ამ თავშეკავებაში უმაღ დაიჭირა შერბილებუ-ლი, მრავალასათვის უჩვეულო კილო.

ელიკოს გარდა, ვერც ვერავინ შეატყობდა ამას. ცირდავა რომ პირველად დაინახა, მრავალას წესიერად არც შეუხედავს, მაგრამ გული რატომძაც დაუმძიმდა. ლამე, სიზმარში ვიღაცას ეჭიდავებოდა და იტანჯებოდა. შუალამეს გამოეღვიძა ოფლად გაღვრილს. გული აჩქარებით უცემდა. ცივი წყალი მოსვა. რა ეშმაკი შემომიჩნდაო, თავს შეეკითხა და თვალი დახუჭა. იმ ლამეს მეტი ვერ დაიძინა. ვერც მომდევნო დამეებს იძინებდა. გული აუჩქარდებოდა ხოლმე უცნაურად, ჰაერი არ ჰყოფნიდა და ვალიდოლს იდებდა ენის ქვეშ. ამ ყოფაში ვინმეს რომ ეხილა, ალბათ მიუხვდებოდა გასაჭირს, მაგრამ არავინ იყო მარტოქალის მოყურადე. სამსახურში კი თავი იმგვარად ეჭირა, ელიკოც დაეჭვდა, ხომ არ მომეჩვენაო. დილით ისე ემზადებოდა „სიხარულში“ წასასვლელად, თითქოს ომი უნდა გადაიხადოსო. მართლაცდა, ნებისყოფის დაძაბვად უჯდებოდა ყოველი წუთი. ცდილობდა, ვაჟს გარიდებოდა, მაინც მის სიახლოვეს ტრიალებდა. სულ იმის შიშში იყო, შემამჩნევენო. საოცარია, სიყმანვილის ქარაფშუტული თავგადასავლების შემდეგ მამაკაცისაკენ არც მიუხედავს. ახლა კი, „სიბერის ზღვარზე“, როგორც თვითონ ფიქრობდა, მაცდური რამ ჩაუსახლდა სულში და ჩვეული კალაპოტიდან ამოაგდო. ყველაზე ნაკლებ თვით ცირდავა ხვდებოდა ამ ამბავს. აზრადაც არ მოსვლია, მრავალას გატაცების საგანი ვარო. ამიტომაც ექცეოდა ასე თამამად და ცოტათი ფამილარულად... დაძაბულობისაგან დაღლილი და ნერვებაწენილი ბრუნდებოდა სალამოს შინ მრავალა, გაუხდელად დაეგდებოდა ცალულელა სარეცელზე და დიდხანს ტიროდა... თანდათან ჩაეძინებოდა. უცაბედად გაეღვიძებოდა შუალამეზე და დილამდე თვალებდაჭყეტილი ჭერს მიშტერებოდა, თითქოს ზედ დევი ცირდავას ხატება ყოფილიყოს გამოსახული. დღისით სულ იმას ნატრობდა, ნეტავი ეს ცირდავა მაღე ნავითოდეს აქედანო, ღამით კი გიუდებოდა, ვაითუ მართლა წავიდეს და დილით უკვე არ დამსვდესო... ელიკო არც არასოდეს ყვარებია, მაგრამ საღი გონება კარნახობდა, თვითონაც არაფრის იმედი არ უნდა ჰქონოდა...

— დიანოზი როგორ ბრძანდება? — ცივად, უინტერესოდ ეკითხებოდა.

— უკეთ! — მოკლედ, ასევე ცივად პასუხობდა ელიკო.

ორივეს კარგად ესმოდა, რაც ამ სიტყვა-პასუხში იგულისხმებოდა. სწრაფად შორდებოდნენ ერთმანეთს, სხვადასხვა მხარეს მიემართებოდნენ, ფიქრით ალბათ ცირდავასაკენ, თუმცა არც ერთი ეს გზა მისკენ არ მიდიოდა...

დავწერე ეს სიტყვები და ჩავუფიქრდი. რისთვის ვყვები ამას, რა მანერინებს? მაშინ ხომ პატარა ვიყავი და ბევრი არაფერი გამეგებოდა. ახლა „ოხოტსკის“ კუბრიკში გამომწყვდეული ვიხსენებ წვრილ ნიუანსებს და დასკვნაც გამომაქვს. ყველასათვის სიკეთე მინდა, მაგრამ როგორ? რაც არა მაქვს, საიდან გავცე? ესენი რომ მოგონილი პერსონაჟები ყოფილიყვნენ, ერთს მაინც გავაძებინიერებდი! აღვწერდი, როგორ გადალახა ელიკომ საკუთარი სიჯიუტე, ერთ მთვარიან ღამეს მივიდა მარტოკაცის ოთახში. ცრემლით დაალბო ცირდავას ბალიში, გული გადაუხსნა, დამტანჯა ჩემმა საიდუმლომ, მეტი აღარ შემიძლიაო. ცირდავა გაუგებდა, მხურვალებით გაუთბობდა გულს, ის ერთი ღამე გახდებოდა ჯილდო იმ ტანჯვის წილ, რაც ელიკოს გადაეტანა დღიდან თავისი დაბადებისა... მაგრამ მე ხომ ვიცი, ელიკო ვერაფერს გადალახავს, ეს ყოველივე მის ზმანებებში დარჩება, ქმრის ხელში მონაზვნად ქცეული გულს უფრო გაიფიცხებს, პატივმოყვარეობის ციხე-გალავანს შემოიშნებს... ჩამოჯდება დიანოზის სარეცელთან, ბალიშს შეუსწორებს და დამნაშავის კილოთი მერამდენეჯერ ეტყვის — „როგორც შენ გსურს, მამა!“ ელიკოსთვის თუ ვერა, მრავალა პაპასკირისათვის შემეძლო მეშველა. რა სჭირდა ქალს ცირდავას დასაწუნი, თუ არა ასაკი (ცოტათი უფროსი იყო ვაჟზე!). სოფლის შარაზე მრავალა რომ მიირხეოდა, მამაკაცებს თვალი ზედ რჩებოდათ, დედაკაცები შურითა სკდებოდნენ... კალამი ჩემი იყო და დევი ცირდავას, თუ მოვისურვებდი, ისე გადავრევდი, ხელში გიტარას ავალებინებდი, პაპასკირის ფანჯარასთან ღამის სამ საათზე სერენადებს ვამდერებდი. ოღონდაც, სიმართლეს ვერსად გავექცევი. დევი ცირდავამ ვერასოდეს გაიგო მრავალა პაპასკირის საიდუმლო, იქნებ თვითონაც მოსდიოდა თვალში, მაგრამ გადაულახავი ეჩვენებოდა ქალის წინააღმდეგობა...

რა იშვიათია ბედნიერი სიყვარული! ორი არსების სრული, ჰარმონიული თანაწყობა. საუბედუროდ, გაუბედავნი საწადელს იშვიათად თუ აღწევენ. ამიტომაც არ ესმოდა ცირდავას ცისია დევდარიანის გულის ძერა. ვერც კი წარმოედგინა, „თითქმის ბერიკაცი“ რანაირად უნდა მოსწონებოდა „ამ ბავშვს“. ცისიას კრთომა და ლოყების ალვივება ქალწულებრივ მორცხვობას მიენერებოდა. ეს კი მხოლოდ ალერსიან ღიმილს იწვევდა, როგორც ულიმიან და ეფერებიან მომხიბლავ ბავშვებს.

რამდენი სასიყვარულო სამკუთხედისა და მრავალკუთხე-დის დახლართვა შემეძლო. ადამიანის გული ვერ ძლებს უსიყ-ვარულოდ, იგი მუდამ ეძიებს თავის სწორს. ფუცუკა რომ ფუ-ცუკა, ისიც ხომ ფუნთუშაზე გადაირია და თუმცა ცქიფურიშ-ვილებმა არაერთხელ ბერტყეს, მრავალი წლის შემდეგ, ელე-ქტრომექანიკოსის ხელობარომ შეიძინა და ჯიბის ფული გაუჩნ-და, თავისი ბავშვობის გატაცება მოისაკლისა, მაგრამ ამ დროი-სათვის ფუნთუშა კოლმეურნეობის ბრიგადირის ცოლი და გოგო-ბიჭის დედა აღმოჩნდა. ეჺ, ყველა თავისთვის ეძებს ბედ-ნიერებას! ერთადერთი, ლორჯგო შამუგიასა და ციცინო კო-რდახიას რომანი მიედინებოდა აუმღვრევლად. ტანდაბალი, ძვალმსხვილი, ჩხუბისთავი და ანცი გოგო ქერა, მაჯისსიმსხო ნაწილებით სხივებს იჭერდა. კარგადაც ხედავდა ეშმაკისფეხი ლორჯგოს ვნებათალელვას და სულ კრიჭაში ედგა. ხანდახან თავშიც უტყაპუნებდა, ამისათვის მერჩე უხდებოდა შეხტო-მა. ლორჯგო ლმობიერ თვალებს შეავლებდა და ხვეწნით ეტყ-ოდა: „კაი, გოგო, მოისვენე!“ ასე გრძელდებოდა ეს ამბავი. ლორჯგო არ ეშვებოდა ციცინოს, ციცინო წინანდებურად უტყაპუნებდა თავში და ეშმაკურად ხითხითებდა. აღმზრდელ-მასწავლებლებს გული უსკდებოდათ, ერთმანეთი არ შეაცდი-ნონო... შეაცდინეს კიდეც!.. ახლა, ოხოტის ზღვაზე რომ მივცურავ, პირველი ლორჯგოსძე უკვე ორი წლისა ბრძანდება...

არ მახსოვს, რა ასაკისა ვიყავი. ამბაკო ცომაიამ თმაზე მო-მნიკნა და შემეკითხა:

- რას შვები, ბიჭო, ნიკანორ, ცოლს როდის ირთავ?
- არ მინდა მე ცოლი! — მორცხვად თავი დავხარე.

კაცები შეკრებილიყვნენ, ლაზლანდარობდნენ და ჩემს პასუხზე ახარხარდნენ.

მერე გულისაშვილებმა წამიყვანეს, ახალი ყოფით აივსო ჩემი არსება და ერთხელ მამიკო-ტარიელმა იანგლა:

— ნიკანორ, ბიჭო, ცოლი არ გინდა?

თავი გავაქწიე. ოჯახის საქმეებს დედა-თამარიც აუდიო-და, ცოლი რად მჭირდებოდა.

გავხდი თორმეტისა და ყური ვცქვიტე. თურმე სადა ხარ!.. ლორჯგოს ციცინო მოსწონს, იმას ის, ამას ეს... სხვებს არ ჩამოვრჩე-მეთქი და გავიხედ-გამოვიხედე. ჩემი მოსაწონი დედამინის ზურგზე ზღაპრის ფერია თუ იქნებოდა... ალბათ, მთლად ასე არ ყოფილა! გულს თუ სწყურია, დიდხანს მწყურვა-ლი ვერ დარჩება. ზღურბლზე მიმოზა კაციას რომ დავეჯახე და ვაიმეო, დაიკვნესა, ის ხმა გულზე მომხვდა, თითქოს სისხ-ლიანი ჭრილობა დამაჩინა. ასე გამიჩნდა საიდუმლო... „ნიკა-ნორ, რა უცნაური ხარ!“ — მითხრა ერთხელ მიმოზამ. შევხედე და გული შემიხტა. მართლაც ზღაპრიდან მოსული სიზმარი იყო და თითქოს მიწიერებში არც ერია. ხელისგულზე უნდა დაგეს-ვა ადამიანს, მუდამ ფერებასა და ალერსში გყოლოდა... იმ დღი-დან ბროლის სასახლეებს ვუშენებდი მიმოზა კაციას, ურჩეუ-ლებისგან ვიცავდი... ეჺ, ქოხიც არ მებადა და ბროლის სასა-ხლეს როგორ ავაშენებდი. ურჩეული თითქოს დავამარცხე, მაგრამ ხანდახან ვინც მარცხდება, უფრო მოგებული რჩება. მე რომ იმ დღეს ლორჯოლას გაველახე, მოვიდოდა მიმოზა, სასთუმალს გამისწორებდა, შუბლზე ხელს დამადებდა... მაგრამ მე გმირობა მეწადა. გმირს ტაშს უკრავენ, შესაბრალისი არა-ფერი სჭირს. თუ არ შეგიბრალეს, არც შეგიყვარებენ. ლორჯო-ლასთან ჩემი შეტაკება კი აი, ასე მოხდა...

ძია ელეფთერი სასაფლაოზე არ დატოვებდა, ჩაისვამდა მანქანაში და „სიხარულში“ ამოიყვანდა. იფიქრებდნენ, ეს მარიხი, დახეთ, ლაგვილავების მანქანაში დასეირნობსო. ელეფთერს საყვედურს ვერავინ შეჰქადრებდა, მე კი არავის გავახსენდებოდი. ამასობაში ალბათ გულისაშვილებიც აიკრავდნენ გუდანაბადს.

იპოლიტემ ცეცხლი ჰყარა პირიდან, იმუქრებოდა, ბავშვი მომგვარეთ, თორემ მილიციას გამოვიდახებო. „შეგირცხვა კაცობა!“ — დაუგდო გაგულისებულმა ტარიელმა. გულისაშვილების მანქანის მტვერი ჯერაც არ იყო შარაზე დაფენილი, მეზობლის ბიჭმა მოიტანა ამბავი, პატარა მარიხი კი არ დაკარგულა, ელეფთერ ლაგვილავასთან არისო. იპოლიტე მავრა ექთანს ეცა. თავს გახვედითო, ყვიროდა, ვის როგორც გინდათ, ისე იქცევითო, დისციპლინა მთლად მოიშალა, თორემ სკოლა-მდელი ასაკის ბავშვს რა უნდა ასე შორს უნებართვადო. მართალი იყო, რასაც ამბობდა, და მავრა გამტკნარებული უსმენდა. ვერ გაეგო, რანაირად მოხვდა მარიხი ელეფთერთან, ან ელეფთერმა როდის აქეთ მიაქცია ბავშვს ყურადღება. უბედურებამ გამოათაყვანა ეს კაციო! — ფიქრობდა გაგულისებული მავრა და პატარა მარიხეც ბრაზობდა, ელეფთერზეც და იპოლიტეზეც, უყურე ამ ტროყიას, ენა როგორ აიდგაო.

ამასობაში საბავშვოსახლები ტყე-ბუჩქნარს შეესივნენ. ვითომც მარიხის ძებნით იკლავდნენ თავს, სინამდვილეში ერთობოდნენ, რადგან „სიხარულის“ ერთფეროვან არსებობას მსგავსი თავგადასავალი თუ გამოაცოცხლებდა.

ტყის ყველა ბილიკი ხომ საბოლოოდ ვერასულას კლდესთან იყრიდა თავს.

აგერ, ერთ ბილიკზე დამფრთხალი და აფორიაქებული მოვრბივარ სასაფლაოდან, სადაც მარიხი ელეფთერს შევატოვე. ჯერ არ ვიცი, რა ამბები დატრიალდა „სიხარულში“ და კლდის ძირას არავის მოველი.

მეორე ბილიკს ცისია დევდარიანი მოჰყვება. ეს მან წამოიყვანა უმცროსჯგუფელები. სკოლამდელები ეზოს ვერ გასცილებიან. აცრემლებული ტატიანა ყალიჩავა კრუხივით დაფოფინებს და წამდაუნუმ ითვლის პატარებს. რაკი მარიხი დააკლდათ, შვიდი გოგონა და ათი ბიჭუნა დარჩა. გოგონები ღობის

უკან ჩაცუცქულან და ჭუჭრუტანაში იცქირებიან. ვითომც ხედავენ, როგორ მიარბენინებს მარიხს საშინელი ამუნია. ბიჭებს ვერ დაბამ. ვაჟიკა-ცქნაფა ისე ტრიალებს, ტატიანას ხან ანგარიშში გამორჩება, ხან ერთს ორჯერ ითვლის. ყურპარტყუნა თითს იზუზნის, თან იხვენება: „გამიშვი, მასწ, მე მოვ-ძებნი!“ „დაეტიე აქ!“ — ბრაზდება ნერვებმოშლილი ტატიანა და ყურპარტყუნას თმებს ანინების.

უმცროსჯგუფელი გოგონები ბალ-ბოსტანში გადასულან. ამათაც ეშინიათ ტურა-მელასი. ნატაშა მენაბდე გვრიტოსა და დუდუნას ატყუებს, მე თვითონ ვნახე, მარიხი რომ ტურამ შეახრამუნაო. თამუნა ქარჩავა დინჯად მიდი-მოდის, ტოტებს ერიდება, ლამაზი თმა არ დამენინკნოსო.

ბიჭები უფრო გაბედულნი არიან. ერთმანეთს ახალისებენ. ომიკონ და სიკონ, რწყილა და ჭუკია, ძღვიკი და ქვათი სხვა დროსაც დასუნსულებდნენ ჩირგვებში ბუდეებისა და ტყის ხილის საძებრად. მიშიკოს, ჯიბოს, ვალერიკოსა და რომანიკოს გულის სილრმეში ეშინიათ, მაგრამ ფახიფუხობენ და ბილიკს ისეთ მანძილზე სცილდებიან, ცისია რომ არ დაკარგონ.

ეკვდერში „ვერასულას ბიჭები“ შეერილან — პაპუჩი და მაჟუკა, და კიდევ ორი-სამი ბიჭი. ტყეში ხმაური და ფუსფუსი გაიგონეს, სამალავიდან გამოვიდნენ და ვერასულასკენ მოინევენ. კონსპირაციის წესებს იცავენ, ამას დრო უნდა, კლდის ძირას ჩემს შემდეგ თუ გამოაღწევენ.

ცალკერდ ბილიკზე „რუხი მგლები“ მოძუნძულებენ. ესენი მრავლად არიან, მოძრაობაშიც ეტყობათ, ძალ-ღონის გამოცდას ესწრაფვიან. წინ ხროვის ბელადი მოუძღვება. ღონივრად ადგამს ფეხებს. ყველაზე დიდი არ არის, მაგრამ დიდი ჩანს, რადგან პირველია და ამ ბირველობას არავინ ეცილება. ძალაუფლება მტკიცედ უპყრია ხელთ და დანარჩენი მგლები უსიტყვოდ მონებენ. ღორჯოლას ფეხდაფეხ მისდევს ძმა მისი — ფუცუკად წოდებული, ცქიფურიშვილთაგან მრავალგზის ნაგვემი, მაგრამ სიყვარულის სამსახურში მედგრად მდგომი. ამას პირღია მოჰყვება, სასაცილოს ვერაფერს ხედავს, პირი მაინც მოუღია, შიგ კბილები ვერ ეტევა. შემდეგი ღორჯგო შამუგიაა, თვალსაჩინო მაგალითი იმისა, რომ დიდი და ღო-

ნიერი არ ნიშნავს გულადს; ჭიპო კვირიკაძე ამაზე მაღალი-ცაა, მაგრამ ისე გამნლეულა, საცაა გადატყდებაო... აგერ გუ-გული ჯიქია, დღის შუქზეც ლამეს რომ ჰგავს... კიდევ რამდენ-იმე ბიჭი, არამგლურად რომ ისვრიან ტლინებს და მხიარუ-ლად ჭიხვინებენ. სულ ბოლოს კი ქუცნა ჭედია მოკუნტრუ-შებს, თავში ათასი ოინი მოსდის...

ყველას ხომ ვერ ჩამოთვლი. ვინც ვახსენე, ორი იმდენი, თითქოს გვიან გაიღვიძესო, ტალღასავით გამოეფინნენ „სიხ-არულიდან“, ტყის კიდეს მოაღწიეს. მათ ჯერ არ იციან, მარიხი რომ ნაპოვნია და საქმიანად მოცუნცულებენ.

ჯერჯერობით ჩვენ-ჩვენს ბილიკებზე მოვიჩქარით და არავინ იცის, სხვათა ბილიკებზე რა ხდება.

სხვაზე ადრე „რუხი მგლები“ გამოცვივდნენ ვერასულას კლდის ძირას. ხროვის ბელადმა ყირა გაჭიმა, ზამბარასავით აცეკვდა, არარსებულ მტერს მუშტი დაუშინა და საკუთარი ხორცით კმაყოფილი ლოდზე წამოსკუპდა. დანარჩენებმაც იხტუნავეს, იტლინკავეს, იკოტრიალეს...

ღორჯოლამ მუხლზე ხელი დაიკრა და ხმადაბლა ბრძანა:
— დაწყნარდით!

დაწყნარდნენ. იქვე ფერხთით, ქვებზე და მდელოზე ჩამ-ორიგდნენ.

— ბევრი რამ გაირკვა! — ბოროტად ჩაიცინა ხროვის ბე-ლადმა. — ქუცნა, მიდი, ამოყაჭე!

— ბეჭავა წერს მაგას, დარეხვილი, ეძგვერაძე ხატავს, გიორგაძე და ვიღაც-ვიღაცები ეხმარებიან.

— მაგათ მოვიყვან ჭკუაზე! — ღორჯოლამ მუშტი ასწია
— დევდარიანი ეხმარება, მგონია, ცისია, — ეჭვით და-მატა ქუცნამ, — აი, მაგას რანაირად ვასწავლოთ ჭკუა?

— მაგი არ იცი? — ჩაიხვიხვინა ღორჯოლამ და სხვებმა, ზოგმა წადილით, ზოგმა უხერხულად მხარი აუბეს.

— საციხოა ეს საქმე! — ყოყმანით ჩაურთო ლორჯგომ. ამას ხომ ციცინო კორძახიას გარდა ქალად არავინ მიაჩნდა.

— ციხედ არა ღირს? — იკითხა ღორჯოლამ. მისმა სითამა-მემ აკრძალულის ზღვარი დაარღვია, ბიჭები აცუნდრუკდნენ, ატროკდნენ. ამათი ცოდნა ხომ სიზმარსა და ნატვრას ვერ

სცილებოდა, ტკბობის ფარული მოლოდინი თავგზას უბნევდათ, ნარმოსახული რეალურში ერეოდათ, ნანატრი — ხელმისაწვ-დომში. თამამი სიტყვა მოქმედების ბადალი ეგონათ და ერთმა-ნეთს ასწრებდნენ, პირიდან სათქმელს ართმევდნენ... ამ ამბავ-ში იყვნენ, როცა ტყიდან ცისია დევდარიანი გამოვიდა.

ბავშვები გზაზე შემოეფანტა. რომანიკო და ვალერიკო შერ-ჩნენ სხვაზე დიდხანს, ახლო ბურქებში დაძრნოდნენ, ხმას აწვდენ-დნენ. უცებ აღმოაჩინა, რომ მარტოა, ირგვლივ თხმელის კედელი დგას, შრიალებს. იქნებ პატარა მარიხი სულ ახლოს ჩაცუცქულა და შიშისაგან ღნავის, ანდა დაღლილს ჩაეძინა და ამიტომ არ ეს-მის მაძებართა ხმები. ცისიამ მიაყურადა. შორიდან ისმოდა ბავ-შვების ჩაგუდული ხმები. შეშინდა, თითქოს მარიხი კი არა, თვი-თონ დაიკარგა და აქედან გასვლა გაუჭირდებოდა.

ფეხს აუჩქარა, მარტოობას გაექცა და ვერასულას კლდ-ესთან ბიჭები დაინახა.

შვება იგრძნო, უხილავ საშიშროებას რომ დააღწია თავი. შიში დაძლია, მაგრამ წამის შემდეგ გულმა რეჩხი უყო.

ბიჭები უყურებდნენ უცხო რამ თვალებით და ხმას არ იღე-ბდნენ.

უნდოდა შეხმიანებოდა, ხელი დაექნია, გაეცინა... ყელში რაღაცა გაეჩხირა და ხმა ვერ ამოილო. მიხვდა, თავი არ უნდა გაეცა, შიში არ უნდა გაემჟღავნებინა, თორემ უთუოდ გაუთა-მადებოდნენ.

ბიჭები კი კვლავ ისე ისხდნენ, თითქოს ჯგუფური სურათი უნდა გადაელოთ და განძრევა არ შეიძლებოდა.

ცისიას საშინლად მოუნდა შეტრიალებულიყო და გაქცე-ულიყო... შორს ვერ გაასწებდა. ნებისყოფას მოუხმო, ბიჭები-საკენ გაემართა და ნაძალადევად გაულიმა.

— მეგონა, მარიხს ეძებდით, თქვენ კი აქ სხედხართ!

მგლებმა ხროვის ბელადს შეხედეს, მერე კვლავ ცისიას. მათს გამოხედვაში მტაცებლისა მეტი იყო, ვიდრე ბავშვისა. ერთად ყოფნა ძალასა და გაბედულებას მატებდათ და უცებ ღორჯოლა წამოხტა, უშნოდ დაიღმიჭადა თავი ღრმად დაუკრა:

— ოღონდ მიბრძანე, მზეთუნახავო!

— ნუ მაიმუნობ! — ხმა ჩაუვარდა ცისიას, ნაბიჯი უკან გადადგა და ეს იყო შეცდომა.

ბიჭებმა წამოიწიეს... წახტომისათვის გამზადებული, და-ძაგული მგლები... თვალებში სურვილი და დაუნდობლობა ეხატათ და ცისია მიხვდა, ბავშვობისა და კაცობის ზღვარზე ვიღაცას უკვე მოესწრო უკეთური თესლის დათესვა.

ღორჯოლამ იგრძნო ხროვის მხარდაჭერა. მისთვისაც უკანდახევა მარცხს ნიშნავდა. მაჯებში წაეტანა გოგონას, სუსტმა მელავებმა თითქოს ჭახანი გამოსცესო.

— გამიშვი, მეტყინა! — საცოდავად დასცდა ცისიას, მა-გრამ მისი სისუსტე ხროვას უფრო ახელებდა.

მხოლოდ ღორჯო იჯდა თავის ადგილას, მიწას დაშტერე-ბოდა, თავს მაღლა არ სწევდა.

— საციხოა ეს საქმე! — ჯიუტად გაიმეორა.

— მოშორდი აქედან! — შეუღრინა გუგული ჯიქიამ.

— შერცხვება და ხმას არც ამოიღებს! — დაიწრიპინა ქუც-ნა ჭედიამ.

ხმები შეცვლოდა ორივეს, სხვებს კი ხმის მაგიერ ხავილი ამოსდიოდათ და ამით ავლენდნენ თავიანთ მღელვარებას.

ღორჯოლას სახე გაუკერპდა, თავისკენ მიიზიდა და ცი-სია მიხვდა, ამათთან ხვენან-მუდარით ვერას გახდებოდა. მძულვარედ გაიბრძოლა, ოლონდ ღონე უთანასწორო იყო და ბიჭს ვეღარ დაუძვრა. სხვები კი შიშისა და მოუთმენლობისა-გან დარეტიანებულნი ადგილზე ცმუკავდნენ.

სწორედ ამ დროს თავდებოდა ჩემი ბილიკიც ვერასულას კლდის ძირას.

კუნტრუშით გამოვვარდი და ხროვას წავაწყდი.

— მოდი-ა-ა-ან! — შევკივლე მთელი ხმით: — აქეთ, დევი ძია, აქ არიან!

საიდან მეცოდინებოდა, ახლომახლო თუ იყო ვინმე. ხრო-ვა სწრაფად შემოტრიალდა ჩემკენ, სახეებზე შიში და სიძულ-ვილი წავიკითხე. მივხვდი, ძვირი დამიჯდებოდა დღევანდე-ლი თავგამოდება. ღორჯოლამ უნებლიერ ხელი უშვა ცისიას და უცბად ისეთი ტკაცანი გაისმა, მეგონა ვერასულას კლდე ჩამოინგრეოდა.

ეს ცისია დევდარიანმა გაულაწუნა შეურაცხმყოფელს. ღორჯოლას მრგვალ ლოყაზე ხუთივე თითი აღიბეჭდა. გოგო კი გამოიქცა და ჩემს უკან, ბალახში ქვითინით ჩაემხო.

განითლდა, განითლდა ღორჯოლა, ღაულაჟისფერი გახდა.

ქვას დავავლე ხელი, გულს ბაგაბუგი გაპქონდა, მაგრამ იოლად არ ვაპირებდი დათმობას. ამ დროს ტყიდან ტკარცა-ლი და წვიკინა ხმები მოისმა:

— მოვდივა-ა-ართ!

აქეთ რომანიკო გამოძვრა, იქით ვალერიკო. ერთი ბუჩქიდან სიკო და ომიკო გამოხტნენ, მეორედან რწყილა, მესამედან ჭუკია გამოცუნცულდა, მიშიკომ და ჯიბომ გამოიხედეს...

ღორჯოლას ფერი დაუწყნარდა.

— ნიკანორ, ქვა დააგდე! — ბოროტად ჩაისისინა.

— ახლოს არ მოხვიდე, თორემ გლენავ! — დავიქადნე, თუმცა მუხლებში სისუსტესა ვგრძნობდი.

— თუ მოვედი, ვერ გადამირჩები! — ხმაში ყოყმანი შეეტყო, თვალი ტყისკენ გააპარა.

ჰოი, სასწაულო! იმ მხრიდან პაპუჩი ეძგვერაძე გამოჩნ-და, პაპუჩის მამუკა გიორგაძე მოჰყვა, ამას ძმები ღურწკაიე-ბი... ბაკურმა უკან მიიხედა და ბრძანების კილოთი დააგდო:

— თქვენ მანდ ისხედით! — ვითომც ჩვენი მომხრეები ბუჩქებში ბლომად იმალებიანო.

— წავიდეთ, აქედან, ნიკანორ! — სლუკუნით წამჩურჩუ-ლა ცისიამ.

ვიცოდი, ასე უბრალოდ არავინ გაგვიშვებდა.

— ნიკანორ, ქვა დააგდე! — გაიმეორა ღორჯოლამ. — ხომ ხედავ, არ გეჩეუბები, დავჯდეთ, მოვითათბიროთ!

თითქოს მოფერებით თქვა, თვალებში კი სიცივე ედგა და მისი სიტყვებისა არა მჯეროდა.

— მე და შენ ვერ დავძმაკაცდებით, ხროვის ბელადო! — აგრევე ვუთხარი. — გაბრაზებული ვარ შენზე! აგერ, ცისიას მოუხადე ბოდიში, იქნებ გული მომიბრუნდეს!

— ძაან არ მედარდება შენი გაბრაზება? — მის სიტყვებში დაბნეულობა ჩანდა, ვერ ხვდებოდა, რას ვუმზადებდი.

— სხვა გზა არა მაქვს, დუელში უნდა გამოგინვიო!

— ვიჩეუბოთ? — მკითხა გაკვირვებულმა.
— დიახ!
— მე და შენ? — ყურს არ უჯერებდა ღორჯოლა.
— მე და შენ!
— ახლა ვიჩეუბოთ, აქა?
— ახლა... — ვატყობდი, მტრებსაც და მომხრეებსაც სახეები დაუგრძელდათ. — ოლონდ მთლად აქ არა, აი იქ! — და ვერასულას კლდის ქიმზე მივუთითე.

ღორჯოლამ მზერა ჩემს თითს გააყოლა. ვერასულას კლდე გოროზად გადმოგვყურებდა ზევიდა.

— დამცინი? — ყბა მოექცა სიბრაზისაგან.
— ღონე ჯორსაც აქვს, აბა, ვაუკაცობაში მაჯობე! თუ მართლაც ხროვის ბელადი ხარ, მომყევი!

შევბრუნდი და კლდისკენ წავედი.
— ნიკანორ, ნუ!.. — ცისიამ დამადევნა.
არ ვიცი, რისი იმედი მქონდა. ჩემი სიტყვების შემდეგ უკანდახევას სიკვდილი მერჩია. იმ ადგილას მივედი, სადაც არაერთგზის მომისინჯავს. ისიც გამახსენდა, პიტალო კლდეზე თოვლი სად იყო შერჩენილი. ოდესმე მაინც ხომ იქნებოდა კლდის პირზე ბილიკი, ახლა ალბათ მორღვეული და ჩამოშლილი. მთელი ცხოვრება ვერასულას კლდეზე ასვლას ვნატრობდი, შინაგანად ამას ვესწრაფოდი, ამისთვის ვემზადებოდი.

ბოლო წამს შევკრთი, შემაშინა საკუთარმა გაბეჭდულებამ. მაშინ ვიგრძენი, ვიღაცამ იდაყვზე შემახო ხელი, წინ მიბიძგა და ყურში ჩამჩურჩულა: „მიდი, ნიკანორ, ჩემო ბიჭო, ნურაფერს შეუშინდები!“ უმალ გამიქრა კრთომა, ავმჩატდი, სხეული იოლად დავიმორჩილე. კლდის ბზარში თითები შევყავი, ფეხის მოსაკიდებელი შვერილი მოვსინჯე და ზე ავიწიე.

უკან სამარისებური სიჩუმე იდგა, თითქოს წუთში გამქრალიყვნენ ყველანი, თითქოს ჩემს გარდა არავინ იყო ვერასულას კლდის ძირას... არათუ ბავშვები, ტყეც მიჩუმდა, ნიავი არ აშრიალებდა ფოთლებს, ხე და ბალაზიც გაისუსა... ვიცოდი, არავის სჯეროდა ჩემი, გარდა იმ ვიღაცისა, ხანდახან, გაჭირვებისა და სისუსტის ჟამს, იდაყვზე რომ ხელს შემახებდა და ყურში ალერსით ჩამჩურჩულებდა: „მიდი, ჩემო ბიჭო, ნურაფრის შეგეშინდება!“ და მე მართლაც უშიშრად მივდიოდი. მართა-

ლია, ნელა, აუჩქარებლად, იმდენად ღონით კი არა, უფრო სიმტკიცისა და ნებისყოფის წყალობით. როდის აქეთ გავხდი ასეთი ფხიზელი, როდის აქეთ გამიმახვილდა მზერა! თითქოს გამადიდებელი შუშით ვუყურებდი კლდის ზედაპირს. რაც შორიდან გლუვი და მოსწორებული ჩანდა, ახლოდან დასერილი იყო უამრავი წვრილი ნაპრალით. ოღონდ არ შევშინებულიყავი, გონება არ დამფანტვოდა, ყოველთვის მოვძებნიდი წერტილს, ფეხის წვერი რომ დამებჯინა, ხელით ჩამოვკიდებოდი და ასე სანტიმეტრობით მივითვლიდი წუთებს და ჩემი უჩვეულოდ მჩატე სხეული მიმქონდა მაღლა და მაღლა...

სული ამჩატებს ალბათ სხეულს, ვერასულას კლდეზე ვერ ავა, ვისაც ჭეშმარიტი მიზანი არ უბიძგებს. მთავარი ყოფილა სურვილი, ნება. მართლაც უნდა მომენდომებინა, აუცილებლად უნდა გამებედა, საკუთარი სიცოცხლე სასწორზე შემეგდო. მხოლოდ სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე შეიძლებოდა ვერასულას კლდის დაძლევა. ღორჯოლა ჩემზე ღონიერი იყო, ჩემზე უტეხი, მძვინვარების ჟამს შეეძლო კაცის მოკვლა, მაგრამ ჩემზე მაღლა ვერ აფრინდებოდა, რადგან მას არ შეეძლო მოესინჯა ის ზღვარი, არ შეეძლო გაევლო უფსერულის პირას, გასულიყო ბენვის ხიდზე, რადგან დიდად უყვარდა თავისი ღონიერი და ჯანმრთელი სხეული, სულის არსებობა კი არც უწყოდა.

თავიდან იოლად მივიწევდი, პირველი ოთხი-ხუთი მეტრი ადრეც მქონდა მოსინჯული, ვიცოდი, სად და როგორ გამევლო. მერეც, მომდევნო ათი მეტრი თითქოს ინერციით გადავლახე. მეტრებს ვიძახი, თორემ სად შემეძლო გამეზომა. ვცდილობდი, უკან არ მიმეხედა, სიმაღლიდან მანძილი ხომ მეტი ჩანს და გულს აკრთობს. მერე უცებ გზა გადამეკატა. ხელებით ნაპრალს ჩავეჭიდე, შვერილი კი, რომელსაც ფეხით მივენდე, უცებ ჩამოიფშვნა და დამიცურდა. გული შიშით შემიხტა, თითები გამილურჯდა, თავბრუ დამესხა. ქვევიდან კი ერთიანი ამონხვრა მოისმა — „ო-ოჳ!“ ღონე დავძაბე, ზე ავიწიე და, როცა მეგონა, ფეხს ვერსად მოვიკიდებდი, საყრდენი ვიპოვე, ხელისგულისოდენა ჩაღრუტნული ფოსო. მუხლების თრთოლვა დამიწყნარდა, წელში გავიმართე. ქვევიდან კი ხელმეორედ გაისმა ერთიანი ამონხვრა — „ო-ოჳ!“ პირველად

მაშინ მოვიხედე, მხოლოდ წამით მოვაბრუნე თავი და ბევრი რამ ვერ გავარკვიე. ერთმანეთში არეულიყვნენ ყველანი — „ხროვაც“ და „ვერასულას ბიჭებიც“, პატარებიც და დიდებიც. მებევრა, ტყიდან კი ახალი და ახალი ბავშვები გამოდიოდნენ.

„მშვიდად, ნიკანორ, ნუ აღელდები, ჩემო ბიჭო!“ — ჩამჩურ-ჩულა ხმამ და ვიღაცა იდაყვნე შემეხო. ყურისძირში ვგრძნობდი დიდი ნიკანორის სუნთქვას, ღონე მემატებოდა და ფრთხილად, მოზომილად განვაგრძე გზა. გაფაციცებით ვეძებდი ნაპრალს, ვეძებდი შვერილს, რათა თითები მაინც ჩამევლო, ფეხი მომეკიდებინა, ტანით ზედ ავკროდი. ხორცი ქვევით მექაჩებოდა, მაგრამ სული მეზიდებოდა ზევით და გზა სულისა არ იყო იოლი.

ირგვლივ მდუმარება სუფევდა კვლავინდებურად, თითქოს მარტო მე ვიყავი და ვერასულას კლდე, ზევით ცა და ქვევით ტყიანი ჭალა... ჩრდილმა გაიელვა, მერცხალმა გაისრიალა ახლოს, ხელის განვდენაზე და გაქრა.

დრო მიდიოდა, ყოველი ნაბიჯი უფრო და უფრო მიძნელდებოდა. ყუხლის ღონე დამაკლდა, მაგრამ უკანდახევა შეუძლებელი იყო.

მოულოდნელად ჩრდილი დამეცა. ეს ადგილი ქვევიდან შავ ლაქად მოჩანდა. თავზევით გადმოზიდული კედელი აღმოჩნდა. გზის გაგრძელება შეუძლებელი იყო, ნაბიჯიც და მოვწყდებოდი. ნამდვილი შიში მაშინდა ვჭამე. კინაღამ ხელი ვუშვი, მაგრამ კვლავ მომესმა გამაფრთხილებელი — „ფრთხილად!“ და როცა გონს მოვეგე — „მშვიდად, ჩემო ბიჭო, აპა, დაფიქრდი!“

დავთიქრდი. მარცხნივ მივიხედე, თავის მიბრუნება გამიჭირდა. აქეთკენ კლდე დანით ჩამოსხებილსა ჰეგავდა, მარჯვნივ... იქითკენაც... არა, მოშორებით მოზრდილი ნაპრალი აჩნდა შავ ლაქად... იქნებ ხელი მიმეწვდინა... გადავქანდი... სულ ცო-ოტა, ცო-ოტა... მივწვდი... მთელი ტანი დამეჭიმა, ცარიელ კუნთებად გადავიქეცი, თხემიდან ტერფამდე ცახცახმა დამიარა... წუთიც და გალურჯებული თითები შემეხსნებოდა... ავჩერდი, მარჯვენას მარცხენა მივუსწრავე, ორივე ხელით ნაპრალს ჩამოვეკიდე... შორიდან ისევ მომესმა — „ო-ოპ!“

გამიჭირდა, ძალა თითქმის არ შემრჩა. ხელებზე ავიწიე, ნაპრალს მკლავით გადავეყრდენი... ოპო!.. იმოდენა ჩანდა, თუ ავძვრებოდი, ჩამოჯდომაც შემეძლო... ოფლი ღვარად გადმომსკდა, ასე დიდხანს ვერ გავძლებდი და ერთ ამოქაჩვაზე მთელი ღონე, რაც დამრჩა, დავხარჯე... შარვლის ტოტი გამეფხრინა, ნაკანი ამენვა, მაგრამ ეგ არაფერი... იმ ნაპრალში ვიჯე-ქი მოხერხებულად და აჩქარებულ სუნთქვას ვიოკებდი.

ამ ადგილიდან ვიწრო, ქვევიდან შეუმჩნეველი ბილიკი მიდიოდა.

გადავიხედე. ნახევრამდე ამოვსულვარ! კლდის ქვეშ თითქმის მთელი საბავშვო სახლი შეყრილა.

ერთგან „ხროვა“ დგას. ღორჯოლა თითქოს დაპატარავებულაო, ხროვის წევრები კი ისე დაფანტულან, სიმჭიდროვე ერცხვინებათო. მეორე მხარეს ჩემი მეგობრები შეყრილან — პაპური, მამუკა, ბაკურ და ცოტნე... ამათ გვერდით ცქიფურიშვილები ვიცანი... უფროსი ჯგუფის გოგოებიც... „ღორჯოლისტებსა“ და „ნიკანორისტებს“ შორის დანარჩენები მიმოფანტულან. ყველაფერი ინსტინქტურად, თავისთავად ლაგდებოდა... ცისია დევდარიანი გამოვარჩიე, თითებს იკვნეტს, ნერვულობს... ეგერ ჩემი თანაკლასელები — ცირუ და პეპელა, ამათთან — მიმოზა კაცია, მიყურებს და, ალბათ, ფიქრობს — „რანაირი ხარ, ნიკანორ?“

ბილიკმა გზა გამიიოლა. არ ავჩერებულვარ, ნელა ვითვლიდი ნაბიჯებს. დიდთოვლობაზე თეთრი ჯაჭვი რომ ვნახე, იმას გასდევდა. ასეც ვფიქრობდი!.. ზოგან ჩამორდვეული იყო და მოთმინება და მოხერხება მშველოდა.

ცოტალა მაკლდა კლდის თავამდე, როცა გავიფიქრე — „სად მიდის ეს ბილიკი?“ და უცბად შავად გამოანათა, სიგრილე მომეფინა. ერთი ხელისდადება ქვაბი იყო. გული ამიფანცქალდა, იქნებ მართლაც აღმომეჩინა რამე. შესასვლელს სანახევროდ აგურის კედელი ფარავდა, სხვა რამ საჭურჭლე გამოქვაბულის მქრქალ ბინდში ვერ ვიპოვე.

სული მოვითქვი.

არ ვიცი, რანაირად, ალბათ სასწორი აქეთ-იქით ირწეოდა, „ხროვა“ უფრო შეთხელებული მეჩვენა, ხოლო მინდორში მიმოფანტული ბავშვები „ვერასულას ბიჭების“ ირგვლივ შემო-

ჯარულიყვნენ. ბროლილელემ გაიბრნეინა ტოტებს შორის და იქ, სადაც თხმელის ხიდი იყო გადებული, დევი ცირდავა მო-ეშურებოდა გამალებით.

ბოლომდე ათიოდე მეტრილა დამრჩენოდა. ბილიკი კვლავ გაქრა, ისევ ხოხვით განვაგრძე გზა. აქა-იქ მწირი ბალახი და გლერძი ამოსულიყო. ხელს ვკიდებდი, მაგრამ ბოლომდე არ ვენდობოდი. მუხლები მთლად გადავიტყავე, მეწვოდა. ხელის-გულები დამესერა. კისერში ოფლი წურწურით ჩამდიოდა, მა-გრამ მიზანი აგერ, ხელის გაწვდენაზე იყო...

კიდევ ცოტა... კიდევ ცოტა და დაღვლარჭნილი ტოტი ვნა-ხე ბზისა. ჩავეჭიდე და ავიწიე.

ვერასულას კლდის წვერზე შევდექი და გადმოვიხედე.

ხროვის ბელადი მარტოსულად იდგა. მისი ძმაც კი — ფუ-ცუკა, შუა მინდორში გაჩხერილიყო, ნახევრად უკვე ეღალა-ტა ძმისთვის.

ღორჯოლამ უცებ თავი დახარა და ქვევით, საბავშვო სახ-ლისაკენ მოქუსლა.

— ნი-კა-ნორ! — დევი ცირდავა იდგა ცისია დევდარიანის გვერდით, ხელს მიქნევდა.

მარჯვენა ავწიე.

— ეპერ!

ვერასულას კლდიდან გადაშლილიყო ბროლილელეს მწვა-ნე ჭალა... „სიხარულის“ კორპუსები... ფართო სოფელი... მის მიღმა სხვა სოფლები და ქალაქი... ზედ ჰორიზონტზე კი ლურ-ჯად გაწოლილიყო ვრცელი ზღვა. იქ თეთრად გაკრთა დიდი ნიკანორის იალქნებიანი ხომალდი...

38

ლამის ვახტზე ვდგავარ... ზღვაზე შტილია.

„ოხოტსკი“ ყოჩაღად მიარღვევს გასარკულ ზღვას, ნაკვა-ლევზე თეთრ ჩერალს ტოვებს. პროჟექტორის შუქი ირეკ-ლება წყლის ზედაპირზე, გზას გვინათებს.

თავზევით ვარსკვლავიანი ცა გადმომხობილა. თითქოს ერთიათად მომრავლებულაო, ცის მნათობთა თოვაა, ჩახჩა-ხებენ, ციმციმებენ, თვალებს აპაჭუნებენ. დიდი დათვის თანა-ვარსკვლავედს კუდი მოუქნევია. პოლარული ვარსკვლავი ცხვირნინ ჰქიდია. ჩვენ მისკენ მივემართებით.

იდუმალი ფერი გადაჰკრავს ლამეულ ზღვას. სივრცე ბნელ-ში იკარგება. ახლოს კი ვარსკვლავთა ანარეკლი ერთიერთ-მანეთზე გადადის და საბორტო ნათურების ციალს უერთდება.

მალე გათენდება. გრილა.

თანდათან მქრქალდება ბნელი, ვარსკვლავთა ნათება სუს-ტდება. კაბადონზე ირმის ნახტომის ვარსკვლავეთი ოქროს მტვერივით ქრება.

სივრცეს ნაცრისფერი ედება, წყლის ზედაპირს ეფინება. ნისლის მსუბუქი ფთილა იბოლქვება.

აღმოსავლეთს ვერცხლისფერი გადაჰკრავს, ეს მზე ამო-აფენს თავის შარავანდედს.

უცნაური ბგერები მოისმის საიდანლაც — ხროტინი, ტყლა-შუნი, ღმული... შავი, სლიპინა სხეულები... ეს ზღვის ლომების ჯოგმა ჩაგვიარა...

ზღვა ცივი ვერცხლისფერი ხდება. სივრცე ფართოვდება, ჰორიზონტი გამოიკვეთა. ზედ ჰორიზონტთან შავი ზოლი მო-ჩანს. კამჩატკის აღმოსავლეთ სანაპიროა, ჩვენი კურსი მის გასწვრივ მიემართება.

ნინ კონცხი იუჟნი გველოდება, კიდევ ერთი დღე-ლამე და „ოხოტსკი“ გუგუნით მიესალმება კონცხეს.

კედლის გაზეთი მზადა მაქვს: კონცხი იუჟნი ხელს ართ-მევს „ოხოტსკს“. ჩვენს ხომალდის ბოცმანის ულვაშები აუპ-რეხია ყოჩაღად, კონცხ იუჟნის კი კინკრიხოზე კაპიტნის თა-ნაშემწის ქუდი ჰსურავს...

— შორს ნახვალ, შენ, ამხანაგო მატროსო! — მითხრა ერთხელ კაპიტანმა.

— იმედი მაქვს, ამხანაგო კაპიტანო! — ყოჩალად ვუპა-
სუხე.

მზემ კი იმ მხრიდან, საიდანაც ხმელეთის ზოლი ჩანდა,
ცალი თვალი ამოაჭყიტა...

ნაწილი 4

ღიღი ნიკანორი

39

აღმოსავლეთით, ჰორიზონტის გასწვრივ მთელი დღე ჩანს
შავი, ვიწრო ზოლი. თვალისთვის სასეირო არაფერია. საკვი-
რველია, რატომ აღძრავს ინტერესს ასეთი უბრალო რამ —
ზღვის მოლურჯო-ტყვიისფერი სივრცე და ვიწრო ზოლი. ალ-
ბათ, იმიტომ, წარმოსახვა რომ აფერადებს.

ზღვას მდელვარება ემატება. სამხრეთიდან ნიავი თამაშ-
თამაშ მორბის, ზედაპირზე მსუბუქ ტალღებს ააქორირებს. ტალ-
ღები ერთი ერთმანეთს მისდევენ, თავზე თეთრ ქაფს იყენებენ.
ზღვის ლომების ჯოგმა ჩაიარა ისევ. ლამით რომ შეგვხვდა,
იქნებ ის ჯოგია, იქნებ სხვა... მსხვილი, მოქნილი ტანი შავად
ულაპლაპებთ. ისმის ტყლაშუნი, ხორტინი, ღრუტუნი...

ზურგსუკან ვიღაც ჩერდება. გემბანზე მომრგვალებული
ჩრდილი ეცემა, ესე იგი ბოცმანია. მისი გამგებლობიდან გავედი,
კარიერის გზაზე ნინ წავინიე. საჭე მიპყრია და უშუალოდ კაპი-
ტანს ვემორჩილები. ბოცმანი ამას შეურიგდა. მიხვდა, სხვა სიმა-
ღლეზე უნდა ვიფრინო, მისთვის მიუწვდომი სივრცეები უნდა
დავიპყრო. ზევიდან არ მიყურებს, პირიქით, „წიკანორიჩით“ მომ-
მართავს და თუ კარგ გუნებაზეა, თანატოლივით მექცევა.

— მაგათი ღდინი... მზეთუნახავები! — ზღვის ლომების
მისამართით იგინება, სხვანაირად ვერ გამოხატავს თავის
აღტაცებას.

მზე დასავლეთისაკენ გადაქანდა, ჰორიზონტს მიღმა ეშ-
ვება. ხმელეთის ზოლს ნაცრისფერი ედება, თანდათან მუქდე-
ბა და შავდება. ბოლოს მთლიანად შავ ნისლში იკარგება.

ბინდი ეშვება, ვარსკვლავები მიმოიპნევიან ცაზე და ცვივიან კუპრისფერ ტალღებში... ჩემი ბავშვობის ის წუთებიც მეხსიერების შავ ტალღებში ცვივიან და ქრებიან. მეხსიერება პუნქტირივითაა, ჩვენი არსებობის ცალკეულ ფრაგმენტებს თუ შემოგვინახავს.

ახლაც მახსოვს: ვერასულას კლდეზე ვდგავარ. მთელი საბავშვო სახლი კლდის ძირას შეყრილა. მიყურებენ. სახეებს ძლივს ვარჩევ... აგერ ღორჯოლა შეტრიალდა და გაიქცა.

დევი ცირდავა ხელს მიქნევს.

— ნი-კა-ნორ!

— ეჰე! — ხელი ზე ავნიე და მივესალმე.

შევბრუნდი. ტყის ბილიქს დავადექი.

ხომ შეგვიმჩნევია, ხეზე ნაყოფი როგორ მნიშვნება. თითქმის ორი თვის წინ გამოიხედა თეთრი ყვავილიდან. ცოტცოტაობით, შეუმჩნევლად მსხვილდება, ფორმას იღებს. ბუნება სულაც არ ჩქარობა, მისი მოძრაობა შეუმჩნეველია. მერე თითქოს ახსენდება, რომ არსებობა წარმავალია, რომ თუ არ ავჩქარდით, დრო გაგვეპარება. ის ნაყოფიც აჩქარდება, უცბად იწყებს შეყვითლებას და ერთ დღეში ისეთი ხდება, თუ არ მოწყვიტე, გადამწიფდება კიდეც... მოვლენა ხშირად თანდათან, აუჩქარებლად მზადდება. დგება სიმწიფის უამიც და მოკლე დრო ბევრს დაიტევს.

იქნებ ვამარტივებ, ყოველივე სხვანაირად მოხდა. იმ წუთებში ხომ ტყის ბილიკს მივყვებოდი და ვერას ვნახავდი. როცა რაიმეს ვერ ვხედავთ, წარმოსახვა გვეხმარება, ჯაჭვის რგოლი აღვადგინოთ. აი, მეც ასე აღვადგენ გაწყვეტილ რგოლს...

ღორჯოლა მირბის საბავშვო სახლისაკენ. უცნაური გრძნობა დაუფლებია. გულზე სიმწარე აწევს. ალბათ, ამჯობინებდა, ვინმეს მართლაც გაელახა. რაღა ამ ჭკუაცეტ წიკანორ ბუალავას გადაეკიდა. უკეთესი იქნებოდა, დევი ცირდავას მოესწროდა შეტაკებოდა. ვაჟკაცური დაკა-დაკა გაიმართებოდა. თუ ღორჯოლა მოერეოდა, სახელი შერჩებოდა, ამოდენა კაცს სძლიაო. თუ ეცემინებოდა, დიდი სირცხვილი არც მაშინ იქნებოდა. ცირდავა ხომ ასაკით უფროსი იყო, კარატეს ილეთებიც იცოდა და გამოცდილებაც მეტი ექნებოდა. ახლა რაღა?..

ჭკუით აჯობეს და გააბითურეს... გული ბოლმით ევსებოდა ღორჯოლას და არ იცოდა, რა მოემოქმედა. ამიტომ მიიყვანა ფეხებმა იპოლიტე კვირკველიას კაბინეტამდე.

თუმცა ამას დანამდვილებით ვერ ვიტყვი. საბავშვო სახლელები ვერასულას კლდისაკენ გაიქცნენ, რაღა იპოლიტე დარჩებოდა კაბინეტში. მაშ, სად შეხვდნენ იპოლიტე და ღორჯოლა ერთმანეთს? ღობესთან... ბოსტანში... ტყისპირას... არა, კაბინეტში სჯობია! იმიტომ რომ, იპოლიტე კაბინეტში უფრო სოლიდური ჩანს, მისი სიტყვა უფრო დამაჯერებელია. კაცი შეიძლება ნამცეცა იყოს, მაგრამ კაბინეტის წონა მის ნამცეცობას ემატება. დასკვნა: მთელი საბავშვო სახლი დაცარიელებულია, იპოლიტე კი კაბინეტში ზის. მიზეზი: იპოლიტესა და ბოცო კაკულიას შუბლი შუბლზე მიუდვიათ და მაგიდაზე გადაშლილ ქაღალდებს დასცქერიან, თან ხმაშენყობით ხითხითებენ... ის ადრე იყო, ბოცო ანონიმურ წერილებს რომ წერდა დიანოზზე, იპოლიტე კი ამასხარავებდა. ახლა ვითარება შეიცვალა და იპოლიტემ ბოცოს ძმურად გადაჰვია ხელი.

— ბოცო, შესულნაწყმედილო, ეგ რეები მოგიგონია! — აღტაცებულ იპოლიტეს კარამელი ყელში გადაუსლიპინდა და პირში ახალი ჩაიდო. — აქ ცოტა ჩაუმატე! ბავშვებზე ცუდ ზეგავლენას ახდენს-თქო, წესრიგის წინააღმდეგ აგვიჯანყა-თქო, დისციპლინა აგვირია-თქო... პატარა გოგოები უყვარს და გვეშინია ვინმე არ გაგვითახსიროს-თქო! ზედმეტია? კაი, შევეშვათ! დევდარიანთან ვხედავთ ხშირად, გოგოს თავგზა აუბნია. ვინ იცის, იქნებ უარესიც მოხდა, ჩვენ კი ყურბალიშზე გვძინავს! ეს ქალაქელები ისეთი გამოჯეკილები არიან, ოპოპო, მტრისას...

ბოცო არაფერს ამბობს, ბოცო უბრალოდ ხითხითებს. თეთრ ქაღალდზე გაზეთიდან ამოჭრილი სიტყვები აცაბაცად დალაგებულა. კონვერტებზე მისამართებია: ერთი — გაზეთის რედაქტორს, მეორე — რაიონის ხელმძღვანელობას, მესამე — სამინისტროს...

— იკითხონ და იტეხონ თავი! — ხითხითებს იპოლიტე კვირკველია.

ღორჯოლამ მოუსწრო... არა, ბოცო უკვე გასული იყო. იპოლიტე სავარძელში ჩაიკარგა და გაყინული თვალებით კედელს

მისჩერებია. თითქოს ყველაფერი მოიმოქმედა, მეტი რაღა და-
რჩა?.. ჰო, ღორჯოლა!.. ღორჯოლას ფეხის ბრაგაბრუები დერე-
ფანში ისმის, კართან ჩერდება. იპოლიტე ხვდება, რაღაცა მოხ-
და, თორემ ეს ბიჭი ისეთი ამაყია, თვითონ არ მოაკითხავს. შე-
მოდიო, გასძახა.

ღორჯოლა შემოდის, კართან აიტუზება. ღონიერი, დაკუნ-
თული ბიჭია. რომ მოინდომოს, იპოლიტესაც ამოიდებს ქვეშ,
მაგრამ ბრიყვია და იპოლიტე ჭკუით ჯაბნის.

— არ გინდა? — კარამელს უწვდის.

ღორჯოლა უშნოდ იჭყანება, მას ნიკანორის სისხლი ურ-
ჩევნია.

— დაჯექი! — სკამზე მიუთითებს იპოლიტე. ადგება, გა-
ივლ-გამოივლის. ზურგსუკან ჩერდება, პირი ყურთან მიაქვს,
ჩურჩულებს...

ჩურჩულის ოსტატია იპოლიტე კვირკველია. ჩურჩულით
ისეთ ბადეს მოქსოვს, თავის დაძვრენა გაგიჭირდება. ჩურ-
ჩულით გაგაბრუებს, დაგაძინებს, იქნებ ვერც გამოიღვიძო...

მე ამ დროს ტყის ბილიკით ვეშვები. გამარჯვების სიხარუ-
ლი გამინელდა. თვით ბრძოლაა სიხარულის მომტანი, მოხვე-
ჭით კი დაღლილობასა და შინაგან სიცარიელეს მოიხვეჭ.

იქ კი, კლდის ძირას, ბავშვები დათარეშობენ. ნიკანორის
ბრძოლა ვერასულას კლდესთან სანახაობა იყო, ცირკი — ზეი-
მი გრძელდება... პატარები ყირაზე გადადიან, ერთმანეთს
დარევიან. რწყილა, ჭუკია და სიკო ქვათის აგორავებენ, ძლვი-
კი წაქცეულს შველის, ხან ერთს ეტაკება, ხან მეორეს... მიშიკო
დუდუნას დასდევს, უუუუნა — მიშიკოს... უმცროსჯგუფელმა
გოგონებმა ორ ტოტს შორის რეზინი გააბეს და ზედ ხტუნა-
ონენ... საშუალოჯგუფელებს წრე შეუკრავთ, სუმჩხვინდის-
ათვის თვალი აუხვევიათ. მას ხელები გაუშლია, ცდილობს მოთ-
ამაშეთა ურიამულში ცუცუ მარღანიას ხმა გამოიცნოს, იმისი
დაჭერა ევალება, მაგრამ ამაოდ. უფროსჯგუფელები ქვებზე
ჩამომსხდარან, ფანტს თამაშობენ. პაატა ქეცბაია სჯის, იდეე-
ბის მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა, სულ ერთნაირად
გაიძახის, ამან იმას ჩაუტყაპუნოს, იმან ამას აკოცოსო. ცდი-
ლობს, თავისთვის სულიკო ანთელავას კოცნა მოიხვედროს,

მაგრამ ბედი არ სწყალობს, ხან პანლური ხვდება, ხან წვიპურ-
ტი შუბლზე, კოცნით კი მაინცდამაინც მანანა ჩიტაიასა და მზე-
ვარ კიტიას კოცნამ მოუწია... ეჱ, რუს მგლებს წუთში დაავიწყ-
დათ მგლობა, ხროვის ბელადი და ამასწინანდელი თავგადა-
სავალი, ყაყანებენ, ჭიჭყინებენ, არიან ერთ ალიაქოთში.

ტყიან ფერდობზე ვეშვები. რამდენიმე მომცრო გორაკი
გადმოვიარე. შორი გზა არ უნდა მქონოდა, აქამდეც სოფლის
განაპირისათვის უნდა მიმელნია. გზას რა ამიბნევს. ეს გორაკე-
ბი მთასა და ბარის საზღვარზეა და საიდანაც დავეშვები, ბრო-
ლილელეს ჭალაში აღმოვჩნდები. მთავარია, შიში არ ამედევნოს.
მდუმარე ტყიდან არ გამოვიდეს ჩემი წარმოსახვით დაბადე-
ბული ვიღაცა, არსებულზე უფრო შიშისმომგვრელი, ტყეში
გზაბნეულ ბავშვებს დადარაჯებული. იქნებ დიდი ნიკანორი
მოვიხმო. შემიქებს ვაჟკაცობას, თუმცა შეუძლია ჩუმად ჩაი-
ცინოს, ყალიონი აუღელვებლად გააბოლოს და მითხრას: „ეჱ,
ჩემი კარგო, ვერასულას კლდე ჯომოლუნგმა არ არის, ხრო-
ვის ბელადი მგელი კი არა, ზოოპარკის ტურაა!“ მეც გავჩუმ-
დები. ცოტა ხანში სხვა რამეზე დავიწყებდ ლაპარაკს. ალბათ
იმაზე, დევი ცირდავა და ცისია დევდარიანი როგორ აღმოჩნდ-
ნენ გვერდიგვერდ.

შეთქმულებივით ბრუნდებოლნენ საბავშვო სახლში. ვე-
რასულასთან დატოვებული ბავშვები არც ახსოვდათ. შეუ-
რაცხყოფილ და დამცირებულ გოგონას გული სტკიოდა, მა-
გრამ სურვილი შურისძიებისა გაქრობოდა. ბილიკი ვიწრო იყო
და ძალაუნებურად იდაყვებით ეხებოდნენ ერთმანეთს. ცისია
კრთოდა, ენა ებმებოდა. ცირდავაც, ეს ქალაქელი, გამოჯეკილი
უურნალისტი ბავშვივით მორცხვობდა. არავისი თვალი მათ არ
უყურებდა და ვერავინ აიგდებდა სასაცილოდ. ნიკანორ ბჟა-
ლავა ამოუწურავი თემა ამნაირი წყვილისათვის: ერთი უურ-
ნალისტი და გაზეთის მგელი, სენსაციური მასალების მომპოვ-
ებელი — აქაოდა „თორმეტი წლის ბჟალავამ დაიპყრო აქამდე
აუღებლად მიჩნეული ვერასულას კლდე!“ (ადრე რომ მოესწრო,
ხომ ამახევდა ყურებს!), მეორე — პიონერხელმძღვანელი,
მერხს რომ გუშინ გასცილდა, მაგრამ ამ წუთას შეუძლია იამა-
ყოს თავისი გაზრდილით, რადგან თუ არა „პიონერული წვრთ-

ნა“, რა აიყვანდა ნიკანორ ბჟალავას იმ სიმაღლეზე... ვიცი, მათს დიალოგში სულ სხვა რამ იგულისხმებოდა. მთარგმნელი ვინმე რომ არსებობდეს, ალბათ გვითარგმნიდა უთქმელ სიტყვებს: „ცისიავ, პატარა გოგო, შენს გვერდით თავი ბერიკაცი მგონია. რომ შეიძლებოდეს... რომ მიბრძანებდე, ხელში ატაცებულს ჩაგიხუტებდი და ისე აგიყვანდი თუნდაც ვერასულას თავზე!“ ცისია კი პასუხობდა: „ძვირფასო, ნუთუ ვერ ხვდები, იდაყვით ოდნავ მეხები და ვერასულას კლდეზე მაღლა მგონია თავი...“ აი, ასეთ სისულელებს გულისხმობდნენ დევი ცირდავა და ცისია დევდარიანი, ენის წვერზე კი ჩემს სახელს ატრიალებდნენ.

არა და არ დამთავრდა ეს ბილიკი. მგონია უკვე გავივაკე, მე კი კვლავ აღმართს მივუყვები. ტყე ხან დაიბურება, მოიქუფრება, ხან გამოანათებს, მზის სხივებით აჭრელდება... დავიღალე, არაქათი გამომელია. ალბათ გზა-კვალი ამებნა, დროის სათვალავი დამეკარგა, მშია და მწყურია.

პიქოს! საიდანლაც ჩუმი ტყლამუნი მესმის. ტალღის ხმაა, ნელა, აუჩქარებლად რომ ეხლება ნაპირს.

გავრბივარ. ხეებს მიღმა ლურჯი ზოლი გაკრთა.

ზღვა!.. თურმე რამდენი წამოვსულვარ!.. ფერდობზე ჩავირბინე და ქვიშაში ფეხი ჩამეფლო. ჩავჯექი. მუხლებში სასიამოვნო ურუანტელმა დამიარა. ზღვის ნიავი გრილად მომელამუნა. სული მოვითქვი.

შორს, სამხრეთის მიმართულებით, ზედ წყლისპირას უზარმაზარი ლოდი გდია. აქედან პატარა ჩანს, მაგრამ მე ვიცანი „ნიკანორის ქვა“, შეუპოვრად რომ გაჰყურებს შორეულ სივრცეებს.

მანქანის თუხთუხი მომესმა. მტვერი ავარდა. იქ ალბათ გზა თავდებოდა პლაჟთან. წამოვინიე. ელეფთერის ლურჯი „ნივა“ გაჩერდა და იქიდან დევი ცირდავა გადმოხტა...

40

დავინახე დევი ცირდავა და ხაზი გადაესვა ჩემს წარმოსახვაში შეკონინებულ სურათებს. სიმართლის წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია. საკუთარი თვალი რასაც დაგვანახებს, ხშირად ისიც საეჭვოა, მე კი იმ ტყის ბილიკზე როლები ისე გავანანილე, როგორც მეპრიანებოდა. ვერასულას კლდის წვერს რომ მოვშორდი, ბავშვები ალბათ დაიშალნენ და სამეცადინო ოთახებში შეიღოლნენ. ღორჯოლა სულაც არ შესულა იპოლიტესთან და დევი ცირდავა და ცისია დევდარიანი მხარიმხარ არ მისეიონბდნენ ვიწრო ბილიკზე, რადგან ცირდავას საამისოდ არ ეცალა, მე მექებდა და მიპოვა კიდეც.

— როგორ მომნახეთ, დევი ძია?

დევიმ ჩემს გვერდით ჩაიმუხლა, სათვალე გაისწორა და ზღვას გახედა.

— შენს ასაკში სათვალე არ მჭირდებოდა!

მივხვდი, იმ დროიდანვე იცოდა ყველა ბილიკი.

— მაჯობე! — ღიმილით განაგრძო. — ვერასულას კლდეზე პირისპირ არ ავსულვარ, არც მიფიქრია, თუ შეიძლებოდა! ამ გზით ავდიოდი, ზღვისპირიდან!

მანქანის სიგნალი მოისმა. ძია ელეფთერი ზურგით ძარას მიყრდნობოდა და გვიყურებდა. საჭეს სხვა ვიღაცა აწვალებდა.

— მარიხია! — დევი, თითქოს ტანი შეისროლაო, ღონივრად წამოხტა.

მეც წამოვდექი.

თანაბრად ლივლივებდა ზღვის სივრცე. იქიდან, შორეული ჰორიზონტიდან უნდა გამოჩენილიყო დიდი ნიკანორი. ამაზე არაფერი მითქვამს, რადგან ჩემს გარდა მაინც ვერავინ დაინახავდა.

ძია ელეფთერმა მარჯვენა გამომიწოდა. შევცბი. რაღაც შეიცვალა მასში. რა თქმა უნდა, მის სახეზე ამ ერთ დღეში ვერ გაქრებოდა მწუხარების ღარები. თვალებში კვლავ დარდი ედგა, მაგრამ ტუჩის კუთხეში ღიმილი გაუკრთა. იქნებ მაღლიერებას მაგრძნობინებდა ამ ღიმილით, პირისახე მიმზიდ-

ველი გაუხდა. მე ხელი ტკაცანით მოვახვედრე მის ფართო ხელისგულზე. ოდნავ მომიჭირა, მომეფერა თითქოს.

მარიხმა გამოყო თავი. პატარა ბატკანსა ჰგავდა. მძივივით წვრილი კბილები გამოაჩინა.

ჩავსხედით მანქანაში და წამოვედით. ჩუმად ვისხედით, მხოლოდ მარიხი ტიტინებდა, ვითომც რაღაცას გვიყვებოდა თავისი ჭყუით. დანგრეულ გზაზე მანქანა უხეშად ირყეოდა და მარიხს ამ ტიტინში ჩაეძინა.

ჯერ კიდევ დღე იყო, „სიხარულის“ ჭიშკართან რომ გავჩერდით, თუმცა ეზო მთლიანად ჩრდილს აევსო უკვე.

ძია ელეფთერმა ძრავა გამორთო და სიჩუმე ჩამოვარდა.

მანქანიდან ჩამოსვლას არ ვჩეკარობდით.

ელეფთერი ორივე ხელით საჭეს ჩამოყრდნობოდა და წინ იყურებოდა. დევი მარიხის კულულს შეეხო, ხმადაბლა თქვა:

— როგორ სძინავს... დაიღლალა. — მერე ელეფთერს შეხედა, მხარზე მოუთათუნა: — ელეფთერ, თუ ჩემს რჩევას რამედ ჩააგდებ, ნუ აჩქარდები. მე ხომ ვიცი, გულში ჯერ არაფერი გადა-გინევეტიათ შენ და მავრას, ჭოჭმანობთ... დატოვე ბავშვი!

ელეფთერმა ამოიხსრა. მძიმედ გადმოვიდა მანქანიდან, სავარძელი გადასწია, ჩვენ ჩამოგვიშვა. დევიმ მანქანას შემოუარა, წინა კარი გამოაღო, მარიხი ხელში აიყვანა.

მივდიოდით კორპუსისაკენ და ზურგში ვგრძნობდი ძია ელეფთერის მზერას. მერე მანქანის ხმა გავიგონე, ძია ელე-ფთერი წავიდა.

დევის პატარა მარიხი ჩაეხუტებინა, ფეხს ფრთხილად ადგამდა, შიშნეულად, მიუჩევლად, იმ კაცის წესით, ვინაც მამა ჯერაც არ ყოფილა, მძიმე ყუთებსა და ტომრებს ყოჩაღად დაათრევს, მაგრამ ერთი სიფრიფანა ანგელოზის ხელში აყვანა უჭირს, თან თითქოს რცხვენია თავისი ახალი როლისა, თან ვერ მაღავს, რომ სიამოვნებს.

პირველი კორპუსის პარმაღზე გოგონების გუნდი გამო-ცვიდა.

— ვაი! — შოვნა ჩართოლანმა წამოიძახა. — მოგვეცით, მასნ!

— ჩვენ წავიყვანთ, მასნ! — ჩაერია ფუნთუშა ცქიფური-შვილი.

დევი შეყოყმანდა და უცებ მომიზა კაციას გაუწოდა. გოგონა უხმოდ იდგა კიბის თავზე, თვალებგაფართოებული შემოგყურებდა, ნითელი, გეგონება პომადანასმულიაო, ტუჩები გაკვირვებისაგან ოდნავ გაეხსნა და გაპტუშტვოდა. ისეთი მომხიბლავი იყო, შემეშინდა კიდეც. იქნებ დევიმაც იგრძნო რაღაც. მაშ, რატომდა გამოარჩია ამდენ გოგონაში. მიმოზას ხომ არაფერი უთხოვნია, დევიმ კი ცნობისმოყვარე გოგოების კედელი გაარღვია და მძინარე მარიხი მიმოზას გაუწოდა. იმან ანგარიშმიუცემლად გამოუშვირა ხელები, მარიხი ზედ გადმოიგორა, გულში ჩაიკრა, თან ლოყებზე ცეცხლი მოეკიდა, თვალი დაბლა დახარა.

შებრუნდა მიმოზა კაცია და კინაღამ ღორჯოლას დაეჯახა. უკვე არარსებული ხროვის ყოფილი ბელადი კარიდან გამოდიოდა. უცნაური წამი იყო. არ ვიცი, რას ფიქრობდა, მის სახეზე ჯერჯერობით გულგრილობის გარდა არაფერი იცითხებოდა. თითქოს იღვიძებდა რაღაც, სიღრმიდან წამოსული, ჩვენთან მოულოდნელმა შეხვედრამ რომ შეატოკა. თვალები გოგონებზე შერჩა, თან მეც და დევიც დაგვინახა, სიკეთე და ბოლმა ერთად დატრიალდა მის სულში. მივხვდი, მზად იყო, შუაში გავეხლიჩე, მაგრამ მიმოზას გადააწყდა და ამან წამით შეაჩერა. გოგონა კი თითქოს მიხვდა, რა ცეცხლიც ბიჭის სულში ტრიალებდა და ამ მორცხვმა, უთქმელმა, წაზმა არსებამ მოულოდნელად ენა ამოიდგა და ცოტათი ჯიუტად, ცოტათი მოფერებით მძინარე ანგელოზი შეაჩერა — „გამომართვი, ხელები დამაწყდა!“ მანაც უნებლიერ, უცაბედი მიმართვით სახტად დარჩენილმა, თავისი ღონიერი ტორები შეაშველა.

შიშმა შემიკურო, კინაღამ ვიყვირე. ხელები წინ გავიშვირე, თითქოს ველოდი, ამ მძულვარების გორგალმა მძინარე ბავშვი ძირს არ დაანარცხოს-მეთქი.

ღორჯოლას სახეზე განცდათა ფეირვერკმა გადაირბინა. გაფითრდა, ბაგე აუცახცახდა. მხრებში ისე მოილუნა, თითქოს მძიმეზე მძიმე ტვირთი ეჭირა. შებრუნდა და მარიხი ისე წაიყვანა, ფაიფურისა ყოფილაო. საკუთარი სითამამით შეძრული მიმოზა უკან მიჰყვა, ცალ ხელს წინ იწვდიდა, თითქოს ეხმარებოდა, ანდა უხილავი ბანრით იყო ზედ გამობმული და ვეღარ მორდებოდა.

ეს ყველაფერი სულ ცოტა დროში მოხდა, ჩემთვის კი ყოველივე უსასრულოდ გაიჭიმა. სიტყვები თითქმის არ დახარჯულა, ყურში კი ზრიალი ჩამესმოდა. მიმოვიხედე და გაოცებულმა აღმოვაჩინე, პარმალზე ორნი დავრჩენილვართ — მე და დევი ცირდავა. ნიკაპი ამინია, სათვალიდან ჭკვიანი თვალები მომაპყრო და ამ მზერას ვერსად გავექეცი. თქმით არაფერი უთქვამს, მაგრამ ზედმეტი სიტყვა რა საჭირო იყო. „ეჱ, ჩემო კარგო ნიკანორ, გულს ნუ გაიტე! მე და შენ კი არა, მიმოზა კაციამ დაამარცხა ხროვის უძლეველი ბელადი ჩვენს თვალწინ!“ — ეს იკითხებოდა მის თვალებში.

41

— მოიცა! — მიმოზამ ნაბიჯით გადაასწრო ღორჯოლას. ჩქარი, ქალური მოძრაობით საბანი გადასწია, ზენარი და ბალიში გაასწორა.

— მოიცა! — ახლა ფეხსაცმელები გახადა ბავშვს, იმას კი არაფერი გაუგია, გულწასულივით ეძინა.

ღორჯოლამ ფრთხილად დააწვინა.

— მომებმარე, გია, კაბა ხომ უნდა გავხადო!

„გია!“ — ღორჯოლას თითქოს დავიწყებოდა საკუთარი სახელი და უხეიროდ გაიღმიჭა. მეტისმეტად ეუხერხულებოდა ძალათი ძიძის როლი, მაგრამ რატომლაც უხაროდა ამ უსუსურ გოგონასთან თავისი ღონისა და მოხერხებულობის გამოჩენა.

მიმოზამ კაბა გადააძრო ბავშვს, პერანგი ჩამოუწია, თეთრი, ლბილი მუცელი დაუფარა, საბანი მოახურა და წელში გაიმართა.

ახლალა შეხედა ხატიაშვილის ბიჭს. უცებ მთელი თავისი სითამამე შემოეფანტა და ზაფრანისფერი დაედო, თითქოს თუ აქამდე ხმას იღებდა, პატარა მარიხი ეგულებოდა ფარად.

— რას წითლდები ერთი! — ღორჯოლა თვითონაც თავს უხერხულად გრძნობდა.

— რა ვიცი! — ხმა მთლად ჩაუვარდა მიმოზას, წასასვლელად გაინია.

ღორჯოლა წინ გადაუდგა, განა ისე, გზა მთლად დაეკეტა, ნაბიჯი გადადგა და ეს თავისთავად გამოუვიდა, გოგონას შეშინებას არ ცდილა.

მიმოზა უსუსურად, საყვარლად შეკრთა და ღორჯოლას სიცოცხლეში პირველად შეებრალა ვიღაცა.

— გეშინია?

მიმოზამ ამოხედა, თვალი აუწყლიანდა. უნდოდა ეთქვა, რა გინდათ ჩემთან, ყველანი რატომ ამეციდენით, სხვა ვერავინ იპოვეთ?.. ღორჯოლას თვალებში ლმობიერება იდგა და მიმოზა დაწყნარდა, თუმცა ხელები მაინც უთრთოდა და ცდილობდა, ეს დაემალა.

— არა! — პასუხი შეუგვიანდა.

— მართლა არ გეშინია?

— არა! — ყოყმანით გაიმეორა მიმოზამ და უცეპ: — ოლონდა ცისიას რატომ აწყენინე?

— მეც მაწყენინეს! — სახე აუფორაჯდა ღორჯოლას. — არავისი გასამასხებელი არა ვარ მე!.. დავახევ ლაყუჩებს!

კარისაკენ გაემართა, მაგრამ ბოლო წუთს შეჩერდა და თვალებში კვლავ ლმობიერება ჩაუდგა.

— აი, შენ თუ ვინმემ გაწყენინა, მითხარი! — ხელი ისე მოიქნია, მიმოზას დამჩაგვრელს, ეტყობა, კაი დღე არ დაადგებოდა.

დერეფანი ცარიელი იყო, ბავშვები უკვე ვახშმობდნენ.

წინ ღორჯოლა მიაბოტებდა, უკან მიმოზა მიჰყვებოდა და ვერ გარკევეულიყო, შინებოდა თუ არა. ღორჯოლას ბიჭურად მომრგვალებულ მხრებში და მსხვილ, დაკუნთულ მკლავებში ძალა იგრძნობოდა.

შეჩერდა, ადრინდელ ნათქვამს მიუბრუნდა:

— დევდარიანი თვითონაა დამნაშავე! რას მეჩირება? ჭკუის სწავლებით ტვინი მაქვს ახდილი! — ეს უკვე თავის მართლებასა პერანგი და გალიზიანებულმა ტრაბახი ჩააქსოვა: — მე, თუ გინდა იცოდე, ჭკუას უფროსებიც მეკითხებიან! ეგერ იპოლიტე მეთათბირება...

„ვინა?“ — იკივლა ვიღაცამ მიმოზას სულში. აქამდე კედელთან მიმდგარი, თავდახრილი უსმენდა ღორჯოლას, თითოთ

შპალერის ნახატს აწვალებდა. მთელი არსებით ცისიას მხარეს იყო, მაგრამ ხმის ამოღებას ვერ ბედავდა. იპოლიტეს ხსენებამ ააფორიაქა, გვერდულად გახედა ღორჯოლას. ბიჭს სინათლე ზურგში სცემდა, სახეზე ჩრდილი ეფინა და მისი გამომეტყველება ვერ გაერჩია. თვითონ მიმოზას პირისახეზე სინათლემ გადაურბინა და თვალები უცნაურად გაუკრთა. სიმორცხვე და შიში გადალახა და ზიზღით მიუგდო:

— აი, შენ როგორი ყოფილხარ, ცისიას მტერი და იპოლიტეს მეგობარი!

ღორჯოლას გული ჩაუვარდა. იგრძნო სიმწარე მიმოზას ხმაში, მიზეზს ვერ ჩასწვდა, შეურაცხყოფილი კი დარჩა. სხვა დროს ამ ციცქნას ხმასაც არ ამოაღებინებდა. თვალის ერთი დაბრიალებაც კმაროდა, მიმოზას მუხლები რომ მოჰკვეთოდა, მაგრამ ღორჯოლამ იგრძნო ძალა სისუსტისა, მიხვდა, მიმოზას სინაზეს ვერ მოერეოდა, აქ ღონე და მუშტი ვერ ჭრიდა და შეურაცხყოფა გადაყლაპა.

ნაძალადევად ჩაიცინა, ვითომც მიმოზას ნათქვამი გააქარწყლა, ვერ მიმხვდარიყო ქარაგმას, ამ დაპირისპირებას ცისიასა და იპოლიტეს შორის.

მაშინ მიმოზამ პირველად თავის სიცოცხლეში ხმა ამოიღო და თქვა სათქმელი.

ღორჯოლა ისმენდა პატარა გოგოს აღსარებას და გრძნობდა, გული რომ ეყინებოდა თანდათან, თანდათან, სანამ ყინულის დიდ ლოდად გადაექცეოდა.

მიმოზა გაჩუმდა. მკერდზე ხელი მიიღო. თითქოს შორეთიდან დაიძრა ყრუ ტკივილი, ცოტცოტაობით მიუახლოვდა გულს, უცაბედად მოუჭირა. ბაგე მნარედ მოიკვნიტა. უნდოდა შველა ეთხოვა, მაგრამ სირცხვილისაგან თავის აწევა არ შეეძლო და შუბლით კედელს მიეყრდნო.

სული ზიზღით ავსებოდა და ეს ზიზღი ახრჩობდა.

ღორჯოლას მოუნდა თავზე ხელი გადაესვა, დაემშვიდებინა. ვეღარ გაბედა. სწრაფად გაშორდა და პატერზე რომ გააღნია, ღრმად ჩაისუნთქა, გული მაინც ვერ დაიამა.

სასადილოდან ბავშვების ხმაური ისმოდა. ახლა ლუკმა ვერ გადაუვიდოდა პირში.

ვერულავების სახლისაკენ გაიხედა. მზერაში კვესი და აბედი რომ პქონოდა, ცეცხლს წაუკიდებდა.

ნახვა არავისი ეწადა, უჩუმრად გაიქცა ღობის გასწვრივ, მაგნოლიასთან მიირბინა, ხვლიკივით ასხლტა.

ერთი ტოტი პქონდა მონიშნული. ზედ მოხერხებულად მოკალათდა. არსაიდან ჩანდა, თვითონ კი ხელისგულივით ხედავდა ეზოს, სოფლის შარას, ვერულავების სახლსა და ჭიშკარს.

ნავახშმევს ბავშვები ეზოში გამოცვივდნენ. კუჭმა წინკნა დაუწყო, მაგრამ ვაჟკაცურად მოითმინა.

ფუცუკა გამოეყო ბიჭებს, აქეთ-იქით დაწრიალებდა, ძმას ეძებდა. ვერც წარმოიდგენდა მიზეზს, რის გამოც ადამიანს შეუძლია ვახშმის დათმობა. ეტყობა ძებნამ დაღალა და განზე მდგარ გოგონებს აუარ-ჩაუარა. ფუნთუშამ ფარშავანგივით გაშალა კუდი და ტოლ-სწორებს რაღაც ჩაულაპარაკა. ამათ ტკარცალი ატეხეს, ფუცუკას უიმედო სიყვარულს თუ დასცინდნენ.

იქით ციცინო კორძახიამ მწარედ უჩქმიტა ღორჯგო შამუგიას. ღორჯგომ, ვერავინ შემამჩნიოსო და მოითმინა. რაიცოდა, ზევიდან რომ ღორჯოლა დაჰყურებდა.

ქუცნა ჭედიამ პანია ცხვირი ზევით ასწია, თითქოს პაერს ყნოსავსო. ღორჯოლას გულში გაკრა, ჩემზე გეზი ხომ არ აიღოო. თურმე ქუცნას ძეხვის სუნი უფრო აინტერესებდა, ჭიპო კვირიკაძის ჯიბიდან რომ აღწევდა.

პირლია და პაატა ქეცბაია შუქრი ცეცხლაძეს აწვალებდნენ, ეჯღანებოდნენ. ღორჯოლას არასდროს არავინ შეპბრალებია. ახლა რატომღაც გაიფიქრა, მოვიცლი და პირლიასაც და პაატასაც მწყრებს ავუფრენო.

რაღა თქმა უნდა, ხროვის წევრებს თავისი ან გადაყენებული ბელადი აღარც ახსოვდათ და ღორჯოლა გუნებაში სათითაოდ სჯიდა მოღალატეებს.

უცებ მანანა ჩიტაია ატირდა. გუგული ჯიქიამ მონინკნა კიკინები. დიდი ვაჟიკა გამოენთო და გუგულის სხვა რა გზა პქონდა, ღობეს გადაევლო და მოკურცხლა.

ცქიფურიშვილებმა მაგნოლიის ძირას მოიყარეს თავი. აქედან ღორჯოლა მათ ვერ ხედავდა. ესმოდა ხმადაბალი ტუ-

ტუნი და უცებ უუშუნამ და დუდუნამ სიცილი მორთეს. ბიჭიკომ ფუნთუშას მკაცრად გასძახა, აქეთ მოდიო... ფუნთუშა მოგვანგვალდა და ბიჭიკომ, რას დაგიფჩენია პირი და ცხენივით ჭიხვინებო. საქმროს ეკეკლუცებაო, ნანულიმ. კუჭუნამ კი, მაგ საქმროს ერთხელაც მოუწევს უეშვაო...

გოგონებმა „წითელ კუთხეს“ მიაშურეს. იქ ცუცუ მარლანია უკრავდა დანჯღლეულ პიანინოზე და ცირუ, პეპელა და ნანი ხმაშენყობით მღეროდნენ სიყვარულზე, ღალატსა და უდროო სიკევდილზე, თან გულსაკლავად დასძენდნენ: „ნანა, ნანაია, ჩქიმი ცოდა!..“

ღობის კუთხეში პანანინა მოკონა ჩაცუცქდა, უმალ წკი-პურტა მოვარდა, ჩაინი, მეც მინდაო, ვითომ ამოდენა ეზოში მეტი ადგილი არსად იყო.

— ბავშვებო, „სპაკონი ნოჩია!“ — დაიძახა ტატიანა ყალიბიამ და სკოლამდელი პატარები ტელევიზორისაკენ წაცუნ-ცულდნენ. სხვებიც ამათ მიჰყვნენ და ეზო დაცარიელდა.

„წითელი კუთხის“ ფანჯარასთან სუმჩვინდი მიიპარა, შუშას ცხვირი მიაბუშტა და ჩხავილი მორთო: „მიაუ, მიაუ!..“ გოგონებმა ერთი ამრეზით გადმოხედეს და სიმღერა განაგრძეს.

სასადილოდან დეიდა ვარა გამოვიდა. ხელში მოზრდილი ჩანთა ეჭირა. დამნაშავესავით მიიხედ-მოიხედა. უკანა ეზოდან ბონდო ჭახნაკიამ აუჩქარა ფეხს, ცოლს წამოენია და ჩანთა ჩამოართვა.

სამზარეულოში სინათლე ჩაქრა. ბნელ კართან რაღაც ამოძრავდა. ეზოში რომ გამოფართხუნდა, მაშინდა იცნო პისტი ქარდავა. გრძელზე გრძელი ხალათი ეცვა, ხელები ჯიბებში ჩაეწყო და ეტყობა, კალთებქვეშ მძიმე ჩანთებს მოაცუნ-ცულებდა.

სოფლის შარაზე აღათი ეჯიბია გამოჩნდა. ხელში ჯოხი ეჭირა და ეყრდნობოდა. უკვე ბინდდებოდა და მანდილიდან გამოჩაჩული თმა თეთრად უბრნყინავდა.

ზარმა დარეკა, ხმაურმა საძილე ოთახებში გადაინაცვლა.

ტატიანა ყალიჩავამ ჩაიარა სწრაფი ნაბიჯით, ჭიშკართან ქმარი ელოდებოდა.

მერე დანარჩენებიც დაიძვრნენ. ვარდიკო ჩქვანავამ და ჩიტო ხუხუამ ბუზღუნ-ბუზღუნით გადაკვეთეს ეზო, ნეტავირა არ მოეზონათ. ქსენია სალაყაიამ ჯეირანივით გაისრიალა, თითქოს ეს ყოფილიყოს ყმანვილქალი, დანარჩენები კი — მოხუცებულთა თავშესაფრის კლიენტები.

ვერულავების სახლში არ ქრებოდა სინათლე... რა იყო, რა არ აძინებდათ?

ფუცუკამ გამოიხედა, ეზო მოათვალიერა. „გია!“ — ხმა-დაბლა გასძახა. ღორჯოლამ პასუხი არ გასცა. ფუცუკამ ღო-ბესთან მიირბინა, თავისი ქნა და დაბრუნდა.

მიწყდა ბოლო ხმები. მთლად ჩამობნელდა, აჩრდილები დაძრნოდნენ მაგნოლიის ტოტებში.

სინათლე ყველგან ჩაქრა, მხოლოდ ვერულავების ფანჯარაში კაშკაშებდა. ხანდახან ჩრდილი გაკრთებოდა, ვიღაცა მიდი-მოდიოდა.

მოხერხებულად იჯდა, მაგრამ ტოტი მაგარი იყო და ჩამოსვლა დააპირა. ამ დროს ცისიას ოთახში აინთო სინათლე.

„არ სძინავს!“ — ღორჯოლას ის ლოყა აეწვა, რომელზეც ცისიას თითების კვალი აჩნდა ალბათ.

გოგომ ფანჯარა გამოაღო. დაჯდა, რაფას გადმოეყრდნო. სინათლე ზურგზე ეცემოდა. აქედან შორი იყო, მაგრამ ბიჭი მიხვდა, რომ ცისია ტიროდა.

„ახია მაგაზე!“ — ისე, ინერციით გაიფიქრა, მოუსვენრობამ შეიპყრო.

ცისიას მტერი და იპოლიტეს მეგობარიო!.. იმ სიფრიფანამ ისეთი კილოთი თქვა, თითქოს მის წინ გია ხატიაშვილი კი არა, რაღაც ღორჯორას მაგვარი არსება იდგა... რას უშავებდა გიას ეს ცისია ბოლოს და ბოლოს. აგერ იჯდა და ჩუმად ტიროდა. არავისთვის შეუჩივლია თავისი დამცირების ამბავი. ხელი ხომ გაულანუნა ღორჯოლას, გული მაინც ვერ მოიბრუნა. ალბათ ფიქრობდა, ობოლი რომ ვარ, იმიტომ გამიბედეს, თორემ პატრონი რომ მყოლოდა, ვინ რას გამიბედავდაო.

ობოლი რომ ვარო! ეს სიტყვები ჩაექეჭდა ღორჯოლას გონებაში და ვეღარ ამოიგდო. ობოლი რომ იყო მიმოზა კაცია, პატრონი რომ არა ჰყავდა, იმიტომაც გამხდარიყო ბილ-

წი ძალადობის მსხვერპლი. პატრონი რომ ჰყოლოდა, ხომ სიცოცხლე მოესწრაფებოდა ვიღაც ნაძირალას... ღორჯოლამ გულში ისეთი სიმხურვალე იგრძნო, ჰაერი არ ეყო...

მერე ცისია წამოდგა, ეზოში გადმოიხედა. იქნებ მიხვდა, მითვალთვალებენო. სწრაფად, შიშნეულად მოხურა ფანჯარა და სინათლე ჩააქრო.

ახლა მხოლოდ ვერულავების ფანჯრიდან ეფინებოდა შუქი. ღორჯოლა ფრთხილად დაეშვა ძირს. მაგნოლიის ძირას, სკამზე წამოწვა. ხის ვარჯი ცას უფარავდა და თავზევით კუნაპეტი სიბნელის მეტს ვერაფერს ხედავდა.

ვერც გაიგო როდის ჩასთვლიმა. უსიზმრო ძილით ეძინა და დილის სიცივემ გამოაღვიძა.

მსუბუქი ნისლი ქრებოდა კუთხე-კუნჭულებში, ხეთა ფოთლებიდან იშვიათი წვეთი ეცემოდა წკაპუნით.

შეამცირნა, გასათბობად შეკუნტრუშდა.

ვერულავების ფანჯარაში შუქი კვლავ ენთო. „ნეტა რა ხდება?“ — გაიფიქრა ღორჯოლამ.

ნეტა მის სულში რა ხდებოდა?.. გოგონების ფანჯრებზე ვერცხლისფრად აბრჭყვიალდა დილის გრილი ციალი და ღორჯოლამ წარმოიდგინა მძინარე მიმოზა კაცია, თავის ლოგინში ფისუნიასავით ჩაღულუნებული. გაპბურძგლა.

კუტიკარმა გაიჭრიალა. ეზოში მედიკო სამუშია შემოვიდა. აქეთკენ არ მოუხედავს, არავის ელოდა და იმიტომ. ყბების ტკაცუნით დაამთქნარა. გასაღები ააჩხარუნა, სამზარეულოს კარი შეაღო. „აბა, გვისაუზმია — პური, ხილფაფა, ჩაი, კეთილი გული!“ — გუნებაში უილაჯოდ გაიხუმრა ღორჯოლამ.

ცოტა ხანში ფეხაჩქარებით შემოვარდა ბონდო ჭახნაკია, უკანა ეზოს მიაშურა, ბოსელი და სალორე ჰქონდა მისახედი.

ცოტაც და ბოცო კაკულია მოვიდა. სპორტული რეიტუზი და ბოტასები ეცვა. თავზე განუყრელი შინნაქსოვი ჩაჩი ეხურა. პარმაღამდე რომ მიაღწია, შეყოვნდა, ეჭვით მიმოიხედა, ჩრდილში მდგომი ღორჯოლა ვერ შენიშნა. ფეხაკრეფით მიეპარა ცირდავას ფანჯარას. ვეღარა წვდებოდა და ბავშვივით ფეხის წვერებზე აიწია. უცბადვე შიშნეულად გამოვარდა

უკან. პარმაღამდე რომ მიცუნცულდა, მაშინდა გასწორდა წელში. „საინტერესო!“ — გაიფიქრა ღორჯოლამ.

ადგა და კვლავ მაგნოლიაზე აცოცდა.

პისტი ქარდავამ შემოალო კუტიკარი. ისევ თავისი ფართუნა, ქონით გაზინთული ხალათი ეცვა. თითქოს წუხელ არც გაეხადა. კალთები ამჯერად შევეულად ეშვებოდა და პისტის გაჩხინკულ ფეხებს აჩენდა.

მარჯვნიდან და მარცხნიდან შარაზე გამოეფინნენ „სიხარულის“ თანამშრომლები. სათითაოდ არახუნებდნენ კუტიკარს, თითქოს ჯავრს მასზე იყრიდნენ.

ვარდიკო ჩქვანავამ დუდლუნით ჩაატარა თავისი გრძელი ცხვირი. სულიკო ხუბუტიამ ისე ჩაიგოგმანა, თითქოს თოკზე გადისო. ჩიტო ხუხუა ალბათ ფიქრობდა, კუტიკარიდან პარმაღამდე დღეს თუ არა, ხვალამდე მაინც მივალნევო.

მიშიკო ძაგანიამ ფეხი მოარტყა „რაფის“ საბურავებს. ნაზიბროლა წირლვავამ კი კალოშების ჩლახა-ჩლუხით მიაშურა საწყობს.

პირველი კორპუსიდან რკინაზე ჯოხის რახუნი და ბავშვების ურიამული მოისმა. ეს ალათი ეჯიბია ჯოხს ურტყამდა საწოლის თავებს, ძილისგუდებს აღვიძებდა.

მერე ბოცო კაკულიამ ჩაუსტვინა თავის სასტვენში და ვარჯიშს მოწადინებულთა ჯგუფი ეზოში გამოიყვანა. არც ისე ბევრი იყვნენ, მაგრამ დაუზარლები. უფრო ზარმაცები ფანჯრებიდან იხედებოდნენ, ან პარმაღზე იდგნენ, ან საპირფარეშოსაკენ გარბოდნენ. მთლად წყალწალებულთა ბალიშიდან აღლეტა საუზმის ზარს თუ შეეძლო.

აიგოს ეზო ხმაურითა და მოძრაობით. ამ დროს ვერულავების სახლის აიგანზე იპოლიტე კვირკველია გამობრძანდა. ახალთახალი შარვალ-კოსტიუმი ეცვა, სოლიდური ჰალსტუხი ეკეთა, დავარცხნილ თმაზე ბრიოლინი წაესვა და მზეზე უბრნყინავდა.

თავდაჯერებული კაცის გამომეტყველებით მოიხედა „სიხარულისაკენ“, მოკლე ხელები უკან შემოიწყო და დარბაისლური, დინჯი მიმოხვრით დაიძრა. ვერულავების ჭიშკრით შარაზე გავიდა, იქ ამბაკო ცომაიასა და მრავალა პაპასკირს დაელოდა და სამივენი ერთად წამოვიდნენ. ამბაკო ხელების ენ-

ერგიული ქნევით რაღაცას ყვებოდა, მრავალას სახეზე კი სიმშვიდე და სიწყნარე ეფინა.

კუტიკართან შეფერხდნენ. მრავალა წინ გამოატარეს. იპოლიტემ თავი გამოიდო და ამბაკოც წინ გაუშვა. ღორჯოლა ხიდან სწრაფად ჩამოსრიალდა. მისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. სამეულმა აუჩქარებლად ჩაუარა. ღორჯოლამ საუბრის ნაწყვეტს ყური მოკრა. წუხელ მთელი ღამე არ გვძინებია, ამბობდა იპოლიტე. თუმცა არც უძილობა ეტყობოდა, არც დიდი წუხილი ამის გამო. ამბაკომ ამაზე თავი მწუხარედ გააქნია — „ოჰ, ოჰ!“ მრავალა მოიღრუბლა, თქმით კი არაფერი უთქვამს.

ღორჯოლას უცებ შიგნიდან რაღაცა მოაწვა. ბოლმა ახრჩიბდა. მთელი ღამე ამ ბოლმამ გააჩერა ღია ცის ქვეშ. მიმოზა კაციას ჩუმი აღსარება აგონდებოდა და გული გასკდომაზე ჰქონდა.

— იპოლიტე! — დაიძახა ხმამაღლა.

სამეული შეჩერდა. ხმა მჭახედ გაისმა ეზოში, კუთხე-კუნჭულს მიაღწია და ყველას ეუცხოვა. ბოცო კაკულია „ზემკლავს“ აკეთებდა და ხელები ასევე შერჩა. ბავშვების რიგი უხმაუროდ აირია. თითქოს მაგნიტური ველი იზიდავსო, უნებლიერ აქეთკენ გადმოინაცვლეს.

ამბაკომ უხერხულად დააბაკუნა ფეხები. მრავალა, თითქოს მართლაც ყინულისაგან ჩამოსხმულია, მთელი ტანით ბიჭისაკენ შემობრუნდა და ახლა ზვიადად და ცივად უყურებდა.

იპოლიტე დაბნეული იდგა, ხელებს იფშვნეტდა. ისე მოულოდნელი იყო ეს შეძახილი. არა „პატივცემულო“, არა „ბატონო“, არა „ძია“, არამედ მოკლედ და მოგუდული მრისხანებით — „იპოლიტე!“ რა იმალებოდა ამ წამოძახილში, უბრალო უტაქტობა ბიჭისა, ფერება-ფერებით რომ დაიახლოვა, თუ უფრო სერიოზული რამ? ეს რომ გაერკვია, პასუხსაც შესაბამისს მიაგებდა, მაგრამ გონება წამით გამოეთიშა და ვერაფერი მოისაზრა.

ამასობაში ღორჯოლა მოშორდა მაგნოლიის ძირს, გამოქანდა და... ვერავინ მოასწრო გზის გადაჭრა, შეჩერება... თითქოს მიწას მოწყდაო, თავური პირდაპირ ცხვირ-პირში ატაკა... ისეთი ხმა გამოსცა იპოლიტეს ცხვირმა, საპაერო ბუშტი გა-

ხეთქესო. სისხლი თქრიალით წამოუვიდა და იპოლიტე ზურგზე გაიშხლართა. გონს მოსვლა არ აცალა ღორჯოლამ, ზედ შეაჯდა, ხელში ჰალსტუხი მოიგდო და წაუჭირა.

— მოკლა! — იკივლა პარმალიდან ვარდიკო ჩქვანავამ.

ამბაკო და მრავალა მიცვივდნენ გახელებულ ბიჭს, მაგრამ მის დაკუნთულ მკლავებზე ხელი უსხლტებოდათ.

— მოგვეშველეთ, ხალხო, დაახრჩი! — მრავალას შიშისაგან ხმა წაერთვა, ზვიადი ყინულეთი წამში დამდნარიყო.

ფანჯრიდან ისკუპა დევი ცირდავამ, ელვისუსწრაფესად მივარდა, დასტაცა ღორჯოლას და იპოლიტეს მოსწყვიტა.

ბიჭი ახლა ცირდავას შემოუბრუნდა, მაგრამ დევიმ ალბათ სხვა რამ ილეთიც იცოდა, ამოატრიალა და მუცელზე დასცა, მკლავები ზურგსუკან გადაუგრიხა.

იპოლიტეს შეეშველნენ, წამოაყენეს. ცხვირ-პირი და გულ-მკერდი სისხლით მოთხვროდა, თვალებიდან უნებლიერ ცრემლი სდიოდა.

არ დაუჩივლებია. ამბაკოს მკლავს დაეყრდნო და პირსაბანისაკენ წახანხალდა.

— გამიშვი! — ჩუმად თქვა ღორჯოლამ, მის ხმაში წელანდელი გაავება არ იგრძნობოდა.

ცირდავამ ხელი უშვა, წამოაყენა, თავი სინანულით გააქნია...

იმ ღამეს დიანოზი კვლავ ცუდად გახდა. ბოლო დღეები უკეთესობის იმედი ჰქონდათ. თითქოს გამომჯობინდა, მოიხედა, გამართულად ლაპარაკიც შეძლო. მნახველებს არ უშლიდნენ მასთან შესვლას და ლაპარაკს. ოღონდ ელიკო წინასწარ ითხოვდა, მორიდებოდნენ „სიხარულის“ ავანჩავანს. ამიტომაც, საბავშვო სახლს თუ ახსენებდნენ, წაძალადევი იპტიმიზმით ამბობდნენ, გელოდებით, ბატონო, მალე ფეხზე წამოდგებით და საქმეებს წინანდებურად გაუძღვებითო. ეჲ, რა დროს ჩემი საქმეებია, — იტყოდა გულისტკივილით დიანოზი,

— ახლა ჩემი საქმე ხელჯონით სეირნობა ანდა ჩრდილში ჯდო-
მა და ენის ლესვააო.

ელიკო მუდამდე თავს დასტრიალებდა. არც სამსახური
ახსოვდა, არც საკუთარი თავი, თითქოს ახლადა მიხვდა, რას
კარგავდა. იხსენებდა ურიცხვ დანაშაულს, დიანოზის წინაშე
რომ მიუძლოდა და თავს ისჯიდა. დარწმუნებული იყო, რომ მხო-
ლოდ და მხოლოდ მან, ერთადერთმა შვილმა, მიიყვანა კაცი
ავადმყოფობამდე. დანაშაულის გრძნობა ვერ მოეშორებინა და
თვითონაც ავადმყოფს დაემსგავსა, გახდა და გაყვითლდა.
უსიტყვო შეთანხმება დაიდო მამა-შვილს შორის. დიანოზი
არაფერს საყვედურობდა, ელიკოც გვერდს უვლიდა საჩითირო
მოგონებებს. ერთადერთი, რაც დიანოზმა მტკიცედ მოსთხო-
ვა, ჩემს ოთახში „იმას“ ნუ შემოუშვებო. ელიკომ იპოლიტეს მი-
უკიბავ-მოუკიბავად უთხრა, შენს დანახვაზე მამიკო ნერვუ-
ლობს და ნუ ეჩვენებიო. ისე იცხოვრე, ვითომც არა ხარო. იპო-
ლიტე კბილატკიებულივით დაიჭყანა, მაგრამ შეურაცხყოფა
უხმოდ გადაყლაპა. სხვაზე უფრო ისა სწყინდა, დევი ცირდავა
რომ აკითხავდა ავადმყოფს ხშირ-ხშირად. დაუჯდებოდა სას-
თუმალთან და ჩუმჩუმა ჩუჩუნებდნენ თავისითვის. არც დიანოზი
იღლებოდა და არც ცირდავას სწყინდებოდა. ელიკოსაგან რა
დაიფარებოდა, მაგრამ ბოლო დროს ქალი თითქოს განუდგა
ქმარს, არ ეთაბირებოდა და იპოლიტე გულს ასკდებოდა, თავს
ირწმუნებდა, აქ ალბათ სხვა ამბავია, ჩემს ცოლს საბოლოოდ
შევძულდი, მაგ გადამთიელზე შეუვარდა გულიო.

ჭეშმარიტებისაგან არც ისე შორს იყო იპოლიტე. ცირდა-
ვას ყოველი ხილვა ქალს სინანულის გრძნობას უღვივებდა,
თავს უბედურად გრძნობდა. სანამ სტუმარი დიანოზთან იჯდა,
ელიკო განმარტოვდებოდა, ბალიშში ჩაემხობოდა და უხმოდ
ტიროდა. ადრე ცრემლი არ იცოდა, საკუთარ, კერპ ბუნებას
ჯებირსავით ასკდებოდა, მერე თითქოს გალხვა ეს ჯებირი,
ცრემლი გაუიოლდა. მაინც ერცხვინებოდა ქალური სისუსტის
გამომზეურობა, თვალს მოერიდებოდა და ისე ასველებდა ბა-
ლიშს. გული უმსუბუქდებოდა ამ დროს, თითქოს ცრემლებს
გარეთ გამოჰქონდა საწუხარი, გონება ეწმინდებოდა და თავს
რომ წამოსწევდა, უკვე აღარავინ სძულდა, იპოლიტეც კი...

ცირდავამ რა იცოდა ამ ფერისცვალებისა. პირიქით, ისევ
ის კერპი და თავნება ქალი ეგონა. დალლამ და უძილობამ სახ-
ის ღარები მოუმრავლა, ქალური სინაზე გაუქრო. ჭეშმარიტი
ელიკო საიდუმლო სილრმეებში ჩაიმალა და ცირდავა მას ვერ
ხედავდა. ადრე თუ საალერსოდ წასძლევდა სული, თითქოს
გული გადაეკეტა, სმენაც დაუყრუვდა და ელიკოს სულის ძახ-
ილი ამაოდ ფოფინებდა ჰერში.

მერე, იმ ღამეს დიანოზი ისევ ცუდად გახდა. ამჯერადაც
მავრამ დაასწრო სასწრაფოს ექიმს. რაც მავრამ თქვა, ექიმ-
მაც იგივე გაიმეორა, ადგილიდან ამისი დაძვრა არ შეიძლე-
ბაო. ყოველ ორ საათში ამოვაკითხავ და დავხედავო.

მთელი ღამე არ უძინია ელიკოს, მთელი ღამე სინათლე არ
ჩამქრალა ვერულავების სახლში. საწოლის კიდეზე ეჯდა დი-
ანოზს და მისი დიდრონი, კოტიტა თითები თავის გამხდარ,
ფერდაკარგულ ხელში ეჭირა. დიანოზი მძიმედ სუნთქავდა,
მკერდი აუდ-ჩაუდიოდა. ლაპარაკი არ შეეძლო. ხანდახან
ხელი შეუტოკდებოდა. ამით თუ აგრძნობინებდა ქალიშვილს,
ცოცხალი ვარ, მესმის, ჩემს გამო რომ იტანჯებიო.

ელიკოს ცრემლი ერეოდა, ჩუმად სხლიპინებდა, ანდა
ხმადაბლა ჩასჩურჩულებდა, საალერსო სიტყვებს იგონებდა,
თითქოს ბავშვს ეფერებაო. ნეტავი თუ ესმოდა დიანოზს მისი
სიტყვები. და თუ ესმოდა, ალბათ მალამოდ ედებოდა. ბავშ-
ვობის დღეებიდან მოყოლებული მამა-შვილს შორის პირვე-
ლად დამყარდა სრული ჰარმონია, ურღვევი, წყნარი სიყვარუ-
ლით აღსავსე და იქნებ მადლიერიც იყო დიანოზი ამ თავისი
ავადმყოფობისა, ამ თავისი ტკივილებისა, იქნებ ამიტომაც არ
სჭირდებოდა თქმა ბედის სამდურავისა და არც ხმას იღებდა,
რათა სიტყვებით არ დაეფრთხო ეს სათუთი ლაციცი.

მეზობელ ოთახში იპოლიტე თვლემდა, დაღლილობასა და
ბოლმაში ჩამძვრალიყო და ისიც ელოდებოდა, ოღონდ იმას,
ბოლოს და ბოლოს როდის მომთავრდებოდა დიანოზის ცხოვ-
რების გზა, თვითონ როდის გაეხსნებოდა საბოლოოდ ხელე-
ბი, რადგან დიანოზის თვით არსებობა არაერთგზის არწმუ-
ნებდა თავის არარაობაში.

დიახ, სიხარულსა და ტკივილებში მოდიოდა დიანოზის
დიდი ღამე...

— არ გძინავს, კაცო? — მავრამ გარიურაჟზე თვალი გაახილა და ელეფთერისაკენ გაიხედა. ელეფთერს ხელები თავქვეშ ამოედო და ჭერს მიშტერებოდა.

ცოლის კითხვაზე პასუხი არ გაუცია, ერთი მოხედა და კვლავ ჭერს მიაცქერდა.

როდის-როდის ჩახველა, ხმა ჩაიწმინდა და უხერხულად იკითხა:

- დღეს ბავშვს გამომატანენ?
- გადაირიე, კაცო, სამუშაოზე არ მიდიხარ?
- თან წავიყვან, კაბინაში ჩავისვამ და ვატარებ! — ყოყმანით თქვა ელეფთერმა.

მავრა წამოჯდა, ჭალარაზე ხელები გადაისვა, გაისწორა.

- ელეფთერ, მიკიბე-მოკიბვის გარეშე მითხარი, რა გინდა?
- კაცმა ამოიოხრა. კარგა ხანს ჩუმად იწვა, მავრას ეგონა, მომიყრუაო და ამ დროს ალაპარაკდა ელეფთერი.

- მეც არ ვიცი, მავრა! მთელი ღამე არ მძინებია. მეშინია კიდეც იმ პატარა ცუცქნასი, თითქოს იქიდან მომეპარა, საიდანაც არ მოველოდი. მომეპარა და მებრძვის, სურს წამართვას რაღაცა, რასაც ასე ველოლიავებოდი.

მავრამ გაკვირვებით შეხედა. კრუსუნით გადმოაწყო ფეხები ლოგინიდან, ფლოსტები მოიძია.

ცდილობდა სიტყვა გამოეზომა. ეშინოდა, რაიმე ზედმეტი არ წამოსცდენოდა. უადგილო სიტყვით არ დაეღუპა კაცის სულში დათესილი თესლი.

- კაი ბავშვია მარიხი! — თითქოს წაიოცნებაო, ისე თქვა და სანამ ოთახიდან გავიდოდა, დაამატა: — გებრძვის? გულუბრყვილო ანგელოზია, რანაირად უნდა გებრძოლოს?

ელეფთერმა კითხვა უპასუხოდ დატოვა, თუმცა პასუხი თავში უტრიიალებდა: სწორედ რომ ანგელოზია, სწორედ რომ გულუბრყვილო ანგელოზია და მისი ძალაც ამაშია.

- „ჯანდაბას, გულისთქმას მოვერევი, — ასე გადაწყვიტა,
- თავს ავარიდებ, შორიდან შემოვუვლი ხოლმე საბავშვო სახლს!“

ვერ შეასრულა! ვერ მოერია გულის მოწოდებას. პირველ-სავე რეისზე, რკინიგზის სადგურზე ორი დიდი კონტეინერი რომ დაუდვეს, ბაზისაკენ მიმავალ გზას კი არა, სოფლის შარას დაადგა და ეს თავისი მძიმენონიანი „კრაზი“ „სიხარულის“ ჭიშკარს მიაყენა, დააპიპინა.

საუზმე უკვე მომთავრებულიყო და ბავშვები ეზოში გამოეფინენ.

დიდხანს არ მოუწია ლოდინმა. პატარების ჯგუფს მარიხი გამოეყო. ჯერ ნელი-ნელ, გაფაციცებით მოიწევდა, ალბათ ამონმებდა, მართლა ჩემთან მოვიდნენ თუ არაო. ელეფთერმა გაულიმა და ხელი დაუქნია. მაშინ კი გამოიქცა კისრისტებით, თავგამეტებით. ერთგან ფეხიც კი დაუცდა, წაიფორხილა. ელეფთერის გული, მარიხის სიდიდისა რომ იქნებოდა, სადღაც ჩავარდა. მარიხმა თავი შეიმაგრა და კვლავ წამოპარუნდა.

უკან ქსენია სალაყაა გამოუდგა. ჭიშკართან მიუსწრო და ელეფთერი მაშინდა იცნო.

- უკაცრავად, ელეფთერ ბატონო, ისე გვაქვს თავგზა აპნეული...

- გამატანე, ქსენია, გავასეირნებ და სადილზე მოვიყვან!
- მარიხს აღმზრდელის პასუხისათვის არ დაუცდია. შეეცა-და კაბინაში აფოფხებულიყო, ოღონდ საფეხურებს ვერ მიწვდა. ელეფთერმა აიტაცა და საჭესთან დაასკუპა.

ქსენიამ თითქოს ენა გადაყლაპა, მხოლოდ თავი დაუქნია. ელეფთერი კაბინაში შეძვრა, ბავშვი მუხლზე დაისვა და გონ-სმოსულმა ქსენიამ მაშინდა დაუძახა:

- ელეფთერ, შენ ხომ იცი, ბავშვი სათამაშო არ არის!
- ელეფთერს სახე მოექუფრა.

- ქსენია, მიცნობ მე შენ!

- გიცნობ და იმიტომ გეუბნები! ვიცი, არსად დაკარგავ, მაგრამ პატარას იმედი გაუჩნდება და... ახლა თავის ბედს შეგუებულია, მერე გაუჭირდება!

მარიხმა საჭეს ორივე ხელი ჩასჭიდა. ვინ იცის, ხვდებოდა თუ არა ქსენიას ნათქვამის შინაარსს. „ღვ-ღვ!..“ — ვითომც მანქანას გამოაჯავრა და ოდნავ ჭირვეულად — „წავიდეთ!“

ელეფთერმა ფრთხილად ასწია, გვერდით მოისვა. ქსენია-სათვის პასუხი არ გაუცია, მანქანა ისე დაძრა.

მარიხმა სიჩქარის ბერკეტზე დაადო ხელი და ქერა კუ-ლულები ელეფთერის ღონიერ მკლავს მიაყრდნო. ელეფთერ-მა ტორი პანია ხელზე მოუჭირა, თან ეშინოდა, არ ვატკინოო, არც იმას ეუბნებოდა, ხელი აიღო.

მარიხის თმას რატომღაც ბზის სურნელი სდიოდა და კაცს მოუნდა ცხვირით გახახუნებოდა, შიგ თვალები ჩაეფლო, მაგ-რამ ეს სურვილი გაუცნობიერებლად ეწვია და თავი შეიკავა. შარაგზას მისჩერებოდა და ხელში სიჩქარის ბერკეტი და მა-რიხის პანია ხელი მოემწყვდია.

გოგონა სულ ტიტინებდა და ტიტინებდა. ელეფთერს მისი ნათქვამისა არა ესმოდა რა, ყურში თითქოს ნაკადულის უღუ-რტული ჩასდიოდა, უნანავებდა.

ბაზაში მანქანა ამწის ქვეშ დააყენა და, სანამ მტვირთავები კონტეინერებს გადმოტვირთავდნენ, საბუთების გასაფორ-მებლად კანტორაში შეირბინა, თან მარიხიც შეიყოლია. დის-პეტჩერმა ქალმა, რომელიც დიდი ხანი არ იყო, რაც ამ რაიონ-ში გამოთხოვდა, ელეფთერის ვარამისა არაფერი სმენოდა, გულუბრყვილოდ ჰკითხა:

— შვილიშვილია? როგორა გგავს, დახატულივითაა!

ელეფთერს ნერწყვი ყელში გაეჩირა. თითქოს გამოითი-შა. არც დაუხედავს, საბუთში რა ჩაუწერეს. მადლობა ჩაილ-უდლულა, უკან-უკან დაიხია. ოთახიდან რომ გააღწია, ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა, საფეხურზე ჩამოჯდა.

— მაინა!.. ვირა-ა!.. — ყვიროდნენ მტვირთავები, ამნე ზუზუნებდა, ვილაცას მანქანა ელეფთერის კრაზისათვის მიე-ყენებინა და პიპინებდა.

მარიხმა სახელოზე მოჰქაჩა.

— გტკივა?

ვერ მიხვდა, რას ეკითხებოდნენ. ბავშვს დაავლო ხელი, ციმციმ მიარბენინა კაბინამდე. მანქანა ამწეს გაარიდა და ჩრდილში გააჩერა. უკანა ხედის სარკე თავისკენ მოაბრუნა. საკუთარი სახის ნაკვთებს სწავლობდა. ხანდახან კი მარიხს შეხედავდა. „მგავს?“ — ეკითხებოდა თავისთავს. არაფრითაც

არ ჰგავდა, მაგრამ ელეფთერს გულის წადილი აძებნინებდა მსგავსებას.

მარიხმა ჩაიცინა, თითქოს ჩაიუღურტულაო. თითო ცხვი-რზე ატაკა, მერე თავის ცხვირზე მიიდო და ჩაუღილინა:

— ერთი ცხვირი — ერთი ცხვირი, ერთი პირი — ერთი პირი, ორი თვალი — ორი თვალი...

— რას უდგახარ, კაცო?! — კანტორის პარმალიდან ვიღა-ცამ უხეშად შეუძახა.

იქითკენ არ გაუხედავს, არ შეპასუხებია, დაქოქა მანქანა და დაიძრა.

გულს ვერ დაუდებდა დღეს მუშაობას.

— გშია? — ბავშვს შეეკითხა, იმან თავი გააქნია. — ნაყინ-იც არ გინდა?

მარიხს თვალები აუციმციმდა.

სადგურის მოედანზე, სანაყინესთან გაჩერდნენ. ნაყინის გამყიდველმა ქალალდის ჭიქა და თხელი ფირფიტა გამოუწოდა, თან, ხურდას რომ უბრუნებდა, ლიმილით ჰკითხა:

— შვილიშვილია?

ელეფთერმა თავი დაუქნია, ხურდა ხელში შეატოვა.

— ბაბუას დამსგავსებია! — დაასკვნა ნაყინის გამყიდველმა.

ელეფთერმა მუხლებში სისუსტე იგრძნო. სკამზე ჩამოჯ-და და დაელოდა, სანამ მარიხი ნაყინს შესვლებდა.

— მეტი არ შეიძლება, ყელი გეტკინება! — დაყვავებით უთხრა.

უკვე მანქანაში, როცა „სიხარულში“ ბრუნდებოდნენ, ენა-მოჩლეებით ჰკითხა:

— დიდი რომ გაიზრდები, ვინ უნდა გამოხვიდე?

მარიხმა სერიოზულად შემოჰქედა.

— ვინ უნდა გამოვიდე? ვინ და დედიკო უნდა გამოვიდე!

ელეფთერი ასეთ პასუხს არ მოელოდა. „დედიკო უნდა გამ-ოვიდე!“ — მთელი გზა ჩაესმოდა ბავშვის ნათქვამი. ისევ და ისევ იხსენებდა დისპეტჩერისა და ნაყინის გამყიდველის სი-ტყვებს, თითქოს ეს სიტყვები ბეჭდიანი საბუთი ყოფილიყოს.

მარიხი მანქანიდან გადმოსვა და სანამ გოგონა ქსენია სალაყაიასთან მიირბენდა, თვალი არ მოუშორებია.

მავრა შინ თუ ეგულებოდა, სადილად მაშინდა მოვიდოდა. მანქანა ჭიშკართან გააჩერა. ეზოში, ონკანთან ხელი დაიპანა და მაგიდას უსიტყვილ მიუჯდა. მავრას ვერ მოეცალა და წელანდელი სადილის ნარჩენი გაეცხელებინა. წინ დაუჯდა ქმარს და უხმოდ შეაცექრდა. ელეფთერი უგემურად იღეჭებოდა, მერე უცებ ჩანგალი დააგდო, ხელსახოცზე ხელი შეინ-მინდა, მაცივრის წყალი დაისხა და იკითხა:

— ბავშვები როგორ სადილობენ თქვენთან?

მავრამ ამოიხვენეშა, პასუხად სულ სხვა რამ უთხრა:

— დიანოზი ძალიან ცუდადაა, ან გადარჩება, ან არა!

კარგა ხანს დუმდნენ. მავრას გულხელი დაეკრიფა და ქმარს თვალს არ აშორებდა. ელეფთერი თითს წყნარად უკაუნებდა მაგიდაზე. მერე თავი აიღო და მძიმედ თქვა:

— მარიხი უნდა ავიყვანოთ!

მავრამ ამოიხვრა. დიდი ხანია ამას ელოდა და უნდა გაჰა-არებოდა, მაგრამ შეეშინდა... დიანოზი კვდება, ვინ იცის, „სიხ-არული“ ვის ხელში აღმოჩნდება.

— ამირანის სახელზე გავაფორმებთ! — ეს რომ თქვა, ელეფთერს თვალებში უცნაური შუქი ჩაუდგა. — ამირანის ასული, მარიხ ლაგვილავა!

მავრამ ჩაისხლიპინა, თვალი მოისრისა, სისველე შერჩა თითზე.

— არ გიხარია, დედაკაცო?

— დიანოზი ცუდადა! — გაიმეორა მავრამ. — იპოლიტე კი...

უნდოდა ეთქვა, იპოლიტეს სცემესო, მაგრამ ბოლომდე არ უთქვამს. ელეფთერს თვალები ცივი გაუხდა:

— იმ შენს იპოლიტეს... — და ხელი ხელზე ისე მოუსვა, თითქოს შუაში იპოლიტე გამოემწყვდია და სრესსო. — საწყალი დიანოზი! — დასძინა უცებ. მავრა მიხვდა უთქმელ შინაარსს: საწყალი, არა იმიტომ, რომ კვდება, არამედ იმიტომ, მისი მონაგარი იპოლიტეს რომ რჩება. — ახლა იქ ძალლი პატრონს ვერა ცნობს, წადი და ბავშვი გამოარიდე, საბუთებს მერეც გავაფორმებთ...

ჩაბნელებული იყო. მქრქალი შუქილა აღწევდა ფარდებით შებურვილი ფანჯრიდან.

დიანოზ ვერულავას მაღალ ბალიშზე მიედო თავი. მძიმედ სუნთქავდა. ლაპარაკი აღარ შეეძლო. ჭერს მისჩერებოდა. კაცი იფიქრებდა, ვერაფერს ხედავს და არაფერი ესმისო. დიანოზს კი ყოველი ჩქამი ესმოდა. გრძნობდა, რომ ოთახში ორნი იყვნენ. აგერ, სასთუმალთან დევი ცირდავა ზის. ხანდახან ხმადაბლა ჩაეკითხება: „დიანოზ, ხომ გესმის ჩემი? დიანოზ...“ დიახაც, რომ ესმოდა დიანოზს, მაგრამ არ შეეძლო თავი მოებრუნებინა, საპასუხოდ შეხმიანებოდა... „მამიკო, გესმის ჩემი ხმა?“ — ნამდაუნუმ ეკითხება ელიკო, ცრემლს ძლივს იკავებს, ყელში ბურთი გასჩრია. ყველაფერი ესმოდა დიანოზს, ყოველი ფაჩუნი... ბევრი კი არა ჰქონდა სათქმელი. ვაჟს ანგლობით დაუგდებდა: „ცირდავას ბიჭო, ჩემო გაზრდილო, აღარ დაგჭირდება ჯიხურის აგება დიანოზისათვის, განთავისუფლებ მაგ პირობისაგან!“ შვილს კი — „ელი, პატარა გოგო, დამირჩი და გულს ნუ დაიჩაგრავ!“

— მამიკო, გესმის?.. ხომ არაფერი გტკივა, მამიკო? — ეკითხებოდა ელიკო.

ესმოდა დიანოზს, არც არაფერი სტკიოდა. უამი ტკივილ-ისა წავიდა. ტკივილი სიცოცხლეა, დიანოზს კი სიცოცხლე არ შეეძლო. ცივმა ოფლმა დაასხა მოულოდნელად. მიხვდა, სიკვ-დილის ოფლი იყო, შვების მომტანი... ბაგე შეარხია უკანასკ-ნელად, თვითონ არ გაუგონია თავისი ხმა.

— დამირჩით! — აშკარად თქვა დიანოზმა და თვალი გახე-ლილი დარჩა.

და მოეჩენენა დიანოზს. შავ ცხენზე შავი მხედარი მოვარდა. შავი მოსასხამი უფრიალებდა. იქ, სადაც თავი უნდა ჰქონდა, შავი ღრუბელი იბოლქვებოდა. იმ ღრუბელში გამოიხდა მახინჯამა სიკვდილმა... თითქოს გაიქროლაო, დიანოზის სხეულში გაიარა, გამსჭვალა, დაეუფლა ბინიერებისა და ხრნ-ნის ბუდეს.

დიანოზმა კი საოცარი სიმსუბუქე იგრძნო. ამჩატდა, მოწყდა საკუთარ ხორციელ არსს, ზევიდან დახედა. თეთრ საწოლზე ჯერაც ფეთქავდა დიანოზის დიდი სხეული. ხედავდა დევი ცირდავას, რომელიც ცდილობდა ხმა მიეწვდინა მისთვის, ხედავდა ელიკოს, სასონარკვეთით რომ დამხობილიყო მამის ნეშტზე. მაგრამ თვით დიანოზი უკვე შორს იყო, ვერა ხმა იმას ვერ მისწვდებოდა. მის წინ გადაიშალა უკიდეგანო თეთრი ეთერი და საღლაც სილრმეში გაიელვა ფრთაფართატა ანგელოზმა, ჩვილის სხივნათელი პირისახე მოაბრუნა... „ელი, ელი!..“ — შეჰკივლა დიანოზმა და სივრცეში გაფრენილ ანგელოზს მიჰყვა...

45

მიმოზა კაცია გადამიდგა გზაზე. წეტავი რა ათამამებს ყველაზე მორცხვ გოგოსაც? კლასში ხომ სულ ერთადა ვართ და მთელი ჩვენი ნაცნობობის მანძილზე მისგან ორი სიტყვა არ მსმენია. ახლა კი გადამიდგა, ლოყები მორცხვად შეებრანა, თავი ჩაღუნა და სათქმელი ამოშაქრა:

— ნიკანორ, კარგი ბიჭი ხარ!

კი ვარ კარგი ბიჭი, ეს მე სხვაზე უკეთ ვიცი, მაგრამ ქება სულაც არ გამხარებია. როცა გაქებენ, არცთუ სასიამოვნო საქმე უნდა დაგაკისრონ, ცხადია.

— გაბრაზებული ხარ გიაზე, ხომ?

გვიან მივხვდი, ვინ გიაზე მელაპარაკებოდა. გია ხატიაშვილს რამდენი ხანია ღორჯოლად ვიცნობდი.

— იქ, ტყეში, მშიერია...

მინდოდა მეთქვა, აიღე და საგზალი წაულე-მეთქი. ენა დღოზე მოვიკვნიტე, რადგან დიდი ნიკანორი ამ სიტყვებს არ მაპატიებდა, ჭეშმარიტ ჯენტლმენს ქალის სისუსტე ვერ გააკვირვებსო, მეტყოდა...

— არ მოკვდება... — მინდოდა დამემატებინა, „ძალლი შიმშილითო“, მაგრამ გულღრძოდ გამომივიდოდა.

შევბრუნდი და სასადილოს მივაკითხე.

— დეიდა ვარა!

ვარვარას თვალები დასწითლებოდა. ხალათის ჯიბიდან წამდაუწუმ ცხვირსახოცი ამოჰებონდა. ისე შემომხედა, თითქოს ვერ მიცნო და ტირილით შემომჩივლა:

— ნამდვილი მამა იკო ჩემი!

— დეიდა ვარა! პური, ყველი და „კეთილი გული“ მინდა!

ჩემს ამ უსიხარულო გახუმრებას ყურადღება არ მიაქცია. პური მომიჭრა, ყველის ნაჭერი კი საკუთარი ჩანთიდან ამოილო. მაინცდამაინც არ გვანებივრებდნენ სულუგუნებით.

ტყისკენ გავიქეცი. ჯერ ის ადგილი მოვინახულე, სადაც „ხროვა“ იკრიბებოდა. ღორჯოლა იქარ იყო, მაგრამ მერას გამაცურებდა. მივხვდი, ის, რაც საიდუმლო გვეგონა, ღორჯოლასათვის საიდუმლო არ იქნებოდა და ჩვენს ეკვდერზე უკეთეს ადგილს დასამალავად ვერსად იპოვიდა.

რამდენჯერმე წრე დავარტყი, ყოველმხრივ დავზვერე. ბოლოს ტყის სილრმეში, სუროთი შებურულ კედლებს მივაღწიე. ჩამიჩუმი არ ისმოდა და ეჭვი შემეპარა, იქნებ შევცდი-მეთქი.

წელში მოხრილი მივიპარე. შევიჭვრიტე. არც შიგნით იყო ვინმე. შევედი და კუთხის ქვაზე ჩამოვჯექი.

ფოთოლიც არ გაფაჩუნებულა, მაგრამ ვიგრძენი, ვიღაცა მითვალთვალებდა.

— ჰა, გამოდი, კუკუდამალობანას ნუ მეთამაშები!

კედლის ნარღვევში ღორჯოლას თავი გამოჩნდა. ეჭვით მიყურებდა.

— საჭმელი მოგიტანე!

— საჭმელი?

— ჰო, არა გშია?

პური და ყველი ქვაზე დავდევი. ხელებზე აინია და გადმოხტა. ისიც გავიფიქრე, ისეა გამნარებული, იქნებ მეცეს და მეც მიმბეგვოს-მეთქი. ადგილიდან არ დავძრულვარ. ხომ მასწავლიდა დიდი ნიკანორი, მამაცი ის კი არაა, ვისაც არაფრის ეშინია. მამაცი ისაა, ვისაც ეშინია და მაინც უკან არ იხევს.

წელ-წელა მომიახლოვდა, თითქოს უფრთხოდა, ხაფანგს არ წავანედეო.

მართლაც მოშივნოდა. სტაცა ხელი და პირი გამოიტენა. იდგა და გამგელებული ჭამდა, მე კი ვიჯექი და უხმოდ შევცქეროდი. ისე უცებ მოათავა, თვითონაც გაუკვირდა.

ახლადა გამისწორა თვალი.

— რა ხდება იქ?

— დიანოზი მოკვდა! — ისე ვთქვი, სიკვდილ-სიცოცხლის ჭეშმარიტი საზრისი ჯერ თვითონაც ვერ განმექვრიტა.

ღორჯოლა კი... ვინ იყო გიასთვის დიანოზი? ბოლო დროს იგი ერთი დალლილი ბერიკაცი გახლდათ და, არც ვიცი, მოიცალა თუ არა ხატიაშვილების სატკივარისათვის. უნამლა რაიმე წამლით, თუ ხატიაშვილებიც ერთნი ათასთაგანნი იყვნენ და მეტი არაფერი? ამ კითხვებზე პასუხი მე არა მქონდა, მაგრამ ჩემს თვალწინ საოცარი რამ მოხდა. ღორჯოლას თითქოს მუხლებმა უმტყუნესო, ჩაცუცქდა, სახე დაემანჭა და ორივე ხელი აიფარა.

— ცუდად ხომ არა ხარ? — შეშინებულმა ვკითხე.

არაფერი მიპასუხა. იყო ასე ჩაცუცქული და დუმდა. მე კი არ ვიცოდი, რა მეკეთებინა. ავდექი და მთლად უხმოდ რომ არ გავცლოდი, შევეკითხე:

— რას აპირებ? წავედი მე!

თავი ასწია, უცხო, მშრალი თვალებით შემომხედა.

— ნიკანორ, წადი... — ისედაც მივდიოდი, მაგრამ ამ სიტყვებმა შემაყოვნა. — წადი და ცირდავას ჩასჩურჩულე, შენთან ლაპარაკი სურს-თქე!

წამოვედი. სამივე კორპუსი შემოვირბინე, ძია დევი ვერ-სად ვიპოვე. ბოლოს ვერულავების ეზოში შევიჭვრიტე. სახლის ლაფაროში, გრძელ სკამზე ისხდნენ ის და ცისია დევდარიანი.

დუმდნენ. თითქოს წელან ალმართი აირბინესო, სუნთქვა-შეკრულნი, განითლებულნი პირდაპირ შემომყურებდნენ და ვერა მხედავდნენ.

მივხვდი, სათქმელი ნათქვამი იყო. ამქვეყნად სხვა ყველაფერი დავიწყებოდათ და ერთმანეთის არსებობით ტკბებოდნენ.

— აჲ, ნიკანორ! — წამოიძახა დევიმ, თითქოს ზმანებიდან გამოაღწიაო.

— ძია დევი, ერთი ვიღაცა გიბარებს, ოღონდ არ ვიცი ვინ, არ ვიცი სად, არ ვიცი როდის!

ცისიაც ძლიერ გამოერკვა, შერცხვა და პირი განზე მიაბრუნა. დევიმ მოუბოდიშა:

— რა გაეწყობა, უნდა წავყვე ამ „არვიციას“, იქნებ გავარკვიოთ ვინ, სად და როდის!

ბევრი მიეთმოეთი რა საჭიროა, ძია დევი მიხვეულ-მოხვეული გზებით ეკვდერში მივიყვანე. ღორჯოლა ადგილზე დაგვხვდა, იქვე იჯდა, სადაც დავტოვე.

წამოდგა. ძია დევი გაჩერდა, სახეზე ფითრმა გადაუარა. ახლადა მივხვდი, ყველაფერი იცოდა. იქ, იმ სკამზე გული გადაუხსნა ცისიამ, არ დაუმალა, რაც ვერასულას კლდესთან გადახდა, და ახლა მზად იყო ღორჯოლასათვის აქვე აეგო წესი, მაგრამ თავს მოერია.

— გისმენ! — მის ხმაში სიძულვილი არ ისმოდა.

ღორჯოლაც მივხდა ყველაფერს. შეცბუნდა. არც ისე ამაყი და თამამი ჩანდა, როგორიც მენახა. რაღაცნაირად მოტეხილი მეჩვენა. გადმომხედა. აშკარად არ ენადა ჩემი იქ ყოფნა. ვერ ვიტყვი, ცნობისმოყვარება არ მაწუხებს-მეთქი, მაგრამ დიდი ნიკანორის ქცევის კოდექსში ისიც ეწერა, სადაც არ გეპატიუებიან, ცხვირს ნუ შეყოფო. შევბრუნდი, მივიხედმოვიხედავ-მეთქი, და ისინი ერთმანეთს შევატოვე.

დიდხანს ველოდე ღელისპირას. რა ჰქონდათ ამდენი საღაპარაკო? ბოლოს გამოჩნდნენ. ძია დევი შუბლშეჭმუხვნილი მოდიოდა, ღორჯოლას თავი დაეხარა.

— ნიკანორ! — სანდომიანი კილოთი მითხრა ძია დევიმ. — გიამ გადაწყვიტა თვითონ მივიდეს უბნის რწმუნებულთან. ამაზე ნურავის ეტყვი რამეს. მეც წავყვები და მალე მოვბრუნდები!.. ხომ იცი, — თითო ასწია, — ეს სამხედრო საიდუმლოებაა!

— ჯერ დიანოზის გვამი არ გაციებულა და... — ამოიხრა ქსენია საღაყაიამ.

რა ჰქონდა მხედველობაში? ცხოვრება რომ თავისი გზით მიდიოდა. ვერულავების სახლის სიწყნარეში ელიკოს მოთქმა-ჩივილი ისმოდა, ჩვენთან კი ალიაქოთი იდგა.

შაბათობით მშობლები ჩამოდიოდნენ ხოლმე, ვისაც ჰყავდა, იმათი, რა თქმა უნდა.

ამ დღეს სევდა დაერეოდა პაპუჩი ეძგვერაძეს, თვალები ნალველით აევსებოდა. სადმე კუთხეში მიჯდებოდა და, რაც უნდა გეთქვა, პასუხს არ გაგცემდა.

მამუკა გიორგაძეც მოიწყენდა. მნახველს არავის ელოდა, მაგრამ იქნებ მამის წერილი მაინც მიეღო. ხომ შეიძლებოდა, კაცის დაავადებულ გონებაში შვილის ხატი გაცოცხლებულიყო და აკანკალებული ხელით ორიოდე აცაბაცა სიტყვა მოეწერა.

არც არავის ელოდა მიმოზა კაციაც. „სიხარულში“ ყოფნის მანძილზე მხოლოდ ერთხელ შეეხვენა მავრა ექთანს, წამიყვანე, თვალი მაინც შევავლო ჩემს დამბადებელ დედასო. მავრა ექთანმა წაიყვანა, მაგრამ დედამ შვილი ვერ იცნო. იჯდა ხის დაბალ ტაბურეტზე, წინ და უკან ქანაობდა და ხმადაბლა ლილინებდა. ისეთი დაბერებული და გალეული ჩანდა, მიმოზამ ძლივს დაიჯერა, რომ ეს ქალი მისი დედა იყო. გაშრა გოგონა, თვალთ დაუბნელდა, მავრა ექთანის მხარს ჩამოეყრდნო. საავადმყოფოს კედლებს მიღმა მოეგო გონს, ტირილი აუტყდა. იმ დღიდან დასჩემდა ეს მტკივნეული გულის ჩხვლეტა. შუბლი ოფლით ეწინწელებოდა, თვალთ უბნელდებოდა. მკერდში ჩაბუდებულ ჩიტის გულზე კი თითქოს მატარებელი გადადიოდა გრიალით.

მეტი არასოდეს უთხოვია, დედა მიჩვენეთო.

თემო ხატიაშვილი სულ სხვა წუხილს შეეპყრო, დაკარგულივით დაბორიალობდა, ხან სად აეყუდებოდა და ხან სად. ფუნთუშა რომ ფუნთუშაა, იმისკენაც არ იხედებოდა.

აგერ ლორჯგო შამუგიას მამა — დიდი ლორჯგო მოადგა ჭიშკარს. ხელში ბადურა უჭირავს. შიგ ხილი და ტკბილეული ჩაუწყვია. რა დროს ტკბილეულია, - ფიქრობს ბიჭი, — ცოლის შერთვას ვეპირებიო. აი, სეირი! დიდი ლორჯგოს გვერდით გოდორა ქალი მოდის. იმასაც ბადურა მოაქვს. იმ ბადურაშიც ხილი და ტკბილეულია. რა თქმა უნდა, ციცინო კორძახიას დედიკოა. მოდიან და მუსაიფობენ. ამათ დანახვაზე ელამი და ჩინკა მზევარ კიტია გადაირია, დიდ ლორჯგოს კორძახიას ქალის

ტრფობა შეყრიაო, ნახეთ, ლორჯგოსა და ციცინოს სიყვარულს რანაირი საფრთხე მოელისო. უფრო იმიტომ ირეოდა საბრალო გოგო, მის მოსანახულებლად რომ არავინ მოვიდოდა.

— დაწყნარდი! — ძლივს ამოთქვა სულიკო ანთელავამ. დედამისი სადღაც ზღვისპირეთის გასტროლებზე ბრძანდებოდა, ფულიან ბიძებს აგიუებდა, რაზეც სულიკო დიდად არ ნაღვლობდა.

ახალი ბავშვი მოიყვანეს, მარინე ტორონჯაძე. ცხვირსახოცს ჭმუჭნიდა და გოგოებს უყვებოდა:

— მამიკომ მიგვატოვა... ჰო, მიგვატოვა! ჩვენ, იცით ცხრანი ვართ, ღარიბად ვცხოვრობთ, მამიკო კი ყოველდღე თვრებოდა... დედამ უთხრა, წაეთრიე, ჩემმა თვალებმა აღარა გნახონო. იჩხუბეს, იჩხუბეს და მამიკო წავიდა. წაილი, რაილი, ლაილი და ციალა დედასთან დარჩნენ, ციცინო, ცუცნა, ციცი და ცაცა მამიკომ წაიყვანა... მე შუაში ხომ არ გამჭრიდნენ?

ძმებ ღურწკაიებამდე მისი ჭიჭყინი ვერ აღწევს. განმარტოებით სხედან მაგნოლიის ქვეშ, ჩუმჩუმა პუტუნებენ თავისთვის. ავარიაში დაღუპულ მშობლებს იხსენებენ, წვრილად იგონებენ ყოველ სიტყვას, შემოხედვას, ალერს... სულს რაც ცხოვლად დააჩნდება!

ცქიფურიშვილებს უფროსმა და-ძმამ ჩამოაკითხა. კალათიდან ვაშლები და ჩურჩხელები ამოაწყვეს. უმცროსებმა სანოლზე ჩამოსვეს დალლილი სტუმრები და გარს შემოუსხდნენ. ფუნთუშა და კუჭუნა, ნანული და უუშუნა, დუდუნა და დათუჩი... სათქმელს ერთმანეთს არ აცლიან, მხიარულად კისკისებენ და ჭიხვინებენ. ბიჭიკო ცოტათი განზე ზის, ჩუმად უსმენს. როცა მოუბრუნდებიან, შენ რას გაჩუმებულხარო, — მამიკო როგორააო, — ამასღა კითხულობს.

დიდმა ვაჟიკამ შემოიხედა. ბიჭიკო ჩურჩხელა გაუწოდა, იმან კი ვაჟიკა-ცქნაფას წაუცუნცულა.

თათრის ბიჭი მურადი ღობის ძირას დამჯდარა, ბალაზე, და დაბალი ხმით მხოლოდ მისთვის ნაცნობ მარტოობის ბაიათს ღილინებს. ჩამოიარა შუქრი ცეცხლაძემ, მორიდებით დაახველა და უთხრა:

— ე, რა გამდერებს? არ იცი, დიანოზი რომ მოგვიკვდა!

თათრის ბიჭმა თავი ასწია, შავ თვალებში ცრემლმა გაიბრნებინა.

ჭიპო კვირიკაძემ ჯიბიდან ორცხობილა ამოაძვრინა, უხმოდ გაუწოდა. ქუცნა ჭედიამ კი, ეშმაკის კერძმა და ოხრის ერთმა, უცებ მოიწყინა, რაც იყო, იმაზე მოცუცქნული გახდა, თათრის ბიჭს ფეხმორთხმით მიუჯდა.

— იმღერე, მურად, ვის რას უშლის შენი სიმღერა!

ოთხმოცდაათი წლის ბებიამ ცირუ ბედიას კვლავ შემოუთვალა, ჭკუით იყავი და უფროსებს დაუჯერეო. ცირუ გამხიარულდა, ალბათ იმიტომ, ბებია ჯერაც ცოცხალი მყოლიაო.

ზაზა დევიძის მამა კი ამასწინათ თეთრი „ვოლგით“ მოგრიალდა. მთელი „სიხარული“ ცქერად გადაიქცა. გადმოვიდა კარგად ნაჭამ-ნასვამი, ლოყებლაჟლაჟა კაცი, ერთი გემოზე დააბოყინა და ბრძანა: „ხომ ხართ აქ კარგად?! იცოდეთ, დერი თმა არ ჩამოუვარდეს ჩემს შვილს თავიდან, თორემ...“ ზაზას უცებტირილი აუტყდა, ამხანაგებისა შერცხვა.

ცუცუ მარლანიამ ბოლოს და ბოლოს მიიღო წერილზე პასუხი. არ იკითხავთ, საიდან? დედამიწის მეორე მხრიდან! ვიწრო და გრძელ კონვერტში ესპანურად დაწერილი ბარათი იდო. ცისია დევდარიანმა რაიონული ბიბლიოთეკიდან ლექსიკონი მოარბენინა. მთელი დღე ჯახირით თარგმნიდნენ. მიახლოებით მაინც გაიგეს. პატარა გოგო იწერებოდა, მეც ობოლი ვარ, მამიკო კატასტროფაში დამეღუპაო. ცუცუმ ის ლექსიკონი დაიტოვა და ყოველდღე ათ-ათ სიტყვას იზეპირებდა, ვისწავლი და პასუხს მივწერო.

მაყვალა და კახა შონიებმა კვლავ იჩეუბეს. მაყვალა ატირდა. კახამ უყურა, უყურა და თვითონაც ატირდა. მაყვალას გაეცინა. კახამ ერთი გამოხედა და ამასაც გაეცინა.

— აი, გიუები! — განაცხადა თავდიდამ.

სუმჩხვინდმა თამუნა ქარჩავას ლამაზ თმაზე ხელი ჩამოუსვა და ბედზე გადარჩა, ხვიჩა თურქიამ და ოთოია თავცეცხლამ კინალამ ბეთქეს.

ყველა თავის საქმითაა გართული და ცალი თვალი მაინც ჭიშკრისკენ უჭირავთ. მე არავის ველოდები, მაგრამ მეც ხანდახან მზერა გამეპარება.

უცებ გული თითქოს მიჩერდება. ნაცნობი, მანქანა ჩრდილს მოადგა და გაჩერდა. დგას და იქიდან არავინ გამოდის. ნუთუ ერიდებათ?.. ვერ ბედავენ?..

ეთერ იოსავამ გამოიარა ტანის ამაყი რხევით. მანქანასთან რომ გაიარა, გააჩერეს. სარკმელთან დაიხარა, ელაპარაკებიან. ალბათ, კითხულობენ, რა ხდებაო. ისიც, ცხადია, ეტყვის, დიანოზი მოგვიკვდაო. ეუხერსულებათ მანქანიდან გადმოსვლა. იქნებ ჩემი ერიდებათ? ვეღარ ძლებენ უჩემოდ, თქმით კი ვერ მიბედავენ. ვიცი, შორიდან მითვალთვალებენ. საკმარისია, მივირბინო ღობესთან, გავუცინო და გაიხარებენ, მომცვევდებიან, ხელს მტაცებენ და წამიყვანენ... მე კი ჯიუტად ვზივარ ერთ ადგილას. გული ამოვარდნაზე მაქვს, მაგრამ ფეხს არ ვიცვლი. ვიცი, მათ არავინ უნდათ ჩემს გარდა, მაგრამ ვერა და ვერ მიპატიებია იმ დღეების საშინელი ღალატი.

მანქანა დაიძრა, ნელინელ გაგორდა შარაზე და მიიმალა.

ეთერ იოსავამ გაიარა, გამიცინა, წვრილი კბილები გამოაჩინა.

— ნიკანორ, იცი, ვის ველაპარაკებოდი?

— ვიცი! — გულცივად შევეპასუხე.

ნირშეცვლილი გამშორდა.

სევდა შემრჩა, ალბათ იმიტომ, გულისაშვილები მანქანიდან რომ არ გადმოვიდნენ და ისე გაბრუნდნენ; ან იმიტომ, რომ დიანოზ ვერულავა ასვენია აი, ამ სახლში და ელიკო მოთქვამს გულსაკლავად; იმიტომ, რომ დიანოზი ამიერიდან ვერასოდეს გადაჭრის ამ ეზოს, ლმობიერი თვალებით ვერ შემომხედავს და ფარული სიხარულით ვერ მეტყვის — „აპა, ნიკანორი დაგვიბრუნდა!“ ან იქნებ იმიტომაც, რომ „სიხარულის“ გაუხარელი აღსაზრდელები შაბათ დღეს ჭიშკარს მივჩერებივართ, ვინმე ხომ არ გაგვიხსენებსო. კანტი-კუნტად მოსული სტუმარი თავს თვითონაც უხერხულად გრძნობს, რაკი ყოველი მხრიდან ზვერავენ გამომცდელად. იმათ, ვისაც ბედნიერი წუთი დაუდგა, რცხვენია თავისი ბედნიერებისა და ცდილობს ტოლ-სწორთა შურიან მზერას თვალი აარიდოს.

სწორედ ამ დროს სოფლის ცენტრიდან ორი „ვოლგა“ დაიძრა, ერთი შავი და ერთი რძისფერი. ნელა მოდიან, თითქოს

მოცურავენ, დინჯად უვლიან ორმოებს. ჩვენთან ასეთი მანქანებით არავინ მოვა. ჩვენ კარგად ვიცით „ჩვენი“ მანქანები. სტუმრები ტაქსის ქირაობენ რაიცენტრში ხუთ მანეთად, უკან კი სოფლის ავტობუსს მიჰყვებიან. თვალი მაინც იქითკენ გვაქვს და აი, „ვოლგებმა“ ერთმანეთის მოყოლებით ცხვირები ჩვენკენ მოაპრუნეს და ჭიშკარს მოაპჯინეს. რვავე კარი ერთად იღება, აქეთ-იქიდან ძიები და დეიდები გამოდიან. ტანსაცმელს დარბაისლურად ისწორებენ, ხმადაბლა საუბრობენ, თითქოს ყოყმანობენ, ერთმანეთს აქეზებენ, ვინ პირველი გაბედავს ამ ჭიშკარში შესვლასო. შოთრები მანქანებთან რჩებიან, კარებს ხათქა-ხუთქით მიკეტავენ, ძარას ჩამოეყრდნობიან და სიგარეტს გააბოლებენ. დანარჩენები — ოთხი ქალი და ორი მამაკაცი, ეზოში შემოდიან, მიხვრა-მოხვრა ბატონკაცური აქვთ, მაგრამ სითამამე აკლიათ.

— სალამი, პატივცემულო! — ეს, რა თქმა უნდა, ქუცნა ჭედიაა, ცხვირწინ დაერჭობა უმალვე.

პასუხად თავს უქნევენ. ამასობაში არარსებული ტელეფონი თუ ამოქმედდა, იპოლიტე კვირკველია ამოძვრა მინიდან. ფაციფუცით ეგებება ძვირფას სტუმრებს. ძალიანაც ცდილობს, დალილავებულ ცხვირ-პირზე ხელი აიფაროს, მაგრამ ამის დამალვა შეუძლებელია და სტუმართაგან სითამამითა და, ალბათ, თანამდებობითაც პირველი ხელებს გაკვირვებით შლის:

— აუჰ, ეგ რა დაგმართნია, კაცო!

იპოლიტეს პასუხი არ მესმის, მაგრამ ვიცი, იტყუილება, წავიქეცი, სიფათით ასფალტს დავასკდიო და ამისთანები.

წინ მიუძღვის სტუმრებს. რაკი კაბინეტში ვერ დაეტევიან, პირდაპირ მეორე კორპუსისაკენ მიაქანებს, მეორე სართულის ხალვათ ოთახში შეიყვანს. მანამდე კიბეა ასასვლელი და თავპატიუთ ერთმანეთს აწვალებენ, არა, ბატონო, წინ შენ მიბრძანდიო...

ცნობისმოყვარეობა გვწვავს — ვინ არიან? რა უნდათ?.. ჰაერში დაირხა სასწაულმოქმედი და შიშისმომგვრელი სიტყვა — „კომისია“. ვინ თქვა პირველად, ვინ გადაისროლა — ნიავივით კი გადაუარა დიდ-პატარას. მაშინ გავიფიქრე, ბოცო კაკუ-

ლიას მცდელობა მთლად ტყუილად არ დახარჯულა-მეთქი. ანონიმურმა წერილებმა ამდენ ძიას და დეიდას დაატოვებინა რბილი სავარძლები, ფართო და ლამაზი კაბინეტები და აიძულა რძისფერი და შავი „ვოლგებით“ მტვრიან გზას დასდგომოდნენ, სადაც ყოველ ნაბიჯზე ორმოა და ამორტიზატორები ფუჭდება...

ჩვენს „ოხოტსკს“ ღუზა აქვს ჩაშვებული. ზღვაზე რძისფერი ნისლი ჩამონილილა. აქა-იქ ნისლიდან ზღვის ლომივით თავს წამოყოფს შავი მეჩერი. სადღაც, ნისლს მიღმა, სანაპიროზე კლდეთა რიგი ჩამომწკრივებულა... მთელი დღე ვიყურები, იქნებ თვალი მოვერა რაიმეს. მხოლოდ ერთხელ, უცაბედად, რძისფერი ნისლიდან მრისხანე კბოდე წამოიმართა, შავად შემომხედა და იგი „ნიკანორის ქვას“ მივამსგავსე... ნისლი იფანტება, უფრო თვალნათლივ იკვეთება კლდოვანი გრაგნილი, რომელიც აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ ზღვაში გაწოლილა...

47

— ექსპედიციიდან რომ დავბრუნდებით, „მორეხოდკაში“ მოგცემთ რეკომენდაციას! — კაპიტნის პირველ თანაშემწეს ლაბადა მჭიდროდ შეუკრავს, ხელებს იფშვნეტს. ჰაერი ნესტითაა გაჯერებული, ცივა. — ამაზე უკვე ვიმსჯელეთ!

რა მეთქმის! ხმის ამოლებას არ მაცლის, მაწყვეტინებს.

— ახლა მიდი, საქმეს მიხედე!

დანიშნულ ადგილს მივაღწიეთ. უდაბურ, კლდოვან ნაპირზე გეოდეზისტებისა და გეოლოგების ექსპედიცია უნდა გადავსხათ. „ოხოტსკი“ სანაპიროდან რვა საზღვაო მაილის მანძილზე დგას. მარჩხი და მეჩერიანი წყალია, უფრო ახლოს ვერ მივცურდებით.

კიჩოს მხრიდან ისმის ხმაშენყობილი ძახილი — „მაინა!“ „ვირა-ა!“ წყალში კატარდას ვუშვებთ. თეთრი კატარდა ფოლადის ბაგირზე ჰკიდია. მზის პირველი, აღმაცერი სხივები სპილენძისფრად ბზინავს კორპუსზე.

ნელინელ ეშვება კატარლა, ტალღები მოუთმენლად იყალ-
ყებიან. წუთიც და ფსკერით წყალში ჯდება, აქანავდება, აღმა-
დალმა ირწევა...

აუჩქარებლად ვშორდებით დედა-ხომალდს, მეჩეჩისა
და მეჩეჩის შორის მივიკვლევთ გზას. ტალღა ტალღას მოსდევს,
მეჩეჩებს გადაუვლის, გეგონება, ზღვის ლომები ჭყუმპალა-
ობენ.

ნისლიდან იკვეთება ქვიშიანი ზოლი, ერთმანეთს ახორა-
ვებული ლოდები, შავი კბოდები.

— სდექ!

რეზინის გასაბერ ნავზე უნდა გადავსხდეთ, ბარგიც გა-
დავზიდოთ. ნავი ფართოდ გაფლაშტულა, ტალღას აჟყვება და
ჩაჟყვება. ბარგი სწრაფად გადაგვაქვს, კატარლას ვშორდებ-
ით, ნიჩბებით ვმუშაობთ.

ნაპირამდე ათიოდე მეტრია. ტალღა ხან წინ წაგვწევს, ხან
უკან გვაპრუნებს. წელამდე ყინულოვან წყალში ვხტებით. „ვა-
შა-ა!“ — ნავს ნაპირისაკენ მივაქანებთ, ქვიშაზე ავასრიალებთ.

შემაღლებულზე, კლდის ძირას, კარავი უნდა დავდგათ.
ექსპედიციის წევრები თბილად მოეწყობიან. გეოლოგები ნახე-
ვარკუნძულის სიღრმისკენ გასწევენ, გეოდეზისტები კი კონ-
ცხისა და ზღვის ჭიდილს უთვალთვალებენ. ზღვა ხან კლდის
ძირს მოაწყდება, პლაზა დაიპყრობს, ხან უკან იხევს, ვრცელ,
ლოდებით ჩახერგილ ყურეს ტოვებს. მეჩეჩზე ხანდახან მძი-
ნარე სელაპი ამ ზღვის ლომი რჩება, წვანან და ელოდებიან,
წყალი როდის მობრუნდება.

აქ ზაფხულშიც ცივა. ხეობებში თოვლის ჯიშთი ჩაჭედილა.
ფერდობები კი მწვანეს დაუფარავს. აქა-იქ ჯუჯა არყისა და ფი-
ჭვის კორომებია, მინისპირზე გართხმულან. ღამღამობით ცა
ვარსკვლავებით მოიჭიქება, ბნელა, ორ ნაბიჯზე არაფერი ჩანს.
ბურდღუნით ჩამოივლის მურა დათვი, ქვიშაზე კვალს ტოვებს.
მგლები გადმოდგებიან სერზე, მთელი ღამე ყმუიან. წუნკი მელა
მოცუნცულდება კარავთან, თევზის სუნს იკრავს, ცდილობს
ნანადირევი ანაპნოს.

ზღვა კი მიდი-მოდის. უზარმაზარი კონცხი იუჟნი გაწო-
ლილა. შავი, მონგრეული ლოდებით ჩახერგილა ზღვისპირე-

თი. კლდეები დაუსერია წვიმებსა და ქარიშხლებს. ქარაფებში
თოლიებს დაუდევთ ბინა, ჰეივიან, ყეფენ, ყაშყაშებენ, წივწი-
ვებენ, ზღვისა და ქარის ხმებს აჯავრებენ.

ნაშუადლევს ვერტმფრენი მოფრინდა პალანიდან. მთელი
თვის ფოსტა ჩამოგვიტანა. ჩემთვისაცაა ერთი წერილი — პა-
პუჩი ეძგვერაძისა...

48

— დააგვიანდა? ბოდიში, ჩირიმე, საკმე ბევრი იკო! — ეს
ისევ ვარვარა მორბის ქოშინით. ფეხდაფეხ პისტი ქარდავა მოი-
წმანება, ზღურბლს გადმოაბიჯებს და კარის ძგიდეს აეყუდე-
ბა. ვარვარა მოწვევას არ ელოდება, მთელი ოთახი უნდა გადა-
ჭრას, ვიღაც-ვიღაცა მისწი-მოსწიოს და მაინცდამაინც თავის
ბონდოსთან დასკუპდეს.

არცთუ დიდი დრო გასულა წინა კრებიდან. თანამშრომლე-
ბი თავთავიანთ ადგილას სხედან, თითქოს სკამებიც წინასწარ
გაუნაწილებიათო. მხოლოდ დიანოზი აკლიათ. მის ადგილას
იპოლიტე ზის, პირზე ცხვირსახოცს იფარუბს. მის გარდა წითე-
ლი მაგიდის უკან „კომისია“ ჩამომწკრივებულა. ორი მანდი-
ლოსანი რაიონის მასშტაბის ხელმძღვანელი ბრძანებულა. ქალი
და კაცი დედაქალაქიდან გახლავთ მოვლინებული. კიდევ ქალი
და კაცი, დედაქალაქიდან მოვლინებულთა მეორე ნახევრები
ყოფილან, სუთა ჰაერის ჩასასუნთქად გამოყვნენ მეუღ-
ლებებს... ამათგან სუთნი შეიძლებოდა საერთოდ არ გვეხსენე-
ბინა, ამით არაფერი დაშავდებოდა, სიზუსტის გარდა, რადგან
„კომისიის“ მთელი ფუნქცია თავის თავზე აეღო სტუმართა-
გან პირველს — ბატონ ნანატრის.

დევი ცირდავა კუთხეში მიმჯდარა. ამჯერად პრეზიდიუმ-
ში არავის მიუპატიუებია. როცა შემოვიდა, ბატონმა ნანატრიმ
როყიოდ იყითხა — „ესაა?“ და მეტი იქითკენ არ მოუხედავს.

ბატონ ნანატრის ნაცრისფერი, სადა კოსტიუმი აცვია.
მრგვალი პირისახე უდროოდ შეპარულ მელოტს დაუგრძე-
ლებია. სქელი ტუჩები, მსხვილი ცხვირი და პუტკუნა ლოყებში
ჩაფლული ცისფერი თვალები აქვს. ცოცხლად, ენერგიულად

ირჯება და თავს შინაურულად გრძნობს (ალბათ, არა მარტო საბავშვო სახლებში!).

იპოლიტე ოფლად გაიღვარა, ნერვულობს. ამ წუთამდე თითქოს ყველაფერი აწყობილი ჰქონდა, ოღონდ მისმა მონ-გრეულმა ცხვირ-პირმა ბატონ ნანატრიზე მძიმე შთაბეჭ-დილება მოახდინა და კვირკველიას ბიჭს ვერ გაურკვევია, სას-წორის პინა საითკენ გადაიხრება.

— ბოდიში უნდა მოვიხადო! — აუღელვებლად ბრძანა ბატონმა ნანატრიმ. — აქეთ რომ მოვდიოდით, არაფერი ვი-ცოდით დიანოზის გარდაცვალების შესახებ. ცხადია, ჩვენ სა-თანადო პატივს მივაგებთ მიცვალებულს. დაე, მისმა ახლობ-ლებმა გვაპატიონ, საქმეებზეც თუ ვილაპარაკებთ. ახლა კი წუთიერი დუშმილით პატივი ვცეთ დიანოზის ხსოვნას!

სკამი გასწია და წამოდგა. აქამდე წყნარად მსხდომი თანა-მშრომლები წამოდგნენ, სკამები მისწი-მოსწიეს და ოთახში წუთიერი მდუმარება ჩამოვარდა.

ამ სიჩუმეში შორი კუთხიდან ხმადაპალი ქვითინი მოისმა, ბოცო კაკულია ტიროდა.

— გაჩუმდი, ბოცო! — გასძახა ქსენია სალაყაიამ. — ცოც-ხალს სისხლს უშრობდი და ახლა ნუ იხეთქავ გულს!

ბოცომ ხმა ჩაიგდო, სტუმარმა კი იმ მხარეს მიიხედა და კვლავ იკითხა:

— ესაა?

იპოლიტე ალაპარაკდა ნაჩქარევად, სულსწრაფად. დი-ანოზს ბაძავდა, მასავით შეეცადა სტუმრებისათვის სათი-თაოდ წარედგინა თანამშრომლები. მრავალა პაპასკირით დაიწყო („ვიცნობთ!“ — შეეხმიანა ბატონი ნანატრი) და ცისია დევდარიანით დაამთავრა.

— ესაა? — მესამედ იკითხა სტუმარმა და ცისიას შეხედა. ქალიშვილი განითლდა, ბონდო ჭახნაკიას ზურგს ამოეფარა.

— ვატყობ, ჩვენს სტუმარს უკვე ჰქონია გარკვეული ინ-ფორმაცია! — აუღელვებლად თქვა მრავალა პაპასკირმა. — ნუ მიწყენს ბატონი ნანატრი და ინფორმაციის წყარო, ვეჭვობ, კვლავ ანონიმური წერილებია, წლების მანძილზე რომ მოს-ვენებას არ გვაძლევს.

— ქალბატონო მრავალა! — სტუმრის ცისფერი თვალები წამით გაიყინა, მერე ეტყობა, თავს მოერია და დაყვავებით, როგორც ბავშვს უხსნიან, ისე განაგრძო: — ანონიმური წერი-ლი ჩვენთვის სანდო საბუთი არ არის, მაგრამ ხანდახან ხდე-ბა, დაჩაგრულ ადამიანს სხვა გამოსავალი არა აქვს.

— ბოცო, შენ ხარ ისევ ის დაჩაგრული? — ქსენია სალაყაია წამოხტა და მუშტი მოუღერა. — შე ვირთხა, შენა, ვის გადაას-ხი ტალახი, ადექი და თვითონ თქვი!

ბოცო კაკულია თითქმის იატაკში ჩაძვრა და იქიდან სუს-ტი ხმა მოაწვდინა:

— ქსენია, არ გიხდება ჩემი ლანძღვა! იცი შენ, მართალი კაცი ვარ მე!

— მაგ სიმართლით გევლოს კუბოს კარამდე! — მიაწყევ-ლა ქსენიამ და დაჯდა.

სწორედ ეს წუთი იყო, უბნის რწმუნებული შემოიძურნა, მიმოიხედა, კარის ძგიდესთან აყუდებულ პისტის გვერდი აუქ-ცია და კუთხეში თავისუფალი სკამი მონახა. ქსენიას გამოხ-ტომით გამოწვეული ზუზუნი ჯერ არ ჩამქრალიყო და უბნის რწმუნებულის შემოსვლა ბევრს არ შეუმჩნევია. იპოლიტემ მოიხედა. რწმუნებული შეწუხებული ჩანდა და იპოლიტეს რატომლაც არ მოეწონა, ნინათგრძნობამ გულ-მუცელი აუმ-ღვრია.

ამასობაში ბატონი ნანატრი დინჯად ქარგავდა:

— სანამ დიანოზი მაგრად იდგა, სანიმუშო საბავშვო სა-ხლი გქონდათ. ახლა ისეა არეული, მტყუანისა და მართალის გარკვევა ჭირს. საქმეები მიშვებულია, დისციპლინა დაეცა. ასეთ ვითარებაში უსინდისო კაცი ხელს მოითბობს და ყველა-ნი გავილანდებით. „სიხარულს“ მტკიცე ხელი სჭირდება, ადრე რომ დიანოზი იყო, ისეთი. კადრები კი გვყავს, შეგვი-ძლია გარედანაც მოვიყვანოთ ვინმე, მაგრამ, ვფიქრობ, აქა-ურ სპეციფიკაში ჩახედული კაცის დანიშვნა აჯობებს...

— მრავალა პაპასკირი! — ხელი ასწია ამბაკო ცომაიამ.

— რა თქმა უნდა! — ბატონმა ნანატრიმ ალმაცერად გახე-და ამბაკოს. — ქალბატონი მრავალა დიდი ხანია მუშაობს

სისტემაში, გამოცდილი მუშაკია, მაგრამ, რამდენადაც ვიცი,
დირექტორობაზე არ დაგვთანხმდება!

მრავალას ლოყები შეეფაკლა.

— ბატონი ნანატრი მართალი ბრძანდება, მე არასოდეს
მიფიქრია დირექტორობაზე. თვითონ ბატონმა ნანატრიმ შე-
მომთავაზე ადრე, მაგრამ ვიუარე. მოდით, მოვეშვათ იწილო-
ბინილოს და სათქმელი პირდაპირა ვთქვათ. ჩვენი საყვარელი
დირექტორი დიანოზი მიწისთვის არ მიგვიპარებია და იქნებ-
უხერხულია მის სავარძელზე კონკურსის გამოცხადება, მა-
გრამ რაკი შევიყარენით, ბარე გადავწყვიტოთ ეს საკითხი.
ბატონი ნანატრი და სხვა სტუმრები მეორეჯერაც ხომ ვერ
ჩამობრძანდებიან. არ ვიცი, ვის ვუმაღავთ, ყველამ ვიცით,
„სიხარულის“ დირექტორობის ორი მაძიებელი გვყავს — იპო-
ლიტე კვირკველია და დევი ცირდავა! ამათ უნდათ...

— უნდათ კაია! — გააწყვეტინა ბატონმა ნანატრიმ და ლიზ-
ლურად ჩაიცინა. — ჩვენთან, ამხანაგებო, საკუთარ კანდი-
დატებს არავინ აყენებს, სხვებმა უნდა დაგვასახელონ. ამხა-
ნაგი იპოლიტე წლების მანძილზე მუშაობდა აქ დირექტორის
მოადგილედ, ცირდავა კი მხოლოდ სტუმარია. მე თუ მკითხავთ,
საკადრისი არაა, შეთქმულების გზით თანამდებობის ხელში
ჩაგდება!

ცირდავა მოსხლეტით წამოდგა, ბატონ ნანატრის მზერა
გაუსწორა:

— სიტყვა „შეთქმულება“, ბატონო ნანატრი, იმის სინდის-
ზე იყოს, ვინც ყურში ჩაგანვეთათ! რაც შეეხება საკითხს,
მაქვს თუ არა უფლება, ჩემი კანდიდატურა წამოვაყენო ამ
თანამდებობაზე, უნდა მოგახსენოთ, რომ ამისი კონსტიტუცი-
ური უფლება მაქვს...

— კონსტიტუციური კი, მაგრამ ზნეობრივი?

— რაც კონსტიტუციურია, ის ზნეობრივია! — მტკიცედ
განაცხადა ცირდავამ. — თანაც მე თვით დიანოზ ვერულავას
კანდიდატი გახლავართ. მინდა იცოდეთ, რომ ამ თანამდებო-
ბიდან არაფერს გამოველი, გარდა სულიერი კმაყოფილებისა!

— თქვენ ისე ლაპარაკობთ, თითქოს უკვე დანიშნული იყოთ
ამ თანამდებობაზე! — ბატონ ნანატრის ხმაში გაოცება ისმოდა.

— დიახ, ნუ გაგიკვირდებათ და ისიც მჯერა, როცა ყვე-
ლაფერს აწონ-დაწონით, მხარს მე დამიჭერთ!

დამსწრენი აზუზუნდნენ. ზოგს მოეწონა ცირდავას სითა-
მამე, სხვებმა მეტიჩრობად მიიჩნია მისი სიტყვები.

— კი, ბატონი! — ნამოხტა იპოლიტე კვირკველია. —
ნურავინ იფიქრებს, იპოლიტე თანამდებობას ებლაუჭებაო.
დანიშნეთ, ვინც გინდათ, მაგრამ უნდა საჯაროდ განვაცხა-
დო, — და აქ იპოლიტემ თითო გაიმვირა ცირდავასაკენ, — რომ
ეს კაცი საშიშია!

ხმაური დაცხრა, სიჩუმე ჩამოვარდა. ცირდავა ფეხზე იდგა
და იპოლიტეს შეჰყურებდა.

— ეს კაცი საშიშია! — გაიმეორა იპოლიტემ. ხმა ნერვუ-
ლობისაგან ჩახლეჩიდა. — თქვენ მას არ იცნობთ, ეს კაცი
ყველას დაგვლუპავს!

— ბრძანე, იპოლიტე! — ბატონი ნანატრი შეაწუხა იპო-
ლიტეს სიფიცხემ.

— ჯერ ერთი, მოსვლის დღიდანვე ხელზე დაიხვია ჩემი სა-
ნყალი სიმამრი. დიანოზი ღირსეული კაცი იყო, მაგრამ ბოლო
დროს სიბერე მოერია. ეს კი მელასავით შეუძვრა. ვინ იცის,
რეები ჩასჩურჩულა. დიანოზი რომ ცოცხალი იყოს, თვითონვე
ახდიდა ნიღაბს... ოჯახზე გული აუცრუა, საკუთარი სიძე-ქალ-
იშვილი შეაძულა!.. ეს არ იკმარა! აქეთ პატარები დაიახლოვა,
თავგზა აუბნია. დისციპლინით სახელი გვქონდა განთქმული,
ახლა იძულებული ვართ ბავშვების ჭეუაზე ვიაროთ!.. ა, ბატო-
ნო, — თითო თვალზე მიიდო, — გია ხატიაშვილი მომისისინა და
იმ ყმაწვილს საციხოდ გაუხადა საქმე. აგერ გვესწრება უბნის
რწმუნებული, ის გვეტყვის მაგაზე... — უბნის რწმუნებული
წამოიწია, მაგრამ იპოლიტემ შეაჩერა: — მაცალე, თუ ძმა ხარ!
ესეც არ იკმარა...

— ბევრი ხომ არ არის ერთი კაცისათვის, ჩემო იპოლიტე!
— ცივად ჩაურთო მრავალამ.

— შენ რისთვის იცავ, ნეტავი?! — შეუღრინა იპოლიტემ.

— არ თქვა ახლა, ანგელოზი ვარო, დავიჯერო, თვალში არ
მოგდის თუ?!

მრავალას ქაღალდის ფერი დაედო, ბაგე მოკუმა და მზე-
რა გაეყინა.

— რას ბედავ, კაცო, შენ! — იყვირა ამბაკო ცომაიამ. —
რა შენი საქმეა, ვითომ...

— აცალე, ამბაკო! — შეაჩერა ქსენია სალაყაიამ. — მაგი
ისეთ ორმოს ითხრის, შიგ თვითონ ჩავარდება!

— მე კი ვაცხადებ, რომ ეს კაცი ამორალური პიროვნებაა!
— ვერ დაცხრა იპოლიტე, გრძნობდა, ზედმეტი მოსდიოდა, მაგ-
რამ თავს ვერ იკავებდა. — აქეთ ჩემს ცოლს უგებდა ხაფანგს!...
ვერ მივართვი...

აირია მონასტერი. აყაყანდნენ, აჩურჩულდნენ, აქეთ-იქი-
დან წამოვიდა რეპლიკები, იპოლიტეს კი მხოლოდ უწყვეტი
ზუზუნი ესმოდა და უფრო ფიცხდებოდა.

დევი ცირდავა გულხელდაკრეფილი იდგა. ბაგეზე ღიმილი
შერჩენოდა. იპოლიტეს სიტყვები ბუმერანგივით თვით
მთქმელს უბრუნდებოდა და ცირდავა არც აპირებდა თავის მარ-
თლებას. იპოლიტემ კი ყველაზე შხამიანი ისარი ბოლოსათვის
შემოინახა.

— ეს კიდევ არაფერი! — თითქოს დაწყნარდა, ნელა და-
მარცვლა იპოლიტემ. — ყველაზე უარესი ისაა, რომ ჩვენს
თვალწინ ჩვენი თვალის სინათლეს, ჩვენს აღზრდილს ყვარობს...

— იმას? — იკითხა უცებ ბატონმა წანატრიმ და ცისია
დევდარიანისკენ გაიხედა.

— ვაიმე! — ამოიხსრა ცისიამ და სადაც იჯდა, იქ გათავ-
და... გალურჯდა, გალურჯდა...

აღათი ეჯიბია ეჯდა გვერდით, ხელი შეაშველა. ჩაიხუტა
და თავისი დანჯლრეული ხმით გასძახა:

— იპოლიტე, ამას რაიმე არ დაემართოს, თორემ ამ ჯოხს
გადაგამტვრევ თავზე!

ისეთი აურზაური ატყდა, იფიქრებდით მეორედ მოსვლა-
აო. კაცები ცალკე ყაყანებდნენ. ქალებს თითქოს ისტერიკა
დაემართათ. ადგილებიდან წამოცვივდნენ. გაუგებარი იყო,
ვინ უნდა მოესპოთ, იპოლიტე თუ დევი ცირდავა. მხოლოდ
მრავალა პაპასკირი გამოსთიმოდა ამ ხმაურს, თითქოს თავის
ყინულეთში შებრუნებულიყო, თეთრ უდაბნოეთში და მარ-
ტოდმარტო მიაბიჯებდა.

ბატონმა წანატრიმ მუშტი დაჰკრა მაგიდაზე, სახე რისხ-
ვით აენთო.

— იპოლიტე ბატონო, კაცად გიცნობდი და ვერ გამოგივი-
და კარგად! ან შენი სიტყვები სიცრუეა და აქ გასაჩერებელი
არა ხარ, ან ეს კაცი წაძირალაა და მისი ადგილი ციხეშია!

ცირდავამ ხელი მოწაფურად ასწია. ახლა ყველანი მას მის-
ჩერებოდნენ.

სრული სიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოდ ცისიას უხმო, შიშ-
ნეული ტირილი ისმოდა გულსაკლავად.

— რაც აქ, ამ ბატონმა, — იპოლიტეზე აჩვენა, — ბრძანა,
ერთი პროცენტიც რომ იყო მართალი, თავს მოვიკლავდი!
ერთადერთი სიმართლე, რაც შევეცადე ყველასაგან დამემა-
ლა და ვეღარ დავმალე, იმდენად ვეღარ დავმალე, რომ აგერ,
ამ კაცმაც იყნოსა... აქ ჩამოსვლის დღიდანვე საკუთარ თავს
ვერ ვუმუდავნებდი ამას. ალბათ, ბევრს უკვირდა, ამ კაცს ვინ
მისცა ამსიგრძე მივლინებაო. გამოგიტყდებით, მივლინება
ათდღიანი მქონდა, მერე კუთვნილი შვებულება გავიფორმე,
მერე უფასო... გვიან მივხვდი, მიზეზთ მიზეზი ცისია იყო!

კრებას კვლავ გადაუარა ზუზუნმა.

— თუმცა არაფრით, — განაგრძო ცირდავამ, — არც ერთი
სიტყვით, ან მოძრაობით არ გამიმუდავნებია ცისიასთვის...
გუშინდლამდე! ახლა კი ყველაფერი გარკვეულია! თქვი, ცისია!

დევი ცირდავა ქალიშვილისაკენ დაიძრა, სკამებს შორის
გაიარა და გაიმეორა:

— თქვი, ცისია!

გოგონას ბაგე უთრთოდა, ხმა ვერ ამოელო. მიმოიხედა,
დამფრთხალ შეველსა ჰეგავდა.

— გაბედე, ცისია! — გასძახა ქსენია სალაყაიამ.

— მიდი, შვილო, თქვი, რაც სათქმელია! — მსუბუქად უბი-
ძგა აღათი ეჯიბიამ.

ცისია გაუბედავად წამოდგა და სახე უცებ ვაჟის მკერდში
ჩამალა.

ცირდავამ მხარზე ხელი მოჰვია, კარისაკენ გაიტაცა.

კარგა ხანს იდგა სიჩუმე, ხმა ვერავის ამოელო.

მრავალა პაპასკირმა თვალი დახუჭა, საფეთქლებზე სისხლი მოაწვა. გონს რომ მოეგო, ბატონი ნანატრი ჭიქას უწვდიდა და თანაგრძნობით შეჰყურებდა:

— ქალბატონო მრავალა, ინებეთ წყალი!

იპოლიტე განპილებული იდგა, არ იცოდა რა ექნა, დამჯდარიყო თუ კრებიდან გასულიყო.

უბნის რწმუნებულმა ჩაახველა. მისი არსებობა მთლად დავინყებოდათ. წამოდგა, კიტელი გაისწორა და იპოლიტესაკენ წამოვიდა.

— ჩემთან გაქვთ საქმე? — ჰკითხა იპოლიტემ.

უბნის რწმუნებულმა ქალალდი გაუწოდა.

— პროკურორის ორდერი მაქვს, თქვენ დაპატიმრებული ხართ!

49

კვირას დიანოზ ვერულავას ვასაფლავებდით.

საფლავი ჩვენ თვითონ გავთხარეთ, ეზოში, მაგნოლიის ძირას — მე, დევი ცირდავამ, ბონდო ჭახნაკიამ, ამბაკო ცომაიამ, მიშიკო ძაგანიამ და უფროსჯაგუფელმა ბიჭებმა. ერთი მეტრის სილორმეზე ადგილი ქვალორლიანი აღმოჩნდა, სათითაოდ ამოგვეკონდა დიდრონი ქვები. მერე ერთი მანქანა ქვიშა მოვზიდეთ. საფლავიდან ამოღებული მინაც გავცხრილეთ, რათა დიანოზის სამარადისო სასახლეს რბილი მინა დაპფენილდა... განა ყველა დაგვთანხმდა თავიდან. სოფლის თავეკაცებმა, რას შვებით, სასაფლაოზე საუკეთესო ადგილი გამოგიყავითო. ცირდავამ, დიანოზი ამიერიდან სამუდამო დარაჯად აქ უნდა იწვესო. ვერაფერი გვიპასუხეს. რაიონიდან ჩამოსულებმაც თავი გააქნიეს, ერთმა ისიც ჩაიდუდლუნა, იქნებ თქვენი დიანოზი ანგელოზი იყო, მაგრამ ყაჩალები რომ ეხვია, რატომ ვერ შეამჩნიაო. მოულოდნელად ბატონმა ნანატრიმ (გასვენების დღემდე ისურვა დარჩენა!) ვეებერთელა ცხვირსახოცი დააძრო და ცისფერ თვალებზე მიიჭმუჭნა. მერე სიტყვა ნარმოთქვა, მადლიერი ბავშვების უივილ-ხივილი შენამდეც ჩააღწევსო.

იმდენი ხალხი მოვიდა, ტევა არ იყო.

საბავშვოსახლები საგანგებოდ მოვემზადენით, განსაკუთრებით უმცროსები მოვკაზმეთ. გოგონებს თეთრი, ფარფატია კაბები ეცვათ, ბიჭუნებს — თეთრი პერანგები და შავი შორტები. საშუალო და უფროსჯაგუფელებს ჩვეულებრივი ტანსაცმელი გვეცვა, მაგრამ ყველა „სიხარულელს“ მკერდზე შავი ლენტი გვებნია.

სხვაზე უნინ დიანოზის კუბოსთან პატარები მივიღნენ. დაწყვილებულნი მოგოგმანებდნენ — დათუჩის მოკონა მოჰყავდა, ზვიადს — თეონა, ვაჟიკა-ცქნაფას — გოგუცა, ლაშას — მამისთვალა, ნუკრის — ნაილი, სოსიკას — სვეტა, წკიპურტას — ეთერიკო, ვასიკოს, სერიოზას და ყურპარტყუნას გოგონები ვერ ეყოთ, მაგრამ ამაზე დიდად არ დარღობდნენ. თითო მიხაკი ეჭირა ყველას, კუბოზე დადეს და მალე დიანოზის სასახლე მიხაკებით დაიფარა.

საშუალო და უფროსჯაგუფელები ვერულავების ეზოში, კიბიდან ჭიშკრამდე ჩავმწკრივდით, ერთ მხარეს გოგონები, მეორე მხარეს — ბიჭები.

გრიგოლ ღელეყყამ მთელი სკოლა მოიყვანა. შარაზე ორ რიგად დაეწყვნენ სოფლელი გოგო-ბიჭები, ცოცხალი დერეფანი შექმნეს ვერულავების ჭიშკრიდან „სიხარულის“ ჭიშკრამდე.

ელიკო გულსაკლავად მოთქვამდა. შავი მანდილით თავწაკრული ქალები ქვითინით აჰყვებოდნენ ხოლმე, იდგა გლოვა და ზარი.

ოთხ საათზე დიანოზი გამოვასვენეთ. კუბო „სიხარულელ“ ბიჭებს მოგვქონდა, სხვას არავის დავანებეთ... თემო ხატიაშვილი, ბიჭიკო ცქიფურიშვილი, ცოტნები და ბაკურ ღურნეკაიები, თათრის ბიჭი მურადი, ლორჯვე შამუგია, დიდი ვაჟიკა, გუგული ჯიქია, ჭიპო კვირიკაძე, შუქრი ცეცხლაძე, პაატა ქეცბაია, ნუგზარ მელაძე, მამუკა გიორგაძე, პირლია და ქუცნა ჭედია ერთმანეთს ენაცვლებოდნენ და დიდი დიანოზის კუბო მიცურავდა ადამიანთა თავზევით.

გავიარეთ ცოცხალი დერეფანი და „სიხარულის“ ფართო ეზოში შევედით.

ამიერიდან დიანოზ ვერულავა ნაწილი გახდა ამ მიწისა...

რამდენი წელი გავიდა მას შემდეგ, რამდენი რამ შეიცვალა...
მრავალა პაპასკირმა მეორე დღესვე დაგვტოვა, მშობლები დამიბრძნენ და უნდა მივხედოო.

ელიკო მარტო დარჩა. ბავებში ჩაცმული, კუშტი და გაუხარელი ხანდახან თუ გამოჩნდებოდა სამსახურში. თავაუწევლად მოილევდა საქმეს და შინ ბრუნდებოდა. იპოლიტე რამდენიმე წელი არ გამოჩენილა. ამბობდნენ, დაბრუნება მოინდომა, მაგრამ ელიკომ ცივი უარი შეუთვალია. ერთადერთი საზრუნავი მამის საფლავილა დარჩა. ღობეში პატარა კუჭიყარი გამოაჭრევინა და გვიან ღამემდე იჯდა მაგნოლიის ძირას, დიანოზის საფლავს ეფერებოდა. ორი-სამი წლის შემდეგ კი გოგონა იშვილა, იმასაც ელი შეარქვა და ცოტათი გაიხარა.

წლისთავზე ცისიასა და დევი ცირდავას გოგონა შეეძინათ, თეთრი, ქათქათა, ბუნჩულა ბავშვი. სახელად თუთა შეარქვეს. ცირდავამ აქვე, ალათი ეჯიბიასაგან იქირავა ოთახი და იქ ცხოვრობდნენ. გაზეთთან ურთიერთობა არ გაუწყვეტია. ხანდახან ანალიტიკურ წერილებს აქვეყნებდა პედაგოგიკის საკითხებზე. ცისია დაუსწრებელ ფაკულტეტზე ჩაერიცხა პუშკინის ინსტიტუტში და სწორედ აქ გამოადგათ ცირდავებს თბილისური ერთოთახიანი ბინა (და არა მარტო ცირდავებს, „სიხარულელი“, ვინც კი უმაღლესში ჩაერიცხა, იქ ატარებდა სტუდენტობის წლებს). წუთითაც არ უნანია ცოლ-ქმარს სოფელში დარჩენა. იოლი როდი იყო ხვედრი ობლების დირექტორისა, მაგრამ უძლებდა.

ტატიანა ყალიჩავას ტყუპები შეეძინა, გოგო-ბიჭი. ქმარმა შინ დასვა, აგერ საკუთრები გყავს და ამათ მოუარეო.

ბოცო კაკულიამაც დაგვტოვა. მის ანონიმურ წერილებს ყურადღებას არავინ აქცევდა და იძულებული გახდა სხვა ასპარეზი ეძია.

პისტი ქარდავას ერთ დღეს ახალმა დირექტორმა მაკრატლით ჯიბები დააჭრა და სამსახურში ჩანთებით გამოცხა-

დება აუკრძალა. პისტი ისე დაშინდა (სხვებიც!), სადილობის ჟამს, პური რომ მოეფინჩხა, კარისაკენ იყურებოდა, ვინმემ არ შემომისწროსო.

ნავიდნენ ძველი ბავშვები, ახლები მოვიდნენ...

მამუკა გიორგაძემ საშუალო „სიხარულში“ დაამთავრა, ახლა უნივერსიტეტის სტუდენტია, აღმოსავლურ ენებს სწავლობს.

ღორჯოლა უკან არ მოგვიბრუნეს, სხვაგან გადაიყვანეს და ფუცუკაც თავის ძმას გაეკიდა.

ცხოვრება ათასი წვრილმანისაგან შედგება, მეხსიერება ყველაფერს ვერ დაიტევს, მაგრამ ამ წვრილმანებმა შეავსეს ჩემი არსებობა...

ახლა, როცა ამ ბოლო სტრიქონებს ვწერ, მე — ნიკანორ ბჟალავა, დიდი ნიკანორის შვილობილი, ვზივარ ლოდზე, შორეული კამჩატკის მიწაზე, ოხოტის ზღვის სანაპიროზე და გავყურებ სივრცეს... ჩემს უკან ფერდობი არბის, ტუნდრის ჯუჯა არყითა და ფიჭვით დაფარული. ხელმარჯვნივ მიიგრაგნება კონცხი იუჟნი, კლდოვანი კბოდეებით ზღვა შეუნგრევია და შორს განვლილა, ყურე ჩახერგილია შავი ლოდებითა და მეჩე-ჩებით.

ზღვამ უკან დაიხია, გაგვექცა და ახლა მოქცევას ველოდებით, რათა „ოხოტსკიზე“ დავბრუნდეთ.

„ოხოტსკი“ კი ზედ პორიზოტზე დგას, მზეზე თეთრად ბრწყინვას.

ხელში პაპური ეძგვერაძის წერილი მიჭირავს, ახლა უნდა გავხსნა. ვიცი, უამრავ ცინცხალ ამბავს გავიგებ. საერთო მეგობრებზე მომიყვება. არ გვავინყდება ერთმანეთი, ობლის კვერი ვისაც გვიგემნია. თავის ოჯახზეც მეტყვის, დაცოლშვილდა და პატარებს ისე დაჰკანკალებს, ისე სათუთად ზრდის, თითქოს ამით საკუთარ იარებს იშუშებსო.

გავხსენი კონვერტი და პაპურის ცნობისმოყვარე და სანდომიანი სახე წარმომიდგა. აგერ ტექსტში გაკრთა მიმოზა კაციას გვარ-სახელი. შევყოვნდი, არ ვჩერაობ წაკითხვას. თვალებზე ბინდი მეფინება, გული უცნაურად მიძგერს... სად არის ახლა მიმოზა კაცია, რას აკეთებს?

წარმოსახვაში ვაცოცხლებ მომავლის სურათს:

აი, მე — ნიკანორ ბუალავა, უკვე თმაშევერცხლილი, თუმცა ჯერაც ახალგაზრდა შორეული ნაოსნობის კაპიტანი, დედამინის ირგვლივ მოგზაურობიდან ვბრუნდები. ჩემი საოცეანო, თეთრი ხომალდი ბოსფორსა და დარდანელს გაივლის, შავ ზღვას გადაჰკვეთს და ღუზას ნაპირიდან ორი საზღვაო მაილის მანძილზე ჩაუშვებს. აქ ნავსადგური არ არის და თეთრ იახტაზე გადავდივარ. ვდგავარ ბოგირზე, გაფაციცებით ვათვალიერებ ნაპირს. აგერ, პლაზის ქვიშიდან ამოზიდულა „ნიკანორის ქვა“, მრისხანედ შემომყურებს, მაგრამ მე მისი არ მეშინია. მე უკვე დიდი ნიკანორი ვარ, მრავალ ჭირგადახდილი, მრავალნაცადი... ქვეყნიერება მოვიარე, უამრავი ნაცნობ-მეგობარი გავიჩინებ და მაინც მარტობა მიხრავს გულს, ჩემი ბავშვობიდან ამოტივ-ტივებული ხატი მასულდგმულებს... გადავდივარ ნაპირზე. პლაზზე ბავშვები ერთობიან. „ვისი ხართ, პატარებო?“ — ვეკითხები. „სიხარულელები ვართ!“ თეთრი კოტეჯიდან გამოდის თეთრხალათიანი აღმზრდელი. მეცნობა. გული უცნაურად მიტოკავს. ხელს ვუწვდი: „ნუთუ ვერ მიცანი, მიმოზა?“

არა, მსგავსი არაფერი მოხდება!

პაპუჩი ეძგვერაძის წერილს ცრემლის კვალი ამჩნევია. მიმოზა კაცია დაგვეღუპაო, მწერს, ჩვენი ლამაზი დაიკოო... ლორჯოლაზე შეუვარდა თურმე გული, აღარ ჩამოშორდა. ხატიაშვილის ბიჭსაც ყვარებია, გიუდებოდა, ისე... ყველაფერი იცოდა და არც არაფერს აყვეღრიდა. ხელისგულზე ატარებდა თურმე, თვალებში შესციცინებდა. ისე გამოიცვალა გია, მოწყალებასავით იჭერდა თავისი მბრძანებლის ღიმილს. ერთგულ დარაჯად ედგა მის სიმშვიდეს, ცდილობდა დაეცვა წარსულის ტკივილებისაგან, თითქოს დააჯერა კიდეც, რაც გადაგხდა მხოლოდ ბოროტი სიზმარი იყო. ამიერიდან განკურნებული ხარ, ოქროს საქორნინო სარეცელი უნდა გიყიდო და წითელი და თეთრი ვარდებით მოვფინო... არ დასცალდა!.. ვეღარ გაუძლო ჩიტის გულმა... თითქოს მატარებელმა გადაუარაო, ისეთი სიყვარულით ყვარებიათ ერთურთი. ნუთუ სიყვარულიც ჰკლავსო? — მეკითხებოდა პაპუჩი ეძგვერაძე...

იმ წუთს მინდოდა თავი მომეკლა და თავი ლოდს ვახალე. მომცვივდნენ მატროსები, გამქაჩეს. ქართულად ესენი ვერ კითხულობდნენ, არ იცოდნენ, რა ეწერა იმ დასაწვავ წერილში. მე კი ცრემლად ვიღვრებოდი, გულს ვასკდებოდი, ვიხვეწებოდი — „დამანებეთ, დამანებეთ თავი!“ დამანებეს თავი, შორიდან მითვალთვალებდნენ.

ვეგდე იმ ლოდზე და თავქვეჩამხობილმა გამოვიტირე ჩემი ბავშვობის გატაცება. მეგონა, დაწყდა ყველა ძაფი, რაც მშობლიურ სანახებთან მაკავშირებდა. არ ვიცი, რამდენ ხანს გაგრძელდა ასე. ტალღების ჩუმი შხუილი მომესმა. ზღვას კვლავ დაეფარა მიტოვებული ყურე. მოქცევას გადაეყლაპა ლოდნარი. აქა-იქ შავ მეჩებს თუ ამოეყო თავი. „ოხოტსკიდან“ უკვე მოდიოდა თეთრი კატარდა. ექსპედიციას აქ ვტოვებდით, ეკიპაჟის წევრები კი გემზე ვბრუნდებოდით.

თითქოს გული გადამეწმინდა. წერილი დავკეცე და ჯიბეში შევინახე.

წინ მრავალი თავგადასავალი მელოდა. არაერთხელ გამამწარებდა ცხოვრების რთული გზა, მაგრამ ხანდახან იქნებ ჩემთვისაც ეწილადებინა ბედნიერების მისხალი.

შორეული მოგზაურობიდან დაბრუნდებოდა ჩემი საოცეანო ლაინერი. მე კი — დიდი ნიკანორი, ღუზას ჩავუშვებდი ნაპირიდან ორ საზღვაო მაილზე, „ნიკანორის ქვის“ პირისპირ. წყალში ჩავუშვებდი თეთრ იახტას. პლაზის ქვიშაზე წამოიმართებოდა ჩემი ქვადეცეული სეხნია, მრისხანედ შემომხედავდა.

ნაპირი სავსე იქნებოდა პატარებით. „საიდანა ხართ?“ — შევეკითხებოდი. „სიხარულიდან!“ — მიპასუხებდნენ. თეთრი კოტეჯიდან გამოცერიალდებოდა ქერათმიანი, ცისფერთვალება ქალიშვილი, რომელიც ოდესლაც, დიდობანას თამაშის დროს, ერთხელ უკვე ვიშვილე... მოვარდებოდა, გაკვირვებით შემომხედავდა, პატარა ხელს გამომიწვდიდა და მეტყოდა: „ნიკანორ, ვერ მიცანი? მე ხომ მარიხი ვარ, ელეფთერის ქალიშვილი!“

21.XI.86

